საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კულტუროლოგიის ინსტიტუტი

სოსო სიგუა

ქართული კულტურის ისტორია

IV

თბილისი - 2019
გამომცემლობა „საარი“

ს - 476
UDC (უაკ) 008(749.22)(09)

„ქართული კულტურის ისტორია“ ოთხი წიგნისაგან შედგება:

I. „არქაულ-წარმართული კულტურა“ (ძვ. წ. III ათასწლეული - ახ. წ. IV საუკუნე);

II. „ქრისტიანულ-ბიზანტიური პერიოდი“ (V-XI სს.);

III. „რენესანსი და ანტირენესანსი“ (XII-XVIII სს.)ლ

IV. „სინკრეტულ-ევროპული კულტურა“ (XIX-XX სს.).

რედაქტორები - პროფესორი **იგორ კვესელავა**
პროფესორი **რევაზ მიშველაძე**

რეცენზენტები - პროფესორი **მურმან თავდიშვილი**
პროფესორი **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**
პროფესორი **ვაჟა შუბითიძე**

ISBN 978-9941-0-8488-1 (ოთხივე წიგნის)
ISBN 978-9941-8-1830-1 (მეოთხე წიგნის)

წიგნი მეოთხე

სინკრეტულ-ევროპული კულტურა (XIX-XX)

ისტორია ცნობიერად და არაცნობიერად წარმოქმნის კულტურის სააზროვნო სისტემას, ორიგინალურს თუ სხვაზე დამოკიდებულს, წამოსწევს სახელებსა და ასოციაციებს, ფორმებსა და იდეებს, რომელთა განფენის არეალი ცვალებადია.

ერის ფსიქიკური პოტენციალი ვლინდება სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, ეკონომიკაში, კულტურაში.

XIX საუკუნიდან, როცა რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია საქართველოს ტერიტორიაზე, კულტურაშიც აღმოსავლეთს შეენაცვლა ჩრდილოეთი.

ორიენტალიზმი გაახუნა ევროპეიზმმა, რომელიც რუსულად იყო ფორმირებული. ქართული ინტელექტუალური ელიტა ჩრდილოეთის გავლით მიდიოდა დასავლეთისაკენ, რათა შეეთვისებინა კათოლიკურ-პროტესტანტულ და მასონურ-იუდაისტურ წიაღში შობილი კულტურა, იდეოლოგიურად – სოციალიზმი და მარქსიზმი, ესთეტიკურად – რომანტიზმი, მოდერნიზმი და ავანგარდიზმი, გნოსეოლოგიურად – მეცნიერების დარგები, ცივილიზაციურად – ტექნიკის მიღწევები.

თავად რუსულ კულტურაშიც ერთმანეთს ებრძოდა და ერწყმოდა სხვადასხვა იდეოლოგიური ნაკადი – ზაპადნიკური და სლავიანოფილური, ნაროდნიკული და სოციალისტური...

სოციალისტურის შიგნით წარმოიშვა რამდენიმე განშტოება, რაც ცვლიდა კულტურის ფორმებს, შემოქმედებით აზროვნებას.

ქართული აზრი ითვისებდა და გარდაქმნიდა მათ, უფარდებდა მშობლიურად ქცეულ უკვე გათავისებულ ტრადიციებს.

ერის ფსიქიკური ენერგია ცნობიერების სხვადასხვა სფეროში იჭრებოდა და ასპარეზზე გამოჰყავდა ახალი სულიერების მედროშენი – რევოლუციონერები და პოლიტიკოსები, შემოქმედები და მეცნიერები, იბრუნებდა დაკარგულ წარსულს, იმორჩილებდა თავის დამთრგუნველ იმპერიას, უძლებდა სასტიკ რეპრესიებს,

საუკეთესო შვილებს სწირავდა, სისხლს ღვრიდა აბსტრაქტული იდეალებისა და სხვათა მიწის დასაცავად, თმობდა ტერიტორიებს. მაგრამ მაინც ძლიერდებოდა და ელოდა ჟამს, რათა მოეპოვებინა თავისუფლება.

იდეოლოგია ბოჭავდა და სპობდა, ან აძლიერებდა კულტურის მოძრაობას, კულტურის ფორმებს – რომანტიზმს, რეალიზმს, მოდერნიზმს, ავანგარდიზმს, რომელთა სათავე ევროპაა.

ევროპული სიგნალები აღწევდა საქართველოში – ხან რუსულ სარკეში არეკლილი, ხან – პირდაპირ.

საქართველო ექცეოდა სინკრეტულ-ევროპული კულტურის ტიპოლოგიურ რკალში, რომელიც ემყარებოდა ანტიკას – ბერძნულ-რომაულს, მაგრამ ითვისებდა ყოველივე საუკეთესოს, რაც შეუქმნია კაცთა გონსა და ხელებს.

XX საუკუნის მიწურულს, თუმცა დიდი მსხვერპლის ფასად, საქართველო ისევ გამოჩნდა მსოფლიოს რუკაზე, დამკვიდრდა 200 სახელმწიფოს შორის. ეკლესიამაც ჰპოვა აღიარება. მაგრამ კულტურა უფრო ფრთაასხმული მაშინ იყო, წნეხიდან გასხლტომას როცა ცდილობდა. თავისუფლების მოპოვებამ კი სტიმული ჩაუქრო, ინტერესი დაუცხრო და თითქოს დააბნია.

ქართული კულტურის ევროპეიზება არა მხოლოდ მოდერნიზება იყო, არამედ – საუკუნოებრივი ჩამორჩენის დაძლევაც. ქართველთა ცნობიერებაში ევროპეიზმმაც რამდენიმეჯერ იცვალა სახე – ჯერ იყო რუსული სტილისა, შემდეგ – დასავლური, სსრკ-ის პერიოდში – სოციალისტური კოსმოპოლიტიზმის დაძლევით – ნაციონალური.

ასე მივიდა 1991 წლამდე, როცა ისევ აღიდგინა საქართველომ დამოუკიდებლობა და დაიშალა სსრკ.

* * *

ამჯერადაც ჩვენი მიზანია ძირითადი სააზროვნო მიმართულებების ჩვენება და ამისათვის ვემყარებით ფაქტოლოგიურ მასალას, რათა აბსტრაქტული მსჯელობა შეივსოს კონკრეტული მაგალითებით.

მაგრამ არ გვჭირდება სრული აღწუსხვა ფაქტებისა და არც მიმართულებების ამომწურავი სიზუსტით წარმოდგენა.

ისტორიის კურსში ეს შეუძლებელია – მათი ადგილი მონოგრაფიებშია.

ჩვენ ვსარგებლობთ მიღებული შედეგებით, რაც მოიტანა შესაბამის დარგებში კონკრეტული საკითხების კვლევამ, მათი დაკავშირებით.

ასევე იქცევა ფილოსოფოსი, ესთეტიკოსი, პოლიტოლოგი.

კულტუროლოგია არის მეცნიერულ ფაქტებზე დამყარებული აზროვნება, რომელიც კონსტრუქციას აგებს სხვაგან დამზადებული დეტალების სათანადო კორექტივით.

I. რუსული ევროპეიზმი: XIX საუკუნე

1. რუსული ხიშტით

რუსეთი ცეცხლით და მახვილით ავრცობდა იმპერიის საზღვრებს, თავისი მმართველობის სისტემას, კულტურის და ცხოვრების წესს, იპყრობდა და აერთიანებდა მრავალ სამეფო-სამთავრო-საშამხლოდ თუ სახანოდ დაყოფილ კავკასიას.

აქ სამი ძალა ებრძოდა ერთმანეთს – მაჰმადიანურ-შიიტური სპარსეთი, მაჰმადიანურ-სუნიტური ოსმალეთი და ჩრდილოეთის ყინულეთიდან ახლად ჩამოსული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რუსეთი.

სამეფო-სამთავროების ანექსია

რუსული მმართველობის მკაცრი სტილი უცხო აღმოჩნდა ქართველობისათვის. რუსები ქედმაღლურად უყურებდნენ დაპყრობილებს, არ სცნობდნენ მათ ეკლესიას, ენას, ადათ-წესებს, ადამიანურ ღირსებას.

როგორც მარქსისტები წერდნენ, ქართველმა ხალხმა ჩაგვრის ორმაგი უღელი დაიდგა კისერზე – სოციალური და ეროვნული. განსაკუთრებით ეს აუტანელი იყო პირველ ხანებში, რასაც მოჰყვა აჯანყებები მთიულეთში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, სისხლი, ნგრევა და მსხვერპლი.

ბაგრატიონთა დინასტიის გაუქმება, ბაგრატიონების რუსეთში გასახლება, კათალიკოსის შეცვლა ეგზარხოსით, რუსული ენის დამკვიდრება, რაც არავის ესმოდა, საყოველთაო გულისწყრომას და უნდობლობას იწვევდა.

60-იანი წლებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ყველა სამთავრო გაუქმებული იყო. რუსებმა წაიღეს გიორგი XII-ის სამეფო გვირგვინი, რომელიც იმპერატორმა პავლე პირველმა დაამზადებინა. მასალა იყო ოქრო, თვლები – 82 ბრილიანტი, 43 წითელი იაგუნდი, 24 ზურმუხტი, 64 ალმასი, 16 ლალი, 16 ამეთვისტო. აღარ არსებობს არც ერთი ქართველი მეფის გვირგვინი.

რუსისთვის ქართველიც ისეთივე ველური იყო, როგორც ყოველი კავკასიელი. მაგრამ ცდილობდნენ ადგილობრივი ძალების მოზიდვას, აღზრდას, მათ შეჩვევას რუსული ცხოვრების წესთან, კარგად ექცეოდნენ თავადებსა და სამხედრო პირებს (შდრ – ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“).

განსაკუთრებით ფასდებოდნენ გარუსებული ან რუსოფილი ქართველები, ფასდებოდა მათი ერთგულება ტახტისადმი, ნიჭი, შრომა და დაღვრილი სისხლი.

მაგ., გენერლები – გარსევან ჭავჭავაძე – ტრაქტატზე ხელის მომწერი, ერეკლეს ელჩი პეტერბურგში, შემდეგ თავადაზნაურთა პირველი წინამძღოლი, პავლე ციციანოვი (ციციშვილი) – კავკასიის მთავარმართებელი, დიმიტრი ორბელიანი – კახეთის აჯანყების ჩამხშობი, გრაფი ივან ქუთეისოვი (კიკიანი) – სენატორი, პავლე I-ის ფავორიტი, მამა-შვილი სერგეი და პავლე ლაშქაროვები (ბიბილურები), გიორგი ერისთავი – თავრიზის ამღები, ივანე ამილახვარი – ბაიაზეთისა და არზრუმის ხელმეორედ ამღები, გიორგი მუხრან-ბატონი – სახელმწიფო საბჭოს წევრი, მიხეილ ლორის-მელიქოვი (გრიგორიანული აღმსარებლობის) – გრაფი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე, იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი კოზოდავლევი (ჭილაშვილი)...

იყო ზომიერი ფალანგაც, რომელიც იცავდა ქართველობას, მაგრამ ერთგულად ემსახურებოდა იმპერიის ტახტს. მაგ., გრიგოლ

ორბელიანი – ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელი, დიმიტრი ყიფიანი – მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, ტფილისის ქალაქის თავი და თავადაზნაურთა მარშალი, ლევან მელიქიშვილი – მთავარმართებლის მოადგილე და იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი...

დამსახურებისათვის სახელმწიფოსგან ეძლეოდათ მაღალი ხელფასი, პენსია, ორდენები და მედლები, ოქროს ხმალი (მაგ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომლის ნათლიები იყვნენ ეკატერინე II და ალექსანდრე I).

ორდენი უბრალო ჟეტონი კი არ იყო, როგორც სსრკ-ში, არამედ ახლდა მუდმივი ანაზღაურება, ზოგს – პატრონის სიკვდილის შემდეგაც.

ციციანოვმა პენსიები დაუნიშნა ერეკლეს ყოფილ მოხელეებს. ასეთი სახით იმპერია იმრავლებდა ერთგულ თავადებს.

გერმანელი იმპერატორი ქალის, ეკატერინე მეორის წყალობით ელიტა ევროპეიზებული იყო, მაგრამ მასა ისევ წყვდიადში ცხოვრობდა.

მასა იყო ფიზიკური ძალა, რომლის გამძლეობას, შრომას და თავგანწირვის უნარს ემყარებოდა ელიტა.

ორივე ერთად კი ქმნიდა უკიდეგანო იმპერიას (შდრ – ტყვე შამილის ნათქვამი, რომ მცოდნოდა რუსეთი ასეთი უზარმაზარი იყო, ომს როგორ გავბედავდიო).

მასა რუსეთის ტერიტორიაზეც ჩაგრული და ტანჯული იყო. აქ კი ემატებოდა ნაციონალური ტრადიციების, ენის, ხასიათის იგნორირება. განსაკუთრებით – პირველ ხანებში, კანონების უცოდინარობა.

შდრ – გრაფ მიხეილ სპერანსკის ხელმძღვანელობით შედგენილი იყო იმპერიის კანონთა სრული კრებული 45 ტომად (1830 წ.).

რუსული ჯარის ევროპული წესრიგი, განლაგება და ნაბიჯები, კრიალა ჩექმები, თეთრად და მწვანედ მბზინავი ერთნაირი მაუდის მუნდირები და შარვლები, კოკარდიანი ქუდები, თოფ-იარაღი სახალხო ლაშქარს, მათ არეულ მოძრაობასა და ჭრელ სამოსელს შეჩვეულ ქართველობას თვალს სჭრიდა, კრძალვასა და იმედს უნერგავდა, ბარაბანის ბრაგუნი მხნეობას ჰმატებდა.

ქართველები ჯერ სალდათად არ მიჰყავდათ, მათგან ქმნიდნენ მილიციის რაზმებს. ელიტას კი სთავაზობდნენ სამხედრო კარიერას. მაგ., ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში მონაწილეობდა მხოლოდ 72 ქართველი, მათგან – 13 გენერალი.

ფელდმარშალი ქართველებს არ ჰყოლიათ.

ინფანტერიის გენერლები იყვნენ - პავლე ციციანოვი, პეტრე ბაგრატიონი – ბოროდინოს გმირი, გრიგოლ ორბელიანი – დროებითი მეფისნაცვალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი – ვარშავის გენერალ-გუბერნატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ვასილ ბებუთოვი (ბებუთაშვილი, სომხური წარმოშობისა) – სახელმწიფო საბჭოს წევრი, ივან გედევანოვი (გედევანიშვილი), გრიგოლ დადიანი-მინგრელსკი, იაკობ ალხაზოვი (ალხაზიშვილი) – სოხუმისა და ყარსის ამღები, ალექსანდრე ქავთარაძე, გიორგი ყაზბეგი, გიორგი თუმანოვი (სომხური წარმოშობისა), ვასილ მარკოზოვი (Н. Джавахишвили. Грузины под российским флагом, Тб. 2001).

მრავალი ქართველი იყო გენერალი, გენერალ-გუბერნატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი, საიდუმლო მრჩეველი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, იმპერიის სამხედრო საბჭოს წევრი, სათათბიროს წევრი, სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელი, სხვადასხვა სამინისტროს თანამშრომელი, იმპერატორის კართან დაახლოებული, ფრეილინა, უმაღლესი ორდენების კავალერი, პროფესორი, აკადემიის წევრი...

ურჩი და ბუნტარი ხალხი მორჩილ და ერთგულ ქვეშევრდომად უნდა ექციათ, რაც შეეძლო როგორც მახვილს, ისე წყალობებს, შემოერთებულ ტერიტორიებს, საუნივერსიტეტო განათლებას, კულტურასა და ცივილიზაციას ანუ აგრესიული ინსტინქტების სახეცვლას.

ტერიტორიული ინტეგრირება

იმპერია მცირე აზიისა და წინააზიისაკენ მიიწევდა, ოსმალეთსა და ირანს ართმევდა მიწებს. ამ ბრძოლაში ჩართული იყვნენ ქართველები. ისინი თვლიდნენ, რომ იერთებდნენ დაკარგულ ტერიტორიებს, იბრუნებდნენ გამუსლიმანებულ ძმებს. რუსები კი ფიქრობდნენ, რომ ტერიტორიებს იმატებდნენ.

გაუთავებელი ომი გლეხობას ძვირი უჯდებოდა. ჭირდა ჯარის შენახვა და მომარაგება. ეს იწვევდა საერთო უკმაყოფილებას, რაც აჯანყებებში გადადიოდა.

რუსი მმართველებისაგან ჯერ იმ სიკეთეს ხედავდნენ, რომ აღიკვეთა ლეკთა თარეში და ტყვეებით ვაჭრობა, რომ გათიშული კუთხეები ერთიანდებოდა.

1803 წელს ლეკებმა ქარელთან გაჟლიტეს რუსების ასეული. საპასუხოდ, ციციანოვის ბრძანებით, გენერალი ორბელიანი შეიჭრა ახალციხეში და აიძულა ფაშა, რომ გადაეცა 600 ქურდი-აბრაგი.

ტერიტორიების დაბრუნება უფრო იდეალების სფერო იყო. მოსახლეობას ყოველდღიური საზრუნავი, რუსთა თავხედობა, ძალადობა და გაუგებარი მმართველობა აწამებდა.

აჯანყებებს სტიქიური და ლოკალური ხასიათი ჰქონდა. ცუდად შეიარაღებული გლეხობა ვერ უძლებდა რეგულარული ჯარის შემოტევას. დამარცხება, მსხვერპლი, ნგრევა, მეამბოხეთა დასჯა და გადასახლება, ერთი მხრივ ზრდიდა რუსებისადმი სი-

ძულვილს, მეორე მხრივ – უმწეობას და შიშს ნერგავდა, ხალხს მორჩილებას აჩვევდა, რათა ბუნტზე არავის ეფიქრა.

კავკასიის დაპყრობა რუსეთმა დაამთავრა 1859 წელს, როცა აიღო ჩეჩენ-დაღესტნელთა უკანასკნელი გამაგრებული პუნქტი ვედენო და შამილი დაატყვევა.

იმპერატორმა შამილსა და მის ოჯახს საუკეთესო პირობები შეუქმნა. შემდეგ მოსალოცად მექაში გაუშვა, სადაც აქლემიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა.

იმპერიის ჯარები გაცილებით სასტიკად მოექცნენ უკრაინას, სადაც წვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ხვრეტდნენ და ციმბირში აგზავნიდნენ მაზეპას მომხრეებს, საფლავებსაც კი თხრიდნენ.

თუმცა ეს იყო პეტრეს დროს, დაპყრობითი პოლიტიკა არ შეცვლილა. კავკასიის დამორჩილების შემდეგ დაიწყო კიდევ ერთი საშინელი პროცესი – მოჰაჯიროობა. დამარცხებული მაჰმადიანები სტოვებდნენ მშობლიურ მიწას და სამუდამოდ მიდიოდნენ თურქეთში (შდრ – ალ. ყაზბეგის „ელისო“).

ამას იწვევდა რელიგიური ფანატიზმი – სიძულვილი ქრისტიანებისადმი, არა მხოლოდ რუსისადმი შეურიგებლობა.

გენოციდის შედეგად მკვეთრად შემცირდა ჩრდილოკავკასიელთა რიცხვი. ზოგი ტომი გაქრა ან მიიყვანეს გაქრობამდე (შდრ – ბაგრატ შინკუბას „უკანასკნელი უბიხი“).

1880 წელს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ აფხაზები დამნაშავე ხალხად გამოაცხადა, რაც გულისხმობდა მკაცრ სანქციებს.

თურქებთან ყოველ 30-40 წელიწადში ახალი ომი იფეთქებდა ხოლმე, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველები, ისევე როგორც დაღესტნის კამპანიაში, არა მხოლოდ სისხლს ღვრიდნენ, არამედ ჯარს ამარაგებდნენ სურსათით, გამწევი ძალით – ცხენებითა და ხარ-ურმებით.

ანექსია ქვეყნისათვის კატასტროფაა, მაგრამ 1801 წლის აქტს მაინც ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა: პოლიტიკურად – სამეფო-სამთავროები ვერ გაერთიანდებოდა, ვერ შეძლებდნენ შეკავშირებას, როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორების გამო; კულტურულად – ქართველი ხალხი ევროპეიზმის გარეშე, არსებითად – პროგრესის მიღმა დარჩებოდა, ანტონ I-ისა და სხვების წამოწყებას, ემიგრანტების ცდებს ცივილიზაციური ფაქტორი ვერ განამტკიცებდა.

ესეც რომ არა – ქართველი ხალხის ნება აღარავის აინტერესებდა.

რუსულ ექსპანსია-ანექსიას სარდლობდნენ გამოცდილი გენერლები და ფელდმარშლები. მაგ., ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი ერმოლოვი, პასკევიჩი, ველიამინოვი, გუდოვიჩი, ტორმასოვი...

უამრავი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი დაეცა კავკასიისათვის ბრძოლებში. ერთი მთავარმართებელი ღალატით მოკლეს (ციციანოვი). მოკლეს ელჩიც (გრიბოედოვი), ასევე – გენერლებიცა და პოლკოვნიკებიც (მაგ., პუზირევსკი – იმერეთის მმართველი).

რუსეთი, როგორც ლავა, მოდიოდა და თავის გარშემო სპობდა წვრილ სამთავრო-სახანოებს, იერთებდა იარაღით, ფულით, ცბიერი დიპლომატიით, კულტურისა და ცივილიზაციის სახელით, მშვიდობის და წესრიგის მოთხოვნით.

ქვეყნის სამართავად რუსებმა გაითვალისწინეს ძველქართული სამართალი. ამ მიზნით შედგენილ იქნა კრებული „საქართველოს ძეგლთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებული სჯულნი“.

იგი ითარგმნა რუსულად და ორჯერ გამოიცა XIX საუკუნეში, ერთხელ სენატის, მეორედ – ა. ფრენკელისა და დ. ბაქრაძის მიერ.

ოსმალეთისა და ირანის მიერ დანაწილებული ტერიტორიების გამთლიანებას ძლიერი ძალა სჭირდებოდა. ასეთი იყო რუსეთი, მართლმადიდებელი ქვეყანა, რომელიც ევროპეიზმის სახელით მოქმედებდა.

1790 წელს, სამასწლოვანი გათიშვის შემდეგ, რომც გაერთიანებულიყო სამეფო-სამთავროები, მაინც მალე დაიშლებოდა, რადგან არ იყო ძალაზე დაფუძნებული.

ერს არ ჰქონდა შინაგანი ენერგია შეკავშირებისათვის. ცალკეულ პატრიოტთა (მაგ., სოლომონ ლიონიძის) მონდომება და შეგნება არ კმაროდა. ამას არც აგრესორი მეზობლები დაუშვებდნენ. რუსეთი კი სათავისოდ კრებდა მიწებს და ამ ფაქტით შეიძლებოდა ესარგებლათ ქართველებს, გაუცხოება დაეძლიათ რუსული კანონებით და ხიშტით, რათა მომავალში მაინც აღკვეთილიყო სეპარატიზმი (შდრ – ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“).

ფეოდალთა განკერძოება, სამეფო-სამთავროთა ურთიერთიზოლირება, ტყვეთა ვაჭრობა, შუღლი და ომები, ლეკების შემოსევები ინტეგრირების საშუალებას არც იძლეოდა. ეს კი მოქმედებდა შეგნებასა და ხასიათზე და ზრდიდა გაუცხოებას.

ამას ერთვოდა ენობრივ-დიალექტური განტოტვა.

კახელისათვის მეგრელიც უცხო იყო და გურულიც. სვანი ქართლელს ვერ უგებდა, ქართლელი – იმერელს. მაგ., გრ. ორბელიანი აღაშფოთა დიმიტრი ყიფიანის არჩევამ თავადაზნაურთა მარშლად, არ მოსწონდა სერგეი მესხის ქართული, აკაკი წერეთელს „ღვიტიკელა იმერელს“ ეძახდა...

მაჰმადიანი ქართველი, ისევე როგორც მაჰმადიანისთვის ქრისტიანი, ცალკეულ გამონაკლისთა გარდა, მტრად აღიქმებოდა. მასაც თათარს ეძახდნენ.

ამიტომ მიაჩნდა ქართულ ელიტას აუცილებლად კავშირი რუსეთთან, ოღონდ გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში.

კოლონიად ქცევა არავის უნდოდა.

მაგრამ იმპერიას ჰქონდა უცვლელი ინტერესები – იგი სხვისთვის სისხლს არ დაღვრიდა, არც ფულს დახარჯავდა.

117 წელი ბატონობდა რომანოვების იმპერია ქართულ მიწებზე და ამ ხნის განმავლობაში, ცალკეული ინტერვალებით, ჰქონდა ომები ოსმალეთთან და ავრცობდა თავის ქართულ გუბერნიებს, მიიწევდა ანატოლიისკენ, ბალკანეთიდან – სტამბოლისკენ.

დიდად მნიშვნელოვანი იყო ახალციხე-ახალქალაქის, ბათუმ-ართვინ-არტაანის, ფოთისა და სოხუმის დაბრუნება, ბოლოს – ტრაპიზონის აღება, რაც პასუხობდა ქართველთა ნაციონალურ ინტერესებს, ინტეგრირების აუცილებლობას.

დემოგრაფიული სურათი

თამარის შემდეგ მუდმივად მცირდებოდა ქართული ტერიტორიები, ილეოდა მოსახლეობაც. მატულობდნენ უცხო მობინადრენი. მათი სამიზნე იყო ტფილისი, სადაც არაბობის დროიდან მუდამ უმცირესობაში იყო ქართველობა.

ომების დროს, როცა ქალაქი ეცემოდა, ისინიც იღუპებოდნენ, მაგრამ მაინც ინარჩუნებდნენ უპირატესობას. ზოგჯერ იმდენად მრავლდებოდნენ, რომ მასა მთლიანად არაქართული იყო.

მაგ., 1700 წელს ტფილისში ცხოვრობდა 20 000 კაცი. მათგან ქართველი იყო მხოლოდ 10% ანუ 2 000!

ეს იყო კატასტროფა, როცა ქვეყნის მთავარი ქალაქი უსისხლოდ ჰქონდათ დათმობილი.

ქართული იყო მხოლოდ არისტოკრატია, სამღვდელოება, სამეფო დინასტია, მასა კი – სომხურ-სპარსულ-თათრული. ესენი იყვნენ ხელოსნები, ვაჭრები, მოსამსახურენი, რომლებიც მიწაზე არ მუშაობდნენ.

ტფილისის დემოგრაფიული სურათი დაამძიმა როსტომ მეფემ, რომელმაც შემოიყვანა ქალაქში მაჰმადიანთა ნაკადი, რასაც მოჰყვა ამღვრეული ცხოვრების წესი.

ამ დროიდან ჩნდებიან ყარაჩოხელები და კინტოები.

ომები, ლეკთა თარეში, ტყვეებით ვაჭრობა, ეპიდემიები, ეკონომიური სიდუხჭირე, რაც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, მკვეთრად ამცირებდა მოსახლეობას. მაგ., 1811-1812 წლებში უამრავი ადამიანი შეიწირა შავმა ჭირმა.

1490 წლიდან სახელმწიფო საქართველო აღარ არსებობდა. მისი დაშლის შედეგად წარმოიშვა ქართველი ხალხისგან შემდგარი სამი სამეფო – ქართლი, კახეთი და იმერეთი, სამთავროები – სვანეთი, ოდიში, გურია, სამცხე-საათაბაგო და აფხაზეთი. თუმცა მეფეები ძველებური პომპეზურობით იმეორებდნენ დავითისა და თამარის ტიტულატურას.

ანარქია, ქაოსი, ვიწრო თვალსაწიერი ინტელექტუალურ ინტერესებსაც ამცირებდა, ანელებდა ისედაც მოდუნებულ სახელმწიფო გრძნობას (ა. ჯაფარიძე).

ხალხი დენაციონალიზების, დეგრადირებისა და გაქრობისაკენ მიდიოდა. მაგ., XIX საუკუნის დამდეგისთვის იმერეთის სამეფოში ცხოვრობდა 120 000, სამეგრელოში – 70 000, აფხაზეთში – 70 000, გურიაში – 35 000, სვანეთში – 15 000, სამურზაყანოში – 12 000, თავისუფალ სვანეთში – 10 000 (მამია დუმბაძე).

უფრო მძიმე მდგომარეობა იყო ქართლსა და კახეთში, რომელთა მოსახლეობა დავიდა ჯერ 350 000-მდე, კრწანისის ბრძოლის შემდეგ – 200 000-მდე.

ალბათ უკეთ იყო ვითარება თურქეთის საქართველოში – აჭარასა, ლაზეთსა და სამცხე-საათაბაგოში. მაგრამ ეს ტერიტორიები მოსახლეობასთან ერთად იყო დაკარგული.

ახალციხის საფაშო, სხვა საფაშოები, სადაც მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ, მუდმივად ეომებოდნენ ქრისტიანულ სამეფო-სამთავროებს და სიკვდილს არჩევდნენ ქრისტიანებთან თანაცხოვრებას.

ეს ნათლად გამოჩნდა ახალციხის აღების დროს, როცა ომობდნენ ქალებიც და ციხის გალავნიდან ცვიოდნენ, ოღონდ არ ჩაბარებოდნენ ქრისტიანებს (შდრ – მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“).

მოსახლეობის საკმაო ნაწილმა თურქეთის სიღრმეში გადაინაცვლა. სამაგიეროდ სომხებმა დატოვეს საფაშო და ქართულ მიწებზე დასახლდნენ.

დემოგრაფიულ აღრევას მხარს უჭერდა იმპერია.

საუკუნის შემდეგაც მძლავრობდა ისლამი და მოსახლეობის დიდი ნაწილი ისევ თურქეთისაკენ იყურებოდა, რასაც მოჰყვა ე. წ. თურქი მესხების გასახლება საბჭოთა პერიოდში.

ქართული ცნობიერება მათ ვერ აღიდგინეს.

ტერიტორიის მატებასთან ერთად იზრდებოდა მოსახლეობის რიცხვი – 1832 წელს ქართულ მიწებზე უკვე ცხოვრობდა 840 000 სული, 1886 წელს – 1 601 000, XX საუკუნის დასაწყისისათვის კი 2 მილიონს გადააჭარბა (პ. გუგუშვილი).

მოსახლეობის მატებას ხელს უწყობდა იმპერიაში დაწესებული საქორწინო ასაკიც: ვაჟისათვის – 17, ქალისათვის – 15 წელი.

იზრდებოდა არაქართველთა რიცხვიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აიღეს ახალციხე და უამრავი სომეხი დაასახლეს საქართველოს ტერიტორიაზე.

დემოგრაფიული სურათის ამღვრევა რუსთა მიზანი იყო. მათ არ უნდოდათ, რომ აბორიგენი ერი დომინანტი ყოფილიყო, რათა უკეთ ემართათ სიტუაცია.

ბაგრატიონთა გასახლება

მეფის რუსეთმა არა მხოლოდ ბაგრატიონების დინასტია გააუქმა, არამედ მათი გასახლებაც სწრაფად დაიწყო.

ეს იდეა გარსევან ჭავჭავაძემ მიაწოდა იმპერატორს – სანამ ბაგრატიონები ტფილისში იქნებიან, ქვეყანა არ დამშვიდდებაო...

ქართლ-კახეთი, იმერეთი თუ გურია იმპერიის შემადგენელ ნაწილად უნდა ქცეულიყო და ამ დროს ერეკლე მეფის მრავალრიცხოვანი ოჯახი ახალ ხელისუფლებას დაბრკოლებას შეუქმნიდა.

იმპერატორი სთავაზობდა დედოფლებს დარეჯანსა და მარიამს პეტერბურგში ცხოვრებას. ასევე იწვევდნენ მათ შვილებს. ისინი უზრუნველყოფილი იქნებოდნენ პენსიებით, სამსახურით, კარგი პირობებით. მაგრამ საქართველოში ჩამოსვლა აეკრძალებოდათ, რაც ამ გვარის გარუსებას ნიშნავდა.

მაგ., ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილს, ვინც თავის ძმასთან, იოანესთან ერთად შემოუძღვა ლაზარევის პოლკს, მისცეს პენსია 1 000 მანეთი, სენატორისა და გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

დავითმა ასწავლა ფრანგ მარი ბროსეს ქართული ენა, შემდეგში ცნობილ ქართველოლოგს – ბაგრატიონებს კულტურის ასპარეზი დაუტოვეს.

მხოლოდ მარიამ დედოფალს აღმოაჩნდა წინააღმდეგობის უნარი – არ ისურვა სამშობლოს დატოვება და როცა უხეშად შეეხო გენერალი ლაზარევი (ლაზარიანცი), ხანჯალი ჩასცა და მოკლა.

იგი არ დაუპატიმრებიათ. შეიძლება იმიტომაც, რომ ციციანოვის ნათესავი იყო, მაგრამ სამუდამოდ გაასახლეს რუსეთში.

ბატონიშვილები დამორჩილდნენ რუსთა ნებას და გაუყვნენ პეტერბურგის გზას. ქართლ-კახეთის ბაგრატიონები გრუზინსკები გახდნენ, იმერეთის – იმერეტინსკები, მუხრან-ბატონები – მუხრანსკები.

მათ გააგრძელეს მუშაობა კულტურის სფეროში. მაგ., თეიმურაზ, იოანე და დავით ბატონიშვილებმა, გარდა ორიგინალური შემოქმედებისა, თარგმანსაც მოჰკიდეს ხელი – გადმოიღეს ჟან-ჟაკ რუსო, მონტესკიე, ანსილონი, კოდილიაკი, პლუტარქე, „განსჯანი არისტოტელისანი“, თუმცა არ ჰქონია სათანადო რეზონანსი მათ შრომას. მხოლოდ „კალმასობა“ არის მიჩნეული მნიშვნელოვან თხზულებად.

რუსების ნებას არ დაჰყვა ალექსანდრე ერეკლეს ძე. იგი ბოლომდე იბრძოდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღსადგენად. ამიტომ ყველა აჯანყების მოთავე იყო. ცდილობდა სპარსელთა და ლეკთა ძალის გამოყენებას რუსების წინააღმდეგ.

1832 წლის შეთქმულებს იგი ჰყავდათ მიჩნეული შეზღუდული საკონსტიტუციო მონარქიის ლიდერად.

ერეკლეს შთამომავალთაგან ასევე შეურიგებელი აღმოჩნდა სოლომონ მეორე. იგი საკმაო ხანს ებრძოდა რუსებსა და მოღალატე ქართველებს. შემდეგ კი ოსმალეთში გადაიხვეწა.

სოლომონი დაიკრძალა ტრაპიზონში, ბერძნულ ეკლესიაში; ალექსანდრე – სომხურ ეკლესიაში; დანარჩენი ბაგრატიონები – რუსეთში. ქვეყანა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დაიყო.

ასეთი შედეგი მოჰყვა რელიგიური ერთობის ილუზიას, გიორგი XII-ისა და გარსევან ჭავჭავაძის მოღალატურ პოლიტიკას.

საბოლოოდ, 1862 წელს, ბაგრატიონებს ხელისუფლებამ საკომპენსაციოდ მისცა 2 მლნ-მდე მანეთი.

ეკლესიის რუსიფიცირება

რუსიფიკატორულ პოლიტიკას ასევე ხელს უშლიდა ქართული ეკლესია, მრავალსაუკუნოვანი რელიგიური ტრადიციები, ქართული სამღვდელოება, ქართული წირვა-ლოცვა.

როგორც გვახსოვს, X საუკუნეშიც კი „კირიელეისონი“ წარმოითქმოდა. შემდეგ მას შეენაცვლა ქართული „უფალო, შეგვიწყალენ“. ახლა შემოვიდა რუსული „Господи, помилуй“, რაც ხალხს არ ესმოდა.

ქართული ბიბლია, სახარება, საკითხავები, საგალობლები, განმარტებები, ქადაგებები, წირვა-ლოცვა რუსულს უნდა შეეცვალა.

ეს ეროვნული სულიერების წართმევას ნიშნავდა.

ქართული ეკლესია არც ერთიანი იყო, არც ავტოკეფალიური. სამცხე-საათაბაგო გამაჰმადიანდა, ქუთაისს თავისი კათალიკოსი ჰყავდა, მცხეთა-ტფილისს - თავისი.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას არ სცნობდა არც კონსტანტინეპოლი, არც მოსკოვი. მხოლოდ ანტიოქიის დასტური არ კმაროდა.

გეორგიევსკის ტრაქტატითაც ადრევე განისაზღვრა ქართული ეკლესიის დაქვემდებარებული ადგილი, რაც მაშინვე აღიარეს მეფემ და კათალიკოსმა. ახლა კი აღასრულეს რუსებმა და ანტონ II ერეკლეს ძე რუსეთში გაიწვიეს, გაამწესეს მცირე ხნით სინოდის წევრად, მისცეს სასახლენი პეტერბურგსა და ნიჟნი ნოვგოროდში, ექვსცხენიანი მოოქროვილი ეტლი, ბრილიანტებით მოოჭვილი ჯვარ-პანაღიები, მწვანე მანტია, ანდრია პირველწოდებულის და ალექსანდრე ნეველის ორდენები, წლიური ჯამაგირი 54 000 მანეთი, რომელიც არ ჰყოფნიდა!

გაუგებარია, ასეთ კაცს რატომ ეწოდა მრავალვნებულის ან წმინდანის სახელი!

კათალიკოსის ადგილი დაიკავა ეგზარხოსმა. იგი ჯერ ქართველი იყო (მიტროპოლიტი ვარლამი, დრამატურგ გიორგი ერისთავის ბიძა). შემდეგ კი რუსები ინიშნებოდნენ – ქართულის არმცოდნენი.

„სწირავდა სლავენურადა“, – წერს აკაკი წერეთელი.

ასეთი რამ არც არაბებს, არც სპარსელებს, არც მონღოლებს, არც ოსმალებს არ გაუკეთებიათ (ივ. ჯავახიშვილი).

ქართლ-კახეთის 13 ეპარქიიდან დატოვეს მხოლოდ 2, ხოლო 9 არქიმანდრიტიდან - 5.

მათ ექვემდებარებოდა 799 ეკლესია.

სომხურ ეკლესიას შეუნარჩუნეს ავტოკეფალია, რადგან მონოფიზიტური იყო.

სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოს სიმბოლურად აერთიანებდა მშობლიურ ენაზე მღვდელმსახურება, ბიბლია და სახარება, ქართული წირვა-ლოცვა და გალობა.

ახლა ეს ფაქტორიც იშლებოდა.

რუსი ეგზარხოსები ანიავებდნენ ქართული ეკლესიის ქონებას, როგორც წერდა ნიკოლაი დურნოვო.

რუსეთის ხაზინამ მიითვისა 150 მლნ ქონება (მაშინდელი კურსით). ნაწილის დაბრუნება მოხერხდა საბჭოთა პერიოდში. ზოგჯერ სტალინის ჩარევაც კი ხდებოდა აუცილებელი.

ბოლოს დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსად განაგებდა მიტროპოლიტი დოსითეოზ წერეთელი, რომლის აღსაყდრება ვერ მოესწრო.

იგი, როგორც აჯანყების ერთ-ერთი მოთავე, რუსეთის გზას გაუყენეს. ჩასვეს თავმოკრულ ტომარაში და სურამში გარდაიცვალა. ასეთი განსხვავებული ბედი ერგოთ ანტონ II-ს და დოსითეოზს.

ქართული ეკლესიის როლი და მნიშვნელობა მცირდებოდა, მაგრამ იყვნენ ცალკეული სასულიერო პირები, მაგ., გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი (ქიქოძე), მელიტონ კელენჯერიძე, კირიონ საძაგლიშვილი, რომელთაც თავიანთი ღირსებით, ცოდნით, მამულიშვილობით ხალხისა და კულტურის მოღვაწეთა პატივისცემა

დაიმსახურეს (გაბრიელი ბერად აღიკვეცა მას შემდეგ, რაც დაკარგა მეუღლე და ხუთი შვილი).

ახალმა დრომ ეკლესიის წინაშეც დააყენა ზნეობის და ცოდნა-განათლების ურთიერთმიმართების საკითხი, რასაც ღვთის მსახურები პასუხობდნენ (მაგ., გაბრიელ ეპისკოპოსის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, მისი ქადაგებანი).

მოსწავლეები სასულიერო განათლებას რუსულ ენაზე ღებულობდნენ. ეკლესიებში გადაღებეს ფრესკები, რუსული წარწერებით ცვლიდნენ ქართულ სიტყვებს, აშენებდნენ რუსულ ეკლესიებს, ემორჩილებოდნენ რუსეთის სინოდს.

რელიგიური ერთობა, რის გამოც დასცილდა ქართველი ხალხი ოსმალეთსა და ირანს, მნიშვნელობას ჰკარგავდა.

პოლიტიკა რელიგიაზე მაღლა იდგა და იგი აძლევდა მიმართულებას კულტურასაც, აღმსარებლობასაც, ცხოვრების წესსაც.

საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია ისევ გამოაცხადა 1917 წელს, როცა დაემხო რომანოვების ტახტი, მაგრამ მოსკოვმა სცნო მხოლოდ 1943 წელს, სტალინის რჩევით თუ თანხმობით, ხოლო კონსტანტინეპოლმა – 1990 წელს და გადასცა ტომოსი.

რუსული ონომასტიკა და ტოპონიმია

იმპერიას მოჰქონდა თავისი ონომასტიკა. მეფის მოხელეები მართლმადიდებლები იყვნენ და შესაბამისად ერქვათ ქრისტიანული სახელები, ბიბლიიდან მომდინარე, მაგრამ რუსიციზებული.

ქართული ელიტაც ასეთ, ოღონდ გრეციზებულ სახელებს ატარებდა. ახლა დაიწყო მათი რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა. შემოვიდა ვლადიმერი, გრიგოლი, ილია, ალექსანდრე, ნიკოლოზი, იური, იგორი, ეკატერინე...

ძველქართული იოანე ივანე გახდა, გიორგი – იური, ქეთევანი – ეკატერინე, ერეკლე – ირაკლი, მიქაელი – მიხეილი, ბასილი – ვასილი...

გავრცელდა რუსული ფორმის კნინობითი სახელები - კოლია, პეტია, კოსტია, კოწია, ნადია, ოლია, ვანო, ვანიჩქა, ნიკუშა, ნატაშა, ვალოდია, მარუსია, ლუნა, ალიკა, ნინა, მიშა, გრიშა, ილუშა, ლენა, ელიჩკა...

ქართული არისტოკრატია სწრაფად მოერგო ახალ სიტუაციას, უარყო აღმოსავლური სახელების ფეტიში, ძველქართული ონომასტიკა და მიიღო რუსული ელფერი, მამის სახელის დართვით - ич და евна.

გვარებიც ასევე გადაკეთდა – ბარათაშვილი ბარათოვი გახდა, ერისთავი – ერისთოვი, ორბელიანი – ორბელიანოვი, თუმანიშვილი – თუმანოვი...

ნ. ბარათაშვილი პირად ბარათებსაც კი ბარათოვს აწერს.

რუსიციზების პროცესს ხელს უწყობდა ხელისუფლება და აჩქარებდნენ სომხებიც, რომელთაც რუსების კეთილგანწყობა მოიპოვეს, გრიგორიანულ რჯულზე ნათლავდნენ ქართველებს და მათ სომხებად აფიქსირებდნენ (მაგ., ილია ჭავჭავაძის პაპა ხაჩატურ ბებუროვი – ბებურიშვილი).

ასე იქცა არაერთი ქართული ძირის გვარი სომხურად, მისი მატარებელი – სომეხად. მაგ., ვახტანგიშვილი – ვახტანგოვი, ასლამაზიშვილი – ასლამაზოვი, დეკანოზიშვილი – დეკანოზოვი, ქობულაშვილი – ქობულოვი (შდრ – მიხეილ ტარიელის ძე ლორის მელიქოვი თავის თავს ქართველს უწოდებდა).

თბილისის უბნებს შერჩა არაბულ-სპარსული სახელები, მაგრამ ახალ ქუჩებს რუსულ სახელებს არქმევდნენ (მაგ., გოლოვინისა, ნიკოლოზის, ფრეილინის, ბებუთოვის, ვორონცოვის, მოსკოვის, ოლგას სახელობის), ისევე როგორც უბნებსა (მაგ., ნახალოვკა)

და პროვინციულ დასახლებებს (მაგ., ბოგდანოვკა, ეკატერინოფელდი).

ტფილისი იზრდებოდა და ახალი ქუჩები შენდებოდა რუსი და სომეხი არქიტექტორების მიერ. იშვიათად ქართველიც ჩნდებოდა. მაგ., ს. კლდიაშვილმა დააპროექტა სათავადაზნაურო სკოლის (გიმნაზიის) შენობა, დღ. თსუ-ს I კორპუსი.

ონომასტიკა, ტოპონიმია, ენა ძირითადად რუსული და სომხური იყო (იხ. „ტფილისური ჰიბრიდი“).

როცა პასკევიჩმა აიღო ერევანი, მის პატივსაცემად თავისუფლების მოედანს ეწოდა პასკევიჩ-ერივანსკის სახელი, მაგრამ შემდეგ სომხებმა პასკევიჩი გააქრეს და დაამკვიდრეს ერევნის მოედანი, თითქოს მას სომხური სახელი ერქვა.

ენის ფაქტორი

რუსეთის არისტოკრატიისათვის ევროპა პეტრე პირველის დროიდან სანიმუშო იყო. იქედან მოჰყავდათ დედოფლები (მაგ., ეკატერინე II), გენერლები, გუვერნიორები, არქიტექტორები, დიზაინერები, მხატვრები. მოჰქონდათ ავეჯი, სახლის მორთულობა, სამკაულები, თარგმნიდნენ.

მიღებული იყო ფრანგული და გერმანული ცხოვრების წესი, ეტიკეტი, ჩაცმის სტილი, მუსიკა და ბალ-მასკარადები.

ისვენებდნენ ევროპის კურორტებზე. ბავშვობიდანვე სწავლობდნენ ფრანგულსა და გერმანულს. გერმანულ მოდელზე აგებდნენ სწავლა-განათლების სისტემას, სამხედრო და სამოქალაქო მმართველობას.

იმპერატორებს სურდათ, რომ პეტერბურგი და მოსკოვი ჰგვანებოდა პარიზსა და ვენას.

არისტოკრატია მშობლიურ ენაზე არ მეტყველებდა - რუსული ყმების ენად მიაჩნდათ.

ლექსების წერა პუშკინმა ფრანგულ ენაზე დაიწყო; ლერმონტოვიც ფრანგულად წერდა პირველ ლექსებს; ფრანგული იყო ტურგენევის ოჯახის ენა; გრიგოროვიჩს დედა ჰყავდა ფრანგი, ჟუკოვსკის (ბუნინს) – გერმანელი მეუღლე.

ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ საკმაო ნაწილი ფრანგულადაა დაწერილი.

ფრანგულად მეტყველებდნენ რომანოვები.

ასეთ ზაპადნიკურ მორჩილებას უპირისპირდებოდნენ სლავიანოფილები და ხალხის წიაღში ეძებდნენ განმაახლებელ ძალებს (მაგ., ტიუტჩევი, აქსაკოვი, ხომიაკოვი).

სახელმწიფო მაინც რუსულ ენაზე მეტყველებდა, რუსული ენით იმართებოდა ქვეყანა, რომელსაც სრულყოფდნენ მწერლები, ჟურნალისტები, მეცნიერები, ზაპადნიკები და სლავიანოფილები.

ქართველებმაც აითვისეს რუსული ენა და ჩაერთვნენ რუსული კულტურის პროცესში (მაგ., პლატონ იოსელიანი, დავით და ნიკოლოზ ჩუბინაშვილები, პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი, მიხეილ ბარათაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ილია ოქრომჭედლიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი...).

ქართველი თავადის ლ. გედევანიშვილის უკანონო შვილი იყო ალექსანდრე ბოროდინი, დიდი რუსი კომპოზიტორი და ქიმიკოსი, აკადემიკოსი, ოპერა „თავადი იგორის“ ავტორი.

რუსული თეატრის გამოჩენილი მსახიობი იყო რ. ზანდუკელ-სადუნოვი, როგორც შემდეგში ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი. ცნობილი ლიტერატორები იყვნენ ალ. სულაკაძე და ლ. ცერტელევი (წერეთელი).

რუსმა ჩინოვნიკებმა კავკასიაშიც რუსული ენა გააბატონეს, რაც, ცხადია, ხალხს არ ესმოდა. სასამართლო რუსულად მიდიო-

და, მომჩივანს საჩივარი რუსულად უნდა დაეწერა და ზეპირად წარმოეთქვა.

იმპერია რუსული ენით იმართებოდა და ვერც ერთი გუბერნია გამონაკლისი ვერ იქნებოდა.

სწავლა-განათლების ენაც რუსული იყო.

პარალელურად, საკმაო დროის შემდეგ, როგორც იმპერიის კეთილი ნების გამოვლენა, გამოდის ქართული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, არსდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული სკოლები, გიმნაზიები, თეატრი, სათავადაზნაურო ბანკი.

ეს იყო კერძო სექტორი, არა სახელმწიფო სტრუქტურის ნაწილი და ცალკეულ პირთა აქტივობით ყალიბდებოდა. ასეთი ალტრუიზმი და პატრიოტული სული ამოძრავებდათ ე. წ. თერგდალეულებს.

მეტწილად ისინიც არისტოკრატიული ოჯახებიდან იყვნენ. მაგრამ მახვილი კალმით შეცვალეს, ომი – სიტყვით და რუსეთში მიღებული ცოდნით ქვეყანას განმანათლებლად მოევლინნენ.

ეკლესიასა და სახელმწიფოს ზრუნვას მოკლებული ენა ივსებოდა ბარბარიზმებით, ჟარგონით, ვულგარული თქმებით, დიალექტური ფორმებით (შდრ – ნ. ბარათაშვილს უწერია კიპიანი და არა ყიფიანი).

მეტყველებას ეძალებოდა სომხური და რუსული ლექსიკა, იდიომური გამოთქმები, უცხო ესთეტიკა (რაც დაეტყო იოსებ გრიშაშვილის ლირიკას), როგორც ადრე თურქული და სპარსული – განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა ტფილისში, რაც აისახა ლიტერატურაშიც (მაგ., გიორგი ერისთავის კომედიები).

ასეთ სიტუაციაში თავადაზნაურობის ინტელექტუალური ნაწილი კონსერვატიულად იცავდა მწიგნობრულ ტრადიციებს, ანტონ კათალიკოსის მიერ მოდელირებულ ძველქართულ ენას. იგი

აღარ იყო სამეტყველო და ყოველდღიური კომუნიკაციისათვის გამიზნული. მაგრამ აკავებდა არმენიზმებისა და რუსიციზმების შემოტევას. მაგ., ერთი მხრივ ანტონ პირველი:

„შენ შროშან წმინდა, ვარდ ნაზარინ ნარდიონ
ალო ბალასთან, ზმირინ გუნდრუკ აღკრულ“.

მეორე მხრივ – გიორგი ერისთავი:

„კტო ნა სვეტე ჩესნა ბუდით,
ბუდით ნასიტ ხლება გუდით“.

ასეთი იყო ორი უკიდურესობა – არისტოკრატთა არქაიზებული და მასების ბარბარიზებული მეტყველება.

ენობრივი კონსერვატიზმი ცხოვრებას დასცილდა და ამ დისტანცირებით იცავდა თავს, მაგრამ არქაიზებული ფორმებით ხალხი აღარ მეტყველებდა.

ტფილისში ენა იცვლებოდა არმენიზმებისა და რუსიციზმების ხარჯზე. ამგვარი ჰიბრიდი არყევდა მშობლიური ენის სტრუქტურას. კონსერვატიზმი და არქაიზმი, რასაც იცავდნენ სამღვდელონი, ორბელიანები და ბარათაშვილები, ენას კი უნარჩუნებდა ნაციონალურ ღირსებას, მაგრამ აღარ იძლეოდა განვითარების სტიმულს, როგორც სწავლულთა ლათინური.

ახალი საგნები, შეცვლილი ურთიერთობანი შესაბამის ლექსიკასა და ელასტიურობას საჭიროებდა.

განვითარება თავისთავად კონსერვატიზმის რღვევაა, რასაც მტკივნეულად ღებულობდა არისტოკრატია, ე. წ. მამების თაობა. აღარავინ ითვალისწინებდა, რომ ქართული აღარ იყო სახელმწიფო და საეკლესიო ენა.

მათი ადგილი ახალ დროში უნდა შეევსო პრესას, ბეჭდურ ლიტერატურას, თეატრსა და ეროვნულ სულისკვეთებას.

ბეჭდვითი სიტყვა სამოციანელებმა გამოიყენეს ენისა და ეროვნული შეგნების გადასარჩენად, ნაციონალური ინტეგრირებისათვის და თავად ენაც განამტკიცეს.

მნიშვნელოვანი კულტურული ფაქტი იყო 1841 წელს პეტერბურგში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ აკად. მ. ბროსეს, პროფ. დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ფალავანდიშვილის რედაქციით.

რუსთაველისადმი ინტერესს ადრევე იჩენდნენ მარი ბროსე და სოლომონ დოდაშვილი, როგორც შემდეგ -- ილია, აკაკი და ვაჟა, ფილოლოგები და ისტორიკოსები.

პროვინციებში ენა იცვლებოდა ზეპირი მეტყველებით, ივსებოდა დიალექტური ფორმებით, რაც ასევე არღვევდა ნაციონალური ენის სტრუქტურას. აქ მინიმუმამდე იყო დასული რუსიციზმები და არმენიზმები, მაგრამ დიალექტური ფორმების სიმრავლე შლიდა ენის მთლიანობას, მას სძენდა ვულგარობას და მდაბიურობას.

საჭირო იყო ტფილისური ჰიბრიდის, არისტოკრატიული კონსერვატიზმისა და პროვინციული ვულგარობის დაძლევა, რაც შეძლეს ილია ჭავჭავაძემ და თერგდალეულებმა. მათ ხალხის მეტყველებაზე დააფუძნეს ენა, ძირითადად გაწმინდეს იგი დასახელებული სამი უკიდურესობისაგან (იხ. „ენობრივი რეფორმა“).

დემოკრატიული ინტელექტუალიზმის მიერ აღებული ენობრივი გეზი, მიუხედავად ცალკეული გადაცდომისა და უზუსტობისა, ძირითადად სწორი იყო და იგი მეტნაკლები კორექციებით მომდევნო თაობებმა ინდივიდუალურად გაიაზრეს და ენას მიანიჭეს უნივერსალიზმი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ახალი კულტურის მიღება, ახალი სულიერებით აღვსება.

აზიური მასები

ევროპულ ცოდნას, განათლებას, ენებს, მანერებს, ცხოვრების წესს, ჩაცმის სტილს ეუფლებოდა არისტოკრატიის ის ნაწილი, ვინც პეტერბურგში ცხოვრობდა ან ოფიცრები იყვნენ, ჰქონდათ ხშირი კონტაქტები რუს მმართველებთან.

თავადაზნაურობის მეტი წილი ძველებურად ცხოვრობდა. მათი წრიდან იყვნენ გამოსული გიორგი ერისთავის ანდუყაფარ დიდებულიძე და ილიას ლუარსაბ თათქარიძე.

მასებს მით უმეტეს არაფერი გაეგებოდათ ევროპული კულტურისა და ცხოვრების წესისა. ისინი აგრძელებდნენ იმ ტრადიციებს, რომელთა ფორმირება მოხდა წინა საუკუნეებში.

აქაც იყო რამდენიმე სუბკულტურა. მაგ., ტფილისური, დასავლურ-ქართული, ქართლურ-კახური, მთიულური, შემდეგში – აჭარულ-მაჰმადიანური.

ტფილისური გარემო უფრო იყო ირანიზებული, რადგან აქ მეტი წილი არაქართველები იყვნენ, პროვინციები - ნაკლებ.

მათ არც დანა-ჩანგალი ენახათ, არც თეფშები და ჭიქები.

გაგარინის ნახატებზე კარგად ჩანს მათი ფართხუნა, გრძლად დაშვებული, ქალთა ფართო, განიერი კაბები, ჩიხტიკოპი და ხაბარდა, კაცთა წუღა მესტები, პარაშუტის მსგავსი შარვლები, რაც შემდეგ გალიფედ იქცა.

მცხეთობის, ალავერდობის, ტფილისური ბაზრობების სურათები გადმოგვცემენ აზიურ ყოფას, უწესრიგობას.

ქვეყნის ევროპეიზებას დიდი დრო სჭირდებოდა – სკოლები, უნივერსიტეტები, პრესა, არქიტექტურა, ტრანსპორტი, მიმოსვლა, შესაბამისი ინვენტარი, ყოფითი საგნები, მუსიკა, ეკონომიკა, დემოკრატია...

დღესაც კი ევროსაბჭოს, ევროკავშირს, ნატოს საკმარისად არ მიაჩნია ქვეყნის მმართველობისა და მოსახლეობის ევროპეიზების პროცესი.

2. ტფილისური ჰიბრიდი

როგორც ვთქვით, ყველაზე მძიმე დემოგრაფიული ვითარება იყო ტფილისში. ეს იყო ისტორიული ტრადიცია, რომლის შეცვლა არ უცდიათ ქართველ მეფეებს, პირიქით – ზოგმა დაამძიმა კიდეც (მაგ., როსტომ ხანმა).

1646-1917 წლებში, ორსაუკუნენახევრის განმავლობაში ქალაქის თავი იყვნენ სომხები, ერთი ქართველი (დიმიტრი ყიფიანი) და ერთიც რუსი! ეს მაშინ, როცა ერევნის გუბერნიაში 70% აზერბაიჯანელი მაჰმადიანი ცხოვრობდა (ვ. შუბითიძე).

თუ ერეკლეს სიცოცხლის ბოლოს აქ ქართველობამ მიაღწია 30%-ს (7 000 სული 20 000-დან), შემდეგ იმატა რუსთა და სომეხთა რიცხვმა.

1910 წლისათვის ტფილისში ცხოვრობდა 125 000 სომეხი, 79 000 რუსი, 54 000 ქართველი ანუ ავტოხთონური მოსახლეობა შეადგენდა მხოლოდ 17,7 %-ს.

ასეთი დემოგრაფიული მდგომარეობის შედეგი იყო ჰიბრიდული კულტურაც.

აქ ქართულ კულტურას უჭირდა კონკურენციის გაწევა. ამიტომ XX საუკუნიდან ცენტრმა ქუთაისისკენ გადაინაცვლა, რომელიც ქართული ქალაქი იყო. მხოლოდ რევოლუციების შემდეგ შეიცვალა ტფილისის დემოგრაფიული სურათი და XX საუკუნის 60-იანი წლებისათვის, დასავლეთის რეგიონებიდან წამოსულთა ხარჯზე, შესაძლებელი გახდა წონასწორობის მიღწევა.

1917 წლიდან ტფილისს ქართველები განაგებენ.

იმპერიის საყრდენი კავკასიაში იყო ტფილისი, რომელსაც ადრეც კარგად იცნობდნენ რუსები. მაგრამ ამჯერად იგი ხდებოდა ადმინისტრაციული ცენტრი. აქ ისხდნენ მთავარმმართებლები და მეფის ნაცვლები. აქ დგებოდა ოსმალეთისა და ირანის დალაშქვრის სამხედრო გეგმები. იგი გახდა კულტურის ცენტრიც.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აზიურ ტფილისს უნდა მიეღო ევროპული იერი, როგორიც მოსწონდა იმპერიის მმართველობას, სამხედრო და სამოქალაქო არისტოკრატიას.

ციციანოვმა 1802 წელს კავკასიის სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი გეორგიევსკიდან ტფილისში გადმოიტანა.

ამის შემდეგ ძლიერდება ქალაქისაკენ ახალ-ახალი ნაკადების სწრაფვა - ძირითადად სომხებისა და რუსების.

სომხური ფაქტორი

რუსები სამხედროები და ადმინისტრატორები იყვნენ, სომხები – ხელოსნები, ვაჭრები და მრეწველები. მათ აქ მოიტანეს თავიანთი კულტურა, მოიყვანეს ჟურნალისტები, თეატრალები, აღზარდეს მასწავლებლები და მეცნიერები, მწერლები და მომღერლები.

XVII-XIX საუკუნეებში აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მხატვრები ოვნათანიანები, მთელი დინასტია, შემდეგ – ოვანეს თუმანიანი, გაბრიელ სუნდუკიანი, რაფი.

მეფის კარის მგოსანი იყო საიათნოვა.

ჰქონდათ ეკლესიები, სადაც გრიგორიანულად სწირავდნენ მათი მღვდლები და მღვდელმთავრები.

სომხები მოუძღოდნენ აღა-მაჰმად-ხანს (ყარაბახელი მელიქები მეჯლუმი და ჰაბოვი) და მტერს ტფილისის კარს უღებდნენ (არარატიანცი და ბებუთოვი).

სომეხი მღვდელმთავარი მიესალმა რუსის ჯარის შემოსვლას 1801 წელს ტფილისში და დალოცა დამპყრობლები.

სომხები იყვნენ – გენერალი ლაზარევი, ხან საქართველოს მმართველი, ხან – ჯარების უფროსი და იოსებ ბებუთაშვილი (ბებუთოვი) ერეკლეს მიშკარბაში (ბაზიერთუხუცესი) და ტფილისის მოურავი, რუსების ერთგული მოხელე, თვალსაჩინო ადმინისტრატორი...

სომხებს ტფილისი თავიანთ ქალაქად მიაჩნდათ, სადაც ჩამოყალიბდა ერევნულისაგან მკვეთრად განსხვავებული მეტყველება.

ქართლ-კახეთის მოხარკენი იყვნენ ერევნის, განჯის, ნახჭევანის, ყარაბახის სახანოები. თავად ერეკლე ტოლერანტულად იყო განწყობილი სომხებისა და თათრებისადმი.

ასეთი ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობის გამო აშუღებმაც გაამითეს ქართველი მეფე. თუმცა მისი შვილები და შვილიშვილები აღარ ცხოვრობდნენ ტფილისში.

მმართველობა, სწავლა-განათლება, ეკლესია, ბალ-მასკარადები, ჯარი რუსული იყო. სომხები სარგებლობდნენ ამ ფაქტორით, რათა ქართული ჩაენაცვლებინათ, მართლმადიდებლები ექციათ გრიგორიანელებად, რაც ეროვნების შეცვლის საფუძველი ხდებოდა.

ერეკლეს შემდეგ, რუსული მმართველობის პირობებში, კიდევ უფრო გააქტიურდნენ, რადგან რუსები კავკასიაში საყრდენ ერად სომხებს მიიჩნევდნენ. ასე გაგრძელდა 80-იან წლებამდე, როცა რუსებმა შეიძულეს სომხები.

ტფილისში სომხებს ჰქონდათ თეატრი, სტამბა, გაზეთები (მაგ., გრ. არწრუნის „მშაკი“). სცემდნენ წიგნებს. ასეთი ლოიალობის შედეგია ის, რომ დღეს სომხები გვედავებიან ათეულობით ეკლესია-მონასტერს, რაც, როგორც ცხადყო ბონდო არველაძემ, სრულიად უსაფუძვლოა.

ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“ იბეჭდებოდა სომხების სტამბაში.

მრეწველ-ბიზნესმენები ხსნიდნენ ფაბრიკებს (მაგ., ადელხანოვი, ბოზარჯიანცი), მონაწილეობდნენ ბაქოს ნავთობის კომერციაში, ახალი სახლების აშენებაში (მაგ., აზარიანცი), საავადმყოფოთა მშენებლობაში (მაგ., არამიანცი), ცდილობდნენ ქალაქის კეთილმოწყობას, ყიდულობდნენ მიწებს.

მაგ., გენერალმა როსტომ მადათოვმა ორბელიანებისაგან შეიძინა მტკვრის ორ ტოტს შორის მოქცეული ნაკვეთი, ე. წ. კუნძული.

უდიდესი ნავთობ-მრეწველი იყო ალექსანდრე მანთაშოვი. 1914 წლისთვის მისი სააქციო კაპიტალი შეადგენდა 30 მლნ მანეთს (შდრ – დავით სარაჯიშვილის ქონება იყო სამი მლნ მანეთი).

ასეთი დრამატული სიტუაციიდან ქართველობა გამოიყვანა რევოლუციამ და დასავლეთ საქართველოდან წამოსულმა მასებმა.

აშუღური ჰანგები

ტფილისს უამრავი აშუღი ჰყავდა. ისინი ჰგავდნენ მინეზინგერებსა და ტრუბადურებს, მღეროდნენ სამ ენაზე – ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად.

მათ ასახელებს იოსებ გრიშაშვილი:

„სტეფანოსი, დოსტია, საიათნოვა, ყალოანთ ბაღდასარა, თუჯარ, შამჩიმელქო, ლეონ, თურინჯ, ოქსუზ-ოღლან, ქეშიშნოვა, გურჯი-ოღლი, ქობაჩი, ჯაჰილ-ოღლან, ნურალი, ნარინჯ-ოღლან, ქიჩიკნოვა, იალღუზ, ჭონ-ოღლან, არუთინ-ბეგუმ, ალაჰვერდა, ლაზათ-ოღლან, მისკინ-ბურჯი, იაღუფ-ოღლი, არაზლუ-სარქის, ადამ-აზმარ, გურჯინავე, ნარგიზ, ქობაჩი-ოღლან, ბანგი, შირინ,

ნირან, ალვან ოღლან, სეიათ, ყაზაზ-ოღლან, დალაქმურადა, იოვანე, ოჰანეზა, ქიან ქინ, აკოფა და ქიმია“ („საიათნოვა“).

როგორც სახელებიდან ჩანს, ერთი-ორი თუ იქნება ქართველი.

აშუღებმა არისტოკრატიულ და ელიტარულ კულტურას დაუპირისპირეს მარტივი, ვულგარული და მღვრიე მასკულტურა.

წერა-კითხვა თითქმის არ იცოდნენ. ზეპირად და ექსპრომტად თხზავდნენ სიტუაციის შესაფერ ლექსებს ანუ რუსთველის სიტყვით რომ ვთქვათ, ეს იყო „მესამე“ რანგის პოეზია.

ზოგი აშუღი მხოლოდ თხზავდა:

„ბეზარა, ქეშიშ-ოღლი, იოლჩი-ოღლან, სეირანა, შიო მეჭიანურე, მელიქა, წყალობა, ყარიბი, ბუდაღი-ოღლანი, ოღლანი, სტეფანე ფერშანგოვი, ნუშვასა დალუა, ჩახმახ-ასლანა, სტეფანე მკერვალი, ნაჩარ-ოღლანი, ჩაქუჩ-ოღლანი, გიგუა კამბეჩუაშვილი, იესაღოვი, ხოილია სარქისა, ქეშიშ დარდიმანდი, გოგჩაგ-ოღლან და იავა იუსუფა“ („საიათნოვა“).

აშუღთა საკრავი იყო საზანდარი, ზურნა, ქამანჩა, დაირა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ყურადღება მიუქცევია ორ აშუღს – სათარასა და ჯაფარას, გრიგოლ ორბელიანისა – ლოპიანას და მირზაჯანას.

როცა წიგნებისა და წიგნაკების ბეჭდვა გაიოლდა, აშუღებმა სტამბას მიმართეს და ქაღალდზე გადაიტანეს თავიანთი სტრიქონები – „სირანუშას ხმა სამარიდან“, „ალავერდი! იახშიოლდი“, „ითამაშე, თამარა“, „ქალაქის ახალი ბოინი“...

ისინი ავსებდნენ წიგნის ბაზარს - მათ ერთვოდა ის სპარსული თარგმანები, რომლებზეც ვწერდით მესამე წიგნში (მაგ., „შვიდვეზირიანი“, „როსტომიანი“, „ბეჟანიანი“, „ჩარდავრიშიანი“, „ყარამანიანი“).

ნამდვილი ლიტერატურა იძირებოდა ამ ქაოსში და მხოლოდ პრესა და სკოლა უკაფავდა გზას.

აშუღებს სხვადასხვა ხელობა ჰქონდათ – იყვნენ ჭონები, ნალბანდები, დალაქები, მესანთლენი, ბაზაზები, მღებავები, დუქანდარები...

ეს „შავი ხალხი“ ქმნიდა ტფილისის მასობრივ კულტურას, რომლის „არისტოკრატიულ“ ნაწილს ყარაჩოღელები შეადგენდნენ, ხოლო დეგრადირებულს – კინტოები, თავიანთი სექსუალური აღრევით.

ზოგი აშუღი ლექსს წერდა რამდენიმე ენის კომბინირებით. ასეთივე ჰიბრიდული იყო მათი მეტყველება, რწმენა და ეროვნული წარმომავლობა, ერთგვარი ლუმპენ-ინტერნაციონალური.

ლიტერატურას მოეძალა კომიკურად დახატული სომეხი პერსონაჟები – გ. ერისთავის მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი, კარაპეტა დაბაღოვი, ჯიმშერ აკუნიანცი, ივანე და გაბრიელ მინასოვები, ზ. ანტონოვის გეურქ კარაპეტოვი, ბარბარე თულუხჩოვი, ლ. არდაზიანის სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, ილია ჭავჭავაძის სუტ-კნეინა, ავქსენტი ცაგარელის ხანუმა, ავეტიქა, აკოფა...

ტფილისის ჰიბრიდული მასკულტურა ჩინებულად აქვს აღწერილი იოსებ გრიშაშვილს „საიათნოვასა“ და „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“.

აზიურ-ევროპული კონტრასტები

თავდაპირველად რუსები ციმბირის მსგავსად აქ დასასჯელად ასახლებდნენ არასაიმედო პირებს. მაგ., დეკაბრისტებს. უცხო კავკასია დასჯის მსუბუქი ფორმა იყო.

მაგრამ ძლიერდებოდა რუსული ფაქტორი და ქალაქი ფერს იცვლიდა. აქ ცხოვრობდნენ აზერბაიჯანელი მწერლებიც (მაგ., ვაგიფი, მირზა ფატალი ახუნდოვი).

ტფილისი ერთდროულად გახდა ოთხი კულტურის ცენტრი - ქართულის, რუსულის, სომხურისა და აზერბაიჯანულის. ხოლო მათი შერევით ჩამოყალიბდა სპეციფიკური წეს-ჩვეულებანი (მაგ., ყეენობა, ტივებზე ქეიფი და ქორწილი, ყარაჩოღელთა ეტიკეტი, კრივი და ამქრობა, აბანოთი გართობა, ყარაგიოზას თეატრი).

ცნობილი ქართველი მრეწველები და ქველმოქმედები იყვნენ: ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი (კონიაკის მწარმოებელი), აკაკი ხოშტარია (გარდაიცვალა ემიგრაციაში).

როგორც ქალაქებია ზღვის გამო მიმზიდველი, ისე იყო ტფილისისთვის გოგირდის ცხელი აბანოები.

აბანოებით იყო ტფილისი აღმოსავლეთში ცნობილი და ჩრდილოეთის ბინადარ რუსებსაც დიდად მოსწონდათ ცხელი წყალი (მაგ., პუშკინს).

ქართული არისტოკრატია ლექსებით, თარგმანებით, სალონებით (სადაც მსჯელობდნენ კულტურაზე, კითხულობდნენ ლექსებს, წარმოადგენდნენ სპექტაკლებს) ინარჩუნებდა და აგრძელებდა კლასიცისტურ ტენდენციებს (მაგ., ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი რასინი, კორნელი, ვოლტერი).

ხელისუფლება მართავდა პეტერბურგის მსგავს ბრწყინვალე წვეულებებს, ბალ-მასკარადებს, სადაც იწვევდნენ ქართველებსაც.

დიმიტრი ყიფიანი იგონებს, ცუდ ამინდში ტალახიან გზაზე ქალებს რომ კაბა არ დასვროდათ, ჯანიანი მუშები ზურგზე ისვამდნენ ლამაზმანებს და ასე მიჰყავდათ მთავარმართებლის სასახლეში!

პეტერბურგში ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო.

ტფილისს 30-იან წლებშიც კი გრუნტის ქუჩები ჰქონდა – წვიმაში ტალახი დგებოდა, ზაფხულში – მტვერი.

ქალაქში არ იდგა ფარნები და მთვარის შუქის იმედით რჩებოდნენ. სასმელ წყალს მტკვრიდან ეზიდებოდნენ მეთულუხჩეები.

მცირე იყო კარეტებისა და დროშკების რიცხვი (ი. გრიშაშვილი). ვიწრო ქუჩებში ირეოდნენ ჭრელა-ჭრელად ჩაცმული, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ვაჭარ-ხელოსნები, ფრინველი და პირუტყვი, ურმები და დროშკები, ცხენოსანი მამაკაცები და ჩადრიანი ქალები.

გართობა იყო მასისათვის ბაზარი, დუქანი, კრივი, ეკლესია და აბანო, მაღალი წრისათვის – სალონი და წვეულება (მაგ., ალ. ჭავჭავაძისა და მანანა ორბელიანის სალონები), ეტლით მგზავრობა, ყაბახი და ცხენით ჯირითი.

ასეთ ფონზე კიდევ უფრო ბრწყინავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ევროპეიზებული ოჯახი, სადაც თამაშობდნენ ბილიარდს, უკრავდნენ ფორტეპიანოს, ცეკვავდნენ ვალსს, მღეროდნენ რომანსებს და დღეში ოც კაცზე მაინც იშლებოდა სუფრა.

არისტოკრატია ასე ცხოვრობდა, ხოლო მასები – სიბნელესა, სიყრუესა და სიღატაკეში. მათ აერთიანებდა და სახელმწიფოდ კრავდა იმპერიული დესპოტიზმი, ჯარი და პოლიცია, ტერიტორიული სწრაფვა.

ტფილისში ერთმანეთს ეჯახებოდა აზია და ევროპა, წარსული და მომავალი. მასა აზიას ირჩევდა, არისტოკრატია ევროპისკენ მიიწევდა (შდრ – იოსებ გრიშაშვილი: „მე ევროპამ სახლში არ შემიწვია, რადგან მწვადი ტფილისს მეც შემიწვია“).

ქალაქი არქიტექტურულადაც ევროპულ სახეს იღებდა.

მაგრამ სწორედ დენაციონალიზებული და არმენიზებული ფენები იქცა ასახვის საგნად და შთაგონების ობიექტად, ზოგისთვის მეტად, ზოგისთვის ნაკლებად – ლიტერატურაში (გ. ერისთავი, ლ. არდაზიანი, ზ. ანტონოვი, გრ. ორბელიანი, ალ. ცაგარელი, აკ. წერეთელი, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, დ. შენგელია), მხატვრობაში (ფიროსმანი, ლ. გუდიაშვილი), კინემატოგრაფიაში (მ. ჭიაურელი, ვ. ტაბლიაშვილი), მუსიკასა თუ თეატრალურ ხელოვ-

ნებაში (მაგ., „ძველი ვოდევილები“ მარჯანიშვილის თეატრში, „ხანუმა“ რუსთაველის თეატრში, ოპერაში „ქეთო და კოტე“).

ტფილისურ მასკულტურაში ჩაიძირა ძველქართული ტრადიციები, ქრისტიანული ასკეტიზმი თუ ბაგრატიონების ჰეროიკა.

ფსკერის რომანტიკა

საბჭოთა პერიოდში ხელისუფლება ხელს უწყობდა ტფილისური ჰიბრიდის რომანტიზებას, რადგან ეს იყო მასკულტურა, შექმნილი სხვადასხვა ერის შვილების მიერ, რაც ხალხთა მეგობრობის კეთილ მაგალითად მიიჩნეოდა, რომ თითქოს ძველად ქალაქში არც იცოდნენ, ვინ იყო სომეხი, ვინ – ქართველი!

დაბალი ფენები – მუშა, გლეხი, ხელოსანი, ვაჭარი, მაწანწალა სიღარიბესა და სიღატაკეში ცხოვრობდნენ, არც ქონება ჰქონდათ, არც განათლება.

მათ არც წარსული გააჩნდათ, არც მომავალი, დღევანდელობით ერთობოდნენ. დასამარხად კი ჰყოფნიდათ თავიანთი ლოგინი, რომლისგანაც კუბოს გააკეთებდნენ და ვერცხლის ქამარი, რომელსაც გაჰყიდდნენ და ხარჯები დაიფარებოდა.

მუშათა კლასისა და ლუმპენპროლეტარების მასიდან გამოსულ ცალკეულ პირებს უკეთებდნენ რეკლამას, იქნებოდა საიათნოვა, ფიროსმანი თუ იეთიმ გურჯი, რომ თითქოს ხელოვანი უეჭველად უნდა ყოფილიყო ღატაკი და უსახლკარო, მიუსაფარი და მივიწყებული, ლოთი და მაწანწალა, სნეული და დევნილი (შდრ. – „ფერწერა“).

ეს დაახლოებით ჰგავს ე. წ. „კანონიერი ქურდის“ ბოლშევიკურ გაგებას.

გრ. რობაქიძე უარყოფითად ახასიათებდა ტფილისურ რასობრივ აღრევას. კ. გამსახურდია წერდა, ასეთ საქართველოში სახრ-

ჩობელა სანატრელი გაგვიხდებაო. ხოლო ისინიც კი, რომელთაც ხიბლავდათ მდაბიური ბოჰემა და რომანტიკა, მაინც არჩევდნენ ძველქართულ ენას, ისტორიულ გმირებს, ქრისტესათვის წამებულებს, ქვეყნისათვის თავგანწირულ მეფეებს, როგორც გრიგოლ ორბელიანი (შდრ – „ოცნების, მგოსნების ქალაქი“).

ქართველი მოდერნისტები, განსხვავებით ბოლშევიკებისაგან, ტფილისურ ჰიბრიდში პოულობდნენ ევროპული დაცემისა და დეკადანსის ორეულს, სიმახინჯის ესთეტიკას, რომლის ინტელექტუალიზება შეიძლებოდა, ზოგს მოსწონდა კიდეც (მაგ., კ. ნადირაძეს).

კულტშემოქმედი არისტოკრატი

არისტოკრატიის მცირე ნაწილს აინტერესებდა სააზროვნო სიახლეები, კულტურის მიღწევები, ლიტერატურა და ხელოვნება, მეცნიერების პროგრესი, მით უმეტეს, რომ მოდიოდა ქრისტიანული სამყაროდან.

ქვეყანას წარმართავდა იმპერატორი, სახელმწიფო საბჭო, სენატი, მინისტრები, გენერალიტეტი, გენერალ-გუბერნატორები. მაგრამ სულიერება წინ მიჰყავდათ, იმპერიის ბრწყინვალებას ქმნიდნენ ისინი, რომლებიც ჩრდილში იდგნენ (მაგ., რუსეთში კლასიცისტები, სენტიმენტალისტები, რომანტიკოსები).

ბატონყმობის გაუქმებამდე გვაროვნულ არისტოკრატიას ჰქონდა მატერიალური ბაზისი კულტურისათვის. შემდეგ კი ასპარეზზე გამოდიან დაბალი ფენები. ისინი ამარცხებენ არისტოკრატიას და შრომით, ცოდნით, პროფესიონალიზმით იკავებენ ადგილს კულტურის სფეროში.

გენერლები და თავადები იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი.

ბატონიშვილები, დადიანები, გურიელები, შარვაშიძეები, დადეშქელიანები ისედაც იყვნენ მატერიალურად უზრუნველყოფილი.

თავადები იყვნენ და მამულები ჰქონდათ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელს, გიორგი ერისთავს.

თავადი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, თუმცა საკმაოდ ღარიბი (მამამისს ჰყოლია 100 სული ყმა).

მათ გვაროვნულ ქონებასა და შემოსავალს ემატებოდა სახელმწიფო თუ კერძო სამსახურიდან ხელფასი.

არისტოკრატიას, თავადაზნაურობას ჰქონდა მიწები და ჰყავდა ყმები, რაც მიიღო მემკვიდრეობით და გადაეცემოდა შთამომავლობას.

რუსეთის იმპერიამ ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატით აღიარა ქართველთა წოდებები, რაც პროცენტულად გაცილებით სჭარბობდა რუსებისას (დარჩა მიმართვა და პრედიკატი - „თავადი“ და „князь“).

კულტურის შემქმნელი და გამავრცელებელი უძველესი დროიდან ძირითადად იყო არისტოკრატია, რომელსაც მატერიალურად უზრუნველყოფილი ჰქონდა ცხოვრება, ჰქონდა თავისუფალი დრო და შეეძლო ეფიქრა კულტურასა და კულტურის პრობლემებზე.

ასევე იყვნენ სამღვდელონი, რომელნიც მეტწილად მაღალი წრიდან მოდიოდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდალი და ილია ჭავჭავაძის საგურამო, დღემდე რომ შემორჩა.

თავადაზნაურობის დიდი ნაწილი უწიგნური იყო. მათი ქონება დრომ გააქრო და ბრწყინვალე ცხოვრება დავიწყებას მისცა.

ჯერ ჰონორარი არ არსებობდა. სხვა მდგომარეობა იყო რუსეთში. მაგ., პუშკინს სტრიქონში უხდიდნენ 5-10 მანეთს. ტრაგე-

დია „ბორის გოდუნოვი“ პოეტმა გამომცემელს მიჰყიდა 10 000 მანეთად (ს. დანელია).

შდრ – ერთი ჰექტარი მიწა ღირდა 20 მანეთი.

60-იანი წლებიდან სამხედრო კარიერას ჩრდილავს საუნივერსიტეტო განათლება, რაც შეეძლოთ მიეღოთ გლეხის შვილებსაც, ფართო მასას და თავად ეშოვათ ქონება. შესაბამისად – არისტოკრატს ენაცვლება ინტელიგენტი.

ეს იყო ახალი კონტრკულტურა.

II. რომანტიკა და დეჰეროიზება: სევდიდან კომიზმისაკენ

1. დიფუზიის პერიოდი

პოლიტიკური კურსი და თვალთახედვა

ქართული ემიგრაცია, რომელიც ერეკლე I-ის დროიდან სულ უფრო ივსებოდა და ძლიერდებოდა, დასცილდა ორიენტალურ ტრადიციებს, აითვისა რუსული კულტურა და თვალი მიაპყრო ევროპას.

ემიგრანტები რუსეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ 1801 წლიდან ისინი უკვე იქცნენ ცოცხალ ტრადიციად, ხოლო ბატონიშვილთა საქართველოდან გასახლება აძლიერებდა ემიგრაციას და ასუსტებდა ქართულ კულტურას. მაგრამ პეტერბურგი და მოსკოვი იმპერიის ცენტრები იყო, ხოლო ქართველობა – იმპერიის ნაწილი.

ამიტომ ემიგრანტის ცნება გაქრა – ყველას იმპერიის თაღი იფარავდა. 1801 წლიდან ყველანი ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ.

ცხელი ისპაჰანის სანაცვლოდ ახლა ცივ და ნესტიან პეტერბურგში ისხდნენ ქართველები და არ აძინებდათ თეთრი ღამეები („გარეთ მკლავს ყინვა და შინ „უგარი“– გრ. ორბელიანი).

გაოცებული იყვნენ დაბინდული დღეებით, გაუთენარი წყვდიადით („მოსკოს ქალაქს მზეს ველოდით“ – დ. გურამიშვილი; „გადმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა“ – გრ. ორბელიანი. შდრ. – გრ. აბაშიძე – „გადმომეხურა გაბრწყინებული ცა ჩრდილოეთის“).

1795 წლის შემდეგ ირანთან გაწყდა კონტაქტი. ამას დაერთო რუსეთის ომი სპარსელებთან, თავად ირანის პოლიტიკურ-კულტურული დაქვეითება და ქართველობას აღარ აინტერესებდა აღმოსავლეთი. მხოლოდ სტიქიურად თავს იჩენდა ძველი ნაკადები, ძველი ლექსიკა, სალექსო ფორმები და მოტივები, ისტორიული რეალიები.

ქართული არისტოკრატია ხედავდა ზამთრის სასახლისა და კრემლის, ისააკის ტაძრისა და პეტერგოფის ბრწყინვალებას, ელიტის წესრიგს, სამხედრო წარმატებას.

თვალს სჭრიდა სამხედრო ფორმა, ბუზმენტები და ლამპასები, ფერადი მაუდი, ოქროსფერი ქამრები და ეპოლეტები, პრიალა ჩექმები, ორდენების კანკელი, დარახტული ცხენები და ეტლები, ბალმასკარადებზე სამოსელისა და სამკაულების ელვარება, მკაცრი ეტიკეტი.

სმენას ატკბობდა დასავლური მუსიკის ჰანგები, თვალს იტაცებდა და სისხლს აჩქროლებდა გრაციოზული მოძრაობა, ცეკვის რიტმი, თეთრი და ცისფერთვალა ქალების მზერა.

ელიტა თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა და თითქმის იზოლირებული იყო მასისაგან. ეს უფრო აშკარა იყო რუსეთში, ვიდრე საქართველოში, სადაც მსგავსი დისტანცია სიტუაციისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ იქნებოდა.

ქართული არისტოკრატიისათვის მომხიბვლელი იყო მდიდრული ცხოვრება, რომლისკენაც გზა ხსნილი ჰქონდა თუ სამხედრო კარიერას გაჰყვებოდა და სისხლით დაიცავდა იმპერიას.

სამოქალაქო კარიერა კი გაცილებით შეზღუდული ჩანდა.

ფრანგული და გერმანული ენები, ვენა და პარიზი, ევროპული ცხოვრების წესი სანიმუშო იყო რუსული სამხედრო და სამოქალაქო არისტოკრატიისათვის. ქართველობაც ამ ტალღამ გაიტაცა, რა-

საც სოლომონ ლიონიძე უხატავდა თავის მეუღლეს, სოფიოს ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“.

ეკლექტიკური ნაკადი

კლასიციზმი ელიტის კულტურა იყო, მაგრამ იგი კომედიის სახით ადგილს ტოვებდა დემოკრატიული, მდაბიური, ყოველდღიური ცხოვრებისა და სტილისათვის.

ამ მდაბიური ნაკადის გაძლიერება სენტიმენტალიზმად იქცა, რომელიც გრძნობების სიჭარბით გამოირჩეოდა.

არისტოკრატიული მკაცრი სტილი, სიცივე, განყენებული თემატიკა შეცვალა უშუალო და გულწრფელმა ემოციებმა. მათ დაშალეს და დაარღვიეს კლასიციზმის სამი სტილი, ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობის პრინციპი, დაარღვიეს თავისუფლების სახელით.

შემდეგ სენტიმენტალიზმის აზრით შევსება, იდეალების – რეტიზება ახალი ელიტარიზმის გზით წავიდა, რაც იყო რომანტიზმი.

რომანტიზმმა თავისი ესთეტიკა ჩამოაყალიბა და მთელს ევროპაში გავრცელდა.

განსაკუთრებული პოპულარობა რომანტიზმს შესძინა ჯორჯ ბაირონმა, მისმა პოეზიამ და ბუნტარულმა, სიცოცხლითა და ვნებით სავსე მშფოთვარე ცხოვრებამ.

ერთხანს ბაირონიზმი რომანტიზმის სინონიმად მიიჩნეოდა.

ევროპის ახალი სააზროვნო და კულტურული ნაკადები სწრაფად აღწევდა პეტერბურგამდე. ამ სიგნალებს ღებულობდნენ იქ მცხოვრები თუ ტფილისში მყოფი მესიტყვენი.

თავისუფლების იდეალებს, ათეისტურ ეთიკას ადრევე ამკვიდრებდა ფრანგი ვოლტერი, რომელთანაც მიმოწერა ჰქონდა იმპერატორ ეკატერინე მეორეს.

შემდეგ საფრანგეთის რევოლუციამ შეარყია მონარქების ტახტები – თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა აიტაცეს ჩაგრულმა მასებმა. ამ იდეალებიდან იყო ამოსული ნაპოლეონი, რომელიც დაუპირისპირდა კონსერვატიულ ევროპას.

რევოლუციის ამოწვდილ მახვილს კულტურის ნაპერწკლებიც ცვიოდა და მათი ნათება ყველგან ცეცხლს ანთებდა.

ადრე თუ ქართველები და გადიდკაცებული მამელუკები ხშირად მბრძანებლობდნენ ისპაჰანში, სტამბოლში, კაიროში, ბაღდადში, ტუნისში, ალჟირში, ინდოეთში, ახლა ქრება მათი კვალი აღმოსავლეთში და გრძელდება ლტოლვა ჩრდილოეთისაკენ, ძალაუფლებისა და პოლიტიკური კარიერისაკენ სამყაროს გარდაქმნის სოციალისტურ-კომუნისტური იდეებით (ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე, ლავრენტი ბერია, ედუარდ შევარდნაძე...), რაც მოიცავს XX საუკუნეს.

ჯერ პოლიტიკის ჟამი არ დამდგარა.

ჯერ ქართველები ადგენენ ანთოლოგიებს, კრებულებს, ქრესტომათიებს, თავს უყრიან ბაროკანულ, სენტიმენტალურ, კლასიცისტურ თხზულებებს, ბატონიშვილები, ორბელიანები, ბარათაშვილები, ქობულაშვილები, თუმანიშვილები, ალექსი მესხიშვილები ჩართული არიან სამწერლო პროცესში (ალ. კალანდაძე).

ისინი იზიარებენ ახალ ევროპულ სენტენციებს, მაგრამ აკლიათ ფორმის გრძნობა, შემოქმედებითი ძალა. ამიტომ საინტერესონი არიან საერთო კულტურული ფონის, ახალი ორიენტირის წარმოსადგენად და არა როგორც ინდივიდუალური მოვლენა (იხ. ირ. კენჭოშვილის მიერ შედგენილი ანთოლოგია).

ამ პერიოდში ყველაზე უფრო შთამბეჭდავია იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, იგივე „ხუმარსწავლა“, ენციკლოპედიური ნაშრომი.

10-20-იანი წლების ქართული კულტურა კრიზისულ ფაზაშია – ირღვევა ძველი ტრადიციები და მიმართებანი, მაგრამ ახალი ვერ მკვიდრდება. ამ ქაოსურ სიტუაციას „გარდამავალ პერიოდად“ ნათლავენ, მაგრამ ძლიერდება ევროპეისტული ტენდენციები, რუსიცისტული პათოსი.

ცივილიზაციურ ჩამორჩენას ფარავს ჩინოვნიკების ძალისხმევა, რომ ქვეყანა გარდაიქმნას – ძალადობით, ქრისტეს სახელით, აღმშენებლობით, განათლებით.

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ბათუმის და ართვინის ოკრუგები იმპერიის ნაწილი იყო და ხელისუფლება ავრცელებდა თავის ზრუნვას – ხელს უწყობდა აღმშენებლობას, ხელს არ უშლიდა ქართულ წიგნს, პრესას, თეატრს, საზოგადოებას, სათავადაზნაურო ბანკს, გაჰყავდა გზები, რკინიგზა, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი, პორტებს აშენებდა ბათუმსა და ფოთში.

კულტურის მუშაკები სარგებლობდნენ პოლიტიკური სიტუაციით და ცენზურის ნორმების გათვალისწინებით გამოთქვამდნენ თავიანთ სათქმელს, საწუხარსა და ნაფიქრალს.

წერა-კითხვის მასობრივი უცოდინარობის პირობებში ისევ სამღვდელოებას და თავად-აზნაურობას უნდა შეენარჩუნებინა ტრადიციები, რომელთაც უხდებოდათ რუსიციზმის მოგერიება.

ქართველებს უნდოდათ რუსული კულტურა და ცივილიზაცია, მაგრამ მმართველობა – არა. რუსებს ხიბლავდათ მთები, მდინარეები, აბანოები, მაგრამ ქართველი ხალხი – არა. ისინი ღებულობდნენ თითო-ოროლას, რომელთაც შეძლეს რუსული ენის, ეტიკეტის, მმართველობის წესის ათვისება (მაგ., ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი); ან – გარუსდნენ (მეტწილად – გენერლე-

ბი), მაგ., ალექსანდრე სოლომონის ძე რაზმაძე – მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, რუსული მუსიკის ისტორიის ავტორი, მოპასანის მთარგმნელი (ნ. ალანია).

ქართულ ევროპეიზმს მტკიცე საფუძველს უქმნიდა ანტონ I, როგორც თეოლოგი, განმანათლებელი და მთარგმნელი – „მოვიცალე ყოველთა კეთილთაგან და ვერ მოვიცალე საქართველოს სამსახურისაგან“ (ალ. კალანდაძე მას ლომონოსოვს ადარებს). იგი აბსოლუტურ მონარქიას შესაბამის კულტურას უქმნიდა, რომელსაც სხვადასხვა მიმართულებით ავრცობდნენ და ახალი ინფორმაციებით, ახალი ფაქტებითა და სახელებით ავსებდნენ, როგორც პეტერბურგის, ისე ტფილისის ქართველი მოღვაწენი.

30-იან წლებამდე ქართველი მწერლები ვერ ახერხებენ ახალი ევროპული ესთეტიკის ათვისებას. ამიტომ უფრო ეფექტური ჩანს თარგმნა (მაგ., დავით ბატონიშვილის მიერ თარგმნილი ფრანგი ანსილიონის „ესთეტიკა“).

მასა ხედავდა და გრძნობდა რუსულ მმართველობას, რუსული კანონების მოქმედებას, მათ სიმკაცრესა და უცხოობას, ხედავდა ცხოვრების წესისა და გარემოს ცვალებადობას, გარეგნულ განსხვავებას, რაც თანდათან აცილებდა ადამიანებს აღმოსავლური ტრადიციებისაგან.

მასას არც ვოლტერი გაეგონა, არც ბაირონი ან პუშკინი და ისევ „ყარამანიანი“ და „როსტომიანი“ ხიბლავდა.

არისტოკრატია სანიმუშოდ მიიჩნევდა რუსულ კულტურას, რუს მწერლებს, რუსეთის არქიტექტურას, რომელთა სათავე იყო ევროპა (მაგ., ევროპაში სწავლობდნენ და ცხოვრობდნენ რადიშჩევი, კარამზინი, ჟუკოვსკი). ჰქონდათ კონტაქტები და მეგობრული ურთიერთობა რუს მოხელეებთან, გენერლებთან (მაგ., ალ. ჭავჭავაძის სიძე იყო ალექსანდრე გრიბოედოვი, რუსეთის ელჩი თეირანში, ავტორი კლასიცისტური პიესისა „ვაი ჭკუისაგან“), მთავარ-

მართებლებთან (მაგ., ერმოლოვთან და პასკევიჩთან), მონაწილეობდნენ რუსულ ბალ-მასკარადებში, რუსებს იწვევდნენ ქართველი თავადების სალონებსა და მამულებში (მაგ., ალ. ჭავჭავაძის წინანდალში).

ალექსანდრე I-ის საყვარელი იყო ბარბარე თურქესტანიშვილი (საყოველთაოდ ცნობილია მისი პორტრეტი), პეტრე ბაგრატიონისა – იმპერატორის და, მორგანტული ქორწინება ჰქონდა გიორგი შარვაშიძეს ქვრივ დედოფალთან...

გენერალ რომან ბაგრატიონის (პ. ბაგრატიონის ძმა) სალონში დაიდგა კომედია „ვაი ჭკუისაგან“.

ქალთათვის იდეალი გახდა ახალგაზრდა ოფიცერი – მომავალი გენერალი, რომელსაც ამშვენებდა სამხედრო მუნდირი, იყო მარჯვე ცხენოსანი, ფლობდა იარაღს, ჰქონდა გალანტური მანერები და ჭრილობის ხაზი, როგორც სიმამაცის ნიშანი.

ამიტომ არისტოკრატი ქალები თხოვდებოდნენ რუსებზე.

მაგ., ალექსანდრე ჭავჭავაძის მესამე ქალიშვილი – სოფიო, რომელიც ადრე გარდაიცვალა, გაჰყვა ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის (შემდეგში რუსეთის განათლების მინისტრი). მისი დეიდაშვილი იყო გიორგი ჩიჩერინი, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი;

ბონაპარტებისა და მიურატების რძალი იყო ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილი სალომე დადიანი.

კავკასიის მეფისნაცვლის ფელდმარშლის ალექსანდრ ბარიატინსკის ცოლი იყო ლიზა ორბელიანი, ერეკლეს შვილთაშვილი (ბარიატინსკიმ დაატყვევა შამილი, შემდეგ ფელდმარშალს თავის სასახლეში ეკიდა იმამის პორტრეტი).

ანასტასია ორბელიანის მეუღლე იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრ გაგარინი, რომელიც მოკლა მურზაყან დადიშქელიანმა.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ქალიშვილი ბაბო შარვაშიძე ცოლად ჰყავდა სტოლიპინის დეიდაშვილს – ალექსანდრ მეიენდორფს, რუსეთის დუმის თავმჯდომარის მოადგილეს...

ეს ტენდენცია თითქმის გაქრა საბჭოთა პერიოდში, როცა რუსი მამაკაცი ირონიის საგანი გახდა, მაგრამ წამოიწია რუსი ქალის სილამაზე...

კავკასიისა და საქართველოს ეგზოტიკამ მოხიბლა რუსი მწერლები და ეს მხარე იქცა მათ შთაგონებად.

გავიხსენოთ ალ. პუშკინის „კავკასიის ტყვე“, „საქართველოს მთებზე“, ალ. გრიბოედოვის „ქართული ღამე“, „მგზავრის წერილები“, მ. ლერმონტოვის „მწირი“ და „დემონი“...

თეირანში გაშმაგებული ბრბო, თურქმენჩაის ზავით აღშფოთებული, შეიჭრა რუსეთის საელჩოში და მოკლა ახლად დანიშნული ელჩი გრიბოედოვი.

იგი დაკრძალეს ტფილისში, მთაწმინდაზე.

ოფიცერი ლერმონტოვი მოკლეს პიატიგორსკში, სადაც ჭილაშვილის სახლში ცხოვრობდა.

მისი მოსამსახურე ყოფილა 20 წლის გურული ქაიხოსრო სანიკიძე, ვის მუხლებზეც დალია სული პოეტმა (ი. გრიშაშვილი).

მანამდე დანტესთან დუელში დაიღუპა პუშკინი. ბესტუჟევ-მარლინსკი მოკლეს მთიელებმა ადლერთან ბრძოლაში. ციმბირში დალია სული დეკაბრისტმა კიუხელბეკერმა – პუშკინისა და გრიბოედოვის მეგობარმა. ასეთი ტრაგიკული ბედი ელოდათ მათ, რომელთაც კავკასია და საქართველო დაამკვიდრეს რუსულ პოეზიაში.

ვოლტერიანობა

ევროპეიზმი რუსეთში შემოდიოდა, როგორც განმანათლებლობა (ვოლტერი, დალამბერი, დიდრო, მონტესკიე, ჟან-ჟაკ რუ-

სო...), ისე, როგორც კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი და რომანტიზმი.

ვრცელდებოდა გერმანული ფილოსოფია, ლიტერატურა, მუსიკა, სხვადასხვა იდეოლოგიური თეორიები. მაგ., სოციალიზმის ვარიაციები, რომელთაგან ყველაზე პოპულარული გახდება მარქსიზმი.

ქართველები ეცნობოდნენ რუს კლასიცისტებს – ლომონოსოვს, სუმაროკოვს, ტრეტიაკოვსკის, კანტემირს, ფონვიზინს, დერჟავინს, თარგმნიდნენ რუს და ევროპელ ავტორებს.

აინტერესებდათ, როგორც კლასიცისტები და განმანათლებლები, ისე სენტიმენტალისტები და რომანტიკოსები.

ამ ეკლექტიკური ნაერთიდან 30-იან წლებში გამოიკვეთა რომანტიზმი, მაგრამ ჯერ ყურადღებას უფრო განმანათლებლები, მათი იდეები იზიდავდა, რაც სახელმწიფოებრიობას უკავშირდებოდა.

აქ მთავარი ისაა, რომ არსებობდა სიახლისადმი ინტერესი და მისი მიმღეობის უნარი, რათა შეცვლილიყო ვარდ-ბულბულის ესთეტიკა, სასიმღერო ჰანგები, სალექსო ფორმები თუ სამოსელი, ტფილისური ჟარგონი.

ვოლტერიანობა იგივე განმანათლებლობაა, ისევე როგორც ბაირონიზმი – რომანტიზმი, მისი ერთი ნაირსახეობა.

ვოლტერი იყო მათი ლიდერი, ვინც გონება გააფეტიშა, ცოდნას და განათლებას დაუმორჩილა რწმენა, ვინც ყველაზე მკვეთრად და ნათლად გამოხატა ის იდეები, რაც საფუძვლად ექცა საფრანგეთის დიდ რევოლუციას.

გონების პრიმატი ღმერთისათვის ადგილს არ სტოვებდა – „ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი“! ეს გრ. ორბელიანის სიტყვებია, „შვილთა“ კრედო.

ათეიზმს დაეფუძნა სოციალიზმის იდეალები, განსაკუთრებით – მარქსიზმი.

სოციალური წესრიგი, მეფე და იმპერატორი, კლასთა იერარქია, ბატონი, ყმა და მონა თითქოს ღმერთის მიერაა განსაზღვრული. მაგრამ თუ ღმერთი არ არსებობს, თუ ყველაფერი გონებას უნდა დაექვემდებაროს, მაშინ ასეთი ჰარმონია ყალბი ყოფილა.

ვოლტერიანული იდეები, ფრანგი ენციკლოპედისტების ნაშრომები იპყრობდა რუს მოაზროვნეთა გულისყურს.

ეს იყო კლასიციზმის ახალი ნაკადი. მის პოპულარობას ხელს უწყობდა ეკატერინე II, ვიდრე მოხდებოდა რევოლუცია საფრანგეთში (ლ.ასათიანი).

განმანათლებლურ იდეალებს ქართველებიც დიდი ინტერესით შეხვდნენ – იზიარებდნენ, თარგმნიდნენ, ბაძავდნენ (ალექსანდრე ამილახვარი, დავით ბატონიშვილი, დავით ციციშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, იესე გარსევანიშვილი...)

ვოლტერიანობა ქართველ მოაზროვნეთათვის, როგორც ევროპული იდეოლოგია, სცილდებოდა კლასიციზმს, ლიტერატურას, ცოდნის აპოლოგიას და გადადიოდა თავისუფლების იდეაში.

„კალმასობის“ ერთი პერსონაჟის სიტყვით, ვოლტერის მიმდევრობა ნიშნავს „ღვთის უსიყვარულობას და კაცთ დაუნდობლობას“.

ქართველებიც იმ თემებსა და პრობლემებზე იწყებდნენ ფიქრს, რასაც წინ მიჰყავდა პროგრესი, რაც აწვალებდა ევროპელ და რუს ინტელექტუალებს.

ფერნეის პატრიარქი უდიდეს მოაზროვნედ და შემოქმედად იყო მიჩნეული. დრომ ეს აზრი შეცვალა, მაგრამ აშკარაა, რომ ვოლტერმა დიდი სტიმული მისცა განათლების, აზროვნების ფორმების კონკრეტიზებას, სოციალურ მოძრაობას.

რუსულ-ევროპული გავლენა გამოჩნდა არა მხოლოდ იდეების სფეროში, იგი დაეტყო არქიტექტურას, მხატვრობას, ნაწილობრივ – ლიტერატურასაც. დაეტყო ლექსიკას, სინტაქსს, მორფოლოგიას.

ეს იყო დიფუზიის პერიოდი, რომლიდანაც გამოიყო ელიტარული რომანტიზმი და მასობრივი ტფილისური ჰიბრიდი.

რუსული ამპირი

1801 წლიდან ტრადიციული და სპარსული არქიტექტურაც იცვლება. შემოდის კლასიცისტური ანუ „რუსული ამპირის“ სტილი, რაც ყველაზე მეტად ტფილისში გამოჩნდა.

ამ სტილით აუგიათ მეფისნაცვლის სასახლე, სიონის ტაძრის სამრეკლო, სასულიერო სემინარიის შენობა, სამხედრო შტაბის შენობა (დღ. თავისუფლების მოედანზე). მისი მონუმენტალიზმი შეერწყა ქართულ ხუროთმოძღვრებას, სამხრეთის ბუნებასა და რელიეფს (შ. ამირანაშვილი).

თუ ისლამური სახლი კედლით გამოეყოფოდა ქუჩას, აქ აივანი და ფასადია ქუჩისკენ მიმართული.

როგორც შენიშნავენ, ძველქართული სახლები, იგულისხმება ელიტარული, ორ ან სამსართულიანი იყო, აღმოსავლეთში – ქვიტკირით ნაგები.

პირველ სართულს სამეურნეო ფუნქცია ჰქონდა. მეორე სართული პატრონებს ეკავათ. მას ჰქონდა თითქმის ყოველმხრივი, გრძელი, სვეტებზე დაყრდნობილი აივანი.

სვეტები მხატვრული კომპოზიციის ნაწილი იყო. მას მორისაგან ამუშავებდნენ, ამკობდნენ ჩუქურთმებით, უკეთებდნენ კვარცხლბეკს, წახნაგებსა და კუთხეებს. სვეტებს კამარებით აერთებდნენ. აივანი მოაჯირიანი იყო და გაჰყურებდა ქუჩას ან ეზოს.

XIX საუკუნიდან იზრდება შენობების სიმაღლე, მოცულობა, სართულები. მაგრამ რჩება მიწურები, სარდაფები, ერთსართულიანი და პატარა სახლები, ერთმანეთზე გადაბმული.

ქართველი გლეხის საცხოვრებელ სახლს ერქვა „დარბაზი“. მას აგებდნენ ფერდობზე და ზევიდან ნათდებოდა.

სახურავი ეყრდნობოდა კედლებსა და ბოძებს. იგი პირამიდული ფორმისა იყო.

ბოძებს თლიდნენ მუხის ან კაკლის ხისაგან.

კედლებს თიხით ლესავდნენ და უკეთებდნენ განჯინებს.

ასეთ სახლებს აშენებდნენ შეძლებული გლეხები ქართლსა და მესხეთში. მეგრელებსა და აფხაზებს ოდა მოსწონდათ, მაგრამ ვერც ფაცხებსა და ისლით დახურულ ქოხებს ელეოდნენ.

სვანები აგებდნენ 25 მეტრის სიმაღლის კოშკებს. მათგან განცალკევებით იდგა საცხოვრებელი სახლი, რომელიც კოშკს ხიდით უერთდებოდა.

ასევე კოშკებს აგებდნენ ხევსურები, დასავლეთ საქართველოში – ხის ოდა-სახლებს, ბოძებზე მდგარს, რამდენიმე ოთახიანს, რომელსაც ბუხარს უკეთებდნენ, დეკორატიულად გაფორმებულს.

რუსული ამპირი ქალაქებში გავრცელდა. მის დაგეგმარებას და აშენებას პროფესიონალი არქიტექტორი სჭირდებოდა, რომელთაც იწვევდნენ რუსი მოხელეები.

ასეთი არქიტექტურაც, ქალაქის დაგეგმარებაც ევროპიდან იღებდა სათავეს, კერძოდ – ნაპოლეონის პარიზიდან.

პორტრეტული ხელოვნება

როგორც გვახსოვს, ანჩისხატის ტაძართან ანტონ პირველმა დააარსა სასულიერო სემინარია.

მეორე სემინარია გაიხსნა თელავში.

ანჩისხატში ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, გალობას, ფერწერას, კალიგრაფიის ხელოვნებას, სადაც ფრესკის ტექნიკა შეიცვალა ზეთის საღებავებით, როგორც ეს მოხდა ევროპაში.

ზეთით წერა შემოიტანეს მისიონერებმა.

ასე მოიხატა ანჩისხატის ტაძარი, რომლის კედლებზე გამოსახეს ტრადიციული რთული კომპოზიციები.

უკვე დაიწყო რუსული კედლის მხატვრობის გავლენაც, მაგ., ბოდბეში, სადაც მეორდება ბიბლიური სიუჟეტები.

აქვე ჩნდება იმპერატორ ალექსანდრე I-ის პორტრეტი, საპარადო ფორმით, მთელი ტანით.

საერთოდ, ქართველ მხატვართა პორტრეტებს საზეიმო სახე აქვთ, ალბათ რუსულის გავლენით. აღსანიშნავია ქართველ მეფეთა პორტრეტები, ანტონ I-ის, დარეჯან დედოფლის, გარსევან ჭავჭავაძის, თეკლე ბატონიშვილის, იოანე ბოდბელის, ნინო ერისთავის, ნიკოლოზ მუხრან-ბატონის ოჯახის ფერწერული სურათები.

ალ. ჭავჭავაძემ გაათავისუფლა თავისი ყმა-გლეხი გიორგი მაისურაძე, რომელმაც რუსეთში მიიღო სამხატვრო განათლება – პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, კ.ბრიულოვის კლასში.

შემდეგ იგი ქუთაისში მოღვაწეობდა.

აღსანიშნავია, ოვნათანიანების – სომეხ მხატვართა დინასტიის ნამუშევრები. ისინიც ითვისებდნენ ევროპულ ტექნიკას.

მათაც მრავალი პორტრეტი შეუსრულებიათ.

შ. ამირანაშვილი მათგან გამოჰყოფს აკოფ ოვნათანიანის ხელოვნებას, მის სამხატვრო ოსტატობას.

ისევ ცოცხლობდა ლითონის დამუშავების ტექნიკა. მთავრობამ ოქრომჭედლობის დარგში წარმატებისათვის 1839 წელს მედლით დააჯილდოვა პეპუ მეუნარგია.

აღსანიშნავია მისი ჭედური ხატები.

ტფილისში საკმაო ხანს ცხოვრობდნენ რუსი მხატვრები – გ. გაგარინი, ი. სოკოლოვი, ვ. ვერეშჩაგინი, ი. რეპინი, მოქანდაკე ე. ლანსერე...

რუსულ-ევროპული გამოცდილება ერწყმოდა ადგილობრივ ტრადიციას, რომელიც თავისუფლდებოდა ირანული სტილიზებისა და ქრისტიანული ასკეტიზმისაგან.

ცივილიზაციურ-კულტურული დისბალანსი

ისტორიულად არსებობდა დისბალანსი ქართულ კულტურასა და ცივილიზაციას შორის. ცივილიზაციური ჩამორჩენა საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. პოლიტიკური დამარცხება და ტექნიკის არქონა კულტურაზეც ახდენდა ზეგავლენას. მაგრამ კულტურა მაინც სძლევდა, რადგან, როგორც ვთქვით: ქართულს ჰქონდა მიმღეობის უნარი, ქალური ხასიათი და არა აგრესია, ინტერვენცია უცხოურის მიმართ.

როცა ქვეყანა დაშლილია, არ ჰყავს ძლიერი ჯარი, იგი მარცხდება უცხო ძალასთან ბრძოლაში. ბრძოლა კი ყოველთვის იყო სხვადასხვა სფეროებში – სამხატვრო იქნებოდა ეს, რელიგიური თუ ეკონომიური.

ქვეყნის შეკავშირებას არ ეყო ქრისტეს ჯვარი და ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმომავლობის მითი. ახალი იდეა ქართველობამ ვერ წამოჭრა, ვერ წარმოიქმნა ისეთი იდეოლოგიური კონცეფციები, რის გამოც თავს სწირავდნენ ევროპელები, მსოფლიოს სხვადასხვა მიწებს ზვერავდნენ და იპყრობდნენ, სისხლს ღვრიდნენ ბარიკადებზე, აგებდნენ ფანტასტიკურ ციხე-სიმაგრეებსა და ეკლესიებს, სასახლეებს, იპყრობდნენ და იმორჩილებდნენ ერთმანეთს.

ახალ დროში ასეთი იყო ნაპოლეონის ლაშქრობები.

ინტელექტუალური – სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალი, სამხედრო ენერგია გარდაქმნიდა ადამიანთა ხედვას და რეალობას.

ცივილიზაციური უპირატესობის საფუძველი ტექნიკა, ტექნოლოგიური პროგრესი იყო. მაგრამ ეს არ კმაროდა თუ წარმმართველი არ იქნებოდა სულიერი რესურსი, სიმამაცე და თავგანწირვა, ფანატიზმი.

ქართველობას ტრადიციულად ჰქონდა კომფორტული ცხოვრების კულტი. ეს სხვასაც ჰქონდა, მაგრამ სხვა მეტი აქტივობით იბრძოდა მის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ამას სჭირდებოდა წესრიგი და დისციპლინა.

ერთეულების სიმამაცე ვერ იქცა მასების თვისებად, ერთეულების თავგანწირვა – გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ძალად.

სამეფო-სამთავროები, სათავადოები სხვაგანაც არსებობდა, სხვაგანაც იყო ძლიერი სეპარატიზმი (მაგ; გერმანიაში). მაგრამ ადამიანთა წესრიგმა და დისციპლინამ, ტექნიკის განვითარებამ წარმოშვა იდეები, რამაც აღაფრთოვანა მასები.

უნდა გვახსოვდეს, რომ იდეები აისახება კულტურაში და ისინი აიძულებენ ადამიანებს მათ ცივილიზაციურ რეალიზებას, ამოქმედებას, საგნებად ქცევას.

ძველი იდეა არ იწვევს მასების აღტკინებას. მას უნდა დაეუფლოს ახალი, ცხოვრებისეული აზრი, რომ სიკვდილზე წავიდეს (მაგ; სოციალიზმი ევროპაში), თუნდაც მცდარი იყოს იგი (მაგ; ნაციონალ-სოციალიზმი გერმანიაში). ამჯერად ქართველობისთვის სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა ევროპა, როგორც კულტურული, ისე ცივილიზაციური თვალსაზრისით, როგორც რადიკალური განახლების მომტანი.

2. რომანტიზმი და თავისუფლება

ნაპოლეონი და რევოლუცია

რევოლუციის ქარიშხლით შობილი ნაპოლეონ ბონაპარტე თავისუფლების სიმბოლოდ მიაჩნდათ, რომელიც ებრძოდა და ამარცხებდა ევროპელ მონარქებს.

იგი ოცი წელი დაქროდა ევროპის კონტინენტზე და აფრიკაში, თუმცა უამრავი გამარჯვება მოიპოვა და იყო უდიდესი სარდალი და მმართველი, მაინც დამარცხდა. გმირის დამარცხება სინანულს ამძაფრებს და სიყვარულს აძლიერებს. გამარჯვებულ ველინგტონსა ან ალექსანდრე პირველზე მეტად დღესაც ნაპოლეონს აფასებენ.

გოეთეს ანცვიფრებდა მისი გენია, ისევე როგორც ბაირონსა და მიცკევიჩს, სტენდალსა და პუშკინს.

კორსიკელის ლანდი დაეცა ბარათაშვილის სტრიქონებსაც.

საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა რომანტიზმი, ახალი დიდი კულტურული მოძრაობა ევროპაში, ცივი კლასიციზმის საპირისპიროდ. ხოლო ნაპოლეონის გამარჯვებების სერიამ და კატასტროფამ, აუსტერლიცმა და ვატერლოომ გააძლიერა.

ნაპოლეონი ფრანგი არ იყო. მისი ოჯახი ებრძოდა ფრანგებს და ბავშვობაში თავადაც სძულდა ისინი.

მაგრამ დიდების კვარცხლბეკზე რევოლუციურმა საფრანგეთმა აიყვანა და თავადაც განადიდა საფრანგეთის სახელი, მისი კულტურა, როგორც ნიმუში ყველა ერისათვის.

ამიტომ ითხოვა ანდერძით, რომ დაემარხათ პარიზში, სენის პირას, ფრანგ ხალხს შორის, რომელიც მას ასე უყვარდა.

ნაპოლეონის დიდებას მოჰყვა ფრანგული ენისა და კულტურის ახალი აზვირთება, ახალი ინტერესი არა მხოლოდ ჩაგრულებს, არამედ – მჩაგვრელთა შორისაც კი.

ლუდოვიკო XIV იყო კლასიციზმი, ნაპოლეონი - რომანტიზმი.

რომანტიზმმა მოიცვა მთელი კონტინენტი და წარმოშვა დიდი სახელები მრავალ ქვეყანაში, კულტურის მრავალ სფეროში, ეს იქნება ლიტერატურა, მუსიკა თუ მხატვრობა, სამხედრო თუ სახელმწიფოს მართვის ხელოვნება.

იურისპრუდენციაშიც კი სანიმუშოდ ითვლება ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსი.

ქართველი გენერლები მონაწილეობდნენ ნაპოლეონის წინააღმდეგ ომებში. მათგან საყოველთაოდ არის ცნობილი და შარავანდედით მოსილი პეტრე ბაგრატიონი – ბოროდინოს გმირი, რომლის ძვლები საფლავიდან ამოყარეს რუსებმა.

მრავალწლიანი ომები ევროპის ტერიტორიაზე, მათში რუსეთის ყველა ფენის ჩართვა მარტო სისხლისღვრა, მსხვერპლი, ტერიტორიების გადანაწილება და გავლენების კორექტირება არ ყოფილა.

გენერლები და ჯარისკაცები ეცნობოდნენ ევროპას, ევროპულ ცხოვრებას, ცივილიზაციას. სმენას სწვდებოდა ახალი იდეების ქროლვა და როცა დაბრუნდნენ პეტერბურგსა და მოსკოვში, თან მოიტანეს შეცვლილი ხედვაც, რაც გადაეცათ მოაზროვნეებს.

რომანტიზმის მსოფლიო სევდაც მხოლოდ წარსულის ნოსტალგია და გარდასულზე დარდი არ იყო. იგი მომავლისკენაც ილტვოდა და ამ სწრაფვას სტიმულს აძლევდა თავისუფლების რომანტიკა, თავისუფლების იდეები.

რუსებისათვის ეს იყო სოციალურ სფეროში ძიება, ქართველებისათვის სოციალურს ერთვოდა ნაციონალური სატკივარი. ყოველ შემთხვევაში – რომანტიზმი იყო ის სუბკულტურა, რომელიც, როგორც ოპოზიციური აზრი, კაცთა ფიქრს და ოცნებას ახალ სამზერს აძლევდა.

ნაპოლეონის დამარცხება ახალმა თაობამ პროგრესის შეჩერებად აღიქვა, რომლის მშფოთვარე სული პოეზიაში გადაიტანა ინგლისელმა ლორდმა ჯორჯ ბაირონმა, იმ ქვეყნის არისტოკრატმა, ვინც ნაპოლეონს ბოლო მოუღო.

რუსებს აჯანყების, სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის დიდი ტრადიციები ჰქონდა. ცოცხლობდა ლეგენდები და სიმღერები სტენკა რაზინსა და პუგაჩოვზე, ცოცხლობდა ბუნტარული სული, რომელსაც, ვინ იცის, როდის აქცევდა ხანძრად პარიზიდან წამოსული ცეცხლის ნაპერწკლები.

ამას გრძნობდა ელიტაც და ეს ევროპის ჟანდარმი ქვეყანა მაქსიმალურ სიმკაცრესა და კონსერვატიზმს იჩენდა, რათა მორჩილებაში ჰყოლოდა დაბალი, ველურ პირობებში მყოფი ფენები, შეენარჩუნებინა ბატონყმობა და თვითმპყრობელობა. საამისოდ აუცილებელი იყო ნაციონალიზმის ქადაგება და ომები, ტერიტორიული ზრდა.

რუსული მასონობა

ეკატერინეს დროიდან რუსეთში განმანათლებლობასთან ერთად მასონურმა იდეებმაც შემოაღწია. მისი აქტიური პროპაგანდისტი იყო ეკატერინეს მდივანი ი. ელაგინი, ინგლისური ლოჟის პირველი რუსი გროსმაისტერი.

ასევე გაჩნდა შვედური და როზენკროიცერთა ლოჟები, რუსული ლოჟა „მომაკვდავი სფინქსი“.

მასონები იყვნენ იმპერატორები – პეტრე III, პავლე I, ალექსანდრე I, ცნობილი მეცნიერები და მწერლები – ი. ტურგენევი, ი. შვარცი, მ. ხერასკოვი, ნ. კარამზინი, ნ. ნოვიკოვი, ალ. პუშკინი, ი. ლოპუხინი, დეკაბრისტები...

ითარგმნებოდა ევროპული მისტიკური ლიტერატურა (ბიომე, პარაცელსი, სენ-მარტენი...).

მასონებს იზიდავდათ ხალხთა თანასწოროზის, ძმობის, ქრისტიანული სათნოების იდეები, ეზოთერული ცოდნა.

რუსული მასონობა ეკლექტური და მრავალსახოვანი იყო. ზოგი თვითმპყრობელობას უარყოფდა, ზოგი მოითხოვდა მართლმადიდებლობის შევსებას მისტიკითა და კათოლიკურ-პროტესტანტული იდეებით. ასე რომ, ესეც ერთ-ერთი ევროპიდან მომდინარე ოპოზიციური ნაკადია.

მასონობა, მასონური ლოჟები რუსეთში 1822 წელს აიკრძალა, მაგრამ იდეალები შეინარჩუნეს დეკაბრისტებმა.

ქართველები გრძნობდნენ უცხო ქარის ქროლვას და ეს დაუკავშირეს სამშობლოს თავისუფლების იდეას, მათ სათავისოდ თარგმნეს რუსეთის ინტელიგენციაში მოტრიალე კაცთა თანასწორობის პრინციპები.

მასონობას ენათესავებოდა ფარული საზოგადოებები - „ხსნის კავშირი“ და „კეთილდღეობის კავშირი“. მათ საფუძველზე გაჩნდა ახალი გაერთიანებები – „ჩრდილოეთის ფარული საზოგადოება“ (ხელმძღვანელი კონდრატ რილეევი), „სამხრეთის ფარული საზოგადოება“ (ხელმძღვანელი პავლე პესტელი) და „გაერთიანებული იდეების საზოგადოება“.

ცხადია, „ხალხთა საპყრობილის“ დაშლაზე არავინ ფიქრობდა. ნაციონალიზმი, შოვინიზმი, დიდი რუსეთის იდეა წარმართავდა შეთქმულთა ზრახვებს.

დეკაბრისტები

ევროპიდან დაბრუნებულ ოფიცრობას, რომელთაც ნახეს უცხო ქალაქები და სოფლები, აღარ მოსწონდათ ბატონყმობა და თვითმპყრობელობა. საამისო აზრებისა და განწყობილებისათვის უკვე მრავალი წყარო არსებობდა რუსეთში.

ყველას ახსოვდა ნიკოლაი ნოვიკოვი, მის მიერ დაწყებული ბატონყმობის კრიტიკა, ალექსანდრ რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“, რუსული სინამდვილის კრიტიკა, რისთვისაც ავტორს ჯერ სიკვდილი, შემდეგ – კატორღა მიუსაჯეს. იცნობდნენ ნიკოლაი კარამზინის შრომებს.

ალექსანდრე I ლიბერალობით გამოირჩეოდა – შეარბილა ცენზურა, აკრძალა ყმების უმიწოდ გაყიდვა, 1818 წელს კონსტიტუცია მისცა პოლონეთს და დაჰპირდა რუსეთსაც.

მაგრამ მალე რეაქციული ხაზი არჩია – სპერანსკი შეცვალა არაკჩეევით და დასრულდა ლიბერალიზმი. ამან საერთო უკმაყოფილება გამოიწვია, დაიწყეს აქტიური ფიქრი და მოქმედება რეფორმებზე. რევოლუციური აზრებიც გაკრთა.

ზოგი კონსტიტუციურ მონარქიას მოითხოვდა, ზოგი – გლეხთა განთავისუფლებას მიწით თუ უმიწოდ.

არსებობდა სლავური ფედერაციის შედგენის იდეაც.

1825 წლის ნოემბერში გარდაიცვალა ალექსანდრე პირველი და პროგრესისტებმა, რომელთაც დაერქვათ დეკაბრისტები, ისარგებლეს სიტუაციით და შეეცადნენ, რომ მოეწყოთ სამხედრო გადატრიალება, რათა ტახტი არ დაეკავებინა ნიკოლოზ I-ს.

14 დეკემბრის გამოსვლა დამარცხდა და აჯანყების ხუთი მოთავე ჩამოახრჩვეს – რილეევი, პესტელი, მურავიოვ-აპოსტოლი, კახოვსკი, ბესტუჟევ-რიუმინი.

121 გააციმბირეს, 2 000-ს კავკასიის ფრონტზე გაძევება მიუსაჯეს, რაც სიკვდილს ნიშნავდა.

ახალი იმპერატორი 30 წელი მართავდა ქვეყანას.

ქართველები იცნობდნენ დეკაბრისტებს. სოლომონ დოდაშვილი 14 დეკემბერს სენატის მოედანზეც ყოფილა.

დეკაბრისტი იყო მიხეილ ბარათაშვილი (ბარათოვი) – ცნობილი ნუმიზმატიკოსი, მასონი, ვისაც უძღვნა ნ. ბარათაშვილმა „საფლავი მეფის ირაკლისა“.

განახლების იდეალები ქართულმა არისტოკრატიამ ნაციონალური ელფერით შემოსა და პოლონეთის მაგალითით შთაგონებულმა ისევ დამოუკიდებლობაზე დაიწყო ფიქრი.

1832

1832 წლის „ფერმკრთალი შეთქმულება აჯანყებისათვის“ (გალაკტიონი) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას ნიშნავდა, რაც ადრე არ გააჩნდათ ქართველებს.

რუსთა განდევნის ინიციატორები ძირითადად იყვნენ ერეკლეს შვილები და შვილიშვილები, მათი ნათესავები და ახლობლები.

მთიულეთის, კახეთის, იმერეთის აჯანყებები სტიქიურად იფეთქებდა. ერთ კუთხეს მეორესთან არ ჰქონდა კავშირი. ალექსანდრე ბატონიშვილი უცხო ძალის იმედით მოქმედებდა, გეორგიევსკის ტრაქტატის აღდგენას მოითხოვდა.

არ იყო წარმმართველი პოლიტიკური აზრი და არ არსებობდა საერთო სამოქმედო გეგმა ან კონკრეტული პროგრამა.

ქართული პოლიტიკური აზროვნება ყალიბდება დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ. ეს იყო ქვეყნის ხსნის იდეა ზემოდან, არისტოკრატიის მიერ დასახული მიზნად ისე, რომ არ ჰქონდა კავშირი მასებთან, აჯანყებულებთან.

თუ რუსებისათვის მთავარი იყო სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები, აქ მას ენაცვლებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეა ანუ ნაციონალური საკითხი.

პეტერბურგში ფარული ორგანიზაციის ლიდერი იყო დიმიტრი ბატონიშვილი (მას ვოლტერს ადარებდნენ), მოსკოვში – ოქროპირ ბატონიშვილი, ტფილისში – სამეული: ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი.

ფარულ საზოგადოებას ჰქონდა წესდება - ბერი ფილადელფოს კიკნაძის მიერ დაწერილი „აქტი გონიური“.

პოპულარული იყო რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“, გრ. ორბელიანის მიერ გადმოქართულებული.

გამარჯვების შემთხვევაში მეფედ უნდა დაესვათ ალექსანდრე ბატონიშვილი, აღედგინათ ბაგრატიონების დინასტია.

მონარქია უნდა ყოფილიყო კონსტიტუციით შეზღუდული. ხელისუფლება გადანაწილდებოდა მთავრობასა (ზედა მმართველობა) და პარლამენტს (ქვედა მმართველობა) შორის.

შეთქმულები იცნობდნენ ფრანგ განმანათლებელთა და რუს მოღვაწეთა ნაშრომებს, მათ იდეებს; იცნობდნენ დეკაბრისტების შეხედულებებს, პოლონეთის მოვლენებს, ცალკეულ რუს მოღვაწეებს.

რუსეთი მეტ უფლებებს აძლევდა პოლონეთს და ფინეთს, ვიდრე იმპერიის რომელიმე რეგიონს და ესეც აგულიანებდა შეთქმულებს.

სოლომონ დოდაშვილს, კახელი მღვდლის შვილს, პეტერბურგის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და იქვე გამოსცა რუსულად ნაშრომი – „ფილოსოფიის კურსი. ნაწილი პირველი. ლოგიკა“ (მისი ძმა მუშაობდა იმპერიის სენატის კანცელარიაში).

იგი როგორც მოაზროვნე, რედაქტორი და ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებელი, ახალი იდეების შემომტანი და ქადაგი იყო. დაახლოებით ისეთი ვრცელი კულტურპროგრამა ჰქონდა, როგორიც შემდეგში შეიმუშავა ილია ჭავჭავაძემ.

ტფილისში იყვნენ გადმოსახლებული პოლონელი პატრიოტები, 14 დეკემბრის გამოსვლის მონაწილენი (მაგ., კიუხელბეკერი, ბესტუჟევ-მარლინსკი), მათი მომხრეები (მაგ., პუშკინი). აქ ცხოვრობდნენ ფრანგები და გერმანელები.

ტფილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი იყო პოლონელი ზავილეისკი, რომელსაც პატივს სცემდნენ პოლონელები და ქართველები.

შეთქმულები ვერ შეაშინა ვარშავის აჯანყების დამარცხებამ. მათ მოქმედების ფართო ქსელი გააჩნდათ, მაგრამ აჯანყების დაწყება დროში გაიწელა, რამდენიმეჯერ გადაიდო და, როგორც ხდება ხოლმე, გამცემიც გამოჩნდა.

აჯანყება გასცა მისმა აქტიურმა წევრმა იასე ფალავანდიშვილმა, ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორის ძმამ, რომელიც შეკრებაზე თავისი ძმის სიკვდილით დასჯასაც კი მოითხოვდა.

შეთქმულები დააპატიმრეს, 145 პირი. მათ შორის გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძეც. დაიწყო საქმის გამოძიება, მაგრამ საბოლოოდ ხელისუფლება ლმობიერად მოეპყრო შეთქმულებს (გარდა დოდაშვილისა და ფალავანდიშვილისა), აკმარა მსუბუქი სასჯელი, გადაასახლა იმპერიის სხვადასხვა მხარეს (მაგ., ელ. ერისთავი – ფინეთში, ალ. ჭავჭავაძე – ისევ ტამბოვში, ს. დოდაშვილი – ვიატკაში, ალ. ორბელიანი – ორენბურგში). შემდეგ შემოირიგა და თავის სამსახურში ჩააყენა.

სოლომონ დოდაშვილი რომ გარდაიცვალა, მიცვალებულის ჩამოსასვენებლად იმპერატორმა მის მეუღლეს გამოუყო 1 000 მანეთი!

იმპერატორის სულგრძელობა და სასჯელი ცვლიდა არ მხოლოდ ელიტის, არამედ – მასების განწყობილებასაც.

ჯილდოები და კარიერა, სიმშვიდე და კანონების სიმკაცრე, აღმშენებლობა და პროგრესი კიდევ უფრო განამტკიცებდა რუსთ მეუფებას.

ურჩი ერი მორჩილ და ერთგულ ერად იქცა.

1841 წლის ჯანყი გურიაში ამ ურჩობის პერიფერიული გამოძახილი იყო, რასაც ლოკალური ხასიათი ჰქონდა, ისევე როგორც აჯანყებას სამეგრელოში.

იწყებოდა ჩრდილო კავკასიაში ომი შამილთან და რუსეთს სჭირდებოდა ქართველების თანადგომა. ქართველებიც სიხარულით ჩაებნენ ამ ომში, რათა შური ეძიათ ლეკების საუკუნოვანი თარეშისათვის.

შურისძიების მოტივი კარგად გამოიყენეს რუსებმა, დააპირისპირეს კავკასიის ხალხები და ერთის ხელით დაიმორჩილეს მეორე.

ქართული არისტოკრატია დამარცხდა და ბედს შეეგუა.

რუსეთი იმდენად განმტკიცდა კავკასიაში, რომ დამოუკიდებლად და იარაღით მის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. ლოკალური ამბოხი შედეგს ვერ მოიტანდა.

60-იანი და 90-იანი წლების თაობებმა ეს გააცნობიერეს და თავისუფლების იდეა და კულტურის პრობლემები სხვა ასპექტში გადაიტანეს, ერთმა – კლასთა შერიგების, მეორემ – რევოლუციის სფეროში.

პოლიტიკურმა დამარცხებამ კიდევ უფრო გაამძაფრა ძველი ნოსტალგია, რამაც შვა ქართული რომანტიზმი.

მოქმედება სიტყვაში მოექცა – სიტყვით შეიზღუდა და სიტყვითვე განივრცო.

წარსულის ხილვა

როგორც ითქვა, ქართული არისტოკრატია დაკავშირებული იყო ერეკლე მეორესთან, ერეკლეს შვილებთან და შვილიშვილებ-

თან. ბევრი მათი ნათესავი და ახლობელი იყო, ან – სამეფო იერარქიის წევრი.

ისინი გლოვობდნენ დიდ წინაპარს, ცოცხლობდნენ მისი მოგონებით, პრაქტიკულ ცდასთან ერთად კალმითაც ეხმიანებოდნენ.

რომანტიკოსებს თვალწინ ედგათ მისი ლანდი, ადიდებდნენ, განსჯიდნენ და გაუნელებელი ოხვრით ამთავრებდნენ მოგონებას.

გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე პოეტები იყვნენ და მათი მიმართება წარსულთან, ისტორიულ პირებთან და მოვლენებთან ემოციური იყო.

მაგრამ ისტორიკოსები და ეპიკოსი მწერლები ისტორიის პანორამას ადგენდნენ. პლ. იოსელიანი წერდა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის – გიორგის ცხოვრებას, ალ. ორბელიანი – ერეკლეს ეპიტაფიას, ტრაგედიას თავის დიდ პაპაზე, დრამას დავით აღმაშენებელზე, გრიგოლ რჩეულიშვილი – უცხო ავტორთა გავლენით თხზავდა თამარ და ანუკა ბატონიშვილების ისტორიებს, რომანტიკულად წარმოსახულს.

საქართველოს უძველეს წარსულს, „ვეფხისტყაოსანს“, ქართულ ლექსთწყობას სწავლობდა თეიმურაზ ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ძე.

მის მოწაფედ მიიჩნევდა თავს მარი ბროსე, ფრანგი ქართველოლოგი.

იოანე ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ძე, მღვდელ იონა ხელაშვილისა და გლეხ ზურაბ ღამბარაშვილის მოგზაურობა-დიალოგებით წარმოადგენდა ქვეყნის წარსულს, ენას, მწერლობას („კალმასობა“).

ქართულმა არისტოკრატიამ დაკარგა სამოღვაწეო ასპარეზი. მას უნდა ეცოცხლა წარსულის მოგონებით, ისტორიულ გმირთა ხოტბით ან ჩამდგარიყო მეფის სამსახურში.

1832 წელმა ისინი რეალობისაკენ მოახედა, მაგრამ დამარცხებამ ისევ პესიმიზმით აღავსო.

არც ალექსანდრე ბატონიშვილის მონდომებას, არც შამილის თავგანწირულ ბრძოლას შედეგი არ მოჰქონდა.

უძველესი დროიდან ქართველი ხალხი გზას მახვილით იკაფავდა, ცხენით მოქროდა, სისხლს ღვრიდა და ასე აგრძელებდა არსებობას.

ახალ დროში ასეთ ბრძოლას არ ჰქონდა პერსპექტივა.

ხმალი წიგნს უნდა შეეცვალა, ცოდნასა და განათლებას, რომანტიკული ოცნება – პრაქტიკულ მოქმედებას.

ხოლო წარსულის ნოსტალგია და რომანტიკული ხილვა გადაიზარდა მის მეცნიერულად შესწავლასა და დასისტემებაში, რაც მალე იქცევა ქართველოლოგიად.

3. ქართული სევდის პოეზია

შეთქმულთა ხანმოკლე ეიფორიას მოჰყვა დეპრესია, უმწეობის განცდა, მაგრამ თავად ხელისუფლებამ გამოიყვანა არისტოკრატია ამ მდგომარეობიდან – შეიცვალა დახვრეტის განაჩენები. რამდენიმეს გარდა მსუბუქი სასჯელი აკმარეს დამნაშავეებს. ისინიც მალე გაანთავისუფლეს და აღუდგინეს კარიერა.

ქართველობა თავის გამოსაჩენად და დანაშაულის გამოსასყიდად ჩართეს შამილის ეპოპეაში, რათა შური ეძიათ.

1838 წელს იმპერატორი ნიკოლოზ I ჩამოვიდა ტფილისში. მადლიერმა თავადობამ აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო – მაიკო ორბელიანის ქალწულობაც შესწირეს თვითმპყრობელს, მაგრამ გულის სიღრმეში დარჩა დარდი და ნაღველი, სევდა და ძველი

დროის მონატრება, რაც უხვ საზრდოს აძლევდა რომანტიკოსთა „მსოფლიო სევდას“, მარტოობას, ფიქრს ამაოებასა და წარმავლობაზე.

ლიტერატურას რუსეთიდანაც ასეთივე სიგნალები მოსდიოდა, ევროპაც რომანტიკულ განცდებს შეეპყრო და ქართველებმაც მიიღეს ცისფერი ყვავილის ემბლემა.

რომანტიზმი სხვადასხვა ფორმითა და აქტივობით ყველაზე უკეთ გამოხატეს პოეტებმა – ალექსანდრე ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ვახტანგ ორბელიანმა.

მათ შეძლეს ნაციონალური და პირადი ტრავმის კომპენსირება, „მსოფლიო სევდის“ ქართულ ტკივილად ქცევა.

პოეტი - გენერალი

20-იანი წლებიდან ქართული კულტურის ცენტრალური ფიგურაა ალექსანდრე ჭავჭავაძე. მან ამ დროისათვის დაამთავრა წინანდლის სასახლე, რომელიც ახლაც თვალს იტაცებს.

აქ თავს იყრიდნენ რუსი, გერმანელი, ფრანგი, ესპანელი პროფესორები, მწერლები, კონსულები, გენერლები, რომელთაც გულუხვად მასპინძლობდა ეკატერინე დედოფლის ნათლული, პოეტი და გენერალი.

ალ. ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ ბამანის პანსიონიდან კარგად იცოდა, გარდა რუსულისა, ფრანგული და გერმანული ენები.

თავრიზისა და ბაიაზეთის გმირი მნიშვნელოვან პოსტებსაც ფლობდა, იყო ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრი.

ალ. ჭავჭავაძის სიძე იყო ალ. გრიბოედოვი, იცნობდა პუშკინსა და ლერმონტოვს, დეკაბრისტებს – იაკუბოვიჩს, კიუხელბეკერს, ოდოევსკის...

ჰყავდა ერთი ვაჟი და სამი ულამაზესი ასული.

ასევე გამორჩეული იყვნენ მშობლები – გარსევან ჭავჭავაძე და მარიამი – დრამატურგ გიორგი ავალიშვილის და.

თუმცა ორჯერ იყო გადასახლებული ტამბოვში, ჯერ კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისა და შემდეგ 1832 წლის შეთქმულებისათვის, ხელისუფლება ყურადღებითა და ნდობით ექცეოდა, უხვად აჯილდოებდა.

ალ. ჭავჭავაძის მეორე სიძე იყო დავით დადიანი, სამეგრელოს მთავარი, მესამე – ბარონ ნიკოლაი.

თავადაც გამოირჩეოდა არა მხოლოდ ნიჭიერებით, პოლიტიკური ტალანტითა და განათლებით, არამედ – გარეგნობითაც, ენერგიითა და არისტოკრატიზმით.

მახვილთან ერთად უჭრიდა კალამი.

წინანდლის კეთილმოწყობის შემდეგ პოეტმა 1835 წელს სესხად აიღო 300 000 მანეთი ასიგნირებით (ვერცხლის ერთი მანეთი – ასიგნაციით 3, 6 მან.), 26 წლის ვადითა და მამულის გირავნობით.

ალ. ჭავჭავაძეს რამდენიმე ათასი ყმა ჰყავდა და ჰქონდა, როგორც გენერალსა და თანამდებობის პირს, დიდი ხელფასი.

1841 წელს დაამთავრა 3 სახლის აშენება გოლოვინის პროსპექტთან. დღეს ეს სახლები აღარ არსებობს.

კარგად იცნობდა კლასიცისტებსა და რომანტიკოსებს, როგორც რუსულ, ისე სპარსულ ლიტერატურას.

იგი იდგა კულტურათა გზაჯვარედინზე და საბოლოოდ გზა რომანტიზმისკენ გაიკვეთა, ანაკრეონტული, სოციალური და ბესიკისებური ლექსები დაასრულა მსოფლიო სევდით, ამაოებისა და

წარმავლობის პოეტიზებით („გოგჩა“), რაც გაგვახსენებს ნ. ბარათაშვილის ლექსს – „ფიქრნი მტკვრის პირას“.

ასეთი ბრწყინვალე კაცი, პოეტი და მეომარი სრულიად უაზროდ დაიღუპა – 60 წლის ასაკში.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ ქართული კულტურის ევროპეიზმისათვის უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე საკუთრივ ლირიკისათვის.

მისი შემოქმედების სპექტრი აჩვენებს ქართული კულტურის ტენდენციებს, ძიების პროცესს ორიენტალიზმიდან ევროპეიზმისაკენ.

განწირული მხედარი

ნიკოლოზ ბარათაშვილს უნივერსიტეტში არ უსწავლია, არც სამხედრო პირი ყოფილა, არც მაღალი რანგის ჩინოვნიკი. იგი არის მაგალითი იმისა, თუ როგორ არის ერთმანეთისაგან გათიშული და განსხვავებული შემოქმედის ინტუიცია და ცნობიერება.

ცხოვრებაში იგი არც ინტელექტუალისტი ყოფილა.

ბედმა მუდმივი მარცხი და ხელისმოცარვა არგუნა – გიმნაზიაში კიბიდან ჩამოვარდა, ფეხი მოიტეხა და თავისი ბიძებისა და ნათესავებისაგან განსხვავებით დაეხშო სამხედრო კარიერა.

უყვარდა რამდენიმე ქალი – ნინო ორბელიანი, ფრანგი დელფინა ლაბიელი, ეკატერინე ჭავჭავაძე, განჯელი მაჰმადიანი გონჩა ბეგუმი.

მისი გრძნობა არცერთმა არ გაიზიარა.

არ ჰყოლია არც ცოლი, არც საყვარელი.

მამა ტიპური ქართველი დარდიმანდი იყო, „შემოდგომის აზნაურების“ წინაპარი, მოქეიფე და მფლანგველი.

ეს ერეკლეს შთამომავალი და გრიგოლ ორბელიანის დისშვილი, მხოლოდ ტრაგიკული ბედის მაიკო ორბელიანთან საუბრით და მიწერ-მოწერით იქარვებდა ნაღველს.

გრიგოლ ორბელიანს უწონებდა, რომ გურულთა სისხლში გაავლო ხმალი. „ძრწოდე, კავკასო“, – რუსი შოვინისტების მსგავსად აღფრთოვანებული იყო ჩეჩნებისა და ლეკების დათრგუნვით (შდრ – პუშკინი „Смирись, Кавказ! Ермолов идет!“).

პოეზიაში კი ბედისწერას ებრძოდა, თავისუფლებას ეტრფოდა და ქართლის ბედზე გოდებდა.

ლექსებში ტრაგიკოსი იყო, ცხოვრებაში კი – ქილიკი და ოხუნჯი. სულით ობოლს, მარტოობის რაინდს, სათარას აშუღური ჰანგები მოსწონდა.

„მერანის“ ავტორი თავისუფლების მოყვარე ყაჩაღებს დასდევდა დასაჭერად თუ მოსაკლავად.

„მერანშიც“ პოეტის ცნობიერი სძლია ინტუიციამ – ლექსი დაიწყო როგორც ლეკთა მიერ დატყვევებული ბიძამისის მონოლოგი და ოცნება, მაგრამ თხზვის პროცესში შთაგონებამ გადალახა ფაქტის ემპირია და პოეტის სულის ღელვა აქცია თავისუფლების ჰიმნად.

ლექსს დაარქვა „თავგანწირული მხედარი“, რაც ზღუდავს აზროვნების მასშტაბს და იგი 60-იან წლებში მართებულად შეცვალეს „მერანით“, რომელიც მითიური პეგასია.

იცნობდა ბაირონისა და მიცკევიჩის, პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიას, მათ რომანტიკულ მგრძნობელობას და ამ დროს თარგმნიდა ლაიზევიცის „იულიუს ტარენტელს“.

მაგრამ სწორედ დიდი ტალანტი, ინტუიციური წვდომა, სტიქიური სწრაფვა აქცევდა „მსოფლიო სევდის“, მარტოობისა და ობოლი სულის პოეტად.

ხოლო ბოროტი სული ის ბედისწერა და გარემო იყო, რომელიც გულს უკლავდა, მისი სიმბოლო კი – შავი ყორანი, როგორც ედგარ პოს ნევერმორე (არასოდეს).

ბედისწერასთან შეურიგალი მხედარი მიცკევიჩის ფარისს ჰგავდა, ცისფერი და ლურჯი ფერი – ნოვალისის ცისფერ ყვავილს.

თავგანწირული მხედარი ნაპოლეონსაც გაგვახსენებს, ვისაც ეგონა, რომ „თვითონ სამყარო მევიწროოს თუ ტოლი მყვანდეს“.

ქართული სევდა იყო ის ნიადაგი, რომელზეც იდგა ბარათაშვილის პოეზია, მთაწმინდა – სევდის სადგური, ღამე და საღამო – მეგობარი, ვარსკვლავები – მესაიდუმლენი, ქროლვა – თავისუფლება.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი მასწავლებლის სოლომონ დოდაშვილის ეროვნული და ფილოსოფიური იდეები პოეზიაში გადაიტანა.

პოეტს დიდხანს აწვალებდა მტანჯველი კითხვა – სწორედ მოიქცა თუ არა მისი წინაპარი ერეკლე თუ სოლომონ ლიონიძე იყო მართალი.

ბოლოს მაინც იქეთკენ გადაიხარა, რომ ერეკლეს გეზი სწორი აღმოჩნდა.

ჩინარიც ისევე მარტოა, როგორც თავგანწირული მხედარი, როგორც უარყოფილი მიჯნური, როგორც მოკლული გული, როგორც დევნილი ერეკლე მეფე.

პოეტმა დაჰკარგა რწმენის ტაძარი, უსიხარულო, უსიყვარულო ცხოვრება იქცა უდაბნოდ და ეკლესიასტეს მსგავსი ამაოების განცდა შეიძლება მხოლოდ მტკვრის ზვირთებს გაუზიარო, რაც წარმავლობის ხატია.

„რარიგ ვეუცხოვე სამყაროს ცივ დენას“, – დაწერს საუკუნენახევრის შემდეგ ზვიად გამსახურდია.

ასე ეუცხოვა ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის გარემოს, თავის დროს და ეს მარტოობის მტანჯველი განცდა მან აქცია აზროვნების მოდელად, ხედვისა და აღმოთქმის ენერგიად.

გაუხარელი კაცის ცხოვრებაში მხოლოდ ინტუიცია ზეიმობდა. სულიერებით ეს ღარიბი სტოლნაჩალნიკი უფრო იყო ევროპელი, ვიდრე ფორტეპიანოს ჰანგებში გახვეული, ვალსის მოცეკვავე კოხტა პოეტი-გენერალი.

ტანჯვა არის შემოქმედების წყარო, როგორც უთქვამს მისოლუნგის გმირს, „ჩაილდ ჰაროლდის“ ავტორს (იხ. „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“).

„ბნელდება საქართველო“

„ბნელდება საქართველო“, „იყიდება საქართველო“, „დაემხო ჩემი სამშობლო“ – ეს მოხუცი ინფანტერიის გენერლის გრიგოლ ორბელიანის სიტყვებია.

მას „ხარაბუზა ღენერალს“ ეძახდა აკაკი წერეთელი, ხოლო ილია ჭავჭავაძე პატივს სცემდა.

თავისი დისშვილის მსგავსად არც მას სწყალობდა აფროდიტე: აკვანში დანიშნული ქალი გაუთხოვდა, ხოლო ქვრივმა ნინო ჭავჭავაძემ არ მიიღო პოეტის აღტაცება.

გრიგოლ ორბელიანის ძველქართული ენით დაწერილი 14-მარცვლიანი ლექსი გაიზიარეს ნ. ბარათაშვილმა, ალ. ჭავჭავაძემ, ვ. ორბელიანმა, სხვა რომანტიკოსებმა.

მისი მძიმე რიტმი, ფიქრი და განსჯა უპირისპირდებოდა ბესიკის, საიათნოვას, ალ. ჭავჭავაძის სასიმღერო ჰანგებს.

ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ მან მოახდინა აშულური ნაკადის პოეტიზება, ენაც გაამარტივა და სტრიქონებიც მელოდიურად გამართა (მაგ., „გინდ მეძინოს“).

ახალგაზრდობაში დაწერა და მთელი სიცოცხლე ხვეწდა ერთადერთ პოემას – „სადღეგრძელო ანუ ღამე ლხინი ერევნის სიახლოვეს“.

ესეც შეთხზა ჟუკოვსკის გავლენით თუ მიბაძვით. თავად ჟუკოვსკისთვის კი მაგალითი იყო ინგლისელი გრეი.

„სადღეგრძელო“ იწყება დაღამების სურათით და მთავრდება განთიადის ჩვენებით. ღამე კი ეთმობა ლხინსა და სადღეგრძელოებს.

ქების ობიექტები არიან ქართველი გმირები, მეფეები და სარდლები. მათ შორის ჩასმულია ხოტბა ნიკოლოზ I-სადმი.

გრ. ორბელიანი მსოფლმხედველობრივად ისევე გაორებული იყო, როგორც მისი წინაპარი მაჰმადიანი ბაგრატიონები, ჯვარსა და ჩალმას რომ ატარებდნენ.

„შენი ივერი“, – უწერს პოეტი იმპერატორს...

იმპერატორიც ჯილდოებს არ აკლებდა მამაც გენერალს. ერთხანს მთელი კავკასიაც კი ანდეს, არა მხოლოდ დაღესტანში ჯარების სარდლობა.

ეგონა, რომ რუსეთმა როგორც მოაშორა ლეკები ქართველებს, ისე არ მოაკლებდა კვლავაც წყალობას, მაგრამ სიბერის ჟამს მაინც მოეძალა კაეშანი.

შეიძლება ამისი მიზეზი იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობა იყო. როცა პოეტმა იგრძნო, არც პეტერბურგს ჰქონდა მოწესრიგებული ცხოვრება და საქართველოს რისი რწმენით უნდა ეარსება, რომ დადგა ძველი ფეოდალური გვარების აღსასრულის ჟამი.

მარტოხელა, მაგრამ თითქოს სვებედნიერი გენერლის უკანასკნელი პოეტური სტრიქონებია -

„გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით...“

რომანტიკოსთა ენა და ლექსი

რომანტიკოსები აღზრდილები იყვნენ ძველქართულ ოჯახურ ტრადიციებზე. მათ არ ჰქონდათ მიღებული უმაღლესი განათლება. რუსული გიმნაზია კი ახლა იდგამდა ფეხს.

ასე რომ – ეუფლებოდნენ ანტონ კათალიკოსის მიერ მოდელირებულ საეკლესიო-სალიტერატურო ენას, კლასიცისტური სამი სტილის თეორიის მიხედვით გამართულს.

წერდნენ ამ ენით, ხოლო მეტყველებდნენ ხალხურით, მაგრამ ოფიციალური სასაუბროც არისტოკრატთა შორის იყო ძველქართული.

ეს ენა აქციეს რომანტიკოსებმა პოეზიის ენად. მით უმეტეს, რომ აიდეალებდნენ თამარისა და ერეკლეს ხანას, ისტორიას, რათა ასე გამიჯნოდნენ, როგორც ტფილისურ ჟარგონს, ისე დიალექტიზმებს.

პირად ბარათებში (მაგ., ნ. ბარათაშვილთან, გრ. ორბელიანთან) იგრძნობა რუსულის გავლენა, რასაც ვერ ვიტყვით მათ პოეტურ ენაზე. სამაგიეროდ რუსული სამყარო მოდიოდა რომანტიზმის პაროლებით, რაც ეთანაბრებოდა ქართულ განწყობილებას.

რუსული ლექსი ლიტერატურიდან სდევნიდა მუხამბაზებს და მუსტაზადებს, ბაიათებსა და ყაზალებს. მაგრამ შენარჩუნებულ იქნა პათეტიკა, როგორც დრამატული განწყობილების შესატყვისი, რაც ძველქართული მეტყველების თვისებაც იყო.

თავად ლექსის ფორმა გამარტივდა. ყვავილოვანი, არტისტული, ფერადი სტილი შეცვალა რაციონალიზმმა, აზრის დინამიკამ, მედიტაციამ.

ერთმანეთს რომ შევადაროთ ბესიკი და ბარათაშვილი, ეს განსხვავება აშკარად თვალში საცემია.

აღმოსავლური მდიდარი რითმა შეცვალა ღარიბმა რუსულმა რითმამ, რაც ჰქონდა ტონურ ლექსს, სადაც მახვილის სიძლიერე განსაზღვრავდა ბგერით ჰარმონიას, მაგრამ ქართული სილაბიზმი მოითხოვდა ბგერების მეტ შეთანხმებას (მაგ., ორ და სამმარცვლიანი რითმები). ზოგი შენიშნავს, რომ ქართველებმა რუსული რითმა თვალით აღიქვეს, მაგრამ იგი სმენითაც განსხვავებული იყო, როგორც მახვილზე აქცენტირება.

ასეთი სტილი და 14-მარცვლოვანი მეტრი შეეფერებოდა ინტელექტუალურ განსჯას, ფიქრსა და სევდას, ვიდრე ამღერებული სტრიქონები.

შესაბამისად სტრიქონებიც დაყრუვდა და მხოლოდ მძაფრი მედიტაცია განაშორებდა ხორკლიან და მძიმე მდინარებას.

ლექსიც ისევე იცვლიდა ფერს და სტოვებდა აღმოსავლეთს, როგორც მთელი კულტურა.

რომანტიზმის დასასრული

ქართული რომანტიზმი დაიწყო ეიფორიით, როცა შეთქმულები იმედით იყვნენ აღსავსენი და დასრულდა არა გოდებით, არამედ – ბედისადმი მორჩილებით.

ეს პერიოდი გაგრძელდა 15-იოდე წელიწადი და დაემთხვა ნ. ბარათაშვილის სიკვდილსა და ალ. ჭავჭავაძის დაღუპვას.

გრიგოლ ორბელიანი დაღესტანში იბრძოდა და ლექსისთვის არ ეცალა; გიორგი ერისთავი კომედიებმა, თეატრმა და ჟურნალმა გაიტაცა; სოლომონ დოდაშვილი ცოცხალი აღარ იყო; სოლომონ რაზმაძე, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილის მდივანი იყო, პენზაში გადაასახლეს და საქართველოში ჩამოსვლა აეკრძალა, ეროვნული ტკივილები ოჯახმა და ანაკრეონტულმა ლექსებმა შეუცვალა.

მიხეილ თუმანიშვილმა თეატრს მიმართა, ალექსანდრე ორბელიანი და გრიგოლ რჩეულიშვილი ისტორიაში გადასახლდნენ.

მაგრამ ვახტანგ ორბელიანი, ეს პენსიონერი გენერალი, ერეკლეს შვილიშვილი, ვისი მამაც აჯანყებულმა კახელებმა მოკლეს, მიუბრუნდა რომანტიზმს, ცოცხლობდა ისტორიის ჟანგბადით, ჰგმობდა ტფილისურ ჰიბრიდს, მუხამბაზსა და კინტოთ კილოს, გრიგოლის ლოპიანასა და ონიკოვს.

ყველაფერი კარგი წარსულში ეგულებოდა, ხოლო ახლებში მხოლოდ დეგრადაციას ხედავდა, ფეოდალური კლასის აღსასრულს.

ისტორიის სევდამ იგი რომანტიკოსად აქცია მაშინ, როცა ილიას უკვე ნათქვამი აქვს: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“...

ვახტანგ ორბელიანი დაკრძალეს სიონის ტაძარში, სადაც რუსებმა ერთგულებაზე დააფიცეს მამამისი და მისი ნათესავები.

დაღესტნის ომებმა, იმპერატორის მოწყალებამ, ვორონცოვის კულტურპოლიტიკამ რომანტიზმს ნიადაგი გამოაცალა.

იცვლებოდა ევროპაც და რომანტიკულ მსოფლიო სევდას შლიდა რეალისტური ცხოვრება, ყოფითი საზრუნავი, სინამდვილის გარდაქმნის მოთხოვნილება, რაც მოჰქონდა ახალ თაობას, თერგის წყალნასვამს და პეტერბურგში განათლულს, ვაჭრებსა და კომერსანტებს.

4. ვორონცოვის კულტურპოლიტიკა

ნელ-ნელა, თანდათან რუსული ხიშტით ერთიანდებოდა სამეფო-სამთავროები. ის ფსიქოლოგიური გაუცხოება, ენობრივი განსხვავება, ადათ-წესებში დაცილება, რაც წარმოშვა ისტორიის ავბედითობამ, სწორედ რუსულის წყალობით მცირდებოდა:

კახელისა ან ქართლელისათვის მეგრელი ან გურული უფრო ახლოს იყო, ვიდრე რუსი, რომელიც მათ კრავდა და აერთიანებდა.

დრო, ტერიტორია, ეკონომიკური კავშირები, კულტურული კონტაქტები, დისტანცია და სიძულვილი რუსის იმპერიისადმი, უცხო რუსული ენა, ქრისტეს ჯვარი სპობდა გაუგებრობას ან დაჰყავდა მინიმუმამდე (შდრ – როცა გაერთიანდა გფრ და გდრ, ხალხს ურთიერთშეგუება გაუჭირდა, თუმცა მხოლოდ 45 წელი იყვნენ გაყოფილი).

პარალელურად იზრდებოდა ერთიანობის შეგნება, რასაც ამკვიდრებდა პრესა და ლიტერატურა, ახალი იდეალების პროპაგანდა.

ერთგული ერი

რუსულმა პოლიტიკამ, შეთქმულთა შეწყალებამ, დრომ და ასაკმა გული მოულბო გუშინდელ მეამბოხეებს.

ისინი ხედავდნენ, რომ არ ჩანდა რუსის მომრევი ძალა.

იმპერია ებრძოდა თურქებსა და ირანელებს, აღკვეთა ლეკების საუკუნოვანი თარეში და სიმშვიდეს ამკვიდრებდა კავკასიაში, რასაც არღვევდა შამილისა და მისი წინამორბედების ბრძოლა თავისუფლებისათვის.

შამილის იდეალები ქართული საზოგადოებისათვის, მასისა თუ ელიტისათვის უცხოდ დარჩა. მით უმეტეს - არ იყო ნდობა და იყო სიძულვილი.

ჩეჩენთა და დაღესტნელთა იმამი იმ მაჰმადიანურ ძალას ლიდეროზდა, რომელიც აწიოკებდა ქართლ-კახეთს, ქრისტიანებს.

ჯერ კიდევ ახსოვდათ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ტყვეთა სყიდვა, დიდთა და პატარათა მოტაცება, ქუთაისის, ფოთის, სოხუმის ციხეში მსხდარი მაჰმადიანი თურქები და ქართველები, ახსოვდათ ახალციხის საფაშო – კრაზანების ბუდე (მ. ჯავახიშვილი).

დაღესტანიც ისევე უნდა დაცემულიყო, როგორც ახალციხე. შემდეგ მათ დაემატა ბათუმი და ყარსი.

ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი იმპერიამ მარჯვედ გამოიყენა. გრიგოლ ორბელიანი ავარიის „ხანი“ გახდა და სიამაყით აღნიშნავდა, რომ თავისი დიდი პაპის სამაგიეროდ იძიებდა შურს.

„სადღეგრძელოს“ ავტორი წერდა, რომ რუსის წასვლა უბედურება იქნებოდა, რადგან აქ ერთმანეთს დაერეოდნენ. რუსი მშვიდობის გარანტად მიაჩნდათ.

ქართველობა უკვე ბედს იყო შერიგებული. ბატონიშვილები, ერეკლეს შთამომავლები, მათი ნათესავები და ახლობლები იმპერიამ შეიწყალა, დააჯილდოვა და მისცა ახალი სამოქმედო ასპარეზი. ბაგრატიონების საკითხი აღარ იყო აქტუალური.

ქართველთა თანადგომამ თურქებთან და სპარსელებთან ომებში, ახლა კი შამილთან ბრძოლებმა იმპერია დაარწმუნა, რომ ქართველი ხალხი მოათვინიერეს, შეაგუეს რუსეთის კანონებსა და ინტერესებს, რომ საბოლოოდ ჩააცხრეს ბუნტარული სული.

მაგრამ აღზრდა უნდა გაგრძელებულიყო.

რუსი აფასებდა ქართველთა თანადგომას და ახლა ერთგულ ერს შეიძლებოდა თავისი კულტურაც განევითარებინა, რომელიც საგრძნობლად ჩამორჩა ევროპას.

1844 წელს კავკასიაში მთავარმართებელი შეცვალა მეფის ნაცვალმა, რომელიც დაექვემდებარა უშუალოდ იმპერატორს. მას მიენიჭა მეტი უფლებები.

მთავარი მიზანი იყო ჩეჩნეთ-დაღესტნის დამორჩილება, შამილის დამარცხება, დაპყრობილი კავკასიის დაწყნარება.

1844 წელს მეფის ნაცვლად დაინიშნა ლონდონში აღზრდილი მიხეილ ვორონცოვი, გამოცდილი მმართველი, დიდი მემამულე, შემდეგში – ფელდმარშალი. იგი კავკასიას განაგებდა 10 წელი, 1854 წლამდე (მისი არქივი გამოცემულია 40 ტომად).

1840-1841 წლების რეფორმებმა საქართველოში ზედაფენის უკმაყოფილება გამოიწვია.

ამიერკავკასია გაიყო ორ ადმინისტრაციულ ერთეულად – საქართველო-იმერეთის გუბერნიად და კასპიის ოლქად.

შემუშავებულ იქნა მმართველობისა და მართლმსაჯულების ახალი სტრუქტურა.

ტფილისში იმპერატორმა სიტუაციის შესასწავლად გამოგზავნა პოზენი და სამხედრო მინისტრი ჩერნიშოვი.

რევიზიამ დაარწმუნა პეტერბურგი, რომ უკმაყოფილების მიზეზი იყო არა ნაციონალიზმი, არამედ – თავად კანონში არსებული ხარვეზები და ადგილობრივი ადათ-წესების იგნორირება.

ამიტომ კანონში შეიტანეს ცალკეული კორექტივები.

იმპერიის მიზანი იყო, რომ კავკასია ყოფილიყო არა კოლონია, არამედ - რუსეთის ნაწილი კულტურითაც.

პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, მმართველობა, ენა და კონტაქტები მიმართული იყო იმისათვის, რომ დაესრულებინათ არისტოკრატიის გარუსება.

დაბალი ფენები – მუშა, გლეხი და ხელოსანი არც რუსეთში აინტერესებდა ვინმეს, იგულისხმებოდა, რომ ისინი ისედაც ემორჩილებოდნენ საერთო ტენდენციას, როგორც იყო მიღებული ბატონყმობის დროს.

ასეთი საფუძველი ჰქონდა მიხეილ ვორონცოვის ლიბერალიზმს, კულტურ-პოლიტიკას, რომელიც მან განახორციელა საქართველოში თავისი მმართველობის ათწლედში.

ვორონცოვის ინიციატივით ქართველ თავად-აზნაურთა შვილები გააგზავნეს სასწავლებლად პეტერბურგსა და მოსკოვში, გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, იტალიური ოპერა და ბალეტი, რუსული, ქართული და სომხური თეატრები, გამოიცა ქართული ჟურნალი, 20 000 ქართველ თავად-აზნაურს დაუმტკიცდა თავიანთი შთამომავლობითი წოდება, გაგრძელდა „Кавказ“-ისა და „Закавказский Вестник“-ის გამოცემა.

ყურადღება მიექცა განათლების სისტემასაც – ტფილისში არსებობდა გიმნაზია, სამხედრო სასწავლებელი, სასულიერო სემინარია.

მათ დაემატა პანსიონები ტფილისსა და სხვა ქალაქებში.

მათი მეშვეობით უნდა აღეზარდათ იმპერიის საიმედო და განათლებული კადრები.

შემოვიდა ფოტოგრაფია, რომელიც დაგერმა, ნიეფსიმ და ტოლბოტმა გამოიგონეს 1839 წელს.

ტექნიკის ყოველი სიახლე სასწაულს ჰგავდა.

გაგრძელდა ტფილისის კეთილმოწყობა.

ქართველი აქტივისტების თხოვნითა და მონაწილეობით მეფის ნაცვალმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოჰყო თანხა და უზრუნველყო ახალ კულტურულ დაწესებულებათა ფუნქციონირება. ქართველებსაც უნდა ჰქონოდათ პური და სანახაობა.

შეღავათები შეეხო სასამართლო სისტემასაც.

ფაქტიურად საქართველომ მიაღწია კულტურულ ავტონომიას. ქართველს შეეძლო ეზრუნა თავისი ენისა, მწერლობისა, წიგნისა და ჟურნალ-გაზეთებისათვის, თავისუფლად მიეღო ცოდნა-განათლება, შეენარჩუნებინა კულტურა და ტრადიციები.

ცხადია, იმპერია ყოველთვის არ დააფინანსებდა ქართულ კულტურას და ეს დახმარება მალე შეწყდა კიდეც, მაგრამ მთავარი იყო უფლების მოპოვება, რომ რუსს ეცნო ქართველის ღირსება, არ დაეჩაგრათ ეროვნული ნიშნით. ეს უფლება სისხლით იქნა მოპოვებული თურქებთან, სპარსელებთან, ლეკებთან თავგანწირული ბრძოლების შედეგად.

ასეთი ვითარება დახვდათ 60-იან წლებში პეტერბურგიდან დაბრუნებულ ქართველ ახალგაზრდებს – „თერგდალეულებს“.

ახლა მთავარი იყო თავად ქართველთა ინიციატივა და უნარი, როგორ გამოიყენებდნენ სათავისოდ სიტუაციას:

რუსები ფიქრობდნენ ამ ფორმით ქართველთა რუსიფიცირებას, მათთვის ნაციონალური სულის ამოცლას, როგორც წერდა ლერმონტოვი. ქართველები კი ცდილობდნენ დროის მოგებას, მეობის შენარჩუნებას, გამრავლებას და განმტკიცებას, კულტურის აღმავლობას. რომანტიკოსებმა ცრემლი შეიშრეს და სიცილი ისწავლეს. დანარჩენს მომავალი იტყოდა.

თეატრის აღდგენა

როგორც ვთქვით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ახალშენები, ანტიკური ქალაქები ავრცელებდნენ ბერძნულ-რომაულ კულტურას, დიონისეს კულტს, მასთან დაკავშირებულ სახიობას, აგებდნენ ჰიპოდრომებსა და თეატრის შენობებს, აკეთებდნენ სარიტუალო ნიღბებს.

ხოლო უძველეს დროში არსებობდა მსხვერპლშეწირვის რიტუალი, რომელსაც ახლდა როკვა, რეჩიტატივი, ქურუმის მიერ

ორგანიზებული, ჯერ – ერთიანი პროცესი, შემდეგ – გაყოფილი შემსრულებლად და მაყურებლად.

ოღონდ ეს იყო არა თამაში, არამედ რეალობა, რომელიც გადადიოდა ახალ-ახალ სარიტუალო პროცესებში.

ძველქართულ ენას ჰქონდა თეატრალურ ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინები – მოსაწევართმეტყეზე – გლოვის მგოსანი, მახიობელი-დითირამბების შემსრულებელი, მესახიე – მსახიობი, პირის დასაბურველი – ნიღაბი, ფერხული – გუნდი, სახიობა – ცეკვა – სიტყვა – სიმღერის სინთეზი...

გავრცელებული იყო ყეენობა, ბერიკაობა, როგორც ხალხური თეატრი, სასახლის საკარო სახიობა, კაფიობა, სახალხო დღესასწაულები (მაგ., მცხეთობა, თელეთობა, ალავერდობა).

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, რუსული კულტურის გაცნობის შედეგად ტფილისისა და თელავის სემინარიებში შემოდის სასკოლო დრამა, მეფის სასახლესთან ყალიბდება საერო თეატრი გიორგი ავალიშვილის ხელმძღვანელობით.

ამ თეატრის დასი განადგურდა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემდეგ სცენისმოყვარულთა წრეები გადავიდა თავადების სალონებში, რაც არსებობდა სხვადასხვა ქალაქში.

დრამატურგიაში ორი მიმართულება განვითარდა – კლასიცისტური და რეალისტური.

1850 წელს დაარსდა ქართული თეატრი. ხელმძღვანელი გიორგი ერისთავი – პოეტი და დრამატურგი.

მანამდე უკვე ფუნქციონირებდა რუსული დრამატული თეატრი და თამამშევის სომხური თეატრი. ამიტომ ქართველმა თავადებმა მოინდომეს მშობლიურ ენაზეც ყოფილიყო თეატრი, რომლის ხელმძღვანელად ესახებოდათ გიორგი ერისთავი, რომელიც კარგად იყო ცნობილი, როგორც მსახიობი და პიესების ავტორი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

მისი ვაჟი იყო დავით ერისთავი, პიესა „სამშობლოს“ ავტორი (გადმომკეთებელი), გაზეთ „Кавказ“-ის რედაქტორი.

მანანა ორბელიანმა სთხოვა ვორონცოვს, რომ გახსნილიყო ქართული თეატრი და ხელმძღვანელად დაენიშნათ გიორგი ერისთავი.

მეფისნაცვალს იდეა მოეწონა, მიიღო დრამატურგი, რომელმაც გააცნო „გაყრის“ შინაარსი. პიესა ათარგმნინეს დიმიტრი ყიფიანს და წიგნადაც გამოსცეს ვორონცოვის განკარგულებით.

ყიფიანმა თავად წაუკითხა პიესა მეფისნაცვალს.

გაძნელდა თეატრის დასის ჩამოყალიბება. ქალები უარს აცხადებდნენ მონაწილეობაზე. ზოგი ქართველი ინტელიგენტიც ყოფილა წინააღმდეგი (მაგ., პლ. იოსელიანი). არსებობდა კონკურენციის პრობლემაც.

თეატრს არ ჰქონდა შენობა.

დაფინანსების საკითხი გადაწყვიტა ვორონცოვმა:

მან დასს მისცა წლიურად 4 000 მან. და დამატებითი სამგზავრო თანხა. ცენზორად დაუნიშნა ვ. ბებუთოვი (ბებუთაშვილი).

ბებუთოვს პიესა „გაყრა“ გიორგი ერისთავმა წაუკითხა.

ცენზორს ბევრი უცინია და ვორონცოვისთვის მოუხსენებია, რომ საეჭვო არაფერი იყო.

„გაყრა“, თეატრის პირველი სპექტაკლი, წარმოადგინეს გიმნაზიის მცირე დარბაზში, 1850 წლის 2 (14) იანვარს.

ეს თარიღი ითვლება ქართული თეატრის დღედ.

დეკორაციები გააფორმა მხატვარმა გ. გაგარინმა, რომელიც საკმაო ხანს მოღვაწეობდა ტფილისში.

სპექტაკლს დაესწრო ვორონცოვი მეუღლესთან ერთად და ძალიან გახარებული დარჩა, აღფრთოვანდა მსახიობების თამაშით. იგი შემდეგაც ესწრებოდა წარმოდგენებს.

მიკირტუმ გასპარიჩის როლს ერისთავი ასრულებდა.

პირველ წარმოდგენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ი. პოლონსკიმ ლექსი დაწერა, „Кавказ“-მა რეცენზია დაბეჭდა, მოწინააღმდეგენიც მიესალმნენ. ხალხშიც გავრცელდა პერსონაჟთა სახელები და ცალკეული ფრაზები.

მეორე სპექტაკლიც იყო გიორგი ერისთავის პიესა – „დავა“. შემდეგ მოვიდნენ სხვა დრამატურგებიც – ზურაბ ანტონოვი, ივანე კერესელიძე, შეემატნენ მსახიობი ქალებიც.

1851 წელს წარმოადგინეს 22 სპექტაკლი.

გაზეთ „Кавказ“-ში თეატრალურ წერილებს აქვეყნებდა პოეტი და მთარგმნელი მიხეილ თუმანიშვილი, განიხილავდა სპექტაკლებს.

ვორონცოვი იმპერატორს სწერდა, რომ გემოვნების განვითარებისა და რუსებთან დასაახლოვებლად თეატრი კარგი საშუალებააო.

რუსები ვორონცოვს ურჩევდნენ, ქართული თეატრი წამგებიანია და ნუღარ დააფინანსებთო. მაგრამ მეფისნაცვალმა თავისი სიტყვა დაიცვა. კრიზისი დაიწყო მისი წასვლის შემდეგ.

ქართველებს თავად უნდა ეზრუნათ თეატრის გადასარჩენად, რადგან არც დარბაზი ჰქონდათ, არც თანხები.

ჟურნალი „ცისკარი“

ჟურნალი „ცისკარი“ გამოდიოდა 1852-1853 წლებში. დაიბეჭდა 24 ნომერი. ტირაჟი იყო 200 ეგზ. მათგან 100 ცალს შეისყიდდა ვორონცოვი წმ. ნინოს სასწავლებლისათვის.

ჟურნალს სუბსიდიად ეძლეოდა 500 მანეთი.

წლიური ფასი იყო 5 მან. ანუ ნომერი ღირდა 42 კაპ. შემდეგ ისე შემცირდა ხელმომწერთა რიცხვი, რომ გამოცემა ვეღარ გაგრძელდა. ამას დაერთო ვორონცოვის წასვლა ტფილისიდან.

ჟურნალს რედაქტორობდა გიორგი ერისთავი.

მას უკვე კარგად იცნობდა ხელისუფლება, მოსწონდათ მისი პიესები და თეატრი. ამიტომ ინტელიგენციამ მოინდომა, ეს საქმეც გიორგი ერისთავს ეთავა.

იგი მოელაპარაკა ვორონცოვს და შემდეგ მას განცხადებით მიმართა.

ვორონცოვმა მისწერა კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს ა. ჩერნიშევს, აუხსნა ჟურნალის მიმართულება.

ჩერნიშევი დაეთანხმა. მალე მოვიდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ნებართვაც. რუსულმა გაზეთებმა რეკლამა გაუკეთეს. ვორონცოვმა დააფინანსა და რედაქციას აჩუქა საბეჭდი მანქანა (ალ. კალანდაძე).

ჟურნალი ლიტერატურული უნდა ყოფილიყო, არ უნდა ჰქონოდა პოლიტიკური მიმართულება. ეს ზღუდავდა რედაქტორს, იგი ვერ შეეხებოდა აქტუალურ საკითხებს, ხოლო თანამედროვე მწერლები იმდენად სუსტად წერდნენ, რომ მკითხველს ვერ მოიზიდავდნენ.

გიორგი ერისთავმა ისტორიას მიმართა. დასტამბა ძველი და ახალი დროის ავტორები, ბეჭდურად გააცნო მკითხველებს თეიმურაზ I, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, კრილოვის, მიცკევიჩის, პუშკინის, შილერის, ჰიუგოს თარგმანები.

როცა რუსეთსა და ევროპაში უამრავი ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, ქართველებმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ამ ერთი ჟურნალის გამოცემა მოახერხეს და ისიც მალე შეწყდა.

ჟურნალ „ცისკარს“ წინ უსწრებდა რამდენიმე გამოცემა, რომლებიც იწყებენ ქართული პრესის ისტორიას, ქართულ ჟურნალისტიკას.

მაშინ ბეჭდვით სიტყვას დიდი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა მცირე იყო წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი.

წარმოიდგინეთ, ჟურნალის გამოცემას იმპერატორის ნებართვა სჭირდებოდა (სპეციალურად XIX საუკუნის ქართულ პრესაზე იხ. ალ. კალანდაძის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ხუთტომეული)!

ადრეული გამოცემები

პირველი ქართული პერიოდული გამოცემაა „საქართველოს გაზეთი“ („ქართული გაზეთი“).

გამოდიოდა 1819-1821 წლებში.

გაზეთი და ბეჭდური წიგნი არ აინტერესებდათ ოსმალეთსა და ირანის იმპერიებს. ქართველთა ჩამორჩენა ამანაც გამოიწვია.

ეს მაშინ, როცა პირველი ნაბეჭდი გაზეთი 1609 წელს გამოვიდა სტრასბურგში (გერმანულ ენაზე), ამსტერდამში – 1620 წელს (ინგლისურ ენაზე), 1621 წელს – პარიზში (ფრანგულ ენაზე).

ჩამორჩენა ითვლის 200 წელს.

რუსეთში პეტრე I-ის თაოსნობით იცემა 1702 წლიდან „Ведомости Московского государства“.

„საქართველოს გაზეთი“ გამოიცა ქართველთა ზედა ფენის ინიციატივით. მთავარმართებელ ერმოლოვის მხარდაჭერითა და დახმარებით (ალ. კალანდაძე, ნ. ტაბიძე).

გაზეთის გამოსვლა გაჭიანურდა, რადგან ცოტა იყო ხელისმომწერი. მხოლოდ სომეხთა არქიეპისკოპოსის მიერ შეკრებილმა 200-მა მანეთმა და ტფილისის პოლიციის უფროსის მიერ მოპოვებულმა 105-მა ხელისმომწერმა უზრუნველყო გამოცემა.

ამ დროს ლონდონში დილის 8 და საღამოს 7 გაზეთი გამოდიოდა.

„საქართველოს გაზეთი“ იბეჭდებოდა კვირაში ერთხელ, იბეჭდებოდა სამხედრო სტამბაში.

გაზეთი მეტწილად აქვეყნებდა ოფიციალურ მასალებს და ინფორმაციებს, განკარგულებებს, განცხადებებს. აშუქებდა ტფილისის ცხოვრებას, საერთაშორისო ამბებს.

თავიდან თუ ხელისმომწერი 500 იყო, სამი წლის შემდეგ საერთოდ არ ჰყოლია.

გაზეთი დაიხურა საზოგადოების გულგრილობის გამო.

1828-1832 წლებში გამოდიოდა „ტფილისის უწყებანი“.

გამოიცა ახალი მთავარმართებლის, პასკევიჩის შუამდგომლობით განათლების მინისტრისადმი.

1831 წელს გაზეთი არ გამოსულა.

თავიდან ტირაჟი იყო 400 ეგზ. შემდეგ 20-მდე დავიდა. ამ დროს რუსულ გამოცემას იწერდა 1 500 მკითხველი.

გაზეთს ხელმძღვანელობდა „Тифлисские ведомости“-ს საგამომცემლო კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ რუსები, ერთი სომეხი და ორი ქართველი – ნ. ფალავანდიშვილი და ს. დოდაშვილი.

რუსული გამოცემის რედაქტორი იყო პ. სენკოვსკი, ქართულისა – ს. დოდაშვილი, თუმცა მთავარი მაინც რუსი ჟურნალისტი გახლდათ.

1832 წელს გამოიცა ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი „ტფილისის უწყებათანი“.

დაიბეჭდა ხუთი ნომერი. ტირაჟი – 100 ეგზ. რედაქტორი – სოლომონ დოდაშვილი.

მეხუთე ნომერი გამოვიდა 15 მარტს ანუ შეწყდა გამოცემა შეთქმულების გაცემამდე კარგა ხნით ადრე, სენკოვსკის გარდაცვალებისა და მისი სტამბის დახურვის გამო.

საინტერესოა, რომ აქ დაიბეჭდა თადეოზ გურამოვის (გურამიშვილის) – ილია ჭავჭავაძის მომავალი სიმამრის ლექსი „საყვარელო მამულო!“.

1832 წლის შეთქმულების შემდეგ ბეჭდურ პრესაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მხოლოდ 1845 წელს გამოიცა „კავკასიის მხარეთა უწყებანი“.

1835 წელს გიმნაზიის მოწაფეებს დაუარსებიათ ხელნაწერი ჟურნალი – „Цветок Тифлисской гимназии“, რომელიც იმეორებდა „Библиотека для чтения“-ს სტრუქტურას.

1845-1855 წლებში „Закавказский вестник“-ს რედაქტოროზდა პლატონ იოსელიანი და მან მოახერხა, რომ ეს გაზეთი დაბეჭდილიყო ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც.

ტირაჟი იყო 50 ეგზ.

მოღწეულია ორი ნომერი. შეიძლება ქართულად მეტი არც გამოსულა (ალ. კალანდაძე).

ნელ-ნელა, წვალებით, მაგრამ მაინც ფეხს იდგამდა ქართული პრესა, რაც მალე კულტურის ძლიერ ბურჯად იქცა და აქტიურად ჩაერთო იდეოლოგიურ და რევოლუციურ ბრძოლებში, ლიტერატურის გავრცელებაში.

იმპერიას აინტერესებდა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები (მაგ., გზა, რკინიგზა, მეფისნაცვლის სასახლე) და არა ადგილობრივ მოსახლეთა განათლება და კულტურა, მაგრამ პრესა იყო ინფორმირების წყარო და საშუალება. ამიტომ იგი სჭირდებოდა სახელმწიფოს, ოღონდ კონტროლქვეშ მოქცეული, რასაც ასრულებდა ცენზურა.

ხელისუფლება იცავდა წესრიგს, პოლიცია ებრძოდა ქურდებსა და აბრაგებს, რათა დაცული ყოფილიყო მოქალაქეთა სიცოცხლე და საკუთრება.

სასამართლო არეგულირებდა სიტუაციას, მაგრამ აქაც აღწევდა კორუფცია და ნეპოტიზმი.

პრესა აშუქებდა უცხოეთისა და იმპერიის ცხოვრებას. მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს, მიმართულებას აძლევდა ადამიანთა ცნობიერებას, გამოკვეთდა საზოგადოებრივ ტენდენციებს.

ქართულ პრესას ჯერ ეს არ შეეძლო. იგი მხოლოდ წანამძღვრებს იძლეოდა მომავლისათვის.

სიცილის თერაპია

შეთქმულება დამარცხდა. მთავარი რომანტიკოსები აღარ იყვნენ ცოცხალი ან დადუმდნენ. მათი გმირული სული პრაგმატიზმით დახურდავდა.

პოლიტიკურად დამარცხებულ რომანტიზმს ცვლიდა რეალური ცხოვრება, ყოფითი პრობლემებითა და ნიუანსებით.

მათაც გააჩნდათ დრამატიზმი, მაგრამ აღარ ახლდა პათეტიკა, მსოფლიო სევდა და არისტოკრატიზმი. სალონების ესთეტიკას პრესა აღარ ეფარდებოდა.

გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის პიესები, ქართული თეატრის ჟარგონი, სომეხი პერსონაჟები, კომიზმი შეეფერებოდა ტფილისურ ჰიბრიდს, პურისა და სანახაობის მოთხოვნას.

კომიზმით დრამატიზმისაგან განმუხტვა იყო სოციალური თერაპია. პრესას კულტურა და პოლიტიკა სასახლეებიდან, სალონებიდან ქუჩებში, სოფლებში, ქოხებში უნდა გაეტანა, სადაც შიშველი ფაქტი უფრო აინტერესებდათ, ვიდრე პათეტიკითა და ჰეროიკით შებურვილი ისტორია. მუდმივი ბრძოლებით, მუდმივი დამარცხებით გატანჯული და გულგატეხილი ხალხის გულს სიცილი აწყნარებდა.

დამარცხებულ არისტოკრატიასა და მასებს შვებას ჰგვრიდა შავი, მდაბიური იუმორი, ნიჰილიზმი და ცინიზმი.

ასეთივე განწყობილებით იწერებოდა, ოღონდ მეტი ოსტატობით ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ და ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“

დრამატიზმი გადავიდა ეროვნულიდან სოციალურ სფეროში (დანიელ ჭონქაძე, ილია ჭავჭავაძე), რაც მოემზადა ლიტერატურას ბატონყმობის გაუქმების წინა პერიოდში.

ვორონცოვისათვის მისაღები იყო კომიზმი, სიცილი, გართობა, რაც აცხრობდა აგრესიას, ვნებების ამბოხს.

ვისაც სისხლი არ ასვენებდა, ცხენი და ხმალი ენატრებოდა, მისთვის ხსნილი იყო დაღესტნის კარები.

ამას დაერთო ყირიმის ომი, ბრძოლები ოსმალების წინააღმდეგ, რაც იმპერიის დამარცხებით დასრულდა.

ამან კი დააჩქარა სოციალური პროგრესი – ბატონყმობის გაუქმება.

მიხეილ ვორონცოვის კულტურპოლიტიკა, მეტ-ნაკლები კორექტივით, გაგრძელდა 60-იანი წლებიდან, როცა თერგდალეულები დაბრუნდნენ პეტერბურგიდან და ახალგაზრდული გატაცებით მიმართეს კულტურის სხვადასხვა სფეროს.

მათი შთამაგონებელი იყვნენ რუსი მოაზროვნენი (ბელინსკი, ჩერნიშევსკი, გერცენი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი).

ცხოვრების მოთხოვნილებამ, რეალისტურმა ხედვამ მოიტანა მეტი რაციონალიზმი და პრაგმატიზმი.

კულტურა, როგორც ორლესული

როგორც ვთქვით, რუსეთი საქართველოს მიიჩნევდა არა კოლონიად, არამედ თავისი ტერიტორიის ნაწილად, რომლის მო-

სახლენი თანდათან ასიმილირდებოდნენ – კულტურის ზემოქმედებით, მმართველობით, ეკლესიით, განათლებით, ენით, კარგი ცხოვრებით, შერეული ქორწინებით.

ყველა სფეროში დომინანტი იყო რუსული, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა თავად რუსის მიერ დაფინანსებული სუსტი პრესა, თეატრის ჟარგონი, სალონში წაკითხული ლექსები, ჩუმი ოხვრა და ნაღველი.

ქართველი ხალხი იმპერიის საყრდენად მიიჩნეოდა, რომელიც ერთგულად ედგა გვერდში რუსებს შამილთან, ირანელებთან, თურქებთან, მეამბოხეებთან ბრძოლაში, იჩენდა სიმამაცეს და ღვრიდა სისხლს.

შეღავათები კეთილი ნების გამოვლენა იყო, რაც ისევ პატივისცემას აღგიძრავდა რუსებისადმი, მაგ., ვორონცოვის მიმართ.

ესეც დროებითი ფაქტი იყო.

დაიწყო ყირიმის ომი, წავიდა ვორონცოვი და დასრულდა რუსთ მოწყალება. დარჩა უფლებები, მაგრამ აღარ იყო ფინანსები.

თავადაზნაურობა თავს არ იკლავდა კულტურისადმი ინტერესით.

რუსიციზების პროცესს აჩერებდა ისევ უვიცი და ბნელი მასა, რომელმაც არც რუსული იცოდა, არც რუსული კანონები, არც გაზეთი და არც წიგნი.

სიღრმემდე ჯერ ვერ აღწევდა პეტერბურგის შუქი. მაგრამ რუსულმა დაიმორჩილა ელიტა, გრძელდებოდა აღზრდის პროცესი და იგი სწვდებოდა მასის მეტ და მეტ ნაწილს.

კულტურა, ერთი მხრივ – ასიმილირების იარაღი იყო. მეორე მხრივ – აღვივებდა და ამაგრებდა ეროვნულ თვითშეგნებას. არადა – კულტურისა და განათლების გარეშე უკვე არსებობა შეუძლებელი იყო.

XIX საუკუნეში შუასაუკუნეების წესით ვერ იცხოვრებდნენ.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, როცა მასებმა თეორიულად, დეკლარაციულად მოიპოვეს თავისუფლება, კიდევ უფრო საგრძნობი გახდა კულტურისა და განათლების ორმაგი ძალა და მნიშვნელობა.

თანდათან მასებიც ჩაერთვნენ კულტურის პროცესში, მათაც გაიკვლიეს გზა უნივერსიტეტისაკენ. მეტი უფლებები მიეცა ბურჟუაზიას, ვაჭართა კლასს. მათ ხელში გადადიოდა ქონება და კონტრდებოდა თავადაზნაურობა, როცა გლეხები სტოვებდნენ სოფელს და ავსებდნენ პროლეტართა რიგებს.

პიროვნების ნიჭი, ცოდნა და აქტივობა განსაზღვრავდა ცხოვრებას და არა მემკვიდრეობითი სტატუსი.

XIX საუკუნეში რუსეთმა დიდ წარმატებებს მიაღწია, როგორც პოლიტიკის, ისე კულტურის სფეროში.

„ევროპის ჟანდარმი“ ცდილობდა განევითარებინა ხელოვნება და მეცნიერება, მიჰყოლოდა ევროპულ პროგრესს.

ოპოზიციური აზრი მაინც არ ისვენებდა, მეტს მოითხოვდა, რათა იმპერია ყოფილიყო უპირველესი სახელმწიფო მსოფლიოში.

ამიტომ თვითკრიტიკა იყო არა თვითუარყოფა, არამედ – მეტის მოთხოვნა და წინსვლისკენ სწრაფვის სიგნალი, როგორც ჩვენში ილიას „ბედნიერი ერი“ და აკაკის „ფურთხის ღირსი ხარ“.

აი, ზოგიერთი მწარე სიტყვა:

ლერმონტოვი: „Прощай немытая Россия, страна рабов, страна господ...“

პუშკინი: „О, как груб наш русский язык!..“

ა. კ. ტოლსტოი: „Московия – Русь тайги, монгольская, дикая, звериная...“

ბულგაკოვი: „Не народ, а скотина, хам, дика орда душегубов и злодеев...“

დოსტოევსკი: „Народ, который блуждает по Европе и ищет, что можно разрушить, уничтожить только ради развлечения...“

მაქსიმ გორკიც ამხელდა რუსების სისასტიკეს.

რუსეთის ინტელიგენცია ასპარეზს აძლევდა სხვა ერის შვილებს, მათ შორის – ქართველებს, რათა ერთად ელვაწათ პროგრესის მისაღწევად, მაგრამ იმდენად იყო მათში ფესვგადგმული ნაციონალიზმი, რომ დამოუკიდებელ არსებობაზე ფიქრიც კი, არათუ მოქმედება, ღალატად მიაჩნდათ.

რუსული ქრისტიანული სათნოება და დემოკრატიული პლურალიზმი სცნობდა მხოლოდ იმპერიულ სულისკვეთებას და მახვილით დაპყრობილს კულტურითაც იმორჩილებდა.

ქართველ ხალხს ყოველთვის მძიმე დრო ედგა, რადგან არ ეყუდნოდა საკუთარი თავი და სხვისი ნებით უნდა ეცხოვრა.

ასე იყო 60-იან წლებშიც, როცა კულტურა და განათლება აძლიერებდა რუსიციზების პროცესს, უსისხლოდ გადაგვარებას.

ასეთ დროს გამოჩნდნენ „თერგდალეულები“, როგორც კულტურის წიაღიდან წარმოქმნილი კონტრკულტურა და ოპოზიციური ძალა.

III. თერგდალეულები: განმანათლებლობა და თვითმოქმედება

1. „მამები“ და „შვილები“

ლიბერტი და ლიბერალიზმი

სავაჭრო კაპიტალის მოძალება, ბურჟუაზიის აღზევება, რაც დაემყარა ჭკუას, მოხერხებას, გაცვლა-გამოცვლის ნიჭს ანუ პიროვნების აქტიურობას, დაუპირისპირდა გვაროვნულ არისტოკრატიას, მის მკაცრს მორალს, ტრადიციებს, რიტუალიზებულ ეტიკეტს, გაქვავებულ რაციონალიზმს, რელიგიურ ფანატიზმს.

არისტოკრატია გადაშენების გზაზე იდგა. რეალობას ბურჟუაზიული ურთიერთობანი, კომერცია, პრაქტიკული გონი ამოძრავებდა.

ძველ ელიტარულ ღირებულებებს სძირავდა მასების წიაღი, მასის სტიქიური კულტურა და მოთხოვნები, პლებეური სული, თავისუფლებისაკენ სწრაფვა.

ახალ მოძრაობას აკავშირებდნენ რომაულ ღმერთებთან – ლიბერთან და ლიბერასთან, მათ თავაშვებულ ქცევასთან, ეროტიკასა და ორგიებთან.

ლიბერი ელინური დიონისეს რომაული ვარიანტი იყო.

ასე გაჩნდა ლიბერტის (თავისუფლება) და ლიბერალიზმის იდეები, როგორც დაბალი ფენებიდან წამოსული დემოკრატიული კულტურა, ინტელექტუალური აქტივობით განსაზღვრული მასობრივი მოძრაობა, რაც ერთი მხრივ იყო ბურჟუაზიული, მეორე მხრივ – სოციალისტური.

ახლა ისინი ქმნიდნენ ელიტას, რაც დაეფუძნა საუნივერსიტეტო განათლებას, ცოდნას, ინტელექტს, ფულს.

სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში

უმაღლესი განათლების მიღება იმპერიის რამდენიმე უნივერსიტეტში შეიძლებოდა. მათგან მთავარი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტი. მაშინ უმთავრესი ყურადღება ექცეოდა ჰუმანიტარულ განათლებას. ქუთაისისა და ტფილისის კლასიკურ გიმნაზიებში მკაცრი წესით (იხ. აკ. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“) აღზრდილი ახალგაზრდები სწავლას აგრძელებდნენ იმპერიის დედაქალაქში.

აქ ისინი არა მხოლოდ სპეციალობას იძენდნენ (მაგ., იურისპრუდენცია), არამედ – ეცნობოდნენ საერთო კულტურულ ატმოსფეროს, ახალგაზრდობის განწყობილებას, ოპოზიციურ თვალსაზრისს, ევროპიდან მომდინარე იდეებს, რაც მიმართული იყო რუსული სინამდვილის ევროპეიზებისაკენ.

სტუდენტები ამყარებდნენ პირად კონტაქტებს კოლეგებთან, სრულყოფილად ეუფლებოდნენ რუსულ ენას, იძენდნენ თანამედროვე ცოდნას, რათა ოთხი წლის შემდეგ, როცა დაბრუნდებოდნენ სამშობლოში, ემსახურათ არა მხოლოდ სპეციალობის მიხედვით, არამედ – ეფიქრათ ქვეყნის ბედსა და მომავალზე (შდრ – ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“).

პეტერბურგის უნივერსიტეტი დაარსდა 1819 წელს. ამ უმაღლესმა სასწავლებელმა მალე მოიპოვა პოპულარობა, დაჩრდილა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტი, როგორც იმპერიის ცენტრში არსებულმა განათლების კერამ.

აქ სწავლობდა სოლომონ დოდაშვილი.

აქ სწავლობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე თარხნიშვილი, ვასილ და ვანო მაჩაბლები, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, კონსტანტინე გამსახურდია...

ლექციებს კითხულობდნენ თვალსაჩინო რუსი პროფესორები, რომელთაც სტაჟირება გავლილი ჰქონდათ ევროპაში დიდ და გამოჩენილ მეცნიერებთან, მეცნიერებისა და კულტურის საყოველთაოდ აღიარებულ ცენტრებში.

ქართველთაგან პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ ფილოლოგები – დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი – ქართველოლოგიისა და არმენისტიკის ფუძემდებელი, ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი, ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი...

აქ იყო ორიენტალისტიკის ცენტრი, რომლის ტრადიციები საქართველოში გადმოიტანეს, როცა ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით დაფუძნდა ტფილისში უნივერსიტეტი.

იმპერიის სხვა უნივერსიტეტებშიც მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები – ოდესაში ქიმიკოსი ვასილ პეტრიაშვილი (ერთხანს მისი რექტორი), ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი (სსრკ მეცნ. აკად. წევრ-კორ.), მოსკოვში – ისტორიკოს–ფილოლოგი ალექსანდრე ხახანაშვილი...

ქართველი სწავლულებიც მონაწილეობდნენ კულტურისა და მეცნიერების დიფერენცირების პროცესში, ცალკეული დარგების ჩამოყალიბებაში. მაგრამ მათ მეტი აქტივობა გამოავლინეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მწერლობასა და პუბლიცისტიკაში, ქართველოლოგიაში, საუკუნის მიწურულიდან კი – რევოლუციურ მოძრაობაში.

ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა 1857 წელს, იურიდიულ ფაკულტეტზე. დამთავრებული ჰქონდა ტფილისში ჰაკეს პანსიონი და გიმნაზია.

როგორც ღარიბმა თავადიშვილმა, რომელსაც არც დედა ჰყავდა და არც მამა, ითხოვა, რომ სწავლის ქირა ეპატიებინათ.

წლიური გადასახადი იყო 25 მანეთი.

სტუდენტის თხოვნა დააკმაყოფილეს.

ილია გულმოდგინედ სწავლობდა, წერდა ლექსებს, დადიოდა თავისი შორეული ნათესავის ეკატერინე ჭავჭავაძე–დადიანის ოჯახში, სადაც წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერები, ეცნობოდა საზოგადოებრივ პოლიტიკურ სიტუაციას, რაზნოჩინურ ინტელიგენციას, რუსულ და ევროპულ მწერლობას, თანამშრომლობდა ივანე კერესელიძის „ცისკარში“.

ერთხანს რუსი გენერლის ქალიშვილმა, პეტრე ჩაიკოვსკის დამ თუ ძმისშვილმა დაიპყრო პოეტის გული.

არც ლიზა ჭავჭავაძისადმი (კოტე მარჯანიშვილის დედა შემდეგში) ტრფიალი აღმოჩნდა იღბლიანი („გახსოვ, ტურფავ, ამ დიდ ბაღში“).

ილიას მეუღლე გახდა ოლღა გურამიშვილი.

უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია – ფილტვების სისუსტის გამო IV კურსიდან მიატოვა ჩრდილოეთი და დაბრუნდა საქართველოში, რაც აღწერილი აქვს „მგზავრის წერილებში“.

ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგის უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნა მიმართა ქართული კულტურის გარდასაქმნელად.

26 წლის ასაკამდე დაწერილი აქვს თავისი საუკეთესო ლექსები, „მგზავრის წერილები“, „კაკო ყაჩაღი“, „კაცია ადამიანი?!“ „გლახის ნაამბობი“ (I-V თავი), „აჩრდილის“ I ვარიანტი, მწვავე და აქტუალური კრიტიკული წერილები, სცემს ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“.

ასე იქცა ახალთაობის ლიდერად, რომელიც ასეთივე იდეებით იყო გატაცებული.

ბატონყმობის გაუქმება

ლენინის სიტყვით, 60-იანი წლების რუსული განმანათლებლობის არსი იყო: 1. სიძულვილი ბატონყმობისადმი, 2. განათლებისა და თვითმმართველობის დაცვა, 3. დაბალი ფენების, კერძოდ – გლეხთა ინტერესებისათვის ზრუნვა.

რუსი რაზნოჩინელების კონცეფცია პეტერბურგის უნივერსიტეტში განსწავლულმა ახალგაზრდებმა მოარგეს ჩვენს სინამდვილეს, დაუპირისპირდნენ ე. წ. „მამების“ თაობას.

ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ იმპერია ირყეოდა, დაიწყო გლეხთა აჯანყებები. გერცენის „კოლოკოლი“ ევროპიდან არისხებდა ზარებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

შიგნით ჩერნიშევსკი, პისარევი, დობროლუბოვი იბრძოდნენ დემოკრატიისა და საზოგადოების გაჯანსაღებისათვის.

იმპერატორს გაუმწელდა უზარმაზარი ტერიტორიის მართვა, წესრიგის შენარჩუნება. ეს, სოციალური პრობლემების გარდა, კიდევ იმიტომ ჭირდა, რომ რუსეთი აერთიანებდა დაპყრობილ ქვეყნებს, სხვადასხვა ერებს, აერთიანებდა იარაღის ძალით, დესპოტური სიმკაცრით.

ალექსანდრე II გრძნობდა, რომ იმპერიის სიმყარე მოჩვენებითი იყო. ამიტომ თქვა, სჯობს ზემოდან დავიწყოთ რეფორმები, ვიდრე ეს ქვემოდან მოხდებაო, ე. ი. რევოლუციას ევოლუციით დაუპირისპირდა, რითაც განმუხტა სიტუაცია.

1857 წლიდან გავრცელდა ხმა ბატონყმობის გაუქმებაზე, ყმების განთავისუფლებაზე, რაც სხვადასხვაგვარად წარმოედგინათ მმართველებს.

ხელისუფლება იცავდა ზედა ფენების ინტერესებს და ცდილობდა მათთვის ზიანი ნაკლებად მიეყენებინა. ამიტომ დააწესეს მიწის გამოსასყიდი და წოდებები შეინარჩუნეს.

ბატონყმობის გაუქმება იმპერატორმა მანიფესტით გამოაცხადა 1861 წლის 19 თებერვალს. ამას მოჰყვა პეტერბურგში სტუდენტთა არეულობა. აქტივისტები დააპატიმრეს. მათ შორის 13 ქართველიც გამოამწყვდიეს კრონშტადტის ციხეში (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ღოღობერიძე....).

იტალიაში გარიბალდმა დაიწყო ნაციონალური მოძრაობა ქვეყნის გასაერთიანებლად, რასაც აღფრთოვანებით შეხვდა ილია ჭავჭავაძე და ინატრა, „ეს ხმა ტკბილი“ გაეგონა საქართველოშიც.

განახლების მედროშე ახალგაზრდობაა. ასე იყო ახლაც, მითუმეტეს, რომ ქართველთა წინაშე სოციალურს ერწყმოდა ნაციონალური საკითხი. ამიტომ რუსეთში დაწყებული მოძრაობა იმედს ანთებდა ახალგაზრდების გულში – მათ იცოდნენ, რომ იზოლირებულად ვერ იმოქმედებდნენ.

1864 წელის 13 ოქტომბერს საქართველოშიც, იმპერატორ ალექსანდრე II-ის განკარგულებით, გაუქმდა ბატონყმობა.

კამათის საგანი იყო – ყმა მიწიანად გაეშვათ თუ უმიწოდ, მიეცათ გამოსყიდვის უფლება თუ თავისუფლება მიენიჭებინათ.

ყმების განთავისუფლება მძიმე დარტყმა იყო უზრუნველად მცხოვრები თავადაზნაურობისათვის. ამიტომ მთავრობამ გარკვეული თანხა გამოჰყო ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობისათვის – 160.000 მან. საკომპენსაციოდ.

გზა ეხსნებოდა სავაჭრო კაპიტალს, ბურჟუაზიას, პირად ინიციატივას, ნიჭსა და განათლებას. დაირღვა კლასთა იერარქია, რაც ძნელი წარმოსადგენი იყო. უნივერსიტეტი სავალდებულო ხდებოდა.

ცოდნის გარეშე ვერც კარიერას გაიკეთებდი, ვერც ქონებას დააგროვებდი.

ბატონებისთვის დაბერა შემოდგომის ქარმა.

მათ სჯაბნიდნენ მასების წიაღიდან წამოსული ენერგიული კომერსანტები და ცოდნით აღჭურვილი ინტელიგენტები – გონების მუშაკები.

ისინი აყალიბებდნენ თავიანთ არისტოკრატიას.

თომას მანს „ბუდენბროკებში“ წარმოდგენილი აქვს ბურჟუაზიული ყოფის ოთხი საფეხური, ოთხი თაობა.

პირველი ასრულებს შავ სამუშაოს, იყენებს ფიზიკურ ძალას, პირადული აქტივობით გამოირჩევა. მეორე აგროვებს ქონებას, ქმნის თავის საკუთრებას, ურთიერთობათა ქსელს, მესამე სარგებლობს მონაპოვრით, განავრცობს მას და ახალ არისტოკრატად იქცევა, ესწრაფვის კარიერას.

მეოთხე თაობა მიდის დეგენერაციის გზით და ყველაფერი იღუპება.

„ბუდენბროკებამდე“ კარგა ხნით ადრე მსგავსი მოდელი აქვს გააზრებული ლავრენტი არდაზიანს „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“.

ბურჟუა იტანს დამცირებას, შეურაცხყოფას, შრომობს ფიზიკურად, იბრძვის, თაღლითობს, არც ვერაგობას ერიდება, ვიდრე ფულს დააგროვებდეს.

ამ გზაზე იგი ძუნწი, დაუნდობელი და შრომისმოყვარეა, შემდეგ კი ემორჩილება წესრიგს, კანონებს, ზნეობრივ ნორმებს, საზოგადოებრივ ეტიკეტს.

ახალი არისტოკრატია ფულზეა დამყარებული, რომელიც ქმნის ინტელექტუალურ ზედაფენას – ინტელიგენციას.

გვაროვნული არისტოკრატია სასტიკ კონკურენციას ვერ უძლებს და ნადგურდება. სამაგიეროდ ყალიბდება ბიზმენსმენთა

დინასტია (როტშილდები, მორგანები, როკფელერები...). ესეც შეიძლება გაკოტრდეს და გაქრეს ცხოვრების ავანსცენიდან.

საქართველოში გვაროვნული არისტოკრატია გადავიდა ინტელიგენციაში. უნივერსიტეტდამთავრებული თავადი, აზნაური, გლეხი გახდა ინტელიგენტი კულტურშემოქმედი, სახელმწიფოს მსახური, რუსული ენის საუკეთესო მცოდნე, პროფესიონალი, რაც აჩენდა კონფლიქტს ძველ თაობასთან.

ენობრივი რეფორმა

„მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლა და კონფლიქტი განვითარების დიალექტიკაა, რაც სხვადასხვა ფორმით ყველა დროში მეორდება.

ძველი კონსერვატიული ძალაა, იცავს ტრადიციებს, კმაყოფილდება შექმნილით, უფრთხილდება არსებულს.

ახალს მოაქვს პროგრესი, ეძებს ასპარეზს, სწყურია მეტის მიღწევა, რაც ნიშნავს არსებულის დარღვევას.

ეს პროცესი მტკივნეულია, მაგარმ გარდაუვალი.

„მამების“ კონსერვატიზმისა და „შვილების“ პროგრესული მაქსიმალიზმის ურთიერთშეხლაში გადარჩება ის, რაც გაუძლებს გადაფასებას.

ზოგჯერ ახალგაზრდა ექსპერიმენტატორი არ იქცევა სწორად, მიდის დანაშაულის გზით. მაგრამ მომავალი მას ეკუთვნის და დღევანდელ შეცდომას აკანონებს. საერთოდ – ახალგაზრდა უფრო აგრესიულია. 60-იანი წლების საქართველოშიც პეტერბურგიდან დაბრუნებული თერგდალეული „შვილები“ დაუპირისპირდნენ ფეოდალ და სამხედრო „მამებს“.

ასე იყო კულტურის სფეროშიც.

თერგდალეულები გიმნაზიასა და უნივერსიტეტში რუსულ ენაზე ღებულობდნენ განათლებას. ქართული მათაც შეითვისეს ოჯახში, მეგობართა და ახლობელთა წრეში ანუ იცოდნენ ის ენა, რომლითაც ხალხი მეტყველებდა. ამიტომ „მამების“ არქაიზებული ენა, ანტონ კათალიკოსის სამი სტილი უცხოდ მიაჩნდათ.

ისინი დემოკრატიულ იდეებზეც იზრდებოდნენ და ხალხის ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ცალკეულ ფეოდალთა კონსერვატიზმს, რაც საზოგადოებისათვის წარსული იყო.

თერგდალეულებმა ივანე კერესელიძის „ცისკარში“ აიდგეს ფეხი. აქ იბეჭდებოდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. მაგრამ ხედავდნენ, რომ ბატონიშვილების მიერ გაზრდილი რედაქტორი (მამა მოუკლეს ყაჩაღებმა) იძულებული იყო ანგარიში გაეწია „მამებისთვის“, თანაც – გზა გაეხსნა ახალთაობისათვის, რომლის რწმენა არ ჰქონდა.

ილია უკვე „ცისკარს“ „ჯოჯოხეთის კარს“ ეძახდა.

დაპირისპირება დაიწყო „ცისკრის“ ფურცლებზე. მაგრამ რედაქტორი „მამების“ მხრეს დადგა. მათი დახმარების გარეშე ჟურნალი ვერ გამოვიდოდა.

1861 წლის აპრილში ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა ილიას სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“.

ეს იყო მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელშიც ახალგაზრდა პოეტმა ანტონ კათალიკოსის სამი სტილის თეორია უარყო, მოითხოვა ორთოგრაფიული რეფორმა, პრაქტიკიდან ამოიღო ის ასოები, რომელთა საჭიროება აღარ იყო.

ერთი მათგანი – ჲ (იოტა) იწვევდა მხოლოდ კამათს შემდეგში (მაგ., კ. გამსახურდიამ აღადგინა).

დემოკრატიულ იდეებს შესაბამისი ენა და სტილი სჭირდებოდა. ილიამაც როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად სცნო

ხალხური ენის აუცილებლობა. მაგრამ შეინარჩუნა ძველქართული ინტონაციაც, რაც ჰქონდათ გრ. ორბელიანსა და ნ. ბარათაშვილს.

შემდეგ ილიას ენის ხალხურობის ცნება დაახურდავეს, გაამარტივეს, დაკარგეს კონტაქტი ძველქართულთან და მიმართეს დიალექტებს (მაგ., ქართლურს – სოფრომ მგალობლიშვილმა, გურულს – ეგნატე ნინოშვილმა, ფშავ-ხევსურულს პოეზიაში – ვაჟა-ფშაველამ).

დიალექტიზმების სიჭარბე მეორე უკიდურესობა იყო.

ილია ჭავჭავაძე ენასთან ერთად დაუპირისპირდა კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმს, მანერულობასა და სირთულეს, რის გამოც ჩახრუხაძეც გააკრიტიკა.

მას იმდენად კოზლოვის პოემა ან მისი თარგმანი როდი აინტერესებდა, რამდენადაც – ახალი, რეალისტური ესთეტიკის პრინციპები, რომელთაც რუსეთში უკვე მოესწრო დამკვიდრება, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე კრიტიკასა და ესთეტიკაში.

ილია სტატიას კრიტიკულად გამოეხმაურნენ ბ. ჯორჯაძე (რაფიელ ერისთავის და), გ. ბარათოვი, რ. ერისთავი, სარდიონ ალექსი-მესხიევი – სამხედრო ექიმი (მისი ვაჟი იყო ქართული და რუსული სცენის ცნობილი მსახიობი ლადო მესხიშვილი, შვილიშვილი – დემოკრატიული საქართველოს იუსტიციის მინისტრი – შალვა მესხიშვილი).

ილიამ „პასუხში („ცისკარი“, №6) კიდევ უფრო მეტად დაასაბუთა თავისი პოზიცია.

„მამათა“ ბანაკს მიემატნენ გორისელი წერეთელი ექვთიმე (გიორგი წერეთლის მამა), თომა მაჭავარიანი, მოლაყბე (ივ. კერესელიძე) და ახალგაზრდა ქერელი ბექა (ანტონ ფურცელაძე).

„ცისკრის“ ავტორები ადრეც მტკიცედ იცავდნენ ანტონ კათალიკოსის ენას. ზოგს „რედაქტორი“ და „ჟურნალისტიც“ კი მიუღებელ სიტყვებად მიაჩნდა.

ილიას მომხრენი იყვნენ თერგდალეულები – კირილე ლორთქიფანიძე, სამსონ აბაშიძე, აკაკი წერეთელი.

1863 წელს გამოდის ილია ჭავჭავაძის ჟურნალი „საქართველო მოამბე“ და უკვე პოლემიკა სერიოზულ დაპირისპირებად იქცა. ჟურნალის გარშემო შეიკრიბნენ ახალგაზრდები – თერგდალეულები.

ივანე კერესელიძე დარჩა „მამების“ მხარეს, თუმცა ადრე მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძეს.

პოლემიკა გაგრძელდა, მასში ჩაერთვნენ ანტონ ფურცელაძე და გიორგი წერეთელი („ცისკარს რა აკაკანებდა?“).

ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი იხსნება ნ. ბარათაშვილის ლექსით – „მთაწმინდაზედ შემოღამება“.

მას მოსდევს „ჩემო კალამო“ და ნ. დობროლიუბოვის სტატია „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“.

ეს მღვდელი გარიბალდის მომხრე და ბურბონების მოძულე იყო.

ასე რომ – ჭაბუკი ილიას წარმოდგენაში გაერთიანდა რომანტიკული სწრაფვა, ქრისტიანული სათნოება, რევოლუციურ-დემოკრატიული და ნაციონალური იდეალები.

საწყისი – ქვეყნისადმი მსახურებისა და თავგანწირვის რწმენა, რასაც ეუბნება ქართვლის დედა საომრად მიმავალ შვილს.

ჟურნალი აცნობდა და განუმარტავდა მკითხველს ცნებებს – რადიკალიზმი, პარტია, ტრაქტატი, კონსტიტუცია, იდეა, ტირანია, ავტონომია, რესპუბლიკა, რევოლუცია, ოპოზიციონერი, დემოკრატია, ფედერაცია, კომუნა, პარლამენტი...

ეს იყო პოლიტიკური ტერმინების მთელი სპექტრი.

აქ იბეჭდებოდა ჰიუგოს, ლერმონტოვის, პრუდონის, დობროლიუბოვის, შენიეს, გრიბოედოვის თარგმანები, ქართველი რომანტიკოსები და 60-იანელი პუბლიცისტები, ილიას თხზულებანი.

„საქართველოს მოამბის“ პროგრამა და გამოცემის თხოვნა ილიამ წარუდგინა კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს გრიგოლ ორბელიანს.

„მამების“ ბანაკის წევრმა მხარი დაუჭირა და პეტერბურგს შეატყობინა. ასევე კეთილად განეწყო ილიასადმი პოლემიკის ზოგიერთი მონაწილეც (მაგ., ბ. ჯორჯაძე), თავად ჟურნალი „ცისკარიც“.

ილიას დიდმა ნიჭმა, შრომამ, პროგრესულმა პოზიციამ, მრავალფერმა მასალამ მაინც ვერ შეძრა მკითხველის გული. გაზრდის ნაცვლად შემცირდა ხელისმომწერთა რიცხვი, რომელიც უკვე ვეღარ შეინახავდა ჟურნალს.

ილია ჭავჭავაძემ დახურა ჟურნალი, ჩამოსცილდა ლიტერატურას, საზოგადოებრივ ცხოვრებას და სახელმწიფო სამსახურში შევიდა, სადაც სწრაფად მიაღწია წარმატებას (მისცეს ვერცხლის ორი მედალი, ჯილდო 2.000 მანეთი ვერცხლით, კოლეგიის რეგისტრატორის ჩინი).

ივანე კერესელიძე ისევ ბეჭდავდა ჟურნალს 1875 წლამდე. მაგრამ რედაქტორს აკლდა როგორც ერუდიცია, ისე ტალანტი და მალე ჩრდილში აღმოჩნდა, თუმცა იყო დიდი ენთუზიასტი, თავდადებული მოღვაწე, რომელმაც მთელი ქონება „ცისკარს“ მოახმარა.

მოგვიანებით, ილიას დუშეთში ყოფნის პერიოდში, განახლდა „მამების“ და „შვილების“ ბრძოლა. აქტიურობდნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ა. წერეთელი.

„შვილები“ ისევ აგრესიით გამოირჩეოდნენ.

ამჯერად საბაბი იყო კონკრეტული ფაქტი – საქართველოში ჩამოდიოდა იმპერატორი.

„შვილებს“ უნდოდათ, რომ ეთხოვათ უნივერსიტეტის დაარსება, „მამებმა“ კადეტთა კორპუსი არჩიეს.

ეს, ცხადია, რუსთა ინტერესებში შედიოდა.

პოლემიკაში ჩაერთვნენ ილია ჭავჭავაძე („გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“, „პასუხის პასუხი“), აკაკი წერეთელი (მაგ., „ხარაბუზა ღენერალს“), გრიგოლ ორბელიანი („პასუხი შვილთა“), რომელსაც ფეოდალთა კლასის დაისი საქართველოს აღსასრულად ეჩვენებოდა. ნეიტრალური პოზიცია დაიკავა გაზ. „დროებამ“ (სერგეი მესხი).

სატირული ლექსების დაბეჭდვა ილიას არც უცდია. ისინი ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა, მხოლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა.

ცხადია, ორივე მხარე ამჯერადაც თავის პოზიციაზე დარჩა. მაგრამ დრომ აჩვენა, რომ „შვილები“ მართალი იყვნენ, რომ სწორად სჯიდა „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“.

კულტურშემოქმედი ინტელიგენტი

თანდათან ილეოდა გვაროვნული ძალები და არენას დაეუფლნენ გლეხის შვილები, რომელთაც შეიძინეს ცოდნა და პლებეური ენერგიით გზა გაიკვლიეს ინტელექტუალური თუ სახელმწიფო ელიტისაკენ.

ჯერჯერობით, 60-იან წლებში, საუკუნის დამლევამდე ისევ მძლავრობდა თავადაზნაურთა კლასი. მაგრამ ახალი თაობა, რომელსაც ჩამოაცილეს ყმები და კარგავდა მიწებს, იძულებული გახდა მიემართა სახელმწიფო სამსახურისათვის. ამისათვის კი საჭირო იყო საუნივერსიტეტო განათლება.

პოლიტიკურ-ეკონომიკური პროგრესი წარმოქმნიდა ახალ სისტემას, სამსახურეობრივ ქსელსა და ტარიფებს.

მხოლოდ ეგნატე ნინოშვილი იყო ღატაკი, რომელსაც ნაადრევად მოუღო ბოლო შიმშილმა და ჭლექმა.

სახელმწიფო სამსახური იძლეოდა ნორმალური ცხოვრების საშუალებას, განსაკუთრებით მისთვის, ვისაც უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. მიუხედავად ამისა, მაინც ჰყვაოდა კორუფცია (შდრ – დიმიტრი ყიფიანის მემუარები).

ჭაბუკ ილია ჭავჭავაძის, დუშეთის მომრიგებელი მოსამართლის ხელფასი იყო 200 მანეთი. ეს როცა ერთი ხარი ღირდა 5 მანეთი, ერთი ბოთლი ოჯალეში – 2 კაპიკი, ერთი პირის სადილი დუქანში ღვინითა და მწვადით – 7 კაპიკი!

ამ დროს ანტონ ფურცელაძე დავრდომილთა თავშესაფარში გადამწერად მუშაობდა – ხელფასი თვეში 5 მანეთი!

მაშინ ტარიფების სხვაგვარი სისტემა მოქმედებდა. მაგ., ფეხსაცმელი გაცილებით ძვირი ღირდა, ვიდრე პურ-ღვინო და ხორცი.

საგურამოში ილიას ჰყავდა მზარეული, ვინც განაგებდა მეურნეობას, უფროსობდა დასაქმებულ პირებს.

ილიას ბანკიდან ეძლეოდა წელწადში ჯერ 3.000 მან., შემდეგ – 5.000, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრს – თვეში 2.000 მან.

გაზეთიდანაც ჰქონდა მოგება.

სახლი, რომელსაც საგურამოში დღეს ვხედავთ, აუშენებია საუკუნის მიწურულს და დახარჯვია 40.000 მანეთი.

ტფილისში ჰყავდა მზარეული, ხელქვეითი, დიასახლისი, ხელზე მოსამსახურე, მეეტლე, როგორც იგონებს იოსებ იმედაშვილი (ტარანტასი ჰქონდა ჯერ კიდევ დუშეთში).

ჰონორარი თითქმის არ არსებობდა (ილია არ იღებდა ჰონორარს).

აწ უკვე კულტურშემოქმედი სამსახურით უნდა ყოფილიყო დაკავებული. მას მხოლოდ დიდ ქვეყნებში შეეძლო თავისი პროფესიით (მწერლობით, მხატვრობით...) ერჩინა თავი, მოეპოვებინა რეალური თავისუფლება. ამიტომ ახალი დროის შემოქმედს უფრო ეძალება ნევროზები, ჰკარგავს სიმშვიდეს, დამოკიდებულია სხვა-

ზე, აკლია საკუთარი თავის რწმენა, აქვს მეტი დატვირთვა – ფიზიკურიც და ინტელექტუალურიც.

ევროპულმა კოსტუმმა განდევნა ჩოხა-ახალუხი და ჩიხტიკოპი. მხოლოდ სოფელს შერჩა ძველებური სამოსი (მაგ., ვაჟას ჩოხა-ახალუხი და ქამარ-ხანჯალი).

ვორონცოვის კულტურპოლიტიკამ ახალგაზრდობას სამხედრო კარიერით სანაცვლოდ განათლების გზა დაუსახა, რაც დროის შესაბამისი ორიენტირი აღმოჩნდა.

კულტურშემოქმედი არისტოკრატი შეცვალა ინტელიგენტმა, რომელიც ცხოვრობს ინტელექტუალური შრომით.

კულტურშემოქმედი ლიდერი

როგორც ვწერდით, კულტურშემოქმედი ნაირგვარი ნებელობისაა, რაც არის მისი ცნობიერების, ტემპერამენტის, ხასიათის გამოხატულება.

იგი თავის ოცნებაში თხზავს რეალობის მსგავს სამყაროს, აღმოთქვამს თავის თავს, ან თავს ესხმის სინამდვილეს, რათა ასეთი ინტერვენციით შეცვალოს იგი.

ასეთი შემოქმედი უფლის მეტოქეა, წინასწარმეტყველი, ტრიბუნი, რევოლუციონერი.

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც რეალობაშიც ავლენდა ძლიერ ხასიათს, ლიდერის თვისებას. ამიტომ მიაჩნდა პოეტი ზეცის დანიშნულად, რომელსაც ზრდის ერის საბრძოლო სულისკვეთება.

იგი წინამძღოლი უნდა იყოს, არა მგოსანი, ტკბილი ხმების ოსტატი.

როგორც შენიშნავს პ. ინგოროყვა, ამ პუნქტში ილია ეკამათება გოეთეს, თუმცა თავად გოეთეს სწორედ ლიდერის, ბელადის ბუნება ჰქონდა.

ქვეყანას, რომელსაც სახელმწიფოებრიობა ჰქონდა წართმეული, პოეტი უნდა გაემითებინა, რათა სიტყვის მისტერიით შეეკავშირებინა სხვადასხვაგვარი ლტოლვებითა და ინტერესებით შეპყრობილი ფენები, ეხსნა ისინი დეგენერაციისაგან.

მაგრამ წიგნს, ლექსსა და მოთხრობას თუ მკითხველი არ ეყოლებოდა, ვერც ესთეტიზმს აღძრავდა მხატვრული სიტყვა და იდეა, ვერც ეროვნულ შეგნებას გაზრდიდა. საწყისი იყო წერა-კითხვის ათვისება.

ბნელი მასები, რომელთაც შეიწირეს ილია ჭავჭავაძე, ვერ გაიგებდნენ პოეტის სწრაფვასა და გრძნობებს და ვერც გაჰყვებოდნენ მას.

აკაკი წერეთელისათვის კი შემოქმედი, პოეტი „გარემოების საყვირია“, პროპაგანდისტი, შუაკაცი ცასა და მიწას შორის.

იგი სიტყვით ართობს ან აღანთებს მასებს, სიტყვით უცვლის განწყობილებას.

ასეთი იყვნენ მოსე, ქრისტე თუ მაჰმადი.

მოსესაც ღმერთი გადასცემდა ჭეშმარიტებას, ღმერთთან იმიტომ ლაპარაკობდა, რომ განწმენდილი სულით გასძღოლოდა ხალხს და მოეწმინდა ტანჯვის ცრემლი. ისიც შუაკაცი იყო.

დამარცხებული ქვეყნისათვის პოეტს უნდა შეექმნა იდეოლოგიური და ემოციური ბაზისი, გრძნობითი მასალა, აზრობრივი ბირთვი, რომლის გახლეჩა გამოსცემდა ენერგიას.

აკაკის მგოსანს ეს არ შეეძლო.

ილიას კულტურშემოქმედი რევოლუციონერად ან მოღვაწედ უნდა ქცეულიყო, რათა არა მხოლოდ სიტყვით, არამედ პრაქტიკულადაც მოეტანა სიკეთე.

როგორც ვთქვით, ეგ იმიტომ, რომ ქვეყანას არ ჰყავდა მეფე, პრეზიდენტი ან რევოლუციონერი. ხოლო გენერალი უცხო ძალას ემსახურებოდა. „ყარსის“ გმირი სულის გმირი ვერ იქნებოდა.

2. რეალიზმის ესთეტიკა

კლასიციზმის დაძლევა

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ანტონ კათოლიკოსს. მაგრამ მისი ადგილი იყო წარსულში. თანამედროვეობას კი სხვა ინტერესები ჰქონდა.

ანტონი ევროპეიზებული აბსოლუტური მონარქიის იდეოლოგიურ საფუძვლებს ქმნიდა (ალ. კალანდაძე), განადიდებდა ერეკლე მეორეს და შესაბამისად, რუსულ-ფრანგული კლასიციზმის მიმდევარი იყო.

თუ ევროპისათვის ნიმუში იყო ანტიკა, ბერძნულ-რომაული კულტურა, ანტონი ქართულ სინამდვილეში პოულობდა საყრდენს – ეს იყო პეტრიწი, შავთელი, ჩახრუხაძე, ეკლესია, თეოლოგია.

კულტურა უნდა განესაზღვრა გონების პრიმატს, ინტელექტს, ცოდნას და არა გრძნობების ამბოხს, ვნებათა მოძალებას.

ენობრივად ანტონი თავის პოზიციას, არქაიზებულ სტილს ასაბუთებდა „ღრამატიკაში“, „რიტორიკაში“, „წყობილსიტყვაობაში“ და მას ნიმუშად უსახავდა არისტოკრატიას.

როგორც ვთქვით, მისი მაღალი სტილი უპირისპირდებოდა როგორც სპარსულ და სომხურ ბარბარიზებულ, ქალაქურ მეტყველებას, ისე პლებეურ ნაკადს – დიალექტიზმებსა და ვულგარობას.

ილია მომავლისაკენ იყურებოდა. მას ახალი დროის იდეოლოგია – რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები აძლევდნენ სული-

ერ საზრდოს და ამიტომ არ ღებულობდა რუსეთში უკვე დაძლეულ ცივ კლასიციზმსა და ცრემლიან სენტიმენტალიზმს.

მას რეალობა, ცხოვრება, დღევანდელობა აინტერესებდა:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

რომანტიზმისადმი უფრო თავშეკავებული იყო, ნაწილობრივ ღებულობდა მას, როგორც რევოლუციურ აღმამფრენ და შთამაგონებელ ძალას. მაგრამ ემიჯნებოდა წარსულის იდეალიზებისა და უკუმზერიობის გამო:

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა“.

რეალობის გარდამქნელი ძალა ილიასათვის იყო გმირი, რომელსაც მოელოდა და ვიდრე გამოჩნდებოდა, ამ ფუნქციას ასრულებდა შემოქმედი წინასწარმეტყველი, მასის იდეალური წინამძღოლი.

ილიას დროის „მამები“ კლასიციზმით უფრო იყვნენ შეპყრობილი, ვიდრე რომანტიკული მსოფლიო სევდით (ალ. კალანდაძე).

ორი დასი – ორი ლიდერი

რეალისტური ესთეტიკის დამკვიდრება ილიასთან ერთად უკავშირდება ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, აკაკი წერეთლის სახელებს, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.

მათ ლიტერატურა, ხელოვნება, კულტურა აინტერესებდათ საზოგადოებრივი თვალსაზრისით. ამიტომ უარყოფდნენ წმინდა ესთეტიზმს, გავრცელებულ იდეას – „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

მაშინ როგორც ლიტერატურა, ისე კრიტიკა დაკავშირებული იყო პრესასთან. ამიტომ მწერალი ჟურნალისტიც იყო, ხან რედაქტორი, ხან – თანამშრომელი.

ქართული ჟურნალისტიკა იშვა მწერლობის წიაღიდან, როგორც მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, მათი განხილვა და ფიქსირება.

პრესა იყო ახალი და ეფექტური საშუალება როგორც თვითპროპაგანდისა, ისე საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის.

ამიტომ ანიჭებდა მას ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ხოლო პუბლიცისტიკას მხატვრულ ლიტერატურაზე უფრო აქტუალურად მიიჩნევდა.

ილია კაბინეტის კაცი იყო, არ უყვარდა მოგზაურობა (ევროპას სიბერეში ეწვია, ისიც სამკურნალოდ), არ ეძიებდა კონტაქტებს უცხო პირებთან, შორეულ მოღვაწეებთან (მაგ., არ იცნობდა რუს მწერლებს).

მისი დინჯი, წყნარი ბუნება ჭვრეტისათვის იყო მომართული.

არც თავისი ნაწერების გამოცემა, თარგმანი და რეკლამირება იზიდავდა. უამრავი სტატია, ზოგი ლექსიც ფსევდონიმით აქვს დაბეჭდილი.

რომ არა ტექსტოლოგების გულმოდგინება, ისინი დავიწყებას მიეცემოდა.

ილიასგან განსხვავებით ნიკო ნიკოლაძე მუდმივ მოძრაობას არჩევდა, ეძებდა კონტაქტებს, იცვლიდა პოზიციებსა და თანამოაზრეებს, ხშირად დადიოდა რუსეთსა და ევროპაში, რედაქტორობდა რუსულ გაზეთებს („Обзор“, „Новое обозрение“), ხშირად წერდა რუსულად, თაოსნობდა პრაქტიკული, ყოფითი პრობლემების მოგვარებას, პროექტების რეალიზებას (მაგ., ტფილისში, ფოთში). 1889 წელს დიდ ჯიხაიშში პირველი ველოსიპედი ჩამოიყვანა

პარიზიდან, რაც მაშინ ტექნიკის სიახლე იყო. პარიზის მიხედვით დაგეგმა 12 ქუჩის განლაგება ფოთში.

ილიას და ნიკოს ცოლები ბიძაშვილები იყვნენ, ეროვნული იდეის მსახურები, შთაგონებული რუსი დემოკრატებით. მაგრამ განსხვავებული ტემპერამენტის გამო ვერ გამონახეს საერთო ენა.

ორივეს ჰქონდა ლიდერის ბუნება, ერთი მეორეს ვერ დაემორჩილებოდა. მათ სხვადასხვა ასპარეზი უნდა ეძებნათ საზოგადოებრივ სფეროში. ამიტომ დატოვა ნიკო ნიკოლაძემ ტფილისი, ქართული არენა.

ასევე ორი ლიდერი ჰყავდა ქართულ ლიტერატურას: – ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ამჯერად ილიამ დათმო და მიმართა საზოგადოებრივ სფეროსა და პუბლიცისტიკას.

ნიკო ნიკოლაძე, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი, მრავალ პრობლემას ეხებოდა, რედაქტორობდა ქართულ და რუსულ გამოცემებს, თანამშრომლობდა გერცენისა და ოგარიოვის „კოლოკოლში“, ნეკრასოვის „სოვრემენნიკში“, სწავლობდა პეტერბურგსა, პარიზსა და სორბონაში.

იცნობდა კარლ მარქსს, ლუი ბლანს, ლაფარგს, ჟორესს, გარიბალდს, შატრიანს, დოდეს, ჰიუგოს, ზოლას, სალტიკოვ–შჩედრინს...

აღიარებდა ილიას შემოქმედებასა და ღვაწლს, მაგრამ მასთან კონფლიქტებიც ჰქონდა და არჩევდა განსხვავებულ გზას.

მეგობრობდა გიორგი წერეთელთან, აკაკი წერეთელთან, სერგეი მესხთან („დროების“ რედაქტორი).

ნიკო ნიკოლაძე ფართო მასშტაბისა და დიდი კონტაქტების პუბლიცისტი იყო. მაგრამ აკლდა ილიასებური ფუნდამენტალიზმი.

ალბათ შეცდომა იყო ფოთის ქალაქის თავად წინსვლა. ქალაქისა და პორტის კეთილმოწყობა სხვასაც შეეძლო.

ბოლოს, როგორც ეროვნულ-დემოკრატი, იყო საქართველოს პარლამენტის – დამფუძნებელი კრების წევრი, ევროპული დელეგაციის წევრი.

აკაკი წერეთელიც სცნობდა ილიას დამსახურებას, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან შორს იდგნენ.

აკაკი თავისუფალი შემოქმედი იყო – პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი (მაგ., კრილოვის იგავ–არაკებისა). არ ჰქონდა სახელმწიფო სამსახური, არც რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოთავე ყოფილა.

გიორგი წერეთელი ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში სამ დასს გამოჰყოფდა. ესენი მეორე დასელები იყვნენ. მაგრამ „პირველი ნაბიჯის“ ავტორი, როგორც „კვალის“ ერთ-ერთი მესვეური, საწყისს აძლევს „მესამე დასს“ – სოციალ-დემოკრატიას.

მისი ვაჟი იყო ირაკლი წერეთელი (ნ. ნიკოლაძის დისშვილი). შემდეგში ცნობილი რევოლუციონერი და ერთხანს რუსეთის დროებითი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი.

მეორე დასელებმა შეავსეს კულტურის ასპარეზი მას შემდეგ, რაც ილია მოულოდნელად ჩამოსცილდა საზოგადოებრივ ცხოვრებას.

კრიტიკული რეალიზმი

ტექნიკის განვითარება, ბურჟუაზიის გაძლიერება, ფეოდალთა კლასის დაკნინება აუფასურებდა რომანტიკულ მგრძნობელობას.

მემკვიდრეობით ქონებას, უზრუნველ ცხოვრებას სცვლიდა კონკურენცია, კომერცია, სავაჭრო კაპიტალი, რაც გულისხმობდა პიროვნების გააქტივებას.

ეს პროცესიც მტანჯველი იყო. მას ახლდა მარცხი, ღალატი, ვერაგობა, არამხოლოდ წარმატება. ფული მოიპოვებოდა უფრო ბრძოლით, ვიდრე შრომით. სიტუაცია ნიჭს ახალი, უცხო მიმართულებით ავითარებდა.

ოცნებისა და ფიქრისათვის დრო არ რჩებოდა. სწრაფი და ინტუიციური მოქმედება მეტ შედეგს იძლეოდა, ვიდრე დინჯი განსჯა და დაკვირვება.

ვაჭარი, კომერსანტი, ბურჟუა იპყრობდა ასპარეზს, რომელსაც არ სჭირდებოდა არისტოკრატიული ეტიკეტი. მაგრამ, როგორც ვთქვით, გარკვეული დროის შემდეგ იგი შეიძენს და აღიდგენს უარყოფილ არისტოკრატიზმს, ფრაკსა და თეთრ საყელოს დაიბრუნებს, ვალსსაც იცეკვებს.

ურთიერთობათა განმსაზღვრელი გახდა პრაგმატიზმი, არა რელიგიური ან ეროვნული ნიშნები, ან ნათესაობა.

ფული და კომფორტული ცხოვრების კულტი უფრო მაცდური გახდა ტექნიკის განვითარების შედეგად, რომელიც შვა გონებამ, ცოდნამ, განათლებამ.

აჩქარებული და ხშირი კონტაქტები, საზღვრების გადაკვეთა, მუშახელის სიმრავლე, პროდუქციის ტირაჟირება, ტექნიკური ტრანსპორტი (ხომალდი, მატარებელი, მანქანა) კიდეც აიოლებდა და კიდეც ართულებდა ცხოვრებას. შემოდის ტელეგრაფი, ტელეფონი, ელექტრონი, ტრამვაი (კონკა)...

სინამდვილე მოითხოვდა ნიჭის, ცოდნის, ენერგიის მაქსიმუმის გამოვლენას. ამას იწვევდა კონკურენცია, მეტის მიღწევის წყურვილი.

ასეთ დროს ინტერესი ეკარგებოდა მარტოობას, მსოფლიო სევდას, წარსულის ნოსტალგიას, რაც კვებავდა რომანტიკოსთა ფიქრებს.

ადამიანი დადგა რეალური სიღარიბისა და უფსკრულის წინაშე, რამაც განავითარა და წამოსწია კლასიცისტური მესამე სტილი, მდაბიოთა ცხოვრება, კომიზმი, რეალური ურთიერთობანი, შემდეგ კი სრულიად დაიპყრო ლიტერატურა, თეატრი, ხელოვნება, კულტურა.

50-იანი წლების საქართველოშიც ცხოვრებისეულმა პრობლემებმა გზა გაიკვლიეს კულტურისაკენ. გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი განსხვავებულ ნაკადს ქმნიან.

იგი შეესაბამებოდა რუსეთსა და ევროპაში გაბატონებულ კრიტიკულ პათოსს, როცა შემოქმედი ცხოვრებას ხატავს იმპერატორის სასახლიდან გლეხის ქოხამდე (ბალზაკი).

რუსეთიდან დაბრუნებული „თერგდალეულები“ ამ ახალ ტენდენციებს მოიტანენ და, როგორც ვთქვით, დაუპირისპირებენ აქტიური ცხოვრებიდან გარიყულ არქაისტებს, სენტიმენტალისტებს, რომანტიკოსებს.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის რეალიზმი მომავლისკენ იყო მიმართული, ამკვიდრებდა რეალურ ურთიერთობებს, ასახავდა მათ. ერთი მხრივ სარკესავით ირეკლავდა, მეორე მხრივ – გამოჰყავდა კრებადი სახეები ანუ ტიპები და მათი მეშვეობით ამეტყველებდა იდეებსა და იდეალებს, რათა ყოფიერიდან გამოტანილს ცნობიერს შეექმნა განსხვავებული ყოფიერება.

„თერგდალეულები“ რუსი თანამოაზრეების მსგავსად კოსტუმს, ჰალსტუხსა და წვერს ატარებდნენ, დემოკრატიის სახელით თანადგომას უცხადებდნენ გლეხსა და მუშას, ჰკილავდნენ თავადობის მცონარობას, ებრძოდნენ მათ გულმხეცობას, იღწვოდნენ მასების განათლებისათვის, ნაციონალური კულტურისათვის, რათა სოციალური პროგრესის პარალელურად ერის თვითშეგნებაც გაძლიერებულიყო.

ისინიც ევროპისაკენ იყურებოდნენ, ევროპას სახავდნენ ნიმუშად. მაგრამ მიუღებელი დარჩა რუსეთში გავრცელებული ტერორიზმი (კარაკოზოვი, სტეპნიაკ-კრავჩინსკი, პეროვსკაია, ულიანოვი...), რამაც იმპერატორ ალექსანდრე II-ის სიცოცხლეც კი შეიწირა, იმ იმპერატორისა, ვინც თავისუფლება მიანიჭა ჩაგრულ ფენებს.

აკ. წერეთელი მიესალმა ამ ფაქტს. ხანჯალზეც დაწერა ლექსი. გმირსაც მოუხმობდა მისი დაფი და ნაღარა. მაგრამ ილიამ კონსერვატიზმი არჩია, კლასთა შერიგება და თანხმობა.

ერთხანს ნაროდნიკული ხალხში სიარულიც გავრცელდა. მას არ ჰქონია დიდი რეზონანსი და მალე შეწყდა, თუმცა მწერლების ნაწილი გაიტაცა (ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, ეკ. გაბაშვილი, ი. დავითაშვილი).

ხალხოსანი პუბლიცისტები თერგდალეულებს დაუპირისპირდნენ (გ. მაიაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, სტ. ჭრელაშვილი).

ისინი ჟურნალ „იმედის“ და გაზეთ „შრომის“ გარშემო იყვნენ შეკრებილი (1881-1883). მათ გლეხობის უბედურებად მიიჩნიეს „ეკონომიური სიღატაკე და გონებრივი დაბნეულება“.

ნ. ნიკოლაძემ და გ. წერეთელმა თვალი მიაპყრეს ბურჟუაზიას, პრაქტიკულ ცხოვრებას, ახალ ძალას, რომელიც პლებეური წრიდან მოდიოდა და მასის ენერგია მოჰქონდა.

თეატრი და ბეჭდვითი სიტყვა, მეცნიერული აზრი და ტექნიკური მიღწევები, რუსული და საერთაშორისო კონტექსტი ცხადყოფდნენ, რომ საზოგადოება ეძებდა ახალ ჰარმონიას, რასაც მარქსისტები, სოციალ-დემოკრატები, სოციალისტები რევოლუციურ პროცესებში ხედავდნენ.

მათ არ აკმაყოფილებდათ ევოლუცია, რომელსაც დიდი დრო სჭირდებოდა. რევოლუცია მიაჩნდათ ადამიანთა ხსნის მოკლე და ეფექტურ გზად.

რევოლუციას და მეცნიერულ პროგრესს უნდა მოეტანა შვება ჩაგრული და ღატაკი მასებისათვის.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, უცხო მიწებისა და კონტინენტების კოლონიზება, მონების შრომა აძლიერებდა ევროპას, კლასიციზმს, არისტოკრატიას. ახლა კი ევოლუციონისტებმა და პოზიტივისტებმა, ბუნებისმეტყველებამ და ტექნიკამ, არქეოლოგიამ და ძველი სამყაროს აღმოჩენამ, დარვინიზმმა და გენეტიკურმა ცდებმა გაზარდეს რეალიზმის მნიშვნელობა, რაც გადავიდა ნატურალიზმში (ემილ ზოლა).

მაგრამ რეალიზმი კარგავდა საზღვრებს და მას ხელოვნების სახელით ავიწროებდა და სდევნიდა მოდერნისტული სკოლები.

საქართველოში ნატურალიზმის გამოძახილი იყო „შეუფერავი რეალიზმი“ (გ. წერეთელი), რაც ხალხოსნებმა და სოციალისტებმა ეთნოგრაფიული მასალითა და დიალექტიზებით შეავსეს.

ასევე მოიქცნენ მთის რომანტიკოსები – ალ. ყაზბეგი და ძმები რაზიკაშვილები.

რეალიზმის ცნება გააჩნდა ფილოსოფიაში, გადავიდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში და ბოლოს – რევოლუციაში.

დაგროვილი უამრავი სოციალური და ნაციონალური პრობლემა რევოლუციის მახვილს ერთბაშად უნდა გადაეჭრა.

როგორც ვნახავთ – რეალურად ეს აღმოჩნდა უტოპია, ოღონდ სასტიკი და ულმობელი, ახალი მითი და რომანტიზმი.

რუს რეალისტებთან სიახლოვე მხატვრული ლიტერატურაშიც საგრძნობი გახდა. მაგ., ილიასათვის ეს არის გოგოლი და გონჩაროვი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და ნეკრასოვი, აკაკისათვის – ნეკრასოვი, ვის დაკრძალვასაც დასწრებია პოეტი.

ლექსის დემოკრატიზება

ლექსის დემოკრატიზება, სალექსო მეტყველებისა და ფორმების გამარტივება იწყება ანონიმური „ნარგიზოვანიდან“ და დავით გურამიშვილიდან.

მაგრამ დავით გურამიშვილი რუსეთში ცხოვრებდა, მიგრანტთა და უკრაინელთა წრეში თხზავდა „დავითიანს“. ამიტომ ვერ დაეტყობოდა ანტონ კათალიკოსის კლასიცისტური სტილი.

სამაგიეროდ გამოჩნდა რუსულ-უკრაინული ჰანგების გავლენა. „ქაცვის მწყემსის“ სტროფიკა და მეტრი კი ხელოვნური იყო.

როგორც ვნახეთ, ქართულ პოეზიაში ბატონობდა სპარსული სტილი, არქაიზმებითა და ტროპებით გართულებული, მუხამბაზი და მუსტაზადი, ანბანთქება და მაჯამა, ვარდისა და ბულბულის თემატიკა, ხორციელობის ხოტბა.

შაირი და ხალხური მოტივები ზოგჯერ გაკრთებოდა ბესიკთან, ალ. ჭავჭავაძესთან (მაგ., „მუხამბაზი ლათაიური“), ნ. ბარათაშვილთან (მაგ., „მადლი შენს გამჩენს“), გრ. ორბელიანთან კი ეს იყო ტფილისური აშუღური ჰანგების სტილიზება, რაც შემდეგ გარდაისახა აკ. წერეთლის (მუხამბაზები), ი. გრიშაშვილის (ძველი ტფილისი, ლექსიკა, სატრფიალო თემატიკა), გ. ლეონიძის (ძველი ტფილისი) – პოეზიაში.

აკაკი წერეთელმა უარყო არქაიკა და ხალხურ სისადავეს, სინათლეს გაუხსნა გზა პოეზიაში, უარი თქვა სახეების სიუხვეზეც.

აკაკის რითმა უფრო ღრმაა და კეთილხმოვანი, ვიდრე რომანტიკოსებისა. მაგრამ მარტივია და ხალხურის ვარიაცია, არ ახლავს მოულოდნელობის ეფექტი და გამომგონებლობა.

აკაკის რვამარცვლიანი ლექსი, მელოდიკა და გამჭვირვალობა აითვისა რაფიელ ერისთავმა. ორივემ კი გავლენა იქონიეს ვაჟა–ფშაველაზე, რომელმაც მზერა წარმართა ფშავ-ხევსურული მითოსისა და პოეზიისაკენ.

ილია ჭავჭავაძე უფრო ნ. ბარათაშვილსა და გრ. ორბელიანს მიჰყვებოდა. მისი ლექსის მძიმე რიტმიკას ართულებდა ინტელექტუალიზმი, ფიქრი და განსჯა, რაც აკაკის ნათელი და მსუბუქი ლექსის კონტრასტი იყო. ილიას გაუძნელდა ხალხური ლექსის ათვისება.

აკაკი წერეთელს ბაძავდნენ პოეტების მთელი თაობები. მისი ლექსის ლირიზმი, ხალხურობა, იუმორი, დრამატიზმი, პატრიოტიკა, ენა, მეტრი და სტროფიკა საზოგადოებამ მიიღო და გაითავისა.

მრავალი ლექსი სიმღერად იქცა (მაგ., „ჩემო ციცინათელა“, „მანამ ვიყავ ახალგაზრდა“, „სულიკო“, „თავო ჩემო“).

ახალგაზრდობის დროინდელი „საიდუმლო ბარათიდან“ ხანდაზმულობის „განთიადამდე“ და „გამზრდელამდე“ მთელი 30-40 წელია.

ამ ხნის განმავლობაში შესძლო შეენარჩუნებინა მაღალი პოეტური რეგისტრი და რევოლუციურ მღელვარებასაც შეგებებოდა თავისი დაფითა და ნაღარით, ქართული ლექსის ელიტარული სახელი შეეტანა მასებში.

იგი, როგორც ახალი დროის ორფეოსი, იქცა პოეზიის სიმბოლოდ, რომელმაც რუსთაველის შემდეგ ყველაზე დიდ პოპულარობას მიღწია.

მართალია, ყველას ეჭვით უყურებდა, ჰკილავდა, არ სწამდა არც ძველი და არც ახალი პოეტების ლექსი. მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც სერიოზულად ფიქრობდა ვაჟა–ფშაველაზე.

მხოლოდ ის მიაჩნდა ღირსეულ მეტოქედ.

ამისი დასტურია არა მხოლოდ მოგონება აფშინოვზე ან „ენას გიწუნებ, ფშაველო“, არამედ – თავად მისი შემოქმედების ზოგიერთი ტენდენცია.

მაგ., აკაკიმ „ბაში-აჩუკი“ დაწერა „ბახტრიონის“ შემდეგ და იქ დასავლურ-ქართული ფაქტორი შეიტანა, თემა სხვაგვარად გაიაზრა.

„გამზრდელში“ საგრძნობია „სტუმარ-მასპინძლისა“ და „სისხლის ძიების“ იმპულსები, ძველი კავკასიური ტრადიციების სისასტიკე და რომანტიკა, ვაჟას სამყაროსთან სიახლოვე.

აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, ვაჟა-ფშაველას პოეზია, მათ მიმდევართა შემოქმედება ენის დემოკრატიზმს შეესაბამებოდა მხატვრული აზროვნების სფეროში, რათა, ერთი მხრივ – მეტყველება ყოფილიყო ნათელი, სადა და გასაგები, მეორე მხრივ – თემები ცხოვრებისეული და ხალხისათვის აქტუალური.

ილიას გმირი

ილია ჭავჭავაძეს ცოტა აქვს მხატვრული ნაწერები – პოეზია და პროზა. მეტი ენერგიით მუშაობდა როგორც პუბლიცისტი და რედაქტორი, როგორც ბანკირი.

მან ისეთი ძალით დაიწყო შემოქმედებითი პროცესი, რომ მართლაც ძნელი წარმოსადგენია – შემდეგ რა უნდა ეკეთებინა.

მაგრამ როგორც უეცრად იფეთქა მისმა ტალანტმა, ისევე უეცრად ჩაქრა – თითქმის ჩამოსცილდა ლიტერატურას.

ახალგაზრდობის რადიკალიზმი შეცვალა ზომიერმა ლიბერალიზმმა, მხატვრული აზროვნება – პრაქტიკულმა მოღვაწეობამ, რასაც უსაყვედურებდნენ შემდეგში მისი ოპონენტი სოციალ–დემოკრატები.

გარიბალდის და კომუნარების რევოლუციური სულის ადგილი დაიკავა კლასთა შერიგების იდეამ, რაც სწორი იყო. მაგრამ რჩებოდა იდეალის სფეროში და პრაქტიკულად ვერ განხორციელ-

დებოდა, არ მოდიოდა საზოგადოებისა და კლასების მოთხოვნიდან, შეცვლილი დროის სულისკვეთებიდან.

ამჯერად ცნობიერი განსაზღვრავდა ყოფიერს.

კაკოს, ზაქროს, გაბროს მაქსიმალიზმიც დრომ გაუქმა – მებატონე და ყმა ერთმანეთს დაშორდა. შეიცვალა ორივე მათგანის სტატუსი.

ასაკმა, გამოცდილებამ, რუსულმა ნაროდნიკობამ, რუსი ტერორისტების მოქმედებამ ილია რევოლუციის წინააღმდეგ განაწყო.

საქართველოში აღარც იყო რევოლუციური სიტუაცია.

ქვეყანა ვერც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოლებდა. ეკონომიკური პროგრესი, განათლება, კულტურა უნდა ქცეულიყო ეროვნული შეგნების ბაზისად, რაც თვითმოქმედებით წარმოქმნიდა დამცავ სტრუქტურებს, მაგრამ არ შეეძლო აგრესია.

XX საუკუნის დასაწყისიდან წარმოქმნილი პარტიების წესდებაში არ ეწერა დამოუკიდებლობის მოთხოვნა – ავტონომია და ფედერალიზმი მაქსიმალისტურ იდეად მიაჩნდათ.

მხოლოდ გერმანიაში დაარსებულმა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტმა“ დასვა ეს საკითხი.

როცა ილია ებრძოდა ბატონყმობას, წერდა „კაკო ყაჩაღს“, „გლახის ნაამბობს“, „კაცია ადამიანს“, როცა ივანე კერესელიძე აქვეყნებდა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს“, ეს იყო მთავრობის წიაღში წარმოქმნილი განახლების სულისკვეთების გაშლა და მხარდაჭერა (შდრ – გორბაჩოვის პერესტროიკა და საჯაროობა), რეაქციული კონსერვატიზმის წინააღმდეგ გამოსვლა.

ახალ დროს მოჰქონდა ახალი პრობლემები – ეკონომიკის ბუმი, ბურჟუაზიული ურთიერთობანი, ტექნიკის ტრიუმფი, რომელთა ათვისება აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ილიას.

ავტონომისტები გეორგიევსკის ტრაქტატის მემკვიდრენი იყვნენ.

ილია ჭავჭავაძის მთავარი პერსონაჟი მწერლის იდეების პერსონიფიცირებაა, რაც ცნობიერად და არაცნობიერად ავლენს საერთო ნიშან-თვისებებს, შენარჩუნებულს აზროვნების ევოლუციის პროცესში.

ილიას შემოქმედებაში აქცენტირებულია დედა („ქართვლის დედა“, „ოთარაანთ ქვრივი“), რომელსაც ერთი შვილი ჰყავს.

როცა დედა ქრება, მის ადგილს იჭერს მამა, რომელსაც ცოლი გარდაეცვალა („კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“).

„გლახის ნაამბობში“ დედისერთაა გაბრიელი. მას ორივე მშობელი ადრე დაჰკარგვია, მამისერთაა დათიკო.

ისინი ცხოვრობენ ბატონის ნათლიდედასთან, რომელსაც დაღუპვია ერთადერთი შვილი; მამისერთაა პეპიას თამროც, „განდეგილის“ მწყემსი ქალიც.

„ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილში“ მთხრობელს დედ-მამა მოკვდომია.

ლუარსაბ თათქარიძეც ადრე დაობლდა – ორი წლის იყო, დედა რომ მოუკვდა, 8 წლისას კი – მამა, ე. ი. ძმები ობლად გაიზარდნენ; დედა არ ჰყავს „მეტად მახინჯ“ დარეჯანსაც.

„სარჩობელაზედ“ გვაცნობს ობლობაში გაზრდილ ძმებს. მათ დედა ადრევე გაუთხოვდათ.

შვილი არ ჰყავთ ლუარსაბსა და დარეჯანს, კაკო ბღაჭიაშვილს, ზაქროს, არჩილსა და კესოს, გიორგის („ოთარაანთ ქვრივი“), კიაზოს („ქართვლის დედა“), განდეგილს, „აჩრდილის“ მოხუცს, გაბრიელსა და დათიკოს („გლახის ნაამბობი“).

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის პერსონაჟი არის ობოლი, დედისერთა, მარტოხელა, უშვილო.

ასეთი გმირები დაუძლეველ სევდას ატარებენ, რისგანაც განმუხტვა არის მოქმედება ან სწრაფვა რელიგიისაკენ.

ილია თავადაც ობოლობაში გაიზარდა, ერთხანს ბერობის სურვილი ჰქონდა, რაც იქცა ღვთისმსახურ პერსონაჟებად.

მარტოობისა და დამარცხების კომპლექსის დაძლევა არის ძალაუფლების ნება, შემოქმედის განსაკუთრებულობის მითი, ღმერთის მიერ ერის წინამძღოლად კურთხევა. ამიტომ გარიბალდისკენაც მიუწევდა გული.

როგორც ვწერდით, ერის ლიდერი. მაშინაა შემოქმედი, როცა ქვეყანას არ ჰყავს პრეზიდენტი, რევოლუციონერი, ბელადი.

იგი ავსებს წარმოქმნილ სიცარიელეს.

რელიგია და განდეგილობა ცხოვრებისგან განდგომაა. მღვდლის სათნოება ცხოვრებას ვერ შეცვლის. საჭიროა აქტიური პიროვნება.

იგი მასიდან უნდა იყოს გამოსული, როგორც კოშუტი და გარიბალდი, რომელთა პორტრეტები ამშვენებდა მწერლის კაბინეტს. თუმცა თავგანწირვის ნიმუშად მეფეთა მაგალითსაც იშველიებდა (პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“).

სიცოცხლის საზრისის ძიება, ბრძოლისა და მოქმედების აპოლოგიაა დღისა და ღამის, თერგისა და მყინვარის დაპირისპირება, გოეთესა და ბაირონის გახსენება („მგზავრის წერილები“), ლუარსაბისა და დარეჯანის მცონარე ცხოვრება, ინდიფერენტული არსებობა („კაცია-ადამიანი?!“), განდეგილისა და მწყემსი ქალის კამათი („განდეგილი“).

გმირს ეძებდნენ ილია („მაგრამ, ჰე, ძმებო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომელსაც ვსტირი“), აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი, რაც საუკუნის მიწურულს შეცვალა შიო არაგვისპირელის ნიჰილიზმმა და დავით კლდიაშვილის დაცემის სულისკვეთებამ, ვიდრე რევოლუციონერებმა თეორიიდან პრაქტიკა არ გამოიყვანეს.

ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანი და შიგ მწოლიარე ყრმა, ვინც ქვეყანას მხსნელად უნდა მოვლენოდა, რეალურად უპერსპექტივობის განცდა იყო.

საბოლოოდ ილია განათლებასა და კულტურას ანიჭებდა უპირატესობას, რომელიც აღადგენს ჩატეხილ ხიდს გლეხსა და თავადს შორის, ღარიბსა და მდიდარს შორის (არჩილი და კესო) ანუ შეგნებამ, ცნობიერმა უნდა გარდაქმნას რეალობა და არა ძალამ და ინსტინქტების ამბოხმა, რაც არის რევოლუცია.

ამ თვალსაზრისით პრესას შეეძლო საზოგადოებაზე ზეგავლენა, ისევე როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ლექსსა და მოთხრობას.

ილიას „საერთო ნიადაგის“ კონცეფცია ამოდიოდა ინგლისელი ჯონ სტიუარტ მილის პოლიტიკურ-ეკონომიკური ლიბერალიზმიდან, რომელიც უარყოფდა კლასობრივ დაყოფას.

ილიას წარმოდგენით, თვითმპყრობელობა უნდა შეცვლილიყო კონსტიტუციური მონარქიით, სადაც საქართველოს ექნებოდა ავტონომია და განვითარების ევროპული პერსპექტივა. ავტონომია კი გულისხმობდა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის, სოხუმის, ზაქათალის ოკრუგების გაერთიანებას ანუ საქართველოს აღდგენას.

„ივერიის“ რედაქტორი

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება არაერთ მკვლევარს აქვს შესწავლილი. გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი ნაშრომები (მაგ., გ. ჯიბლაძისა და გ. შარაძის ორტომეულები, ო. გოგიაშვილის ხუთტომეული, ალ. კალანდაძის ბიოგრაფიული რომანი და გამოკვლევები, ნ. ტაბიძის მონოგრაფია „ივერიაზე“).

ილიას ნაწერების უდიდესი ნაწილი ჟურნალისტურ-პუბლიცისტურია. მწერალი ასევე დიდ დროს უთმობდა საზოგადოებრივ სფეროს, როგორც ბანკის მმართველი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, ბოლოს როგორც იმპერიის სახელმწიფო საბჭოს, 1906 წლიდან – იგივე ზედა პალატის წევრი (შედგებოდა 222 კაცისაგან).

მაგრამ ყველაზე დიდი დრო და ენერგია შეალია „ივერიას“, რომელსაც 25 წელი რედაქტორობდა. „ივერიის“ ფურცლებზე აისახა საქართველოს კულტურა და ისტორია, საერთაშორისო ცხოვრება, ის ძვრები, რომელთაც კვალი დატოვეს ადამიანთა ფსიქიკაში, საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

„დროების“ დახურვის შემდეგ, 1886 წლიდან, ხელისუფლების დასტურით ილიამ „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა.

მაქსიმე შარაძის მოთავეობით სტამბაც იქნა შეძენილი (მთლიანი ხარჯი – 5.000 მან.), სადაც იბეჭდებოდა ქართული, რუსული და სომხური წიგნები.

ილიას ამ პერიოდის პუბლიცისტიკიდან საყოველთაოდ ცნობილია შინაური მიმოხილვები, „აი, ისტორია“, „ქვათა ღაღადი“, „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, „კატკოვის პასუხად“. მაგრამ უამრავი მასალა ფსევდონიმით ან ხელმოუწერლად იბეჭდებოდა. მათ გამოვლენას დიდი დრო დასჭირდა.

ზოგი რამ დღესაც საკამათოა (მაგ., ჩიტორელიძის „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“). საერთოდ ფსევდონიმებით ყველა მოღვაწე იყო გატაცებული (მაგ., ი. გრიშაშვილს 250-მდე ფსევდონიმი ჰქონდა). ნიღბებით ასეთნაირად მოთამაშე ჟურნალისტი ბალ-მასკარადის დომინოს ჰგავდა, რომელსაც თითქოს იცნობენ და თითქოს არც იცნობენ.

ფსევდონიმები კიდევ იმიტომ იყო საჭირო, რომ რედაქციას დაეფარა თანამშრომელთა სიმცირე, შეექმნა სიმრავლის ილუზია, რაც განსხვავებული აზრის გამოთქმის საშუალებასაც იძლეოდა და, ასევე, ერთი იდეის ვარიაციული დასაბუთებაც ხერხდებოდა.

მაგ., ილია ნოე ჟორდანიასთან პოლემიკის დროს „ახალმოსულის“ ფსევდონიმს ამოეფარა, ხოლო „გლახის ნაამბობს“ ჯიმშერიძის ფსევდონიმით ბეჭდავდა.

ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა მრავალი ფსევდონიმი გახსენეს ალ. კალანდაძემ, ი. გრიშაშვილმა, გ. მიქაძემ, მაგრამ ბევრი ისევ უცნობია.

ზოგმა ფსევდონიმი გვარად აქცია (მაგ., ლუკა რაზიკაშვილი – ვაჟა-ფშაველა, შიო დედაბრიშვილი – შიო არაგვისპირელი, იოსებ მამულაიშვილი – იოსებ გრიშაშვილი, სანდრო ჩოჩია – ალექსანდრე აბაშელი, ალექსანდრე ფრონელი – ალექსანდრე ყიფშიძე, ილია ხონელი – ილია ბახტაძე, ბოსლეველი – ესტატე მჭედლიძე, მეველე – დავით მიქელაძე, გიორგი მაიაშვილი – გიორგი ზდანევიჩი).

სოციალ-დემოკრატები ჟურნალისტები იყვნენ, კონსპირატორები და რევოლუციონერები. მათ ისედაც სჭირდებოდათ ნიღაბი, რაც შეეზარდა მათ სახეს და გაჰყვათ სიცოცხლის ბოლომდე. მაგ., ლენინი, სტალინი, ტროცკი, მოლოტოვი.

ილია ჭავჭავაძეს, როგორც მოღვაწეს, გარკვეული ლავირებაც დასჭირდა. იგი გაზეთის ფურცლებზე მიესალმა 1888 წელს იმპერატორ ალექსანდრე III–ის ჩამოსვლას ტფილისში, რუსული ჯარის შემოსვლის 100 წლისთავს, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებას, ზოგ საკითხზე კი დუმილს არჩევდა.

ცხადია, მოღვაწე საზოგადოებისაგან იზოლირებული ვერ იქნებოდა, ხოლო თუ დაპირისპირების გზას დაადგებოდა, რევოლუციონერი უნდა ყოფილიყო, რომელიც ციხისა და კატორღის

მუდმივ ბინადრად ითვლებოდა, უნდა ჰქონოდა ერთგვარი მაზოხიზმი, მარტვილობის უნარი.

ილია ლეგალურად, კანონის ფარგლებში მოქმედებდა და ასე იცავდა ქართულ ენას, კულტურას, ერის ინტერესებს, რათა რუსიფიცირების ტალღა მოეგერიებინა, ამიტომ მუდმივად პოლემიკაში იყო გახვეული და საკმაოდ უხეშად ეპყრობოდა ოპონენტებს.

ცენზურაც მკაცრად მოქმედებდა, თუმცა არა ისე, როგორც საბჭოთა მთავლიტი.

მაინც, 1896 წელს, მთავარმართებელ შერემეტიევის განკარგულებით რვა თვით შეაჩერეს „ივერიის“ გამოცემა.

პარალელურად, 90-იანი წლებიდან „მესამე დასელები“ სწორედ რევოლუციურ გზას, ციხეს და კატორღას არჩევენ რეფორმების მოლოდინს. მათ ილიას ეროვნული კონსოლიდირების პროგრამას სოციალური კონსოლიდირება, რევოლუცია და სოციალიზმი დაუპირისპირეს. მოკავშირედ კი სწორედ რუსი თანამოაზრეები მიიჩნიეს, როგორც ადრე „თერგდალეულებმა“.

ერთხანს ილიას უნდოდა, რომ „ივერიის“ რედაქტორი ყოფილიყო ნოე ჟორდანია. პოლემიკის შემდეგაც პეტერბურგში შეხვდა მას (ილია – სახელმწიფო საბჭოს წევრი, ნოე – პირველი სათათბიროს დეპუტატი).

ავტონომიის საკითხზე ისინი ვერ შეთანხმდნენ. ორივე მხარემ არჩია, რომ არც დაპირისპირება ჰქონოდათ.

„ივერია“ იმჟამინდელი საქართველოს ცხოვრების მატიანეა. იბეჭდებოდა ყველა ცნობილი მწერალი, მეცნიერი, ჟურნალისტი (მათ შორის – ზოგი მესამე დასელიც), უახლესი ინფორმაციები.

აქ გამოქვეყნდა სოსო ჯუღაშვილის (სტალინის) ლექსები, რომელთაგან „დილა“ იაკობ გოგებაშვილს ბოლო დროს „დედაენის“ წიგნშიც კი შეუტანია.

მთელი მსოფლიო სოციალიზმისა და მარქსიზმის იდეებით იყო შეპყრობილი და ახალგაზრდობაც მათ გაჰყვა. ილიას კონსერვატიზმი და პრაგმატიზმი კრიტიკის ობიექტი აღმოჩნდა.

ილია ხედავდა, რომ მის სიტყვას აღარ ჰქონდა რეზონანსი. მას მხოლოდ წარსულში ხედავდნენ და მეორედ ჩამოსცილდა საზოგადოებრივ არენას – გაზეთს, ბანკს, მწერლობას...

მიზეზი ჯანმრთელობაც იყო: დიაბეტი, ინფარქტი, პროსტატიტი...

წინ იმპერიის სახელმწიფო საბჭო იყო.

პრაქტიციზმის აღმატებით

ენის, პროზის, ლექსის დემოკრატიზება აუცილებელი გახდა, რათა ფორმალიზმისათვის შემოქმედს თავი დაეღწია და ცხოვრების ნაკადი შემოეშვა სტრიქონებში; როგორც ძველი სამოსელი, ისე უნდა გადაეგდო ანბანთქება, ზმა თუ ღვარჭნილი სტილი.

მაგრამ გახალხურების ტენდენციამ წარმოშვა სხვა საფრთხე და უკიდურესობა, რაც ცხადი და უფრო ნათელი გახდა XX საუკუნეში. პუბლიცისტურმა აზროვნებამ დაჩრდილა კულტურის ყველა სფერო.

ქართული ლექსი თავისთავში ჩაიკეტა. აკაკი წერეთლის პატრიოტიკამ, სატრფიალო და სასიმღერო ჰანგებმა მასები მიიზიდა. მას გაჰყვა ახალთაობაც. მაგრამ იგი მოწყდა განვითარების ევროპულ ტენდენციას.

ქართულ პოეზიას გამორჩა პარნასელები, იმპერსიონისტები, სიმბოლისტები, სონეტი და ტრიოლეტი, რონდო და ტერცინა, ასონანსი და კონსონანსი, დეკადანსი და ანტიკა.

ნ. ბარათაშვილის პოეზია პასუხობდა თავისი დროის მოთხოვნებს, რომანტიკულ სულისკვეთებას. აკაკი წერეთლის გარე-

მოების საყვირად ქცეული სიტყვა ხალხის ინტერესებს კი გამოხატავდა, მაგრამ არა თანამედროვე ფორმებით.

XIX საუკუნე რომანის ტრიუმფის ასწეულია. ქართული ლიტერატურა ვერ აჰყვა ამ ტემპსა და ტენდენციას. მხოლოდ ყაზბეგმა იბრძოლა ქართული რომანისათვის. მაგრამ არ ეყო ფსიქიკური მდგრადობა. ცხადია, საქართველო არ იყო არც ძლიერი, არც დამოუკიდებელი. მაგრამ ერთია ფაქტი, მეორე – მისი ახსნა.

დრო გადიოდა და ჩამორჩენა იზრდებოდა. კულტურული კონტაქტებიც ქრებოდა. ევროპაში მთავრდებოდა მოდერნიზმი და იწყებოდა ავანგარდიზმი. მხატვრობაში კუბიზმი იმარჯვებდა. იმპრესიონიზმი წარსულს ეკუთვნოდა. ვერდის, ვაგნერის, ბიზეს, ჩაიკოვსკის ოპერები იპყრობდა სცენას, თეატრი განახლების ტრიბუნად იქცა.

ივანე მაჩაბელი თარგმნიდა შექსპირს. მაგრამ ევროპას ჰყავდა თანამედროვე დიდი დრამატურგებიც (მაგ., იბსენი, ჰაუპტმანი).

არისტოკრატია უსმენდა მოცარტსა და ბახს, ბეთჰოვენსა და ვაგნერს, ვერდს და ბიზეს. მაგრამ ქვეყანას არ ჰყავდა არც მუსიკოს-შემსრულებლები, არც კომპოზიტორები. ჟურნალისტური ინფორმირება არ კმაროდა.

ევროპაში კანტი, ჰეგელი და შლეგელი ისტორიაში გადადიოდნენ. ახლა შოპენჰაუერი და ნიცშე იყვნენ დირიჟორები. ცივილიზაციის სასწაულები ტფილისსაც იპყრობდა – ჯერ ეს იყო ფოტოგრაფია, შემდეგ – ტელეგრაფი, ტელეფონი, ელექტრონი, მატარებელი, ტრამვაი, ძველი დროიდან ცნობილი, მაგრამ ახლად მიგნებული წყალგაყვანილობა და კანალიზაცია.

კულტურაში გაჩნდა დიდი ვაკუუმი, რაც გამოიწვია რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებზე დამოკიდებულებამ, ხალხისადმი მსახურების იდეამ. ის დიდი მუხტი, რითაც მოვიდნენ „თერგდალეულები“, კულტურის მიმართულებით ვერ განვითარდა და

მოხმარდა თვითმოქმედებით წარმოქმნილ ორგანიზაციებს (ბანკი, თეატრალური საზოგადოება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, პრესა).

ყურადღება ექცეოდა ევროპული კულტურის არა მაგისტრალურ, არამედ პერიფერიულ ხაზებს (მაგ., ილია თარგმნიდა ბუვიეს „იზას“ და გეორგ ებერსს).

ასე გაგრძელდა XX საუკუნის 10-იან წლებამდე, ვიდრე არ გამოჩნდნენ მოდერნისტები, რომელთაც უარყვეს „თერგდალეულთა“ უტილიტარიზმი.

3. ბეჭდვითი სიტყვა

პრესის მნიშვნელობა

60-იანი წლებიდან ბეჭდურმა სიტყვამ საბოლოოდ დაამარცხა ხელნაწერი, ისევე როგორც სალონი – თეატრმა. ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების აუცილებლობამ პრესის მნიშვნელობა ცხადი გახადა.

ამას უფრო გრძნობდნენ „თერგდალეულები“. „მამები“ ისევ „ცისკრის“ ამარა დარჩნენ და კმაყოფილი იყვნენ.

მთავრობა აღარ აფინანსებდა ეროვნულ ორგანიზაციებს. თავად მოქალაქეებს უნდა გამოეჩინათ ინიციატივა. სამაგიეროდ – არ ზღუდავდნენ. არც ცენზურა იყო ისეთი ულმობელი, როგორც სსრკ-ში.

მაგრამ ისევ ჭირდა გავრცელება. კომუნიკაციები ჯერ არ იყო განვითარებული – ფოთი-ტფილისის სარკინიგზო ხაზი მხოლოდ 1870 წელს ამუშავდა.

გადაადგილების საშუალება იყო ურემი, ცხენი და ეტლი.

გარდა ამისა, წერა-კითხვა ჯერ ისევ თავადაზნაურთა ნაწილმა იცოდა. ბეჭდურ სიტყვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მაგრამ ვინ იყო ტექსტის წამკითხველი, წაკითხვას გაგებაც უნდოდა.

გამგები კიდევ უფრო მცირე იყო.

არსებობდა მესამე ფაქტორიც – ეკონომიკური სიდუხჭირე, რომელსაც ხალხმა თავი ვერ დააღწია. დარდიმანდი და მოქეიფე თავადები წიგნსა და გაზეთზე არ ფიქრობდნენ.

თვით გრიგოლ ორბელიანიც კი არნახულ სიძუნწეს იჩენდა და არასოდეს „ცისკარი“ ხუთ ცალზე მეტი არ გამოუწერია.

სომხები გაცილებით სხვაგვარად იქცეოდნენ – ისინი ფულს არ იშურებდნენ თავიანთი კულტურისათვის.

„დროებას“, „ივერიას“, ისე როგორც „საქართველოს მოამბეს“, ტირაჟი მცირე ჰქონდათ.

შესაბამისად შეზღუდული იყო გავლენისა და ინფორმაციის გავრცელების არეალი. მაგრამ არ ჩანდა მეტი გზა და საშუალება.

ბოლშევიკები და მენშევიკებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პრესას, საერთოდ – რევოლუციონერები. ისინი პროკლამაციებსაც იშველიებდნენ, რათა თავიანთი სიტყვა ხალხში შეეტანათ.

პერიოდიკის არსებობისათვის მთავარი იყო ხელმომწერთა კონტიგენტი. ეს ანიჭებდა გამოცემას შედარებით სტაბილური არსებობის საშუალებას.

ცალობით გაყიდვა არსებულ სიტუაციაში თითქმის შეუძლებელი იყო. მხოლოდ ზოგ შემთხვევაში თუ მოხერხდებოდა, ცალკეულ პირთა მონდომებით, მათი ახლობლების საშუალებით.

ყველა ხელისმომწერი ან მყიდველი მკითხველი ხომ არ იყო.

გლეხი და მუშა-ხელოსანი პერიოდიკას არ იწერდა და არც კითხულობდა. მაგრამ იზრდებოდა მოსახლეობის რიცხვი, განათლებულთა რაოდენობა, რაც აისახა 990-იანი წლების პრესაზე. ქა-

ლებიც აქტიუროზდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე (მაგ., ეკ. გაბაშვილი, ა. თუმანიშვილი-წერეთლისა, მ. დემურია, მ. ნაკაშიძე...).

გავლენის არეალი

ტირაჟის სიმცირე ზღუდავდა ინფორმაციის გავრცელებას. მაგრამ ასევე ართულებდა გამოცემას, რადგან ჭირდა სტამბის, ტრანსპორტირების ხარჯის, თანამშრომელთათვის შრომის ანაზღაურება.

„საქართველოს მოამბემ“ სტამბას ერთი წლის მანძილზე 1600 მანეთი გადაუხადა.

ტირაჟი იყო 500-დან 700-მდე ეგზემპლარი, ნომრის მოცულობა – 122-160 გვერდი.

შინ გაგზავნით 12 ნომერი ღირდა 10 მანეთი, ცალკე ერთი ნომერი – 85 კაპიკი (ალ. კალანდაძე);

ივანე კერესელიძის „ცისკარს“ ძირითადად 200-240 ხელმომწერი ჰყავდა. მხოლოდ 1864 წელს მიაღწია 600-ს. ალბათ, „საქართველოს მოამბის“ საპირისპიროდ „მამებმა“ სრული მობილიზაცია გამოაცხადეს.

შემდეგ კი ტირაჟი ისე დაეცა, რომ 100-საც კი ვერ ამეტებდა. საქმეს ვერ შველოდა რედაქტორის თავგანწირვა, ჯაფა და თავის დამცირება. ზოგჯერ იძულებული იყო უფასოდ დაერიგებინა დაინტერესებულ პირთათვის, ნაცნობ-მეგობრებისათვის ან ნატურით მიეღო ხელმოწერის საფასური.

1860 წელს „ცისკარი“ 22 ცალი გამოუწერია გაბრიელ მამაცაშვილს, რაც სარეკორდო ციფრია.

ნიკო ნიკოლაძის ჟურნალ „კრებულის“ ტირაჟი მერყეობდა 500-დან 900-მდე. მაგრამ შემოსავალი არ კმაროდა და გამოცემას თავად რედაქტორი აფინანსებდა.

ჟურნალი „მნათობი“ გამოდიოდა 1869-1872 წლებში (რედ. ნიკოლოზ ავალიშვილი). ტირაჟი ჰქონდა 250-300 ეგზემპლარი. ამასაც ვერ ასაღებდნენ და რედაქტორი, როგორც ივ. კერესელიძე, საკუთარ ფულსაც ხარჯავდა.

ჟურნალი მთელი წლით გაგზავნით ღირდა 8 მანეთი.

ხელისმომწერლებიც ვერ იხდიდნენ მთლიან თანხას.

გაზეთ „დროებასაც“ ვერ ჰქონდა საქმე კარგად. თავიდან ხელისმომწერი 300-მდე იყო. მაგრამ 80-იან წლებში, როცა ქვეყანას დაეტყო ეკონომიური გამოცოცხლება და წერა-კითხვასაც შედარებით ნაკლები ხალხი უყურებდა ლურსაბ თათქარიძის თვალით, ტირაჟმა 1000-ს გადააჭარბა.

გაზეთი იგზავნებოდა საქართველოს ქალაქებში, იმპერიის ცენტრებში, ევროპაში, სადაც ჰყავდათ კორესპოდენტ-გამავრცელებლები. გამოდიოდა 1866-1885 წლებში.

სხვადასხვა დროს რედაქტორები იყვნენ გ. წერეთელი, ს. მესხი, კირ. ლორთქიფანიძე, ი. ჭავჭავაძე, ი. მაჩაბელი.

გამომცემელი იყო სტეფანე მელიქიშვილი, პეტრე მელიქიშვილის ძმა, შემდეგ გიორგი ქართველიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი.

ისინი თავიანთი შრომით, ფინანსებით, პატრიოტული სულისკვეთებით აცოცხლებდნენ გაზეთს, იკრებდნენ თანამშრომლებს, მკითხველებს.

სტეფანე მელიქიშვილმა ვენაში ჩამოასხმევინა ქართული შრიფტი, ჩამოიტანა თანამედროვე სტამბა, რათა ქართულ წიგნს, გაზეთს, ჟურნალს დაბრკოლება არ შექმნოდა.

ილია ჭავჭავაძის „ივერიას“ 1882 წლისათვის ჰყავდა 437 ხელმომწერი, აქედან ტფილისში – 126. მაგრამ მეტი იბეჭდებოდა და უფასოდ იგზავნებოდა სკოლებში, სხვადასხვა ქალაქში (ალ. კალანდაძე).

გაზეთ „შრომის“ ტირაჟი იყო 450, ჟურნალ „იმედისა“ – 1000-1500. ხალხოსნების ეს გამოცემა გამოდიოდა 1881-1883 წლებში. ჰქონდათ ჰონორარი, საკმაოდ კარგი. მაგ:, ლექსის ერთი სტრიქონი ღირდა 3-6 კაპიკი.

რედაქტორ-გამომცემელი იყო მიხეილ გურგენიძე.

როგორც იზრდებოდა საქართველოს მოსახლეობა, მატულობდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი და ეკონომიკაც ძლიერდებოდა, ისე მატულობდა პრესის ტირაჟი, ძალა და მნიშვნელობაც.

პერიოდიკა როგორც კი თავის ფურცლებს უთმობდა აქტუალურ პრობლემებს, საზოგადოებრივ თემატიკას – ტირაჟიც იზრდებოდა.

90-იან წლებში გამოსვლას იწყებს გაზეთი „კვალი“, რომელიც მარქსისტების გამოცემად იქცა და შესაბამისად პოპულარულ გამოცემად ჩამოყალიბდა.

900-იანი წლებიდან, რაც წარმოიშვა პოლიტიკური პარტიები, რაც ჟურნალისტის სიტყვა რევოლუციურ პროცესებს დაუკავშირდა, გაზეთისადმი საგრძნობი ინტერესი გაჩნდა.

საზოგადოებრივი ცხოვრების აჩქარებამ და ეკონომიკურმა პროგრესმა ერთბაშად აღმოაცენა მრავალი გამოცემა, რომელსაც ჰქონდა საკმაო ტირაჟი, ჰყავდა თანამშრომლები და ავტორებს აძლევდა ჰონორარს.

პრესას უკვე სპონსორის გარეშეც შეეძლო ეარსება, განსაკუთრებით ეს ითქმის პარტიის გაზეთებზე. მაგ., სოციალ-დემოკრატების პრესა, კერძოდ – ყოველდღიური „ერთობა“, სოციალისტ-ფედერალისტების „სახალხო საქმე“, ეროვნულ-დემოკრატების „საქართველო“.

ილია ჭავჭავაძის „ივერიისათვის“ პიკი იყო 90-იან წლები.

ადრე თუ ერთი-ორი გამოცემა არსებობდა, 900-იანი წლებიდან უამრავი ჟურნალ-გაზეთი გამოდის, გამოდის არა მხოლოდ

ტფილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც (მაგ., ქუთაისში, ბათუმში).

გაიოლდა გამოცემაც, მასალის მოპოვებაც, სატელეგრაფო კონტაქტებიც. მაგრამ დარჩა ცენზურა, რომელმაც დახურა არაერთი გამოცემა (მაგ., „დროება“, „იმედი“, „შრომა“, „თეატრი“, „ნობათი“, ნ. ნიკოლაძის „Обзор“-ი).

რედაქტორები და თანამშრომლები

თავდაპირველად ქართულ პრესას ჰყავდა რედაქტორებად ცნობილი მწერლები და მოღვაწეები: ს. დოდაშვილი, პლ. იოსელიანი, გ. ერისთავი, ივ. კერესელიძე, ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. მაჩაბელი, აკ. წერეთელი.

მაგრამ დრო გადიოდა, იზრდებოდა გამოცემათა რიცხვი, ხდებოდა პროფილის დიფერენცირება და უკვე ჟურნალისტები განაგებდნენ თავიანთ საქმეს.

ისინი ზოგჯერ ემორჩილებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს, ან – თავად იყვნენ პოლიტიკოსები და რევოლუციონერები.

პრესა უკვე დამოკიდებული იყო არა ლიტერატურაზე, არამედ – პოლიტიკურ პროცესებზე, კულტურის სახეცვლილ იდეებზე.

ჟურნალისტები იყვნენ ჟორდანია, ლასხიშვილი, ჯორჯაძე, პლეხანოვი, ლენინი, სტალინი, ტროცკი...

პარტიას გაზეთი სჭირდებოდა თავისი იდეების პროპაგანდისათვის, მკითხველამდე მისატანად, მათი ინფორმირებისა და დეზინფორმირებისათვის.

ცალკე გზები ჰქონდათ სალიტერატურო და საბავშვო პრესას, სამეცნიერო გამოცემებს, ჟურნალსა და გაზეთს.

როცა გაჩნდა ჰონორარი, პრესას შეეძლო მოეზიდა თანამშრომლები, შეერჩია ავტორები, მათი მეშვოებით უფრო მკვეთრად გამოეხატა თავისი კრედო და მიმართულება.

საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრების სხვაობა იწვევდა პრესის სიმრავლესა და გააქტივებას, რასაც შეიძლება ეწოდოს პრესის ბუმი. ეს მაშინ, როცა 40 წლის წინათ ილიას „საქართველოს მოამბე“ რომ გამოეცა, პეტერბურგის დასტური სჭირდებოდა და ივანე კერესელიძე საკუთარ ქონებას სწირავდა ჟურნალის გამოცემად.

ასევე, და უფრო მეტადაც, განვითარდა რუსული და სომხური პრესა.

აი, არასრული სია 900-იანი წლების ქართული ჟურნალ-გაზეთებისა:

„ბრძოლა“, „ივერია“, „მოგზაური“, „ცნობის ფურცელი“, „საქართველოს მოამბე“, „საქართველო“, „პროლეტარიატის ბრძოლა“, „კვალი“, „ნაკადული“, „განთიადი“, „შრომა“; „მეგობარი“, „წინ“, „მნათობი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ისარი“, „ლახვარი“, „დილა“, „ჩვენი სიტყვა“, „ცისარტყელა“, „მოამბე“, „ხუმარა“, „ეშმაკის მათრახი“, „ხიბლი“, „ეკალი“, „იმედი“, „დროება“, „ნიშადური“, „აზრი“, „ამირანი“, „ცხოვრების სარკე“, „ალიონი“, „ჩვენი კვალი“, „განახლება“, „მწყემსი“, „ჩანგი“, „ერი“, „ფასკუნჯი“, „ფონი“ (იხ. გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკა, თბ., 1946.

ყველა გამოცემაში ადგილი ეთმობოდა ლიტერატურას, თარგმანებს, პერიოდულობა მერყევი იყო, ხანგრძლივობა – უმრავლესობისთვის მოკლე, როგორც პეპელას სიცოცხლე.

მაგრამ იყო სოლიდური, სტაბილური გამოცემები. მაგ., „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“...

ასეთ დროს ილია ჭავჭავაძე ჩამოსცილდა „ივერიას“.

ახალი დრო აჩენდა ახალ პრობლემებს.

არც ახალი ჟამის შვილები დადიოდნენ მამების კვალზე.

ილიას საერთო ნიადაგის თეორია, კლასთა თანხმობა შვილებს უტოპიად მიაჩნდათ. მაგრამ დრომ აჩვენა, რომ სწორი იყო.

სოციალიზმი რეალობად ეჩვენებოდათ. მაგრამ ჟამმა უნდობარმა დაადასტურა, რომ თურმე სწორედ ეს ყოფილა უტოპია, რომელმაც მილიონების გონება აამღვრია.

ილიას მწვავე პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან, არჩილ ჯორჯაძესთან, იროდიონ ევდოშვილთან, ივანე გომართელთან, ნიკო მართან, რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის გარდატეხის მაჩვენებელი გამოდგა.

ჭაბუკი ილიას კამათი „მამებთან“ კულტურის სფეროში რჩებოდა. მაგრამ მხცოვანი მოღვაწის „შვილებთან“ კონფლიქტებს, აზრთა სხვაობას პოლიტიკური ხასიათი მიეცა. მალე ილია სახელმწიფო საბჭოს წევრი გახდა, ქვეყანაში ტერორი მძვინვარებდა, რაც მოჰყვა დამარცხებას იაპონიასთან, რევოლუციონერთა დამარცხებას.

ასპარეზზე გამოვიდნენ კაკოს, გაბროს, ზაქროს შურისმაძიებელი შვილები. ისინი განდეგილებს სენაკიდან გამოჰყრიან, არჩილსა და კესოს ეშაფოტზე აიყვანენ. მანამდე კი გასწირავენ ილიას, ვის წიგნებზეც აღიზარდნენ.

ეს იყო მამისმკვლელობა, სისხლის წყურვილი.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა ნოე ჟორდანიამ, ილიას ყველაზე გამოკვეთილმა იდეურმა მოწინააღმდეგემ, რომელსაც ადრე ავტონომიის გაგებაც არ უნდოდა.

„შვილებმა“ ჯერ ილია მოიშორეს თავიდან, შემდეგ მისი გზა გააგრძელეს ანუ ასეთია სასტიკი ცხოვრების ლოგიკა, რომელიც ქრისტიანულ სათნოებას არ ემორჩილება.

მაშ ასე – ლიტერატურამ შვა ჟურნალისტიკა, ჟურნალისტიკამ – პოლიტიკური იდეოლოგია, იდეოლოგიამ – რევოლუცია, რომელიც არც მამებს ინდობს, არც შვილებს.

მაგრამ კონფლიქტი ძმებს შორისაც გაჩნდა და ფილიპე მახარაძის ბოლშევიკურმა დასმა, მოსკოვის დახმარებით, სამშობლოდან გააძევა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია – ფილიპეს ყოფილი მეგობარი და თანამოაზრე, პარლამენტი და ხელისუფლებაც.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ცვალებადობა კი ფერს უცვლიდა კულტურას, წამოსწევდა ან სძირავდა კულტურის მოღვაწეებს, კულტურის ძეგლებსა და ნიმუშებს.

60-იანი წლების ჟურნალისტური ნაპერწკლებიდან მართლაც ხანძარი აბრიალდა, რომელმაც ქართლის მთები კი არა, ლამის მთელი მსოფლიო გააწითლა.

ილიას მიერ „ივერიის“ ფურცელზე გზადალოცვილი სოსელო – იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) დირიჟორობდა აპოკალიფსურ წარღვნას.

თარგმანის თვალსაწიერი

თარგმანი აჩენს კულტურაში არსებულ ტენდენციას და ორიენტაციას. იგი პოლიტიკური პროცესების თანამდევიცაა.

სპარსულს რომ რუსულ-ევროპული შეენაცვლა, ირანელი ავტორები დაივიწყეს და თარგმანის სფეროშიც გააგრძელეს ანტონ კათალიკოსის მიერ დასახული გეზი.

როგორც გვახსოვს, თარგმანს ძველი დროიდან ჰქონდა პრიორიტეტი და ნათარგმნი დიდად აჭარბებდა ორიგინალურს.

ბატონიშვილები, ორბელიანები, ალ. ჭავჭავაძე, გ. ერისთავი, ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი თარგმნიან რუს და ევროპულ ავტორებს.

ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. მაჩაბელი აგრძელებენ ამ ტენდენციას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრი თარგმანი მკვდარი ლიტერატურაა.

ამისი ერთ-ერთი მიზეზი ანტონ კათალიკოსის ენაა, რომელიც ბარიერად ექცა მკითხველს. ბევრი თარგმანი არც დაბეჭდილა.

ენის გარდა, არც მთარგმნელები გამოირჩეოდნენ მხატვრული ოსტატობით ან მეცნიერული ტერმინების სიზუსტით.

ილიას თარგმნილი ჰყავს არაერთი პოეტი და პროზაიკოსი. პოეტური თარგმანი მძიმე სტილითაა შესრულებული. ეს სიმძიმე ახლავს „მეფე ლირსაც“, რომელიც ი. მაჩაბელთან ერთად თარგმნა პეტერბურგში.

მოგვიანებით პროზას თარგმნიდა – ბუვიეს, ებერსს, კლარეტს, დოდეს...

მათგან პოპულარული იყო ბუვიეს „იზა“, რომელიც საბჭოთა პერიოდშიც იცემოდა.

ზოგ მათგანს თავის შემოქმედებაშიც იყენებდა. მაგ., „მეუდაბნოეს“ თარგმანის შემდეგ წერს „განდეგილს“, რომელიც ამავე თემის ვარიაციაა. ამასთანავე – იგი ეხმიანებოდა ე. ზოლას „აბე მურეს შეცოდებას“ და გ. ფლობერის „წმინდა ანტონის ცთუნებას“.

ძნელია თქმა, რატომ ირჩევდა ილია ამ ავტორებს, რომელთა ტექსტებს გაგრძელებებით ბეჭდავდა „ივერიაში“. შეიძლება მკითხველის მოსაზიდად და ლიტერატურული ინტერესების გამო.

იგი ძალიან კარგად იცნობდა რუსულ და ევროპულ ლიტერატურას, მეცნიერებას, ბელეტრისტიკას. მაგრამ უპირველესი პროზაიკოსებით არ დაინტერესებულა. ამას მაშინაც შენიშნავდა კრიტიკოსი დ. აბდუშელიშვილი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაჩაბლის მიერ თარგმნილ შექსპირის ტრაგედიებს. ისინი მიიღო მკითხველმა,

გაითავისა თეატრმა და მისი რეპერტუარის საუკეთესო ნაწილად იქცა. თუმცა ლიტერატურაზე გავლენა არ ჰქონია.

მაჩაბელმა შექსპირი თარგმნა 14-მარცვლიანი ურითმო ლექსით, რამაც გაამართლა, რაც აღმოჩნდა ტრაგედიის შესატყვისი ფორმა. აკაკი წერეთელმა კრილოვი გადმოიღო რვა მარცვლოვანი მეტრით, ხალხური ლექსით, რაც ასევე მოერგო მასალას, იგავსა და კომიზმს.

ასე რომ – ორივე შემთხვევაში მოხერხდა დედნის შესაბამისი ინტონაციისა და ფორმის მოძებნა, ბუნებრივი ამეტყველება ქართულ ენაზე.

80-იანი წლებიდან ითარგმნება მრავალი დიდი რუსი და ევროპელი მწერალი (მაგ., ტურგენევი, ლ. ტოლსტოი, დიკენსი, მოლიერი, დეფო...), რაც ცხადყოფს ქართველთა ლიტერატურულ ინტერესებს.

მაგრამ მათაც არსებითი გავლენა არ მოუხდენიათ ქართულ მწერლობაზე. თითქოს თარგმანი არსებობდა თარგმნისათვის.

შედარებით მეტი ყურადღება მიექცია მოპასანს.

თარგმანის არეალი უფრო გაფართოვდა 900-იან წლებში, როცა თანამედროვე ავტორებიც ჩნდებიან ქართულ ენაზე (მაგ., შნიცლერი, გორკი, ჰაუპტმანი, უაილდი, ჩეხოვი, მირბო, დოილი...). ეს იყო განპირობებული პრესის მოთხოვნით, რომელსაც მასალა სჭირდებოდა.

ქართული ლიტერატურისათვის არც თარგმანებმა იქონიეს მნიშვნელობა. შეიძლება იმიტომ, რომ ინტელიგენციამ რუსული კარგად იცოდა, ტექსტებს ორიგინალში ეცნობოდნენ და თარგმანს ყურადღებას არ აქცევდნენ. მაგრამ უფრო მიზეზი უნდა ყოფილიყო სუსტი თარგმანი და ჟურნალისტური დამოკიდებულება მწერლობისადმი.

მაგ., ივანე ახალშენიშვილმა თარგმნა დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“ და გაგრძელებებით დაბეჭდა 1905 წლის ჟურნალ „მოამბის“ 12 ნომერში.

ამ ფაქტმაც შეუმჩნევლად ჩაიარა.

ქართული ლიტერატურა თარგმნილი ტექსტებიდან, მათი ავტორებისგან თითქმის იზოლირებულად ვითარდებოდა. ისინი ერთმანეთს არ ხვდებოდნენ.

მხოლოდ შიო არაგვისპირელის ნოველები ეხმიანებოდა რუსული და ევროპული ლიტერატურის ჟანრულ სიახლეს.

ამ ჰერმეტიზმსა და იზოლირებას მალე დაარღვევენ მოდერნისტები, როგორც ეს უკვე გაკეთებული ჰქონდათ მარქსისტებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს პოლიტიკის სფეროში.

ასევე სამწუხარო ფაქტი იყო ის, რომ ქართული მწერლობა თითქმის არ ითარგმნებოდა არც რუსულ, არც ევროპულ ენებზე.

ცხადია, უცხოელები არ დაინტერესდებოდნენ ჩვენი პოეზიითა და პროზით (გამონაკლისი იყო „ვეფხისტყაოსანი“). მაგრამ არც მწერლები აქტიურობდნენ, რომ ეთარგმნათ მათი ნაწერები (მაგ., ილია და აკაკი, ვაჟა და დავით კლდიაშვილი).

ცალკეული ცდები (მაგ., არტურ ლაისტისა და მარჯორი უორდროპისა) ამ იზოლირების სურათს არ ცვლიდა.

ქართული მწერლობა, ისიც ძველი, მხოლოდ ფილოლოგებმა აღმოაჩინეს.

ქართული წიგნი

ვახტანგ VI-ის სტამბიდან 150 წლის შემდეგ ისევ ჩნდება ინტერესი წიგნის ბეჭდვისადმი. 70-იანი წლებიდან, გაზეთის პარალელურად, იბეჭდება ცალკეული წიგნაკები, როგორც ელიტარული (მაგ., გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“), ისე მასობრივი ხასიათისა (მაგ., ტფილისელი აშუღებისა).

მაგრამ ამ ტენდენციას არ ჰქონია ისეთი გავრცელება, როგორც რუსეთსა და ევროპაში. წიგნი გაზეთზე ნაკლებად იყიდებოდა. მკითხველი ცოტა იყო, მეტი იყო მსმენელი, რომელმაც არ იცოდა წერა-კითხვა, მაგრამ სიამოვნებდა ამბის გაგება.

ლექსი ზეპირად, დეკლამაციითა და სიმღერით ვრცელდებოდა. ამიტომ ასეთი სიტყვა უფრო პოპულარული იყო, ვიდრე პროზა. პოემა იგივე გალექსილი მოთხრობა და რომანი იყო, რომელიც რაღაც ამბავს გადმოსცემდა. ამბავი აინტერესებდათ, მაგრამ იგი რომ გავრცელებულიყო, უნდა გაერითმათ, წყობილი სახე მიეცათ.

ილია ჭავჭავაძეც კი არ იყო დაინტერესებული თავისი წიგნების გამოცემით. 90-იან წლებში, როცა მისი ნაწერების ოთხი ტომი დაიბეჭდა, ეს ა. ჯაბადარის ინიციატივით მოხდა. მაგრამ არ გაგრძელებულა. ამავე დროს გამოიცა ალ. ყაზბეგის ტომები.

წიგნი მოგებას არ იძლეოდა, გარდა სასკოლო სახელმძღვანელოებისა. ამიტომ არჩევდნენ ლექსები და პოემები, ცალკეული პროზაული ნაწერიც (მაგ., აკაკისა და ვაჟასი) გამოეცათ ბროშურის სახით, რბილი ყდით.

პოპულარული იყო გამოყენებითი ლიტერატურა. მაგ., ბარბარე ჯორჯაძის სამზარეულო წიგნი, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, ბიბლია, საღვთისმეტყველო ბროშურები.

მღვდელმა მიხეილ საბინინმა (დედით ქართველი იყო) 1882 წელს პეტერბურგში გამოსცა „საქართველოს სამოთხე“ – ქართველ წმინდანთა ცხოვრება ლითოგრაფიებით.

ძველ ქართული წიგნებიდან ისევ აფასებდნენ „ვეფხისტყაოსანს“, „ვისრამიანს“, „ყარამანიანს“. ტფილისის დაბალი ფენები კვლავ სპარსულიდან თარგმნილი და გადმოკეთებული ტექსტებით ან აშუღების სასიმღერო ლექსებით ერთობოდნენ.

80-იან წლებში გამოიცა „ვისრამიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“. საზოგადოებას ორივე ქართული წიგნი ჰგონებია. მაგრამ ახალგა-

ზრდა ნიკო მარმა მიუთითა, რომ 1865 წელს კალკუტაში იყო გამოცემული „ვისრამიანი“ ანუ მისი ორიგინალობის საკითხი გადაწყდა.

შემდეგ რუსთაველსაც გადასწვდა. მისი დედანი მეგულება ბრიტიშ მუზეუმში და მალე მოვიპოვებო.

ამან კი ისე აღაშფოთა საზოგადოება (მათ შორის – ილია და ვაჟა), რომ ეს ფაქტი დღესაც არ არის დავიწყებული.

„ვისრამიანის“ დაკარგვას შეეგუა ინტელიგენცია, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ არ ეთმობოდათ, მითუმეტეს, რომ მარმა ორიგინალს ვერ მიაგნო. შემდეგაც ბევრი ეცადა, მაგრამ ამაოდ.

„ვეფხისტყაოსანი“ 1888 წელს გამოიცა გიორგი ქართველიშვილის სპონსორობით, მიხაი ზიჩის ფერადი ილუსტრაციებით.

ცნობილი უნგრელი მხატვარი სპეციალურად ჩამოიყვანეს საქართველოში. დგამდნენ საგანგებო სცენებს, ეძებდნენ პერსონაჟთა პროტოტიპებს, რათა სურათებს ჰქონოდა ცხოვრებისეული სიმართლე, პერსონაჟები ყოფილიყვნენ ისეთი, მკითხველს რომ წარმოედგინა.

ზიჩის ილუსტრაციები დღესაც ერთ-ერთ საუკეთესოდ არის მიჩნეული, ისევე როგორც ქართველიშვილისეული გამოცემა, თუმცა ტექსტი დაზუსტდა და შესწორდა.

1988 წელს, გ. ფანჯიკიძის ინიციატივით, ისევ გამოსცეს ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“, როგორც 1937 წელს – ვახტანგისეული (აკ. შანიძის მიერ).

ტფილისში უკვე ქართველებსაც ჰქონდათ სტამბები – ს. ხელაძეს, მ. შარაძეს, მესხიევს, მანსვეტოვს.

მაინც ქართულ წიგნს ავიწროებდნენ რუსული და სომხური გამოცემები. რუსები თარგმნიდნენ მთელს ევროპულ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას, სცემდნენ მდიდრულად, ბეჭდავ-

დნენ თავიანთ მწერლებს, ცალკეულ ნაწარმოებებს თუ ტომეულებს.

ილიას უამრავი რუსეთში დაბეჭდილი წიგნი ჰქონდა თავის ბიბლიოთეკაში (კატალოგი დაბეჭდა გ. შარაძემ).

თარგმანს უფრო ჟურნალსა და გაზეთში ბეჭდავდნენ, ბეჭდავდნენ გაგრძელებებით, რათა მკითხველი მიეზიდათ. ცალკე გამოცემას კი ერიდებოდნენ, რადგან მისი ხარისხი რუსულს ვერ შეედრებოდა.

900-იანი წლებიდან შეიცვალა წიგნის ბაზარი, ისევე როგორც პრესა. მაგრამ გამოცემებს მაინც შერჩათ მასობრივი ხასიათი, ვიდრე ელიტარული.

ამ დროისათვის რუსები სცემენ ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონს, რომელიც 100 ტომს ამეტებს, ევროპულ და რუსულ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას, ევროპიდან ითარგმნება ყველაფერი, რაც ოდნავ ღირებულია.

წიგნებს ბეჭდავენ გამორჩეული დიზაინით, მაგარი ყდითა და ოქროსფერი ასოებით, საოცარი ოპერატიულობით.

მაგ., დიმიტრი მერეჟკოვსკის თხზულებათა სრული კრებული პეტერბურგსა და მოსკოვში 1911-1913 წლებში გამოსცეს 17 ტომად, ხოლო 1914 წელს, მოსკოვში – 24 ტომად, ერთ წელიწადში!

მდიდრული წიგნისათვის ქართული საზოგადოება არ იყო მზად – წამგებიან წიგნს გამომცემელი ხელს არ მოჰკიდებდა, რომელსაც უკვე თავისი ქსელი ჰქონდა საქართველოს ქალაქებში, ჰყავდა გამავრცელებლები. ამიტომ თავად ავტორებიც გააქტიურდნენ (შდრ – გალაკტიონი და მისი პირველი წიგნი).

900-იანი წლებიდან წელიწადში დაახლოებით 150 ქართული წიგნი იბეჭდებოდა. ზოგი წიგნაკი იყო. მაგრამ ტომეულებიც ქვეყნდებოდა (ი. ჭავჭავაძისა, გ. წერეთელისა, აკ. წერეთლისა, ალ. ყაზბეგისა, რ. ერისთავისა).

ეს მაშინ, როცა 1868 წელს გამოიცა მხოლოდ 11 ქართული წიგნი, 1878 წელს – 45.

გაიზარდა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ტირაჟიც).

მაგ., ვაჟა-ფშაველა 1910 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან ითხოვს სესხს 100 მანეთს, რათა 4.000 ტირაჟით გამოეცა „ბახტრიონი“!

როგორც მაღალ, ისე დაბალ ფენებში კვლავაც არსებობდა ინტერესი რუსთაველისადმი. იგი უყოყმანოდ მიიჩნეოდა პირველ პოეტად და უცვლელ ავტორიტეტად, რომელსაც ბეჭდავდნენ, თარგმნიდნენ, იკვლევდნენ. მაგ., აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას განსხვავებული ინტერპრეტაციები.

ძველქართული წიგნებისადმი ინტერესი გადადის მეცნიერულ სფეროში, რომლის თვალსაჩინო ნიმუშები იყო ნიკო მარის გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებზე, მეხოტბეებზე, იოანე პეტრიწზე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ უნიკალური გამოცემა.

დღის წესრიგში დადგა ძველი ქართული ორიგინალური თუ თარგმნილი წიგნების ბეჭდური გამოცემა, შესწავლა, ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტირება.

4. ბანკი და განათლება

სათავადაზნაურო ბანკი

როცა თავადაზნაურობას ნიადაგი ეცლებოდა და კულტურისათვის კი არა, არსებობისათვის უწევდა ბრძოლა, აუცილებელი გახდა ახალი, მუდმივი წყაროს ძიება.

ასეთი აღმოჩნდა ბანკი, რომელსაც ჯერ არ იცნობდა ხალხი.

მთავრობამ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურებს, ყმათა განთავისუფლების საკომპენსაციოდ, მისცა 160.000 მანეთი.

ამ ფულის განაწილებას აზრი არ ჰქონდა.

ამიტომ თავადაზნაურთა მარშალმა დიმიტრი ყიფიანმა მოიფიქრა, როგორც რუსეთში, აქაც დაარსებულიყო საზოგადოებრივი ბანკი. მანვე შეიმუშავა წესდების პროექტი.

თავადაზნაურთა კრებამ პროექტი მოიწონა (1867 წ.).

შეიქმნა სარედაქციო კომიტეტი (დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე...), მალე წესდება მთავრობას წარმოუდგინეს. მაგრამ დამტკიცება გაჭიანურდა.

საქმეს ამჯერადაც აფერხებდა მმართველობის ბიუროკრატიული წესი, კორუფცია და ნეპოტიზმი. ნ. ნიკოლაძე რამდენიმეჯერ მივიდა ილიასთან დუშეთში, რათა აეღო ბანკის საქმე და ჩამოსცილებოდა სახელმწიფო სამსახურს.

ილია პეტერბურგში კამერალურ განყოფილებაზე სწავლობდა, რომელშიც საბანკო საქმეც შედიოდა. მას იურიდიული კუთხით ათვისებული ჰქონდა ფინანსებისა და სახელმწიფო გადასახადების კანონები.

ახალი მარშალი ძველ პროექტს უარყოფდა. მაგრამ ილიამ დაარწმუნა თავადები, რომ საჭირო იყო სათავადაზნაურო ბანკი, რომელიც გასცემდა კრედიტებს და მიიღებდა მოგებას პროცენტების სახით.

მართლაც – 1872 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე ილია აირჩიეს ბანკის მმართველად, დირექტორებად – დიმიტრი ყაზბეგი და დავით ყიფიანი (გ. შარაძე).

ილია წესდების დასამტკიცებლად პეტერბურგში გაემგზავრა და თავი დაანება სამსახურს დუშეთში.

აპრილიდან თითქმის მთელი წელი პეტერბურგსა და მოსკოვშია: მექრთამე ჩინოვნიკები აყოვნებდნენ წესდების დამტკიცებას.

ამ პერიოდში ილიამ ივანე მაჩაბელთან ერთად თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“ (იცოდა მხოლოდ რუსული).

წესდება ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა 1874 წლის 28 მაისს. ქრთამის გაღების საშუალება რომ ყოფილიყო, ეს პროცედურა გაცილებით ადრე დამთავრდებოდა.

ბანკის საწყისი კაპიტალი იყო 253.000 მანეთი.

1874 წლის 5 სექტემბერს ტფილისში ილია დაამტკიცეს ბანკის მმართველად (გამგეობის თავმჯდომარედ). აირჩიეს ახალი დირექტორები.

ილია ჭავჭავაძე ბანკს განაგებდა 30 წლის განმავლობაში და არაერთი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა (არჩევნები ტარდებოდა სამ წელიწადში ერთხელ).

მათგან ყველაზე დრამატული იყო მრავალწლიანი კონფლიქტი ივანე მაჩაბელთან, რომელსაც ირჩევდნენ ბანკის დირექტორად.

ილია თვლიდა, რომ ფულმა ფული უნდა მოიგოს, რომ კრედიტებისაგან მიღებული თანხა, მოგება გამოეყენებინათ ქვეყნის საჭიროებისა და ღარიბებისათვის.

კერძო პირები მოგებას ვერ მიიღებდნენ.

ასეთივე ბანკი დაარსდა ქუთაისში ბესარიონ ღოღობერიძის მიერ შედგენილი წესდების მიხედვით.

ილია მკაცრი ფინანსისტი იყო – მოითხოვდა სიზუსტეს, წესდების პუნქტების დაცვას, რაც უჭირდათ მსესხებლებს. მაჩაბელი უფრო ლიბერალი იყო, უფრო ლმობიერი და ითვალისწინებდა თავადაზნაურთა მძიმე მდგომარეობას, რათა დაგირავებული მამულები არ დაეკარგათ.

ვალის გასტუმრება პრობლემად ექცათ კრედიტორებს, რამაც გამოიწვია კონფლიქტი მმართველსა და დირექტორს შორის.

ბანკის მოგებით ფინანსდებოდა სხვადასხვა კულტურული დაწესებულება: თეატრი, სკოლა, წიგნის გამოცემა და ასრულებდა საქველმოქმედო და კულტურის მატერიალური ბაზისის ფუნქციას.

მსგავსი სათავადაზანაურო ბანკი მოქმედებდა რუსეთშიც, რომლის ქონება 1917 წლის 1 იანვრისათვის იყო მილიარდ 117 მლნ მანეთი, გირავნობის ფურცლების თანხა – 952 მლნ.

ბანკში დაგირავებული იყო 29.237 მამული, რაც შეფასებული იყო მლრდ 543 მლნ მანეთად.

ცხადია, ქართული ბანკი მას ოდნავადაც ვერ შეედრებოდა. მაგრამ არსებულ სიტუაციაში იგი იყო ეკონომიკის სტაბილიზატორი და კულტურის ხელშემწყობი.

1905 წლისათვის ბანკის ძირითადი კაპიტალი იყო 666 000 მანეთი, სასოფლო-სამეურნეო კაპიტალი = 2,2 მლნ მანეთი.

10 წლის მანძილზე მოგება იყო 3,6 მლნ მანეთი.

ბანკთან ერთად ძლიერდებოდა ცალკეულ პირთა ბიზნესი (მაგ., ზუბალაშვილები, სარაჯიშვილი), რაც გამოიწვია იმპერიაში საერთო ეკონომიკურმა აღმავლობამ, სარკინიგზო მიმოსვლამ, ბათუმისა და ფოთის პორტებმა, ჭიათურის მარგანეცმა, ბაქოს ნავთობმა, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენმა.

მიუხედავად ამისა, სომხური კაპიტალი გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ქართული, რომელიც იპყრობდა ტფილისსა და ქართულ მიწებს.

დარდიმანდი, ქეიფისა და დროსტარების მოყვარული თავადები იღებდნენ სესხს, აგირავებდნენ მამულებს, ვალს ვერ იხდიდნენ და კარგავდნენ ქონებას, რომელიც საჯაროდ, აუქციონზე იყიდებოდა (შდრ – დავით რონდელის ფილმი „დაკარგული სამოთხე“).

უყმოდ, უმიწაწყლოდ დარჩენილები ვაჭრობით და მაჭანკლობით თუ შესძლებდნენ თავის რჩენას (იხ. დავით კლდიაშვილის პერსონაჟები).

სკოლა – დედაენა

როგორც ყოველი სახელმწიფო, ისე რუსეთის იმპერიაც ხელმძღვანელობდა განათლების სისტემას, მომავალი კადრების აღზრდის პროცესს.

კავკასიის სასწავლებლები ხან ყაზანისა და ხარკოვის ოლქებში შედიოდა, ხანაც ცალკე გამოყოფდნენ ან გუბერნატორებს უქვემდებარებდნენ.

რუსები კანონებს ხშირად ცვლიდნენ – უცვლელი იყო კონტროლი, ბიუროკრატია და კორუფცია.

სკოლებში სწავლების ენა ძირითადად რუსული იყო. ქართული დაუშვეს. მაგრამ თანდათან ზღუდავდნენ. თუ როგორი ცემა-ტყეპით, ფორმალობითა და გულგრილობით ზრდიდნენ ბავშვებს გიმნაზიებში, ამას გადმოგვცემენ ნიკო ნიკოლაძე და აკაკი წერეთელი.

გიმნაზიები, ისევე როგორც სამხედრო სასწავლებლები, ელიტის შვილებს ღებულობდნენ, ფუნქციონირებდა პანსიონები (მაგ., ჰაკეს, კანონიჩის, ჟინიუს).

1849 წლიდან კავკასიიდან რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში 160 სტიპენდიანტი იგზავნებოდა.

1854 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა აღმოსავლური სიტყვიერების ფაკულტეტი. მის ფარგლებში კი – ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაც (გამგე პროფ. დ. ჩუბინაშვილი).

ბატონყმობის გაუქმებამ მასები გაანთავისუფლა.

წერა-კითხვას უცოდინარი ხალხი ახალ გზას ეძებდა ხსნისა და ცხოვრებისათვის. ზოგი ქალაქს მიმართავდა, ზოგი ყმად რჩებოდა მებატონესთან.

აქტუალური ხდებოდა როგორც ზედა, ისე ქვედა ფენებისათვის ცოდნისა და განათლების ფაქტორი.

წერა-კითხვის მასობრივი სახე უნდა მისცემოდა, შექმნილიყო ახალი, მასშტაბური ინფრასტუქტურა. ქართველი თავადების ნაწილმა ისარგებლა სიტუაციით, რათა რუსეთში არსებული „წერა-კითხვის კომიტეტების“ მსგავსი ორგანიზაცია ქართველებსაც ჰქონოდათ: იმპერატორის 1864 წლის რესკრიპტით დართულ იქნა მშობლიურ ენაზე სწავლება.

ინიციატორები ყოფილან დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე.

პროექტიც შეუდგენიათ, მაგრამ მეფისნაცვალმა უარი განაცხადა – რუსების ინტერესებში არ შედიოდა ქართული წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის გაზრდა. მათ ის უნდოდათ, რომ სწრაფად მომხდარიყო რუსიფიცირება. ასეთი ორგანიზაცია კი ხელისშემშლელი ფაქტორი იქნებოდა.

სიტუაცია შეიცვალა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ. ქართველთა მორიგმა თავდადებამ, მსხვერპლმა, ტერიტორიების გავრცობამ მეფისნაცვალი დაარწმუნა, რომ ქართველი ერი იმპერიის ერთგული იყო და დათმობა შეიძლებოდა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყვნენ დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ვ. თულაშვილი, ნ. ცხვედაძე და ბ. ღოღობერიძე.

დამფუძნებელმა წევრებმა მიიღეს წესდება და დასამტკიცებლად ხელისუფლებას წარუდგინეს 1878 წლის 20 ივნისს.

ქართველებს ეხმარებოდა ილიას ქვისლი გენერალი დიმიტრი სტაროსელსკი – მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსი.

საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი, მოადგილედ – ილია ჭავჭავაძე.

სათავადაზნაურო ბანკმა საზოგადოებას შესწირა 11.000 მანეთი.

შემდეგი თავმჯდომარე იყო გენერალი ივანე ბაგრატიონ–მუხრანსკი, 1885 წლიდან სიკვდილამდე – ილია ჭავჭავაძე.

დაიწყო ზრუნვა ქართულ სკოლებზე, რათა არსებული შეეკეთებინათ, ახალი გაეხსნათ. ენთუზიასტები აგროვებდნენ წიგნებსა და ხელნაწერებს, ზეპირსიტყვიერებისა და ხალხური სიმღერების ნიმუშებს.

დახმარებისათვის მიმართეს პეტერბურგისა და მოსკოვის კომიტეტებსაც. ღებულობდნენ შემოწირულობებს, რათა სკოლებს ჰქონოდათ სამკითხველო და ბიბლიოთეკა.

ხსნიდნენ ახალ სკოლებს, ბავშვებს უტარებდნენ გაკვეთილებს.

ქუთაისში არსებობდა კლასიკური და სათავადაზნაურო გიმნაზიები, გორში – საოსტატო სემინარია, წინამძღვრიანთკარში – სამეურნეო სასწავლებელი, ტფილისში – I და II გიმნაზია, სასულიერო სასწავლებელი და სემინარია, წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი, ეპარქიალური დედათა სასწავლებელი, საფერშლო სკოლა...

ყველაზე კვალიფიციური და მოწესრიგებული იყო კლასიკური გიმნაზია, სადაც საგნებს რუსულ ენაზე ასწავლიდნენ.

ტფილისის პირველ გიმნაზიაში (დღ. I საჯარო სკოლა) 1900 წლისათვის სწავლობდა 824 მოსწავლე, მათგან ყოველწლიურად სახელმწიფოს ხარჯზე 10 კურსდამთავრებული იგზავნებოდნენ კადეტთა კორპუსში, 5-6 – პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ავსებდა ამ პროცესს და უნარჩუნებდა ქართულ სახეს.

საზოგადოება სცემდა წიგნებს და უგზავნიდა სკოლებს.

ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია, რისი შედეგიცაა ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა.

საზოგადოებას უნდა ეტვირთა განათლების სამინისტროს ფუნქცია. თუმცა ხელისუფლება წარმართავდა განათლების სისტემას, მაგრამ იგი რუსული იყო და ქართველთა ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებდა.

ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა იაკობ გოგებაშვილის „დედაენასა“ (1876 წ.) და „ბუნების კარს“ (1868), მის პედაგოგიურ მოძღვრებას.

მისი მსოფლმხედველობაც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების გავლენით შეიქმნა და ამიტომ, კ. უშინსკის მსგავსად სწავლების პროცესის საფუძვლად მიიჩნევდა ხალხურობის პრინციპს.

ი. გოგებაშვილი თეორიულად ასაბუთებდა თავის სამოქმედო გეგმას. ბავშვს სწავლა მშობლიურ ენაზე უნდა დაეწყო, ცოდნის შეძენა კი უნდა შერწყმოდა აღზრდის პროცესს.

ი. გოგებაშვილი ასევე აუცილებლად მიიჩნევდა რუსული ენის ცოდნას. ამ მიზნით შეადგინა „Русское слово“ (1887) ქართული სკოლებისათვის.

ფოლკლორზე, ლეგენდებსა და თქმულებებზე დაყრდნობით თავადაც წერდა საბავშვო მოთხრობებს, რომელთაგან განსაკუთრებით პოპულარული გახდა „იავნანამ რა ჰქმნა“ (1890).

ქართულ სწავლა-განათლებას, ქართულ სკოლას იაკობ გოგებაშვილმა მტკიცე ბურჯი შეუქმნა. მისი წიგნები სისტემატიურად იცემოდა და მთელ თაობებს შეაყვარა ქართული ენა, ქართული მწერლობა, საქართველოს ისტორია.

1868-1892 წლებში გამოცემულია 100 სახელწოდების ქართული სახელმძღვანელო (მ. გაფრინდაშვილი).

იაკობს ოჯახი არ ჰყავდა და მატერიალურადაც ეხმარებოდა ახალგაზრდობას. ბოლოს კი ანდერძით მთელი თავისი ქონება დაუტოვა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას (1912). ასეთ ქველმოქმედებას სხვებიც იჩენდნენ. მაგ., დავით სარაჯიშვილმა 500.000 მანეთი (1911) უანდერძა.

ხელისუფლების ძალისხმევითა და ენთუზიასტების მონდომებით 1902 წლისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 420 დაწყებითი სკოლა და 10-ზე მეტი საშუალო სასწავლებელი, 1913 წლისათვის კი შესაბამისად – 773 და 34 (გ. თავზიშვილი).

მაინც მოსწავლეთა კონტიგენტი ბავშვების მხოლოდ მესამედს შეადგენდა. ამას იწვევდა არა მხოლოდ სიღარიბე ან განათლებისადმი გულგრილობა, არამედ – მოსახლეობის სწრაფი ზრდაც, რასაც ვეღარ სწვდებოდა განათლების რესურსები.

ბიუჯეტიდან კი უფრო მეტი თანხა იხარჯებოდა, რაც დრო გადიოდა. მაგ., 1910 წელს ტფილისის თვითმმართველობის ბიუჯეტის 13% დაეთმო განათლებას.

1915 წლიდან ტფილისს ჰქონდა 7 ვაჟთა და 6 ქალთა გიმნაზია.

იმპერია ზრდიდა ახალგაზრდობას რუსული სულით, რუსული ცნობიერებით, რუსული კანონებით.

ასეთი კადრებიდან არჩევდა მომავალ მმართველს. მაგრამ არსებული ჰუმანიზმიდან და მინიმალური დემოკრატიიდან გამომდინარე ნებას იძლეოდა, რომ განევითარებინათ ქართული ენა, ლიტერატურა, კულტურა, ოღონდ – საკუთარი სახსრებით.

ქართველ მოღვაწეთა ნაციონალიზმი და ენთუზიაზმი ასეთი არათნაბარი კონკურენციის პირობებში მაინც საკმაოდ სძლებდა.

იმპერიას ასიმილირების, რუსიფიკაციის პროცესი ხანგრძლივ დროზე ჰქონდა გათვლილი. ქართველებმა ეს იცოდნენ, მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ მანამდე რაღაც მოხდებოდა.

ასეთი რადიკალური გარდატეხა უნდა ყოფილიყო რევოლუცია. ამიტომ გაჰყვა სოციალიზმისა და რევოლუციის, მარქსიზმისა და ფედერალიზმის იდეებს ახალგაზრდობა, არა მხოლოდ მუშათა კლასი, უფროსი თაობის ნაწილიც (მაგ., აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე).

სკოლა, წიგნი, ენა, თეატრი, ლექსი, მოთხრობა, რომანი, პუბლიცისტის სიტყვა, წარსულის ლანდები, ადათ-წესები, ისევე როგორც მასების წყვდიადი, ქართველობას უნარჩუნებდა ნაციონალურ სახეს.

ამრიგად, თვითმოქმედების პრინციპით ქართველმა ინტელიგენციამ შეძლო რუსული იმპერიული მმართველობის პირობებში სკოლის, ენისა და აღზრდის სისტემის განვითარება, ქართული შეგნების განმტკიცება.

თეატრი – ტრიბუნა

ბანკის, პრესის, ლიტერატურის, სკოლის პარალელურად ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო თეატრი, ტრიბუნიდან ნათქვამი ემოციური სიტყვა.

თეატრს ლიტერატურა კვებავდა, მაგრამ სპექტაკლს მეტი ეფექტი ჰქონდა, ვიდრე თვალით წაკითხულ კომედიას თუ ტრაგედიას.

მას შემდეგ, რაც დაიხურა გიორგი ერისთავის თეატრი და ივანე კერესელიძის ცდა ამაო გამოდგა, ტფილისი ქართული თეატრის გარეშე დარჩა.

აქ მოქმედებდა იტალიური ოპერა, რუსული და სომხური დასები, ქართველთათვის კი არსებობდა შინაური წარმოდგენები და სალიტერატურო საღამოები. მათში მთელი ინტელიგენცია მონაწილეობდა.

ავტორები თავად კითხულობდნენ თავიანთ ტექსტებს.

ოჯახებში ყალიბდებოდა სცენისმოყვართა წრეები. დგამდნენ შინაურ წარმოდგენებს. ზოგ მათგანში ილიასაც მიუღია მონაწილეობა.

1878 წლიდან ყალიბდება თეატრალური საზოგადოება.

პირველი მუდმივი დასის წევრები იყვნენ – მაკო საფაროვა, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი (დ. ყიფიანის ვაჟი), ნატო გაბუნია, ავქსენტი ცაგარელი...

შემდეგ შეემატნენ კოტე მესხი, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ეფემია მესხი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი...

ილია აღტაცებით გამოეხმაურა თეატრალური დასის ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც ბანკს გამოუყვია 3.000 მანეთი.

გრიგოლ ორბელიანმა უსარგებლო საქმედ და ფულის ფლანგვად მიიჩნია თეატრის დაარსება, რას უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსაც არ აქვს ფული და შენობა, არ ჰყავს აქტიორებიო, სჯობს ისევ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინონ წელიწადში რამდენიმე სპექტაკლიო.

ილია მაინც პროპაგანდას უწევდა თეატრს, ეძებდა მასალას რეპერტუარისათვის, აქებდა აქტიორებს. მოგვიანებით წერილების სერიაც კი დაბეჭდა.

დასმა მოიარა საქართველოს ქალაქები და 1879 წლის სექტემბრიდან ტფილისში დაიწყო მუშაობა.

1881 წელს დაარსდა დრამატული საზოგადოება (თავმჯდომარე – ილია ჭავჭავაძე, მოადგილე – აკაკი წერეთელი).

ქართული თეატრი არ მიიღო საზოგადოებამ. სპექტაკლებზე ხალხი არ დადიოდა. აქტიორები უფულოდ რჩებოდნენ.

ილიამ დახმარება სთხოვა პროფესორ ილია ოქრომჭედლი-შვილს, ქველმოქმედს, რომელმაც გაიღო 1.700 მანეთი.

აქტიორების ენთუზიაზმი არ დამცხრალა და არც ინტელიგენციას თანადგომა შეწყვეტილა.

თეატრი დგამდა ორიგინალურ თუ გადმოკეთებულ პიესებს (მაგ., ა. ცაგარელის „ხანუმა“, გ. სუნდუკიანცის „ხათაბალა“), აკეთებდა ინსცენირებებს.

პიესებს წერდნენ ილია, აკაკი, ვაჟა, თუმცა მათი დრამატული ნაწერები არ ყოფილა პოპულარული, ვერც სცენაზე ვერ დამკვიდრდნენ.

აკაკი თარგმნიდა კიდეც (მაგ., სუმბათაშვილი – იუჟინის „ღალატი“).

გ. ერისთავის მიერ აღებული კომიკური ხაზი უფრო გრძელდებოდა, ვიდრე დრამატული. მაგრამ თეატრს ტრიბუნის მნიშვნელობას სწორედ დრამა და ტრაგედია აძლევდა.

ამიტომ დარჩა მაყურებელთა მეხსიერებაში დ. ერისთავის „სამშობლო“, რომელიც არ მოსწონებია კატკოვს, ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“, შექსპირის ტრაგედიები, ნათარგმნი ივანე მაჩაბლის მიერ.

საერთოდ დიდი იყო პიესებით გატაცება. მაგ., ალ. ყაზბეგს 25 პიესა დაუწერია. მაგრამ ქართულ ენაზე ვერ შეიქმნა პოეზიისა და პროზის ფარდი დრამატურგია.

1901 წლისათვის ცენზურას ნებართვა ჰქონდა გაცემული 758 პიესის დადგმაზე.

ვასახელებთ ხოლმე გრ. რობაქიძის „ლამარას“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“, დ. კლდიაშვილის, შ. დადიანისა და ს. შანშიაშვილის პიესებს. მაგრამ ისინიც სცენაზე რჩებოდნენ აქტიორთა

ნიჭიერი თამაშით, რეჟისორული ოსტატობით. მკითხველთა შორის კი არ ყოფილან პოპულარული, როგორც ლიტერატურული ტექსტები.

მაინც ქართული თეატრი, ქართული სცენა, სადაც ხმიანობდა ქართული სიტყვა, აფხიზლებდა საზოგადოებას, ართობდა, აშფოთებდა და წვრთნიდა. მაგ., ლადო მესხიშვილი ბარიკადაზეც იბრძოდა, მიტინგებზე კითხულობდა რევოლუციურ ლექსებს.

თეატრი იყო ილიასა და „თერგდალეულთა“ ეროვნული კონცეფციის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ავრცობდა ხედვის მასშტაბს და ავსებდა ეროვნულ შეგნებას, ესთეტიკურ გემოვნებას.

თეატრი ტფილისში წარმოდგენებს მართავდა შემოდგომა-ზამთრის თვეებში. შემდეგ პროვინციებს ეწვეოდნენ. მაინც ყოველი სეზონი წაგებით მთავრდებოდა. თეატრი თავს ვერ ირჩენდა.

საქართველოში უძველესი დროიდან არსებულ რიტუალებსა და დღესასწაულებზე შემუშავდა ტერმინები, დაიხვეწა სიმღერები და ცეკვები, რაც გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

სასახლის კარის თეატრი, კაფიობა და ბერიკაობა, ურთიერთშესიტყვება და ბაასის ჟანრი ლიტერატურაში, ბჭობა და ცილობა აგრძელებდა ამ ტრადიციებს, როცა ეკლესია ძველებურად შორს იდგა არტისტული გარდასახვის ესთეტიკისაგან.

1885 წელს დაარსდა გაზეთი „თეატრი“, შემდეგ – „თეატრი და ცხოვრება“ (რედ. იოსებ იმედაშვილი). დაარსდა სახალხო თეატრები, სადაც მუშათა დასი ჰყავდათ. მაგ., ე. წ. „ავჭალის აუდიტორია“. ქუთაისშიც გაიხსნა თეატრი (ხელმძღვანელი ლადო ალექსი-მესხიშვილი).

გამოჩნდნენ ახალი აქტიორები, რეჟისორები და დრამატურგები.

რევოლუციურ წლებში ქართული თეატრი ხმას უერთებდა ბრძოლის ჰეროიკას, ამკვიდრებდა რუსეთისა და ევროპის ქვეყნე-

ბის ახალ ტენდენციებს. ენთუზიასტები არ ილეოდა, არც სპონსორები.

მაგ. დ. სარაჯიშვილმა ანდერძით 100 000 მანეთი დაუტოვა ტფილისის დრამატულ საზოგადოებას, 25 000 ქუთაისისას, ხოლო 150 000 – ქუთაისის თეატრის ასაშენებლად.

ასე რომ, არ გამართლდა გრიგოლ ორბელიანის ნიჰილიზმი – ქართული თეატრი ცოცხლობდა, იბრძოდა და მოქმედებდა.

კლასთა თანხმობა და კულტურის ევოლუცია

ილია არ იყო პოლიტიკოსი, ვინც იბრძვის ადგილის მოსაპოვებლად სახელმწიფო სტრუქტურებში, მაგრამ როგორც ეროვნულმა მოღვაწემ და მწერალმა თვითმოქმედების პრინციპით იმპერიის წიაღში შექმნა მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საწყისები.

მისი საყრდენი იყო კულტურა, განათლება, ცოდნის გავრცელება ანუ განმანათლებლობა, რომლიდანაც სათავეს იღებს მეცნიერების კონკრეტული დარგები, პოლიტიკური პარტიები თუ ხელოვნების მიმართულებანი.

გადახედეთ გურამ შარაძის გამოცემულ ფოტომატიანეებს, რომლებშიც თავმოყრილია სამხედროთა და ინტელიგენტთა უამრავი სურათი. თითო-ოროლას გარდა ყველას აცვია ევროპულად, კოსტუმი და თეთრი პერანგი, ატარებენ წვერს, როგორც მაშინ იყო გავრცელებული, უკეთიათ ბაფთა ან ჰალსტუხი, ახურავთ ცილინდრი.

სხვაგვარია მასის სურათები.

უკვე აშკარაა თუ როგორ მოხდა ინტელექტუალური ელიტის ევროპეიზება, რომელიც რუსულს არის დაუფლებული, მაგრამ

ასევე სწავლობს გერმანულსა და ფრანგულს, სწავლობს დასავლეთის უნივერსიტეტებში.

ეკონომიკურმა აღმავლობამ, სტაბილურმა ცხოვრებამ და მასების როლის გააქტიურებამ ილიას წინაშე დააყენა კლასთა თანხმობის აუცილებლობა, რომ თავადსა და გლეხს შორის სოციალურად ჩატეხილი ხიდი აღდგენილიყო.

ამას მოითხოვდა დემოკრატია და კულტურაც.

როგორც ვთქვით, ლუარსაბსა და დარეჯანს, დათიკოსა და ზაქროს გულმხეც მებატონეს ცვლიან რბილი, ჰუმანური, განათლებული და გულისხმიერი არჩილი და კესო.

კლასთა ჰარმონიას შორეული პერსპექტივა ჰქონდა. არსებულ სიტუაციაში კი უტოპია იყო. მასები – ბნელი და უვიცი, ღარიბი და ღატაკი, არსებობისათვის, სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ. ახალი ძალა – ბურჟუაზია აკოტრებდა და ასპარეზიდან ამევებდა თავადსა და აზნაურს, ძველ არისტოკრატიას.

იზრდებოდა მუშათა კლასის რიცხვი. მაგ., ტფილისის გუბერნიაში საუკუნის დამლევისათვის სარეწაოების, წვრილი თუ მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების რიცხვმა 4.000-ს მიაღწია.

ასევე ხდებოდა ქუთაისის გუბერნიაში.

როგორც ვთქვით, ცხოვრების ტემპს, ეკონომიკასა და კავშირებს აჩქარებდა ტფილისი-ფოთის, ტფილისი-ბათუმის, ტფილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალები, ბაქოს ნავთობი, რაც ტექნიკის პროგრესს სჭირდებოდა. ჭიათურის მარგანეცი, ტყიბულის ქვანახშირი.

იზრდებოდა შავი ზღვისა და პორტების მნიშვნელობა, მუშახელთა რიცხვი, სავაჭრო კაპიტალი, ძლიერდებოდა ეკონომიკა, ტრადიციული სოფლის მეურნეობა.

გუშინდელი მიწას მიჯაჭვული გლეხი დღეს თავაშვებული, შურისმაძიებელი პროლეტარი გახდა, რომელსაც სოციალიზმის

იდეოლოგია შეაჩეჩეს და ამქვეყნიურ სამოთხეს დაპირდნენ თუ თავიდან მოიცილებდა როგორც თავადს, ისე კაპიტალისტს.

ილიას საერთო ნიადაგის თეორია იმპერიის პირობებში ვერც განხორციელდებოდა. ხელისუფლება ამას არ დაუშვებდა თუ რუსეთშიც ასეთივე იდეოლოგია არ გაიმარჯვებდა.

ეს იმ დროისათვის ისეთივე უტოპია იყო, როგორც ტოლსტოველობა, როგორიც აღმოჩნდა კომუნიზმის სამოთხე.

ეს პოლიტიკურად, მაგრამ კულტურის თვალსაზრისითაც გადააფასეს ილიას იდეოლოგია, მითუმეტეს – მხატვრული აზროვნება მოდერნისტებმა და ავანგარდისტებმა, რაც განვითარების დიალექტიკაა, თუმცა მტკივნეული.

ქართველი ხალხი მიბმული იყო რუსების ინტერესებზე, რაც გაითვალისწინეს მარქსისტებმა, სოციალ-დემოკრატებმა და წამოსწიეს არა ეროვნული, არამედ სოციალური საკითხი, რაც ერებს კი არ გათიშავდა, არამედ – გააერთიანებდა, როგორც არსებობისათვის ბრძოლის პრინციპი.

საზოგადოებაში ზოგჯერ ნიჰილიზმიც იჩენდა თავს მაგ., ხალხოსანი ივანე ჯაბადარი რუსულ პრესაში ამტკიცებდა, მცირე ერების დრო წასულია, მათ ამოწურეს თავიანთი თავი, დაბერდნენ და გზა ახალ, ძლიერ ერებს უნდა დაუთმონო.

არსებითად ეს ველიკორუსული შოვინიზმის პოზიციას ამაგრებდა. ამიტომ ილიამ მკაცრი და დასაბუთებული პასუხი გასცა („აი, ისტორია“).

არ ისვენებდნენ სომეხი მეცნიერები – კომერციითა და რუსთა თანადგომით გულმოცემულნი ამცირებდნენ ქართველთა წარსულს, თანამედროვეობას, პერსპექტივას.

ილია ამჯერადაც იძულებული იყო პასუხი გაეცა ოპონენტებისათვის („ქვათა ღაღადი“).

როცა იდგმებოდა დავით ერისთავის „სამშობლო“, სცენაზე ქართული დროშა შემოჰქონდათ, რასაც ოვაციით ხვდებოდნენ.

ეს არ მოეწონათ რუსებს და ცნობილმა ჟურნალისტმა კატკოვმა ირონიით განაცხადა, სჯობია ეს დროშა ქართველებმა ცირკს გადასცენო. ამას მოჰყვა ილიას რეაქცია.

ცალკეულ გამოხტომებს ან არასწორ პოზიციას ილია უპასუხოდ არ სტოვებდა, განსაკუთრებით როცა საკითხი ეხებოდა ერის მდგომარეობასა და მომავალს (მაგ., პოლემიკური წერილები ნ. ჟორდანიაზე, ა. ჯორჯაძეზე, ი. გომართელზე, ზ. ჭიჭინაძეზე, ივ. ჯაბადარზე).

ილია კარგად იცნობდა სოციალისტურ იდეოლოგიას, მარქსის „კაპიტალს“, ბიუხერის, ლასალის, ბერნშტაინის, კაუცკის, სტრუვეს, ჩერნოვის, ზომბარტის, პლეხანოვის შრომებს.

მას, როგორც ბანკირსა და ფინანსისტს, აინტერესებდა საზოგადოებისა და ეკონომიკის პრობლემები.

„ოთარაანთ ქვრივის“ ავტორისათვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ქალთა უფლებების დაცვა, თანასწორუფლებიანობის მოთხოვნები, რაც მიიღო ფემინისტურმა მოძრაობამ ევროპაში.

მისი ერთ-ერთი პირველი აქტივისტი და თეორეტიკოსი ოლიმპია დე გუჟი სიკვდილით დასაჯა საფრანგეთის კონვენტმა.

საქართველოში ქალები ჩაბმული იყვნენ კულტურის პროცესებში, ოღონდ ისინი სცნობდნენ მამაკაცის პრივილეგიურ ფუნქციას და არ ცდილობდნენ გამომწვევი ქცევით ყურადღების მიქცევას (მაგ., ალკოჰოლი, ჩაცმულობა, პროსტიტუცია), თუმცა აკაკი წერეთელს თანამედროვე ქალები მაინც არ მოსწონდა და სანიმუშოდ ძველი დროის ასულებს სახავდა. ამ დროს ილიას გამოჰყავს ოთარაანთ ქვრივი – ძლიერი ნებისყოფის ქალი.

ყალიბდებოდა ახალი იდეოლოგიები, რომლებიც ამოდიოდნენ რეალობის ცალმხრივი გააზრებიდან, სუბკულტურიდან. შემ-

დეგ კი მთლიან კულტურაზე ცდილობდნენ ზეგავლენას, ცდილობდნენ სინამდვილის გადაკეთებას.

დაპირისპირების პარალელურად არსებობდა კონტაქტები, რაც გულისხმობდა ურთიერთთანადგომასა და პატივისცემას (მაგ., ილიას დამოკიდებულება სახელმწიფო საბჭოში მაქსიმ კოვალევსკისადმი, საქართველოს ავტონომიის საკითხის განხილვა დუმის ქართველ სოციალ-დემოკრატებთან, მათ შორის – ნ. ჟორდანიასთან ერთად).

ილიასა და ქართველი ინტელიგენციის მიერ დაარსებული საზოგადოებები იძლეოდა კულტურული დაახლოების იმპულსებსა და საშუალებას, მასებსაც გაუჩნდათ მეტი ინტერესი განათლებისადმი.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესმა, ერთი მხრივ, გააძლიერა ათეიზმი, ღმერთის სიძულვილი და სოციალური გარდაქმნის პათოსი, მეორე მხრივ – კიდევ უფრო დაარწმუნა ღვთისმოსავი, რომ ამ საოცარი ჰარმონიის შემქმნელი სწორედ უზენაესი ძალა უნდა ყოფილიყო.

ასე რომ – დრო აჩენდა ახალ ნაპრალებს და ზრდიდა დაპირისპირებას, აზრობრივ დიფერენცირებას.

ეროვნულ შეგნებას ააქტივებდა და ხალხს საერთო სულისკვეთებით მუხტავდა ცალკეული ფაქტები – ლაღიაშვილის მიერ ეგზარხოსის მოკვლა, ჩუდეცკის მიერ ქართველი ერის დაწყევლა, დიმიტრი ყიფიანის პროტესტი, მისი გასახლება და მკვლელობა სტავროპოლში, ბარათაშვილის ნეშტის ჩამოსვენება განჯიდან, რაფიელ ერისთავის იუბილე, გრიგოლ ორბელიანისა და გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავება.

პოლიტიკური თვალსაზრისით ახალგაზრდა მარქსისტებმა თავიანთი იდეების საპროპაგანდოდ გამოიყენეს ეგნატე ნინოშვილის და გიორგი წერეთლის გასვენება.

ქართველი ხალხი უფრო და უფრო ერთვებოდა ევროპასა და რუსეთში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებში, კულტურულ მოვლენებში.

კულტურული მოძრაობისა და კონტაქტების ნაწილია საგურამოში გამართული ილიაობები (ელიაობა), სადაც თავს იყრიდა მთელი ინტელიგენცია.

განსხვავებით ნიკო ნიკოლაძისაგან, ილია ჭავჭავაძე არ იყო ევროპის ქვეყნების ხშირი სტუმარი. მაგრამ კარგად იცნობდა ამ სამყაროს, მის კულტურას, პოლიტიკას, პოლიტიკურ მოღვაწეთა მოქმედებას, რაც ჩანს „ივერიის“ რედაქტორის უამრავ პუბლიცისტურ-პოლიტიკურ წერილებსა და მიმოხილვებში.

განსაკუთრებულ ინტერესს კი იწვევდა გერმანიის „სისხლი და რკინით“ გამაერთიანებელი კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი, ეს „გერმანიის სახელმწიფოს მკვიდრად ამშენებელი“, „წარმატებული, ძლევამოსილი საგარეო პოლიტიკის“ შემოქმედი.

მან მოამზადა ერთიანი გერმანია ეკონომიურად და პოლიტიკურად მომავალი მსოფლიო ომებისათვის, როგორც უძლიერესი სახელმწიფო, ევროპის ინტელექტუალური დირიჟორი, საუკუნეების მანძილზე უამრავ წვრილ ერთეულად რომ იყო დაშლილი და მოწყვეტილი მსოფლიოს გადანაწილების პროცესს.

ილიას სახელმწიფოებრივი ოცნების იდეალი იყო ბისმარკი.

ევროპელებიც ინტერესდებოდნენ საქართველოთი (მაგ., გერმანელი არტურ ლაისტი, ინგლისელი მარჯორი უორდროპი, რუსი პეტრე ჩაიკოვსკი, უკრაინელი ლესია უკრაინკა, იტალიელი ერნესტო როსი, რუსი ვასილი ველიჩკო, ცალკეული მეცნიერები, მხატვრები).

რუსები სწავლობდნენ კავკასიის ომების ისტორიას (მაგ., პოტტო), კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიას, ენებს, სიძველეებს.

ტფილისში იმართებოდა არქეოლოგთა საერთაშორისო კონგრესი.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები იყვნენ ქართველებიც (მაგ., ნ. ჟორდანია, ირ. წერეთელი, ჭ. ლომთათიძე), რომლებიც მოჰყვნენ რევოლუციის ტალღას.

სოციალ-დემოკრატი კარლო ჩხეიძე ფრაქციის თავმჯდომარე იყო წლების განმავლობაში, ილია ჭავჭავაძე – სახელმწიფო საბჭოს წევრი. გაჩნდა პოლიტიკური ავტონომიის იდეა, რასაც ილიაც მხარს უჭერდა.

ლევ ტოლსტოისთან მეგობრობდა პეტრე ნაკაშიძე. ხოლო ავანტურისტი ქართველები დაახლოებულ იყვნენ სამეფო კართან, მონაწილეობდნენ ხელისუფლების ზოგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში (მაგ., დუმბაძე, ფხაკაძე, მაჩაბელი...).

კულტურულ-პოლიტიკური სიახლოვე შლიდა ნაციონალურ ბარიერს. ქართველთა მოქმედების ასპარეზი ფართოვდებოდა როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ სივრცეში. მაგრამ ასეთი დაახლოება, შერეული ქორწინებები, რუსული ენისა და კულტურის ათვისება მაინც იყო გარუსების შეუმჩნეველი, უმტკივნეულო, გარდაუვალი პროცესი, რომელსაც კლასთა შერიგება ვერ შეაჩერებდა.

მაგრამ იმპერიამ შვა თავისი მესაფლავე ძალაც – პროლეტარიატი და სოციალისტური პარტიები, რომელთაც დაამხეს რომანოვების ტახტი და კაცობრიობას ნამდვილი აპოკალიპსი მოუვლინეს.

* * *

ილია ჭავჭავაძემ პრაქტიკული მოღვაწეობით, შემოქმედებით, პუბლიცისტური აზროვნებით კულტურის სხვა ლიდერებთან

ერთად (ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა) შექმნა ეროვნული იდეოლოგია.

მაგრამ ქართველი ხალხი არ გაჰყვა მას და არჩია სოციალ-დემოკრატია, სოციალიზმის იდეალები, რაც იყო საყოველთაო გატაცება მთელი ქვეყნიერებისათვის.

პრაგმატიზმმა სძლია იდეალიზმი.

IV. კულტურის დიფერენცირება: კონკრეტიკა და დარგები

ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულთა“ კონცეფციებსა და ესთეტიკას მალე გამოუჩნდნენ კრიტიკოსები: მათ უტევდნენ „ძმები“ – მეორე დასელები, „ტეტიათა მოტრფიალე“ ხალხოსნები, მესამე დასელები – მომავალი სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტებიც არ სცნობდნენ „საერთო ნიადაგის“ თეორიას, მოდერნისტები – განმანათლებლობასა და უტილიტარიზმს.

ცალკეული ავტორები, რუსები აბუჩად იგდებდნენ ქართველთა ნაციონალურ ინტერესებს, სომხები თავიანთ უპირატესობას ამტკიცებდნენ.

ეს ისრები პირველ რიგში ილიას ფარს ხვდებოდა.

გარდა პოლიტიკური და ესთეტიკური ასპექტებისა, აქ მოქმედებდა ის ფაქტიც, რომ განმანათლებლური უნივერსალიზმი უკვე ფერს იცვლიდა ხედვის დიფერენცირებით, სპეციალიზებით, ახალ დარგებად დაყოფით ანუ დაშლით.

შემოქმედი და მოაზროვნე იზღუდებოდა კონკრეტული ჟანრით. მაგ., დ. კლდიაშვილი იყო პროზაიკოსი და დრამატურგი. შ. არაგვისპირელი – ნოველისტი, გ. ტაბიძე – პოეტი, გ. ქიქოძე – ესსეისტი და მთარგმნელი, ნ. ჟორდანია – პოლიტიკოსი და პუბლიცისტი, ნ. მარი – მეცნიერი, ფილოლოგი, დ. ბაქრაძე – ისტორიკოსი, გ. გაბაშვილი – მხატვარი....

ხედვის დიფერენცირება პროფესიონალიზმის ნიშნით განყოფას ნიშნავდა, რაც გამორიცხავდა რენესანსულ უნივერსალიზმსა და განმანათლებლურ ენციკლოპედიურობას – ახალ დროში ყოვლისმცოდნე არაფრისმცოდნე ხდებოდა.

აზრის განვითარება და განტოტვა შეუძლებელს ხდიდა, რომ კულტურშემოქმედს ყოველ დარგში ელვაწა. მისი ხედვა უკვე იყო სიღრმისეულ-ვერტიკალური და არა სივრცობრივ-ჰორიზონტალური. მაგ., არათუ ლიტერატურაში, პოეზიაშიც კი საჭირო ხდებოდა მაქსიმალური ოსტატობის ჩვენება ვიწრო სივრცეში. მაგ., ფრანგი ჰერედია სონეტებს წერდა, ლ. ტოლსტოი – პროზას, ნეკრასოვი – ლექსებს.

დაიყვნენ პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები.

ასევე მოხდა მუსიკაში, მხატვრობაში, არქიტექტურაში, თეატრალურ ხელოვნებაში, მეცნიერებაში.

საქართველოშიც ეს ტენდენცია გამოვლინდა. მაგ., ნ. მარისათვის ილია ჭავჭავაძე დილეტანტი იყო, რომელიც წერდა ისეთ თემებზე, რაშიც მეცნიერულად არ იყო გარკვეული.

პროფესიონალი რევოლუციონერები ციხეებში ისხდნენ და არა კაბინეტებში, მხატვარს, მუსიკოსს თუ არქიტექტორს თავისი სპეციალობა აინტერესებდა – ისინი ერთმანეთის სივრცეში აღარ გადადიოდნენ.

ლიტერატურაში სპეციალიზება გამოვლინდა თემატიკური ლოკალით (მაგ., მთის რომანტიკა ყაზბეგთან და ვაჟასთან, ფსიქოლოგიურობა შ. არაგვისპირელთან, სავაჭრო კაპიტალი გ. წერეთელთან, რევოლუციური რომანტიკა ჭ. ლომთათიძესთან, გლეხების დუხჭირი ყოფა ხალხოსნებთან და ეგ. ნინოშვილთან, შემოდგომის აზნაურები დ. კლდიაშვილთან, შესაბამისი გეოგრაფიული არეალით, დიალექტით, ჟანრით, პერსონაჟებით, სიუჟეტური ვარიაციებით.

ასე იშლებოდა ილიასა და თერგდალეულთა განმანათლებლობა კონკრეტულ სახეებად და დარგებად.

ტფილისის დაბალ ფენებშიც კი არსებობდა სხვადასხვა სახის ამქართა გაერთიანებები, რაც მოასწავებდა წესრიგსა და დისციპლინას.

პროფესიული ნიშნით ინტელექტუალებიც აარსებდნენ სხვადასხვა სახის საზოგადოებებს – საისტორიო-საეთნოგრაფიო, სიტყვაკაზმული მწერლობისა (არტისტული), რომლისგანაც წარმოიშვა მწერალთა კავშირი.

შემდეგ მწერალთა კავშირის შიგნითაც ჩნდება ჯგუფები – „ცისფერყანწელები“, „აკადემიური ასოციაცია“, „H_2SO_4“, პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, არიფიონი...

დიფერენცირება განვითარების შედეგია, ერთიანობა და კონსერვატიზმი – არსებულის შენარჩუნება.

1. განმათლებლობიდან მეცნიერებისაკენ

დემოგრაფია და ინტელექტუალური პოტენციალი

ათენი პატარა ქალაქი იყო. მაგრამ დიდი ელინური კულტურა შექმნა მცირე მოსახლეობამ. მათ, ერთი მხრივ, ჰქონდათ მატერიალური საფანელი აზროვნებისათვის, მეორე მხრივ – არ იყო ცნობიერების ფორმები დიფერენცირებული.

დიფერენცირებას სჭირდება ახალ-ახალი კადრები, ასევე – შენარჩუნებასა და განვითარებას, ეკონომიკასა და განათლებას – ინტელექტუალური პოტენციალი (შდრ – აშშ-ის მოსახლეობა 1800 წელს იყო 5,3 მლნ, 1850-ში – 23, 1400-ში – 76, 1920-ში – 107. შესაბამისად სსრკ-ის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 45, 70, 125, 158 მლნ.).

მცირე და ჩამორჩენილ ერებს აღარ შეეძლოთ კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ავანგარდში ყოფილიყვნენ.

საქართველოს მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა:

თუ 1800 წელს იყო 675.000, 1897 წლიათვის გახდა 1.929.000, ხოლო 1926 წლისათვის, მიუხედავად ხანგრძლივი ომებისა, მიაღწია 2.666.000-ს.

კავკასიაში ქართველთა ხვედრითი წილი კი მცირდებოდა. გაცილებით სწრაფად მრავლდებოდნენ აზერბაიჯანელები.

ეს დინამიკა კიდევ უფრო გაძლიერდა XX საუკუნეში.

როგორც ვხედავთ XIX საუკუნეში ქართველთა რიცხვმა სამჯერ მოიმატა, შეემატა ტერიტორიები, დამყარდა მშვიდობა და გაძლიერდა ეკონომიკურ-კულტურული პროგრესი.

ეს აისახა ერის არაცნობიერ ფსიქიკურ ენერგიაზე, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით იჭრებოდა, ელტვოდა თავისუფლებას, განათლებას, მეცნიერებასა და ხელოვნებას (იხ. „ერის ფსიქიკური ენერგია“).

განსაკუთრებით შეეხება ეს დასავლეთ საქართველოდან გამოსულ პირებს – მეგრელებს, იმერლებს, გურულებს, რომლებიც ახლა ჩაერთვნენ კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებში და გამოავლინეს საოცარი უნარი და აქტივობა, მრავალი საუკუნე რომ დუმდნენ და თვლემდნენ.

თავისუფლების მოთხოვნილებამ კი მთელი თაობები წაიყვანა პოლიტიკის, რევოლუციის, პარტიული ბრძოლის გზით.

თავისუფლების იდეა, რომელსაც რეალისტურ-პრაგმატული საფუძველი მისცეს თერგდალეულებმა, იპყრობდა ცნობიერების ყოველ სფეროს.

სამი ერი

საუკუნის ბოლოს ქართველები გადალახავენ იმპერიის საზღვარს და განათლების მისაღებად ევროპის უნივერსიტეტებს მიაშურებენ (ეგნატე ნინოშვილიც კი).

მათ ყურადღებას იპყრობს საფრანგეთი და გერმანია. ვარშავასაც მოინახულებენ (მაგ., აქ სწავლობდნენ ნოე ჟორდანია და ფილიპე მახარაძე). მაგრამ მას უფრო ევროპულ ქვეყნად აღიქვამენ და არა რუსეთის ნაწილად.

ქართველთა ელიტას ჰქონდა კარგი ურთიერთობა რუსებთან, ელიტასთან და მასებთან. მსახურობდნენ სახელმწიფო სისტემაში. არსებობდა შერეული ოჯახები. კარგად იცოდნენ რუსული ენა, კარგად იცნობდნენ რუსულ კულტურას, მწერლობასა და მუსიკას, მეცნიერებასა და ჟურნალისტიკას, მაგრამ რუსი არ იყო იდეალი, რაც მოსწონდათ, – ის იყო ევროპული, რუსის მიერ შეთვისებული.

უკვე ხალხიც აღიარებდა იმპერატორს. ინტელიგენციაც მიიჩნევდა, რომ ქვეყანა უნდა დარჩენილიყო რუსეთის ფარგლებში, მაქსიმალისტების აზრით – ავტონომიური უფლებით.

დამოუკიდებლობაზე არავინ ფიქრობდა. ეს შესაძლებლად და საჭიროდ მიაჩნდათ მხოლოდ კულტურის სფეროში.

ასე რომ – შეიცვალა ცნობიერება, რაც გადაეცათ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც თავიდან ავტონომიაც ნაციონალისტურ მოთხოვნად ეჩვენებოდათ.

რუსეთს თვლიდნენ არენად, სადაც შეეძლო ქართველს დამკვიდრება, კარიერის გაკეთება, ქონების შეძენა, თავის დაცვა. მაგრამ იდეალის სფეროს განეკუთვნებოდა საფრანგეთი და გერმანია, მათი ცხოვრების წესი, წესრიგი და კომფორტი.

ნაპოლეონისა და რევოლუციების პარიზი კულტურის ცენტრი იყო, საითკენაც ისწრაფოდნენ ინტელექტუალები. გერმანია ბისმარკმა გააერთიანა და კოლონიების გარეშე მსოფლიოს აჩვენა თუ რა შეუძლია განათლებას, დისციპლინას, მიზნისკენ სწრაფვას, ერის ერთიანობას.

ილიას „ივერია“ აშუქებდა ევროპის ქვეყნების ცხოვრებას. მათ შორის – დიდი ბრიტანეთისას. აშშ ჯერ არ იყო ლიდერთა შორის. მაგრამ ანგლო-საქსური ქვეყნები არც იწვევდა აღტაცებას.

გერმანია გოეთეს, კანტის, ბეთჰოვენის, მარქსის, ბისმარკის სამშობლო იყო, ავსტრია, კერძოდ – ვენა მუსიკალური ხელოვნების ცენტრი, იგივე გერმანული ქვეყანა.

ქართველებს, განსაკუთრებით მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს, გერმანია ესახებოდათ იდეალად, პოეტებს – საფრანგეთი (მაგ., იმპრესიონისტებსა და სიმბოლისტებს), თუმცა არ უარყოფდნენ რუს ინტელექტუალებს.

რუსულ ევროპეიზმს ცვლიდა დასავლური ევროპეიზმი.

სპეციალიზება და პროფესიონალიზმი

ევროპეიზმი სპეციალიზება და პროფესიონალიზმია.

განმანათლებლობა საზოგადოების ინფორმირება იყო, რომ მასებს შეეძინათ ცოდნა-განათლება და ვიწრო კასტის წრეში არ დარჩენილიყო, როგორც ეს ოდესღაც ხდებოდა.

ქართველი ხალხისათვის ეს კიდევ უფრო აუცილებელი იყო, რათა დაეძლია უმეცრება, აეთვისებინათ მასებს წერა-კითხვა, შეეცვალათ ორიენტალური ორიენტირი, სპარსულისა და თურქულის სანაცვლოდ შეესწავლათ რუსული და ევროპული ენები, რაც აინტერესებდა ახალგაზრდობას.

ევროპის ინტელექტუალური ელიტა უკვე გამოვიდა განმანათლებლობიდან. დაგროვილი ცოდნა და ახლის მოპოვება მიდიოდა სპეციალიაზების მიმართულებით, რაც ახალ, მაგრამ გარდაუვალ ბარიერს ქმნიდა მასებთან.

ბიოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია თავიანთ სფეროებშიც სიღრმეში იჭრებოდნენ. ერთ ადამიანს აღარ შეეძლო ცოდნის კონ-

ცენტრირება, ფილოსოფიაც იყოფოდა. ჩნდებოდა ახალი დარგები და მიმართულებანი. შესაბამისად იცვლებოდა შეცნობის მეთოდები. ფილოსოფიური ჭვრეტა არ კმაროდა თუ კონკრეტულ მაგალითებს, კონკრეტულ კანონებს არ დაეყრდნობოდა.

განმანათლებლობის წიაღიდან გამოდიოდა მეცნიერების კონკრეტული დარგები, რაც ყველაზე მეტად ტექნიკის სფეროში ჰპოვებდა ხილულ შედეგს და გადადიოდა რეალობაში.

ცხენს ცვლიდა მანქანა, სანთელს – ელნათურა, ეტლს – მატარებელი, ღმერთის რწმენას – ინტელექტი, ჭვრეტას – ექსპერიმენტი.

ტფილისს ახალი სასწაულები მოევლინა – კინემატოგრაფი, რომელმაც გაქვავებული ლანდები აამოძრავა, ავტომობილი, დირიჟაბლი, აეროპლანი, რომელთაც ადამიანი მიწას მოსწყვიტეს და სივრცეში გააქანეს, როგორც ელინურ მითოსში.

მეცნიერული აზრი, ლოგიკურ-ცნებითი მსჯელობა სწავლობდა სხვადასხვა სფეროს, ისწრაფვოდა სხვადასხვა მიმართულებით, როგორც დროში, ისე სივრცეში.

სოციალური დიფერენცირება თუ გაქრობისკენ იყო მიმართული, ინტელექტუალური დიფერენცირება გრძელდებოდა. ერთი დარგის, ვთქვათ, ფიზიკის სპეციალისტებიც ვეღარ უგებდნენ ერთმანეთს.

მიკროსამყარო მაკროსამყაროდ იქცა, რომელშიც ჩაიძირა მოაზროვნე არსება. შედეგები პრაქტიკას დაექვემდებარა, რაც ტექნიკის ტრიუმფში გამოიხატა.

მეცნიერების პროგრესს აყვნენ ქართველი ახალგაზრდებიც. საუნივერსიტეტო სწავლა-განათლება უკვე გახდა ბაზისი შემდგომი ძიებისა და შეცნობისათვის.

ეს ერთი მხრივ იყო სამეცნიერო კვლევა, მეორე მხრივ – მეცნიერებიდან, სოციოლოგიიდან, ფილოსოფიიდან, პოლიტეკონო-

მიიდან წამოღებული კანონებით საზოგადოებრივ ურთიერთობათა უკეთ მოწყობის სურვილი ანუ, მარქსისტული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ახალ დონეზე ბალანსირება საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობებს შორის.

მეცნიერება და ტექნიკა პროგრესირებადი იყო, საწარმოო ურთიერთობანი, სახელმწიფოს ფუნქციონირება – კონსერვატიული.

ეს ორი ნაკადი იჭრებოდა ხელოვნებაში, არღვევდა რეალიზმის სფეროს და აქაც წარმოშობდა მოდერნიზების აუცილებლობას.

განმანათლებლობა ჩამორჩენის სინონიმი გახდა.

ეს იწვევდა ახალ კონფლიქტებს ახალ „მამებსა“ და „შვილებს“ შორის, რაც განვითარების აუცილებელი ზამბარაა.

განმანათლებლობას მოერგო პუბლიცისტური სტილი, მსჯელობა ცხოვრებასა და ადამიანთა სატკივარზე, ყოფით საკითხებზე, მიმდინარე მოვლენებზე.

ილიამ და თერგდალეულებმა, II და III დასელებმაც გააფეტიშეს პუბლიცისტური სტილი, პუბლიცისტიკა, რაც შემოიტანეს რუსეთიდან.

მაგრამ, როგორც ვთქვით, სპეციალიზება არსის ამოხსნას, შეუცნობელის შეცნობას გულისხმობდა. რევოლუციონერი მარქსის „კაპიტალიც“ მეცნიერული აზროვნების შედეგი იყო. მისი კომენტირება, განმარტება შეიძლებოდა პუბლიცისტური სტილით, და აკეთებდნენ კიდეც სოციალ-დემოკრატები. მაგრამ ინტელექტუალური ბაზისი ემყარებოდა პროფესიონალიზმს, სპეციალიზებას, დაფარულის გაცხადებას.

მეცნიერებას, ფილოსოფიას თუ ფსიქოლოგიას, საბუნებისმეტყველო დარგებს დასჭირდათ სპეციფიკური სტილის, ტერმინოლოგიური მსჯელობის გამომუშავება, დასკვნების ფორმულირება, რაც შორს იდგა ბუნებრივი ენისაგან და მასა ვერ იგებდა, როგორც ოდესღაც ქურუმთა ბნელმეტყველებას.

ცნებები კონკრეტული დაკვირვებების, აბსტრაგირების შედეგი იყო.

მაგრამ ხელოვნებას არც ცნებითი, არც პუბლიცისტური სტილი არ აკმაყოფილებდა. მას უნდა ჰქონოდა კონტაქტი ესთეტიკასთან და ცოცხალ, ყოფით პროცესებთან, ოღონდ მოეხდინა მათი ესთეტიზება და შეექმნა ახალი ილუზიური რეალობა.

ქართველი ახალგაზრდები, რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტების სტუდენტები იძენდნენ ძველ და ახალ ცოდნას, ითვისებდნენ კვლევის მეთოდებს და თავადაც ხდებოდნენ მაძიებლები, ქართული სინამდვილისათვის მეცნიერული აზრის პიონერები (მაგ., ვ. პეტრიაშვილი, ი. თარხნიშვილი, ა. რაზმაძე, პ. მელიქიშვილი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი).

ეს სამივე მიმართულება – მეცნიერული, სოციალური, ესთეტიკური გამოვიდა განმათლებლობიდან. მაგრამ დაუპირისპირდნენ წიაღს, მის წარმომადგენლებს, რაც ცნობიერების ახალ დონეზე გადასვლა იყო.

ასე მოხდა X-XI საუკუნეებშიც, როცა ქართველებმა მაქსიმალურად აითვისეს ბიზანტიური კულტურა (იხ. მეორე წიგნში).

ქართველოლოგიის ჩამოყალიბება

აზროვნების დიფერენცირებამ წარმოშვა ქართველოლოგია.

ქართული ენის გრამატიკას სწავლობდნენ მაჯო და ანტონ კათალიკოსი, შანშიევი და ხუნდაძე, ქართულ ლიტერატურასა და მწერლობას – ანტონ კათალიკოსი და სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და დავით ჩუბინაშვილი, საქართველოს ისტორიას – დავით ბატონიშვილი და პლატონ იოსელიანი (აქ არაფერს ვამბობთ „ქართლის ცხოვრე-

ბის“ მემატიანეებსა და ვახუშტი ბატონიშვილზე), მარი ბროსე და დიმიტრი ბაქრაძე.

მაგრამ დრომ მოიტანა კვლევის ახალი და ზუსტი მეთოდები. გერმანიაში ჩამოყალიბდა ენის ფილოსოფია (ვ. ჰუმბოლდტი) და ენათმეცნიერება (ი. გრიმი, ავგ. შლაიხერი, ფრ. ბოპი, მ. მიულერი, ჰ. პაული), რომელმაც მოიცვა ენების გენალოგია, ისტორია, გრამატიკა, ლინგვისტური კავშირები.

პეტერბურგის უნივერსიტეტი, სადაც არსებობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, გახდა ახალი კვლევების, ახალი ხედვის კერა.

კათედრას ჩუბინაშვილის შემდეგ ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ცაგარელი, დრამატურგ ავქსენტი ცაგარელის ძმა.

სომხური ენისა და ლიტერატურის კათედრას განაგებდა ქერპე პატკანოვი. ასევე სხვადასხვა სფეროებში, სხვადასხვა კულტურის შემსწავლელი ცენტრები გაჩნდა.

ევროპული გამოცდილება რუსეთის ცნობილმა მეცნიერებმა დანერგეს პეტერბურგსა და სხვა უნივერსიტეტებში.

თავადაც სწავლობდნენ ევროპაში, იცოდნენ თანამედროვე ევროპული, აღმოსავლური და კლასიკური ენები, სრულყოფილად ფლობდნენ უახლეს ინფორმაციას, იცნობდნენ ერთმანეთის ნაშრომებს და ასე საერთო ძალით აყალიბებდნენ ახალ აზროვნებას, მეცნიერული კვლევის კულტურას.

ევროპელი ლინგვისტები და ორიენტალისტებიც დაინტერესდნენ ქართული კულტურით, ქართველი ხალხის შორეული წარსულით.

ქართველოლოგიას, მის მრავალ დარგს თანამედროვე სახე მიანიჭა და ევროპული რეზონანსი მოუპოვა ლინგვისტმა ნიკო მარმა (სიცოცხლის ბოლოს – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე–პრეზიდენტი).

დედით ქართველი და მამით შოტლანდიელი მარი ქართულ გარემოში აღიზარდა, ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა და ქართული საქმისათვის იღწვოდა. მაგრამ არ მიიღო ცაგარელმა, ქართულმა საზოგადოებამ, უარყო ქართველმა ქალმა და ეს უდიდესი ნიჭისა და ერუდიციის პოლიგლოტი მეცნიერი სომხებისა და რუსების ხელში აღმოჩნდა.

მარი გახდა პატკანოვის მოწაფე და აკად. ჟუკოვსკის დის ქმარი, თუმცა მთელი სიცოცხლე იკვლევდა ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, სცემდა ტექსტებს, ზრდიდა ქართველ მეცნიერებს.

ჰქონდა უამრავი ნაშრომი. ბევრი არც არის გამოქვეყნებული. ჰყავდა ბევრი მოწაფე (მაგ., ი. მეშჩანინოვი, ივ. ჯავახიშვილი, აკ. შანიძე, რ. ბლეიკი) და მიმდევარი (მაგ., ბ. კუფტინი), იყო დიდებით გარემოსილი, ვიდრე სტალინმა წერტილი არ დაუსვა მის „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“ – იაფეტიდოლოგიას.

შემდეგ, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლა გადმოვიდა ტფილისში, როცა აქ უნივერსიტეტი გაიხსნა.

ნ.მარი იძულებული გახდა შეგუებოდა სიტუაციას.

იგი უკვე შორდებოდა ქართველოლოგიას და თავის მოწაფეებთან ერთად ქმნიდა (მაგ., აკად. ივ. მეშჩანინოვი) „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“, რომელიც მარქსისტული იდეოლოგიის ნაწილად მიაჩნდა.

ქართული ჰუმანიტარული აზროვნება წარმოშობდა ახალ კადრებს – ივ. ჯავახიშვილი ისტორიოგრაფიაში, აკ. შანიძე – ლინგვისტიკაში, კ. კეკელიძე – ლიტერატურის ისტორიაში, შ. ნუცუბიძე – ფილოსოფიაში, დ. უზნაძე – ფსიქოლოგიაში, გ. ჩუბინაშვილი – ხელოვნების ისტორიაში...

XIX საუკუნიდან დაიწყო სამუზეუმო მუშაობაც, მაგ., 1888 წელს გაიხსნა საეკლესიო მუზეუმი (სიონი ტაძართან), 1910 წელს – ქალაქის მუნიციპალური მუზეუმი (დღეს თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი იოსებ გრიშაშვილის სახელობისა). გროვდებოდა ძველი ქართული ხელნაწერები (მაგ., ე. თაყაიშვილმა გადაარჩინა „ხელმწიფის კარის გარიგება“). ი. ჯავახიშვილმა 1907 წელს დააარსა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც უნივერსიტეტის გახსნამდე იყო ქართველოლოგიის ცენტრი საქართველოში, ჰქონდა დარგების მიხედვით განყოფილებები და ეწეოდა დიდ სამეცნიერო მუშაობას.

2. განმანათლებლობა და ხელოვნება

განმანათლებლობა ხელოვნებას გამოყენებით ფუნქციას ანიჭებდა, რომელიც ცხოვრებისეულ ინტერესებს აკმაყოფილებდა. მაგრამ თავისთავადი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ამიტომ იყო, რომ ნეკრასოვს პუშკინის გვერდით აყენებდნენ.

ესთეტიზმი, ხელოვნება ხელოვნებისათვის, მხატვრული გამომგონებლობა, ფორმის კულტი რეალიზმისთვისაც ზედმეტი იყო. მთავარ ადგილს იკავებდა სათქმელი, ცხოვრებისეული იდეა, ზოგადი (ტიპიური) სახეები და ხასიათები. მაგრამ პროფესიონალიზმი, სპეციალიზება ხელოვნების სფეროში წამოსწევდა ესთეტიზმს.

იტალიური ან რუსული ოპერა, რომელიც ტფილისში ფუნქციონირებდა, მუშის გულს არაფერს ეუბნებოდა ან – ნერვებს უშლიდა. იგი არსებობდა პროფესიონალი მუსიკოსთათვის ან მუსიკის მოყვარულ პირთათვის.

ფიროსმანის სურათები მედუქნეს რეკლამისათვის სჭირდებოდა. იგი ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ფიროსმანი უკეთ ხატავდა და ამიტომ მას აძლევდა შეკვეთას.

ფიროსმანი, როგორც პრიმიტივისტი, არაპროფესიონალი სტიქიურად, ნიჭის ძალით ხატავდა. განსხვავებით პოეტისაგან, მხატვარსა და მუსიკოსს სჭირდება სპეციალური მომზადება, ხანგრძლივი განსწავლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი ხელოვნება დაცილებულია სინამდვილისაგან და მისი ესთეტიური გაღრმავება და წარმოსახვაა.

დემოკრატიული კულტურა მაინც გადადიოდა ელიტარულში, რაც მოითხოვდა პროფესიონალიზმს და კონკრეტულ სპეციალიზებას.

ეს ეხება ფერმწერს, მოქანდაკეს, მუსიკოსს, კომპოზიტორს, მომღერალს, მოცეკვავეს, ქორეოგრაფს, რეჟისორსა და აქტიორს.

არქიტექტურა და მშენებლობა

არქიტექტურის სახეცვლა, ახალი შენობები და ქუჩები ყველაზე უფრო აჩენდა განვითარებასა და ევროპეიზებას.

ტფილისი სცილდებოდა ანჩისხატსა და თათრის მოედანს, სტოვებდა აზიურ წარსულს და ევროპულ იერს იძენდა. ქართველი, რუსი თუ სომეხი ერთსულოვნად ესწრაფოდნენ დასავლურ მოდერნს.

რუსებმა აიღეს ქალაქის გალავანი და კარები – ტფილისი იზრდებოდა და იცვლიდა გეოგრაფიას.

ქალაქის ასაშენებლად და გასამშვენიერებლად იწვევდნენ ევროპელ არქიტექტორებს, როგორც ეს ხდებოდა პეტერბურგსა და მოსკოვში.

ტფილისის საუკეთესო შენობები მოწვეულმა სპეციალისტებმა ააგეს. მეფისნაცვლის სასახლეს საბოლოო სახე მისცა 60-იან წლებში ო. სიმონსონმა, სასტუმრო „ორიანტი“ (დაიწვა თბილისის ომის დროს), კათოლიკეთა ეკლესია ააგო ი. ზალცმანმა, ოპერის თეატრის შენობა – ვ. შრეტერმა.

ასევე გამორჩეული არქიტექტურული ძეგლებია სურათების გალერეა რუსთაველზე, სასტუმრო „მაჟესტიკის“ („თბილისი – მარიოტი“), ქალაქის საბჭოს (საკრებულოს), რუსთაველის თეატრისა და კონსერვატორიის შენობები, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი (არქ. ს. კლდიაშვილი), რომანოვების სასახლე ბორჯომში, გიმნაზიისა და სასამართლოს შენობები ქუთაისში, დადიანების სასახლე ზუგდიდში.

როგორც სპეციალისტები შენიშნავენ, ქუჩები ეკლექტურად შენდებოდა, ერთმანეთში იყო არეული რენესანსულ–ბაროკანული და კლასიცისტური, მავრული და მოდერნული სტილი.

კერძო პირებიც აგებდნენ მონუმენტური და გამორჩეულ სტილის შენობებს (მაგ., ბიზნესმენები: – სარაჯიშვილი, მანთაშოვი, ზუბალაშვილი). როგორც ვთქვით, კულტურის მუშაკთაგან გამორჩეული სახლ-კარი ჰქონდათ ალექსანდრე ჭავჭავაძეს წინანდალში და ილია ჭავჭავაძეს საგურამოში, შესაბამისი დიზაინით, ავეჯით.

რუსულმა მმართველობამ გაიყვანა ორი პროსპექტი – გოლოვინისა (რუსთაველი) და მიხეილისა (დავით აღმაშენებელი), მრავალი ქუჩა, ააგო ვორონცოვის (არქ. ა. სკუდიერი), ვერის (ინჟინ პ. ზამიატინი, არქიტ. ს. უმანსკი), მუხრანის (ინჟ. ე. პატონი, შეცვალეს 1965 წელს – ბარათაშვილის ხიდი დღეს) ხიდები.

1845 წელს გაიხსნა ბოტანიკური ბაღი, 1859 წელს – ალექსანდრეს ბაღი, 40-იან წლებში – მუშტაიდის ბაღი, 1905 წელს – ფუნიკულიორი.

აბანოებისა და ქარვასლების არქიტექტურას შერჩა აღმოსავლური სტილი, ისევე როგორც ხარფუხს, ავლაბარს, თათრის მოედანს, ანჩისხატის უბანს.

70-იანი წლებიდან დაიწყეს კანალიზაციის გაყვანა, ღამით ქუჩების განათება, გაგრძელდა ქვაფენილების დაგება.

ქალაქში 1883 წლიდან მოძრაობდა კონკა (ცხენებშებმული ტრამვაი), 1904 წლიდან – ტრამვაი. გაშენდა კუკია, ჩუღურეთი, ვაგზალი და მიმდებარე ტერიტორია, გოლოვინის გაყოლებით – ოლგას (დღ. კოსტავას) ქუჩა, მთაწმინდის მხარე, ვორონცოვის უბანი.

რუსებმა კავკასიის დაპყრობის აღსანიშნავად გოლოვინზე აღმართეს ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი (დაანგრიეს ცეკას გადაწყვეტილებით და ააშენეს პარლამენტის შენობა – მთავრობის სახლი).

ქალაქს ამკობდნენ ძეგლები: მაგ., პუშკინის, გოგოლის, დ. ყიფიანის (მოქ. ფ. ხოდოროვიჩი), ვორონცოვის (დაანგრიეს ბოლშევიკებმა 1922 წელს). იგი დადგეს მისი ინიციატივით აგებული ხიდის (მიხეილის ხიდი) თავთან, დღევანდელ ზაარბრიუკენის მოედანზე, 1866 წელს (მოქანდაკეები ნ. პიმენოვი და ნ. კრეიტანი, კვარცხლბეკი ო. სიმონსონისა).

ძეგლისათვის იმპერატორმა გაიღო 3.000 მ, მისმა შვილებმა – 2.000, ხოლო მოქალაქეებმა – 36.000 მანეთი(ბ. ქუთათელაძე) .

ქალაქის არქიტექტორები და მშენებელ-ინჟინრები იყვნენ ძირითადად რუსი სპეციალისტები. გადაწყვეტილებას ღებულობდნენ ქალაქის საბჭო და ქალაქის თავი მეფისნაცვალთან შეთანხმებით.

1870 წლიდან თვითმმართველი ქალაქები გახდნენ ტფილისი, ქუთაისი, გორი, ახალციხე, ფოთი, შემდეგ – ბათუმი და ა. შ.

ჩამოყალიბდა ამომრჩეველთა სამი კატეგორია.

1875 წელს ტფილისის ბიუჯეტი იყო 279.037 მან; 1800 წელს – 1.361.636 ანუ ძლიერი იყო ეკონომიკური პროგრესი.

ტფილისში, ისევე როგორც გორსა და ახალციხეში, ქართული ბურჟუაზია ამაოდ იბრძოდა ლიდერობისათვის. მაგრამ არც რუსები, არც სომხები ცდას არ აკლებდნენ, რომ ტფილისი ყოფილიყო ლამაზი არქიტექტურის ევროპული ქალაქი.

მაგ., დაიწყო ტფილისის თავზე წამომართული მამადავითის ხრიოკი მთის ათვისება. 1905 წლის 27 მარტს გაიხსნა 501 მეტრის სიგრძის ტფილისის ფუნიკულიორი ფრანგი ინჟინრის ა. ბლანშის პროექტით. გზა გაიყვანეს ბელგიელი და იტალიელი ინჟინრების ხელმძღვანელობით.

აქტიური მონაწილეობა მიუღია ნიკო ნიკოლაძესაც.

საბაგირო რკინიგზამ მთაწმინდის პანთეონი და მამადავითის ეკლესია დააკავშირა ქალაქთან.

ტფილისის აღშენებაში ხელისუფლებასთან ერთად მონაწილეობდნენ ტფილისის ვაჭრების უმაღლესი გილდიის წევრები, ცნობილი ბიზნესმენები – ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, ალექსანდრე მანთაშოვი, ევგენი ზემელი, მელიქ აზარიანცი, მიქაელ არამიანცი, აკაკი ხოშტარია...

მხატვრების განსწავლა

ჩვენ ვწერდით პორტრეტულ ხელოვნებაზე, რომ ტფილისში მოღვაწეობდნენ გ. გაგარინი, რომელსაც ეკუთვნოდა „გაყრისა“ და „დავის“ თეატრალური დეკორაციები, ი. სოკოლოვი, ვ. ვერეშჩაგინია, ო. შმერლინგი, ე. ლანსერე, ი. რეპინი, ნ. სამოკიში, ფ. რუბო (შ. ამირანაშვილი), მ. ზიჩი, ძმები პ. და ფ. ხოდოროვიჩები...

ისინი რუსული რეალისტური მხატვრობის ტრადიციებს აცნობდნენ საზოგადოებას, ხელოვნების მოყვარულებს.

70-იანი წლებისათვის სამხატვრო და მუსიკალური საზოგადოებები დაარსდა. შემდეგ მათი გაერთიანებით შეიქმნა „კაზმულ ხელოვნებათა ხელშემწყობი საზოგადოება“.

გაიხსნა სამხატვრო სკოლა.

კერძო კლასებს ასწავლიდნენ ა. შამშინოვი, პ. კოლჩინი, დ. შიშკოვი, ლ. ლონგო, გ. გაბაშვილი, კ. მაკოვსკი...

ცდილობდნენ, რომ აღორძინებულიყო ძველი ტრადიციები და კავკასიას ჰყოლოდა თავისი სამხატვრო კადრები. იმართებოდა გამოფენები.

როცა კატკოვმა სასაცილოდ აიგდო ქართული დრშა, ილია რეპინმა უარი განაცხადა, რომ დაეწერა ამ ჟურნალისტის პორტრეტი. დიდი რუსი მხატვარი ეხმარებოდა ახალგაზრდა შემოქმედებს (მაგ., მოსე თოიძეს).

1902 წელს ტფილისში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ დააარსა ფერწერისა და ქანდაკების სასწავლებელი.

ქართველ ახალგაზრდა მხატვრებს შეეძლოთ სწავლის გაგრძელება რუსეთში. შემდეგ იმპერიის საზღვარიც გადალახეს და ხელოვნების მექას – პარიზს მიაშურეს (ლ. გუდიაშვილი, ი. ნიკოლაძე, დ. კაკაბაძე, შ. ქიქოძე, ე. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილი, დ. გურამიშვილი, ალ. მრევლიშვილი...). აქედან კი გადადიოდნენ გერმანიისა და იტალიის ქალაქებში, რათა ენახათ ხელოვნების ნიმუშები და დაეხვეწათ პროფესიული ოსტატობა.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდნენ გიორგი მაისურაძე, რომანოზ გველესიანი (25 წლისა ჭლექით გარდაიცვალა), რომელსაც დიდად აფასებდა შ. ამირანაშვილი, ალექსანდრე ბერიძე, გიგო გაბაშვილი, რომლის ერთი სურათი რამდენიმე მილიონ დოლარად გაიყიდა.

მოსკოვის ფერწერისა, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში დასპეციალდნენ ალექსანდრე მრევლიშვილი,

რომლის სადიპლომო სურათი „გოლგოთა“ ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, ალექსანდრე ციმაკურიძე.

მოსკოვსა და ოდესაში სწავლობდა იაკობ ნიკოლაძე, შემდეგ გაემგზავრა ევროპაში. მუშაობდა იმპრესიონისტ სკულპტორ ოგიუსტ როდენთან პარიზში.

თვითნასწავლი მხატვრები იყვნენ გრიგოლ ტატიშვილი და ნიკო ფიროსმანაშვილი.

როგორც ვხედავთ, ქართველი მხატვრები სწავლობდნენ კულტურის ცენტრებში, ეცნობოდნენ ხელოვნების უახლეს ტენდენციებს და მათ უფარდებდნენ ქართულ სინამდვილეს.

პროფესიული მუსიკის დასაწყისი

კულტურის საერთო აღმავლობას, განათლებას, კონტაქტებს რუსულ და ევროპულ სამყაროსთან მოჰყვა ახალი პროფესიული მუსიკის წარმოშობაც.

საეკლესიო გალობანი, როგორც გვახსოვს, ძველი დროიდან იღებდა სათავეს და უფლის სადიდებელი სიტყვები ისევ ხმიანობდა. მაგრამ ეს წარსული და რელიგიის სფერო იყო.

ხალხი სტიქიურად ქმნიდა სასიმღერო ტექსტებს, უთანხმებდა ჰანგებს, ითავისებდა აღმოსავლურ მელოდიებს, იყენებდა მრავალი სახის საკრავს, მაგრამ ევროპულმა, განსაკუთრებით – გერმანულმა პროფესიულმა მუსიკამ სხვა პერსპექტივა წარმოშვა. დამკვიდრდა ხალხურისაგან განსხვავებული მუსიკალური ფორმები – კამერული და სიმფონიური მუსიკა, საფორტეპიანო კონცერტი, სიმფონიური და საორკესტრო პოემები, სავიოლინო და ფლეიტის კონცერტები, რომანსები და მარშები, ფუგები და კონტრაპუნქტები. ერთი მხრივ – ხალხური მუსიკა და სიმღერები გაგრძელდა

რომანსების სახით, მეორე მხრივ – დაიწყო საკრავიერი ფორმების ათვისება.

ქართული ენის დიალექტების მსგავსად ყოველი კუთხის მუსიკალური ფოლკლორი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა და რთულ სტრუქტურას ავლენდა – 1, 2, 3, 4 ხმიანობას, რიტმიკასა და მოდულაციას.

როგორც ვთქვით, სპეციფიკური იყო ტფილისური ფოლკლორი, ისევე როგორც ლექსიკა და მეტყველება.

ადამიანის ცხოვრებას ყოველთვის ახლდა სიმღერა და მუსიკა, რაც მოძრაობისაკენ უბიძგებდა (როკვა და ცეკვა).

მას, როგორც ვთქვით, პირველი მოწესრიგებული ფორმა სიტყვებში მიეცა, მაგრამ ხმა და განწყობილება, ტექსტი და ჰანგი ერთმანეთისაგან განუყრელი იყო.

ისინი პროფესიულ მუსიკაში, მაგ., ოპერასა და საესტრადო მუსიკაში, ერთად არსებობენ წმინდა ბგერითი ვარიაციებითაც, როცა ხმას გამოსცემს არა მომღერალი, არამედ – ინსტრუმენტი (მაგ., ფორტეპიანო, ვიოლინო, კლარნეტი), როგორც ეს ხდებოდა უძველესი დროიდან (მაგ., სტვირი, დაირა, დოლი, ფლეიტა, სოინარი, ჩონგური, ჭიანური).

მცხეთის რაიონში ნაპოვნია გედის წვივის ძვლისაგან გამოჭრილი სალამური.

დრო – ძვ. წ. XV-XIV საუკუნეები.

ხალხურმა სტიქიამ წარმოშვა ლაშქრული, სუფრული, საფერხულო, სატრფიალო და შრომის სიმღერები. შემუშავდა ქართული მუსიკალური ტერმინოლოგია (ივ. ჯავახიშვილი).

XIX საუკუნიდან დაიწყო როგორც რელიგიური გალობების, ისე ხალხური სიმღერების აღწერა და ფიქსირება.

ისინი ედებოდა ეროვნული ტრადიციის საფუძვლად ევროპიდან შემოსულ პროფესიულ მუსიკას. პოპულარული გახდა გიტარა.

1860 წელს ტფილისში დაარსდა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი“, გამოიცა მ. მაჭავარიანის, ზ. ჩხიკვაძის, ი. კარგარეთელის კრებულები (გრ. ჩხიკვაძე, გ. ტორაძე).

საეკლესიო გალობები ჩაიწერეს ფ. ქორიძემ, ვ. და პ. კარბელაშვილებმა, ზ. ფალიაშვილმა, დ. არაყიშვილმა, ნ. სულხანიშვილმა....

არსებობდა საგალობლო სკოლები. სემინარიებში ეუფლებოდნენ საეკლესიო მუსიკალურ ხელოვნებას – ჩამოყალიბდა კერძო სამუსიკო კლასები. ტფილისში ტარდებოდა სიმფონიური და კამერული კონცერტები.

ეროვნული მუსიკისადმი ინტერესს ავლენდნენ ტფილისში მოღვაწე უცხოელები – რუსები ქ. გროზდოვი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი, ნ. კლენოვსკი, ჩეხი ი. რატილი, რომელიც ლ. აღნიაშვილის ეთნოგრაფიულ გუნდს ხელმძღვანელობდა.

მ. იპოლიტოვ-ივანოვის მოწაფეები იყვნენ დ. არაყიშვილი და ზ. ფალიაშვილი.

1851 წლიდან ტფილისში მოქმედებდა იტალიური ოპერის თეატრი. შემდეგ ჩამოყალიბდა რუსული დასიც. 1905 წლიდან ჩნდება ქართული ფილარმონიული საზოგადოება (თავმჯდომარე ი. სულხანიშვილი).

რუსეთშიც მოღვაწეობენ ქართველი პროფესიონალი მუსიკოსები – ა. მიზანდარი (ფორტეპიანო), ა. ყარაშვილი (ვიოლინო), ი. სარაჯიშვილი (ჩელო). ასევე ცნობილი ხდება მომღერალთა სახელები (მაგ., ფ. ქორიძე, ე. თარხნიშვილი, მ. ნანობაშვილი).

ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლებად სპეციალისტებს მიაჩნიათ მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არა-

ყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ნიკო სულხანიშვილი, ვიქტორ დოლიძე. მათ შექმნეს კლასიკური რომანსები და პირველი ქართული ოპერები, რომელთაგან საყოველთაოდ ცნობილია „დარეჯან ცბიერი“, „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ქეთო და კოტე“.

შემდეგ მათ დაერთო საკრავიერი მუსიკა (კამერული და სიმფონიური) და ბალეტი, ჩამოყალიბდა სიმფონიური ორკესტრი და სიმებიანი კვარტეტი.

პროფესიონალებთან ერთად საზოგადოებაც გაეცნო უდიდეს რუს და ევროპელ კომპოზიტორებსა და მუსიკოს-შემსრულებელებს. ქართულ კულტურაში მკვიდრდება სახელები: – ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, ბერლიოზი, ვერდი, ვაგნერი, ჩაიკოვსკი, ბიზე, შტრაუსი, ლისტი, პაგანინი... მათ სახელებსა და მუსიკას ხალხში ავრცელებდა მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული.

ქართული მუსიკაც ჩაერთო მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების სისტემაში, ისევე როგორც ლიტერატურა და მეცნიერება.

3. გმირები და ანტიგმირები

მხსნელის მოლოდინი

მწერლები რეალობაში ეძებდნენ გმირებს, რომელთაც გადასცემდნენ თავიანთ იდეალებს. მაგრამ სინამდვილე არ იძლეოდა ასეთ სახეებს. ამიტომ გადადიოდნენ უცხოეთში (მაგ., გარიბალდი, კოშუტი, ბისმარკი, ნაპოლეონი) ან წარსულში (დიმიტრი თავდადებული, თორნიკე ერისთავი, ბაში-აჩუკი, ზეზვა და ლუხუმი, გიორგი სააკაძე, პატარა კახი, თამარი).

გმირი წარმოშობს თავის მოპირისპირე ძალას – ანტიგმირს.

გმირი ცოტაა, ანტიგმირი – მრავალი.

აკაკი წერეთელმა ახალგაზრდა რევოლუციონერებს მიაპყრო მზერა („ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ, გამოდით, თქვენი ჭირიმე“). ისინი პრაქტიკულად ცვლიდნენ ცხოვრებას და თავს სწირავდნენ თავიანთი იდეალებისათვის (მაგ., ტერორისტი არსენა ჯორჯიაშვილი).

სამართლიანობისათვის მებრძოლ გმირს ხედავდა მესტვირე არსენა ოძელაშვილის სახეში. სამართლიანობისათვის იბრძოდნენ გურული ფირალები და მეგრელი აბრაგები, სოციალ-დემოკრატები და ანარქისტები, რუსი ტერორისტები და ნაროდნიკები, ქართველი ხალხოსნები.

ქვეყანა ირყეოდა. ყოველ ათწლეულს ახალი ნაკადი და ახალი ლოზუნგები მოჰყვებოდა.

აკაკი წერეთელმა ალექსანდრე მეორის მკვლელობა მერცხლის შემოფრენას და გაზაფხულის დადგომას შეადარა. შემდეგ ხანჯალი შეაქო.

საქართველოში ასეთი რადიკალები რევოლუციის წლებში გამოჩნდებიან. ჯერ უფრო მოღვაწეებს სცემენ პატივს (მაგ., ილია, დიმიტრი ყიფიანი), ვიდრე ტერორისტებსა და მებრძოლებს (მაგ., იოსებ ლაღიაშვილი, რომელმაც ხანჯლით განგმირა ჩუდეცკი).

განმანათლებლები რევოლუციურ მოძრაობას, ტერორს და სისხლისღვრას არ ესალმებოდნენ. ისინი მშვიდობიანი რეფორმების მოიმედენი იყვნენ, რაც მოჰქონდა ბურჟუაზიას (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი) ან მოიტანდა კლასთა მორიგება (ი. ჭავჭავაძე).

ცოდნა, განათლება, ჰუმანიზმი, დემოკრატია შეცვლიდა დუხჭირ ცხოვრებას, რომელსაც ეკონომიკურ საფუძველს უქმნიდა სავაჭრო კავშირები, შრომა, მუშათა და გლეხთა კლასი, ტექნიკური პროგრესი.

მწერლობა რეალობისათვის ამზადებდა გმირებს. ჯერ ის ოცნებაში არსებობდა. მაგრამ გადასცემდა იმ თვისებებს, იმ იდეალებს, რაც შევიდოდა საზოგადოებაში და სხვადასხვა ფენას მიმართულებას მისცემდა, აღზრდიდა მათ და განაწყობდა სამოქმედოდ, როგორც რუსთაველის ტარიელი და ავთანდილი, ნესტანი და თინათინი.

ეს შეეძლო არა დეკლარირებულ, სქემატიზებულ პერსონაჟებს, არამედ – შთაგონებით დახატულ გმირებს. მათ ლიტერატურა სხვადასხვა მიმართულებით მიჰყავდათ.

ისტორიის რომანტიზება

როცა რეალობა არ იძლევა მასალას, გმირს ეძებენ ისტორიაში, რათა მისი მაგალითი წინ წარუმძღვარონ თაობებს.

ისიც საინტერესოა, რომ ქართველ მწერლებს XIX საუკუნეში არ უძებნიათ გმირები ერევანთან, ყარსთან, ბათუმთან, ახალციხესთან ბრძოლებში. მათ მიიღეს წარსულის სახეები „ქართლის ცხოვრებიდან“, ლეგენდებიდან და თქმულებებიდან.

ილია ჭავჭავაძე კი აცხადებდა, მოვიკლათ წარსულ დროებაზედ დარდიო. მაგრამ თანამედროვეობა უფრო ლუარსაბებსა და დარეჯანებს წარმოშობდა, ვიდრე კაკოსა და ზაქროს მსგავს მეამბოხეებს და ისიც თანდათან განიმსჭვალა წარსულის რომანტიკით, მითუმეტეს, რომ მას უდიერად იხსენიებდა ზოგი ქართველიც, არა მხოლოდ რუსი ან სომეხი („მეფე დიმიტრი თავდადებული“, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, „აი, ისტორია“, „ქვათა ღაღადი“).

მართალია, სწუხდა ჩვენი ისტორია მეფეების ისტორიაა და ხალხი არ ჩანსო. მაგრამ ყველა დროში მაინც ლიდერი იქცევდა მემატიანეთა ყურადღებას. მასის წიაღიდან თითო–ოროლა თუ

წამოიწეოდა, როგორც ჟანა დარკი საფრანგეთში ან ბერი თევდორე ჩვენში, ანდა – სპარტაკივით მეამბოხე.

ლიდერი, ძველ დროში მეფე და სარდალი, აძლევდა ხალხს მიმართულებას, გმირობისა და თავგანწირვის მაგალითებს.

ახალმა დრომ სტიქიური მეამბოხეები – ტერორისტები, ყაჩაღები, ფირალები, აბრაგები წარმოშვა. ყველაზე პოპულარული იყო არსენა ოძელაშვილი, რომელზეც მესტვირე ქებაძეს მთელი პოემა გამოუთქვამს. ხალხს მოსწონდა ის ტერორისტი, რომელიც რუს გენერალს და ჩინოვნიკს ჰკლავდა, რუსულ ბანკს ძარცვავდა.

აკაკი წერეთელი უფრო აიდეალებდა წარსულს და იქედან არამხოლოდ ერთეულები გამოჰყავდა სანიმუშოდ, არამედ – ძველ ცხოვრებას, ადამიანთა ურთიერთობებს სამაგალითოდ სახავდა („თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“; „ბაგრატ დიდი“, „ბაში-აჩუკი“, „ნათელა“). შემდეგ ანტიკურ პერიოდში გადავიდა და მედეას მითსაც გადასწვდა.

იქ მეტი გმირი ეგულებოდა, ვიდრე ანტიგმირი. თანამედროვე კაცი და ქალი დეგრადირების სურათებს იძლეოდა. მხოლოდ სიზმარში თუ შეიძლებოდა ღირსეული მანდილოსნების ხილვა. პოეტის ცნობიერება შეარყია დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ. ამ ფაქტორმა უფრო გაუძლიერა პესიმისტური განწყობილება.

ილიას მკვლელობა ლამის საქართველოს დასასრულად აღიქვა. ადრე ხანჯალს უძღვნიდა ლექსს, როცა ამ იარაღის ხელში ამღები არავინ ჩანდა. მაგრამ ციხიდან გამოვიდნენ რევოლუციონერები და ინტერნაციონალიც კი თარგმნა. შემდეგ იაპონელ სარდალს მიესალმა („ოი ამას ვენაცვალე“), რომელმაც რუსები დაამარცხა.

ცოლი რუსი ჰყავდა, შვილი – გარუსებული, ქართულის არამცოდნე, მაინც სიჭაბუკიდანვე მოსდევდა ანტირუსული განწყობი-

ლება („დამეხსენი, ჩრდილოელო, რა მაქვს შენთან საზიარო, თვით ოხერო, მოუვლელო, როგორ გინდა მომიარო“), რასაც იწვევდა დაკარგული თავისუფლება.

ძველი ქართული ხელნაწერების აღმოჩენა და პოპულარიზება, არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების ინტერესი წარსულისადმი, (დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, ნ. მარი) უცხოელი მეცნიერების გააქტივება და საქართველოს ისტორიის ჩართვა უძველეს სისტემაში მწერლობას ისევ აბრუნებდა შორეული დღეებისაკენ.

ეთნოგრაფიულ წერილებს აქვეყნებდნენ მწერლებიც (მაგ., რაფიელ ერისთავი და ვაჟა-ფშაველა).

მაგრამ მთავარი იყო გმირული სულის გამოტანა ისტორიიდან, ფერფლსა და ნაცარში ცეცხლის პოვნა (მაგ., ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“).

ბახტრიონის თემას მიმართავდნენ ვაჟა და აკაკი, გიორგი სააკაძის რეაბილიტაციას იწყებდნენ ანტონ ფურცელაძე და სიმონ ქვარიანი. მათ მონდომებას ხმას უერთებდნენ ვაჟა-ფშაველა და ვასილ ბარნოვი.

თამარ მეფის სახე დიდებით იყო შემოსილი. მას უმზერდა ბეთანიის ეკლესიაში გრიგოლ ორბელიანი და მისი თვალების შუქი ენთო პოეტების, პროზაიკოსების, ისტორიკოსების სტრიქონებში.

ვაჟა მას დედას უწოდებდა, ნიკო მარი „ვეფხისტყაოსნის“ რაინდობისა და ქალის კულტს უკავშირებდა, აკაკის სიზმრად ეჩვენებოდა. თამარის კულტს ერთვოდა რუსთაველის კულტი. ხალხის ფანტაზიამ ეს ორი სათაყვანო სახელი ერთმანეთთან დააკავშირა.

პატარა კახი თითქმის თანამედროვე იყო და ბატონიშვილების, ორბელიანების, ბარათაშვილების, ტფილისელი აშუღების მი-

ერ დანერგილი ჰანგები ქართველის გულს ომის სულით აღანთებდა.

მისი სახელი მიუძღოდათ წინ, როცა არბევდნენ და წვავდნენ ჩეჩენ-დაღესტანელთა აულებს, როცა სდევნიდნენ მამაც შამილს, როცა ადგენდნენ შეთქმულების გეგმას.

ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა ფშაველა მთის რომანტიკას, ცხენოსან და ხანჯლიან, ნაბდით შემოსილ მოხევეებსა და ხევსურებს იგულვებდნენ ძველი სამყაროს თანაზიარად.

ისინი ცხოვრობდნენ ცივილიზაციისაგან იზოლირებულები, მთის კანონებითა და ადათ-წესებით, რაც ნიშნავდა როგორც მტრის მოსპობას, ისე დანდობას.

ამ გადარჩენილ ისტორიას არღვევენ და ამღვრევენ რუსის ყაზახები, მათ მიტმასნილი მოღალატე ქართველები და ოსები (მაგ., ალ. ყაზბეგის „ელგუჯასა“ და „მამის მკვლელში“).

„ისნის ცისკარით“ (1901) ვასილ ბარნოვი იწყებს წარსულის პოეტიზებული პანორამის აღდგენას, რომელიც პრაგმატულ და რევოლუციურ დროში მდინარების საპირისპიროდ სვლაა.

ძველი საქართველოს ნაწყვეტია პატრიარქალური მთა, მისი ბინადარნი.

მთის რომანტიკა

მთის რომანტიკას იწყებენ რუსი პოეტები. პუშკინსა და ლერმონტოვს – ველებისა და ყინულეთის ბინადართ – ანცვიფრებდათ ცადაწვდენილი თოვლიანი მწვერვალები, უფსკრულები, კლდეებზე დახვეული გზები და ბილიკები, შმაგი თერგი.

რუსებმა გაჭრეს სამხედრო გზა ტფილისიდან ვლადიკავკაზამდე და ყველა მოგზაური, ჯარისკაცი თუ გენერალი, ინჟინერი თუ მოხელე ამ საშიში გზებით დადიოდა.

ამ გზით გადადიოდნენ რუსეთში თერგდალეულები. აქ ხვდება ილიას მოხევე ლელთ ღუნია, რომელიც ეტყვის საუკუნის დევიზს – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

თავისუფლებისა და სიყვარულისათვის თავს სწირავენ ალექსანდრე ყაზბეგის გმირები – ელგუჯა და ხევისბერი გოჩა, იაგო და კობა, რომელსაც შემდეგ პარტიულ ფსევდონიმად აიღებს სტალინი.

რაფიელ ერისთავი ხევსურს ათქმევინებს ასევე საუკუნის ფრაზას – „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

ეს იგივე სოფიო ლეონიძის გულისტკივილია:

„უცხოობაში რაა სიამე“.

ჩრდილოკავკასიელი გმირი ქალები და კაცებიც ჩნდებიან ლიტერატურაში – ყაზბეგის მზაღო, ფარჩო, ელბერდი, ანზორ ჩერბიჟი, ელისო, სულთი ჯახოტი, ვაჟას ჯოყოლა და აღაზა, ქიჩირბე და ასლანი, დემური, მუცალი...

მაჰაჯირობის ტრაგედიამ გადაფარა ლეკების მიერ ჩადენილი აურაცხელი ბოროტება და ქართველებიც თანაგრძნობით განეწყვნენ სამშობლოწართმეული, დარბეული, განდევნილი ჩერქეზისა, ჩეჩნისა თუ ლეკისადმი. „მამის მკვლელში“ თავად შამილიც გამოჩნდა.

ქართველსა და ჩრდილოკავკასიელს საერთო მტერი ჰყავდათ – რუსი, რომელმაც წაართვა მათ ეს მთები, მდინარეები, ცა და მიწა. ამიტომ – „ძალას ბრძოლა“, „მტერი უნდა მოიკლას“.

თავისუფლების წყურვილი, მთის რომანტიკა აძლევდათ სააზროვნო ენერგიას ალექსანდრე ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველას, ძმებს – ბაჩანასა და სანდროს.

არისტოკრატ ყაზბეგსა და მღვდლის შვილ ვაჟას სასტიკი ცხოვრება არგუნათ ბედმა. ყაზბეგი გაღატაკდა და მხოლოდ თა-

ვისი გმირები აცოცხლებდა. ხუთ წელიწადში დაწერა „ელგუჯა“, „ხევისბერი გოჩა“, „განკიცხული“, „ელისო“, „ელეონორა“, „მამის-მკვლელი“, „მოძღვარი“, რომელთაც აღფრთოვანებით შეხვდა მკითხველი და შემდეგ დაეწყო ფსიქიკის რღვევა.

ვაჟა ჩარგალში ცხოვრობდა. მრავალშვილიანი ოჯახი ჰყავდა, რომელსაც არჩენდა ფიზიკური და ინტელექტუალური შრომით.

ისიც ლამობდა ცივილიზაციისაგან იზოლირებას, არქაიკას პოულობდა მთის რომანტიკაში, საითკენაც უბიძგა ტაილორისა და სპენსერის ნაშრომებმა, მათმა კონცეფციებმა. ხოლო აკაკისა და რაფიელის ლექსმა მიიყვანა შაირამდე, ხალხურ პოეზიამდე (ვრცლად იხ. „ვაჟა-ფშაველა: ომი და გმირი“).

მისი გმირები არიან ქართველი, ჩერქეზი, ქისტი და ისინიც ყაზბეგის პერსონაჟების მსგავსად მთელ კავკასის თავისუფლებას შენატრიან, როგორც წერდა ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე:

„ხალხი აზვირთდა, ხალხი აღდგა, ხალხი მოქმედებს,
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ფიქრობს
და ეს ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება“.

იდეურად ყაზბეგი და ვაჟა თერგდალეულთა მემკვიდრენი არიან. მაგრამ შემოქმედებაში განსხვავებული გზით მიდიოდნენ.

რეალურ თუ არქაიზებულ სასტიკ ცხოვრებას მოჰყავდა ბობოქარი, კეთილშობილი თუ ბოროტი (მაგ., გირგოლა) გმირები. ისინი ამსხვრევდნენ ილიას ასკეტურ ჰარმონიას (განდეგილი, ოთარაანთ ქვრივი, არჩილი და კესო).

ალ. ყაზბეგმა ფრანგული კარგად იცოდა, იცნობდა ფრანგულ რომანებს, რუსულ ყოფას, მთის ცხოვრებას, სადაც შვიდი წელი მწყემსად გაატარა.

ეს ცოდნა და ტკივილი მან შეშლილის შთაგონებით პერსონაჟებად და სიუჟეტებად გაშალა, რასაც აძლევდა ვენერიული დაავა-

დებით აღძრული დროებითი განათება, ფსიქიკის ზენორმული ღელვა.

იტაცებდა სცენა, აქტიორობა და დრამატურგობა. როგორც გადმოგვცემენ, ამ ბეც კაცს კარგად გამოსდიოდა ცეკვა ხანჯლებით.

დაწერილი აქვს 25 პიესა. მაგრამ არცერთი არაა მნიშვნელოვანი. ასე რომ, სწრაფვას თეატრისაკენ არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

ყაზბეგის პროზა იბეჭდებოდა „დროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე. სწრაფი და დროული პუბლიკაციაც აძლევდა ავტორს სტიმულს, უნერგავდა საკუთარი თავისადმი რწმენას.

ყაზბეგმა თუ უცებ მოიპოვა სახელი, მოიპოვა დრამატული სიუჟეტებით, რუსთ წინააღმდეგ მებრძოლი გმირებით, ტრაგიკული ტრფობის გადმოცემებით, – ვაჟა ფშაველას გვიან ეწვია აღიარება.

დიდხანს იგი ითვლებოდა მხოლოდ კარგ პოეტად და ბელეტრისტად. მიზეზი იყო დიალექტური მეტყველება, რომელსაც არ ღებულობდა სალიტერატურო ენას შეჩვეული ინტელიგენცია.

მისი აღქმა განსაკუთრებით უჭირდათ დასავლეთ საქართველოდან მოსულთ. ამ ტენდენციას გამოხატავდა აკაკის „ენას გიწუნებ, ფშაველო“. აკაკი რომ გარდაიცვალა, მთაწმინდაზე აიყვანეს, ვაჟას კი დიდუბე არგუნეს.

მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის ლექციების შემდეგ შეხედეს ვაჟას პოემებსა და გმირებს სხვა თვალით. კიტა აბაშიძემ სიმბოლისტადაც კი მიიჩნია. ვაჟა განადიდა მოდერნისტების თაობამ, რომელმაც ხალხს შეაყვარა ალუდა ქეთელაური, მინდია, ჯოყოლა, ზვიადაური, ლელა, ზეზვა, ლუხუმი, გოგოთური, აფშინა, ქიჩირბე, ძაღლიკა ხიმიკაური, ბაკური, ივანე კოტორაშვილი, გიგლია...

ერთი ვაჟა მრავალ გმირად იქცა.

შემდეგ მთის რომანტიკა გააგრძელეს გრ. რობაქიძემ („ლამარა“), დ. შენგელაიამ („გურამ ბარმანდია“), შ. დადიანმა („თეთნულდი“), კ. გამსახურდიამ. აქაც ტრფობას სდევს სისხლი და სიკვდილი.

ხალხოსნური სურათები

ბატონყმობის გაუქმების ეიფორიას, აკაკის ნანინას – გაიზრდები და იქნები თავისუფალიო, მალე მოჰყვა იმედის გაცრუება.

გლეხობის მოლოდინი ვერ გამართლდა.

მათ მიწა უნდა გამოესყიდათ, თანხა კი არ ჰქონდათ. ვერც ტყითა და საძოვრებით სარგებლობდნენ – ისინი ძველ მებატონეებს ეკუთვნოდათ.

გლეხი არ ან ვერ იხდიდა შეთანხმებით ნაკისრ გადასახადებს.

გამრავლდა საჩივრები, მებატონეთა ქონების ხელყოფა, ხანძრები.

ამას მოჰყვა სასამართლოები, ზოგან – შეიარაღებული დაპირისპირებაც. მაგ., სვანეთში (ხალდე), ზუგდიდის მაზრაში, ქიზიყში.

დაერთო გავრცელებული ჭორიც, ახალგაზრდები კენჭისყრით მილიციაში უნდა შეიყვანონო.

გლეხები სცემდნენ მებატონეებს, რუს და ქართველ სამხედროებს, ბოქაულებსა და მამასახლისებს. შეტაკებებს მოსდევდა ორმხრივი მსხვერპლი.

ასეთი ობიექტური სიტუაცია იწვევდა რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეების გააქტივებას, რომელთაც ახლა სხვა ელფერი მიეცა.

ინტელიგენციას, სტუდენტობას, ცალკეულ ლიდერებს მხნეობას ჰმატებდა ფრანგი კომუნარების სიმამაცე.

ისინი ჩერნიშევსკისთან, ბაკუნინთან, ლავროვთან ერთად ეცნობოდნენ პრუდონსა და ლასალს. მიწა და თავისუფლება გახდა ახალი მოძრაობის დევიზი.

ამ მოძრაობის აქტივისტებს ნაროდნიკები (ხალხოსნები) ანუ „ტეტიათა მოტრფიალენი“ დაერქვათ. ყალიბდებოდა გლეხური მოძრაობის იდეოლოგია, რომელიც არ იფარგლებოდა პროპაგანდით, გლეხების გადაბირებებით, არამედ – წიგნებთან და გაზეთებთან ერთად რევოლვერებსაც იმარაგებდნენ.

ქართველი ნაროდნიკები, რუს თანამოზიარეთა მსგავსად, ფიქრობდნენ რევოლუციაზე, თუმცა გლეხები მათ არ ღებულობდნენ, არ სწამდათ მათი ქადაგებისა, ჩვენ მეფის ერთგული ვართ, ვერ ვუღალატებთო, ვებრძვით მხოლოდ უსამართლო მებატონესო.

ქართველ ხალხოსნებს ჰქონდათ 1881-1883 წლებში ჟურნალი „იმედი“ და გაზეთი „შრომა“. ისინი თავს უფრო მტკიცედ გორსა და ქართლის მაზრებში გრძნობდნენ, სადაც შველოდნენ ხოლერით დაავადებულებსაც.

შემდეგ როგორც მეამბოხე გლეხები, ისე ხალხოსანი აქტივისტები დააპატიმრეს და ციმბირის გზა გაუყენეს.

ილიასა და თერგდალეულთა იდეები ახალი მიმართულებით გაიშალა, რაკი მათ რევოლუციას ევოლუცია ამჯობინეს.

ცნობილი ხალხოსნები იყვნენ – გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ეგნატე იოსელიანი, სოფრომ მგალობლიშვილი, დავით კეზელი, ივანე ჯაბადარი (რომელსაც, როგორც ნიჰილისტს, ებრძოდა ილია), შიო დავითაშვილი, იაკობ მანსვეტაშვილი, ანტონ ფურცელაძე, მიხეილ ყიფიანი, ილია ბახტაძე, სტეფანე ჭრელაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი.

ხელისუფლებამ აქტივისტები დააპატიმრა – 34 პირს გამოუტანეს სხვადასხვა სასჯელი – შედარებით მსუბუქი, ზოგს ჯარიმა აკმარეს.

ორი მათგანი – ეგნატე იოსელიანი და მიხეილ ყიფიანი გადაასახლეს ჯერ აღმოსავლეთ ციმბირში, შემდეგ – ორენბურგის გუბერნიაში.

რუსეთში გამართული „50-ის პროცესის“ მონაწილე იყვნენ გიორგი ზდანოვიჩი, ივანე ჯაბადარი, რომელთაც კატორღა მიესაჯა.

ხალხოსნური მოძრაობა მაინც არ შეწყვეტილა, რაც გააძლიერა ალექსანდრე მეორის მკვლელობამ ნაროდნიკების მიერ.

პეროვსკაია, ჟელიაბოვი და კიბალჩიჩი გმირებად ცხადდებოდნენ.

გავრცელდა პროკლამაციები. გაჩნდა გორსა და ტფილისში ხალხოსნური წრეები, რომლის წევრები უფრო რუსები იყვნენ.

„Народная воля“ წარმართავდა რევოლუციურ და პროპაგანდისტულ ცენტრებს, რაც დასრულდა წარუმატებლად – ოხრანკამ გამოავლინა დამნაშავეები და დასაჯა.

იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს ლორის-მელიქოვს შედგენილი ჰქონდა კონსტიტუციის მსგავსი ლიბერალური რეფორმების პროექტი. მაგრამ ნაროდნიკებმა მოკლეს იმპერატორი და ყველაფერი შეიცვალა.

პროცესებს უკვე განაგებდა ალექსანდრე III-ის აღმზრდელი, სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი, რომელმაც კატკოვის მსგავსი რეაქციონერები შემოიკრიბა.

ლორის-მელიქოვის ადგილი დაიკავა დ. ტოლსტოიმ.

რეაქციონერთა იდეოლოგიური დასაყრდენი გახდა გ. კატკოვის „Московские ведомости“.

გაათავისუფლეს კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი. გაუქმდა მეფისნაცვლის ინსტიტუტი. აღადგინეს მთავარმართებლის პოსტი.

მთავარმართებელი გახდა გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი, სასწავლო ოლქის მზრუნველი – იანოვსკი, რომელმაც მოინდომა სკოლებიდან ქართული ენის განდევნა. იანოვსკის კონცეფციას შეებრძოლნენ ს. მესხი, დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი.

ეგზარხოსმა პავლემ ქართული ენა და ლიტერატურა ამოიღო სემინარიაში, ქართველი მასწავლებლები რუსებით შეცვალა.

დაიწყო ქართველთა და სომეხთა დისკრიმინაცია, გაძლიერდა რუსიფიკატორული კურსი, ქართული ენის შეზღუდვა, სცადეს მეგრულისა და სვანურის, აჭარაში – თურქულის შემოღება.

აშორდიამ რუსული ანბანის მიხედვით მეგრული ანბანი შეთხზა.

დააპირეს წირვა-ლოცვის შემოღება მეგრულ და სვანურ ენებზე, რათა მეგრელი და სვანი ქართველისათვის დაეპირისპირებინათ.

ინტელიგენციას, ქართულ პრესას უწევდა მძიმე ბრძოლა ქართული კულტურისა და ნაციონალობის დასაცავად. დაიხურა „დროება“, „იმედი“, „შრომა“, ნ. ნიკოლაძის „Обзор“.

რუსული პრესა ქართველებს ისევ „ყაჩაღსა“ და „ველურს“ უწოდებდა.

ადრე თუ ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ალ. სტოიანოვი მოითხოვდა, რომ პედაგოგებს შეესწავლათ ქართული, ახლა იგი გაათავისუფლეს და აიძულეს, რომ ებრძოლა ქართული და სომხური ენების წინააღმდეგ.

ყველგან ქართულ კადრებს სცვლიდნენ რუსებით.

ცენზურა შეეცადა, რომ აეკრძალა სიტყვა „საქართველოს“ ხსნება და იგი შეეცვალა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიით.

ასეთ დროს მეტი მნიშვნელობა მიეცა ქართულ პრესას, წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ თეატრს, სათავადაზნაურო ბანკებს – 30 წლის განმავლობაში ქველმოქმედები-

სათვის ტფილისის ბანკმა დახარჯა 1.944.136 მან., ქუთაისის ბანკმა – 1.058.000.

რეაქციის გასანეიტრალებლად ასევე დიდი ფაქტორი იყო, რომ ქართულ კულტურას ჰყავდა ხელისუფლებისათვის კარგად ცნობილი ლიდერები – ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი...

იმპერატორის მკვლელობამ, ერთი მხრივ – 25 წლით დაამუხრუჭა პოლიტიკური პროგრესი, მეორე მხრივ – გაამწვავა წინააღმდეგობანი, შურისძიების გრძნობა, რაც დაუკავშირდა სოციალ-დემოკრატებს.

ხალხოსნებმა თავიანთი ლიტერატურაც შექმნეს (ს. მგალობლიშვილი, ან. ფურცელაძე, ნ. ლომოური, ე. გაბაშვილი, ი. დავითაშვილი...). სოფელი და გლეხის ჭირ–ვარამი – ეს არის მათი ფიქრის საგანი, რაც დრამატული ტონებით გააგრძელა ეგ. ნინოშვილმა.

საერთოდ კი ხალხოსნურმა მოძრაობამ ვერ წარმოშვა დიდი ფიგურა.

ხალხოსნები აკრიტიკებდნენ ილია ჭავჭავაძის საერთო ნიადაგის თეორიას. მაგრამ სცნობდნენ ადრეულ პერიოდსა და მხატვრულ ნაწერებს. შემდეგ ისევ დაუახლოვდნენ „ივერიას“.

ლიტერატურულად ხალხოსანი მწერლები აგრძელებენ „კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობის“, „კაცია-ადამიანის“ თემატიკას.

მათი სამოქმედო გარემოა ქართლი, მიმართავენ ქართლურ დიალექტს. მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეცვლებოდათ თვალსაზრისი და პოზიცია. მაგ., ანტონ ფურცელაძის რომანი „მაცი ხვიტია“ სამეგრელოს წარსულზეა დაწერილი.

ხალხოსანი მწერლების ნაწერებიდან ყველაზე ცნობილია სოფრომ მგალობლიშვილის „ჯორზაქარა“ და „ყაყიტას ქურდები“, ნიკო ლომოურის „ალი“ და „ქაჯანა“, ეკატერინე გაბაშვილის „მაგ-

დანას ლურჯა“ და „ღვინია გადაიჩეხა“, იოსებ დავითაშვილის „ჯეჯილი“ და „ბედის წყარო“.

70-80-იანი წლების საზოგადოებრივ აზროვნებაში პუბლიცისტიკასა და ლიტერატურაში მათ შექმნეს ახალი ნაკადი, სცადეს განმანათლებლობა უშუალოდ ხალხის წიაღში შეეტანათ და გაერძელებინათ ილიას თაობის მებრძოლი სულისკვეთება, განსაკუთრებით – პოლიტიკის სფეროში.

კაპიტალის შვილები

ფოთს რომ პირველმა ორთქლმავალმა მიაკივლა, მაშინ გიორგი წერეთლის ბახვა ფულავა თეკლათის ტყეში დატანტალებდა და თხებს მწყემსავდა („პირველი ნაბიჯი“).

სოლომონ ისაკიჩი ტფილისურმა ჭრელმა ბაზარმა წარმოშვა, ბახვა ფულავა – ფოთის პორტმა და დასავლეთთან ეკონომიკურმა კავშირმა, ნიგვზის კუნძებითა და სიმინდით ვაჭრობამ.

დრომ წვრილი ვაჭარი ბიზნესმენად აქცია, რომელსაც აღარ სჭირდება ყავლგასული წოდებები – იგი თავად ადგენს ახალ ღირებულებათა შკალას.

ბახვა, ისევე როგორც პეტრიელა „გულქანში“, ამ აღმავალი კლასის შვილია, რომელიც შეამჩნია მწერლის თვალმა, შენიშნა მასთან გარდაუვალი კონფლიქტი იმ წოდებისა, რომელიც შემოდგომის აზნაურები გახდნენ დავით კლდიაშვილთან და დანგრეული ბუდეების ამარა დარჩნენ (ნ. ლორთქიფანიძე). შდრ – ბახვა ფულავასა და იერემია წარბას სასიკვდილო დაპირისპირება.

ხალხოსნები თვლიდნენ, რომ სოფელსა და გლეხს სჭირდებოდა ცოდნა-განათლება, ექიმი, ეკონომიკა, მაგრამ არა ვაჭარი და კომერსანტი.

ისინი იცავდნენ ტრადიციებს და ბურჟუაზიული ურთიერთობანი და მორალი, ფულის კულტი მიუღებლად მიაჩნდათ.

მაგრამ განთავისუფლებული გლეხების ძალა უნდა მოხმარებოდა განვითარებულ ტექნიკას, ფაბრიკა-ქარხნებს, წარმოებას, რათა ხალხს დაეძლია ის სიღატაკე, რომელსაც გვიჩვენებდა „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“.

ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის მასშტაბს სწრაფად ზრდიდა მიმოსვლის ახალი საშუალებანი, გზა და ტრანსპორტი – გემი და მატარებელი, რაც თანდათან აკავშირებდა მსოფლიოს სხვადასხვა დაცილებულ წერტილებს. მას დაერთვის ტელეგრაფი და ტელეფონი.

მალე ავტომობილიც გამოჩნდება საქართველოს მთაგორებზე. გაზისა და ელექტრონის ფარნები კი გაანათებენ ქალაქის ქუჩებს. შინ ნაქსოვის ნაცვლად ევროპული სამოსელით შეიმოსება ელიტა.

ევროპული ავეჯით და ნივთებით გააწყობს ილია თავის საგურამოს სასახლეს, ტფილისურ სახლს, რომელიც სიცოცხლის მიწურულს შეიძინა. ილიას კლასთა ჰარმონიისაგან განსხვავებით მეორე დასელებმა კაპიტალიზმს მიაპყრეს მზერა, რომელიც თავისი წრიდან წამოსწევდა ნიჭიერ, მოხერხებულ, ენერგიულ, დაუზარელ პირებს, რომელთაც არ ასვენებდათ ფულის წყურვილი და არ შეეძლოთ გაჩერება, ლუარსაბ თათქარიძესავით უქნაროზა და მცონაროზა ან არჩილსავით თეორეტიზება.

მუდმივი მოქმედება ადამიანს აწამებდა, მაგრამ ასე ვლინდებოდა პიროვნული პოტენციალის მაქსიმუმი.

ამას კარგად ხედავდნენ ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც ფოთის აღშენებას შეალია ნიჭი და ენერგია, და გიორგი წერეთელი, რომელმაც როგორც პერსპექტიულ ძალას – მესამე დასელებს, ახალგაზრდა მარქსისტებს დაუთმო გაზეთი „კვალი“ და თავისი

ვაჟიც ამ გზაზე დააყენა. იგი აღიარებდა მარქსიზმის პერსპექტივას და თან ფიქრობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

შემოდგომის ანტიგმირები

თავადაზნაურობა, როცა მატერიალური საფანელი გამოეცალა, როგორც კლასი, დეგენერაციასა და გაქრობისაკენ მიდიოდა.

დიფერენცირება გრძელდებოდა. ერთი ნაწილი კრიმინალი გახდა, ტარიელ მკლავაძისა და იერემია წარბას მსგავსად. უმრავლესობა გაკოტრდა, ფიზიკური მუშაობა ან ვაჭრობა ეთაკილებოდათ ან არ შეეძლოთ.

მათ გადაასწრეს ენერგიულმა გლეხებმა, მარჯვე ვაჭრებმა და უნივერსიტეტდამთავრებულმა ახალგაზრდებმა.

თუ XIX საუკუნის ქართულ კულტურას ქმნის თავადაზნაურთა კლასი, XX საუკუნეში მინიმუმამდე დადის მათი წვლილი.

ასპარეზს იკავებენ გლეხთა შვილები, რომლებიც წავიდნენ განათლების ან რევოლუციის გზით. მანამდე კი თავადები და აზნაურები თავს ირჩენენ ოცნებითა და მაჭანკლობით, თავს ირთობენ ძველი დროებით.

ისინი ანტიგმირები არიან, რომელთაც დაკარგეს ასპარეზი, ფიზიკურადაც სტოვებენ ქვეყანას და მართლაც ზედმეტი ადამიანები აღმოჩნდნენ.

ქალის სილამაზემ აზრი დაკარგა. მთავარი იყო მზითვი, არა სიყვარული, ან მოწონება – არმოწონება.

გაჩნდა ახალი მორალი, რომ ქორწინება კლავს სიყვარულს, რომ ცოლ-ქმრობას სიყვარული არ სჭირდება.

ეს კი გზას უხსნიდა ღალატს, თავისუფალ სიყვარულს, გარყვნილებას.

ეს შემოდგომის აზნაურები გამოჰყავს თავის პროზაში დავით კლდიაშვილს. ისინი მარტივი იდეებით ცხოვრობენ და იბრძვიან სიცოცხლის გადასარჩენად.

ბეკინა და პლატონ სამანიშვილები, სოლომონ მორბელაძე, ქამუშაძეები, დარისპანი ფსკერისკენ დასული უმწეო ადამიანები არიან.

კომიკური სურათების მიღმა მთელი თაობის ტრაგედია იმალება, რაც თავს იჩენს წვრილმან დეტალებშიც.

ლუარსაბ თათქარიძე დაუდევრად, მაგრამ კარგად მაინც ცხოვრობდა. ახლა პლატონ სამანიშვილს წესიერი ცხენიც კი არ ჰყავს. მისი როსინანტი ჰგავს გიორგი წერეთლის კუდაბზიკას გახრეკილ, ვირთაგვას მსგავს ცხენს.

დავით კლდიაშვილის ანტიგმირები, შემოდგომის აზნაურები არ ატარებენ ილიას, აკაკის, ყაზბეგის, ვაჟას გმირთა ჰეროიკას. მათ სიყვარულის ძალაც არა აქვთ. პლატონი მამის მაჭანკალია, სადედინაცვლოს დაეძებს, დარისპანი ქალიშვილებს ათხოვებს, ქამუშაძეები წარსულითა და ტყუილებით ცხოვრობენ. სოლომონ მორბელაძეს მაჭანკლობაშიც მოეცარება ხელი (საერთოდ მაჭანკლობა პოპულარული თემა იყო ჩვენს მწერლობაში).

ისინი ზნეობრივად პატიოსანი ადამიანები არიან. მაგრამ ცხოვრებამ დაჩაგრათ და ახალ სინამდვილეს ვერ მოერგნენ – ამძიმებთ აზნაურული წარსული, აზნაურული ფსიქოლოგია, ძველი ეტიკეტი.

მხოლოდ კირილე მიმინაშვილს შერჩენია დარდიმანდობა, როგორც ტარიელ მკლავაძესა და იერემია წარბას ანუ ფსიქოლოგიურად მათ ენათესავება. ალბათ ამიტომაც მონაწილეობს ავანტიურასა და აფიორაში.

დავით კლდიაშვილის სიცილი უილაჯობისა და უმწეობის გამოვლენაა, რადგან „სიცილი ზოგჯერ ცრემლზედ მწარეა“ (აკ. წერეთელი).

ნიჰილიზმი და სიყვარული

დავით კლდიაშვილის პარალელურად შიო არაგვისპირელი ადამიანური გრძნობის, პიროვნების ღირსების გაუფასურებას აჩვენებდა.

დავით კლდიაშვილთან სიყვარული ვაჭრობის საგანია.

მომავალი ოჯახი პრაგმატული გარიგების შედეგია.

შიო არაგვისპირელთან მას ცვლის სექსუალური ლტოლვა, ღალატი და გარყვნილება. აქაც პიროვნების უმწეობა იხატება.

ადამიანი არა გმირი, იდეალებისათვის მეომარი, არამედ – ერთი საცოდავი არსებაა, – გვეუბნება მწერალი.

დავითი აზნაურთა უბედურებას გვიჩვენებს, რასაც იწვევს მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკის შემოცლა. შიო კი საერთოდ ადამიანის ფსიქიკურ არარაობას გვიხატავს. მიზეზი არის გრძნობათა დაკარგვა, სულის სიცარიელე, პრაგმატული ურთიერთობანი.

რაც გჭირდება, ის არის კარგი, ის გიყვარს, ვინც გამოგადგება.

ასეთი პრაგმატიზმი ნიჰილიზმის მშობელია.

ერთი პერსონაჟი ამბობს კიდეც, ჩემი სამშობლო ჩემი გულია, სადაც კარგად ვიქნები, ის არის ჩემი სამშობლოო.

ნიჰილიზმი გმირს ვერ წარმოშობს. მან შეიძლება ბოროტების გაჩენას შეუწყოს ხელი.

ქრისტიანული სათნოება, რომელსაც ეძებს მწერალი, შეიძლება იპოვო არა რეალობაში, არამედ – უძველეს დროში, ქრისტეს მითში ან – ზღაპარში („გაბზარული გული“).

ნამდვილი სიყვარულიც მხოლოდ ზღაპარშია შესაძლებელი. იქ, სადაც არ არის სიყვარული, არც გმირი იქნება. სიყვარული კი იძლევა ძალას და პატიმარი სიმბოლოდ ქცეულ ერთი მუჭა მამაპაპათა საფლავის მიწას ეწირება („მიწაა“!...) ან კოშმარი სიცილით განიმუხტება („ღვინის ქურდები“).

შიო არაგვისპირელმა ნოველის ჟანრი შეჰმატა ქართულ მწერლობას და მიმდევრებიც შეიძინა, რომელთაც ნოველა დაახურდავეს ეტიუდებად, ჩანახატებად, ფრაგმენტულ სურათებად, რაც იქცა შალვა დადიანის იმპრესიონისტულ „ჩამოკრულებად“ და ნიკო ლორთქიფანიძის იმპრესიონისტულ მინიატურებად.

მაშინ პოპულარული იყო მოპასანისა და ჩეხოვის ნოველები, რომელთაც დაერთო ავსტრიული იმპრესიონიზმის ეტიუდები.

აზრის, გმირის, გრძნობის კრიზისს დაემატა ფორმის კრიზისი, რასაც ლიტერატურა თვითკვდომამდე მიჰყავდა, როგორც ეს მოხდა სანდრო ცირეკიძესთან, რომელსაც ტექსტი სათაურამდე დაჰყავდა.

ეს იყო გვაროვნული ხაზის ფსიქიკური დასასრული ქართულ კულტურაში. არისტოკრატია და არისტოკრატიზმი კვდებოდა ძალდატანების გარეშე. მაგრამ მასების ბნელ წიაღში მწიფდებოდა შურისძიების გრძნობა, სინათლისა და სიცოცხლისათვის ბრძოლის მოთხოვნილება.

მუშისა და გლეხის ოპტიმიზმი ამსხვრევდა წოდებათა დასრულების ნიჰილიზმს, რომელიც იდეოლოგიად სოციალიზმს იღებდა, იღებდა იარაღს და მზად იყო იდეისათვის თავი გაეწირა, კატორღაში წასულიყო და ტანჯვით ეცხოვრა.

ეს არ შეეძლოთ ნიჰილისტებსა და ანტიგმირებს.

ისევ ბნელი სტიქია, როგორც ვულკანი, უნდა გამხდარიყო გარდამქნელი ძალა.

5. რევოლუციური ანტაგონიზმი

ღმერთის მკვლელები

სემინარია იძლეოდა საღვთისმეტყველო განათლებას, ამზადებდა მომავალ ღვთისმსახურებს. მოსწავლეებისათვის შექმნილი იყო კარგი პირობები, არსებობდა გარკვეული შეღავათებიც (შდრ – კეკე ჯუღაშვილის მოგონება).

მაგრამ მოხდა პარადოქსი – სწორედ სემინარიის კედლებში ჩაისახა უფლის გმობა და მხურვალე მლოცველები ღმერთის მკვლელები გახდნენ: როცა აიღეს ძალაუფლება, დაანგრიეს ეკლესიები და გაანადგურეს სამღვდელოება.

სასულიერო სემინარიაში სწავლობდნენ – ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ლადო კეცხოველი, სილიბისტრო ჯიბლაძე, იოსებ ჯუღაშვილი, ალექსანდრე წულუკიძე, სიმონ ჯუღელი...

მალე ისინი სოციალ-დემოკრატები გახდებიან, მგზნებარე ათეისტები, და აღადგენენ ვოლტერის ღმერთის გმობას. ამ იდეამდე მათ მიიყვანს მარქსიზმი, მარქსისა და ენგელსის რევოლუციური, სოციალისტური მოძღვრება, კლასობრივი თანასწორობის პრინციპი, ოცნება ამქვეყნიურ სამოთხეზე.

სემინარიელებმა ხელიდან გააგდეს სახარება და „კომუნისტური პარტიის მანიფესტსა“ და მარქსის კაპიტალს დაეწაფნენ.

სოციალისტების მეტი წილი ებრაელები იყვნენ, ქრისტეს უარმყოფელნი, რაც მათ საერთოდ უფლის ცნებაზე გაავრცელეს (მაგ., მარქსი, ლასალი, ბერნშტაინი, კაუცკი...).

სოციალიზმისა და მასონობის იდეებით ებრაელებმა სცადეს მსოფლიოს გაერთიანება, საზღვრების წაშლა, რელიგიების, რო-

გორც ხალხთა ოპიუმის მოსპობა, თავიანთი ნაციონალიზმის ინტერნაციონალიზება.

სოციალიზმის საპირისპირო მხარეს მდგარი ფრ. ნიცშეც ამტკიცებს, რომ ღმერთი მოკვდა და მისი ადგილი ზეკაცმა უნდა დაიკავოს. აქ არისტოკრატიული ინდივიდუალიზმი ცვლიდა პლებეურ კოლექტივიზმს.

ქართველი სემინარიელები იზრდებოდნენ თერგდალეულთა ნაშრომებზე. იცნობდნენ ხალხოსნურ მოძრაობას, გაეგონათ რუსი ტერორისტების გვარები, პლეხანოვის სახელი. მათ თვალწინ ააფეთქეს იმპერატორი.

1886 წელს სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა (დედა ჰყავდა ბანძელი დანელია, მღვდლის ასული) ხანჯლით განგმირა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი (ეგზარხოსი ტფილისში მოკლეს 1908 წელსაც).

ამას მოჰყვა ეგზარხოსის მიერ ქართველი ერის დაწყევლა, დიმიტრი ყიფიანის პროტესტი, მისი გასახლება სტავროპოლში, შემდეგ მკვლელობა. ეს ხდება იმპერატორის მკვლელობის შემდეგ გაშლილი რეაქციის ფონზე.

ამ ნაპერწკლებმა ხანძარი გააჩინეს სემინარიელთა გონებაში. ისინი უფრო გაეცნენ რევოლუციონერ-დემოკრატთა და თერგდალეულთა ლიტერატურას, პოლიტიკურ სიტუაციას, ხალხოსნურ მოძრაობას, ხალხის დუხჭირ ყოფას და სოციალიზმის იდეალებით განიმჭვალნენ.

მარქსის სახელი და კომუნიზმის აჩრდილი სულ უფრო და უფრო იპყრობდა ევროპას და აფრთხობდა რუსეთსაც.

ნგრევის რომანტიკა

ხალხოსნური მოძრაობა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში გადაიზარდა მარქსიზმში, რომლის მიმდევარი გახდა ეგნატე ნინოშვილი, ერთი ყველაზე ღატაკი და ტანჯული მწერალი და პუბლიცისტი.

ლიტერატურულად ისიც ილიას ტრადიციებიდან იღებდა სათავეს. მისი გმირებიც კაკო ყაჩაღისა და გაბროს ნათესავები არიან. მაგრამ მწერალს აღარ აკმაყოფილებდა ილიას შემთანხმებლობა, ევოლუციის პრინციპი, ილიას იდეოლოგია.

იგი ქვეყნის მომავალს მარქსის, ენგელსის, პლეხანოვის სახელებს უკავშირებდა. მესამე დასელები, როგორც მოქმედი ახალი ძალა, პროგრამას წარმოუდგენენ საზოგადოებას 1894 წლის მაისში, ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე.

ეს გაცხადდა სილიბისტრო ჯიბლაძის სიტყვაში.

„მესამე დასელები“, როგორც ვთქვით, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელის და გიორგი წერეთლის „კვალის“ გარშემო შეიკრიბნენ.

ეგნატე ნინოშვილის კრიტიკული დამოკიდებულება ილისადმი მათ უფრო გააძლიერეს, რაც ყველაზე მკვეთრად გამოჩნდა პოლემიკაში ილიასა და ნოე ჟორდანიას შორის, ფილიპე მახარაძის ინტრიგებში.

დაიწყო ნამდვილი ბრძოლა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის.

მესამე დასელებს მხარს უმაგრებდათ მარქსის, ენგელსის, კაუცკის, პლეხანოვის სახელები, გერმანული სოციალ-დემოკრატია, პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“, ქართული სინამდვილიდან – დანიელ ჭონქაძე, 60-იანი წლების თერგდალეულები...

მათ მზერა გლეხობიდან პროლეტარიატზე გადაიტანეს.

ჯერ კიდევ ილია და გრიგოლ ორბელიანი წერდნენ ლექსებს მუშაზე. მაგრამ ეს იყო მშრომელი და არა მებრძოლი, სისხლმოწყურებული პროლეტარი.

გრიგოლს ქრისტიანული ჰუმანიზმი ამოძრავებდა, ილიას – „შრომის ახსნის“ იდეა.

„ივერიის“ რედაქტორის კლასთა შეთანხმების კონცეფცია ემყარებოდა ქართველი ერის ინტერესებს, ტრადიციებს, ევოლუციონიზმს, მაგრამ პროლეტარიატს არ ეხებოდა.

მესამე დასელები კი პერსპექტივას ხედავდნენ რუს თანამოაზრეებთან კავშირში, მუშათა მოძრაობაში, სოციალური პრობლემების რევოლუციურ გადაჭრასა და ეროვნული ფაქტორის იგნორირებაში, რადგან „ინტერნაციონალში ჰპოვებს შვებას ყველა“.

რელიგია და ეროვნული ინტერესები თიშავდათ ჩაგრულ ფენებს, სოციალური იდეა კი აერთიანებდათ.

„ცოცხლობდეს პროლეტარიატი“, – იტყვის ჭოლა ლომთათიძე ერთ მოთხრობაში, რადგან მხოლოდ ამ მედგარ ძალას შეეძლო თავი გაეწირა სოციალიზმის იდეალებისათვის.

ეს იდეოლოგია პროლეტარიატს თავს მოახვიეს და დაარწმუნეს, რომ სწორედ იგი პასუხობდა, იგი აღახდენდა ჩაგრულთა ინტერესებს. ამ პროცესს დაერქვა მარქსიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან. ეგნატე ნინოშვილი იდგა ამ მოძრაობის სათავესთან.

იგი გურიის გლეხობის მაგალითზე, გურული დიალექტით გადმოსცემს მშრომელების გაუსაძლის მდგომარეობას.

ლიტერატურაში დამკვიდრდნენ გოგია უიშვილი, სპირიდონ მცირიშვილი, ტარიელ მკლავაძე, ქრისტინე, კაცია მუნჯაძე – ტრაგიკული ბედის ადამიანები.

სპირიდონ მცირიშვილი აიღო ფსევდონიმად მეორე ასევე ტანჯულმა მწერალმა ჭოლა ლომთათიძემ, რომელმაც თავი შესწირა რევოლუციის იდეალებს.

თუ ეგნატე დარჩა, როგორც მხატვარი, ილიას გავლენის არეალში, ჭოლამ აითვისა ევროპული ტენდენციები და ნაბიჯი გადადგა მოდერნიზმისაკენ („სახრჩობელის წინაშე“, „საპყრობილეში“, „პირველი მაისი“, „თეთრი ღამე“).

რევოლუციურ სიმღერებს – „ვარშავიანკასა“ და „მარსელიეზას“ მხარს უბამდა იროდიონ ევდოშვილის პოეზია – „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“, „რაც უნდა ღამე იყოს ბნელი“...

ეს სამი მწერალი, ჭლექითა და თავისუფლების იდეით შეპყრობილი, ქმნიდა ახალ, რევოლუციურ ნაკადს ქართულ მწერლობაში, რომელსაც მალე არაერთი მიმდევარი გამოუჩნდა.

აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველაც კი იმედით აღენთნენ.

მესამე დასის ლიდერი გახდა ნოე ჟორდანია – პირველი მარქსისტი კავკასიაში, რომელმაც ქართული მოძრაობა შეუერთა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ის ფილიპე მახარაძესთან ერთად სწავლობდა ვარშავაში და ევროპიდან ჩამოიტანა უახლესი ინფორმაცია.

კარგად იცნობდა პლეხანოვს. იყო პარტიული ყრილობების დელეგატი, რუსეთის სათათბიროს დეპუტატი, ორგანიზატორი და თეორეტიკოსი.

სოციალ-დემოკრატებმა, მათ შორის ლენინმაც, უარყვეს ნაროდოვოლცების ტერორისტული გზა. მაგრამ ბოლშევიკები ყოველთვის მიმართავდნენ ტერორს.

ცნობილი ტერორისტები ჰყავდათ ესერებს. მათი ერთ-ერთი ლიდერი იყო ევნო აზეფი, პოლიციის აგენტი, რომელიც ხელმძღვანელობდა რამდენიმე მინისტრის მკვლელობას.

გარდა ამისა, რევოლუციონერებს კავშირი ჰქონდათ შავ სამყაროსთან – ქურდებთან, მკვლელებთან, რეციდივისტებთან, აწყობდნენ ექსპროპრიაციებს, რათა ფული ეშოვნათ, ძარცვავდნენ ბანკებს, ხოცავდნენ თავადებს, ბურჟუებს, მეფის მოხელეებს.

ბოლშევიკების საბრძოლო იარაღი იყო ტერორი, თუმცა დეკლარაციულად უარყოფდნენ ასეთ ხერხს.

სოციალ-დემოკრატების საპირისპიროდ, არჩილ ჯორჯაძის იდეოლოგიით, ჩამოყალიბდა სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტია, რომელშიც გაერთიანდა თითქმის მთელი ქართული ინტელიგენცია.

პარტიის თავმჯდომარე გახდა ჟურნალისტი გიორგი ლასხიშვილი, ყოფილი ხალხოსანი.

მეცნიერებიც კი ჩაერთვნენ ახალ მოძრაობაში (მ. წერეთელი, ა. შანიძე, დ. უზნაძე, ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. ქიქოძე...).

საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა კიდევ ერთი ტანჯული ბედის მოღვაწემ – არჩილ ჯორჯაძემ, რომელმაც წამოაყენა პარტიის ძირითადი პრინციპები – ფედერალიზმი, სოციალიზმი და რევოლუცია.

მასში ახალ ილია ჭავჭავაძეს ხედავდნენ, თუმცა თავად „განდეგილის“ ავტორი კრიტიკით შეხვდა ახალგაზრდა მოაზროვნის გამოჩენას, ისევე როგორც სოციალ-დემოკრატები.

იმპერატორმა დაუშვა სახელმწიფო სათათბირო, თუმცა რომ არ მოეწონა – გარეკა და დეპუტატები ციხეში ჩასვა (მაგ., ჭოლა ლომთათიძე, ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი).

ქართველი სოციალ-დემოკრატები – მენშევიკები და ბოლშევიკები, რევოლუციური მოძრაობის ლიდერები ხდებოდნენ იმპერიაში – ებრაელებთან ერთად.

მორჩილი და ერთგული ერი ისევ გაურჩდა ანუ მგლის თავზე სახარების კითხვა ამაო გამოდგა (შდრ – ძველი ირანელები ქართველურ ტომებს მგლების ქვეყანას ეძახდნენ. აქედან – გურჯი).

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხებას მოჰყვა თეთრი და წითელი ტერორი, ტყის ძმების გამრავლება, ილიას მკვლელობა.

ქართული კულტურა, პრესა, ლიტერატურა, თეატრი ასახავდა განახლების პროცესებს. ინტელიგენცია ინფორმირებული იყო როგორც რევოლუციის, ისე რეაქციის შესახებ.

ტფილისშიც ღვრიდნენ ტერორისტები სისხლს (მაგ., არსენა ჯორჯიაშვილი).

ტერორის მსხვერპლი ხდებოდნენ იმპერიის პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, დიდი მოხელეები. მიტინგებისა და ბრძოლების ქარიშხალში გაისმა, როგორც გაფრთხილება, ჭოლა ლომთათიძის პერსონაჟის – დემონსტრაციაზე მოკლული ბავშვის დედის წყევლა: „ღმერთო, ნუ გაუმარჯვებ სოციალ-დემოკრატიას“!...

იმპერიაში პარტიების რიცხვი მატულობდა, პოლემიკა ძლიერდებოდა, ეძებდნენ ქვეყნის ხსნის მოდელს, არ აშინებდათ კატორღა, შიმშილი და სიკვდილი.

ყველას პირზე ეკერა სოციალიზმის სახელი და ხალხთა ძმობის, თანასწორობის ლოზუნგებით მოუტანეს იმპერიას კატასტროფა, რაც ნიშნავდა მცირე ერების თავისუფლებას.

ერთის სიკვდილს მოჰქონდა მრავალთა სიცოცხლე. ვაჟაფშაველას ბათურის ხმალი ბოლშევიკებს ჩაუვარდათ ხელში.

ასე დადგა XX საუკუნე.

V. დასავლური ევროპეიზმი: მოდერნიზმი

როგორც ვამბობთ ხოლმე, ქართული კულტურა გარემოსილი იყო განმანათლებლური იდეოლოგიით, საზოგადოებისადმი სამსახურის ინტერესით, რუს რაზნოჩინელთა იდეებით. მაგრამ დრო მოითხოვდა განახლებას, იმ ტენდენციების მიყოლასა და ათვისებას, რაც ევროპაში ჩაისახა და განვითარდა.

თავიანთ ჩამორჩენას გრძნობდნენ რუსული კულტურის მოღვაწენიც. რუსეთით გატაცებული ქართული კულტურა დასცილდა ევროპის მაგისტრალს.

ითარგმნებოდა უამრავი ტექსტი, ზოგი კარგად (შექსპირი, კრილოვი). მეტი წილი – ცუდად. ითარგმნებოდა თანამედროვე რუსი და ევროპელი ავტორები. მაგრამ არსებობდა თარგმანი თარგმანისათვის.

თუ შექსპირი ქართული თეატრისათვის განმაახლებელ წყაროდ იქცა XX საუკუნეშიაც (მაგ., „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“, „რიჩარდ მესამე“). თუ მისმა პერსონაჟებმა წარმოაჩინა საუკეთესო აქტიორები (მაგ., ალ. იმედაშვილი, უ. ჩხეიძე, აკ. ხორავა, ვ. ჭაბუკიანი, ს. ზაქარიაძე, რ. ჩხიკვაძე, აკ. ვასაძე), სამაგიეროდ მწერლობაზე არ ჰქონია ზეგავლენა.

ძველი დროის ტექსტი ახალი თაობის შემოქმედს იშვიათად თუ დაიმორჩილებს. ახალ დროს შესატყვისი ფორმებიც სჭირდება.

ამიტომ არც პოეტური, არც პროზაული, არც დრამატურგული თარგმანები არ ახდენდა ქართულ მწერლობაზე ზეგავლენას.

კიტა აბაშიძემ ევროპულ თარგზე, ფრანგული მოდელის მიხედვით გამოჭრა ქართული ლიტერატურა, რათა ეპოვნა განვითარების უნივერსალიები. იგი მოქმედებდა ფრანგი ფ. ბრუნეტიერის თეორიის შესაბამისად.

კ. აბაშიძე თეორიულად სწორი აღმოჩნდა, პრაქტიკულად – არა. მაგ., გ. წერეთელი ნატურალიზმს მიაკუთვნა და მეტ-ნაკლებად გაიზიარეს ეს აზრი, მაგრამ ვაჟას სიმბოლისტობა დაუჯერებელი იყო. არადა – ბრუნეტიერის ფრანგული უნივერსალია მოითხოვდა, რომ საუკუნე მოდერნიზმით, კერძოდ – სიმბოლიზმით დასრულებულიყო.

მოდერნიზმთან მისვლა არათუ ქართველებს, არამედ – რუსებსაც დააგვიანდათ. ეს პროცესი ვერ ჩაეტია XIX საუკუნეში, მაგრამ ხომ აღსრულდა, ოღონდ XX საუკუნეში.

ქართული მწერლობა ნახევარი საუკუნის დაგვიანებით ჩაერთო ევროპულ პროცესებში. მაგრამ მოდერნიზმმა სულ თხუთმეტიოდე წელი იარსება – 1912 წლიდან 1928 წლამდე (ვრცლად იხ. ჩემი წიგნი „მოდერნიზმი“).

მას იწყებს და ამთავრებს გალაკტიონ ტაბიძე – ანი და ჰოე ქართული მოდერნიზმისა, ყველაზე დიდი ქართველი ლირიკოსი, ქართული ლექსის რეფორმატორი, განმაახლებელი ქართული სიტყვისა.

ტრანსფორმაციის პროცესი ზიგზაგური და მტკივნეული იყო. ევროპა მოეცვა პოლიტიკურ-იდეოლოგიურად სოციალიზმს, კერძოდ – მარქსიზმს, კულტურის მიხედვით – მოდერნიზმსა და ავანგარდიზმს.

1. წმინდა ხელოვნება

ორი ნაკადი

ქართული საზოგადოების განახლების მოთხოვნილებამ წარმოშვა ორი ნაკადი – პოლიტიკურ-რევოლუციური და კულტურულ-მოდერნისტული.

ორივეს სათავე იყო კათოლიკურ-პროტესტანტული და იუდაისტური ევროპა.

მათ ერთმანეთთან საერთო თითქმის არაფერი ჰქონდათ, შიგნითაც იყოფოდნენ, ერთმანეთს ებრძოდნენ, ერთმანეთს უარყოფდნენ. მაგრამ ყველა მათგანს წარმოშობდა ერის ფსიქიკური ენერგია, რომელიც ეძებდა გამოვლენის ფორმატებს, სამოქმედო გზას, როგორც მაგნა ქვესკნელიდან.

ნოე ჟორდანიას სოციალ-დემოკრატები სოციალურ სფეროში ეძებდნენ ხსნას, არჩილ ჯორჯაძის ფედერალისტები ეროვნულ პროგრამას აყენებდნენ, ვარლამ ჩერქეზიშვილი – ანარქიზმს თვლიდა მოძრაობად.

მათი საერთო საფუძველი იყო ილიასა და თერგდალეულთა ნააზრევი, პოზიცია, მრწამსი, რაც ახალ რეალიებთან მიმართებით განსხვავებულად გაიაზრეს. ხოლო ახალ იდეებს აწვდიდათ რუსეთი და ევროპა.

ილიას პოლიტიკოსებიც უარყოფდნენ და კულტურ-შემოქმედებიც. მაგრამ წიწამურის ტრაგედიამ შეძრა საზოგადოება. მივიწყებული და უარყოფილი ილია ჭავჭავაძე სიკვდილის შემდეგ უფრო გახდა ლიდერი, ვიდრე სიცოცხლეში.

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“, – წერდა გალაკტიონი.

ამ ფაქტს თვლიდნენ ქართული მწერლობის უღელტეხილად გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია. სასტიკი რეალობის შემდეგ „ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი“ – ქიმერები, ზმანებები, ეფემერები, ლანდები, ესთეტიზმი და არტისტიზმი, სული, ფიქრი, ოცნება და სიყვარული, სიკვდილი და ცისფერი ყვავილი.

აკაკის ესთეტიკა და სალექსო ფორმებიც მიუღებელი იყო ახალგაზრდებისათვის, რომელთაც სიყმაწვილეში წერა მისგან ისწავლეს.

ისინი უცხოეთისკენ იყურებოდნენ და მშობლიურს უნდობლად ეკიდებოდნენ. მათთვის ტრადიცია ენაში არსებობდა და არა კონკრეტულ ავტორებთან ან საგანთა წრეში.

მოდერნისტები ილიასა და აკაკის განმანათლებლობის გამოც აკრიტიკებდნენ, რადგან წმინდა პოეზიის მსახურებად მიიჩნევდნენ თავს, თუ არ აკრიტიკებდნენ – არც მიჰყვებოდნენ.

მათ აღიარეს მხოლოდ ვაჟა-ფშაველა თანამედროვეთა შორის, რომელიც წარმოაჩინა გრიგოლ რობაქიძემ, როგორც მითოს შემოქმედი.

ძველთაგან მიიღეს რუსთაველი, ბესიკი, გურამიშვილი, ბარათაშვილი.

ფედერალისტების პარტიაში (შემდეგ მათ გამოეყვნენ ეროვნულ-დემოკრატები) გაერთიანდა მთელი ინტელიგენცია.

სოციალ-დემოკრატები (ბოლშევიკები და მენშევიკები) რევოლუციურ ხაზს მიჰყვებოდნენ და კულტურული აღმშენებლობისათვის არ ეცალათ.

გალაკტიონს ცოლისძმები ჰყავდა ქართული ბოლშევიზმის ლიდერები, შემდეგ – ტროცკისტებად სახელდებული და რეპრესირებული. მაგრამ თავად მენშევიკების „ერთობაში“ იბეჭდებოდა და ხელმძღვანელობდა ვალიკო ჯუღელის გვარდიელთა ჟურნალს.

პოლიტიკური და კულტურული მოძრაობა, განსხვავებული გზებით, ცდილობდა ცხოვრებისა და აზროვნების გარდაქმნას.

მოდერნის სასახლე

მოდერნიზმი იყო საერთო ევროპული კულტურული განახლება, რომელიც გადასწვდა ყველა კონტინენტს, შეაღწია ყველა დარგში და წარმოშვა დიდი მესიტყვენი.

თვალს პირველ რიგში ხვდება არქიტექტურა, შენობების ანსამბლი.

არქიტექტურას ყველა დროის მმართველი და ხელოვანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ასევე – დანგრევას.

არქიტექტურის განვითარება, ახალი ფორმები უკავშირდება აღმშენებლობით პროცესს, რაც იძლევა ფანტაზირების საშუალებას.

ასეთი ბუმი იყო XIX საუკუნის ბოლოსთვის ევროპასა და ამერიკაში, სადაც წარმოიშვა მოდერნის სტილი.

მისი სიმბოლო იყო ეიფელის კოშკი, ტექნიკის ურჩხული, რომლის ლანდი აშინებდა ვერსალის სასახლესა და ლუვრს.

ახალი დროის სული რკინას, ბეტონსა და მინას უნდა აემეტყველებინა, მოეხდინა გარემოს მთლიანი მხატვრული კონსტრუირება.

მოდერნის სტილი იშველიებდა ისტორიულ პერიოდებში დამუშავებულ ორნამენტებსაც, დეკორატიულ კომპოზიციებს, რათა ფუნქციონალიზმს შერწყმოდა ესთეტიზმი. იგი ტფილისის სასაფლაოებზეც კი საგრძნობი გახდა (მაგ., კუკიაზე, ვერაზე).

ასე აშენდა ბანკის შენობა (დღ. საჯარო ბიბლიოთეკა), კინოთეატრი „აპოლო“, ქაშვეთის ეკლესია (სამთავისის მოდელზე), ზუბალაშვილების, აზარიანცის, სარაჯიშვილის სახლები, არამიანცის „მაჟესტიკი“...

სპეციალისტები მოდერნში გამოყოფენ „ახალ ხელოვნებას“, „იუგენდ სტილს“, „ლიბერტის სტილს“, „მოდერნიზმს“, „სეცესიონის სტილს“, კონსტრუქტივიზმს.

მოდერნის არქიტექტორებს ქანდაკება, გრაფიკა და ფერწერა სჭირდებოდათ ინტერიერისა და ექსტერიერისათვის, რაც გულისხმობდა როგორც გეომეტრიულ ფიგურებს, ისე მონოქრომიზმს.

ამიტომ ისევ უბრუნდებოდნენ სინთეზურ აზროვნებას.

საქართველოში მოდერნი ნაწილობრივ გამოვლინდა. აქ ეკლექტიზმი ბატონობდა, რუსულ კლასიციზმს უერთდებოდა აღმოსავლური მოზაიკური სტილი, აივნიან ქალაქს – ბეტონის კედლები.

ტექნიკა იძლეოდა საშუალებას, რომ სართულების სიმაღლე გაეზარდათ, დაეწყოთ კარკასული სტრუქტურების გამოყენება, ფასადები და ინტერიერი დეკორითა და ქანდაკებებით მოერთოთ, მიემატებინათ ანტიკური კოლონები.

აუცილებელი გახდა ქუჩების სქემების შედგენა, სახლისა და უბნის პროექტები. ასეთ დაგეგმარებას წესრიგი შეჰქონდა ქალაქების განაშენიანებაში, ძველ ქაოსსა და ანარქიაში.

ქართულ მოდერნისტულ კულტურას არ ჰქონდა შესაბამისი არქიტექტურული სივრცე. მხოლოდ კუნძულები ტივტივებდნენ ამღვრეული ტბის ზედაპირზე.

მაგ., მწერალთა კავშირის სასახლე იყო ევროპული მოდერნი, ინტერიერით, ავეჯით, ნივთებით, სურათებით, ლომ-ვეფხვის ფიტულით.

პროფესიული მუსიკის ბაზისი

ახალი დროის პროფესიული მუსიკა საქართველოში ახლად იდგამდა ფეხს. ჯერ შემკრებლობით მუშაობით იყვნენ დაკავებული. ეს იყო ხალხური მასალის შეგროვება, ტექსტებისა და ჰანგების ჩაწერა, მათი ფიქსირება.

ასევე ინტერესს იწვევდა საეკლესიო მუსიკა.

ეს ორი ნაკადი თავს იყრიდა ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაში. მაშინ ესეც საკმარისი იყო.

კომპოზიტორები, მუსიკოს-შემსრულებლები, მომღერლები და მგალობლები აყალიბებდნენ ახალ მუსიკას.

მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ფილიმონ ქორიძე, იოსებ რატილი, ია კარგარეთელი, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვი, ნიკო სულხანიშვილი, ვიქტორ დოლიძე, კოტე ფოცხვერაშვილი წარმოაჩენდნენ ქართული მუსიკალური ფოლკორის ღირსებას, ვოკალური პოლიფონიის ფართო დიაპაზონს.

მასზე დაყრდნობით, მისი მოტივებისა და ჰანგების გარდასახვით იქმნებოდა ოპერები და რომანსები, შემდეგ – კამერული და სიმფონიური მუსიკა.

საუკეთესო საოპერო მომღერლად ითვლებოდა ვანო სარაჯიშვილი.

მთელ მსოფლიოში გავრცელდა აკაკის ლექსზე დაწერილი ვარინკა წერეთლის „სულიკოს“ მელოდია.

შეიქმნა XX საუკუნის დამდეგს ეროვნული მუსიკალური კულტურის ბაზისი, რაც დაუკავშირდა ქორეოგრაფიას, ხალხურ ცეკვებს.

ხალხური მუსიკა და ზეპირი სიტყვა ყოველთვის არსებობდა, იქმნებოდა და იკარგებოდა, ბევრი დროს ვერ უძლებდა ან ვითარების შესაბამისად იცვლებოდა.

ფიქსირების გარეშე ქრებოდა მათი კვალი, ტრანსფორმაციის პროცესიც შეუმჩნეველი იყო.

რელიგიურ მუსიკას ქმნიდა და იცავდა ეკლესია. იგი საუკუნეების მანძილზე ჟღერდა ტაძრების თაღებში. მაგრამ როგორც ჰიმნოგრაფიულ ტექსტებს, ისე საგალობელთა მუსიკასაც სათავე ბიზანტიაში ჰქონდა, რელიგიურ ასკეტიზმს განასახიერებდა და ხალხურის ვნებათა ღელვას არ შეეფერებოდა.

ამიტომ ეს ორი ნაკადი პარალელურად ვითარდებოდა, ერთი ძირითადად მასაში და შემდეგ გადადიოდა ელიტაში, მეორე – საეკლესიო იერარქიაში.

XIX საუკუნის ბოლოდან მათი შეკრება და ფიქსირება იძლევა საფუძველს ამ ორი ნაკადის შერწყმისა და მოდერნიზებისათვის, რასაც აკეთებდნენ პროფესიონალი მუსიკოსები.

მხატვრის პალიტრა

ქართულ მხატვრობაში მოდერნისტულ-ავანგარდისტულმა ტენდენციებმა გვიან შეაღწია. ფერწერის ოსტატები უფრო ტრადიციებისა და რეალიზმის მიმდევრები იყვნენ. ისინი სწავლობდნენ პეტერბურგსა და მოსკოვში და მაშინაც, როცა ნაირგვარი სტილით დაქსელილ ევროპას ეწვეოდნენ, ინარჩუნებდნენ კლასიკისადმი ერთგულებას (მაგ., გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, დავით გურამიშვილი).

იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი, გოგენისა და ვან გოგის აფრიკული ფერწერა და ფერადი ქალები, პიკასოს კუბიზმი, შაგალის, მალევიჩის, კანდინსკის სუპრემატიზმი და კონსტრუქტივიზმი, მოდილიანის სტილიზებული ფიგურები, დეფორმირებული მკრთალი ლანდები ნაკლებად იწვევდა ქართველთა ინტერესს.

როგოროც ვთქვით, პარიზში ცხოვრობდნენ ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, დავით კაკაბაძე, შალვა ქიქოძე, ელენე ახვლედიანი, მიუნხენში სწავლობდა გიგო გაბაშვილი. მაგრამ არ გაყოლიან თანამედროვე ევროპულ ტალღას, რომელიც ცვლიდა ხედვას და აღქმას, როგორც ფუტურიზმი ან დადაიზმი.

ლადო გუდიაშვილი ნიკო ფიროსმანის და ირანული ფერწერის ერთგული დარჩა, გიგო გაბაშვილი – მკაცრი, რაციონალური რეალიზმისა, ძირითად სურათებში – დავით კაკაბაძეც (მაგ., „დე-

დაჩემი. იმერეთი“, „ავტოპორტრეტი“), ასევე – ელენე ახვლედიანი (ძველი ტფილისი) და ქეთევან მაღალაშვილი (პორტრეტები).

კუბიზმი უფრო სრულად გამოჩნდა პეტრე ოცხელის სურათებსა და თეატრალურ დეკორაციებში, ტერენტი გრანელის გრაფიკაში.

მოსე თოიძე რუსული მხატვრობისაკენ, კერძოდ – რეპინისაკენ იყო მიდრეკილი.

მოდერნისტულ-ავანგარდისტულ სტილს იყენებდნენ დავით კაკაბაძე, შალვა ქიქოძე (მაგ., სიკვდილის ლანდი მის ავტოპორტრეტთან), კირილ ზდანევიჩი.

მწერლებმა გაამითეს ფიროსმანის სახელი, განსაკუთრებით – „ცისფერ ყანწელებმა“, როგორც პლებეური ბოჰემა და დეკადენტურ-სიმბოლისტური ესთეტიკის ვარიაცია (შდრ – ალიო მირცხულავა – „ცა ფიროსმანის დახატულია“).

მაგრამ პრიმიტივისტი ძნელია დავსახოთ ფერწერული ოსტატობის ნიმუშად. ეს მაშინ, როცა არსებობენ გიგო გაბაშვილი და დავით კაკაბაძე, დიდი პროფესიონალი მხატვრები.

თანამედროვეობამ არ მიიღო ლადო გუდიაშვილის სენსუალისტური, ჭარბი ხორციელობის პერსონაჟები, არაბული მინიატურების მსგავსი სტილიზება, ხატვის ყვავილოვანი მანერა.

მოგვიანებით ევროპულ აუქციონზე ლადო გუდიაშვილს ცივად შეხვდნენ. ეს მაშინ, როცა გიგო გაბაშვილის ერთი სურათი სამ მილიონ დოლარად გაიყიდა.

ჩვენ უნდა დავეთანხმოთ შალვა ამირანაშვილს, რომ ქართულ ფერწერაში გიგო გაბაშვილმა იგივე როლი შეასრულა, რაც მუსიკაში ზაქარია ფალიაშვილმა და ქანდაკებაში – იაკობ ნიკოლაძემ.

მაგრამ გიგო გაბაშვილი მხატვრობისათვის წარსული იყო. იგი არ მდგარა პიკასოს, შაგალის, მალევიჩის, დალის ან თუნდაც იმპ-

რესიონისტების მსგავსად ხელოვნების ავანგარდში (მას დაუწერია 2.000-ზე მეტი ტილო).

ძიება გაგრძელდა. მაგრამ მოდერნისტულ-ავანგარდისტულ არეალში – ნაკლებად. ამ მხრივ უხვ მასალას იძლევა მწერლობა.

ნოველიდან ესკიზისაკენ

შიო არაგვისპირელის თხრობის ფორმა სიახლე იყო – ნოველამ ბევრი მიმდევარი გაიჩინა. ამას აღნიშნავდა აკაკი წერეთელი. ეს იყო 90-იან წლებში. მაგრამ ნოველის ჟანრის შემდგომი განვითარება გადაიზარდა მისი მოცულობის შემცირებაში. თავად შიო ლიტერატურას ჩამოსცილდა.

ნოველა იქცა ეტიუდად, ჩანახატად, მინიატურად, ესკიზად.

ევროპაში დიდად პოპულარული იყო იმპრესიონიზმი, იმპრესიონისტული მხატვრობა, რომელმაც მწერლობაშიც ჰპოვა ადგილი.

ერთი მხრივ, ეს იყო მსუბუქი თხრობა, ესთეტიზმი, ტელეგრაფის სტილი, სიტყვის ხელოვნება, ლაკონიზმი, მეორე მხრივ – რეალისტური ეპოქის რღვევა, ხასიათებისა და პერსონაჟების გაქრობა, სიუჟეტის გამარტივება, მოქმედების შენელება.

ბოდლერის ლექსები პროზად, ლოტრეამონის მალდარორის სიმღერები, ვერლენის ეტიუდები უარყოფს ბალზაკის „ადამიანური კომედიისა“ ან ზოლას „რუგონ მაკარების“ მასშტაბურ ხედვას.

რღვევის ტენდენცია საერთო ევროპული მოვლენა იყო და მან შემოატანა საქართველოშიც. მკვეთრი გამოხატვა კი ჰპოვა ავსტრიულ იმპრესიონიზმში (ჰუგო ჰოფმანსტალი, არტურ შნიცლერი).

საქართვლეოში იმპრესიონიზმი დანერგეს დეიდაშვილებმა – შალვა დადიანმა და ნიკო ლორთქიფანიძემ, როგორც დინამიური სტილი.

შ. დადიანი მსახიობი და დრამატურგი იყო. კარგად იცნობდა თეატრალურ რეპერტუარს და მისი რემინისცენციით წერდა „ჩამოკრულების“ სერიას. ხოლო ნ. ლორთქიფანიძე ვენაში სწავლობდა და იქედან წამოიღო თხრობის ტელეგრაფული სტილი და ეტიუდის ჟანრი, რომელსაც ზოგჯერ მეტრულ სახეს აძლევდა.

პროზის განახლება 20-იან წლებამდე აქ გაჩერდა.

მაშინ ვასილ ბარნოვმა მოძებნა სხვა სივრცე – ეს იყო ისტორიის პოეტიზება, ესთეტიზმი და ძველქართული ენის სტალიზება, რაც დაიწყო „ტრფობა წამებულით“ (1918).

აკაკის ლანდი

პარნასზე აკაკის ლექსი ბატონობდა, რაც ხალხის ხმა იყო.

მისი ლექსები რომანსებად იქცა და მღეროდა მთელი საქართველო. მახვილი სიტყვა – ანეგდოტებად, პერსონაჟები – საყვარელ გმირებად (მაგ., ბაში-აჩუკი) გარდასახა.

პოეტის თეთრი თმაწვერი ანათებდა ფოტოებიდან.

მისი ლექსი აითვისეს და სხვადასხვა მიმართულებით წაიყვანეს რაფიელ ერისთავმა და ვაჟა-ფშაველამ.

აკაკი გახდა პოეტის სინონიმი და ყოველი ახალგაზრდა მას ბაძავდა, მის ინტონაციებსა და საზომებს იმეორებდა, თითქოს სხვაგვარად წერა უკვე აღარ შეიძლებოდა.

იროდიონ ევდოშვილმა აკაკის ლექსი რევოლუციურ ფარვატერში მოაქცია და თავად აკაკიც აიყოლია.

დრო გადიოდა და მოხუცი პოეტი ინერციით თხზავდა ლექსებსა და პოემებს. სიბერემ დააზრო სტრიქონები.

ახალთაობიდან პირველი, ვინც გააღწია მაგნიტური არედან, იყო იოსებ გრიშაშვილი. მან აკაკის რვამარცვლიანი მეტრი გაა-

ორმაგა და რუსთაველურ შაირად აქცია, შეინარჩუნა სისადავე. მაგრამ გაართულა აღმოსავლურ-მეტაფორული სტილით.

როგორც ჩანს, თავად აკაკისაც მოსწონდა გრიშაშვილის ლექსი, რომელმაც ერთბაშად მიიზიდა მომავალი ოსტატები – გალაკტიონ ტაბიძე და ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე და პაოლო იაშვილი.

სატრფიალო ლირიკა ჰანგებში გადავიდა და აშუღური ქალაქის თემატიკა ვულგარობასა და ბანალობას განაშორა.

მეორე, ოღონდ აკაკის საპირისპირო მდინარება პოეტის სავარდო და სამაისო ქუთაისში წარმოიშვა – ახალგაზრდა ცისფერყანწელებმა უარყვეს მგოსნობა და პოეტის ფრაკი მოირგეს, სიმბოლიზმის მთვარით გაანათეს აიეტის ქალაქის ბნელი ქუჩები.

მათ ევროპული, სიმბოლისტური სალექსო ფორმები, თემატიკა, იდეები და განწყობილება დაუპირისპირეს აკაკისა და ილიას ლექსს. მაგრამ აკაკი იყო მათი ბავშვობის შთაგონება, ვისგანაც ისწავლეს ლექსის წერა და ჩაენერგათ ქართული სიტყვის სიყვარული. ამ გრძნობას განუმტკიცებდათ კიდევ ორი ცნობილი ავტორიტეტი – დავით კლდიაშვილი, რომლის ვაჟი მათი თანამოაზრე იყო და ნიკო ლორთქიფანიძე – ავსტრიული იმპრესიონიზმის შემომტანი.

ამიტომ გახდა იმერეთი, კერძოდ – ქუთაისი პოეზიის ახალი პარნასი. ისინი სხვაგზით წავიდნენ, მაგრამ შერჩათ სიყვარული დიდი მგოსნისა და პროზაიკოსებისადმი, რაც მიძღვნილ სტრიქონებში გამოხატეს.

გალაკტიონი, გრიშაშვილი, აბაშელი, ლეონიძე ბოლომდე დარჩნენ „განთიადის“ ავტორის მადიდებლები. გალაკტიონის ოცნება იყო, რომ ყოფილიყო ისეთი პოეტი, როგორიც – აკაკი წერეთელი, მაშინაც, როცა უკვე შორს გადაამეტა თავის კუმირს და შექმნა რადიკალურად განსხვავებული ლექსი.

„ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი“

კულტურის განახლებისათვის ქადაგებას იწყებს გრიგოლ რობაქიძე. იგი როგორც ლექტორი და ესსეისტი, საზოგადოებას აცნობდა აქტუალურ პრობლემებს, უცნობ სახელებს, უცნობ მოღვაწეებს.

თავიდან იბეჭდებოდა „კვალში“.

ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზე. მისი ერუდიცია, მეტყველების მანერა, ჟესტ-მიმიკა მოსწონდა მსმენელს, თუმცა ზოგი აკრიტიკებდა და არ ეთანხმებოდა ლექტორის ცალკეულ პარადოქსებს ან ახალ დებულებებს.

შემდეგ, აკაკი წერეთლისა და დავით კლდიაშვილის რჩევით, ქართულ ენაზე გადავიდა. იგი კულტურის ახალ სიმპტომებს ეძებდა არა მხოლოდ რუსეთსა და ევროპაში, არამედ – საქართველოშიც.

ამიტომ მზერა შეაჩერა იოსებ გრიშაშვილზე, რომელიც სრულიად ახალგაზრდა და პოპულარული პოეტი იყო.

ამ დროს ასპარეზზე გამოდიან „ცისფერყანწელები“.

მანამდე „ოქროს ვერძს“ ბეჭდავს პაოლო იაშვილი. ავტორთა შორის არის გრიგოლ რობაქიძეც.

შემდეგ პაოლო მიდის პარიზში და იქედან ჩამოაქვს ეკლექტიური სიმბოლისტურ-ფუტურისტული პაროლები, მონმარტის შთაბეჭდილებანი, უცხო პოეტთა და მხატვართა სახელები.

ტიციან ტაბიძე სწავლობს მოსკოვის უნივერსიტეტში, ესწრება პოეტურ საღამოებს, კითხულობს ახალ ლიტერატურას, რომლებიდანაც გამოჰყავს სიმბოლისტური მიმართულება.

გრიგოლი 12-13 წლით უფროსი იყო ცისფერყანწელებზე, უკვე ცნობილი მოაზროვნე. ისინი ქუთაისმა და ხელოვნების განახლების იდეამ დააკავშირა.

ახალგაზრდებს სჭირდებოდათ გრიგოლის ავტორიტეტი და ერუდიცია, გრიგოლს – მიმდევრები. მაშინ იგი არც პროზას სწერდა, არც ლექსებს. მაგრამ იგრძნო, ისევე როგორც კიტა აბაშიძემ, რომ საქართველოშიც იწყებოდა განახლების პროცესი, რასაც სულიერების რენესანსი უწოდა.

გრიგოლი იყო ცისფერყანწელთა გამოცემების უცვლელი ავტორი, მათგან სახელდებოდა ჯგუფის ლიდერად და პირველ სიმბოლისტად, მათი ახალი მწერლობის კავშირის თავმჯდომარე.

მანამდე, როგორც ვთქვით, შიო არაგვისპირელი, ჭოლა ლომთათიძე, შალვა დადიანი, ნიკო ლორთქიფანიძე პროზის სფეროში ცდილობენ ახალი სიტყვის თქმას. გერონტი ქიქოძეს შემოაქვს ესთეტიკური ინფორმაცია, ესსეისტური სტილი, არჩილ ჯორჯაძეს – ახალი ხედვა, „მშვენიერი ტყუილის“ თეორია, კიტა აბაშიძეს – ლიტერატურის ევოლუციონიზმის კონკრეტული მოდელი.

10-იანი წლებისათვის იწერება მარტივი და მცირე ფორმის თხზულებანი.

მაგრამ ტიციან ტაბიძემ ახალი ტალღა იმპრესიონიზმიდან სიმბოლიზმის რკალში გადაიყვანა, დააკონკრეტა გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვა და პაოლო იაშვილის ეკლექტიზმი, გერონტი ქიქოძის აბსტრაქტული ჭვრეტა.

მან ყურადღება შეაჩერა თავის ბიძაშვილზე გალაკტიონ ტაბიძეზე და მისი პირველი წიგნის ლექსების მიხედვით უწოდა ჭყიშელ ჭაბუკს „მარტოობის ორდენის კავალერი“.

გალაკტიონ ტაბიძემ დაასწრო „ცისფერყანძელებს“ და უკვე 1912 წლიდან ეზიარა სიმბოლიზმს, რომელსაც მანამდე გმობდა. მაშინ იგი ახალი გამოსული იყო აკაკის გავლენის არეალიდან, თუმცა იოსებ გრიშაშვილის მეტაფორული, ნათელი, 16 მარცვლიანი ლექსით მოიხიბლა.

ი. გრიშაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რითმებსაც, სატრფიალო ლირიკის სფეროში ცდილობდა მაქსიმალურ თემატიკურ ნიუანსირებას, სახეობრივი მრავალფეროვნების მიღწევას.

ასეთი სტილით გალაკტიონმა უკეთესი ლექსები დაწერა – „ხელოვნება“, „მესაფლავე“, „გურიის მთები“, „მე და ღამე“, შემდეგ უარყო ეს გზა და გადავიდა ევროპულ არეალში – პარნასული და იმპრესიონისტულ-სიმბოლისტური კულტურის სივრცეში.

გალაკტიონმა შექმნა ახალი ქართული სიტყვის ესთეტიკა, შეცვალა მხატვრული აზროვნება, შემოიტანა უცნობი საზომები, მხატვრულ სახეთა აგების წესი, მრავალფეროვანი რითმა, უჩვეულო სახეები.

ვიდრე გამოვიდოდა „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი, სადაც იგი გრიშაშვილთან ერთად მიიწვიეს, უკვე დაწერილი აქვს „მერი“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „უსიყვარულოდ“, „შემოდგომის დღე“, „უდაბნო“, „ალვები თოვლში“, „ატმის ყვავილები“, „აკაკის ლანდი“ ანუ არსებობს ახალი ლექსი.

პროზის განახლება შეჩერდა ნიკო ლორთქიფანიძის პროზაზე. 10-იანი წლებიდან პოეზია დგება ავანგარდში.

ამავე დროს აქტიურობენ მოდერნიზმის იდეოლოგები – გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია.

მათ მიერ მოწვდილი ესთეტიკური ინფორმაცია საკუთარი შემოქმედების ახსნაც იყო.

1916 წელს იბეჭდება ჟურნალი „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი, იქმნება ამავე სახელწოდების პოეტთა და პროზაიკოსთა საძმო, უჩვეულო გაერთიანება (გრ. რობაქიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, ნ. მიწიშვილი, შ. აფხაიძე, ს.

ცირეკიძე, ლ. ჯაფარიძე, შ. კარმელი, გ. ლეონიძე, ს. კლდიაშვილი...).

ოციან წლებში სიმბოლისტებს შეემატათ ტერენტი გრანელი. პარნასული მიდრეკილება ჰქონდათ ალექსანდრე აბაშელსა და კონსტანტინე ჭიჭინაძეს.

ერთხანს „ცისფერყანწელებს“ დაუახლოვდა ლადო გუდიაშვილი, გააფორმა მათი ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“.

ახალთაობას ჰქონდა მრავალფეროვანი და საინტერესო პრესა – „ოქროს ვერძი“, „ცისფერი ყანწები“, „ლიგეია“, „მეოცნებე ნიამორები“, „შვიდი მნათობი“, „ცისარტყელა“, „შვილდოსანი“, „ბახტრიონი“, „ლეილა“, „ლამარა“, „ბარიკადი“, „რუბიკონი“ „პრომეთე“, „ილიონი“, „საქართველოს სამრეკლო“, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, „საფირონი“, „აისი“, „თოლაბულისის სარტყელი“, „კრონოსის სარკე“, „ხომალდი“, „ლომისი“, „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“, „პოეზიის დღე“.

მცირე იყო მათი ტირაჟი, არ იყო მყიდველი და მკითხველი. მწერლებს ეკონომიურად უჭირდათ. ამიტომ იხურებოდა გამოცემები, ერთს ცვლიდა მეორე.რედაქტორები თავად მწერლები იყვნენ.

პარტიული პრესა გაცილებით სტაბილური იყო, ჰქონდა მეტი ტირაჟი, პერიოდულობა, ჰონორარი.

ამიტომ იბეჭდებოდნენ სოციალ-დემოკრატების „ერთობაში“, ეროვნულ-დემოკრატების „საქართველოში“, სოციალისტ-ფედერალისტების „სახალხო საქმეში“, „სოციალისტ-ფედერალისტში“, „ტრიბუნაში“.

მოდერნისტების წიგნები კანტიკუნტად გამოდიოდა. მაგ., გალაკტიონმა 1927 წლამდე გამოსცა ლექსების მხოლოდ ორი კრებული (1914, 1919).

პარტიებთან კონტაქტი უზრუნველყოფდა მათი ნაწერების პუბლიკაციას.

1924 წელს დაარსდა ყოველთვიური ჟურნალი „მნათობი“, სახელმწიფო გამოცემა, რომლის ფურცლებზე დაიბეჭდა ქართული მწერლობის უპირველესი ნიმუშები (მაგ., „ჯაყოს ხიზნები“, „მთვარის მოტაცება“).

ქართველი მოდერნისტები გამოდიოდნენ რუსი და ფრანგი ავტორების შემოქმედებითი პრაქტიკიდან (ბრიუსოვი, ბლოკი, ბალმონტი, ბელი, მერეჟკოვსკი, ივანოვი, ბოდლერი, რემბო, ვერლენი, ლოტრეამონი, მალარმე).

20-იანი წლებიდან პოეზიის პარალელურად განახლების პროცესმა მოიცვა პროზაც – მოთხრობა და რომანი, როგორც მოდერნისტები, ისე რეალისტები, როგორც ძველი, ისე ახალი ოსტატები (გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი, შ. დადიანი, ნ. ლორთქიფანიძე, დ. შენგელაია, ვ. ბარნოვი, ბ. მელიქიშვილი...).

დაიწერა მნიშვნელოვანი რომანები – „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“, „სანავარდო“, „არმაზის მსხვრევა“, „დიონისოს ღიმილი“, „უბედური რუსი“, „გველის პერანგი“...

ქართული ლიტერატურა ვითარდებოდა როგორც ურთიერთკონფლიქტების დაძლევით, ისე ხელისუფლებასთან დისკუსიით, ლავირებით, უცხოელ კოლეგებთან კონტაქტებით.

განსაკუთრებით შეურიგებელი იყო გრ. რობაქიძისა და ცისფერყანწელებისადმი კ. გამსახურდია. მიზეზი იყო მათი რუსოფილობა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მიმართება, დილეტანტობა (იხ. „მარტვილი და ალამდარი“, II თბ., 2011_.

ცოდნა და ინტუცია

მოდერნიზმი, ისევე როგორც ავანგარდიზმი, ინტელექტუალური ხელოვნებაა, რაც ვლინდება ფორმის სფეროში ანუ მასებზე მაღლა დგას და ნაკლებად გამოხატავს მათ სატკივარს.

მოდერნისტი წმინდა ხელოვნების მსახურია.

ცხადია, ეს პრინციპი ხშირად ირღვევა და რევოლუციური ან მღვრიე ცხოვრება იჭრება სასახლეში და გონებას აფორიაქებს.

ამიტომ მოდერნისტი სტიქიურად არ თხზავს, მას უნდა ცოდნის მინიმუმი, იცოდეს თავისი ხელობა, ფლობდეს წერის ტექნიკას, აზროვნების კულტურას, ერკვეოდეს ესთეტიკური გრძნობების ნიუანსებში. აქ დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა აკადემიურ, საუნივერსიტეტო განათლებას. მაგ., გრიგოლ რობაქიძე სწავლობდა რამდენიმე უნივერსიტეტში, მიდრეკილი იყო ფილოსოფიური მსჯელობისაკენ, ჰქონდა დიდი ცოდნა მითოლოგიისა და ისტორიის სფეროში.

ეს ცოდნა უფრო ხელს უშლიდა, ვიდრე ეხმარებოდა. ჭარბი ინტელექტუალიზმი, სააზროვნო მოდელები ახშობდა და ახრჩობდა წმინდა ემოციებს, სულის სინაზეს.

ამიტომ წერდა ხელოვნურ ლექსებს, საკმაოდ სქემატურ რომანებს. პოპულარული იყო სპექტაკლი „ლამარა“. მაგრამ აქ მთავარი იყო ტექსტის აჟღერება, აქტიორები, რეჟისურა, მუსიკა, რაც ზემოქმედებდა მაყურებელზე. მაგრამ თვალით წაკითხვის დროს ჭირდა ჰეროიკის აღქმა.

მარჯანიშვილმა და ახმეტელმა შექმნეს დროის შესატყვისი გმირული სპექტაკლი შესანიშნავი მსახიობების შესრულებით.

სპექტაკლი ნანახი ჰქონდათ სტალინსა და პოლიტბიუროს წევრებს.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში არ არის ბალანსირებული ცოდნა და ინტუიცია, ინტელექტი და სტიქია, რაც მოახერხა

კონსტანტინე გამსახურდიამ, თუმცა „დავით აღმაშენებელში“ ისიც ჩაძირა ცოდნამ და გამოცდილებამ.

გალაკტიონს უნივერსიტეტში არ უსწავლია, არც ევროპული ენები იცოდა, გარდა რუსულისა. ევროპაში, პარიზში იყო ერთხელ, როცა უკვე დაწერილი ჰქონდა ძირითადი შედევრები. მისთვის მთავარი იყო ემოციური სიგნალები, სახელები, განმასხვავებელი ნიუანსები, რომელთაც ახვევდა ემოციის ბადეში და არ ჰქონდა მნიშვნელობა ამომწურავ ან სწორ ინფორმაციებს.

მაგ., „ლურჯა ცხენების“ რიტმიკას ქმნის ჯვარედინი და შიდა რითმების განლაგება, რაც პოეტმა ისესხა ბალმონტისაგან, ბალმონტმა კი აიღო ედგარ პოს „ყორანიდან“.

ტალანტი, სტიქიური სწრაფვა, სიტყვის ჟღერადობა, ლექსის ტექნიკური ფორმა, კულტურული ფონი აწერინებდა უფაქიზეს იმპრესიონისტულ და სიმბოლისტურ ლექსებს. მაგრამ ნერვიული თრთოლვა და სიტყვის მელოდიკა არ ყოფნიდა ეპიკისათვის, რომელსაც სჭირდება სიუჟეტები და ხასიათები.

არცერთმა პოეტმა არ იცოდა გერმანული, ინგლისური ან ფრანგული, მხოლოდ პაოლო იაშვილს ესმოდა ბოდლერის ენა. სამაგიეროდ კარგად ფლობდნენ რუსულ ენას და პირველი ლექსებიც რუსულად დაწერეს.

რუსებს კი თარგმნილი ჰქონდათ მთელი ევრო-ამერიკული ლიტერატურა. მთარგმნელები იყვნენ უპირველესი პოეტები, ზოგი იყო დიდი ერუდიტიც, მაგ., ვიაჩესლავ ივანოვი.

რუსი პოეტები გაცილებით ერუდირებული იყვნენ, ვიდრე ქართველი კოლეგები. კარგად იცოდნენ ევროპული ენები, იცნობდნენ დასავლეთს. ცხოვრობდნენ იქ, გამოსული იყვნენ არისტოკრატიული ოჯახებიდან (მაგ., ბელი, ბლოკი, პასტერნაკი, ცვეტაევა, ვლ. სოლოვიოვი).

გალაკტიონმა სიტყვის მელოდიკით შეძლო ბალანსირება ცოდნასა და ინტუიციას შორის, საგნის ემოციური წარმოდგენა.

ისტორიზმით დატვირთულია ტიციან ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილისა და ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი, რაც მხოლოდ ზიანის მომტანია.

ეს არც პროზაშია სასიკეთო. მაგ., ისტორიული ექსკურსები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში. მაგრამ გაცილებით ვნებს ლექსის ფაქიზ სტრუქტურას, რომელიც ვერ უძლებს ინტელექტის დაწოლას.

ლიტერატორთა ლიტერატურა ისევე გაუგებარია მასისათვის, როგორც ფორმის კულტი, რითმის ან მეტაფორის ხელოვნება.

ვაჟა-ფშაველას ტაილორის მთავარი წიგნი არც წაეკითხა, მაგრამ ინტუიციურად მიაგნო მსგავს სამყაროს ფშავ-ხევსურებს, ქისტებსა და ჩერქეზებს შორის.

ღრმად რომ გასცნობოდა პირველყოფილ საზოგადოებას, შეიძლება დაეკარგა ემოციები და გაეტაცნა აზრის მდინარებას, ზღვა მასალას.

ამიტომ ხელოვანს სჭირდება დილეტანტიზმი, როცა გადაურბენს საგნებს, არ იჭრება მათ არსში და მხოლოდ ემოციურ სულს ამეტყველებს, წარმოსახვიდან გამოჰყავს სამყარო.

პარნასული კლასიციზმის, იმპრესიონიზმის, სიმბოლიზმის, ექსპრესიონიზმის, ფრ. ნიცშეს, ო. შპენგლერის, ზ. ფროიდის, პოეტებისა და პროზაიკოსების იდეები, სახეები და სახელები დამკვიდრდა ლიტერატურაში, ზოგისთვის შეიძლება გაცნობის გარეშეც, როგორც ეზოტიკა, სიგნალი და სიმბოლო, რომელთაც არა მხოლოდ აზრობრივად, არამედ – მელოდიკითაც მოჰქონდათ ინფორმაცია.

ზედაპირული ცოდნა, ზოგადი კავშირების დამყარება ხელოვანს ჰყოფნის. მაგრამ უნდა ჰქონდეს განვითარებული აღქმა, აზ-

როვნების ტექნიკა და კულტურა, ინტუიციური ჰარმონიის გრძნობა.

მაგ., ტერენტი გრანელი საგნებს აღიქვამს როგორც სიტყვიერ სიგნალებს. კარგად არც ნიცშეს იცნობდა, არც ბლოკს, არც მისტიკას, არც თეოლოგიას.

ვინც ამათ იცნობდა, ვთქვათ, რომელიმე ლიტერატორი ან თეოლოგი, ლექსს ვერ წერდა. მაგ., ქართული ლექსის თეორეტიკოსსა და ისტორიკოსს აკაკი გაწერელიას უთქვამს, ლექსი არასდროს დამიწერიაო.

გალაკტიონ ტაბიძე მხოლოდ ინტუიციის დონეზე იცნობდა ლექსის თეორიას. მაგ., რა შემატა გიორგი ლეონიძის პოეზიას ძველი ხელნაწერებისა და ტექსტების მეცნიერულმა შესწავლამ!..

კონტაქტები

„ცისფერყანწელები“ აცხადებდნენ, ჩვენ ესთეტიკის ხალხი ვართ, პოლიტიკაში არ ვერევითო. მაგრამ როცა თურქი ასკერები შემოიჭრნენ ბათუმში, თუ ჩვენი არ იქნა აჭარა, ბათუმთან დავტოვებთ ჩვენს ძვლებსო, – წერდა პაოლო იაშვილი. ხოლო ტიციანი წუთით გაგარიბალდდა, როცა მოდგა საბედისწერო ჟამი. კონსტანტინე გამსახურდია ბათუმში ჩავიდა და საომრად მზად იყო.

ტიციან ტაბიძე აქებდა ომის სულისკვეთებას, რომ იგი სულაც არ არის მხოლოდ ბოროტება და მემატიანეც ხანჯლით წერდა სტრიქონებსო.

მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ უფროსი თაობის თანაკალმელებთან – ნიკო ლორთქიფანიძესთან, დავით კლდიაშვილთან, სომეხ ოვანეს თუმანიანთან, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელ კონსტანტინ ბალმონტთან, რომელსაც რამდენიმეჯერ შეხვდნენ ქუთაისში.

ასევე მეგობრობდნენ ანდრეი ბელისთან, ვლადიმერ მაიაკოვსკისთან, ბორის პასტერნაკთან, ბოლშევიკური პარტიის ლიდერებთან, რომლებიც ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდნენ.

სტალინს არ იცნობდნენ. მათი მეგობრები იყვნენ ძმები ოკუჯავები. მხარს უჭერდნენ სერგო ორჯონიკიძეს და ვერ შეეგუენ ლავრენტი ბერიას.

გრ. რობაქიძეს აფასებდნენ კომუნისტები. რომ შემოვიდნენ, დახმარება დაუნიშნეს, ხელოვნების საქმეთა კომიტეტი ჩააბარეს. შემდეგ იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

„ლამარას“ ოვაციით ხვდებოდა ქართველი და რუსი მაყურებელი. მოსწონდათ სტალინსა და ორჯონიკიძეს.

გრ. რობაქიძეც ვერ იტანდა ბერიას და ამიტომ დარჩა გერმანიაში, რამაც მოამზადა მისი მეგობრების ტრაგედია.

იგი ღებულობდა მონაწილეობას იუბილეებში (მაგ., ლევ ტოლსტოისა), ხვდებოდა რუს და სომეხ კოლეგებს, გერმანელ მწერლებს (მაგ., სტ. ცვაიგი) და მეცნიერებს (მაგ., რ. მეკელაინი), შემდეგ – ნაციონალ-სოციალისტებს, წერდა ესსეისტურ წერილებსა და ნარკვევებს ჟორდანიაზე, ლენინზე, მუსოლინზე, ჰიტლერზე.

აკრიტიკებდა ხაკისფერ კაცს – სტალინს.

სსრკ-ში დარჩენილი ცისფერყანწელები ბოლშევიკების გვერდით დადგნენ, მონაწილეობდნენ სტალინიანის შექმნაში, განადიდებდნენ ქვეყნის გარდაქმნას (მაგ., ტიციან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე), გულწრფელად მეგობრობდნენ რუს მწერლებთან, ეგონათ, რომ მართლაც ერთი ჰქონდათ სამშობლოს თაღი.

ასეთ პათოსს არ იზიარებდა კონსტანტინე გამსახურდია, რამაც იგი სოლოვკის არქიპელაგამდე მიიყვანა.

ტრაგიკულად დაასრულეს სიცოცხლე ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, ნიკოლო მიწიშვილმა, ალი არსენიშვილმა...

2. აზროვნების ტრანსფორმაცია

ახალი ლექსი

აკაკის ლექსი იყო სტიქიური რეფორმის შედეგი – პოეტმა სწორედ განსაზღვრა, რომ არქაიზებული მეტყველება და ხელოვნური სალექსო ფორმები არც ლიტერატურას სჭირდებოდა, არც მკითხველს.

იგი დაეყრდნო ხალხურ ლექსს, ხალხის მეტყველებას.

მაგრამ გალაკტიონისა და „ცისფერყანწელთა“ ლექსი შემოქმედებითი ნიჭით არის შექმნილი. რეფორმა იყო ის, რომ მიმართეს ევროპულ გამოცდილებას, პარნასულ ნეოკლასიციზმს, იმპრესიონიზმსა და სიმბოლიზმს.

ეს იყო ესთეტიკის ნაწილი.

პოეტიკის თვალსაზრისით – მიაკვლიეს ახალ რითმებს, რიტმებსა და სახეებს, მიაღწიეს მეტრულ პოლიფონიას, რათა სიტყვათწყობის მელოდიკით გამოეწვიათ ემოციები.

გალაკტიონ ტაბიძემ ქართველ პოეტთაგან დაწერა ყველაზე მეტი შედევრი, გამოავლინა ყველაზე მეტი საზომი, მეტაფორული აზროვნება, მელოდიკური ნიუანსირება, რითმა და სახეები (მაგ. „თოვლი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, ეფემერების ციკლი, „დომინო“, „ატმის რტოო“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, „შემოდგომა უმანკო ჩასახების“ „მამათა სავანეში“...).

ამ მხრივ გალაკტიონი ყველაზე ახლოს დგას რუსთაველთან. ეს იმიტომ, რომ რუსთაველი მაქსიმალურად ავლენდა მშობლიური ენის ექსპრესიას, მხატვრულ აზროვნებას, ესთეტიზმს. მასთან აღმოჩნდებოდა ის, ვისაც ექნებოდა სიტყვითქმნადობის დიდი ნიჭი.

ამიტომ რუსთაველთან მიახლება გონებით კი არა, სტიქიურადაც იყო განსაზღვრული. ხოლო გ. ლეონიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ი. გრიშაშვილი, ტ. გრანელი, ალ. აბაშელი თუ კ. ჭიჭინაძე, ვ. გაფრინდაშვილი თუ კ. ნადირაძე ამავე სივრცეში მოქმედებდნენ.

რუსთაველის სიტყვის ესთეტიკა და პოეტიკური სისტემა იყო აზროვნებისა და აღქმის ბუნებრივი საფუძველი, როგორც ენობრივი, თავისთავადი მოცემულობა.

ესთეტიზმი და არტისტიზმი ჰქონდა ბესიკ გაბაშვილს, რომლის ბაღში რგავდნენ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს.

მოდერნისტებმა გაავრცელეს სონეტი და ტრიოლეტი. მაგრამ შეინარჩუნეს რუსთაველური სტროფი, არ მიიღეს არც ტერცინა, არც მუხამბაზური ხუთტაეპედი, დაამკვიდრეს ჯვარედინი და რკალური გარითმვის პრინციპი, რაც უცხო იყო აკაკისა და ვაჟასათვის.

რიტმული მრავალფეროვნება კი მეტრულ და რითმულ მრავალფეროვნებას მოითხოვდა, როცა ბგერების ჟღერადობა იწვევდა სურათებს.

ლექსებს, გარდა ბალადებისა, ჰქონდა ასოციაციური სიუჟეტი, სადაც სიტყვათა თამაში გადადიოდა მოულოდნელ აზრობრივ დაძაბულობაში. ხოლო საგნის ტროპული სახეცვლა ფანტაზიიდან ამოზიდავდა უცნობ სამყაროს, რომელიც ჰგავდა გაზაფხულის მწვანე მთებს თუ დაღლილ შემოდგომას.

მითისქმნადობა

გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინეს გამსახურდია რუსეთისა და გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლობდნენ, კარგად იცნობდნენ ევროპული კულტურის ტენდენციებს, თაყვანს სცემდნენ გო-

ეთესა და ნიცშეს. მაგრამ ერთმანეთს ვერ იტანდნენ და მხოლოდ სიბერეში შეეცვალათ აზრი.

მათი ესთეტიკური პოზიცია, ლიტერატურული თვალსაზრისი, მიმდინარეობათა და სახელების პროპაგანდა (მაგ., ექსპრესიონიზმი, მისტიკა, გეორგე, შპენგლერი, რილკე, ჰამსუნი) ზემოქმედებდა პროცესზე.

რაც აიღეს ნიცშეს სამყაროდან, ეს იყო ზეკაცის კულტი, მითისქმნადობა, დიონისე და ელადა, წარმართობა – ქრისტიანობის დიქოტომია, წარმართული ესთეტიზმი, ექსტატიური, მღელვარე სტილი.

მითისქმნადობის პრინციპს აყენებდნენ გრ. რობაქიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. გამსახურდია, სადაც ღმერთების ადგილს დაიკავებდნენ ისტორიული გმირები ან ლიტერატურის პერსონაჟები.

მითებს ეძლეოდა ნაირგვარი სახე – ეს იყო ქალდეას (შუმერის) ქალაქებისა და ორპირის მალდოროროსა (ტ. ტაბიძე), ელენე დარიანისა (პ. იაშვილი), წმ. ნინოსი (გრ. რობაქიძე), ჰამლეტისა და ოფელიასი, მაჩაბლისა და სარკისა (ვ. გაფრინდაშვილი), ეფემერებისა და მისტიკურ-რეალური ლურჯა ცხენებისა (გ. ტაბიძე), დიონისოსა და ზეკაცისა (გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია), ვირებისა (რ. გვეტაძე), სანავარდოს დაცემისა (დ. შენგელაია), აპოკალიპსის მწვანე ცხენისა (კ. გამსახურდია, ტ. ტაბიძე), ისტორიული გმირების ცხოვრებისა (ვ. ბარნოვი)...

პოეზია ივსებოდა ახლობელთა, მწერლობის პერსონაჟთა, ისტორიულ გმირთა ლანდებით პოეტები ერთმანეთს განადიდებდნენ, უძღვნიდნენ ლექსებს, რათა საერთო, ნათესაურ რომანტიკას განემსჭვალა მათი გულები.

მწერალს მითისმთხველს უწოდებდა კ. გამსახურდია, ხოლო უმითო დროს – ტრაგედიას. ახალი მითოსის შემადგენელი ნაწი-

ლები იყო სახელების მაგია, ბოჰემა და თრობა, სიკვდილისა და სიმახინჯის, გმირობისა და სიყვარულის ესთეტიკა.

კ. გამსახურდიას აზრით, ახალი მითოსი დაემყარებოდა ისტორიას, რომსა და ელადას, ანტიკურ ესთეტიზმს, ქრისტიანულ და წარმართულ მოტივებს, მისტიკას („ახალი ევროპა“).

ქრისტიანობიდან პოეზიამ გაიხსენა მარიამ ღვთისმშობელი, წმ. გიორგი და წმ. ნინო. მარიამის სადიდებელია გალაკტიონის „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“.

ქრისტეს თემა, ცხადია, უფრო ვრცელ ადგილს იკავებს (მაგ., „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“, გალაკტიონის პოეზიაში), რასაც ერთვის ან უპირისპირდება წარმართული სახეები.

ქრისტეს ტოლფარდად არის განდიდებული ქრისტეს მხედარი წმ. გიორგი. წარმართობას მოაქვს „ბარბაროსული სისხლის შრიალი“ (გ. ლეონიძე), გველისა და სისხლის კულტი (გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია), ღმერთის სიკვდილის ნიცშეანური მითოლოგემა.

მარტოობის ესთეტიკა

ნიკოლოზ ბარათაშვილი, „მსოფლიო სევდის“ გმირი ფიქრთ გასართველად მტკვრის პირას მიდიოდა. ბინდისას მთაწმინდის ბილიკს აუყვებოდა და განსჯას ეძლეოდა.

გალაკტიონიც მარტოობას არჩევდა, ხალხისაგან განდგომას, სადაც სიცილ-ხარხარი და მდაბიო სული ტრიალებდა:

„წავალ და სადმე შორს დავსახლდები
ამ საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები

და უფრო ნაკლებ ადამიანი“.

ამ გზაზე იგი მიჰყავდა ეფემერებს ადევნებულ აპოკალიპსურ ლურჯა ცხენებს.

რეალისტებიც გრძნობდნენ, რომ ისინი საზოგადოებამ გარიყა, ცხოვრებამ მოიძულა.

მოდერნისტები ნეორომანტიკოსები იყვნენ და მათ ფსიქიკაში განახლდა მტანჯველი სევდა და ნაღველი, მითუმეტეს, რომ ბოლშევიკურმა ჟამმა ისინი გაინაპირა და სასიკვდილოდ გასწირა.

მარტოობის შეგრძნება იწვევს დეპრესიას, დეპრესიის მოძალება – თვითმკვლელობას ან ამბოხსა და შურისძიებას.

აი, როგორ ამბობს ილიას გაბრიელი: „იმ გაბოროტებულს გულზე ცა და ქვეყანა რომ ხელში მჭეროდა, ყველსავით გავწურავდი და კბილით გავგლეჯდი“ („გლახის ნაამბობი“).

მარტოობის გმირები არიან კონსტანტინე სავარსამიძე (კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“), ბონდო ჭილაძე (დ. შენგელაიას „სანავარდო“), თეიმურაზ ხევისთავი (მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“), თარაშ ემხვარი (კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“).

ავტორები ეძებენ მათ უშორეს ისტორიულ ძირებს. ისინი არისტოკრატიული გვარის შვილები არიან, უკანასკნელი რაკეტები, რომელთაც შვილი არ ეყოლებათ.

ამასთან ერთად არც და, არც ძმა არა ჰყავთ.

მათი ცნობიერება, განათლება, არისტოკრატიზმი არ სჭირდება ახალ დროს.

ძველი ესთეტიზმი შეცვალა ან მას დაერთო სამშობლოზე გლოვა. გუშინდელი „შემოდგომის აზნაურები“, გუშინწინდელი „ყარსის გმირები“ დღეს „ნაკაცარებად“ ქცეულან. მათი ფაქიზი ნერვები ვერ უძლებენ ბარბაროსულ ძალასთან შეჯახებას, რომლის ჰიპერბოლაა ოსი ჯაყო.

მარტოობა, უშვილობა, დედისერთობა, ფსიქიკური გადახრა ამ პერსონაჟების საერთო თვისებაა, რაც ავტორთა პესიმისტურ და უიმედო განწყობილებას გამოხატავს.

მათი ანტითეზა არის არჩიბალდ მეკეში (გრ. რობაქიძის „გველის პერანგი“), რომელიც გააგრძელებს მაყაშვილთა გვარის ბნელ ისტორიას.

მოდერნიზმის თანამდევი იყო არა მხოლოდ მარტოობა, არამედ – სევდა, ნაღველი, დეპრესია, უიმედობა და სასოწარკვეთა, რაც მთავრდება „თვითმკვლელობის იავნანურით“.

ასე განცდებს იწვევდა არა მხოლოდ პოლიტიკური სიტუაცია, არამედ პიროვნების ფსიქიკიდან წამოსული „მსოფლიო სევდა“, რომელიც არაცნობიერად იმორჩილებდა ინდივიდს.

მაგრამ მოდერნიზმი ახდენდა მის სტილიზებას, არტისტულ გარდასახვას, ზოგი სევდის ნიღბით თამაშობდა, როგორც მსახიობი სცენაზე.

გალაკტიონისა და ტიციანისათვის ეს იყო გენეტიკურად გადმოცემული არქაული შიში, ჩამოყალიბებული საუკუნეთა განმავლობაში, რაც დროისა და კულტურის კვალობაზე იცვლიდა ნიღბებს.

ისინი წერდნენ სევდასა და სიკვდილზე, თვითმკვლელობაზე.

მას ახლდა ლოთობა, ბოჰემა, თრობა ღვინით და სიტყვით, როგორც გაქცევა უდარდელი, ხმაურიანი და დაუნდობელი საწუთროსაგან.

ტიციანი სევდას აქცევდა ჰეროიკულ თავგანწირვად, კონსტანტინე გამსახურდია – ანტიკური ტრაგედიის დასასრულად, როცა გმირი ეწირება თავის იდეას, გალაკტიონი – გულისმომკვლელ ლირიზმად, რაც ახლავს სულიერ ტანჯვას, სიკვდილის მოლოდინს.

კ. ნადირაძემ თავის პირველ წიგნს დაარქვა „ბალდახინი“, ი. გრიშაშვილმა სიკვდილს უწოდა „ტრფობის ერთადერთი გამომსახველი“, ვ. გაფრინდაშვილი მას ხედავდა სარკის უფსკრულში, ნ. მიწიშვილი ქვეყნიერებას ესროლა „თავის ქალას“, შ. კარმელი კბენდა „ჰაერში მოთარეშე ჭლექის ბაცილებს“. მაგრამ სიკვდილის ასეთი აპოლოგია უფრო იყო არტისტული ჟესტი, ვიდრე ღრმა ფსიქიკური განცდა.

სიკვდილთან და თვითმკვლელობასთან ერთად მოდერნისტებმა წამოსწიეს სიმახინჯის კულტი, დაცემის მოტივები, როგორც რეალური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი.

მათთვის ქალაქი „ციკლოპია“, „სოდომი და გომორი“, „ცოდვებით მთვრალი“, ხოლო პარიზი – „უსამშობლოთა სამშობლო“, როგორც კულტურის ცენტრი და ხელოვნების მექა.

ქართველი მოდერნისტების რწმენითაც ხელოვნება არის მშვენიერება, ცხოვრება – არარაობა და სიმახინჯე, ზეცა და წარმოსახვა – ყველაფერი.

ისინიც იზიარებენ მისტიკური ცისფერი ყვავილის, ლურჯი ფრინველის ემბლემას, რომლის ვარიაცია ცისფერი ყანწებია.

გალაკტიონისათვის დეპრესიის დამძლევი, მტანჯველი რეალობიდან გამქცევი ძალა ლურჯა ცხენებია – სწრაფვის სიმბოლო. მაგრამ მისი გზა სულეთისაკენ მიემართება, რაც ასტრალური სამყაროა, ვარსკვლავიანი ზეცა.

ტ. ტაბიძისა და კ. გამსახურდისათვის გმირული სიკვდილი, ტ. გრანელისათვის – სასაფლაო და ღამე, დ. შენგელიასათვის – შიზოფრენიული უკუქცევა არის გამოსავალი დრამატული განცდებისა და სიტუაციიდან.

სევდა და დეპრესია ქართველს ექცა მუდმივ მდგომარეობად.

სიყვარულის რომანტიკა

მისტიკური ვარდის მსგავსად მოდერნისტების სატრფო ლურჯთვალაა, ქერა თმები მოსავს და სახე თოვლისფრად უელავს (მაგ., გალაკტიონის „მერი“, „თოვლი“).

ეს ევროპელი ქალია, რომელიც განსხვავდება რუსთაველისა და ბესიკის შავთვალა და შავგვრემანი ასულებისაგან.

ჩვენ ვიცით მათი სილამაზე, პორტრეტი, მზისებრ ნათება. მაგრამ არ ვიცით თუ როგორია გალაკტიონის მერი, კ. ნადირაძის თამარი, ტ. ტაბიძის თამუნია, ტ. გრანელის ირა, გ. ლეონიძის თეთრი თოლია.

წამოწეულია სულიერი პორტრეტი ხორციელის სანაცვლოდ. მკითხველს უნდა აინტერესებდეს დამოკიდებულება, ემოციური მიმართება, რათა თავად წარმოიდგინოს თუ როგორი ყოფილა ეს დაქალებული ვეფხვი თუ მადონა აფთარი.

კ. გამსახურდია პროზაიკოსია და, ბუნებრივია, გადმოგვცემს გარეგნულ ნიშნებს. მაგრამ ყველგან ლურჯი თვალებისა და ქერა თმების აქცენტირებით (შდრ – „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ ჰგავხარ ზღვას“).

როგორც ადრე ვწერდით, ცისფერთვალაა გალაკტიონის მერი, კონსტანტინეს თამარ შარვაშიძე, შორენა კოლონკელიძე, ჯენეტი, დედისიმედი, სუსქია, გრიგოლ რობაქიძის ლონდა და ლამარა, ტერენტი გრანელის ირა რადოვსკაია, სანდრო ცირეკიძის ლაჲა, იოსებ გრიშაშვილის ზოგი სატრფო, რომელმაც სიმბოლიზმის გავლენით შეცვალა აღმოსავლური ეროტიკა.

მოდერნისტებმა ქალის ხოტბასა და სატრფიალო მოტივებს დაურთეს თავად სასიყვარულო ძალის – სექსუალური ენერგიის გააზრება და ფსიქიკასთან მიმართებით ჩვენება.

ფსიქოანალიზის იდეები გამოვლინდა დ. შენგელაიას, კ. გამსახურდიას, ნ. ლორთქიფანიძის, მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში, პერსონაჟთა ბუნებასა და ხასიათებში.

დ. შენგელაიამ „სანავარდოში“ ტრადიციული სიყვარულის თემის სანაცვლოდ წამოსწია სექსუალური პოტენციის პრობლემა, რაც დაუკავშირა ეპოქის ფერისცვალებას, დეგრადაციასა და რელიგიას, ფსიქიკას.

ასევე მოიქცა მ. ჯავახიშვილი (მაგ., „ჯაყოს ხიზნები“).

უნაყოფობის თემა ახლავს კ. გამსახურდიას რომანებსა და ნოველებს.

ზ. ფროიდის მიხედვით მამა-შვილის კონფლიქტის არაცნობიერი საფუძველია დედისადმი მიმართება, რაც კ. გამსახურდიამ ფსიქოლოგიურ და სოციალურ პლანში გაშალა („დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“), როგორც ტრაგედიის გამომწვევი რეალობაში.

შეიძლება ფრ. ნიცშეს ქალთმოძულეობის მოტივი ამოძრავებდათ მწერლებს, როცა ხატავდნენ თავისუფალი ყოფაქცევის, სოციალური რეფორმებით თავაშვებულ თანამედროვე ამორძალებსა და მეძავეებს, ჰეტერული სიყვარულის მომხრეებს.

მათგან განსხვავებულია დაკარგული, ოცნებით შობილი, ერთგული და ტანჯული ქალები, რომელთაგან ერთი-ორი თუ იქნება ბედნიერი, როგორც გრიგოლ რობაქიძის მატასი („გველის პერანგი“).

რასა და ნაციონალიზმი

მოდერნიზმი წმინდა ხელოვნების სახელით მოქმედებდა. იგი, ისევე როგორც ქრისტიანული რელიგია პირველ საუკუნეებში, კოსმოპოლიტური უნდა ყოფილიყო.

ასეთივე იყო სოციალისტური პარტიების, კერძოდ – მარქსიზმის, სოციალ-დემოკრატების იდეოლოგია და პოზიციაც.

ნაციონალიზმი კონფლიქტებს, გათიშვას, ომებს წარმოშობდა, ისევე როგორც რელიგიები.

ყველას თვალწინ ედგა მსოფლიო ომის კოშმარი, ნგრევა, „სისხლი და ცხედრები“, უამრავი მსხვერპლი (შდრ – ამ ოთხწლიან ომში ცხენიც კი დახოცილა რვა მილიონი).

მოდერნისტები ერთმანეთთან მეგობრობდნენ, ერთმანეთს თარგმნიდნენ, მხარს უჭერდნენ. მაგრამ რასა, ერი, ტერიტორია, სამშობლოს ბედი მაინც დაუვიწყარი იყო.

განსაკუთრებით მაშინ, როცა პატარა იყო ქვეყანა და იჩაგრებოდა. საქართველოც იყო დიდი ერის აგრესიის მსხვერპლი.

ქართველმა მწერლებმა ერის ბედი სიტყვაში გადაიტანეს.

მეტი მათ არაფერი შეეძლოთ.

ისინი ადრევე ყურადღებას აქცევდნენ რასის პრობლემას, უარყოფითად მიიჩნევდნენ „რასიულ აღრევას“, ბასტარდულ ტიპებს, შერეულ ქორწინებას, აგროვებდნენ „რასსის ნატეხებს“, რასობრივი სიამაყის მაგალითებს (გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია).

მაშინ დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ჩვენი წინაპრების სამშობლო მესოპოტამიაში იყო. ამიტომ ელანდებოდათ მათი ოდისეა ფაზისისა და მტკვრისაკენ, კავკასისკენ გავარდნილი თეთრი ცხენი.

ნიკო მარი იაფეტურ ანუ ქართველურ სამყაროს აცხადებდა მესამე ეთნიკურ ელემენტად, საიდანაც იღებენ სათავეს სემიტები და ინდოევროპელები.

აწმყოთი დამცრობილი და ბოლშევიზმით დათრგუნული ქვეყნის ოცნება ფრთებს შლიდა ისტორიასა და პრეისტორიაში, რასაც მოიწონებს სტალინი.

პოეტები, პროზაიკოსები, მათი პერსონაჟები ეძებენ უძველეს ძირებს და პოულობენ კიდეც, თხზავენ ძველი გმირობის მითებს, როგორიც ირუბაქიძეები, სავარსამიძეები, ჭილაძეები, ბარამანდიები, ემხვარები.

ამიტომ არიან პერსონაჟები მეფეები და ფეოდალები, ბაგრატიონები და ერისთავები.

ქართველი მწერლები ისტორიას არ აღიქვამდნენ როგორც გარდასულ და ნაცრადქცეულ პროცესს. ეს მარცხიც და ძლევაც თითქმოს გუშინ მოხდა, ჩვენს თვალწინ. უძველესი წარსული მათგან მოწყვეტა, გადაგვარება და დაღუპვაა.

ქვეყანას ემტერება ცივილიზაცია, რომელიც მოაქვს დიდ ერს. მხოლოდ პატრიარქალური სვანეთი და ხევსურეთი თუ შეინახავს არქაულ და მშობლიურ ტრადიციებს (გრ. რობაქიძე, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია), როგორც ადრე ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას კავკასია.

ბოლშევიკური განაჩენი

ქართული მოდერნიზმი 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან, კერძოდ – 1928 წლიდან უკვე აღარ არსებობს. მხოლოდ ცალკეული ტენდენციები, ფორმები და სიგნალები შეინარჩუნეს და დროდადრო ავლენდნენ კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე, გ. ტაბიძე.

მაგრამ ევროპაშიც კარგა ხნის წინათ დასრულდა ეს დიდი კულტურული მოძრაობა. იგი შეცვალა ავანგარდისტულმა, ანტირომანტიკულმა, ტექნიკისკენ მიდრეკილმა სკოლებმა.

კუბიზმი, ფუტურიზმი, დადაიზმი, „ცნობიერების ნაკადი“, კონსტრუქტივიზმი, სიურრეალიზმი ცვლიდნენ მოდერნისტულ რომანტიკას, სსრკ-ში – სოციალისტური რეალიზმი და მარქსისტული იდეოლოგია.

მოდერნისტულ რკალში არის მოქცეული გალაკტიონის ლირიკა 1912-1927 წლებში, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, გ. ლეონიძის, ტ. გრანელის, კ. ნადირაძის ლექსები 30-იან წლებამდე, კ. გამსახურდიას „ფოტოგრაფი“, „ზარები გრიგალში“, „ტაბუ“, „დიონისოს ღიმილი“, „ხოგაიას მინდია“, „მთვარის მოტაცება“, გრ. რობაქიძის „ლონდა“, „ლამარა“, „გველის პერანგი“, დ. შენგელაიას „სანავარდო“, „გურამ ბარამანდია“, „ტფილისი“, ნ. ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“, ბ. მელიქიშვილის „მკერდშებოლილი მერცხალი“.

1921 წლიდან მოდერნიზმის წინააღმდეგ ორი მდინარება გაჩნდა – ავანგარდისტული „H_2SO_4“-ისა და პროლეტკულტელების სახით.

ორივე მათგანი გამოხატავდა ხელისუფლების პოზიციას და თავს მიიჩნევდა ბოლშევიკური იდეოლოგიის პარალელად კულტურაში (იხ. „სოციალისტური კულტურა“).

VI. დემოკრატიული საქართველო: კულტურის ოაზისი

1. თეთრცხენოსანი რესპუბლიკა

დემოკრატიული საქართველოს დროშა იყო სამფეროვანი, შინდისფერ ფონზე გერბი – წმ. გიორგი შვიდი ვარსკვლავით, ჰიმნი – „დიდება“ (მუსიკა და ტექსტი კოტე ფოცხვერაშვილისა).

იარსება 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 17 მარტამდე.

შემდეგ ემიგრაციაში განაგრძო მუშაობა დევნილმა ხელისუფლებამ.

გზა ევროპისკენ

რომანოვებმა 1917 წელს აღნიშნეს თავიანთი დინასტიის 300-წლოვანი იუბილე, რაც გედის სიმღერა აღმოჩნდა.

მალე დაიწყო მსოფლიო ომი – რუსეთი დასავლეთის ფრონტზე ებრძოდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარებს, სამხრეთით – თურქეთს.

200.000 ქართველი მეომარი აღდგა იმპერიის დასაცავად.

ხანმოკლე დაბნეულობისა და კრიზისის შემდეგ სარიყამიშთან ენვერ ფაშას არმიები გაანადგურეს.

გადამწყვეტი ბრძოლა მოიგო გენერალმა ალექსანდრე გაბაშვილმა.

1916 წლის 2 აპრილს ტრაპიზონი დაეცა.

რუსებმა და ქართველებმა დაიკავეს ეს უძველესი ბერძნულ–ლაზური ქალაქი, სადაც იყო დაკრძალული უკანასკნელი მეფე–ბაგრატიონი.

ომის მეოთხე წელს რუსი ხალხი გამოვიდა საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ: ეკონომიკური დაცემის პირობებში ცხოვრება შეუძლებელი გახდა – რუსეთმა დაკარგა თავისი სიმდიდრის 60%, რაც არ მოსვლია არცერთ მეომარ ქვეყანას.

ჯარში დაიწყო დეზერტირობა.

ბოლშევიკები ისევ მოითხოვდნენ ხიშტების შებრუნებას, რათა ომი ექციათ სამოქალაქო ომად და დაემხოთ მჩაგვრელები.

პეტროგრადი წალეკა მანიფესტაციებმა და მიტინგებმა.

ნიკოლოზ მეორე გადადგა.

გავა წელიწადნახევარი და ბოლშევიკები ურალში ამოწყვეტენ იმპერატორის ოჯახს – დახვრიტეს ნიკოლოზ II, დედოფალი მარია და მათი ხუთივე შვილი. ბელადმა შური იძია ძმის გამო.

1917 წლის მარტიდან ქვეყნას მართავდა დროებითი მთავრობა (თავმჯდომარე ჯერ გ. ლვოვი, შემდეგ – ალ. კერენსკი რომლის მამა მეგობრობდა ლენინის მამასთან და მფარველობდა დაობლებულ ულიანოვებს).

ქართველი ხალხი დიდი იმედით შეხვდა თებერვლის რევოლუციას (შდრ. გალაკტიონის „დროშები ჩქარა“!...).

4 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა, იმპერატორის ბიძამ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვმა, რომელიც დაინიშნა უმაღლეს მთავარსარდლად, მიიღო ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ქალაქის თავი ა. ხატისოვი, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურეთა წინამძღოლები.

იმპერიის ბედი დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა.

რეალური ძალაუფლება ჰქონდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს – თავმჯდომარე დუმის ფრაქციის თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, აგვისტოდან – ლევ ტროცკი, რომელმაც გააგრძელა რევოლუცია და მოახდინა ოქტომბრის გადატრიალება.

კარლო ჩხეიძე სრულიად რუსეთის საბჭოების I ყრილობაზე არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ (შეესაბამება პარლამენტის თავმჯდომარეს).

მინისტრი გახდა ირაკლი წერეთელი, ჯერ ფოსტა-ტელეგრაფისა, შემდეგ – შინაგან საქმეთა.

ლენინ-ტროცკის მთავრობაში კი ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი (მინისტრი) იყო იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი).

ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ პროცესებში, ლიდერობდნენ კავკასიაში, პეტროგრადში.

სახელმწიფო სათათბიროების წევრები იყვნენ სხვადასხვა დროს ნ. ჟორდანია, ჭ. ლომთათიძე, კ. ჩხეიძე, ე. გეგეჭკორი, ი. წერეთელი, ა. ჩხენკელი, ვ. გელოვანი, ის. რამიშვილი...

117 წლის შემდეგ დადგა პოლიტიკური შურისძიების ჟამი.

ბოლშევიკებმა გარეკეს დამფუძნებელი კრება და ბრესტ–ლიტოვსკში ხელი მოაწერეს, ლენინის დაჟინებული მოთხოვნით, სამარცხვინო ზავს.

ამის გამო ტროცკიც კი გადადგა.

რუსეთმა დაკარგა იმპერიის დასავლეთი, სამხრეთით დათმო ტრაპიზონი, ბათუმი, ართვინი, არტაანი, ყარსი.

თურქები შეტევაზე გადმოვიდნენ.

შეიქმნა ჯერ ოზაკომი, შემდეგ ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატი (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი), ბოლოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი).

ბოლშევიკების მიერ გარეკილი დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დელეგატებისაგან ჩამოყალიბდა სეიმი – თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე.

რუსეთის ჯარმა დატოვა კავკასია, რომელიც 25 ოქტომბრის შემდეგ მოსწყდა პეტროგრადს.

შამქორთან ათასობით რუსი ჯარისკაცი დაიღუპა, რაც მოჰყვა მათ განიარაღებას „ველური დივიზიის“ მიერ.

კავკასიის კონფედერაცია მკვდრადშობილი აღმოჩნდა. ტფილისში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა, როგორც რუსეთის დაშლის შედეგი.

ეს მოხდა გერმანიის რჩევითა და მოთხოვნით, რათა შეეჩერებინათ თურქეთის აგრესია.

რამდენიმე თვეში გერმანია დამარცხდა, საქართველომ დაკარგა საიმედო დასაყრდენი. მაგრამ თურქეთიც დამარცხდა.

საქართველომ ანტანტას, გამარჯვებულ ინგლისს მიაპყრო მზერა.

პოლიტიკურ დომხალს ერთვოდა ეკონომიკური კრიზისი. მიწას ვეღარ ამუშავებდნენ, ფაბრიკა-ქარხნები გაჩერდა, ვაჭრობა ჩაკვდა – აღარ იყო მუშახელი.

პროდუქციის სიმცირემ ფასები გაზარდა, შიმშილმა ფრთები გაშალა.

ეკონომიკურ კატასტროფას აღიარებდა ნოე ჟორდანია, თუმცა გაცილებით საშინელ მდგომარეობაში იყო ბოლშევიკური რუსეთი, სადაც ომებსა და სიღატაკეს ერთვოდა წითელი ტერორი.

გენოციდსა და ომებს მილიონობით სომეხი შეეწირა.

ბაქოს გარშემო სოფლები საერთოდ მოისპო.

ქაოსისა და ანარქიის პირობებში, როცა რესპუბლიკა მუდმივად ებრძოდა გარე და შიდა მტრებს, მეამბოხე ბოლშევიკებს, აღდგენილ იქნა ტერიტორიული მთლიანობა.

ნოე ჟორდანიამ განაცხადა, აღმოსავლეთის ფანატიკოსებს, ე. ი. ბოლშევიკებს, დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნიაო, ჩვენი გზა ევროპისკენ მიდისო (1920, 16 იანვარი).

რომ არა ბოლშევიკები, რუსეთისაგან ჩამოცილებას არავინ აპირებდა.

როგორც კულტურა, ისე პოლიტიკაც რუსულიდან ევროპულზე გადავიდა. ჩრდილოეთი წყვდიადმა დაბურა, სადაც მძვინვარებდა სამოქალაქო ომი.

ნოე ჟორდანიას ლიდერობით ქართველმა სოციალ–დემოკრატებმა შექმნეს პირველი მარქსისტულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სახელმწიფო.

ისინი II ინტერნაციონალის ერთგული იყვნენ და იზიარებდნენ მარქსის, ბერნშტაინის, კაუცკის, პლეხანოვის შეხედულებებს.

ამიტომ ეწვივნენ საქართველოს კარლ კაუცკი და მეორე ინტერნაციონალის სხვა ლიდერები.

მათ განიხილეს კონსტიტუციის პროექტი, გამოთქვეს შენიშვნები. მაგ., მთავრობის თავმჯდომარე ერთი წლით უნდა ყოფილიყო არჩეული, როგორც ეს მოხდა იუგოსლავიაში ტიტოს შემდეგ.

მიუთითეს, რომ ასეთი დემოკრატია დაასუსტებდა სახელმწიფო სისტემას.

ევროპამ ბოლოსდაბოლოს სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ეს მოხდა მაშინ, როცა დამარცხდნენ კოლჩაკი, დენიკინი, ვრანგელი ანუ დამარცხდა ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იდეა და ქვეყნის დაშლა ფაქტი იყო.

1490 წლის შემდეგ სახელმწიფო საქართველო არ არსებობდა.

ვერ მოესწრო ერთ ლიგაში შესვლა და რუსეთი როგორც კი გამოვიდა სამოქალაქო ომის ცეცხლიდან, მოადგა კავკასიას.

სტალინს კავკასიის გაწითლება სჭირდებოდა ძალაუფლებისათვის, რათა მიერთმია იგი რუსეთისათვის, როგორც მზითევი.

ამ ფაქტზე დაფუძნდა მისი და ორჯონიკიძის მომავალი კარიერა.

1921 წლის 25 თებერვალს ტფილისში XI არმია შემოვიდა. დამშეულმა ჯარმა ეპიდემიებიც მოიყოლა.

17 მარტს რესპუბლიკის ხელისუფლებამ დატოვა ბათუმი და თავი ევროპას შეაფარა.

სამფეროვანი დროშა წითელი დროშით შეიცვალა, თეთრცხენოსანი წმ. გიორგი – კომუნიზმის მზით, ნამგალითა და უროთი.

ნაციონალიზების პროცესი

117 წლის შემდეგ ქართველებმა თავად დააკომპლექტეს თავიანთი ხელისუფლება. ადრე თუ ამას მეფე ან ვალი აკეთებდა, ამჯერად ხალხის არჩეული პარლამენტის პრეროგატივა იყო.

ხელისუფლების ბირთვი, მთავრობა და პარლამენტი შედგებოდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების, იურისტებისა, ეკონომისტებისა და ჟურნალისტებისაგან. მათ განათლება რუსეთსა და ევროპაში ჰქონდათ მიღებული.

თერგდალეული ნიკო ნიკოლაძეც კი იყო დეპუტატი.

სოციალ–დემოკრატებმა დაიწყეს მარქსისტული რეფორმები. მაგრამ არ ჩქარობდნენ და არც ბოლშევიკურ უკიდურესობაში არ გადადიოდნენ (მაგ., მიწის რეფორმა, განათლების რეფორმა).

ნაციონალიზებისა და კერძო საკუთრების განსაზოგადოებრიობის პროცესი ნელი და შეუმჩნეველი უნდა ყოფილიყო, რათა არ დაეფრთხოთ ევროპელები, რომელთა დახმარების გარეშე ქვეყანა ვერ იარსებებდა. მათ უნდა ენახათ დემოკრატიული სოციალიზმის მოდელი.

მაგ., მიქაელ არამიანცს ჩამოართვეს „მაჟესტიკი“, „პალას-ოტელი“, საავადმყოფო და დაუტოვეს ერთი სახლი, ბოლშევიკებმა ესეც წაართვეს და მთელი ოჯახი სარდაფში ჩაყარეს.

მოხდა რკინიგზის, პორტების, ტყიბულის ქვანახშირის, ჭიათურის მარგანეცის საბადოების ნაციონალიზება, ასევე – კერძო მამულების.

შემოიღეს რვასაათიანი სამუშაო დღე, ქალებისა და მოზარდებისათვის – ექვსაათიანი, მუშებს მიეცათ გაფიცვის უფლება, გაჩნდა უამრავი პროფესიული კავშირი.

რესპუბლიკას არ ჰქონდა ოქროს მარაგი, შეუძლებელი იყო ჯარის დაფინანსება. ამიტომ გენერალი კვინიტაძე გამოვიდა მოწოდებით, რომ ორდენები შეეწირათ სახელმწიფოსთვის. თავად ყველა ორდენი გადასცა „ქართული ფულის ფონდს“, დაიტოვა მხოლოდ წმ. გიორგის ორდენი.

დიდი იყო ენთუზიაზმი. ხალხი მასობრივად წირავდა ოქროსა და ვერცხლის ნივთებს. ზოგი ქალი მოითხოვდა, რომ ყველა სამკაული, გარდა ქორწინების ბეჭდისა, ფონდში შეეტანათ!

საქართველოს ჰყავდა პროფესიონალი იურისტები (მაგ., შალვა ალექსი-მესხიშვილი, ფედერალისტი, მსახიობ ლადო მესხიშვილის ვაჟი, ერთხანს იუსტიციის მინისტრი), რომელთაც განათლება რუსულ უნივერსიტეტებში მიიღეს.

ჯარს სარდლობდნენ მეფის რუსეთის არმიის გამოცდილი გენერლები (მაგ., ილია ოდიშელიძე, გიორგი კვინტაძე, გიორგი მაზნიაშვილი), რომელთაც შეძლეს როგორც ბოლშევიკური ავანტიურების აღკვეთა, ისე უცხო აგრესიის მოგერიება (მაგ., თითქმის ერევანს მიადგნენ, ბრძოლით გაიარეს გაგრა, სოჭი და ტუაფსე, ბათუმიდან განდევნეს თურქი ასკერები, დაამშვიდეს სეპარატისტი ოსები, აღკვეთეს ბოლშევიკური აჯანყებები).

პოპულარული იყო გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელიც ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1937 წელს.

სახალხო გვერდიას სარდლობდა ბოლშევიკ სიმონ ჯუღელის ძმა ვალიკო ჯუღელი, რომელიც 1924 წელს დახვრიტეს. თავად სიმონი სიკვდილის შემდეგ გამოაცხადეს მოღალატედ, ზესტაფონს წაართვეს მისი სახელი და ცხედარი მთაწმინდის პანთეონიდან ამოთხარეს.

შდრ. საქართველოს ელჩი სტამბოლში იყო სიმონ მდივანი, ხოლო ბუდუ მდივანი – რუსეთისა. ერთს ემიგრაციამ უშველა, მეორე 1937 წელს ვერ გადაურჩა. რუსოფილი სოციალ-დემოკრატები უკვე აღარ იმზირებოდნენ პეტროგრადისა და მოსკოვისაკენ. ცვლიდნენ ცარისტულ ტოპონიმებსაც: გოლოვინის პროსპექტს რუსთაველის სახელი დაერქვა, მიხეილისას – პლეხანოვისა.

პასკევიჩ-ერევანსკის მოედანს მიენიჭა თავისუფლების სახელი.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს კულტურის სფეროში, რაც, მიუხედავად ომებისა და ეკონომიური კრიზისისა, გამოიწვია დიდმა ეიფორიამ, ქვეყნის გამოხსნამ რუსეთისაგან.

ხელისუფლებამ შეძლო ევროპელთა მოზიდვა და პოლიტიკურ ქაოსში მათი ყურადღების მიქცევა.

სოციალ-დემოკრატები ინტერნაციონალისტები იყვნენ, მათ უხდებოდათ სხვადასხვა ერის შვილებთან სისტემატიური ურთიერთობა.

ამიტომ საურთიერთო ენად თავიდან იყენებდნენ რუსულს, რომელიც კარგათ იცოდნენ. ზოგს რუსი მეუღლე ჰყავდა (მაგ., ჟორდანიას).

ისინი პრაქტიკულად იცავდნენ მარქსისტულ დოგმებს, გმობდნენ ლენინის მიერ იდეოლოგიის რევიზიას, პროლეტარიატის დიქტატურას, ტერორს.

მაგრამ ქვეყნის მართვა რომ დაიწყეს, ზოგი იდეა განზე გადადეს. ნაციონალური ინტერესების გათვალისწინება აუცილებელი გახდა. კლასობრივი პრინციპის გატარება არ ამართლებდა – ასეთ ქვეყანას ბურჟუაზიული დასავლეთი არ დაეხმარებოდა.

ქართველი სოციალ-დემოკრატები გამოეყვნენ რუს სოციალ-დემოკრატებსაც, შექმნეს დამოუკიდებელი, ქართული პარტია.

1917 წლის ნოემბერში რუს ბოლშევიკებს ჰყავდათ 150.000 წევრი, ქართველ მენშევიკებს – 80.000 ანუ მოსახლეობის 4%.

ხელისუფლებამ უარყო წითელი დროშა – მიიღო ეროვნული დროშა, გერბი და ჰიმნი. შემდეგ უარყო რუსული ენაც – დამფუძნებელმა კრებამ ერთადერთ ოფიციალურ ენად ქართული გამოაცხადა.

პარლამენტში, მთავრობაში, სამსახურში, ჯარში, უცხო ენა აიკრძალა. ქართული კი მრავალეროვან რესპუბლიკაში ბევრს არ ესმოდა.

ხალხი სამსახურს ჰკარგავდა და ტოვებდა ქვეყანას.

1921 წლის 22 იანვარს სამხედრო მინისტრმა ბრძანებაც კი გამოსცა, რომელიც სასჯელს უწესებდა იმ ოფიცრებს, ვინც რუსულ ენას მიმართავდა ჯარში.

მსგავსი აკრძალვა არ ვრცელდებოდა კერძო სექტორზე და ყოფით ურთიერთობაზე.

რადგან სახელმწიფო ენა უკვე ქართული იყო, ეს კიდევ უფრო განამტკიცებდა კულტურაში მშობლიური ენის სტატუსს.

უნდა დაწყებულიყო ბრძოლა მისი სიწმინდისათვის, შეემუშავებინათ ახალი ტერმინოლოგია, ახალი საგნებისათვის მოერგოთ ქართული სახელები.

ეიფორიის დასასრული

ამჯერადაც უნდა გვიკვირდეს არა დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის ფიასკო ან შეცდომები, არამედ ის, რაც მოასწრო მტრებით გარემოცულმა ამ პატარა ქვეყანამ ორ წელიწადსა და ცხრა თვეში.

რაც შეხება თებერვლის კატასტროფას, მისი აცილება შეუძლებელი იყო. რუსები მოდიოდნენ გაგრიდან, მამისონიდან, დარიალიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და თან ამ დროს თურქეთმა გადმოლახა საზღვარი.

ტფილისთან იბრძოდა 22.000 რუსი და 10.000 ქართველი.

სტალინმა, ორჯონიკიძემ, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ბოლშევიკებმა პერმანენტული რევოლუციის სახელით ლენინი და ტროცკი დაითანხმეს, რომ ბოლშევიკური კავკასია გახდებოდა პლაცდარმი ახლო აღმოსავლეთში შემდგომი ბრძოლებისათვის.

ეჩვენებოდათ, რომ თურქეთსაც გააწითლებდნენ და სტამბოლის თავზე წითელ დროშას აღმართავდნენ.

აი, რას წერდა სტალინი:

„ქართველები მებრძოლი შოვინისტები არიან – ისინი საშინლად ავიწროებენ სხვებს: სომხებს, აზერბაჯანელებს, აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს; ქართველები არა ეროვნება, არამედ – კონგლომერატია; საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე არსებობა“.

ასეთ პოზიციას პრაქტიკული შედეგიც მოჰყვა. კავკასიის ომში დაზარალდა ყველაზე მეტად საქართველო, რომლის ტერიტორიები ერგო ყველა მეზობელს – თურქეთს, რუსეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს და თავად ქვეყანა ავტონომიებად დაიყო, რომლის ტრაგიკული შედეგი საუკუნის მიწურულს გამოჩნდა.

ნაციონალიზების პროცესი შებრუნდა – ახლა გააქტიურდნენ სომხები და რუსოფილი ქართველები, რათა ბოლშევიზმის სახელით დაესაჯათ პატრიოტები. XI არმია აქ იმიტომ კი არ შემოვიდა, იმიტომ კი არ დაიღვარა რუსი ჯარისკაცების სისხლი, რომ ჟორდანია მახარაძით შეეცვალათ და ერთი მთავრობა – მეორეთი, როგორც მაშინ აცხადებდნენ.

თუ მენშევიკებმა არ შემოუშვეს 80.000 ლტოლვილი სომეხი და მათი დიდი ნაწილი დაიღუპა, ბოლშევიკებმა გახსნეს კარები

და ღარიბ-ღატაკები ტფილისში მოიწვიეს. ამიტომ წერდა ერთი პუბლიცისტი, მარქსმა კი თქვა, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო, მაგრამ ის კი არ უთქვამს – ყველანი ტფილისში შეერთდითო!...

პერმანენტული რევოლუცია აქ შეჩერდა.

26 მაისი და 25 თებერვალი

1918-1921 წლების საქართველოს, ტრადიციისამებრ, ისევ მენშევიკურს ვუწოდებთ, რაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ითქვას.

1. მენშევიკური სახელწოდების პარტია არც საქართველოში, არც რუსეთის იმპერიაში არ არსებულა. იყო ერთი – რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც შინაგან უთანხმოებათა გამო გამოეყვნენ ლენინის თანამოაზრენი და მიმდევრები და შექმნეს რკპ (ბ). ძველი სოციალ-დემოკრატები პარტიის ლიდერად აღიარებდნენ პლეხანოვს, ოფიციალურად ისინი თავიანთ თავს არ უწოდებდნენ მენშევიკებს, განსხვავებით ბოლშევიკებისაგან.

ქართველი სოციალ–დემოკრატები ბოლომდე დარჩნენ II ინტერნაციონალის ერთგულნი, მარქსისა და ენგელსის, კაუცკისა და პლეხანოვის მიმდევარნი. ამდენად, დავაღწიოთ თავი ვულგარიზმსა და ვუწოდოთ ნ. ჟორდანიას, კ. ჩხეიძეს, ი. წერეთელს, ე. გეგეჭკორს, ა. ჩხენკელს არა მაინცდამაინც მენშევიკები, არამედ სოციალ-დემოკრატები, არა ბურჟუაზიის ლაქიები, არამედ მარქსისტები, რომელთაც მსოფლიოში პირველებმა ჩამოაყალიბეს სოციალისტური ტიპის დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს შესაბამისი კონსტიტუცია. პროექტის განხილ-

ვაში მონაწილეობდნენ II ინტერნაციონალის ლიდერებიც. მათ შორის – კ. კაუცკი. როგორც პროფ. გ. მუჩაიძე შენიშნავს, ქართველი სოციალ-დემოკრატები სწორად მოიქცნენ, როცა ნაადრევად მიიჩნიეს სოციალიზმის მშენებლობა. რუსეთში ბოლშევიკები ამ გზას მხოლოდ 1921 წელს დაადგნენ.

2. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, გამომდინარე პოლიტიკური და სამხედრო სიტუაციისაგან, მიიღო არა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, არამედ 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ (თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი ნ. ჟორდანია, მოადგილეები – სოციალ-ფედერალისტი გ. ლასხიშვილი, სოციალ-დემოკრატი პ. საყვარელიძე, ეროვნულ-დემოკრატი გრ. ვეშაპელი, მდივანი – სოციალ-დემოკრატი ი. ზურაბიშვილი). ეს მოხდა გერმანიის ხელისუფლების მოთხოვნით და მხარდაჭერით და ასე შეაჩერეს თურქების შემოტევა.

შესავალი სიტყვის შემდეგ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. ითქვა, რომ საქართველო რუსეთს შეუერთდა, რათა გარეშე მტერთაგან თავი დაეცვა. მაგრამ რევოლუციის შემდეგ, რუსეთის ჯარმა დატოვა ამიერკავკასია, რომელმაც შექმნა დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა. გარეშე მტერთა ზეგავლენით ესეც დაიშალა. ამიტომ საქართველოს ეროვნული საბჭო აცხადებდა დამოუკიდებლობას. პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკა. გამოცხადდა, აგრეთვე მუდმივი ნეიტრალიტეტი, მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწოროობა – განუჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

დამფუძნებელი კრების მოწვევამდე რესპუბლიკის მართვა–გამგეობა დაევალა ეროვნული საბჭოს და დროებით მთავრობას. მთავრობა პასუხისმგებელი იქნებოდა საბჭოს წინაშე, შემდეგ იგი-

ვე აქტი რუსულ ენაზე წაიკითხა გრ. ვეშაპელმა (მოკლეს პარიზში 1926 წელს).

ნოე ჟორდანიას წინადადებით აქტს კენჭი უყარეს და იგი ერთხმად მიიღეს. შეიქმნა დროებითი კოალიციური მთავრობა რვა მინისტრის შემადგენლობით (მათგან მხოლოდ ოთხი იყო სოციალ-დემოკრატი). თავმჯდომარედ დაინიშნა ნოე რამიშვილი (1930 წელს პარიზში მოკლა ემიგრანტმა ჭანუყვაძემ). მაგრამ მალე 21 ივნისს, მთავრობის ავტორიტეტის გაძლიერების მიზნით, იგი შეცვალა ნ. ჟორდანიამ (ნ. რამიშვილმა შეინარჩუნა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი), რომელიც 1919 წლის 14 მარტს გახდა „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელიც“, ე. ი. მიენიჭა საპრეზიდენტო უფლებანი (არჩევისას თავი შეიკავეს სოციალისტ–ფედერალისტებმა და ესერებმა).

1918 წლის 29 მაისს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო ჩხეიძე (თავი მოიკლა 1926 წელს პარიზში).

ცარიზმის დამხობამ, 1917 წლის 25 ოქტომბერმა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა (რომლის ძალითაც საქართველო ჰკარგავდა ოლთისსა და არტაანს, ართვინსა და ბათუმს), თურქეთის შემოჭრამ პოლიტიკური პარტიები მიიყვანა საერთო თვალსაზრისამდე და ფსიქოლოგიურად მოამზადა დამოუკიდებლობისათვის (დამოუკიდებლობას არ ითვალისწინებდა არცერთი პარტიის პროგრამა!).

ამდენად 26 მაისი იყო 25 ოქტომბრის პირდაპირი შედეგი, გამოხატავდა ქართველი ერის ნებას, ამასთანავე – შეესაბამებოდა რსფსრ-ის 15 ნოემბრის დეკლარაციას, ყოფილ იმპერიაში შემავალ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს.

აქვე გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები: „ერთა თვითგამორკვევის უფლება ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლობის უფლებას პოლიტიკური გაგებით“, „ერთა თვითგამორკვევას“ მარქსისტების პროგრამაში, ისტორიულ-ეკონომიკური თვალსაზ-

რისით, არ შეიძლება სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ არა პოლიტიკური თვითგამორკვევის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მნიშვნელობა“.

3. 1919 წლის 14-16 თებერვალს გაიმართა დამფუძნებელი კრების არჩევნები პირდაპირი, თანასწორი, ფარული, საყოველთაო და პროპორციული სისტემით. უნდა არჩეულიყო 130 წევრი. სოციალ-დემოკრატებს ხვდათ 109, სოციალისტ-ფედერალისტებს – 8, ეროვნულ-დემოკრატებს – 8, სოციალისტ რევოლუციონერებს – 5 ადგილი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნა ერთპარტიული კაბინეტი.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება (ჯერ ეროვნული საბჭო, შემდეგ 1918 წლის სექტემბრიდან 1919 წლის მარტამდე – პარლამენტი) და მთავრობა მკაცრი კონტროლის პირობებში კანონიერად იქნა არჩეული ხალხის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკას ჰქონდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, უხდებოდა აგრესორთა მოგერიება (ომი თურქეთთან, სომხეთთან, დენიკინთან, პროვოცირებულ აჯანყებათა ჩახშობა და სხვა), ჩამოყალიბდა დემოკრატიული სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რაც დამოუკიდებლობასთან ერთად იყო საქართველოს უმთავრესი მონაპოვარი 1918 –1921 წლებში. იგი დაემხო უცხო გარე ძალთა მეოხებით, რადგან შინაგანად საამისო სიტუაცია არ არსებობდა.

როგორც გაირკვა, საქართველოში არავითარი აჯანყება არ მომხდარა. რომც მომხდარიყო, ეს სრულიადაც არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ ერთმა ქვეყანამ მეორეს ჯარები შეუსიოს. არც იმისი აღნიშვნა კმარა, რომ თითქოს საქართველო არ ასრულებდა რუსეთისადმი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

საბჭოთა რუსეთის ჯარები არ მოუწვევია ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ მთავრობას, ხოლო მისი საზღვრების მიღმა, ხალ-

ხისაგან ფარულად, რამდენიმე კაცის მიერ სახელდახელოდ შედგენილი „მთავრობა“ ფიქციაა (ამგვარ ხერხს ხშირად მიმართავდა მოსკოვი: მაგ. 1939 წელს შეიქმნა „ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის“ მთავრობა ო. კუუსინენის მეთაურობით. 1979 წელს – ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბ. ქარმალის მეთაურობით და ა. შ.).

მას არ ჰქონდა არავითარი უფლება სხვა ქვეყნის ჯარებს შემოძღოლოდა თავის ქვეყანაში.

ამიტომ დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით 21 თებერვალს ქართველი ხალხის მოღალატეებად გამოცხადდნენ – ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ამაიაკ ნაზარეტიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია.

ამ სიას აკლია სტალინისა და ორჯონიკიძის სახელები, ალბათ მათი როლის შესახებ იმ დღეებში წარმოდგენა არც ჰქონდათ.

1921 წლის თებერვალ-მარტში არა მხოლოდ შეიცვალა ხელისუფლება, არამედ შეიარაღებული ინტერვენციის შედეგად მოხდა საქართველოს ხელმეორე ანექსია რსფსრ-ის საოკუპაციო ჯარების მიერ.

1. როგორც ვთქვით, რესპუბლიკას ჰყავდა კანონიერი მთავრობა, რომელიც 17 მარტს ემიგრაციაში წავიდა.

2. 1920 წლის 7 მაისს, მოსკოვში, ლენინისა და ჩიჩერინის რწმუნებულებით, საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება (ხელი მოაწერეს – დამფუძნებელი კრების წევრმა გრ. ურატაძემ და რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლ. კარახანმა) რომლის თანახმადაც ბოლშევიკებმა სცნეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და გაიცვალა ელჩები. 1921 წლის 27 იანვარს საქართველოს დემოკრატული რესპუბლიკა „დე იურედაც“ ცნო ევროპის სახელმწი-

ფოთა უმაღლესმა საბჭომ (საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა 22 სახელმწიფოსთან).

3. IX და XI არმიები, წითელი ჯარის სხვა ნაწილები შემოიჭრნენ ომის გამოუცხადებლად, „აჯანყებულ“ მშრომელთა დახმარების საბაბით – სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან და სოჭის მხრიდან. ამ ტაიფუნის მოგერიება საქართველოს არ შეეძლო. რესპუბლიკა ერთ თვეში იქნა ოკუპირებული.

4. საქართველომ ისევ დაკარგა დამოუკიდებლობა (თუმცა ბევრს ქადაგებდნენ, რომ ეს არ იყო საქართველოს ხელმეორე დაპყრობა რუსეთის მიერ და მხოლოდ ერთი ხელისუფლება შეიცვალა მეორეთი). ეს გამოიხატა სახელმწიფოებრივი სიმბოლიკითაც – შეიცვალა დროშა, გერბი და ჰიმნი, რაც არის სსრკ-ის შესაბამის ატრიბუტთა ვარიაცია. დაირღვა საქართველოს ის ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც სცნო რსფსრ-მ და ერთა ლიგამ (აზერბაიჯანს გადაეცა საინგილო, თურქეთს – ათვინი, არტაანი, სომხეთს – ლორე-ტაშირი და სხვა). აფხაზეთი გამოცხადდა სს რესპუბლიკად, რომლის დამოუკიდებლობა საქართველოს რევკომმა სცნო 1921 წლის 21 მაისს. შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ოლქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. გაუქმდა საზღვრები. დაწესდა საბჭოთა ფული, დაიშალა ქართული ჯარი (აღდგა 1922 წლიდან) და ა. შ.

5. გაანადგურეს ოპოზიციონერები და აჯანყებულები, რომლებიც სწორედ დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. 1923 წელს აღმოაჩინეს ინტერპარტიული კომიტეტის სამხედრო შტაბი, დახვრიტეს 15 კაცი, მათ შორის – სამი გენერალი. 1924 წლის 29 აგვისტოს გამოსვლას მოჰყვა სასტიკი ტერორი, ხოლო ე. წ. ნაციონალ-უკლონისტებს, მათ, რომლებიც წითელ ლაშქარს მოუძღოდნენ, არ აპატიეს ფიქრი დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოზე და 1937 წელს შეეწირნენ (ძმები ოკუჯავები, შალვა ელიავა, ბუდუ მდივანი, მამია ორახელაშვილი თავიანთ ცოლ-შვილთან ერთად).

1938 წელს ვერ გადასცდნენ XI არმიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები – ორჯონიკიძემ თავი მოიკლა, კიროვი მოკლეს, დახვრიტეს ა. გეკერი (XI არმიის სარდალი), ვლ. გიტისი (კავკასიის ფრონტის სარდალი), ს. პუგაჩოვი (კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი), მ. ველიკანოვი (XX მსროლელი დივიზიის მეთაური), მ. ლევანდოვსკი (X არმიის სარდალი), დ. ჟლობა (XVIII საკავალერიო დივიზიის მეთაური), ალ. კოზიცკი (IX ქვეითი დივიზიის მეთაური); 1953 წელს ციხეში მოკვდა ალ. შირმახერი (XVIII ქვეითი დივიზიის მეთაური)...

6. ბოლშევიკური მთავრობა, რევკომი და XI არმიის სარდლობა ასრულებდნენ მოსკოვის მითითებებს, ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს ქართული მოსახლეობის ეროვნულ ინტერესებს, რამაც წარმოშვა კონფლიქტი სხვადასხვა ფენებთან, განსაკუთრებით – ინტელიგენციასთან. მიზეზი საქართველოს კომპარტია იყო, რსფსრ-ის ერთი შემადგენელი ორგანიზაცია.

7. საქართველომ ფორმალურად შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მაგრამ ესეც დათრგუნულ იქნა, ნაცვლად დაცვისა, სტალინის მიერ რეალიზებული სსრკ-ის მოდელით. ფაქტიურად ჩამოყალიბდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. სტალინმა სინამდვილედ აქცია თავისი ავტონომიზაციის პრინციპი, რასაც უარყოფითად მოეკიდა ლენინი (როგორც ჩანს, იგი ემხრობოდა კონფედერაციას).

დღეს უკვე ცნობილია, რომ საქართველოს ანექსიის სულისჩამდგმელნი იყვნენ სტალინი და ორჯონიკიძე. მიუხედავად ლენინისა და ტროცკის არაერთგზისი უარისა, მათ ყალბი ინფორმაციებით ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობას შეუქმნეს ილუზია თითქოს ქართველ ხალხს სძულდა საკუთარი მთავრობა და ხსნას მოელოდა ჩრდილოეთიდან. მათ არც შემდეგ გაუთვა-

ლისწინებიათ ბელადის მითითებანი, რამაც ისინი ლენინთან კონფლიქტამდე მიიყვანა.

საერთოდ კი, საბჭოთა რუსეთი როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით გულმოდგინედ მოემზადა საქართველოსთან ომისათვის. ისტორია განმეორდა – როგორც 1801 წელს მეფის ხელისუფლებამ დაარღვია გიორგიევსკის ტრაქტატი, ისე ამჯერად ბოლშევიკებმა დაივიწყეს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და საქართველო ხელმეორედ დაიპყრეს.

26 მაისის დიდება შეცვალა 25 თებერვლის ხოტბამ, რომელიც სისხლით და ტყვიით შთაბეჭდეს ბოლშევიკებმა ხალხის ცნობიერებაში (მაგ., ს. შანშიაშვილი თუ ამბობდა – „ვაშა დიდ ნოეს, აღმაშენებელს“, შემდეგ სტალინზე დაწერს – „შენ გულმართალო, ხელმართალო ადამიანო“).

არჩევნები დემოკრატიულ საქართველოში

1919 წლის 14-16 თებერვალს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდა დამფუძნებელი კრების ფარული, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და პროპორციული არჩევნები, რაც სანიმუშო იყო არა მხოლოდ იმ დროისათვის. დამფუძნებელ კრებას უნდა ჰქონოდა კანონმდებლობითი, მმართველობითი და სასამართლოს ფუნქციები, ჩამოეყალიბებინა კომისიები, შეემუშავებინა კონსტიტუცია, მიეღო კანონები და დებულებანი, დაემტკიცებინა მთავრობა.

ნ. ჟორდანიას სიტყვით, დამფუძნებელი კრება არ უნდა ყოფილიყო პარლამენტი, არამედ მასზე მეტი. მაგრამ არ უნდა ქცეულიყო დიქტატორული ძალად, როგორც კონვენტი საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს.

ერთის შეხედვით ეგებ უცნაურადაც მოგვეჩვენოს თუ სად ეცალა ომის ქარცეცხლში გახვეულ რესპუბლიკას არჩევნებისათვის. მაგრამ ამ ფაქტს ჰქონდა პრინციპული პოლიტიკური მნიშვნელობა: ჯერ ერთი, საქართველო იყო პირველი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც გაიმარჯვა დემოკრატიულმა სოციალიზმმა და ეს პრაქტიკულად უნდა დადასტურებულიყო. უკვე ჩატარებული იყო საქალაქო თვითმმართველობითი არჩევნები, ამიტომ უწოდებდნენ დამფუძნებელ კრებას „რევოლუციის გვირგვინს“; მეორე, ბოლშევიკები (რომლებმაც გარეკეს დამფუძნებელი კრება გახსნის მეორე დღესვე) ამტკიცებდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობა ინტელიგენციამ გამოაცხადა, თორემ ხალხს რუსეთთან დაბრუნება უნდაო; მესამე, პარიზის სამშვიდობო კონგრესის წინ კანონიერად უნდა გარკვეულიყო ერის ორიენტაცია; მეოთხე, მრავალპარტიულ (არსებობდა თხუთმეტი პარტია და პოლიტიკური გაერთიანება) და მრავალეროვან სახელმწიფოში სადაო ნაციონალური, კულტურული თუ სოციალური საკითხები დემოკრატიული გზით მხოლოდ ასე მოგვარდებოდა. და ბოლოს უნდა აერჩიათ რესპუბლიკის მთავრობა და განესაზღვრათ მმართველობის ფორმა.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის (ნ. რამიშვილი) ცირკულარით ადმინისტრაცია არჩევნებში არ ჩაერეოდა, პარტიული მიზნებისათვის ძალას არ გამოიყენებდა. ამიტომ მონაწილეობდნენ არჩევნებში ცალკე პარტიის სახით სომეხი დაშნაკები, რუსი სოციალ-დემოკრატები, მუსლიმანები, ელინელები და არა მხოლოდ ურთიერთმოპირისპირე ქართული პარტიები (სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვა). მაგრამ მათ უნდა სცოდნოდათ სახელმწიფო ენა – ქართული ენა.

პარლამენტში დიდხანს გრძელდებოდა დისკუსია საარჩევნო კანონის ცალკეულ მუხლებზე. დამფუძნებელი კრების დებულება

მიიღეს 1918 წლის 2 ნოემბერს. 17 დეკემბერს პარლამენტმა სოციალისტ-ფედერალისტ სამსონ ფირცხალავას მოხსენებით დაამტკიცა საქალაქო არჩევნების საბოლოო ტექსტი, ხოლო 1919 წლის 11 იანვარს – დამფუძნებელი კრებისა (მომხსენებელი ეროვნულ–დემოკრატი შალვა ამირეჯიბი).

დაინიშნა არჩევნების დროც – 14-16 თებერვალი.

დებულების თანახმად ასარჩევი იყო 130 დეპუტატი. პარტიებმა გამოაქვეყნეს თავიანთი 130 კანდიდატის სიები. გვარები ერთად იბეჭდებოდა ბლანკზე და ამომრჩეველი ხმას აძლევდა არა პიროვნებას, არამედ – პარტიას. ამიტომ პრესა პროპაგანდას უწევდა არა კანდიდატებს, არამედ – პარტიას. ერთი პარტია ებრძოდა სხვა პარტიებს და არა უეჭველად კანდიდატებს. ბიულეტენები პარტიის მიხედვით ინომრებოდა (მაგ. სოციალ-დემოკრატები იყვნენ №1, ეროვნულ-დემოკრატები №2, სოციალისტ–ფედერალისტები – №5 და ა. შ.).

დამფუძნებელი კრების არსი და მნიშვნელობა საერთო კრებაზე უნდა აეხსნათ ამომრჩეველთათვის, პარტიებს გამოექვეყნებინათ თავიანთი პლატფორმა. შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია (თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი ალ. ლომთათიძე). ბიულეტენები ბინებზე არ რიგდებოდა. მოქალაქეს იგი ეძლეოდა ხელზე, საარჩევნო ყუთთან. პარტიების ბიულეტენები ერთმანეთისაგან განირჩეოდა (მაგ. სოციალ-დემოკრატთა სია თეთრ ბლანკზე წითელი ასოებით დაიბეჭდა). ბიულეტენს დებდნენ სპეციალურ კონვერტში და აგდებდნენ ყუთში.

წინასწარ ჩატარდა ხმოსანთა აღწერა. არაერთხელ გამოცხადდა, რომ ვინც არ იყო ჩაწერილი, მისულიყო საარჩევნო უბანში და ჩაწერილიყო. განისაზღვრა დამფუძნებელი კრების წევრის ხელფასი – 1500 მანეთი თვეში. დეპუტატი არ შეიძლებოდა თანამდებობის პირი ყოფილიყო. გამონაკლისი – მინისტრები, მინისტრების

მოადგილეები, ელჩები, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრები. მაგრამ ხელფასი მხოლოდ ერთგან უნდა აეღოთ.

განცხადება თანამდებობის შესახებ დამფუძნებელ კრებას უნდა წარდგენოდა არჩევიდან ერთ თვეში. არსებობდა საარჩევნო ოქმის შედგენის წესი ცალ-ცალკე სამაზრო, სოფლის საზოგადოებისა და სოფლის წვრილი ერთეულებისათვის. ოქმში უნდა აღენიშნათ კომისიის შემადგენლობა, პარტიულობა, როდის დაიწყო მუშაობა ხმების დასათვლელად, რამდენი ხმა მიიღო თითეულმა სიამ, რამდენი გაბათილდა, ამომრჩეველთა რიცხვი, რამდენმა მიიღო მონაწილეობა, რამდენია კანონიერი და ა. შ.

არჩევნების დეტალური შედეგები ქალაქებისა და მაზრების მიხედვით გამოქვეყნდა პრესაში. გამოითქვა არაერთი შენიშვნაც, რომ სოციალ-დემოკრატებს ბევრი აგიტატორი ჰყავდათ და ხალხს თავს მოახვიეს თავიანთი ნება-სურვილი, რომ ბევრი ვერ გაერკვა თუ რა ხდებოდა (მაგ. ზუგდიდის მაზრაში), დიდმა ნაწილმა კი საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა (მაგ. ტფილისის საქალაქო არჩევნებში, რომელიც ჩატარდა 2 თებერვალს, მონაწილეობდა 37.126 ხმოსანი, ნაცვლად 71.000-სა), რომ არჩევნების ჩატარება ნაადრევი იყო ან ასეთ პოლიტიკურ სიტუაციაში არ შეიძლებოდა, რომ ცალკეული ბიულეტენები არასწორად შეივსო და სხვა. მაგრამ გაყალიბების გამო ეჭვი არავის გამოუთქვამს, გარდა ბოლშევიკებისა. არჩევნებში მონაწილეთა 90%-მა ხმა მისცა სოციალ-დემოკრატებს.

1919 წლის 12 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გახსნა ს. ჯიბლაძემ, უხუცესმა რევოლუციონერმა. სოციალ-დემოკრატებს ერგოთ 109 ადგილი (შემდეგ დამატებით არჩევნებში დაკარგეს 4 ადგილი), ეროვნულ-დემოკრატებს – 8, ესერებს – 5, სოციალისტ-ფედერალისტებს – 8.

ამის შედეგად შეიქმნა ერთპარტიული, სოციალ-დემოკრატიული მთავრობის კაბინეტი (თავმჯდომარე ნოე ჟორდანია). იგი ითვლებოდა „რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლადაც“. სოციალ-დემოკრატი ნ. ჩხეიძე გახდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, ხოლო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილეებად გავიდნენ სხვა პარტიის წევრებიც (მაგ. ეროვნულ-დემოკრატი ექვთიმე თაყაიშვილი).

ამრიგად, 1919 წლის 14-16 თებერვალს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს კანონიერი საფუძველი.

არჩეულ იქნა პირველი პარლამენტი – დამფუძნებელი კრება.

2. კულტურა ცეცხლის რკალში

1917-1921 წლებში უფსკრულის პირას მყოფი ქვეყანა მაინც იცლიდა დიდი კულტურული აღმშენებლობისათვის.

ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ – ინტელექტუალურ ძალთა სიმრავლე, მეორე მხრივ – ნაციონალური ეიფორია, მიუხედავად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა.

დაარსდა უნივერსიტეტი,კონსერვატორია, მწერალთა კავშირი, ქართული ოპერის თეატრი, სახელოვნო ცენტრი, ეროვნული სამხატვრო გალერეა (1932 წლიდან – ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი). გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები, გამოცხადდა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ფუნქციონირებდა კინემატოგრაფი, თეატრი, იმართებოდა ღვაწლმოსილ პირთა იუბილეები, მხატვართა გამოფენები, ვითარდებოდა ლიტერატურა, მხატვრობა, მეცნიერება, ჩამოდიოდნენ კულტურის მოღვაწენი და პოლიტიკოსები, შენარჩუნდა წესრიგი...

ეს მაშინ, როცა ომით და რევოლუციით დანგრეულ რუსეთში ქაოსი, ანარქია და ტერორი მძვინვარებდა, ევროპა ჭრილობებს იშუშებდა;

ბოლშევიკური რუსეთი რევოლუციებით იმუქრებოდა.

სომხეთი თითქმის აღარ არსებობდა – გენოციდს დაერთო ტერიტორიის დასვლა 11.000 კვ. კმ-მდე, თუმცა „დიდი სომხეთის“ იდეას მაინც არ ეშვებოდნენ!...

ბაქო პოლიტიკურ ორომტრიალში ჩაიძირა. დაეცა ნავთობის წარმოება – ავარდა ფასები (ფ. ქაზემზადე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის. 1918-1921, თბ., 2016).

ასეთ დროს საქართველო ცდილობდა სიმშვიდის შენარჩუნებას, რათა შესძლებოდა დასავლეთის დახმარებით პოლიტიკური და კულტურული აღმშენებლობა.

ამიტომ ჰგავდა საქართველო ოაზისს ცეცხლის რკალში.

ეს იყო „пир во время чумы“, მაგრამ ხომ იყო...

ქუთაისს, პეტერბურგს, მოსკოვს სტოვებდნენ კულტურის მუშაკები და ტფილისში მკვირდებოდნენ, რამაც მკვეთრად შეცვალა სიტუაცია ქალაქში.

მიუხედავად მრავალი სტუმარისა და გასტროლიორისა, ტფილისი უკვე იყო არა ოთხი კულტურის, არამედ – ერთი, ქართული კულტურის ცენტრი, თუმცა პერიფერიულად შემორჩა სხვა ნაკადებიც.

ცენტრის სტატუსს მას აძლევდა ხელისუფლება და ქართული ინტელიგენციის შემოკრება.

სკოლა და განათლება

ნიკოლოზ II-ის მმართველობის პერიოდში ისევ დაიწყო სკოლების აღმავლობა, როცა მოიხსნა 80-იანი წლების შეზღუდვა.

1913 წლისათვის არსებობდა 773 დაწყებითი და 34 საშუალო სკოლა, მაგრამ მოთხოვნას მაინც ვერ აკმაყოფილებდა.

ახალი თაობა უკვე წიგნიერი, წერა-კითხვის მცოდნე იყო და ამ მხრივ იმპერიაში თითქმის ყველას უსწრებდა.

განსაკუთრებით ცნობილი იყო ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია, რომელიც დაარსდა 1900 წელს და დაამთავრა მრავალმა შემდეგში ცნობილმა მწერალმა და მოღვაწემ (დირექტორი იოსებ ოცხელი), წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

სკოლებსა და გიმნაზიებში, ასევე სასულიერო სესწავლებლებში ასწავლიდნენ ცნობილი პირები (მაგ., ვ. ბარნოვი, ს. მგალობლიშვილი, მ. ჯანაშვილი, ნ. ლომოური, თ. ჟორდანია, სილ. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი, პ. ჭარაია, ლ. ბოცვაძე, თ. რაზიკაშვილი, დ. უზნაძე, ა. ჯანელიძე, გ. ახვლედიანი...).

1917-1921 წლებში სკოლებსაც გაუჭირდა. მაგრამ ქსელი ძირითადად შენარჩუნდა. ხოლო უნივერსიტეტის დაარსებამ შეაჩერა რღვევის პროცესი.

განათლების შუქი ჰფანტავდა ტფილისურ ბურუსს, დაბალი ფენების ოცნებას: „ჩემი შვილი მემწვანილედ მინდოდა“...

ეკლესია

როგორც კი პეტროგრადში გაიმარჯვა რევოლუციამ, ქართულმა სამღვდელოებამ აღადგინა მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. ეს მოხდა 1(25) მარტს. ხოლო სექტემბრის თვეში კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს კირიონ II (საძაგლიშვილი).

კირიონი იყო ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მკვლევარი, პატრიოტი, ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

დიდხანს მოღვაწეობდა რუსეთის ეპარქიებში.

მისი დაფინანსებით 15-მა ქართველმა მიიღო უმაღლესი განათლება რუსეთსა და ევროპაში.

იგი 1918 წლის 26 აგვისტოს მოკლული იპოვეს მარტყოფის მონასტერში. დაკრძალეს სიონის ტაძარში.

კირიონი შეცვალა ლეონიდემ, ლეონიდე – ამბროსი ხელაიამ.

მენშევიკები ათეისტები იყვნენ და ანტირელიგიური კურსი აიღეს. პირველ რიგში გააუქმეს საღვთო სჯულის სწავლება და მისდგნენ საეკლესიო ქონებას. მაგრამ რეპრესიებს არ მიმართავდნენ.

უნივერსიტეტი

ტფილისის უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს.

ინიციატორი იყო ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც შეძლო შემოეკრიბა რუსეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები.

უნივერსიტეტის იდეა არსებობდა XIX საუკუნიდან. იმპერიის დამხობის შემდეგ ეს საკითხი ისევ გახდა აქტუალური. რუსეთის განათლების მინისტრი რუსულ უნივერსიტეტს ხსნიდა კავკასიისათვის, რასაც იწონებდა ნიკო მარი. ამის გამო ქართველთა მორიგი კრიტიკა დაიმსახურა (მაგ., კ. გამსახურდიასი).

რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტი მაინც გაიხსნა (1917, 11 ივლისი), როგორც კერძო სასწავლებელი.

ქართულ კულტურას ქართული უნივერსიტეტი სჭირდებოდა. მაგრამ ეს ნიშნავდა პეტერბურგის ქართველოლოგიური ცენტრის დასუსტებას, რომლის ლიდერი იყო მარი.

შემდეგ ფაქტს შეეგუა მარი და თავისი ვიცე-პრეზიდენტობის დროს საქართველოში აკადემიის დაარსებაც კი უნდოდა.

უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩიეს პეტრე მელიქიშვილი, რუსეთში ცნობილი ქიმიკოსი.

პირველ სემესტრში ფუნქციონირებდა მხოლოდ სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტი და ეკავა დღევანდელი პირველი კორპუსის (ქართული გიმნაზიის შენობის) სამი ოთახი.

1918 წლის 3 სექტემბრიდან უნივერსიტეტს გადაეცა მთელი შენობა, ბიუჯეტიდან გამოეყო 289.966 მან. და 3 აბაზი, მიენიჭა სახელმწიფო სტატუსი.

გაიზარდა სტუდენტთა და მასწავლებელთა კონტიგენტი, ფაკულტეტების რიცხვი, საუნივერსიტეტო საგნები და სპეციალობები.

უნივერსიტეტის ლექტორები იყვნენ შემდეგში საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული მეცნიერები.

მაშინ ისინი ახალგაზრდები იყვნენ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მაგ., ე. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი).

1919 წლიდან რექტორი გახდა ივანე ჯავახიშვილი.

უნივერსიტეტის დამაარსებელთა სახელები ხალხმა სიყვარულით შემოსა. მათი ცხედრები განისვენებენ უნივერსიტეტის ეზოში.

კონსერვატორია და ოპერა

1917 წლის 1 მაისს პირველი მუსიკალური სასწავლებლის ბაზაზე გაიხსნა ტფილისის კონსერვატორია.

აქ მოღვაწეობდნენ როგორც ცნობილი ქართველი მუსიკოსები და პედაგოგები, ისე რუსები (მაგ., იპოლიტოვ-ივანოვი, რომელიც ერთხანს დირექტორიც იყო).

1921 წელს ბოლშევიკებმა მეორე კონსერვატორიაც გახსნეს.

უფრო დიდი ტრადიციები ჰქონდა ტფილისის ოპერის თეატრს. იგი ფუნქციონირებდა 1851 წლიდან იტალიური დასით. შემდეგ შეემატა რუსული დასი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქარ-

თველებიც (მ. ბალანჩივაძე, ფ. ქორიძე, ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი).

თეატრს მდიდარი რეპერტუარი ჰქონდა.

აქ შედგა თეოდორ შალიაპინის დებიუტი.

თეატრმა ქართული სახე მიიღო 1919 წლიდან, როცა წარმოადგინეს ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

მას შემდეგ, რაც ჩაიწერეს მრავალი ქართული ხალხური სიმღერა და გადაიტანეს ნოტებზე, გადაარჩინეს ტექსტი და მელოდია, რაც დაიწყო ქართული ოპერების შექმნაც – გამრავლდა ვოკალური გუნდები.

მათგან დიდად იყო პოპულარული მიხეილ კავსაძისა და კოტე ფოცხვერაშვილის გუნდები.

ფერწერა

ამ დროს აგრძელებენ მოღვაწეობას გ. გაბაშვილი, ალ. მრევლიშვილი, ი. ნიკოლაძე, მ. თოიძე. ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა მხატვრები.

1918 წელს გარდაიცვალა ნიკო ფიროსმანაშვილი (ფიროსმანი). გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე იგი აღმოაჩინეს კირილ ზდანევიჩმა, ილია ზდანევიჩმა და მხატვარმა ლე დანტიუმ.

მანამდე იგი ტფილისის დუქნების, სამიკიტნოების, ტრაქტირების უჩინო მხატვარი იყო, რომელიც თავის ტალანტს სადილსა და არაყზე ყიდდა.

მას არ მიუღია პროფესიული განათლება – პრიმიტივისტი იყო, ხატავდა სტიქიურად, მიამიტური აღქმით, პროპორციების დარღვევით.

მაგრამ ჰქონდა ფერთშეხამების საოცარი უნარი, სიუჟეტის გაშლის ნიჭი, რითაც მდაბიოთა ქეიფის სურათები, ნატურმორტები, პორტრეტები, ღამის სცენები, ცხოველები, სოფლის პეიზაჟები მზერას იტაცებდა.

სიკვდილის შემდეგ დაიწყეს მისი სურათების შეგროვება, ბიოგრაფიის კვლევა, ვინაობის დადგენა. არადა – ათეულ წლობით ცხოვრობდა ტფილისში, დადიოდა, ხატავდა, ჰყავდა ნაცნობები, ახლობლები და ვერავინ შენიშნა, ვერავინ დააფასა მისი ტალანტი.

კახეთისა და ტფილისის გარდა არსად ყოფილა, მაგრამ ოცნებით ინდოეთსაც კი მისწვდა.

ფიროსმანის გავლენა დაეტყო ლადო გუდიაშვილის ფერწერას. ძველი ტფილისი, კინტო და ყარაჩოხელი, სუფრა თავისი ფერწერით მან პარიზსაც გააცნო და კუბისტური და იმპრესიონისტული, ექსპრესიონისტული და პოსტიმპრესიონისტული სურათების გალერეაში დისონანსი შეიტანა.

ქართული ხელოვნებაც იკვალავდა გზას ევროპისაკენ.

კომუნისტურ პერიოდში ლამის გაამითეს სამი შემოქმედი – საიათნოვა, ფიროსმანი და იეთიმ გურჯი, რომლებიც ტფილისის ჰიბრიდული კულტურის შვილები იყვნენ.

ისინი გამოვიდნენ მდაბიოთა ფენიდან, გადმოსცემდნენ მათ ყოფას, განწყობილებებს, არც თავადობა უნდოდათ, არც ნაციონალური ინტერესები ჰქონდათ.

ამიტომ დაუპირისპირეს საიათნოვა არისტოკრატ ბესიკ გაბაშვილს, ფიროსმანი – პროფესიონალ გიგო გაბაშვილს, ბოჰემა ეთიმ გურჯი – მწიგნობარ და ნაციონალისტ იოსებ გრიშაშვილს ანუ უარყვეს ელიტაროობა, აკადემიზმი, ეროვნული სულისკვეთება.

1920 წელს დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით გაიხსნა „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა“ ყოფილ დიდების

ტაძარში, რომელიც რუსებმა ააშენეს 1888 წელს, როგორც კავკასიის ომების მუზეუმი (არქიტ. ალ. ზალცმანი).

კინემატოგრაფი

პირველ კინოსეანსს ტფილისში გაეცნენ 1896 წლის 16 ნოემბერს. მაყურებელმა ნახა ლიუმიერის ფილმები.

თავიდან ოპერატორები იყვნენ რეჟისორებიც.

ისინი დოკუმენტურ ფილმებს იღებდნენ (ვასილ ამაშუკელი და ალექსანდრე დიღმელოვი).

ვ. ამაშუკელმა 1912 წელს ფირზე აღბეჭდა „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომლის მეტრაჟი იყო 1200 მ.

პირველი მხატვრული ფილმი გადაიღო ალექსანდრე წუწუნავამ – „ქრისტინე“, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით.

ქართველი მაყურებელი ეცნობოდა უცხოურ კინოფილმებს. გაჩნდა კინოდარბაზებიც (მაგ., „აპოლო“ პლეხანოვზე).

ქართული კულტურა ყოველ სიახლეს სწრაფად ითვისებდა და ქმნიდა მის შესაბამის ქართულ ექვივალენტს.

თეატრის პარალელურად მკვიდრდებოდა კულტურისა და ტექნიკის სინთეზის შედეგი, ხელოვნების ახალი დარგი კინემატოგრაფი, რომელიც ჯერ მუნჯი იყო.

ცირკი და თეატრი

თეატრს გამოეყო საცირკო ხელოვნება, როგორც კომიკური ჟანრის გადატანა ჟესტ-მიმიკაში, სიტყვის შეცვლა აკრობატიკითა და ფოკუსებით.

70-იანი წლებიდან დაარსდა საცირკო დაწესებულებების ცენტრი.

ძმებმა ნიკიტინებმა ააგეს ცირკის შენობა, სადაც იმართებოდა სპორტული სანახაობებიც. მაგ., ჭიდაობა, რომელსაც პოპულარობა გაუწია აკაკი წერეთელმა თავისი პოემით კულა გლდანელსა და ნესტორ ესებუაზე.

რუსებთან ერთად ქართველებიც გამოდიოდნენ ცირკის სცენაზე. ჩამოყალიბდა ამ ხელოვნების მიმდევარი მთელი დინასტიები.

მათგან სპეციალისტები გამოარჩევენ რ. გამსახურდიას.

საცირკო ხელოვნებას უძველესი ტრადიციები ჰქონდა. ქართველებიც იყვნენ ჟონგლიორები, კომიკოსები, მუშაითები, რომლებიც მონაწილეობდნენ ყეენობასა და ბერიკაობაში, სანახაობით წარმოდგენებში.

გურულები ამერიკაშიც კი წასულან და იქ აჩვენებდნენ თავიანთ ხელოვნებას, საცირკო ნომრებს, ჯირითს.

1908 წელს ცირკი გაიხსნა ბათუმშიც.

10-იან წლებში, მცირე ხნით, აღმავლობა დაეტყო ქართულ თეატრს, რაც ომმა შეწყვიტა.

ზუბალაშვილის სახლში 1911 წლის 3 აპრილს წარმოადგინეს გოგოლის „რევიზორი“ (ახლა იქ მარჯანიშვილის თეატრია). ეს ახალი კერა თეატრალური უნივერსიტეტიც უნდა გამხდარიყო.

ტფილისში ფუნქციონირებდა რამდენიმე სახალხო თეატრი.

1912 წელს შალვა დადიანმა ბათუმში ჩამოაყალიბა მოძრავი თეატრი, რომელიც გასტროლებს მართავდა.

ბაქოშიც გაჩნდა ქართული თეატრი.

ბევრგან შეიქმნა დრამატული წრეები.

1914 წელს გაიმართა თეატრალურ მოღვაწეთა ყრილობაც, რომელმაც საპატიო თავმჯდომარედ აირჩია აკაკი წერეთელი.

ხალხი ესწრებოდა სპექტაკლებს. თეატრებს ისევ აფინანსებდა თავადაზნაურთა ბანკი, ოღონდ თანხა შეუმცირა, რადგან სპექტაკლებს მოჰქონდა შემოსავალი.

მაგრამ დაიწყო ომი, დაიწვა ქართული თეატრი. გარდაიცვალა კოტე მესხი, სცენას ჩამოცილდნენ ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, ვალერიან შალიკაშვილი.

ლადო მესხიშვილმა დატოვა საქართველო.

მაინც იწერებოდა ახალი პიესები (მაგ., შ. დადიანისა, ი. გედევანიშვილისა და ს. შანშიაშვილისა), ითარგმნებოდა (მაგ., მ. გორკი). მაგრამ ისევ პოპულარული იყო ერისთავის „სამშობლო“ და ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“.

მრავალი იყო ენთუზიასტი და მოყვარულიც, რაც, ერთი მხრივ, აცოცხლებდა დრამატურგიასა და თეატრს, უქმნიდა პოპულარობას, მეორე მხრივ – დაბლა სწევდა საერთო ლიტერატურულ და თეატრალურ ხელოვნებას.

კულტურა იძირებოდა მასაში.

ხელოვნების დარგებიდან 1917–1921 წლებში ყველაზე მეტად თეატრს გაუჭირდა. ფუნქციონირებდა ტფილისისა და ქუთაისის დასები, იდგმებოდა სპექტაკლები, აქტიურობდნენ რეჟისორები (მაგ., ა. ფაღავა, ა. წუწუნავა, გ. ჯაბადარი), დრამატურგები და აქტიორები (მაგ., შ. დადიანი, ლ. ალექსი-მესხიშვილი). მაგრამ სპექტაკლებს აღარ ჰყავდა მაყურებელი.

თეატრს სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ ენთუზიასტები, რომლებიც რეგიონებში აწყობდნენ გასტროლებს, იქ მართავდნენ წარმოდგენებს. მაგრამ ასეთი მოგზაურობა ვნებდა პროფესიონალიზმს. აქტიორს უნდა ეთამაშა მდაბიოთა გემოვნების შესაბამისად.

ქართველები ისევ რუსეთის სცენაზე ეძებდნენ პერსპექტივას (მაგ., კ. მარჯანიშვილი, ვ. მჭედლიშვილი).

წიგნი და ლიტერატურა

1919 წელს დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილები“ – ქართული ლირიკის უდიდესი წიგნი.

გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული“ – ერთ-ერთი საუკეთესო ქართული რომანი.

გამოიცა შიო არაგვისპირელის „გაბზარული გული“, ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“, კოლაუ ნადირაძის „ბალდახინი“, ახალგაზრდა პოეტების ანთოლოგია, სტ. მალარმეს თარგმანები, დაიწერა ი. გრიშაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ალ. აბაშელის ცალკეული შედევრები.

ესსეისტური ლიტერატურული წიგნებიდან აღსანიშნავია იოსებ გრიშაშვილის „საიათნოვა“, გრიგოლ რობაქიძის „Портреты“, გერონტი ქიქოძის „ეროვნული ენერგია“, ივანე გომართელის წერილები. ასევე გრძელდებოდა სამეცნიერო კვლევა–ძიება, ნაშრომების პუბლიკაცია, ცალკე წიგნებად გამოცემა.

1914-1920 წლებში ანუ ომის პერიოდში გამოიცა 1.293 დასახელების წიგნი, როგორც სასწავლო, ისე მხატვრული და სამეცნიერო.

1915-1916 წლებში გარდაიცვალნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ჭოლა ლომთათიძე, ნიკო ლომოური, იროდიონ ევდოშვილი.

მათი რეალიზმი მოდერნიზმისაკენ გადახარეს ახალი თაობის თვალსაჩინო მესიტყვეებმა.

მწერალთა კავშირი

კონსტანტინე გამსახურდია წერდა, ევროპაში ხელოსნებსაც კი აქვთ თავიანთი გაერთიანებანი, რათა საკუთარი უფლებების იურიდიული დაცვა შეძლონო.

მწერალს უნდა დაეცვა საავტორო უფლებები, საჭირო იყო სტამბა, გამომცემლობა, იუბილე, დაკრძალვა, ყოფითი პრობლემების მოგვარება, კონტაქტი კოლეგებთან.

მწერალთა გაერთიანების ცდები ადრეც იყო. საამისოდ დავით სარაჯიშვილს ანდერძით სოლიდური თანხაც ჰქონდა გამოყოფილი.

იმპერიის დამხობის შემდეგ ისევ გახდა აქტუალური ქართველ მწერალთა გაერთიანების იდეა. შეიქმნა საორგანიზაციო ბიურო (თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი, მდივანი – კონსტანტინე აბაშისპირელი-გამსახურდია).

საჭირო იყო ყრილობის მოწვევა, რაც გაჭიანურდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ამოწურა თავისი თავი. ახლა საჭირო იყო პროფესიული გაერთიანებები.

საქართველოს მწერალთა ყრილობა (კონფერენცია) გაიხსნა 1917 წლის 7 ოქტომბერს, 12 საათზე, ქართული კლუბის დარბაზში.

კ. მაყაშვილმა ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებად დაასახელა დ. კლდიაშვილი, მელანია, დ. მეგრელი, ს. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი, ვ. ბარნოვი, კ. ბალმონტი.

კ. გამსახურდია ბალმონტის წინააღმდეგ წავიდა, ეს ქართველ მწერალთა ყრილობააო. დარბაზი დაეთანხმა. შემდეგ ასევე უარი თქვა, რომ მისალმება გაეგზავნათ ირაკლი წერეთლისათვის, მოითხოვა, რომ გოლოვინის პროსპექტისათვის დაერქმიათ რუსთაველის სახელი.

ყრილობა ცხარედ წარიმართა. იყო კამათი, კონფლიქტი, დაპირისპირება (მაგ., კ. გამსახურდიასა და „ცისფერყანწელებს“ შორის).

15 ოქტომბერს, ბოლო სხდომაზე, აირჩიეს საბჭოს 11 კაცის შემადგენლობით – კ. გამსახურდია, ს. დადიანი, შ. დადიანი, პ. ია-

შვილი, პ. ინგოროყვა, კ. მაყაშვილი (თავმჯდომარე), გრ. რობაქიძე, დ. სულიაშვილი, ა. პაპავა, ტ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი.

1820 წლის 4 აპრილს გაიხსნა მეორე კონფერენცია (ყრილობა), რომელმაც აირჩია ახალი პრეზიდიუმი.

თავმჯდომარედ დატოვა კოტე მაყაშვილი, ეკ. გაბაშვილის სიძე, მარო მაყაშვილის მამა.

მწერალთა კავშირმა გაშალა კულტურშემოქმედებითი მუშაობა (მაგ., იუბილე გადაუხადეს ვ. ბარნოვს, დ. კლდიაშვილს, შ. არაგვისპირელს).

პრესა და თავისუფლება

თავისუფალი პრესა ეპოქის სარკეა, ასე იყო მაშინაც – 1917-1921 წლებში.

გამოდიოდა არაერთი სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი და გაზეთი, რომლებიც საკმაო ადგილს უთმობდნენ ხელოვნებას, პოეზიას, პროზას, კრიტიკასა და პუბლიცისტიკას („ახალი კვალი“, „პირველი ნაბიჯი“, „განათლება“, „თავისუფლება“, „თებერვალი“, „მომავალი“, „ალიონი“, „ერთობა“, „სახალხო საქმე“...). გრძელდებოდა საბავშვო მწერლობის ტრადიციები („კუნწულა“ და „ნაკადული“ მცირეწლოვანებისათვის, „ნაკადული“ მოზრდილთათვის, „ჯეჯილი“ ყმაწვილთათვის). მძაფრი პოლიტიკური პერიოდი უხვ მასალას იძლეოდა სატირისა და იუმორისათვის („ახირებული“, „ეშმაკის მათრახი“, „მათრახი“, „ხათაბალა“). შუქდებოდა კულტურული ცხოვრება, მუსიკა, მხატვრობა, თეატრი („თეატრი და ცხოვრება“, აგრეთვე სხვა ჟურნალ-გაზეთები). პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა ცნობები არა მხოლოდ ქართულ ხელოვნებასა და კულტურაზე, არამედ – რუსეთზე, დასავლეთ ევროპაზე.

პრესა ცდილობდა მკითხველის სრულ ინფორმირებას, რაც რედაქციის თანამშრომელთა ოპერატიულ მუშაობასა და ინტერესების მრავალმხრივობაზე მეტყველებს.

როგორც ვთქვით, მიუხედავად მძიმე ვითარებისა, 1917–1921 წლებში კულტურული ცხოვრება არ შენელებულა (როგორც ადრე წერდნენ ხოლმე). არც პრესა გაღარიბებულა, პირიქით – იგი კიდევ უფრო გააქტიურდა. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა იქონია მწვავე პოლიტიკურმა ატმოსფერომ, რომელიც აფხიზლებდა ადამიანთა ცნობიერებას და აიძულებდა მათ გამოევლინათ შესაძლებლობათა მაქსიმუმი.

გამოცემებს აკლდა პერიოდულობა, ზოგი სულ რამდენიმე ნომერიღა გამოვიდა და ამ მხრივ უფრო სწორი იქნება თუ მათ ალმანახებს ვუწოდებთ. მაგრამ მთლიანობაში ისინი ერთმანეთს ავსებენ და საერთო პროცესს წარმოგვიდგენენ.

პერიოდული გამოცემები ძირითადად იყო ყოველთვიური, კვირეული ან ყოველდღიური. მაგრამ ზოგიერთი გამოდიოდა ორ კვირაში ერთხელ (მაგ., „ერობა“, „საქართველოს კომუნისტი“). ზოგი იცემოდა ორშაბათობით (მაგ., „ზვირთი“, „პიტალო კლდე“) ან ხუთშაბათობითა და კვირაობით (მაგ., „ალიონი“). არსებობდა ერთჯერადი გამოცემებიც („პოეზიის დღე“, „მსახიობის დღე“).

ცხადია თბილისში გაბატონებული იყო ქართული პრესა. მაგრამ საკმაო ადგილი ეკავათ რუსულ და სომხურ ჟურნალ–გაზეთებსაც.

მართალია, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ გაწყვიტა კავშირი ბოლშევიკურ რუსეთთან. მაგრამ ეს ოდნავადაც არ შეხებია რუსულ კულტურას. ამ დროს თბილისში ჩამოვიდა რუსული კულტურის არაერთი ცნობილი მოღვაწე. დაარსდა ფუტურისტულ-დადაისტური „ზაუმნიკური კომპანია 41^0“, გამოდიოდა რუსული გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც იყო როგორც წმინ-

და ლიტერატურული („ARS“, „Братство“, „Куранты“, „Орион“, „Фэникс“...), ისე პარტიული („Борьба“, „Возрождение“, „Грузия“, „Тифлисский листок“, „Знамя революции“...). რესპუბლიკას ომი ჰქონდა დაშნაკურ სომხეთთან. მაგრამ ტფილისში სომხური პრესა არ შეზღუდულა. 1919-1920 წლებში დაშნაკებს აქ ქართული გაზეთიც კი ჰქონდათ („მშრომელი“).

მოქმედებდა „რუსთა ეროვნული საბჭო“, რომელიც აერთიანებდა ყველა ანტიბოლშევიკურ ძალას – დენიკინის მომხრეებს, მეფის მოხელეებს, თეთრგვარდიელ ოფიცრებს, კადეტებს.

ხელისუფლებამ დენიკინის შეკავება ინგლისელების დახმარებით შეძლო.

ამიერკავკასიაში ასევე აქტიურობდა აშშ-ის მისიები, იტალიაც ჩაერთო ამ პროცესში.

საყურადღებოა, რომ გამოდიოდა ფრანგული („La Georgie independante“, შემდეგ – „La Repubkigue Georgianne-ს სახელწოდებით) და ინგლისური გაზეთები („The Georgina messenger“, „The Trans-Kaukasian Post“, „The Near East news“), ფრანგული ყოველთვიური ჟურნალი „Union Libre“. გრძელდებოდა „ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირის“ გაზეთის „Kaukasische Post“-ის გამოცემა (1918 წლიდან – კვირაში ორჯერ).

რუსულ პრესაში თანამშრომლობდნენ ქართველი მწერლებიც (გრ. რობაქიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ა. აბაშელი...). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პოპულარული იყო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პრესა. ეს სავსებით ბუნებრივი გახლდათ. მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლებოდა – თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები, ოზაკომი, ამიერკავკასიის კომისარიატი, ამიერკავკასიის სეიმი და ფედერაციული რესპუბლიკა, სოციალური რეფორმები და დამოუკიდებლობის გამოცხადება, ომი თურქეთთან და დაშნაკურ სომხეთთან, კონფლიქტი

დენიკინთან და მუსავატურ აზერბაიჯანთან, სეპარატისტებთან, მეამბოხე შიდა ბოლშევიკებთან.

გრძელდებოდა პარტიების დიფერენციაციის (სოციალ-დემოკრატებს გამოეყო „ალიონის“ ჯგუფი, სოციალისტ-ფედერალისტებს – მემარცხენე მაშვრალი ფედერალისტები და ა. შ.) და წარმოქმნის პროცესი (ნაციონალისტური პარტია, მიწის მესაკუთრეთა პარტია, რადიკალურ-დემოკრატიული გლეხთა პარტია და ა.შ.)

ყალიბდებოდა ახალი საზოგადოებები და კავშირები (საქართველოს მწერალთა კავშირი, ქალაქთა კავშირი, სხვადასხვა პროფესიული კავშირები, მასწავლებელთა კავშირი, ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება და სხვა).

საკმაო რეზონანსი ჰქონდათ ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიებს. ბუნებრივია, ეს ყოველივე უნდა გამოვლენილიყო პრესაში, ასახულიყო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რათა ყოველ პარტიას, კავშირს, საზოგადოებას, ჯგუფს გაეცნო ხალხისათვის თავისი მუშაობა და თავისუფლად გაეწია შეხედულებების პროპაგანდა.

გარდა დიდი ეროვნული ენთუზიაზმისა, წარმოქმნილი კრიზისული სიტუაციაც გახდა საფუძველი ქართული პრესის, ქართული ჟურნალისტიკის აღმავლობისა.

გარდა ტფილისისა, საკმაოდ საინტერესოა ქუთაისის პრესა. გაზეთები გამოდიოდა აგრეთვე ბათუმში, ახალციხეში, ოზურგეთში, ფოთში, სოხუმში, სამტრედიაში, ხაშურში, ბაქოში (ჟურნ. „ჩვენი წყარო“), ბერლინში (ორკვირეული „ქართული გაზეთი“).

დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა ითვლის მრავალ ჟურნალსა და გაზეთს. მაგრამ როგორც ითქვა, მათ აკლდათ პერიოდულობა. ერთ გამოცემას აგრძელებდა მეორე ან სულაც ქრებოდა არენიდან. ასე რომ, დასახელებათა სიმრავლე არაფერს გვეუბნება მათ პერიოდულობასა და გავლენაზე.

ყველაზე სტაბილური იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის („ერთობა“, „Борьба“) და მთავრობის („საქართველოს რესპუბლიკა“) პრესა.

ასევე უწყვეტად გამოდიოდა „საქართველო“ (ეროვნულ-დემოკრატიული ძალების მთავარი კომიტეტის ორგანო) და „სახალხო საქმე“ (სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო).

ახლად წარმოქმნილი პარტიები თუ პარტიული ჯგუფებიც სცემდნენ თავიანთ ჟურნალ-გაზეთებს („მაგ., „ალიონი“, „ახალი ნაკადი“, „ჩვენი რესპუბლიკა“, „კლდე“, „მიწა“, „ნაციონალისტი“...), თუმცა უჭირდათ ოფიციოზთან კონკურენცია.

რამდენიმე გაზეთი ჰქონდათ სოციალისტ-რევოლუციონერებსაც („რევოლუციონური დროშა“, „სოციალისტ–რევოლუციონერი“, „შრომა“). ზოგი გაზეთი ქადაგებდა შეთანხმებას პარტიებს შორის პოლიტიკურ და ეროვნულ საკითხებში („სიმართლის გზა“).

აღსანიშნავია ცალკეული ახალგაზრდული გამოცემებიც („ჩვენი გზა“, „ახალგაზრდა მარქსისტი“, „ქართველი სტუდენტი“, „მომავალი“, „მებრძოლი ხმა“, „ახალი კვალი“, „ახალი ძალა“...), რომლებიც ძირითადად პოლიტიკური ხასიათისაა.

ცალკეულ სამინისტროებს, კავშირებს, საზოგადოებებს ასევე ჰქონდათ ვიწრო პროფილის ჟურნალ-გაზეთები.

მაგ., სამხედროთა სამინისტრო პროპაგანდას უწევდა მამაც მებრძოლებს, ჰგმობდა დეზერტირებს, აჩვენებდა ჯარში არსებულ ვითარებას, რათა განმტკიცებულიყო მებრძოლი სული. ჩამოყალიბდა კულტურისა და განათლების სექციაც, რათა მიეზიდათ არა მხოლოდ პარტიული მუშაკები და ჟურნალისტები, არამედ – ხელოვნების ხალხიც („რესპუბლიკის ჯარი“, „ჯარი და ერი“, „მხედარი“, „სახალხო გვარდიელი“, „ჯარისკაცი“), მაგ., გალაკტიონ ტა-

ბიძე და კონსტანტინე გამსახურდია; ნოე ჟორდანიას ხოტბას წერდნენ გრიგოლ რობაქიძე და სანდრო შანშიაშვილი.

მუშათა და გლეხთა ცხოვრების გასაშუქებლად ჩნდებოდა ახალ-ახალი გამოცემები („სოფლის მუშა“, „მეურნე“, „პროლეტარი“, „მუშათა ცხოვრება“, „ზვირთი“, „სასოფლო გაზეთი“, „რკინიგზელი“, „რუსთაველი“).

პერიოდულობით არც ესენი გამოირჩეოდნენ და რამდენიმე ნომრის შემდეგ წყვეტდნენ არსებობას.

ყურადღება ექცეოდა სახალხო განათლების სისტემას („განათლება“, „სკოლა და ცხოვრება“, „შინაგიმნაზია და უნივერსიტეტი“), ქალაქის ცხოვრებას, მუნიციპალურ საკითხებს („ერობა და ქალაქი“, „თბილისის ქალაქის საბჭოს მოამბე“, „კავკასიის ქალაქი“, „ჩვენი ქალაქი“, „Тифлисский листок“), მედიცინას და სამედიცინო მომსახურებას („ექიმი“, „ექიმის თანაშემწე“, „მოსამსახურე ფარმაცევტი“, „ჭლექი და მასთან ბრძოლა“), ვაჭრობას, მრეწველობას, ეკონომიკის საკითხებს („ვაზი და ღვინო“, „მევენახეობა და მეღვინეობა“, „საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა“, „საქართველოს ეკონომისტი“, „კავშირი“), სოციალურ უზრუნველყოფას („სოციალური საზოგადოება“, მისი გაგრძელება – „სოციალური დახმარება“).

შეიძლება სხვა გამოცემებიც დავასახელოთ, რომელთა სახელწოდება თავისთავად მეტყველებს მათს რაობასა და დანიშნულებაზე – „მილიცია“, „ფოსტა-ტელეგრაფის ხმა“, „ერობა“, „გზათა უწყების მოამბე“... ცალკე იცემოდა „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული“, დამფუძნებელი კრების მუშაობის სტენოგრაფიული ანგარიშები („საქართველოს პარლამენტი“, შემდეგ – „დამფუძნებელი კრება“).

მღელვარე დროისათვის მშვიდი მეცნიერული კვლევა-ძიება თითქოს ზედმეტი და უსარგებლო უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასე

როდი მოხდა. ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ ახალი სტიმული მისცა ეროვნულ მეცნიერებას, რაც აისახა პრესის ფურცლებზეც (მაგ., „პრომეთე“, „შვიდი მნათობი“). სპეციალურად დაარსდა პერიოდული სამეცნიერო გამოცემები – „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ და „საქართველოს მუზეუმის შრომები“.

საერთოდ პრესისა და ჟურნალისტური აზროვნების აღმავლობისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 26 მაისის აქტი, ქართული ნაციონალური სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებით (რომლითაც ბოლშევიკებმა ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, ისევე როგორც შემდეგ ევროპის სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ, ჯერ დე ფაქტოდ, ხოლო 1921 წლის იანვარში – დე იურედ) მოხდა ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზება. დაარსდა გაზეთი „კომუნისტი“, რომელმაც რამდენიმეჯერ შეიცვალა სახელწოდება. „კომუნისტს“ უნდა გაემრავლებინა, გაეძლიერებინა მინიმუმამდე დასული ბოლშევიკური ძალები, მოსკოველი კოლეგების მხარდაჭერით დაპირისპირებოდა მმართველ პარტიას, რომლის რიცხვმა 80 ათასს მიაღწია.

საქართველოს ბოლშევიკური პრესა მანამდე გამოდიოდა მენშევიკების წინააღმდეგ და ამისი გამოხატულება იყო გაზეთები „Кавказский рабочий“ (1917–1918) და „ბრძოლა“ (გაგრძელება – „მუშის ბრძოლა“). ხოლო რსფსრ-ის სახალხო კომისარმა ი. ბ. სტალინმა თავიდანვე შეურიგებელი პოზიცია დაიკავა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ. ბოლოს სწორედ მისი ინიციატივითა და თაოსნობით დაემხო დემოკრატიული რესპუბლიკა და მოხდა საქართველოს ანექსია.

ბოლშევიკური პრესა არ იყო მრავალრიცხოვანი, გამოდიოდა დროგამოშვებით, რადგან, განსხვავებით სხვა პარტიებისაგან, მისი მესვეურები უარყოფდნენ ხელისუფლებასთან დიალოგსა და თა-

ნამშრომლობას, ხალხს მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ამიტომ ზოგი ხელმძღვანელი მუშაკი დაპატიმრებას ვერ ასცდა, ზოგიც საქართველოში არ იმყოფებოდა.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილ ვითარებას აშუქებდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „Известия Тбилисского Совета рабочих и солдатских депутатов“.

დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ დაშვებული პარტიების თანაარსებობა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მათი მონაწილეობა, უფლებრივი თანასწორობა განაპირობებდა პრესის თავისუფლებასაც. მაგრამ ზოგჯერ ხელისუფლება მაინც ხურავდა ამა თუ იმ ორგანოს – არასასურველი მიმართულების ან გამოსვლის გამო. მაგ., გაზეთი „კომუნისტი“ დაიხურა 10 ნოემბრის შემდეგ თბილისის გენერალ-გუბერანატორის განკარგულებით, ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“ – შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითებით.

ამიტომ რედაქცია იძულებული იყო გამოცემისათვის სახელი შეეცვალა. მაგ., ჯერ გამოდიოდა „კომუნისტი“, შემდეგ – „საქართველოს კომუნისტი“, ბოლოს – „ახალი კომუნისტი“. ასევე „საქართველო“ შეცვალა „ახალმა საქართველომ“. ხოლო როცა მისი გამოცემაც შეჩერდა, გამოვიდა „ივერია“. 1918 წელს შეწყდა ბოლშევიკური „ბრძოლის“ გამოცემა, მაგრამ არალეგალურად იბეჭდებოდა „მუშის ბრძოლა“, რომელმაც, როგორც სათაურიდან ჩანს, გააგრძელა დაწყებული უკეთური საქმე. ასევე შეიცვალა „კლდე“, „სალ კლდედ“, „სალი კლდე“ – „პიტალო კლდედ“, „ხალხის ერთობა“ – „ხალხის თავისუფლებად“ და ა. შ.

პერიოდულობის დარღვევას ან გამოცემათა ხშირ შეწყვეტას უმთავრესად იწვევდა მაინც ქვეყნის მძიმე ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობა, რასაც აღიარებდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

იმპერიის დამხობის შემდეგ დაიხურა ყოველდღიური „Кавказ“, რომელიც გამოდიოდა 1845 წლიდან და ოფიციოზად ითვლებოდა.

საკმაო ადგილი ეთმობოდა მხატვრულ ლიტერატურას. მაგრამ სპეციალიზება და დიფერენცირება აქაც მოქმედებდა.

ამიტომ პოლიტიკურის, სამეცნიეროს, იუმორისტულ–სატირულის გვერდით ჩამოყალიბდა სალიტერატურო პრესა.

ესეც დაიყო ცალკეულ მიმართულებებად (მაგ. „ცისფერყანწელთა“).

გამოიცა არაერთი ჟურნალი, რომელიც მთლიანად მხატვრულ ლიტერატურას, მწერლობის პრობლემებს მოიცავდა („მეოცნებე ნიამორები“, „თოლაბულისის სარტყელი“, „კრონოსის სარკე“, „ლეილა“, „პრომეთე“, „მზიური საქართველო“, „პარნასი“, „ბარიკადი“, „სმარაგდი“, „ტფილისი“, „შვიდი მნათობი“, „ცისარტყელა“). ჟურნალების ფურცლებზე ახალგაზრდობასთან ერთად იბეჭდებოდნენ უფროსი თაობის სიტყვის ოსტატები (შ. არაგვისპირელი, ვ. ბარნოვი, დ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე...). რედაქტორები თავად მწერლები იყვნენ, რომლებიც გამოხატავდნენ ცალკეული ჯგუფის ინტერესებს (მაგ., „ცისფერყანწელები“). მაგრამ ხალისით ბეჭდავდნენ იმ ავტორებსაც, რომლებიც იღვწოდნენ ქართული სიტყვის განახლებისათვის.

შეიძლება ითქვას, ამ გამოცემების ამოსავალია წმინდა ხელოვნების თვალსაზრისი. უარყოფილია ესთეტიკური კომპრომისი, აქტუალური იდეების პროპაგანდა, რაც ხშირად ნიღბავს ხოლმე მხატვრულ უმწეობას. თუმცა, ცხადია, მათში იჭრება თანამედროვე სულისკვეთებაც, რთული ეპოქის დინამიკა და სურათები. მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხატვრული გარდასახვა მოხერხდა. ამიტომ შედარებით მცირეა ნაციონალური თუ სოციალური პრობ-

ლემატიკის ხვედრითი წონა, მაგრამ ნაციონალურია ავტორთა პოზიცია და სულისკვეთება.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მონუმენტური ჟურნალი „შვიდი მნათობი“ (პირველი ნომერი შეიცავს 318, მეორე – 468 გვერდს), რომელმაც თავი მოუყარა თვალსაჩინო მწერლებს, მხატვრებს, მეცნიერებს. ამ ჟურნალის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ ოციან წლებში გამოცემული „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“.

ხოლო უსწრებს „მოამბე“ (რედ. ალ. ჭყონია), რომელსაც ასევე ენციკლოპედიური პროფილი ჰქონდა.

ქართული მწერლობის კონსოლიდაციის გამოხატულებაა, აგრეთვე, „ცისარტყელა“ (1919-1920, თოთხმეტი ნომერი), რომელსაც ჰქონდა პოეზიის, ბელეტრისტიკის, დრამის, კრიტიკის და ბიბლიოგრაფიის განყოფილებები.

ასევე მნიშვნელოვანია „ცისფერყანწელთა“ „მეოცნებე ნიამორები“, რომლის გამოცემა გაგრძელდა 1924 წლამდე. იგი მცირე ფორმატისა და მოცულობისაა, მაგრამ ყოველი ლექსი, ესსე თუ ნოველა მხატვრული თვალსაზრისით საყურადღებოა.

ჯერ არ არსებობს რადიომაუწყებლობა, ტელევიზია, ინტერნეტი. ამიტომ ინფორმაციის გავრცელების მთავარი საშუალება არის პრესა – ბეჭდვითი სიტყვა.

პრესის ფურცლებზე სრულად და ობიექტურად აისახა ქართველი ხალხის ცხოვრება, პოლიტიკური და კულტურული პროცესები 1917 წლის მარტიდან 1921 წლის მარტამდე.

3. ემიგრანტული კულტურა

1921 წლის 25 თებერვალს წითელი დროშა აფრიალდა ტფილისის თავზე. დაიწყო ახალი – ბოლშევიკურ-ჩეკისტური ეპოქა

ქართველი ერისა და კულტურის ისტორიაში, რაც გაგრძელდა 1990 წლის 28 ოქტომბრამდე.

თომას მანი ემიგრაციაში რომ წავიდა, განაცხადა, სადაც მე ვარ, იქ არის გერმანული კულტურაცო!

ქართველ ემიგრანტებს ამის თქმა არ შეეძლოთ. მაგრამ პოლიტიკოსებთან ერთად აქტიურობდნენ მწერლები, პუბლიცისტები.

მათი ამოსავალი პოლიტიკა და ნაციონალიზმი იყო.

აქ უნდა გამოვყოთ ორი ასპექტი – ემიგრანტების ნაწილი უცხოეთშიც აგრძელებდა ქართულ კულტურას (მაგ., გრ. რობაქიძის რომანები და ესსეისტიკა).

ემიგრანტები ამხელდნენ ბოლშევიკური ხელისუფლების სისასტიკესა და სიყალბეს, სოციალისტური კულტურის სქემატიზმს, აპოლოგიურ ხასიათს.

პოეტები წერდნენ გულწრფელ, პატრიოტულ, მაგრამ საკმაოდ სუსტ ლექსებს. მათთვის ხელოვნება არ იყო მთავარი, არამედ – ემიგრანტის სევდა და გოდება სამშობლოს ბედზე, ნოსტალგია.

მეცნიერები აგრძელებდნენ თავიანთ მოღვაწეობას (მაგ., ადრე მ. თამარაშვილი, შემდეგ ე. თაყაიშვილი, მ. თარხნიშვილი, გრ. ფერაძე, მ. წერეთელი, კ. ჩხენკელი, კ. სალია).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიკტორ ნოზაძის რუსთაველოლოგიური ნაშრომების ციკლი, რომელსაც ერთი პერიოდი კრძალავდა მთავლიტი.

საბჭოთა ოფიციოზი ლოიალურად იყო განწყობილი კ. და ნ. სალიებისადმი. ისინი პარიზში სცემდნენ სამეცნიერო კრებულს – „ბედი ქართლისა“.

ქართველები ემიგრაციაშიც აგრძელებდნენ ქიშპსა და შუღლს, რასაც ახლდა მკვლელობებიც (მაგ., გრ. ვეშაპელისა, ნ. რამიშვილისა). იშლებოდნენ პარტიებად და ჯგუფდებოდნენ, სცემდნენ

პოლიტიკურ ჟურნალ-გაზეთებს, იცვლიდნენ პოლიტიკურ პოზიციებს (მაგ., ჰიტლერულ გერმანიასთან მიმართება).

ისინი იხურებოდა. შემდეგ ახალი ცვლიდა და ასე მოაღწია ემიგრანტულმა პრესამ 1990 წლამდე.

1921 წლის ემიგრანტებს ერთვოდა 20–იან წლებში უცხოეთში წარსული და იქ დარჩენილი ახალგაზრდობა, ქ. ჩოლოყაშვილის ჯგუფი. შემდეგ მეორე დიდი ტალღა მოჰყვა მსოფლიო ომის დასრულებას.

ქართველები მონაწილეობდნენ „თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ გადაცემებში, ჰქონდათ პერიოდული ქართული გადაცემები (მაგ., გვახსოვს მაშინდელი დიქტორების ფსევდონიმები - ხუტა ფოთელი, ლეო ლეჩხუმელი).

ამ რადიოარხებს დიდი მონდომებით ახშობდა სსრკ–ის უშიშროების სამსახური.

ჟურნალ-გაზეთები არ შემოდიოდა, წიგნები – იშვიათად. არსებობდა მხოლოდ სამეცნიერო კონტაქტები.

ემიგრანტების მეორე ნაწილის მოღვაწეობა არ განეკუთვნება ქართულ კულტურას. მაგ., ჯ. ბალანჩინი, ერთ-ერთი შემქმნელი ამერიკული ბალეტისა, არის ქართული წარმომავლობის ამერიკელი ბალეტმაისტერი. იგივე ითქმის ბალერინა ე. ფაღავაზე, მსახიობ თ. თუმანიშვილზე, ასევე ცალკეულ მეცნიერებსა (მაგ., მუსხელი, ავიკონსტრუქტორი ალ. ქართველიშვილი) და პოლიტიკურ მოღვაწეებზე (მაგ., ჯონ მალხაზ შალიკაშვილი – აშშ-ის გენშტაბის უფროსი და ნატოს ჯარების მთავარსარდალი).

ისტორიულმა ავბედითობამ გერმანელ მწერლად აქცია გ. მარგველაშვილი, რუს მწერლად – ბ. ოკუჯავა, რუს მეცნიერად – კ. მარჯანიშვილი, ალ. ნადირაძე, დ. ვაჩნაძე, ს. ბერია, ჯ. გვიშიანი, რუს რეჟისორად გ. კალატოზიშვილი, გ. დანელია...

პიროზითად შეიძლება ქართულ კულტურას მივაკუთვნოთ მხატვარი ფელიქს ვარლა (ვარლამიშვილი).

ყველაზე ვრცელი სპექტრი ეკავა მასმედიას – პრესას (იხ. გ. შარაძის „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, I-III), პოლიტიკურ პრობლემატიკას.

ემიგრანტული კულტურის ორივე ნაკადი თანდათან სუსტდებოდა და ქრებოდა, ერწყმოდა იმ ქვეყნების კულტურებს, სადაც ცხოვრობდნენ.

შვილებმა ნაკლებად, შვილიშვილებმა – იშვიათად იცოდნენ ქართული ენა და მათ მხოლოდ ის ახსოვდათ, რომ ჰქონდათ ქართული წარმომავლობა.

ასეთი არის ემიგრაციის დასასრული.

ქართველ ემიგრანტთა მოღვაწეობას საქართველო გაეცნო პერესტროიკის დროიდან, როგორც უკვე გარდასულ პროცესს (იხ. გ. შარაძე, უცხოეთის ცისქვეშ, I-III).

VII. სოციალისტური კულტურა: 1921-1990

1. ბოლშევიზმი და კულტურა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სახელი შეეცვალა – იგი გახდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ნაციხარი და ნაკატორღალი მარქსისტი ბოლშევიკები ემყარებოდნენ რეპრესიულ მექანიზმს, ძალას და პროლეტარიატის დიქტატურის სახელით ქმნიდნენ სამხედრო-პოლიციურ სახელმწიფოს, რომლის საწყისები არის როგორც მაკიაველთან და იეზუიტებთან, ისე აღმოსავლურ დესპოტიზმში.

ისინი თანასწორობის ლოზუნგებით შურს იძიებდნენ რელიგიებზე, კულტურაზე, ადამიანურ ღირსებებზე, ეროვნულ შეგნებაზე...

ლენინი და ტროცკი ოცნებობდნენ მსოფლიო რევოლუციაზე, რომ ყველგან ეფრიალა მესამე ინტერნაციონალის წითელ დროშას. ოღონდ ჯერ არ იცოდნენ თუ რა კავშირი ექნებოდათ ერთმანეთთან თანასწორუფლებიან ბოლშევიკურ სახელმწიფოებს.

ამიტომ საქართველო ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. იგი იდეოლოგიურ-პარტიული თვალსაზრისით მოსკოვზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ჰქონდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, კულტურის განვითარების პირობები.

წითელი იმპერია სცნობდა და იცავდა შემავალი დიდი თუ მცირე ერების ენასა და კულტურას, ნაციონალურ-ადმინისტრაციულ დაყოფას, საზღვრებს, მათ ნომინალურ ხელისუფლებას, როგორც რეგიონულს.

იდეოლოგიური ბაზისი – მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაშრომები, სსრკ კონსტიტუცია (1936) და კომპარტიის მოკლე კურსი (1938) სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა იყო.

სოციალიზმის ცნობილი თეორეტიკოსები უარყოფილ იქნენ, როგორც უცხოელები (მაგ., კაუცკი), ისე საბჭოელები (მაგ., ტროცკი და ბუხარინი).

სსრკ კულტურასა და განათლებას ხელმძღვანელობდა ანატოლ ლუნაჩარსკი, რომელიც კარგად იცნობდა დასავლეთს.

ახალი იდეოლოგიის მიზანი იყო წარსულის რევიზია, ადამიანური ცნობიერების გადაკეთება, რეალური ცხოვრებისა და ურთიერთობების გარდაქმნა, ენებისა და ერების ჰარმონიული თანაარსებობა ერთ სისტემასა და ერთ სახელმწიფოში, რათა აეშენებინათ ჯერ სოციალიზმი, შემდეგ – კაცთა სანუკვარი, მაგრამ ბუნდოვანი ოცნება – კომუნიზმი.

ბოლშევიკები ატარებდნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, თანასწორუფლებიანობას ყველა სფეროში. ამიტომ ისეთი სისტემის შექმნა საჭირო იყო, რაც ისევ ერთად შეკრებდა განმდგარ ერებს.

1922 წელს ასეთი, ფედერალისტების მსგავსი მოდელი შეიმუშავა სტალინმა ავტონომიების სახით, რომელთა დომინანტი იქნებოდა რუსეთი.

ლენინმა უარყო იგი და ავტონომია შეცვლა რესპუბლიკით. ამ სისტემაში ჩაძირა რუსეთიც.

არსებითად ეს იყო არა ფედერაციის, არამედ – კონფედერაციის მოდელი, რაც ერთიანი იდეოლოგიით გააერთიანებდა ქვეყნებს, მაგრამ მისცემდა შეზღუდულ დამოუკიდებლობას.

საქართველოსათვის ეს იქნებოდა ახალი დროის გეორგიევსკის ტრაქტატი, ერების საკონტაქტო საფუძველი კი – რუსული ენა.

ლენინის მოთხოვნას, ცხადია, დაემორჩილა სტალინი. მაგრამ რეალურად მაინც თავისი იდეა გაატარა და ახალი პოლიტიკური გაერთიანება – სსრკ იყო არა კონფედერაცია, არამედ – სხვადასხვა დონის ფედერაცია (რესპუბლიკა, ავტონომია, ოკრუგი, ოლქი).

საბჭოთა სახელმწიფოს ჰქონდა ერთი არსებითი სიახლეც – ყოველ რესპუბლიკას მიენიჭა სსრკ-დან თავისუფლად გასვლის უფლება.

დიქტატურის პირობებში ეს უტოპია იყო და ფიქრსაც ვინ გაბედავდა. მაგრამ თეორიულად ხომ არსებობდა, რაც აქტუალური გახდა პერესტროიკის დროს.

ქართველებმა დიდი წვლილი შეიტანეს რევოლუციურ მოძრაობაში, ცარიზმის დანგრევაში.

შემდეგ საკუთარი სამშობლოც დაამხეს, დაშალეს და დაანაწევრეს. მაგრამ ე. წ. შულავერის მთავრობის წევრებს ამაგი მაინც არ დაუფასეს:

ისინი ნაციონალ-უკლონისტებად გამოაცხადა სტალინმა და საქართველო პირდაპირ კი არ შეიყვანა სსრკ-ში, არამედ – ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

ოღონდ ცენტრი იყო ტფილისი და ძირითადი მმართველები – ქართველები (მაგ., ორჯონიკიძე, ლომინაძე, ქართველიშვილი, ბერია).

ამ სისტემამ იარსება 1936 წლამდე, სსრკ ახალ, სტალინურ კონსტიტუციამდე.

საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობა (ოკუჯავები, ბ. მდივანი, ს. ქავთარაძე, მ. ორახელაშვილი, ფ. მახარაძე...), ე. წ. შულავერის მთავრობის წევრები, XI არმიას რომ შემოიყვანენ ტფილისში, სტალინმა და ორჯონიკიძემ ნაციონალ-უკლონისტებად მონათლეს და ჩამოაქვეითეს, 1937-ში კი დახვრიტეს (გარდა ფ. მახარაძისა).

სტალინი პარტიის გენერალური მდივანი იყო და მთლიანი ხელისუფლების ასაღებად ემზადებოდა.

სსრკ გამოცხადდა 1922 წლის 30 დეკემბერს.

ეს სტალინის კიდევ ერთი პოლიტიკური დამსახურება იყო, რაც ფორმალურად ათანაბრებდა რესპუბლიკებს, მაგრამ დომინანტს უნარჩუნებდა რუსეთსა და მოსკოვს, რუსულ ენასა და კულტურას, რომელსაც ისევ არარუსები მართავდნენ (მაგ., ებრაელები – ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, კაგანოვიჩი, პოლონელი ძერჟინსკი, ქართველი სტალინი, სომეხი მიქოიანი, რუსები იყვნენ რიკოვი და მოლოტოვი).

საქართველოს ჰქონდა ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქი, მათგან აფხაზეთი – ხელშეკრულებით 1931 წლამდე, ე. ი. მეტი იყო ავტონომიურ რესპუბლიკაზე და ნაკლები მოკავშირე რესპუბლიკაზე.

ამიერკავკასიამ განსაკუთრებით დიდ ეკონომიკურ და კულტურულ წარმატებებს მიაღწია 20-იან წლებში, ლ. ბერიას მმართველობის წლებში.

მაგრამ იგი იყო სტალინური მასობრივი ტერორის მეთაურიც საქართველოში.

ეს ორსახოვანი იანუსი ამავდროულად იწყებს ნაციონალიზების პროცესს, დათრგუნული ღირსების აღდგენას, რაც სრულად გაიშალა ომის შემდეგ.

ცხადია, სტალინის თანმხობის გარეშე ბერია ვერაფერს შესძლებდა.

საბჭოთა ხელისუფლებას ჰქონდა განსხვავებული პერიოდები, ჰყავდა ასევე განსხვავებული ლიდერები.

კომუნიზმის იდეალი უტოპია რომ აღმოჩნდა, ამას 60-იანი წლებიდან ლიდერებიც მიხვდნენ. მისკენ ილუზიურ სწრაფვას მო-

ჰყვა უდიდესი მსხვერპლი, რომლის მსგავსი არ იცის კაცობრიობის ისტორიამ.

იყო ასევე უდიდესი წარმატებები როგორც პოლიტიკაში, ისე კულტურაში. მაგრამ მასების სიღატაკე დაიძლია მხოლოდ 60–იან წლებში.

პროპაგანდა ყველაფერს ვარდისფრად წარმოსახავდა (შდრ – ანდრე ჟიდის „სსრკ-დან დაბრუნება“, რამაც განარისხა ოფიციოზი).

ამიტომ საბჭოთა პერიოდის ცალმხრივი შეფასება არ არის მართებული.

საქართველოშიც იგივე მოხდა, რაც მთელს სსრკ-ში. გარკვეული სპეციფიკა ყველგან არსებობდა, ასევე – მეტ-ნაკლები წარმატებაც (ვრცლად იხ. „ქსე. საქართველოს სსრ“, თბ., 1981), რაც მოჰყვა თანასწორობისა და თანაბარი განაწილების პრინციპებს.

კულტურის იდეოლოგიზება

ჯერ კიდევ 1905 წელს ლენინმა გამოაქვეყნა სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელშიც მომავალი ბელადი მოითხოვდა, რომ ლიტერატურა ექციათ პარტიული ბრძოლის ნაწილად (შესაბამისად – მთელი კულტურაც).

მწერლები ადრევე იყვნენ თანაგრძნობით განწყობილი რევოლუციური განახლებისადმი, წერდნენ „ვარშავიანკას“, „მარსელიეზას“, „ინტერნაციონალს“, „სიმღერას ქარიშხალაზე“, რომანებს „კრაზანას“ და „დედას“, ლექსებს – „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“, „დროშები ჩქარა!...“

მაგრამ მათ ავტორებს არც უფიქრიათ, რომ მთლიანი შემოქმედება პარტიის ინტერესებში ჩაეყენებინათ ან აესახათ კონკრეტული გადაწყვეტილებანი, შეეცვალათ მსოფლმხედველობა ან პარ-

ტიის ერთგული წევრები გამხდარიყვნენ (შდრ – გორკის კონფლიქტი ლენინთან).

ლენინი მოითხოვდა, რომ ყველა ბოლშევიკი ყოფილიყო ჩეკისტი და ეწერა „დანოსები“. ასე შეიქმნებოდა სამხედრო-პოლიციური სახელმწიფო, რომელიც ერთი სულისკვეთებით დარაზმავდა მშრომელებს კომუნიზმის ასაშენებლად, შთაგონებით დამუხტავდა შემოქმედს და შექმნიდა შესაბამის ხელოვნებას, მეცნიერებას, ეთიკას, ხედვას მატერიალიზმის საფუძველზე – მისტიკისა და ღმერთის გარეშე.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბოლშევიკებმა დაიწყეს კულტურის ანექსია, დაქვემდებარება პოლიტიკისა და იდეალებისადმი. თავიდან არც იცოდნენ, ეს როგორ გაეკეთებინათ. ამიტომ ერთმანეთს ედავებოდნენ და სასტიკად აკრიტიკებდნენ (მაგ., ბოგდანოვი, ვარდინი) .

ერთხანს ლოიალურად განწყობილ შემოქმედს „თანამგზავრის“ ტიტულს აძლევდნენ. თანამგზავრი, მაგრამ რომელ სადგურამდე? – სვამდა კითხვას ტროცკი.

მოდერნისტები 20-იან წლებში ისევ აგრძელებდნენ აღებულ სტილურ და თემატურ კურსს (მაგ., გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე, დ. შენგელაია, გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, ტ. გრანელი, კ. ჭიჭინაძე, ალ. აბაშელი).

ზოგჯერ ანტისაბჭოთა ნოტებიც გაკრთებოდა (ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, კ. მაყაშვილი, მ. ჯავახიშვილი). კ. გამსახურდიას პროლეტარიატის დიქტატურის საპირისპიროდ ქართული კულტურის დიქტატურის ცნება შემოჰქონდა და ნიცშეს ანალოგიით დისტანციის თეორიას ემხრობოდა.

მაგრამ ბოლშევიზმი ძლიერდებოდა და კრძალავდა ნაციონალიზმს, სევდასა და მელანქოლიას, პარტიის კრიტიკას, მოითხოვდა, რომ აესახათ საბჭოთა აღმშენებლობა, ეჩვენებინათ მუ-

შისა და გლეხის სახეები, გამოეყვანათ ბოლშევიკი და კომკავშირელი, რომელიც ამსხვრევს ძველ ქვეყანას, წარმოედგინათ სანიმუშო ტიპი (მაგ., ოსტროვსკის პავლე კორჩაგინი).

ძალადობა, სისხლისღვრა, ნგრევა ახალი გმირის თვისება იყო.

რკპ(ბ) ცეკას 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუციით უარყოფილ იქნა ნეიტრალური ლიტერატურა.

გამოიკვეთა ორი ნაკადი – პროლეტკულტელები და ფუტურისტ – ლეფელები. ასევე მოხდა საქართველოშიც.

პროლეტკულტელებს მთავრობისაგან სრული მხარდაჭერა ჰქონდათ. მაგრამ მათი აგიტაციურ-პროპაგანდისტული სტილი, ლოზუნგები და მოწოდებები ხალხის გულს ვერ სწვდებოდა.

ისინი აყენებდნენ კულტურის გარდაქმნის პროგრამას, რაც ნიშნავდა ანტიკულტურის დანერგვას, პლაკატურ აზროვნებას.

მეორე ნაკადი იყო ფუტურისტულ-ავანგარდისტული. მისი ლიდერი იყო ბაღდათელი რუსი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, „შარვლიანი ღრუბლის“ ავტორი.

ფუტურისტები თვლიდნენ, რომ როგორც მოხდა სოციალური რევოლუცია, ისე უნდა მოხდეს გადატრიალება კულტურასა და აზროვნებაში. ისინი ეყრდნობოდნენ იტალიელი მარინეტის თეორიებს და მათ მიხედვით ცდილობდნენ რევოლუციისა და სოციალიზმის სამსახურს.

ლენინს ფუტურისტები არ მოსწონდა, მაგრამ არ აუკრძალავს, ისე კი აყენებდა საკითხს, რომ, ვთქვათ, მაიაკოვსკი 1.500 ცალზე მეტი არ დაებეჭდათ.

ლენინს სჭირდებოდა არა რებუსული და გაუგებარი, არამედ ნათელი და გასაგები კულტურა, აზროვნება, მხატვრული ენა, რათა ბოლშევიზმის იდეები შეუმჩნევლად დაენერგათ მასების ცნობიერებაში, მოემხროთ წერა-კითხვის მცირედ მცოდნენი.

ფულტურისტებს, დადაისტებს, კონსტრუქტივისტებს ეს არ შეეძლოთ. მაგრამ რადგან თეორიულად თავს აცხადებდნენ პარტიის, სსრკ-ის, ლენინის მომხრეებად – არ ზღუდავდნენ და აძლევდნენ დროს, რომ თანდათან უკეთ აეთვისებინათ პარტიის პოლიტიკა და ჩამდგარიყვნენ სოციალისტური აღმშენებლობის სამსახურში.

ბედის ირონიით, ფუტურისტების მოძულე ლენინზე საუკეთესო პოემა დაწერა ფუტურისტ-ლეფელმა მაიაკოვსკიმ და არა დემიან ბედნიმ ან რომელიმე სხვა პროლეტკულტელმა.

ბოლშევიკები ცდილობდნენ ტექნიკის სასწაულით ხალხის განცვიფრებასა და მოხიბლვას (მაგ., ჰესები, ტრაქტორი, კომბაინი) და ერთხანს ორიენტირს აშშ-სკენაც კი იღებდნენ.

ავანგარდიზმიც ტექნიკას აიდეალებდა. მაგრამ ანტიესთეტიზმი და ახალი კომუნიკაცია მასებს არ ესმოდათ და მორიგი გაუგებარი ექსპერიმენტები ბოლშევიკებს არ სჭირდებოდათ.

განათლება და აღზრდა

ბოლშევიკები განსაკუთრებული მონდომებით ეკიდებოდნენ კულტურას, მეცნიერებას, ხელოვნებას, სპორტს, პროპაგანდას უწევდნენ მათ მიღწევებს, ერთგულ მუშაკებს ადიდებდნენ, ორგულებს ან საეჭვოებს – სჯიდნენ.

რელიგია კულტურის ის სფერო იყო, რომელიც ათეისტებმა უარყოფის ობიექტად აქციეს. არც ქრისტიანობა, არც მაჰმადიანობა ფორმალურად არ აუკრძალავთ, მაგრამ ფაქტიურად დაანგრიეს, მუდმივი თვალთვალისა და შეზღუდვის შედეგად ცდილობდნენ გაექროთ.

კულტურის საფუძველი არის განათლება, რაც კომუნისტებმა თავიანთ ხელში აიღეს.

საქართველოს რევკომის დეკრეტით, რესპუბლიკაში წერა–კითხვის უცოდინარი არავინ უნდა ყოფილიყო.

შეიქმნა სათანადო სამთავრობო კომიტეტი, საზოგადოებრივი ორგანიზაციაც – „წერკუმსი“.

საყოველთაო სწავლება, შესაბამისი პროგრამები, ტექნიკური ბაზა, სკოლა და უმაღლესი სასწავლებლები ისევე იდგა ბოლშევიკების ყურადღების ცენტრში, როგორც კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია.

აღზრდის პროცესი მთლიანად იდეოლოგიზებული იყო.

სსრკ-ში აღზრდით, იდეოლოგიით, ანტირელიგიური და ანტიკაპიტალისტური დამოკიდებულებით გამოჰყავდათ ახალი ჯიშის ადამიანი – საბჭოთა მოქალაქე, ინტერნაციონალისტი, ამქვეყნიური სამოთხის – კომუნიზმის მშენებელი.

განათლების სისტემას მეფის რუსეთიც აკონტროლებდა. მასაც სჭირდებოდა ერთგული და კვალიფიციური კადრები. მაგრამ ბოლშევიკებმა აქაც ტოტალური დიქტატურა დაამყარეს.

ერთი მხრივ – სკოლა, უნივერსიტეტი, ინსტიტუტი თუ საბავშვო ბაღი მთლიანად სახელმწიფოსაგან ფინანსდებოდა, მეორე მხრივ – სახელმძღვანელოებიც, დაწერილი ერთგული პედაგოგ–მეცნიერების მიერ და სათანადო კონტროლით – სახელმწიფოს მიერ იცემოდა.

ავტორებს ჰონორარი ეძლეოდათ.

შენობები, სასწავლო ინვენტარი, პროფესორ–მასწავლებელთა კონტიგენტი სახელმწიფოს მიერ ნაწილდებოდა.

სოციალიზმი თანასწორუფლეინობას მოითხოვდა ყველა სფეროში, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, რწმენისა, ასაკისა.

ამიტომ მთელს სსრკ-ში არსებობდა ერთიანი განათლების სისტემა. ასეთი უნიფიცირება კარგიც იყო და ცუდიც – არავინ უნ-

და დაჩაგრულიყო, ყველას ერთიანი ხელფასი ჰქონოდა, ერთნაირი სახელმძღვანელო, შენობა თუ ინვენტარი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სსრკ-ის ნაწილი იყო და აქაც იგივე კანონები მოქმედებდა, რაც შორეულ იაკუტიაში, ბელორუსიასა თუ ყაზახეთში.

მხოლოდ ენა ქმნიდა განსხვავებას, რასაც ასწორებდა რუსული და აერთიანებდა ერებს.

ეკლესია

„გაუქმებული, ვით სახარება“, – წერდა სიმონ ჩიქოვანი.

ბოლშევიკები ართუ უარყოფდნენ რელიგიას, არამედ სდევნიდნენ ეკლესიის მსახურებს, მინიმუმამდე დაჰყავდათ ეპარქიები, ამასხრებდნენ და აშარჟებდნენ პრესის ფურცლებზე.

ბევრი დააპატიმრეს, გაკრიჭეს, მღვდლმსახურებას ჩამოაშორეს, დახვრიტეს.

„რელიგია ხალხის ოპიუმია“, – ასეთი იყო ლენინის სახელმძღვანელო იდეა. ამიტომ ანგრევდნენ ეკლესიებს, ამ პროცესს სურათებს უღებდნენ, რათა ხალხს შეეგნო, რომ „ღმერთი მოკვდა“ (ფრ. ნიცშე).

რუსეთში ტროცკის ბრძანებით ძეგლი დაუდგეს იუდას, რომელმაც ქრისტე გაყიდა.

განსაკუთრებული სიძულვილით ეპყრობოდნენ პატრიარქ ამბროსი ხელაიას, რომელმაც საპროტესტო, ანტიბოლშევიკური წერილი გაუგზავნა გენუის კონფერენციას (1922 წ.).

ეკლესია იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას და გმობდა ბოლშევიკების ტირანიას (შდრ – ბაბუა ტარიელი „მთვარის მოტაცებაში“).

როგორც ვთქვით, ფორმალურად არც ქრისტიანობა აუკრძალავთ, არც მაჰმადიანობა მაგრამ ისინი ლამის კანონგარეშე გამოაცხადეს, დააკავშირეს სუკთან და მრევლს მოსწყვიტეს.

სახელმწიფოს გამოეყო ეკლესია, ეკლესიას – სკოლა (საქართველოს რევკომის №21 დეკრეტი, 1921 წლის 15 აპრილი).

დარჩენილ ეკლესიებს ჩამოართვეს განძეულობა, როგორც ადრე მიწები. გააუქმეს საეკლესიო გადასახადები.

ეკლესიის შეზღუდვა ჯერ კიდევ ნოე ჟორდანიას მთავრობამ დაიწყო. მათ სკოლიდან ამოიღეს საღვთო სჯული.

ბოლშევიკებმა დახურეს 1435 ეკლესია, მოწამეთა წმიდა ნაწილები გადაყარეს. შექმნეს უღმერთოთა კავშირი. მღვდელმსახურები დაბეგრეს.

ასეთი სიძულვილი რელიგიისადმი ფრანგი განმანათლებლების ნააზრევიდან იღებს სათავეს:

მატერიალიზმი არ სცნობდა ღმერთსა და საიქიოს.

ბოლშევიკებზე არანაკლებ სასტიკად იქცეოდნენ ფრანგი კომუნარები.

მეორე მხრივ – თავად ბევრი ღვთის მსახური უტეხდა სახელს ეკლესიას, ჯვარხატებს, წმინდანებს, ქრისტიანულ ეთიკას.

პერესტროიკის დროიდან ხელისუფლება ავტორიტეტს უქმნიდა პატრიარქს, რათა მისი მეშვეობით ემართა მასების ის ნაწილიც, რომელიც არ ენდობოდა მთავრობას.

ძველი სემინარიელი სტალინი ბევრს ეცადა, რომ ხალხის მეხსიერებიდან განედევნა ქრისტეს სახელი. ეს ვერ მოხერხდა. მისი ხელმოწერით დახვრიტეს კათალიკოს კალისტრატე ცინცაძის ქალიშვილი.

ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, თეატრი, კინო ვერ ელეოდა **ნაზარეველს.** ქრისტეს რწმენის უკან თექვსმეტი ქართული საუკუნე იდგა.

საქართველოს ისტორიას ჯვარისა და ტაძრის გარეშე ვერ წარმოადგენდნენ. მართალია, კ. გამსახურდიამ „დიდოსტატის მარჯვენაში“ სვეტიცხოვლის ამგებ პერსონაჟს – არსაკიძეს „წარმართი“ უწოდა, მაგრამ ეს ითქვა მთაში შემორჩენილი იმ უძველესი ადათ-წესების გამო, რომელთაც ავლენდა დიდოსტატი.

ქართულ ეკლესიას სკოლასთან ერთად გამოეყო კულტურა და განათლება. იგი იზოლირებული გახადეს და მხოლოდ წარსულ დროში ახსენებდნენ. მაგრამ მოხდა პარადოქსი და ბელადს ომის საშინელ წლებში გული მოუბრუნდა ქრისტეზე, თითქოს მისთვის ეთხოვოს ქვეყნის გადარჩენა, როგორც მაშინ, სოსელო რომ იყო და „დილას“ წერდა.

მოსკოვმა ბელადის ნებით სცნო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, შეწყდა რბევა, ნგრევა და დევნა, მიეცათ უფლის მსახურების საშუალება. მაგრამ უფლებები არავის გაუზრდია.

რელიგიური დღესასწაულები ისევ გაუქმებული იყო. ეკლესიას მათი აღნიშვნა შეეძლო შემორჩენილ რამდენიმე ტაძარში (მაგ., სიონში, სვეტიცხოველში, ქაშუეთში) მცირე მრევლთან ერთად, რომელსაც სუკის მზერა არ სცილდებოდა. ეს მაშინ, როცა თავად ეკლესია და მისი მსახურები სპეცსამსახურის მორჩილი იყვნენ.

ქრისტესა და მოციქულების ადგილი დაიკავეს ბოლშევიზმის ბელადებმა და მათმა თანამებრძოლებმა, რომელთა შორის იუდასაც ხშირად პოულობდნენ (მაგ., ტროცკი).

რელიგიური დღესასწაულები შეცვალა კომუნისტურმა დღესასწაულებმა (მაგ., 1 მაისი, 7 ნოემბერი, 22 აპრილი – ლენინის დაბადების დღე, 21 დეკემბერი – სტალინის დაბადების დღე, 8 მარტი, 9 მაისი).

თუ ამას დავუმატებთ იუბილეებს, შეხვედრებს, განხილვებს – გამოდის, რომ ყოველი დღე საზეიმო იყო, როგორც ძველ რომში!

კომუნისტებს არც ღმერთი სწამდათ, არც საიქიო, არც სულის არსებობა. ისინი მატერიალისტები იყვნენ, ამქვეყნიური ცხოვრების მიღმა ვერაფერს ხედავდნენ. ამავე დროს სდევნიდნენ კერძო საკუთრებას, გამდიდრების სურვილს, სიცოცხლით ტკბობას და მოითხოვდნენ მუდმივ შრომასა და ბრძოლას, იდეალისათვის თავის გაწირვას.

ეს მაშინ უფრო მოტივირებული იქნებოდა თუ იარსებებდა მიღმური სამყაროს რწმენა, რომ აქაური აქტივობით შესაძლებელი იქნებოდა მარადიული სასუფევლის მოპოვება, როგორც აცხადებდნენ ეკლესიის მსახურები.

1958 წლის დეკემბერში სსრკ უმაღლესმა საბჭოს მიიღო კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განსამტკიცებლად. საქართველოშიც მოახდინეს ამ კანონის კოპირება.

განათლებას უნდა ჰქონოდა არა თეორიული, არამედ პრაქტიკული ხასიათი.

კომუნისტური ტოპონიმიკა და ონომასტიკა

კომუნისტები აყალიბებდნენ ახალ მითოსს, რომელსაც ჯერ ოთხი და შემდეგ სამი ღმერთი ჰყავდა, ჰყავდა თავისი მოციქულები, ქურუმებიც, წამებულებიც, ჰქონდა თავისი ბიბლია და სახარება, მართავდნენ მსხვერპლშეწირვებს, დღესასწაულებს, ესწრაფოდნენ სამოთხის მსგავს მისტიკურ იდეალს – კომუნიზმს, რომელიც არავინ იცოდა თუ როგორი იყო კონკრეტულად, ისევე როგორც საიქიო.

სსრკ გმირები ქრისტეს მხედრებს ჰგავდნენ.

ტოპონიმიკა და ონომასტიკა ბოლშევიკური მითოსის შემადგენელი ნაწილი იყო, რათა ფერისცვალება უფრო თვალსაჩინო გაეხადათ და უკვდავეყოთ თავიანთი დამსახურება.

ამიტომ დაამკვიდრეს თავიანთი ტოპონიმიკა (ქალაქების, სოფლების, ქუჩების, მოედნების, ფაბრიკა-ქარხნების სახელწოდებანი) და ონომასტიკა (ზოგი კურიოზულიც – მაგ., დაზმირი, ლენსტალბერი, პროლეტარი, ფიზიკა, დირექტორი), მიმართვის ფორმა („ამხანაგი!“), სამოსელი (ტყავის ფარაჯა, გინასტურა, შინელი, კიტელი, ბლუზა, ჩექმები).

სენაკი ცხაკაია გახდა, ოზურგეთი – მახარაძე, მარტვილი – გეგეჭკორი, ბაღდათი – მაიაკოვსკი, ცხინვალი – სტალინირი, ზესტაფონი – ჯუღელი (მცირე ხნით), ხარაგაული – ორჯონიკიძე...

ერთხანს მწერალთა კავშირი ეგნატე ნინოშვილის სახელს ატარებდა, თსუ – სტალინისა იყო, სპი – ლენინისა. კოლმეურნეობები ბოლშევიკების სახელობისა იყო.

მაგრამ ბოლშევიზმის წიაღში ნაციონალიზების ტენდენციაც ჩაისახა:

შეწყდა რუსული ტოპონიმების შემოსვლა (მაგ., როგორც იყო ადრე ნახალოვკა, პილენკოვო, რომელსაც ლესელიძე დაერქვა, შემდეგ – ალექსეევკა, ულიანოვკა).

შეჩერდა რუსული ონომასტიკის მოძალებაც (მაგ., ნატაშა, მარგუშა, საშკა, ელიჩკა, ვანიჩქა, ნიკუშა).

აქაც ევროპულ-ქრისტიანული სახელები დარჩა მოკავშირედ.

ნახალოვკა ნაძალადევად თარგმნეს. მაგრამ – მხოლოდ ლიტერატურისათვის. ხალხის მეტყველებაში იგი ვერ ჩაჯდა. ვერც ქართულმა ფონიჭალამ შეცვალა სოღანლუღი.

დიდხანს შემორჩა მეტყველებას გოლოვინის, ვარანცოვის, მიხაილოვის, არამიანცის, კაზარიანცის, ზემელის, მუშტაიდის, თათრის მოედნის, მუხრანის ხიდის სახელები. არაპოპულარული იყო კალინინის, სტალინის, ლენინის, საქარხნო, 26 კომისრის, ორჯონიკიძის რაიონები.

ტროცკის, სტალინის, მოლოტოვის, ბერიას სახელები გააქრეს. მაგრამ დარჩნენ ლენინი და ორჯონიკიძე.

ხრუშჩოვის პერიოდიდან ამგვარი ფორმით არ ხდებოდა პარტიული ლიდერების განდიდება. მათ იკმარეს პრემიები, გმირის ვარსკვლავები, ორდენები და კომფორტული ცხოვრება.

როგორც ცარიზმი, ისე ბოლშევიზმი ხელს უწყობდა მოსახლეობის ინტერნაციონალიზებას. ამისი შედეგია, რომ საქართველოდან იყო არაერთი პოლიტიკის თუ კულტურის მოღვაწე. მაგ., კამენევი, მერკულოვი, პრიმაკოვი, კომპოზიტორები - მურადელი, ხაჩატურიანი, ტარივერდიევი, კარდიოქირურგი ბურაკოვსკი, პოეტი მაიაკოვსკი, რეჟისორები – ტოვსტონოგოვი, კალატოზოვი, ფარაჯანოვი, ასტროფიზიკოსი ამბარცუმიანი, მწერლები – ოკუჯავა, აკუნინი (ჩხარტიშვილი), დემორჩიანი, თუმანიანი, მოჭადრაკე პეტროსიანი.

პროლეტარული კულტურა

ლენინი, ტროცკი, სტალინი, ლუნაჩარსკი, ბოგდანოვი, ვარდინი (მგელაძე), ბუხარინი განიხილავდნენ პროლეტარიატის დიქტატურის დროს თუ როგორ უნდა ყოფილიყო საბჭოთა კულტურა, რა ფორმა და როგორი შინაარსი ექნებოდა მას.

რევოლუციონერები აქაც რევოლუციურ იდეებს აყენებდნენ.

ჯერ არცერთ ქვეყანაში მთლიანი კულტურის გამგებელი და მეცენატი ხელისუფლება არ ყოფილა. საჯარო ხელოვნება არსებობდა რომშიც. მას ეხმარებოდნენ, აფინანსებდნენ, აძლევდნენ დაკვეთებს. მაგრამ არ მოიცავდა მთლიან კულტურას და არც იდეოლოგიურად იყო ზუსტად განსაზღვრული.

ბოლშევიზმმა მთლიანად აიღო ხელთ განათლება და კულტურა. არ დასჯერდა კონტროლს ან ნაწილობრივ დაფინანსებას.

კულტურა გახდა პარტიული ბრძოლის, მარქსისტული იდეოლოგიის ნაწილი, რომელსაც მეთოდად სტალინმა განუსაზღვრა სოციალისტური რეალიზმი.

ჯერ თავად ენთუზიასტი პროლეტკულტელები თხზავდნენ თეორიებს, მოითხოვდნენ პროგრამებს და აქებდნენ საბჭოთა აღმშენებლობას. ისინი დიდი ცოდნით, გემოვნებით ან ნიჭით არ გამოირჩეოდნენ. მაგრამ ფანატიკურად სწამდათ მარქსი და ლენინი, კომუნიზმი, სსრკ.

სტალინმა სსრკ-ს, პარტიას, მშრომელებს მიზნად დაუსახა სამი ძირითადი პროგრამის აღსრულება – ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია, რაც ნიშნავდა სოციალიზმის აშენებას და გამოცხადდა კიდეც 1936 წელს.

ეს ხდებოდა როგორც ენთუზიაზმით, რწმენით, რომანტიკით, ისე სამხედრო-პოლიციური მეთოდებით, რეპრესიებით, ბოლშევიკური კაცთშეწირვის მასობრივი რიტუალებით, სისხლით და მსხვერპლით, არნახული სისასტიკით.

პროლეტკულტურის პირველი ორგანიზაცია გაჩნდა რუსეთში (1917, სექტემბერი). მას უამრავი წევრი ჰყავდა და სცემდა მრავალ ჟურნალს. ისინი უარყოფდნენ წარსულის მემკვიდრეობას, სხვა კოლეგების შემოქმედებას. ამიტომ აკრიტიკებდა ლენინი.

მათი გაერთიანებები იყო ვოაპპი და რაპპი, რომელთაც კულტურის სფეროში შეიტანეს პროლეტარიატის დიქტატურა და ლამის უდაბნოდ აქციეს მთელი ხელოვნება და მეცნიერება.

რაპპის გენერალური მდივანი იყო ავერბახი, სვერდლოვის დისშვილი, მისი მოადგილე – ბენიტო ბუაჩიძე (ორივე დახვრიტეს).

საქართველოში ჩამოყალიბდა „პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი“, „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“, „მომავალის“ და „დინამიტის“ ჯგუფები.

მთავარი ჟურნალი იყო „პროლეტარული მწერლობა“ (1927–1932).

პროლეტკულტელები იყვნენ – ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი, ს. თოდრია, ვ. ლუარსამიძე, ს. ეული, დ. რონდელი, პ. ქიქოძე, გ. კაჭახიძე, ი. აბაშიძე, ფრ. ნაროუშვილი, პ. ჩხიკვაძე, გ. მდივანი, ე. ზედგინიძე...

შემდეგ მიემატათ ახალი კომკავშირული ნაკადი.

მთავრობის დახმარებით სოკოებივით მრავლდებოდა მათი ჟურნალ-გაზეთები – „ქურა“, „პროლემაფი“, „ქარხნის ჰანგები“, „ეპოქა“, „ლიანდაგი“, „დინამიტი“, „სპარტაკი“, „მომავალი“, „დროშა“, „პროლეტარული მწერლობა“.

რაპპი გაუქმდა 1932 წელს. ხელისუფლებამ სცნო ძველი ინტელიგენცია, რომელიც თანამშრომლობდა ბოლშევიკებთან.

რაპპელთა აპოლოგიური და ტერორისტული, აგიტაციურ-პროპაგანდისტული, პლაკატური შემოქმედება განხილული აქვთ საბჭოთა მკვლევარებს, ოღონდ ცალმხრივად. ამიტომ სასურველია მკითხველი გაეცნოს აკაკი ბაქრაძის „მწერლობის მოთვინიერებას“ და საბა მეტრეველის „კომუნისტურ აგიოგრაფიას“.

პროლეტკულტის წიაღიდან გამოვიდა ზოგი თვალსაჩინო ხელოვანიც. მაგ., ს. ეიზენშტეინი, გ. ალექსანდროვი, ირ. აბაშიძე, კ. ლორთქიფანიძე...

„H_2SO_4“

საბჭოთა აღმშენებლობის, მარქსიზმის, სსრკ-ის თავგამოდებული მომხრეები იყვნენ რუსი ფუტურისტ – ლეფელები (Леф – Левый фронт).

მათი მიმდევრები იყვნენ ახალგაზრდა ქართველი „H_2SO_4“-ელები, რომელთაც „ცისფერყანწელთა“ მსგავსად ქუთაისიდან ტფილისში გადმოინაცვლეს.

განსხვავებით პროლეტკულტელებისაგან, ისინი კულტურიდან მოდიოდნენ, ოღონდ – ანტიკულტურის, ანტიესთეტიზმის, ანტიფსიქოლოგიზმის, ანტიისტორიზმის ნიღბებით.

1922 წლის 7 მაისს გამოსცეს მანიფესტი „საქართველო – ფენიქსი“, რომელსაც ხელს აწერენ – ნიკოლ თავდგირიძე (ნიკოლოზ ჩაჩავა – ს. ს.), აკაკი ბელიაშვილი, ბესარიონ ჟღენტი, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ ორაგველიძე, დავით გაჩეჩილაძე, პოლ ნოზაძე, ალექსანდრე გაბესკირია, მზია ერისთავი.

პირველი საღამო კი 23 აპრილს გამართეს, ტფილისში, კონსერვატორიის დარბაზში, შემდეგ – ხელოვანთა სასახლეში.

გამოსცეს ჟურნალები – „H_2SO_4“, „ლიტერატურა და სხვა“, „მემარცხენეობა“ და გაზეთი „დროული“ 1924–1928 წლებში.

„H_2SO_4“ გოგირდმჟავას ფორმულაა და ასე უნდოდათ ამოეწვათ რომანტიზმი, ტრადიციები, ესთეტიზმი.

შემდეგ ეს ჯგუფი სტოვებს ავანგარდიზმს და იხრება პროლეტარული მწერლობისაკენ. ფუტურიზმი, დადაიზმი, კონსტრუქტივიზმი თანდათან ჩრდილში გადადის და ძლიერდება ბოლშევიკური აგიტაციურ-პროპაგანდისტული ტენდენციები (ვრცლად იხ. ჩემი მონოგრაფია „H_2SO_4“-დან „მემარცხენეობამდე“).

ასევე მოხდა რუსეთში.

„H_2SO_4“-ელებს ღია ჰქონდათ პრესის კარი, იბეჭდებოდნენ „მნათობისა“ და „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე. მათ ხმაურს, აჟიოტაჟს, ხულიგნობასა და „ტერორს“ მოთმინებით ეკიდებოდა ოფიციოზი, გაზეთი „კომუნისტი“.

მანიფესტის ზოგი ხელისმომწერი ჯგუფს ადრევე გამოაკლდა. მაგრამ დაემატნენ ახლები – ბენო გორდეზიანი, ირაკლი გამრეკელი, ჟანგო ღოღობერიძე, ბიძინა აბულაძე, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა ალხაზიშვილი.

შემდეგ ისევ დაერთო ახალი ნაკადი ანუ ჯგუფი ძლიერდებოდა – სიმონ დოლიძე, სტეფანე კასრაძე, აკაკი გაწერელია, დავით კაკაბაძე, ლეო ესაკია, მიხეილ კალატოზიშვილი, ნუცა ღოღობერიძე, ლევან ასათიანი, ვარლამ ჟურული, სერგეი ტრეტიაკოვი (ვლ. მაიაკოვსკის შემდეგ „ნოვი ლეფის“ რედაქტორი), დემნა შენგელაია.

„H_2SO_4“ იყო ფართო კულტურული მოძრაობა. მასში მონაწილეობდნენ პოეტები, პროზაიკოსები, კრიტიკოსები, მხატვრები, კინემატოგრაფისტები.

ისინი პირველ რიგში უპირისპირდებოდნენ „ცისფერყანწელებს“, ებრძოდნენ რომანტიკას, სიმბოლიზმს, ფორმისა და სტილის არტისტიზმს, მთვარის კულტს.

ფუტურისტების შესახებ პრესა 1914 წლიდან იძლეოდა ინფორმაციებს, ბეჭდავდა კრიტიკულ წერილებს. შემდეგ ტფილისში ჩამოყალიბდა რუსული „ზაუმნიკების კომპანია 41^0“, „ფუტურისტების სინდიკატი“, „Футурвсеучбище“ (ა. კრუჩიონიხი, ი. ტერენტიევი, ი. ზდანევიჩი, კ. ზდანევიჩი, ვ. კამენსკი...).

სცემდნენ წიგნებსა და ჟურნალებს, ატარებდნენ საღამოებს, ბეჭდავდნენ ქართველებსაც (მაგ., გრ. რობაქიძეს).

ამოსავალი იყო იტალიური ფუტურიზმი – მარინეტის „ფუტურიზმის მანიფესტი“ (1909 წ.), „ფუტურისტული ლიტერატურის ტექნიკური მანიფესტი“ (1912 წ.), ბოჩონის, ბალის, დეპრეროს მანიფესტები, რუსული ფუტურიზმის თეორია და პრაქტიკა (ბურლიუკები, ვ. ხლებნიკოვი, ვლ. მაიაკოვსკი, ბ. პასტერნაკი, ნ. ასეევი, ვ. კამენსკი, ი. სევერიანინი, ალ. კრუჩიონიხი, ს. რაფალოვიჩი, ყარა დერვიში...) ასევე მნიშვნელოვანი იყო ფრანგული დადაიზმი (ტრისტან ცარა) და რუსული კონსტრუქტივიზმი (როდჩენკო).

მშვიდობა უნდა შეეცვალა ომსა და რევოლუციას, გონება – მოტორს, სხეული – ფოლადს, ფიქრი – მოქმედებას. მუზეუმები

უნდა დაეწვათ, წარსული მოესპოთ, სიყვარული უარეყოთ, ფსიქოლოგიზმი ავტომატიზმად ექციათ, თეატრი – კინოდ.

მარინეტის იდეებზე აღმოცენდა მრავალი მიმართულება ხელოვნებაში ან გავლენა მოახდინა არსებულზე (მაგ., კუბიზმზე), ტექნიკურ ესთეტიკაზე, დიზაინზე, არქიტექტურულ კონსტრუირებაზე.

ქართველი ავანგარდისტების ლიდერი იყო სიმონ ჩიქოვანი, როგორც პოეტი, ერუდიტი და თეორეტიკოსი.

მარინეტი საერთოდ უარყოფდა დისკურსიულ აზროვნებას და მეტყველებას აქცევდა რებუსად, რამაც სტიმული მისცა „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურას, კრუჩიონიხის ზაუმს, ხლებნიკოვის ექსპერიმენტებს.

იტალიელი ფუტურისტები დადგნენ მუსოლინის მხარეს, რუსი, უკრაინელი და ქართველი ავანგარდისტები – ლენინელები იყვნენ.

როგორც ადრე ვწერდით, სოციალიზმის უტოპიამ, ტექნიკურმა პროგრესმა, ომებმა და რევოლუციამ, სამყაროსა და ადამიანის გადაკეთების წყურვილმა კულტურის ყველა სფეროში, პოლიტიკასა და აზროვნებაში წარმოშვა რადიკალური იდეები, პროგრამები.

დაიწყო მათი რეალიზებაც, რაც კატასტროფის მომტანიც აღმოჩნდა, არა მხოლოდ სიკეთისა.

ასე მოევლინნენ პოლიტიკას ლენინი, ტროცკი, სტალინი, მუსოლინი, ჰიტლერი, მეცნიერებას – აინშტაინი, ოპენჰაიმერი, ვინერი, ფონ ბრაუნი, ფროიდი, კინემატოგრაფს – ჩაპლინი, ფერწერას – პიკასო, დალი, კანდინსკი, მუსიკას – შონბერგი, პოეზიას – ელიოტი, პროზას – ჯოისი...

ავანგარდისტები ფიქრობდნენ, რომ უნდა შეექმნათ მანქანის, თვითმფრინავის, ცათამბჯენების, რკინისა და ფოლადის შესატყ-

ვისი ანტირომანტიკული კულტურა, რომლის მიხედვით და შედეგად მოხდებოდა ფსიქიკის კონსტრუირება (ტატლინი, გინზბურგი, ძმები ვესნინები, როდჩენკო, სტეპანოვა, მელნიკოვი....). არქიტექტურას, კინოს, თეატრს, სკულპტურას, ფერწერას, გრაფიკას ლიტერატურას უნდა ჰქონოდა მონუმენტალიზმი, მასშტაბი, პლანეტარული ხედვა, რაც ასახავდა მასების მოძრაობას (მაიაკოვსკი, მუხინა, ფურმანოვი, ფადეევი, მეიერჰოლდი, ეიზენშტეინი...).

აქ კონსტრუქტივიზმი უახლოვდება კლასიციზმს.

საქართველოში ავანგარდიზმი ვეღარ განვითარდა, ბოლშევიზმმა იგი ისევე აღკვეთა როგორც მოდერნიზმი და პროლეტკულტი.

30-იან წლებში სტალინმა საბჭოთა კულტურის მეთოდად გამოაცხადა სოციალისტური რეალიზმი. ეს იყო დაბრუნება რეალისტურ ტრადიციებთან, რევოლუციურ რომანტიკასთან და მათი მეშვეობით საბჭოთა ცხოვრების ასახვა, სოციალისტური იდეალების განდიდება, ბელადების კულტი, გმირის – მებრძოლისა და მშრომელის იდეალი...

შემოქმედებითი ორგანიზაციები

პროფესიულ გაერთიანებათა ტრადიცია ბოლშევიზმამდე ჩამოყალიბდა, მარქსისტებმა მას მისცეს ორგანიზებული სახე და სახელმწიფოს დაუქვემდებარეს, როგორც მინი-სამინისტრო (მაგ., მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა კავშირები, ცალკეული საზოგადოებები).

ასე მართვაც უფრო იოლი იყო, კონტროლი და თვალის მიდევნებაც.

ომებით გაჩანაგებულ ქვეყანას, რომელსაც დიქტატურა ამაგრებდა, მხოლოდ ასე თუ შეეძლო გადაერჩინა კულტურა.

დამოუკიდებლად არსებობა მართლაც შეუძლებელი იყო.

ხალხი თავის კულტურას ვერ შეინახავდა, ვერ განავითარებდა, მხატვარი, მწერალი, კომპოზიტორი, მსახიობი, რეჟისორი შიმშილით მოკვდებოდა.

კონტროლის გარდა ასე ტარდებოდა იერარქიის პრინციპიც, ცალკეულ პირთა, ნაწარმოებთა გამორჩევა და პროპაგანდა.

მედალს ორი მხარე აქვს და მატერიალურ უზრუნველყოფას მუქთად არავინ იძლეოდა – კულტურა ბოლშევიზმის იდეების ხორცშემსხმელი, პროპაგანდისტი და რუპორი უნდა ყოფილიყო.

ხელოვნება, მეცნიერება, განათლება ემსახურებოდა კომუნიზმის იდეალებს. ამიტომ ეძლეოდა კულტურშემოქმედს უფლება, რომ მონაწილეობა მიეღო თათბირებზე, კონფერენციებზე, შეხვედრებზე, აეღო მივლინება, სწვეოდა სსრკ-ის შორეულ მხარეებს, ესარგებლა შემოქმედებითი სახლებით, სანატორიუმებით, ჰქონოდა კონტაქტი სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან, ზოგჯერ უცხოეთიც ენახა.

ცენტრი იყო მოსკოვი, რომელიც ხალხთა მეგობრობას, იდეურ და ორგანიზაციულ ერთიანობას განამტკიცებდა ლენინ-სტალინის სახელით, სექსითა და ალკოჰოლით.

არაოფიციალურად რუსული იყო სახელმწიფო ენა, რომლითაც ფუნქციონირებდა მთავრობა, პარტია, სუკი, თავდაცვა, საგარეო უწყება, უმაღლესი საბჭო...

ბოლშევიკები სცნობდნენ ხალხის თვითგამორკვევას, ქმნიდნენ ავტონომიებს, ხელს უწყობდნენ ნაციონალურ ენებსა და კულტურებს. მაგრამ ეს იყო ტაქტიკური ნაბიჯი გარკვეულ დრომდე, რადგან საბოლოო მიზანი იყო კომუნიზმი, ერთი იდეოლოგია, ერთი სახელმწიფო, ერთი ენა, რაც ერების შერწყმას და გაქრობას ნიშნავდა.

ჯერ კი ქართულ კულტურას, ოღონდ შეზღუდულსა და დოგმებით განზომილს, შეეძლო განვითარება, განსაკუთრებით – 1932 წლის 23 აპრილს დადგენილების შემდეგ, რასაც მოჰყვა სსრკ მწერალთა კავშირის შექმნა, მიბრუნება ისტორიისაკენ, წოდებების, პრემიების დაწესება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე შალვა ელიავამ 1921 წლის 28 თებერვლის რეზოლუციით მწერლებს გადასცა მაჩაბლის 13-ში მდებარე ხოშტარიას (სარაჯიშვილის) სახლი ხელოვანთა სასახლის მოსაწყობად.

თავად ა. ხოშტარიამ ემიგრაციაში გააგრძელა მოღვაწეობა.

მის სახლში ოთახები დაიკავეს მწერლებმა, კომპოზიტორებმა, ცალკეულმა უბინაო პირებმა, რომელთა გაყვანა მხოლოდ 60-იან წლებში მოხერხდა.

აქ მართავდა მწერალთა კავშირი სხდომებს, განხილვებს, საღამოებს, საიუბილეო შეხვედრებს (2007 წლის 21 აგვისტომდე).

1926 წლამდე თავმჯდომარე იყო კოტე მაყაშვილი, შემდეგ მცირე ხანს – სილიბისტრო თოდრია, ძველი ბოლშევიკი, სატირიკოსი და ფელეტონისტი, რომელმაც გააშარჟა ქართლის ცხოვრება.

იმძლავრეს რაპპელებმა. პარტიის მხარდაჭერით ძველი, ცნობილი მწერლები გაინაპირეს. მწერალთა კავშირს განაგებდნენ კომკავშირიდან წამოსული აქტივისტები (მაგ., შ. რადიანი, ს. წვერავა, პ. ჩხიკვაძე).

ისინი დაუნდობლად აკრიტიკებდნენ, მტრისა და მოღალატის იარლიყს აკრავდნენ ყველას, ვინც არ წერდა კოლექტივზე, ტრაქტორზე, პარტიაზე, ხუთწლედზე, მუშათა კლასზე, ქარხანაზე, შრომასა და ბრძოლაზე...

ერთხანს მწერალთა კავშირს ეგნატე ნინოშვილის სახელი დაარქვეს და მოინდომეს ილიასა და აკაკის სურათების შენობიდან გამოყრა.

ჩატარებული ყველა სხდომის სტენოგრამა დგებოდა, რომელსაც ეცნობოდნენ ზემდგომი ორგანოები.

ლიტერატურისა და ხელოვნების არქივში დაცულია 3.000-მდე ტომი, რაც საუკეთესო მასალაა ობიექტური ისტორიის აღსადგენად. წიგნს სცემდა და აფინანსებდა მხოლოდ სახელმწიფო. 20-იან წლების ბოლოდან გაუქმდა საგამომცემლო ამხანაგობები (მაგ., „ქართული წიგნი“).

პარალელურად მოქმედებდა აგენტურა და სუკს ეძლეოდა ინფორმაციები. ამ საქმეში ჩაბმული იყვნენ ხელმძღვანელობა, თანამშრომელთა კოლექტივი, რიგითი წევრები, კომკავშირელი აქტივისტები. გარდერობის თანამშრომელიც კი სუკის თვალი და ყური იყო.

ასეთი სიტუაცია შემოქმედს უვითარებდა როგორც სპეციფიკურ აზროვნებას, ისე დაბრკოლებათა დაძლევის უნარს.

„Я другой такой страны не знаю,

Где свободно дишит человек“ – გვესმოდა დილა-საღამოს.

„თავისუფლებას, უფრო სხივმოსილს,

ვინ დაიჩემებს. ქვეყნად რომელი“ – კვერს უკრავდა ქართველებს პოეტი.

მთელი კულტურა ტოტალური დაზვერვის ქვეშ მოექცა. სუკში შესული აურაცხელი ინფორმაცია განადგურდა ხრუშჩოვის მითითებით.

შემორჩა საგამოძიებო და სასამართლოს ოქმები, ისიც ნაწილობრივ.

რუსეთში გატანილ იქნა არქივის დიდი ნაწილი, რომელსაც გაჰყვა აგენტურის შესაბამისი კარტოთეკებიც.

მას, ვინც ეჭვით შეხედავდა „საბჭოთა სამოთხეს“, ელოდა სტალინის დროს ციხე და ტყვია, ხრუშჩოვის დროიდან – ციხე და ფსიქიატრიული საავადმყოფო.

კულტურის რეგულირება

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია საერთო მსოფლმხედველობრივი ბაზისი იყო. მაგრამ სპეციალისტების გარდა, მითუმეტეს კულტურშემოქმედი, არავინ კითხულობდა „კაპიტალს“ ან „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს“.

კრიტიკოსები აქტიურობდნენ, იდეოლოგიურ ჩარჩოში აქცევდნენ ლიტერატურას, თეატრს თუ კინოს, მაგრამ არ შეეძლოთ სტრატეგიული დაგეგმვა – იფარგლებოდნენ კონკრეტული ნიმუშებით.

ამიტომ გადამწყვეტი სიტყვა თუ რა გზით წასულიყო კულტურა, რაზე იყო საჭირო აქცენტირება – ეკუთვნოდა ცეკას, მოსკოვს, კრემლს.

რესპუბლიკები ახდენდნენ მათ კოპირებას, დაყვანას მასების შეგნებამდე, შევსებას ნაციონალური მაგალითებით.

მითითებას იძლეოდა ბელადი, რომელსაც იდეოლოგიურ კონსტრუქციად აქცევდნენ სუკის პარტიული ექსპერტები. შემდეგი ლიდერები არ გამოირჩეოდნენ არც აზროვნებით, არც კულტურის ცოდნით. მაგ., ბრეჟნევი და ჩერნენკო.

ისინი ღებულობდნენ სუკის წინადადებას, რომელთაც პარტიული აპარატი აქცევდა დადგენილებად ანდა სულაც კითხულობდნენ დამუშავებულ ტექსტს. მათი მეშვეობით ხდებოდა კულტურის რეგულირება, აქცენტების წამოწევა, კრიტიკა და პერსპექტივის ჩვენება.

ამ მხრივ საბჭოთა კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია რკპ(ბ) ცეკას 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუციამ, 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ, ჟდანოვის ინიციატივით მიღებულმა დადგენილებების სერიამ 1946–1948 წლებში.

ანდრეი ჟდანოვი იყო სტალინის მოადგილე პარტიის ხაზით, ომის წლებში – ლენინგრადის ქალაქკომი. შემდეგ მისი ვაჟი გახდა სვეტლანა ალილუევას – სტალინის ქალიშვილის მეუღლე.

ახმატოვასა და ზოშჩენკოს კრიტიკით დაიწყო კულტურის იდეოლოგიური დამუშავება. ყველა რესპუბლიკა ვალდებული იყო თავის რიგებში ეპოვა შესაბამისი მაგალითები.

ასე მოხდა საქართველოშიც.

ამას მოჰყვა ახალი დადგენილებანი კულტურის ყოველ სფეროზე, ნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმზე, რამაც საბოლოოდ დააბნია რეპრესიებსა და ომს გადარჩენილი შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელსაც ეგონა, რომ მშვიდობას ეღირსა.

ყველგან ეძებდნენ იდეოლოგიურ გადახრას, კამერულ მოტივებს, წვრილბურჟუაზიულ გადმონაშთებს.

განსაკუთრებული სიმკაცრით აკრიტიკებდნენ კ. გამსახურდიას ნოველებსა და რომანებს, მწერლის თეორიულ შეხედულებებს (მაგ., ბ. ჟღენტი, ს. ჩიქოვანი, გ. ჯიბლაძე, ნ. მუსხელიშვილი, გ. ლეონიძე, შ. რადიანი, ვ. შკლოვსკი და სხვა რუსი ავტორები).

იდეოლოგიური კრიტიკის ობიექტი გახდნენ მეცნიერებიც (მაგ., შ. ნუცუბიძე, ივ. ბერიტაშვილი, დ. უზნაძე, კ. კეკელიძე). კრიტიკას ვერ ასცდნენ აღიარებული ოსტატები (მაგ., ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი).

სტალინის მითითებით გაჩაღდა კამპანია კ. გამსახურდიას, ვაჟა-ფშაველას, ნ. მარის წინააღმდეგ.

1946 წლიდან კიდევ უფრო გაძლიერდა საბჭოთა კულტურის რეგრესი, რადგან დასავლეთთან კონტაქტების გაწყვეტამ და პარტიული დოგმების სიჭარბემ დათრგუნა ხელოვანის ფანტაზია.

იგი მხოლოდ მეხოტბე და ილუსტრატორი უნდა ყოფილიყო.

წარსულით გატაცება დაიგმო, რადგან პარტია ამაში ხედავდა თანამედროვეობიდან გაქცევას, მეფეთა და ფეოდალთა განდიდებას, ნაციონალისტურ გადახრას.

ამ მხრივ მიუღებლად მიაჩნდათ კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“, განსაკუთრებით – რუსებს.

როცა ხელისუფლებას სჭირდებოდა, იგი თანხას არ ზოგავდა „გიორგი სააკაძის“ გადასაღებად, მაგრამ ბაგრატიონების წამოწევა და ქება აღიზიანებდა (მაგ., ჯერ მოიწონეს და შემდეგ დაიწუნეს კ. გამსახურდიას სცენარი დავით აღმაშენებელზე).

სტალინმა მხარი დაუჭირა გიორგი სააკაძეზე ფილმის გადაღებას და არა დავით აღმაშენებელზე.

მართალია, მას მოსწონდა „დიდოსტატის მარჯვენა“, მაგრამ უფრო აინტერესებდა გიორგი სააკაძე და დავით გურამიშვილი, რომელზეც პოემას სწერს ს. ჩიქოვანი და ფილმს იღებენ ნ. სანიშვილი და ი. თუმანიშვილი.

ის ვულგარიზმი, რაც 20-30-იან წლებში ჭარბად ვლინდებოდა, ახლა შეცვალა სოციალისტური რეალიზმის სტერილურმა გაგებამ, სქემებმა, იდეოლოგიურმა ფორმალიზმმა (მაგ., მ. ჭიაურელის ფილმები).

როცა რუსთაველის საიუბილეოდ კონკურსი გამოცხადდა, პირველი პრემია და ოქროს მედალი მიაკუთვნეს ურაგან ფხაკაძეს პოემისათვის „შრომადღეები“, ხოლო ვერცხლის მედალი – გალაკტიონ ტაბიძეს.

1950 წელს „პრავდის“ ფურცლებზე არნ. ჩიქობავას წერილით დაიწყო დისკუსია ენათმეცნიერების საკითხებზე, ნიკო მარის ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების შესახებ.

კამათში ჩაერია სტალინი, რომელმაც დაგმო მარის თეორია და მიმართულება მისცა ლინგვისტიკის განვითარებას.

ყველა ლინგვისტი და ფილოლოგი თავს ვალდებულად მიიჩნევდა, რომ გამოხმაურებოდა ამ ფაქტს, რასაც შემდეგ ანტიქართული ხასიათი მიეცა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურისთვისაც სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკას, რამაც გადააფასა ძველი ღირებულებანი, რასაც ნერგავდნენ ბოლშევიკები.

სტალინის სიკვდილით, ბერიას დახვრეტით, ჩეკისტების სასამართლო პროცესით, რეპრესირებულთა რეაბილიტაციით გაოგნებული ქართველ ინტელიგენციას ახალი თავზარი დაეცა – თურმე ბელადი ის ღმერთი არ ყოფილა, რომელზეც ლოცულობდნენ.

ამან შვა როგორც ნიჰილიზმი, ისე ნაციონალიზმი.

1956 წლის 9 მარტს დახვრიტეს თბილისში სტუდენტი დემონსტრანტები, რითაც ფაქტიურად დაესვა წერტილი ტყვიით ჩანერგილ ნდობას მოსკოვისადმი.

ამის საკომპენსაციოდ, ქართველთა გულის მოსაგებად 1958 წელს დიდი მასშტაბით ჩატარდა ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში.

ცეკა ღებულობდა ახალ-ახალ დადგენილებებს, ხან ფორმალისტებს ებრძოდა, ხან აბსტრაქციონისტებს, ხან გენეტიკოსებს. მოითხოვდა კრიტიკის გააქტიურებას, ახალგაზრდობის იდეურ აღზრდას, ამხელდა ქართულ ნაციონალიზმს, რაც აიტაცა ედ. შევარდნაძემ, აღნიშნავდა მწერალთა კავშირის 50 წლისთავს, არიგებდა ჯილდოებს.

ასევე მნიშვნელობა ჰქონდა საიუბილეო გადაწყვეტილებებს, საიუბილეო თარიღებს, რომელთა გარშემო უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული კულტურშემოქმედთა ინტერესები (მაგ., ლენინის 100 წლისთავი).

ლ. ბრეჟნევის ხელისუფლება ცდილობდა ქართველთა ისევ წარმოჩენას, სტალინის სახელის ნაწილობრივ წამოწევას.

იუბილეს უხდიდნენ რუსთაველს, ბარათაშვილს, თბილისის უნივერსიტეტს, ფალიაშვილს, მარჯანიშვილს, ქართველთა სიხარულს იზიარებდა მოსკოვი. სტალინი ისევ გამოჩნდა ეკრანზე (ფილმი „განთავისუფლება“).

ქართველთა იგნორირება ხრუშჩოვს ბრალდებოდა, რომლის სახელი გაქრა და ლამის აიკრძალა.

პარტიულ დადგენილებებზე, განსაკუთრებით თუ ის საკავშირო იყო, სწრაფ რეაგირებას ახდენდნენ მასმედიის საშუალებანი, შემოქმედებითი ორგანიზაციები. მაგრამ არ კმაროდა თეორიული მხარდაჭერა, განხილვა, პროპაგანდა:

კულტურას პრაქტიკულად უნდა აესახა ახალი მითითება. მაგრამ ვიდრე ამას მოასწრებდა, მოდიოდა მორიგი დადგენილება.

ასეთ სიმრავლესა და სიჩქარეში დადგენილებები ფორმალობად იქცა – მას აღარ ჰქონდა სტალინური ეფექტი, რადგან არ მოსდევდა არც ჯილდო და არც სასჯელი (მაგ., ბრეჟნევის დროს).

მხოლოდ პუბლიცისტიკას, პრესას, ტელევიზიას, დოკუმენტურ კინოს შეეძლო სწრაფი რეაგირება. მაგ., ფილმის ჩვენებას წინ უძღოდა ე. წ. ჟურნალი.

კომკავშირული კადრები

სსრკ იყო ჯერჯერობით ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც მართავდა არა იმპერატორი ან პრეზიდენტი, არა მთავრობა ან პარლამენტი, არამედ – პარტია, უფრო ზუსტად – ცეკას პოლიტბიურო, გენერალური მდივანი მისდამი დაქვემდებარებული ბოლშევიკური კომიტეტებით.

სახკომსაბჭოს (იგივე მინისტრთა საბჭო) თავმჯდომარე ანუ პრემიერ-მინისტრი იყო ლენინი. იგი ითვლებოდა პარტიის იდეოლოგად და ბელადად. მაგრამ პარტიის თავმჯდომარე არ ყოფილა.

ასეთი პოსტი, ბოლშევიკური შიდადემოკრატიიდან გამომდინარე, არც არსებობდა. მხოლოდ მოგვიანებით, 1919 წლიდან, ყალიბდება პოლიტბიურო, შემდეგ ჩნდება ცეკას მდივანი (მოლოტოვი) და 1922 წლის აპრილიდან კი – გენერალური მდივნის პოსტი, რომელიც კამენევის წარდგენითა და ლენინის თანხმობით დაიკავა სტალინმა.

იგი იყო ჯერ რკპ(ბ) გენერალური მდივანი, შემდეგ – სსრკ–ისა.

მან თანდათან დაიმორჩილა ცენტრალური აღმასკომი (პარლამენტი), სახკომსაბჭო (ლენინის შემდეგ), სამხედრო რევოლუციური საბჭო (ტროცკი), ინტერნაციონალი (ზინოვიევი).

ფორმალურად კი იწერებოდა რიკოვისა და კალინინის შემდეგ.

ასეთი არაფორმალური მმართველობა გაგრძელდა 1941 წლამდე, როცა სტალინი გახდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარეც.

პარტია იდეოლოგიისა და რადიკალების განმტკიცებისათვის ეყრდნობოდა ახალ, კომკავშირიდან წამოსულ კადრებს, რომლებიც დაუპირისპირდნენ ლენინ-ტროცკის ძველ გვარდიას.

გაჩნდა წითელი პროფესურა, კომკავშირული გავლენა მწერლობაში, შრომითი სიმღერები, სოცშეჯიბრება, სტახანოვური მოძრაობა, ბოლშევიკური ატრიბუტიკა, ახალი ტოპონიმები და სახელები, ახალი ენობრივი კომპოზიტები (მაგ., შინსახკომი, სახკინმრეწვი, პოლიტსამმართველო, პროფკავშირი, კომკავშირი, ფინგანი, ცეკა, ტეკა, ჩეკა).

ყველგან ფრიალებდა ბოლშევიკების მტერთა სისხლში ამოვლებული წითელი დროშა, ელავდა ნამგალი და ურო, რომელსაც დაჰნათოდა კომუნიზმის მზე, კრემლის ლალისფერი ვარსკვლავი („ნამგალო და ურო, უნდა გემსახურო“).

ყველა რესპუბლიკას ჰქონდა სსრკ-ის სახელმწიფოებრივი ატრიბუტების ვარიაცია, რომელსაც შემოხვეოდა წარწერა – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

კულტურაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში, პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მოდიოდნენ ფანატიკოსი, გამოუცდელი, მაგრამ იდეოლოგიის ერთგული კადრები, რომლებიც აღიარებდნენ სტალინს – დღევანდელ ლენინს, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს.

1932 წელს რაპპი კი დაშალეს, შემდეგ ბევრი მისი წევრი დახვრიტეს. მაგრამ ფაქტიურად კომკავშირული კადრები გაფანტეს ყველა სფეროში, ყველა სტრუქტურაში, მათ დაუმორჩილეს კულტურის ფრონტი (მაგ., მოსკოვში – ფადეევი, ტიხონოვი, სიმონოვი, საქართველოში – ირ. აბაშიძე).

ბევრი მათგანი ტროცკიზმის ბრალდებით 1937-1938 წლების რეპრესიებს შეეწირა (მაგ. ბ. ბუაჩიძე). ტროცკი, რომელმაც მოახდინა ოქტომბრის გადატრიალება, შექმნა წითელი არმია და მოიგო სამოქალაქო ომი, სტალინმა მოღალატედ და საბჭოეთის ნომერ პირველ მტრად გამოაცხადა.

ძველი ინტელიგენცია

ინტელიგენცია, რომლის ფორმირება რევოლუციამდე მოხდა, არ იყო ბოლშევიზმის მომხრე, მითუმეტეს – თავისუფლების დაკარგვისა.

ის, ვინც არ ჩაერთო პოლიტიკურ ბრძოლებში და განაგრძო პროფესიული მოღვაწეობა, ბოლშევიკებმა თანდათან შემოირიგეს, განარიდეს კომკავშირულ თავდასხმებს (მაგ., შალვა დადიანი).

ვინც გადაურჩა რეპრესიებს ანუ გაცხრილვას, ისინი საკმაოდ დაფასდნენ და კომკავშირულ კადრებზე მაღლაც დააყენეს, თუმცა მართვის ბერკეტებს არ ანდობდნენ.

ბოლშევიკები შრომის პირობებს უქმნიდნენ, აჯილდოებდნენ, პროპაგანდას უწევდნენ ძველ კადრებს, როგორც მეცნიერებაში, ისე ხელოვნებაში.

საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე მათგანი – ივ. ჯავახიშვილი, შ. დადიანი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე, აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი, ნ. ლორთქიფანიძე, ზ. ფალიაშვილი, ი. ნიკოლაძე, კ. მარჯანიშვილი, გ. ლეონიძე, დ. არაყიშვილი, მ. ბალანჩივაძე, ზ. ჭიჭინაძე, ვ. ბარნოვი, ლ. ქიაჩელი, კ. კეკელიძე, ი. გრიშაშვილი...

რეპრესირება მათ რიგებსაც შეეხო.

დახვრიტეს მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ე. მიქელაძე, ს. ახმეტელი, გრ. წერეთელი, ვ. კოტეტიშვილი, ნ. მიწიშვილი, დ. შევარდნაძე...

თავი მოიკლა პ. იაშვილმა, გრ. რობაქიძემ გერმანიას შეაფარა თავი.

დახვრიტეს უნივერსიტეტის ყველა რექტორი, გარდა ივ. ჯავახიშვილისა, შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ყველა ის ხელმძღვანელი, რომელმაც მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, გარდა ფ. მახარაძისა.

უმძიმეს პირობებში ომებგამოვლილი ინტელიგენცია, შემოქმედებითი და სამეცნიერო კადრები, განაგრძობდნენ პროფესიულ მუშაობას.

მუდმივი თვალთვალი, კრიტიკა, რეპრესიები, შიმშილი, ახალი დიდი ომი თითქოს თრგუნავდა მათ უნარს, თუმცა როგორც ვთქვით, პარალელურად იყო ხელშეწყობა და დაფასება (ეს იმას

ჰგავს, გლეხი რომ უვლის საქონელს, მაგრამ როცა დასჭირდება – დაკლავს ან გაყიდის!).

ასეთ სიტუაციაში მაინც შეიქმნა დიდი ქართული კულტურა, წარმოიშვა და განვითარდა მეცნიერების მრავალი ახალი დარგი, დაიწერა ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის შედევრები, დაიდგა თვალსაჩინო თეატრალური, საოპერო და საბალეტო სპექტაკლები, შეიქმნა კინემატოგრაფიის ნიმუშები, მოწესრიგდა განათლების სისტემა, თანდათან დაიძლია ბოლშევიკური კოსმოპოლიტიზმი.

მოხდა პარადოქსული შეხამება დიდი აღმაფრენისა დიდ დეპრესიასთან, დიდი წარმატებისა – დიდ მსხვერპლთან, დაცემისა – ამაღლებასთან, კოსმოპოლიტიზმისა – ნაციონალიზმთან, ისტორიისა – თანამედროვეობასთან, ოცნებისა – რეალობასთან, სასჯელისა – ჯილდოსთან (შდრ – გალაკტიონი – „სიტყვა არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე, განზე გადექი და ტყვია დაიხალე“).

ინტელიგენციის ნაწილმა ადრევე შეძლო ტრანსფორმაცია, პოლიტიკური ვნების შემოქმედებით ენერგიად გარდასახვა (მაგ., შ. ნუცუბიძე, კ. გამსახურდია, ს. დანელია, მ. ჯავახიშვილი, ს. ახმეტელი, ლ. ქიაჩელი, ალ.აბაშელი, დ. უზნაძე, გ. ქიქოძე, ა. ჭუმბაძე, ნ. კეცხოველი).

სოციალისტური რეალიზმი

ბოლშევიკებმა ფანატიკოსი რაპპელები დასაჯეს, წამოსწიეს ტრადიციონალისტები და სახეცვლილი ავანგარდისტები, ასევე – ყოფილი მოდერნისტები.

დიდხანს გრძელდებოდა კამათი თუ როგორი იქნებოდა სოციალისტური კულტურა. სტალინმა ჩამოიყვანა ემიგრირებული მაქსიმ გორკი. მის ბინაზე იკრიბებოდნენ სტალინთან ერთად და

მსჯელობდნენ თუ როგორი უნდა ყოფილიყო მწერალთა კავშირისა და კულტურის ახალი მოდელი.

აქ წარმოთქვა სტალინმა ტერმინი „სოციალისტური რეალიზმი“.

ახალი მეთოდით იქმნებოდა ლენინიანა და სტალინიანა, კომუნიზმისათვის მებრძოლთა და მშრომელთა სახეები – დადებითი გმირი.

სანიმუშოდ იყო მიჩნეული შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ლექსები და პოემები საბჭოეთზე (მაგ., ტიხონოვი, სიმონოვი, ტვარდოვსკი), კოლექტივსა და რევოლუციაზე, ომებზე ფილმები და სურათები (მაგ., ჭიაურელის „ფიცი“ და „ბერლინის დაცემა“), გმირული სიმფონიები და ორატორიები (მაგ., შოსტაკოვიჩისა).

სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დაცვით შეიქმნა ცალკეული კარგი ნიმუშები ქართულ ლიტერატურაშიც (მაგ., გალაკტიონის, გ. ლეონიძის, ტ. ტაბიძის, ა. მირცხულავას, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, შ. ნიშნიანიძის ლექსები, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“).

მაგრამ ისინი ვერ შეედრებოდა ამავე ავტორების მიერ თავისუფალი ფანტაზირებით ან მოდერნისტულ-ავანგარდისტულ ფორმებით შექმნილ ხელოვნებას.

ზოგ შედევრს ნათლავდნენ სოციალისტური რეალიზმის ნიმუშად. (მაგ., მ. შოლოხოვის „წყნარ დონს“), თუნდაც ბოლშევიკური არაფერი ყოფილიყო.

ნ. ბუხარინი მიიჩნევდა, რომ საბჭოთა პოეზია უნდა წასულიყო პასტერნაკის და არა მაიაკოვსკის გზით.

სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში სოციალისტური რეალიზმი სოციალისტურ კლასიციზმად იქცა, რასაც ყველაზე უკეთ მონუმენტური არქიტექტურა და სკულპტურა გამოხატავდა (მაგ., ცხრა მაღლივი შენობა მოსკოვში, მუხინას „მუშა და კოლმეურნე ქალი“).

სტალინური განსაზღვრით, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლები იყვნენ: პროზაში – მაქსიმ გორკი (რომანი „დედა“). პოეზიაში – ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ქართულ მწერლობაში ანალოგიურ ფუნქციას აკისრებდნენ იროდიონ ევდოშვილსა („მეგობრებს“, „ქარიშხალი“, „მუზა და მუშა“) და ლეო ქიაჩელს („ტარიელ გოლუა“). ამავე დროს არ უნდოდათ დაეკარგათ მეწშევიკი ჭოლა ლომთათიძე, მისი რევოლუციური პათოსი.

მაგრამ რთული იყო ქრონოლოგიის დაცვა – ქართველს რუსზე წინ ხომ არ დააყენებდნენ. რეალურად კი ისე ჩანს, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები მართლაც უსწრებდნენ დიდი ერის შვილებს!

რეპრესირება და სტალინიანა

ტერორი და რეპრესირება თავიდანვე ბოლშევიკური მართვის შემადგენელი ნაწილი იყო. კულტურის მუშაკებს აშინებდნენ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე სტატიით.

მრავალი რუსი მეცნიერი და ხელოვანი უცხოეთში გადაიხვეწა.

შემდეგ მათ მიჰყვა სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი მაქსიმ გორკიც კი. ხოლო ესენინმა და მაიაკოვსკიმ თავი მოიკლეს, შემდეგ – ფადეევმაც, გალაკტიონმაც.

ზოგი ადრევე დახვრიტეს (მაგ., გუმილიოვი), დააპატიმრეს, გადაასახლეს (მაგ., კ. გამსახურდია, ლ. გოთუა, ჭ. ამირეჯიბი, ალ. კალანდაძე). ვინც შემოირიგეს, იმასაც თავი მოაკვლევინეს (მაგ., მ. ცვეტაევა, პ. იაშვილი).

„დიდი ტერორი“ (რ. კონკვისტი), რომელიც სტალინმა დაიწყო, ყოველგვარ ზღვარს გადასცდა და მილიონების სოცოცხლე შეიწირა, მათ შორის – მრავალი კულტურშემოქმედისა.

რეპრესირებული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის 48 წევრი, ასევე ჩატარდა წმენდა უმაღლეს სასწავლებლებში, შემოქმედებით ორგანიზაციებში.

დასავლეთის კარი დიდი ხნით დაიხშო.

შემოქმედი არათუ უცხოეთში ვერ წავიდოდა, არამედ უცხოელი ავტორების ხსენება და დამოწმებაც კი სახიფათო იყო.

მაგ., საბედისწერო აღმოჩნდა ანდრე ჟიდის მოგზაურობა სსრკ-ში, მასთან შეხვედრები.

სტალინმა შექმნა კულტურის დახურული სოციალისტური სივრცე, რასაც შემდეგ მიბაძეს სხვა ქვეყნების კომუნისტმა ლიდერებმა.

სტალინი, რომელიც ლენინურ პოლიტბიუროში ყველაზე ჰუმანური ჩანდა, სასტიკი და ულმობელი აღმოჩნდა თავისი ქვეყნის მოქალაქეთა და თანაპარტიელთა, თანამოაზრეთა მიმართ, რომლის მსგავსი არ იცის ისტორიამ.

რეპრესიების ავტორი ლენინი და ტროცკი იყვნენ, მაგრამ ისინი თავად ბოლშევიკური პარტიის შიგნით იცავდნენ კოლეგიალობას და შედარებით დემოკრატიზმის პრინციპს, რაც 30-იანი წლებიდან სტალინმა დაარღვია.

კულტურშემოქმედს ხშირად ვერც ლენინ-სტალინისა და სოციალიზმის ხოტბა შველოდა (მაგ. ტ. ტაბიძე).

ქართველებმა თავი გამოიჩინეს სტალინიანას შექმნაში (მაგ., გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ი. მოსაშვილი, მ. ჭიაურელი, ა. მირცხულავა).

ბელადის ხოტბა ანუ პიროვნების კულტი დააკანონა ლავრენტი ბერიამ, რომელმაც თავად წამოსწია სტალინის როლი ამიერკავკასიის ბოლშევიკურ მოძრაობაში და მთელს კულტურას მთავარ მიზნად დაუსახა სტალინის განდიდება.

ამ სულისკვეთებით განიმსჭვალა ყოველი სფერო. მაგრამ პოეტებს უფრო შეეძლოთ ეფექტური და ელასტიური მოქმედება, რომელთა სტრიქონები დღემდე შემორჩა ჩვენს მეხსიერებას:

„შენ, ჩემი ლექსის უმაღლესობავ“, „პატარა გორი დიდია“, „თავზე გვევლება მამა სტალინი“,

„სტალინი ბელადია და მხატვარი უდიადესი“, „შენ – სახელი, შენ – დიდება, შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს“, „ქართლის გულში მღერის გორი და სოხუმთან მერხეული“, „ის აქ არის, ამბობს ქარი“, „სინათლის და სიბრძნის ოქრომჭედელი“, „რუსთაველი დედამ შობა და სტალინი საუკუნემ“, „შენი სიცოცხლე არის სტალინი, შენი მარჯვენა არის ბერია“, „უცებ ქალაქში ვნახე ბერია“, „შენ, გულმართალო, ხელმართალო ადამიანო“, „და სამშობლოს ხსნის იალქანებად შენი დროშები მიექანება“, „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, „და ამ დროშების სარდალია დიდი სტალინი“, „სტალინიანი დროშა წითელი“, „შენ დაბადე, შენ გაზარდე, ვინც ქვეყანას გაუთენა“. „მამავ, ძვირფასო“, „საყვარელი ბერია“, „დიდება ბელადს“, „ჩქინ ბერია მოსკოვს რე დო ირო იტყუ სიმართეს“, „ბერიას მოედანი“, „სტალინის მთა“, „სტალინის ქუჩა“, „სტალინური კონსტიტუცია“, „სტალინური თაობა“, „სტალინელი“, „უკვდავი სტალინი“, „მთელ ქვეყანას უყვარხარ“...

კულტურშემოქმედთა იძულება, რომ ყოფილიყვნენ მეხოტბეები, ილუსტრატორები, პროპაგანდისტები, რომ აესახათ სოცია-

ლისტური შრომის პროცესი, სოცშეჯიბრება, გმირული ბრძოლა საბჭოეთისათვის, დაენერგათ სტალინის პიროვნების კულტი – რეპრესირების ერთ-ერთი ფორმა და შედეგი იყო (შდრ – „ყველა დაუხვრიტეს აპოლონს დის მეტი, მაინც არ მოიშალა აპლოდისმენტი“).

კულტი – ეს იგივე მითოსი და რელიგიაა, რაც სცილდება მატერიალიზმს და გადადის მისტიკაში.

დრო რომ გავიდა, ხალხს დაავიწყდა და კულტურშემოქმედსაც სამხედრო-პოლიციური სისტემა, 1924 წელი, გოლოდომორი, დიდი ტერორი, ლენინიანასა და სტალინიანასთან ერთად...

1921 წლიდან საქართველოს მოსწყდა მრავალი პოლიტიკოსი, კულტურის მოღვაწე, მოქალაქე. ისინი დარჩნენ რკინის ფარდის მიღმა, როგორც ანტიკომუნისტები (იხ. გ. შარაძის ნაშრომები).

ომის შემდეგ მათ დაემატა ემიგრაციის ახალი დიდი ნაკადი (შდრ – ვლასოვის მილიონიან არმიაში შედიოდა 35.000 ქართველი ჯარისკაცი ვერმახტის ფორმით).

ისტორიის წიაღი

1934 წლიდან, როცა აღდგა ისტორიის სწავლება, როცა შეიქმნა მწერალთა კავშირის სისტემა, ყველა რესპუბლიკა მიუბრუნდა თავის უარყოფილ წარსულს, მივიწყებულ სახელებს, გმირებს.

ეს კი მოხდა სოციოლოგიური ვულგარიზმის დაძლევისა და რაპპის გაუქმების შედეგად.

ქართველებს ისევ დასჭირდათ ივანე ჯავახიშვილი.

სტალინი ხელს უწყობდა ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის წარმოჩენას.

განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა შორეული ძირები და ნათესაობა, არქაულ-წარმართული პერიოდი, რაც წარმოაჩინა მცხეთა-თრიალეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა, ბორის კუფტინის ნაშრომებმა.

პოეტებმა და მწერლებმა მცირე ხნით თვალი მოსწყვიტეს ქარხანასა და ტრაქტორს და ისტორიაში გადასახლდნენ.

ძველი ჰეროიკა სჭირდებოდა საომრად შემართულ ქვეყანას, სჭირდებოდა სტალინს, რათა მსოფლიოს სცოდნოდა, რომ იგი იყო დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ერის შვილი.

აწმყოს ჭრილობები წარსულის მალამოს უნდა განეკურნა. ისტორიზმი ქართული კულტურის ჟანგბადი ყოველთვის იყო. ახლა ხელისუფლების სანქცირებამ ახალი სტიმული მისცა შეშინებულ და დაბნეულ კულტურის მუშაკებს.

ამ მიმართების ერთ-ერთი შედეგია „დიდოსტატის მარჯვენა“.

მსოფლიო ომის დროს ისტორიის გმირებიც სტოვებდნენ აკლდამებს და ხმლით დგებოდნენ ქართლის მთებზე (მაგ., გიორგი სააკაძე).

შემდეგ განახლდა ოცნება ტაო-კლარჯეთზე და ხელისუფლებას გაუმნელდა ხელოვანთა დაბრუნება კომბაინთან, კოლექტივთან, დაზგასთან (მაგ., კ. გამსახურდია დიდხანს შერჩა „დავით აღმაშენებელს“, რასაც ეჭვით უყურებდა მოსკოვი).

შრომის ჰეროიკა და კომუნიზმის იდეალები ფსიქიკაზე ისე ვერ მოქმედებდა, როგორც ომის ჰეროიკა და ნაციონალური იდეალები.

ინსტინქტების ამოძახილი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ბოლშევიკური ლოზუნგები და ტყვიის სამართალი.

მაგრამ მარქსისტული თვალთახედვა ამ სფეროსაც გადასწვდა, რათა ისტორია არ ქცეულიყო მეფეთა, ფეოდალთა, მღვდელმთავართა აპოლოგიად.

აქტუალური იყო რუსეტის სახელმწიფოსთან ძველი ურთიერთობის ჩვენება, რათა ბუნებრივად ჩაეთვალათ იმპერიის სემადგენლობაში მოქცევა.

ჰეროიკა და რომანტიკა

სტალინის სიცოცხლეში სოციალისტურ რეალიზმს მრავალი თეორეტიკოსი და ინტერპრეტატორი ჰყავდა. ისინი ადგენდნენ თუ როგორი უნდა ყოფილიყო დადებითი გმირი, ტიპი, სტილი, ურთიერთობა ტრადიციებთან, ენასთან, წარსულთან, მოკავშირე რესპუბლიკების კულტურებთან, დასავლეთთან, როგორ უნდა წარმოჩენილიყო კომუნიზმის იდეები.

შემდეგ ამგვარი განსჯა და დისკუსიები შეწყდა, მაგრამ მიღწეული არ უარყოფილა. მაგ., მოსკოველი ქართველი გიორგი ლომიძე სოციალისტური კულტურის თვალსაზრისით სწავლობდა სსრკ ხალხთა ლიტერატურებს თუ როგორ ვლინდებოდა საბჭოთა პატრიოტიზმი, კომუნიზმის მშენებელთა სახეები, თუ იდეოლოგიურად რა მტკიცედ იყო გაერთიანებული სსრკ ხალხთა ლიტერატურები.

სოციალისტური რეალიზმის შემადგენელ ნაწილებად იყო აღიარებული რომანტიზმი (ცხადია, რევოლუციური) და ჰეროიკა (შრომისა და ბრძოლის კულტი, აღმშენებლობისა და ქვეყნის დაცვის პათოსი).

რომანტიკა და ჰეროიკა დანახული იყო იდეოლოგიურ ჭრილში. მაგრამ აქედან შეიძლებოდა გასვლა სხვა სფეროში ანუ საზღვრების გავრცობა, გადატანა ყოფით, ინტიმურ, ისტორიულ გარემოზე.

იდეოლოგიისათვის საჭირო იყო „ოპტიმისტური ტრაგედია“, „ახალგაზრდა გვარდია“, „გვადი ბიგვა“, „როგორ იწთობოდა ფოლადი“, რევოლუციური სიმღერები, მარშები და სიმფონიები, მშრომელთა ქანდაკებები, გმირთა ბიუსტები, ბელადების პორტრეტები და ბრინჯაოში ხორცშესხმული სახეები, ქარსა, ყინვასა და წვიმას რომ უძლებდა, ნამგალი და ურო, სოციალიზმის მზის სხივები, ოქროს თავთავები.

მაგრამ ჰეროიკას და რომანტიკას, ამ გრძნობათა ჩვენებას, ესთეტიკურ სახეებად ქცევას საზღვარი არ ჰქონდა.

ამ მხრივ უხვ მასალას იძლეოდა ისტორია, სამოქალაქო, სამამულო და რევოლუციური ომები, სასიყვარულო ურთიერთობები, ხალხური ცეკვა და სიმღერა.

შრომის პროცესებში ძნელი იყო ჰეროიკისა და რომანტიკის ძიება. დამკვრელი ბრიგადები, კომბაინი, რომელიც ბახტრიონის გვერდით მკიდა პურის ყანას ან პირველი ქართული ავტომობილის გამოჩენა, სოფელში პირველი ტრაქტორის შესვლა, ერთი კოლექტივის მიერ მეორის სოცშეჯიბრებაში ძლევა არ იწვევდა დიდ აღტაცებას.

კოსმოსის დაპყრობაც არავის აინტერესებდა, გარდა ოფიციოზისა.

ქართული ენა, როგორც ვთქვით, უძველესი დროიდან პათეტიკით ხასიათდებოდა, რასაც მას ანიჭებდა რელიგია, მეფეთა და სარდალთა მეტყველება, მუდმივი ომის პერიპეტიები.

მუსიკაშიც პათეტიკა სჭირდებოდა რომანტიკას, გმირობის კულტს, თავგანწირვის სულისკვეთებას, ამაღლებულ გრძნობებს (ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, მ. ბალანჩივაძე, ა. ბალანჩივაძე, ა. მაჭავარიანი, ო. თაქთაქიშვილი, რ. ლაღიძე, გ. ყანჩელი...).

ჰაგიოგრაფია და ჰაგიოგრაფიული ტექსტები, ბიბლიური წიგნები პათეტიკური ენით იწერებოდა, მაგრამ პერსონაჟები იყვნენ

ასკეტიკოს-მისტიკოსები. მათი ცხოვრება ან წამება რომანტიკას გამორიცხავდა. ხოლო ჰეროიკაც მისტიკის სივრცეში უნდა ყოფილიყო მოქცეული, რათა სისხლსავსე, მღვრიე ცხოვრებას, ეროტიკას, საომარ ყოფნას მიწიერებისაკენ არ მოექცია ასკეტიკოსი.

ქართული ენის პათეტიკით შემოსა რუსთაველმა თავისი მზისა და მთვარის, ლომისა და ვეფხვის დარი პერსონაჟები, რომელთა ზეაღმტაცი გმირობა და სატრფოსათვის თავგანწირვა უცხო იყო ასკეტიკოს-მისტიკოსისათვის.

ქართულ კულტურას გადაეცა რუსთაველის ტრადიცია, რომელიც ახალი ძალითა და ვნებით ამეტყველდა XX საუკუნეში.

რუსთაველის სიტყვის ესთეტიკა მიიღეს მოდერნისტებმა (გ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, „ცისფერყანწელები“, ტ. გრანელი), რომელთაც მას მიანიჭეს თანამედროვე იერი.

ასევე წამოსწიეს რომანტიკა და გმირობის კულტი, პიროვნებისა და სამშობლოს ტრაგედია.

ჰეროიკა, საბრძოლო შემართება, თავგანწირვა ყველაზე კარგად შეიძლებოდა გამოვლენილიყო ისტორიულ მასალაში, მეფეთა, სარდალთა, შემოქმედთა ცხოვრებაში, სასტიკი ბრძოლების სურათებში, დაცემისა და ამაღლების მატიანეში (ვ. ბარნოვის, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის, აკ. ბელიაშვილის, შ. დადიანის, ლ. გოთუას ისტორიული რომანები, გრ. რობაქიძის, დ. შენგელაიას ისტორიულ-მითოლოგიური პასაჟები, გ. ტაბიძის, „ცისფერყანწელების“, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, ლ. ასათიანის, კ. ჭიჭინაძის, შ. ნიშნიანიძის, მ. მაჭავარიანის, მ. ლებანიძის პოეზია).

ასევე იყო ოპერაში, ბალეტში, თეატრში, კინოში, მხატვრობაში, სკულპტურაში, ესტრადაზე (მაგ., რ. ლაღიძის „სიმღერა თბილისზე“).

სიმბოლური მნიშვნელობა მიენიჭათ ე. ამაშუკელის „ქართლის დედაისა“ და „ვეფხვსა და მოყმეს“, მ. ბერძენიშვილის „გიორგი სააკაძესა“ და მონუმენტს – „კიდევაც დაიზრდებიან“.

ისტორიული პროზის ილუზიაა ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, რომელიც სწორედ ამ ტენდენციების გამოხატვის გამო გახდა პოპულარული.

მკითხველი ეძებს გმირს, რომელსაც აიდეალებს, იქცევს ცხოვრების მეგზურად, იზიარებს მის სევდასა და სიხარულს. გმირი – ეს იგივე მხსნელია.

თარაშ ემხვარი დამარცხებული ქართველი ნაციონალისტია, მაგრამ ის უფრო უყვართ, ვიდრე გამარჯვებული კოლმეურნე აქტივისტი, მეშახტე, შოფერი თუ ტრაქტორისტი, რაიკომის მდივანი თუ რევოლუციონერი ბოლშევიკი.

რომანტიკულ ჰეროიკას განასახიერებდნენ აქტიორები – აკ. ხორავა და ვ. ჭაბუკიანი, უ. ჩხეიძე და აკ. ვასაძე, ვ. ანჯაფარიძე და ალ. იმედაშვილი, ზ. ანჯაფარიძე და ზ. სოტკილავა, ო. კობერიძე და ო. მელვინეთუხუცესი...

ჰეროიკულ თეატრსა და კინოს ამკვიდრებდნენ ს. ახმეტელი, მ. ჭიაურელი, დ. ალექსიძე, ს. დოლიძე...

აკაკი ხორავა თითქოს არც იყო მსახიობი – იგი მეფედ და სარდლად იყო დაბადებული, რომლის გარეგნობა, ხმა და მოძრაობა თრგუნავდა მაყურებელსა და მსმენელს (ივანე მრისხანე, ოტელო, გიორგი სააკაძე, სკანდერბეგი, ოიდიპოსი, ალი ბეი).

გარდასახვა უფრო შეეძლოთ უ. ჩხეიძეს (ჰამლეტი და ყვარყვარე) და ს. ზაქარიაძეს (ოიდიპოს მეფე და ჯარისკაცის მამა).

ვერიკო ანჯაფარიძეც ტრაგიკოსი იყო, ასევე – ოთარ მელვინეთუხუცესი. მათი ყოფითი, თანამედროვე როლები ეფექტსმოკლებულია.

რომანტიკამ და ჰეროიკამ გამსჭვალა მთელი ქართული კულტურა, რითაც იგი გაექცა და განერიდა ნამგალსა და უროს, ტრაქტორის გუგუნსა და ქარხნის საყვირს.

ამ ნიშნით ანთებულ ქართველ მოცეკვავეებს მსოფლიო ტაშს უკრავდა.

გარდა ტრადიციისა აქ მოქმედებდა რევოლუციებისა და ომების ეპოქა, დაცემულ გმირთა, ახლობელთა, მეგობართა სახეები, სამშობლოს ბედისწერა, დამარცხების სიმწვავე.

მსოფლიო ომი რომ დაიწყო, აქტუალობა შეიძინა სწორედ ჰეროიკამ, სისხლისა და ომის კულტმა.

ამ დროს იწერება კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“, ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ (ძირითადად პატიმრობაში), გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, ალ. აბაშელის, ლ. ასათიანის ლექსები და პოემები.

გმირული სული ქვეყანას შემდეგაც სჭირდებოდა, როცა აკავებდნენ იმპერიალიზმის აგრესიას, ქმნიდნენ საბჭოთა ატომს, აღადგენდნენ დანგრეულ სოფლებსა და ქალაქებს, იხსენებდნენ დაღუპულებს, ოცნებობდნენ დაკარგული და მიტაცებული მიწების დაბრუნებაზე.

რომანტიკა და პათეტიკა, გმირული შემართება დიქტატორული ხელისუფლების მოთხოვნათა შესატყვისი აღმოჩნდა, თუმცა ეს გრძნობები, ეს იდეალები არ იყო მიძინებული სოციალისტური შრომის პროცესებში, არც გმირები იყვნენ კომუნიზმის გულანთებული მშენებლები. ამიტომ მოერგო შექსპირი და ანტიკური ტრაგედიები ქართულ სცენას.

ცხადია, ქართველ მკითხველს არსაკიძე ან დავით აღმაშენებელი, ბესიკ გაბაშვილი ან დავით გურამიშვილი, ომში დაცემული კაპიტანი ბუხაიძე თუ ლევანი უფრო უყვარდა, ვიდრე მექი ვაშაკიძე ან გვადი ბიგვა, ტარასი ხაზარაძე თუ კუზმა კილგა.

დრამატურგიაშიც იმარჯვებდა ჰეროიკა (მაგ., გრ. რობაქიძის „ლამარა“, შ. დადიანის „თეთნულდი“, ს. შაშიაშვილის „არსენა“).

მკითხველი გატაცებით კითხულობდა აკ. ბელიაშვილის „ბესიკ გაბაშვილს“, ლ. გოთუას „გმირთა ვარამს“, კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის რომანებს, კლასიკიდან – ალ. ყაზბეგს.

პათეტიკა, ჰეროიკა, რომანტიკა ქართული კულტურის მამოძრავებელი და განმსაზღვრელი ძალებია. ეს ვლინდებოდა არაისტორიულ მასალაშიც (მაგ., ლ. ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“, „ჰაკი აძბა“, „ალმასგირ კიბულან“, დ. შენგელაიას „გურამ ბარამანდია“, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ და „ხოგაის მინდია“, გ. ტაბიძისა და გ. ლეონიძის პოეზია), რაც გადავიდა ქართულ სტალინიანაში, რომლის მთავარი გმირი ქართული სულიერებისა და ძალმოსილების უმაღლეს ნათებად ცხადდებოდა, როგორც ხალხთა მონობის დამამხობელი და კაცობრიობის გადამრჩენი, ახალი მესია.

ასე გადაეწნა ერთმანეთს საბჭოთა პატრიოტიზმი და ქართული ნაციონალიზმი.

ომის წლებში კულტურული ცხოვრება არ ჩამკვდარა – იგი გარდაიქმნა ვითარების შესაბამისად, შენარჩუნდა კადრები და გმირული საბრძოლო სული, როგორც ისტორიის გაგრძელება.

კულტურის მასობრიობა

კულტურის პროპაგანდისათვის, კულტურის მოღვაწეთა წარმოსაჩენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შემოქმედებით კავშირებთან ერთად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – სახალხო თეატრებს, სახალხო უნივერსიტეტებს, საკლუბო დაწესებულებებს,

მათთან არსებულ წრეებს, ჩატარებულ ლექცია-მოხსენებებს, საღამოებს, განხილვებს, შეხვედრებს, იუბილეებს.

მწერალთა კავშირს ჰქონდა პროპაგანდის ბიურო, რომელიც მწერალთა ჯგუფებს გზავნიდა სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. ეწყობოდა შეხვედრები, მწერალი ეცნობოდა ხალხს, გარემოს, ისტორიულ და თანამედროვე ძეგლებს და საკმაო ჰონორარსაც ღებულობდა.

რესპუბლიკას ჰქონდა როგორც ცენტრალური ბიბლიოთეკები, ისე მასობრივი ბიბლიოთეკების სისტემა, სპეციალიზებული ბიბლიოთეკები. ისინი სცემდნენ ჟურნალებსა და ბიბლიოგრაფიულ ცნობარებს.

მთავარი ბიბლიოთეკა იყო საჯარო, ასევე მდიდარი წიგნადი ფონდი ჰქონდათ აკადემიას, თსუ-ს, სტუ.

ფუნქციონირებდა მრავალი მუზეუმი, რომელთაც ჰქონდათ ფილიალები. ისინი იყო – ისტორიული, მემორიალური, ლიტერატურის და მეცნიერების, პოლიტიკურ, საზოგადო და სამხედრო, ხელოვნების მოღვაწეთა, მხარეთმცოდნეობისა და ხელოვნების, სახალხო და დარგობრივი.

ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების, კულტურის სახლებისა და კინოდარბაზების ქსელით იყო დაფარული მთელი რესპუბლიკა. მათ სახელმწიფო აფინანსებდა.

ასევე არსებობდა არქივები შესაბამისი ფილიალებით.

საქართველოს სსრ აერთიანებდა ორ ავტონომიას (აფხაზეთი და აჭარა) და ერთ ავტონომიურ ოლქს (სამხრეთ ოსეთი).

მათაც ასეთივე კულტურის სისტემა ჰქონდათ.

სახელმწიფო დაფინანსებით არსებობდა მრავალი ნებაყოფლობითი საზოგადოებაც – საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის, „ცოდნა“, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურის ძეგლთა დაცვის, წიგნის მოყვარულთა და სხვ.

დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა ეკლესია.

იმართებოდა სახალხო დღესასწაულები – მაგ., თბილისობა, ილიაობა, ვაჟაობა, შოთაობა, მცხეთობა, ალავერდობა; ყველგან მოქმედებდა კინოდარბაზები.

მიუხედავად რეპრესიებისა, იდეოლოგიური წნეხისა და რუსული შოვინისტური ძალმომრეობისა, ქართული კულტურა ინტენსიურად ვითარდებოდა და მისი გავრცელება-ათვისების პროცესში ჩართული იყვნენ მასები, მათგან წამოსული კულტურის მუშაკები.

ტრიუმფის ათწლეული

ქართველები, როგორც პარტიული კადრები, ისე კულტურის მუშაკები, მტკიცედ და მყარად გრძნობდნენ თავს 1944-1953 წლებში.

1921 წლის კატასტროფა დავიწყებას ეძლეოდა. ემიგრანტებსაც ეცვლებოდათ პოზიცია.

ბოლშევიკურ-ჩეკისტურ იმპერიაში ქართველებს ეკავათ ძალისმიერი პოსტები:

სტალინი – მსოფლიო პოლეტარიატის ბელადი და მასწავლებელი, გენერალისიმუსი, პარტიისა და მთავრობის მეთაური;

ბერია – სტალინის მოადგილე, მარშალი, პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა ატომის შექმნის ხელმძღვანელი, სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი;

ვსევოლოდ მერკულოვი – სსრკ უშიშროების, შემდეგ – კონტროლის მინისტრი;

სერგო გოგლიძე – სსრკ უშიშროების მინისტრის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი;

ბოგდან ქობულოვი – სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი;

ამაიაკ ქობულოვი – უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-ლეიტენტანტი;

ლუდვიგ ცანავა – ბელორუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი;

მიხეილ გვიშიანი – ჩრდილო კავკასიის უშიშროების უფროსი (შემდეგში – კოსიგინის მძახალი);

მნიშვნელოვანი პოსტები ეკავათ ვლადიმერ დეკანოზოვს, სერგო ქავთარაძეს, პეტრე შარიას, ადრე, 30-იან წლებში – ორჯონიკიძეს, ქართველიშვილს, ენუქიძეს...

ასევე ხდებოდა მეცნიერებასა და ხელოვნებაში. მაგ., სსრკ-ის პირველი 13 სახალხო არტისტთაგან 2 იყო ქართველი – ხორავა და ვასაძე.

ბერია თავისი გუნდით გადავიდა მოსკოვში და თუმცა იდეოლოგიას და კულტურას განაგებდა ჟდანოვი, იგი ჩეკას ხაზით ერეოდა ამ სფეროშიც.

აქ არ არის ადგილი, რომ ვილაპარაკოთ სტალინისა და ბერიას როგორც ჩადენილ უდიდეს ბოროტებაზე, ისე იმ უდიდეს ღვაწლზე, რომელმაც გადაარჩინა საბჭოთა კავშირი და უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.

კრემლის ლალისფერი ვარსკვლავი ქართული თვალებით ანათებდა.

საკავშირო არენაზე კარგად იცნობდნენ გიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვანს, აკაკი ხორავას, მიხეილ ჭიაურელს, ნიკოლოზ მუსხელიშვილს, ივანე ბერიტაშვილს, არნოლდ ჩიქობავას, სიმონ ჯანაშიას, ვახტანგ ჭაბუკიანს, ნიკო მარს, კონსტანტინე გამსახურდიას...

უკვე გადახდილია რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის იუბილეები. ისევ ითარგმნება „ვეფხისტყაოსანი“, უკვე მეხუთედ.

უკვე ნათქვამია სტალინის მიერ დიდი რუსი ერის სადღეგრძელო. ხოლო უკრაინა და ბელორუსია გაეროს წევრები არიან.

საქართველო ფორმალურად იკავებდა მეოთხე პოზიციას.

თბილისი ხდება მეოთხე ქალაქი, სადაც მეტროპოლიტენი უნდა გაეყვანათ.

ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიით“, ბ. კუფტინის არქეოლოგიური ნაშრომებით წარმოჩენილია ქართველური ტომების უძველესი წარსული (მტკვარ-არაქსის, თრიალეთის, კოლხეთის კულტურები), განფენის არეალი კავკასიასა და მცირეაზიაში.

30-იან წლებიდან დაიწყო მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრები, რამაც პოეტებიც დააინტერესა.

ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ერთიანობის თეორია (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა), ქართულის პრიმატობით.

ქართველთა ისტორიული წვლილი გამოვლინდა ქრისტიანული იდეოლოგიისა, მღვდელმსახურებისა და რენესანსის ფორმირებაში (შ. ნუცუბიძე).

მწვავედ დადგა თურქთაგან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნების საკითხი, რასაც მოითხოვენ სტალინი და ბერია.

პროპაგანდის პარალელურად სპეციალისტები სწავლობენ ტაო-კლარჯეთს, ანექსირებულ ტერიტორიას (მაგ., პ. ინგოროყვა, ვ. ბერიძე), უცხოეთში არსებულ კერებს, მიტოვებულ და იავარქმნილ ეკლესია-მონასტრებს, ეძებენ წინაპართა ნაკვალევს იმპერიების მიწაზე, მესხეთიდან ასახლებენ ე. წ. თურქ მესხებს.

გამარჯვების სიმბოლოს – წითელ დროშას რაიხსტაგზე ერთად აღმართავენ რუსი ეგროვი და ქართველი ქანთარია.

საქართველოს გადაეცა ჩრდილოეთ კავკასიიდან ქლუხორისა და ახალხევის რაიონები (ხრუშჩოვმა დააბრუნა).

ქართველებს ჰყავთ მრავალი სოციალისტური შრომისა და საბჭოთა კავშირის გმირი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრკ სახალხო არტისტი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ისევე როგორც ყველა რესპუბლიკას.

ლ. ბერიამ სტალინთან შეთანხმებით, მისი პოზიციის გათვალისწინებით შექმნა ქართული საბჭოთა ინტელიგენცია, რეპრესიებითა და წახალისების სისტემით წამოსწია ცალკეული სახელები.

საკავშირო ასპარეზის პარალელურად თავად რესპუბლიკის შიგნით იცვლება 30-იანი წლებიდან სიტუაცია. 1921 წელს ბოლშევიკების მიერ დაშლილი ქვეყანა ისევ იკრებს ძალას, იკრებს განმდგარ რეგიონებს, ითვისებს ქართველთაგან დაცლილ რაიონებს.

ომის შემდეგ სუბტროპიკული, ჩაის, სიმინდის, ვაზის, დაფნისა და მანდარინის საქართველო ინდუსტრიულადაც ძლიერდება. მარგანეცსა და ქვანახშირს ემატება ქუთაისის საავტომობილო, ზესტაფონის ფეროს, რუსთავის მეტალურგიული, თბილისის საავიაციო ქარხნები.

შენდება ახალი ქალაქი – რუსთავი. ფერს იცვლიან თბილისი, რესპუბლიკის სხვა ქალაქები, ისლის ქოხებიდან გამოდის სოფელი.

კულტურა, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება, სპორტი, ქართული ენა მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვითარდება.

კომუნისტური განათლების და ჯანდაცვის უფასო სისტემა, ეკონომიკური აღმავლობა მკვიდრი ბაზისი ხდება კულტურისათვის.

ქვეყანა იშუშებს ომის ჭრილობებს. გამარჯვების დაფდაფები ჰფარავს გლოვას ასიათასობით დაღუპულსა და უგზო-უკვლოდ დაკარგულზე, რეპრესირებულსა და დახვრეტილზე.

გენერალისიმუსის სახელი იმედითა და რწმენით ავსებს გადარჩენილ თაობებს, მუშას, გლეხს, ინტელიგენტს.

სტალინმა აღადგინა თავის მიერვე დათრგუნული საქართველო მას შემდეგ, რაც ბოლშევიკურად მოზიდა იგი და სამშობლომაც სცნო მისი სიდიადე.

ასეთ დროს, 1951 წლის შემოდგომაზე, ბელადის მითითებით, შედგა „მეგრელთა საქმე“, დაიჭირეს და აწამეს არაერთი მეგრული წარმომავლობის ბოლშევიკი. ამ კამპანიის მიზანი იყო ბერიას კომპრომენტირება, რათა იგი არ მიეჩნიათ სტალინის მემკვიდრედ.

ობიექტურად ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეალურად კრემლში ერთ ქართველს მეორე ქართველი ვერ შეცვლიდა!

სტალინს ჯერ სძულდა საქართველო, როცა შლიდა მის ტერიტორიას და ავტონომიურად ანაწილებდა. შემდეგ დასჭირდა დიდი ტრადიციების ქვეყნის შვილობა.

ომში ქართველთა უზომო მსხვერპლმა და ერთგულებამ კი საბოლოოდ მოულბო გული და ეცადა თავის სამშობლოს წამოწევას, რეაბილიტირებას.

იგი ინტერნაციონალისტი იყო. მაგრამ გვერდით მაინც ჰყავდა ქართველები, ჯერ ორჯონიკიძე და ენუქიძე, შემდეგ – ბერია, სომეხი მიქოიანი.

ისევ იცვალა ჟამი და შეწყდა ქართველთა ტრიუმფი – ჯერ სტალინის სიკვდილი, შემდეგ – ბერიას დახვრეტა და ბელადის მკაცრი კრიტიკა გააჩენს ფარულ უფსკრულს ქართველებსა და რუსებს შორის, უნდობლობას, ცინიზმსა და ირონიას.

ეს კი საფუძველს აძლევს დისიდენტურ აზროვნებას, ანელებს სოციალიზმის იდეალებისადმი ერთგულებას.

პირველი ანტიქართული სიგნალებიც ეკუთვნოდა სტალინს - მარის კრიტიკა და მეგრელთა საქმე.

საქართველომ დაკარგა პრიორიტეტი. მოსკოვმა იგი ჩამოაქვეითა როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურის თვალსაზრისით და ქართველი წამოსწია როგორც სპეკულიანტის ტიპი, მედროვე და ავანტურისტი.

2. საბჭოთა კულტურშემოქმედი

კულტურშემოქმედის გამორჩევა

აღზრდის სისტემა ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის ერთი იყო – მას ჰქონდა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ფორმა, აგებული იყო გერმანულ მოდელზე, რომლის საწყისი, თავისი მხრივ, ბერძნულ-რომაულია.

აღზრდა იწყებოდა საბავშვო ბაღიდან, სპეციალური პროგრამებით, რაც ინტელექტუალურთან ერთად მოიცავდა ფიზიკურ კულტურასაც.

ამიტომ ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა სპორტს, ჯანსაღი ცხოვრების წესს, ფიზიკურ მომზადებას, რადგან საბჭოთა მოქალაქე, გერმანელის მსგავსად პოტენციური ჯარისკაცი, მედდა, ოფიცერი იყო.

კულტურშემოქმედი გვიან ყალიბდება. ადრეული მიდრეკილებები, სპეციფიკური უნარის გამოვლენა არაფერს ნიშნავდა, ვიდრე გარკვეულ ზღვარს არ მიაღწევდა, რაც იკვეთებოდა სტუდენტობის პერიოდში.

მანამდე იგი გაივლიდა ოქტომბრელის, პიონერის, კომკავშირელის ფაზებს და მიღებული ჰქონდა იდეოლოგიზებული საბჭოთა განათლება.

სტუდენტობის პერიოდში იწყებოდა როგორც სპეციალიზება, პროფესიის ათვისება, ისე კულტურშემოქმედის თვისების გამოვლენა და გაშლა. საამისოდ არსებობდა სათანადო წრეები.

ასეთ თვისებას ბევრი გამოხატავდა, რაც ქმნიდა საჭირო კონტიგენტს, საიდანაც გამოიყოფოდა ცალკეული განსაკუთრებული ბუნების კულტურშემოქმედი (პოეტი, მხატვარი, მომღერალი).

ეს ხდებოდა როგორც ინდივიდუალურ თვისებათა დახვეწით, ისე საბჭოთა, კომკავშირული, პარტიული ორგანიზაციების, სპეცსამსახურების დახმარებით.

კომპარტია განათლებისა და კულტურის მასობრიობას პრაქტიკულად ახორციელებდა და ასე ცვლიდა ქრისტიანულ მისტიციზმს მატერიალიზმით.

ქრისტიანობა თავიდან ღატაკთა და უპოვართა მოძრაობა იყო, რომელიც კაცთა და ხალხთა თანასწორობისათვის იბრძოდა.

ისინი უარყოფდნენ ამქვეყნიურ სიმდიდრესა და დიდებას.

კულტურშემოქმედთა აბსოლუტური უმრავლესობაც, ისევე როგორც მთავრობის კადრები, პროვინციებიდან მოდიოდნენ ამჯერადაც.

ეს ტენდენცია დაიწყო XIX საუკუნის ბოლოდან, როგორც ითქვა.

გვაროვნული არისტოკრატიიდან თითო-ოროლა შერჩა კულტურის ასპარეზს (მაგ., შალვა დადიანი, ნიკო ლორთქიფანიძე).

მათ ცვლიდნენ მუშებისა და გლეხების შვილები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პიროვნებისა და შემოქმედის ჩეკისტური თვალსაზრისით შესწავლას. შემოქმედი

მთელი სიცოცხლე, თუ ის რაიმე თვალსაჩინოს ქმნიდა, უშიშროების მზერის არეში იყო მოქცეული.

იგი იძლეოდა დასკვნას, მითითებას, განსაზღვრავდა პერსპექტივას.

სსრკ-ში უშიშროების სისტემა (ჩეკა, გპუ, შინსახკომი, სუკი) იყო ანალიტიკურ-ტერორისტული ცენტრი, რომელიც სწავლობდა და ამზადებდა, არჩევდა შემოქმედებით და სახელმწიფოებრივ კადრებს. ქმნიდა საშუალო ფენას, როგორც ბაზისს.

იგი მოქმედებდა როგორც უჩინრად, ისე ცალკეულ პირებთან საიდუმლო კავშირებით, კონტაქტებით, თანამშრომლობით, ურთიერთინფორმირებით, რაც ქმნიდა აგენტურულ ქსელს მთელ წითელ იმპერიაში.

პოლიტიკური აზრი მუშავდებოდა სუკის (შინსახკომის) წიაღში პარტიული დირექტივების საფუძველზე და გადაეცემოდა ხელისუფლებას, მასმედიას, აგენტურულ ქსელს, რათა სამთავრობო და საზოგადოებრივი პოზიცია სინქრონული ყოფილიყო.

იგი ცხრილავდა და არჩევდა კადრებს, შემოსულ ინფორმაციებს, წიგნებს, სპექტაკლებს, ფილმებს, თუმცა ადრევეც აქტიურად მონაწილეობდა მათ ფორმირებაში თავად კადრებზე დამყარებით.

ასე ხდებოდა პიროვნების როგორც ამაღლება, ისე ჩაძირვა.

ეს იყო მუდმივი პროცესი, რასაც ეფუძნებოდა წახალისების სისტემა, კარიერა, რეკლამირება. ლეგალურად კი გზა ეხსნებოდა ცენტრალური კომიტეტის, პარტიული ლიდერის გადაწყვეტილებით, დასახელებით.

ბოლშევიკებმა გამოჰყვეს მასისაგან ინტელექტუალური ელიტა და იგი გადაანაწილეს იერარქიულ-რანგობრივი სისტემით.

ამ პროცესს წარმართავდნენ და აწესრიგებდნენ ცეკა და სუკი შემოქმედებითი ორგანიზაციის თუ სამეცნიერო დაწესებულების სახელით.

ხელოვანს ჰქონდა ერთი კონკრეტული დარგი – იმ სფეროში უნდა ემუშავა, რათა ყოფილიყო პროფესიონალი – ლექსი, პროზა, დრამატურგია, მუსიკა, ქორეოგრაფია, მხატვრობა, სცენა, ესტრადა.

მათ შიგნით კი გამოარჩევდნენ ერთ-ერთ ნაწარმოებს, რომელითაც ფასდებოდა შემოქმედი – მ. ჯავახიშვილი – „არსენა მარაბდელი“, კ. გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“, გ. ლეონიძე – „ბავშვობა და ყრმობა“, ლ. ქიაჩელი – „ტარიელ გოლუა“ და „გვადი ბიგვა“, ა. მირცხულავა – „სამშობლო ბელადისა“, გრ. აბაშიძე – „ძლევის ქედი“ და „სამხრეთ საზღვარზე“, ირ. აბაშიძე – „კაპიტანი ბუხაიძე“, ი. გრიშაშვილი – ლექსები თბილისზე, ს. ჩიქოვანი – „ვინა სთქვა“, „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, აკ. ხორავა – გ. საакაძისა და ოტელოს როლები, ვ. ჭაბუკიანი – ოტელოს როლი, სპ. ბაღაშვილი – არსენა, გ. ტაბიძე – „მშობლიურო ჩემო მიწავ“...

ასევე იყო მეცნიერებაში – აკ. შანიძე – ეს იყო ქართული ენის გრამატიკა, კ. კეკელიძე – სასულიერო მწერლობა, აკ. გაწერელია – ქართული ლექსი, შ. ნუცუბიძე – „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი, ნ. მუსხელიშვილი – დრეკადობის თეორია, ივ. ჯავახიშვილი – ქართველი ერის ისტორია, პ. ინგოროყვა – გიორგი მერჩულე, არნ. ჩიქობავა – ზოგადი ენათმეცნიერება, გ. ახვლედიანი – ფონეტიკა, ბ. ჟღენტი – კრიტიკა, გ. ჯიბლაძე – ესთეტიკა, ალ. ბარამიძე – საერო მწერლობა.

ხელისუფლება ასე იქმნიდა წარმოდგენას კულტურის სფეროებში განაწილებულ კადრებსა და მათ მიღწევაზე.

ეს იმდენად იყო საჭირო, რამდენადაც ყველა სფეროს ლიდერი უნდა ჰყოლოდა, აღიარებული და გამორჩეული, რომლის დაფასება და პროპაგანდა შეიძლებოდა.

მათი სახელები, ღვაწლი, დამსახურება ამგვარი დიფერენცირებით უფრო იოლად აღიბეჭდებოდა მასის ცნობიერებაშიც. ხელისუფლება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით ასე ქმნიდა სოციალისტურ კულტურას, რომელიც, როგორც მაშინ უწოდებდნენ – ფორმით იყო ნაციონალური, შინაარსით – ინტერნაციონალური.

მწერალი იყო „სულის ინჟინერი“ (ი. სტალინი).

კომუნისტური იდეალების დასამკვიდრებლად მთავარი სიმძიმე გადადიოდა მწერლობასა და კინემატოგრაფზე, მასმედიის ქსელზე.

ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ერთგულება სოციალიზმისა და სსრკ-ის იდეალებისადმი და მორჩილება ხელისუფლებისადმი, ცალკეული პირებისადმი.

ერთგულები და ფანატიკოსები ცოტანი იყვნენ, განსაკუთრებით – სტალინის შემდეგ. მორჩილება კი აუცილებელი იყო, ოღონდ – გარკვეულ დრომდე, როგორც ეს აჩვენა პერესტროიკამ და სსრკ-ის უეცარმა აღსასრულმა: ყველა დადის სამსახურში და მუშაობს, ზოგი ხალისით, ზოგი – იძულებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმე თავს გაწირავს ამ სამსახურისათვის!

ყოფითი პირობები

რაკი კულტურა იდეოლოგიის ნაწილი იყო, ხელისუფლება არა მხოლოდ მიმართულებას აძლევდა მას, არა მხოლოდ მოთხოვნებს უყენებდა, არამედ – მატერიალურად ზრუნავდა კულტურშემოქმედზე, უქმნიდა პირობებს, რათა უკეთ მორგებოდა საბჭოთა სისტემას, ყოფილიყო მისი გულშემატკივარი და უკეთესი შემოქმედი. ხალხს, ახალ თაობას, კოლეგებს უნდა ენახათ თუ როგორ

ფასდებოდა ნიჭიერი და ერთგული კულტურშემოქმედი, როგორი მზრუნველი იყო ხელისუფლება.

როგორც ვთქვით, კულტურშემოქმედთა უმრავლესი ნაწილი პროვინციის მკვიდრი იყო, ღარიბი ოჯახის შვილი.

მათი წინაპარი არ ყოფილა თავადი ან ბურჟუა.

ამიტომ იყვნენ ერთგული იმ ძალისა, რომელმაც ცოდნა მისცა და ასპარეზზე გაიყვანა.

მთავრობა კი თავის დამსახურებად ითვლიდა, რომ აამოძრავა ჩაგრული მასები, კულტურას აზიარა ღარიბთა შვილები, გზა გაუხსნა ტალანტებს, რომ მხოლოდ ბაგრატიონები, ორბელიანები, ჭავჭავაძეები როდი იყვნენ ნიჭიერნი (შდრ – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება).

ეს მართლაც ასე იყო, ოღონდ სხვა საკითხია – როგორ და რის ფასად.

კულტურშემოქმედი – რომელიმე შემოქმედებითი კავშირის წევრი, ხელისუფლების მფარველობის ქვეშ ექცეოდა.

აქაც მოქმედებდა იერარქიული პრინციპი:

ნიჭიერი მაქებარი მეტ აღიარებას ჰპოვებდა.

გაერთიანებათა მიღმა მყოფი შემოქმედი მიიჩნეოდა უნიჭოდ ან საეჭვოდ. მხოლოდ ახალგაზრდას ჰქონდა შეღავათი. ის კანდიდატად ითვლებოდა და აძლევდნენ თავის გამოჩენის საშუალებას, სწავლობდნენ და არკვევდნენ მის პოტენციალს.

სსრკ-ში ერთიანი კანონები მოქმედებდა. ამიტომ აქაც შემოქმედებითი კავშირის წევრს უნდა ჰქონოდა ბინა, სამსახური, შესძლებოდა თავისი ნაშრომებით აეღო ჰონორარი, რათა მასისათვის სანიმუშოდ დაესახათ.

ბინას ხელისუფლება უფასოდ იძლეოდა, კავშირის წევრისათვის – აღრიცხვისა და საერთო რიგის გარეშეც.

მანქანა, საგზური, იმპორტული ავეჯი ნაწილდებოდა და ასე უნდა ეყიდათ, ოციან წლებში – ტანსაცმელიც (შდრ – ომის წლებში ირ. აბაშიძე სპეციალურად მიმართავს მთავრობას, რომ მოსკოვში მიმავალი მწერლები სათანადოდ შეემოსათ).

კულტურის მუშაკები სტალინ-ბერიას დროს განათავსეს ჩელუსკინელ გმირთა მოედანზე ე. წ. თერთმეტსართულიან მონუმენტურ შენობაში, კამოს ქუჩაზე, სანაპიროსთან, შემდეგ – პლეხანოვსა და გოგებაშვილზე, კეკელიძეზე, საირმეზე, ნუცუბიძის პლატოზე...

მხატვრებს ეძლეოდათ დამატებითი ბინა სახელოსნოს მოსაწყობად (მაგ., ნუცუბიძეზე). კომპოზიტორების სახლი იყო პავლოვზე...

შემოქმედების კავშირებს (მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა...) ჰქონდათ დასასვენებელი სახლები, ადმინისტრაციული შენობები, შემოქმედებს – საგზურები, სტალინის შემდეგ – უცხოეთში მოგზაურობის ნება, ნდობის აღჭურვილებს – უფასოდაც, როგორც კონგრესების მონაწილეთ, დელეგაციის წევრებს; ეძლეოდათ ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებები.

ყოფითი პირობების მოწესრიგება, ერთი მხრივ – ქმნიდა სამუშაო გარემოს, მეორე მხრივ – ნდობასა და ერთგულებას ხელისუფლებისადმი.

კულტურშემოქმედი მთლიანად სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული. პირადი ინიციატივისათვის რჩებოდა ადგილი, მაგრამ ესეც სახელმწიფოს მზერის არეალში.

დანარჩენი კორუფციის ან დისიდენტური მოქმედების სფერო იყო.

ის, ვინც არ იყო სკკპ წევრი, იდეოლოგიურად ხომ იჩაგრებოდა. მაგრამ ამას ერთვოდა კოლეგების შუღლი, რისგანაც არაწევრს პარტია რატომ დაგიცავდა. იყო გამონაკლისები (მაგ., ფედინი, ტი-

ხონოვი, ბ. ჟღენტი, კ. ლორთქიფანიძე). მათ სუკი იფარავდა როგორც უპარტიოთა ბლოკის წარმომადგენლებს.

პარტიასთან საქმის მოგვარება არ კმაროდა – ურთიერთობა სუკთანაც უნდა ყოფილიყო გარკვეული, თორემ კულტურშემოქმედი ჩაიძირებოდა, როგორც იდეოლოგიური, ისე კოლეგების მტრობის გამო.

ესეც არ კმაროდა – საჭირო იყო სამოქმედოდ მაფიის კიდევ ერთ წრეში შესვლა – ეს იყო კორუფციული გარიგებანი და ქურდული მენტალიტეტის შეძენა, რაც მოდიოდა სუკის ტერორისტული სისტემიდან,რევოლუციური წლებიდან.

დრო წარმოშობდა ავანტიურისტებს როგორც პოლიტიკაში, ისე კულტურის სფეროებში.

50-იან წლებში კულტურის ცნობილ მუშაკებს აგარაკის ასაშენებლად წყნეთში მიწის ნაკვეთი გამოუყვეს.

შემდეგ ახალთაობა მანქანის მართვასაც დაეუფლა, შეიძინეს გამოყოფილი ავტომანქანები, ძირითადად ეს იყო „მოსკვიჩი“ და „ჟიგული“.

„ვოლგას“ ცეკა ანაწილებდა. მაგრამ თითქმის ყოველი კულტურშემოქმედი ხელმოკლეობას უჩიოდა და იძულებული იყვნენ მანქანები გაეყიდათ.

ცხოვრების პროგრესი იწვევდა ახალი ნივთების სიმრავლეს, რომელთა შესაძენად არ კმაროდა ხელფასი და ჰონორარი.

პროპაგანდა – რეკლამირება

ხელისუფლების მიერ აღზრდილი, ერთგული და მეტ-ნაკლებად ნიჭიერი კადრის შეცვლა არ იყო იოლი. ეს უფრო ჭირდა კულტურაში, რასაც სახელმწიფომ დაახარჯა დიდი დრო, რესურ-

სი და ენერგია, თორემ პოლიტიკურ მმართველობაში, ელიტაშიც ხშირად იცვლებოდნენ ხელმძღვანელები.

ამიტომ აღიარებული და დაფასებული შემოქმედის სახელი და სახე მუდმივად ტრიალებდა პრესასა და რადიო–ტელევიზიაში. გამოჰყავდათ ყრილობებზე, უმაღლესი საბჭოს სხდომებზე, შეხვედრებზე, სიმპოზიუმებზე, დისკუსიებში (მაგ., ირ. აბაშიძე), სადაც შეძლებდა ხელისუფლების პოზიციის დაცვას.

ასეთ პერსონას პენსიაზე არ უშვებდნენ. იგი მუდმივად რჩებოდა პოსტზე. მასზე იშვიათად მოქმედებდა ცეკას გენერალური მდივნების ან ადგილობრივი მდივნების ცვალებადობა.

როცა გააკრიტიკეს სტალინი, დახვრიტეს ბერია და ჩეკისტები, მათი ხოტბა და თანადგომა თუ პარტიულ მუშაკებს კარიერის ფასად დაუჯდათ, კულტურშემოქმედებს ეს არც შეცდომად, არც დანაშაულად არ ჩაუთვალეს. ისინიც მშვიდობიანად და წარმატებით გადაერთვნენ ახალ ტალღაზე, თითოოროლა ფანატიკოსის გარდა (მაგ., თავი მოიკლა საბჭოთა მწერლების მეთაურმა ალ. ფადეევმა).

გამოჩენილ მწერალს, მხატვარს, კომპოზიტორს, მომღერალს, მსახიობს, რეჟისორს მოსკოვი მფარველობდა, რადგან იგი იყო შემოქმედებითი კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ან ცეკას წევრი და დეპუტატი, ლაურეატი, რომელსაც ჰქონდა კონტაქტები სხვადასხვა სტრუქტურებთან.

კულტურის ასეთი მუშაკი დიდად იყო დაფასებული.

ის, ვინც ვერ გაივლიდა იერარქიულ კიბეს, მოსკოვის მზერისაგან მოცილებული იყო და არც სუკი ეპყრობოდა კარგად, ინტრიგების მსხვერპლი ხდებოდა ან ადრევე გაინაპირებდნენ და ახშობდნენ.

ოპოზიციის ადგილი კი ციხეში იყო (მაგ., ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა).

თუ ციხიდან გამოსწორებული გამოვიდოდა, მას ისევ ეთმობოდა ასპარეზი, ეძლეოდა თავის გამოჩენის საშუალება (მაგ., ჭ. ამირეჯიბი).

რეაბილიტაციის მოპოვება ნიჭით, გაკეთებული საქმით შეიძლებოდა და არა მხოლოდ ერთგულებით ან ლოიალობით (მაგ., კ. გამსახურდია, ლ. გოთუა, ალ. წერეთელი, გ. გოზალიშვილი, შ. ნუცუბიძე, გრ. კოსტავა, ალ. კალანდაძე, ჭ. ამირეჯიბი).

სტალინ-ბერიას შემდეგ ხელისუფლება მრავალ პროფილაქტიკურ ხერხს მიმართავდა, რათა კულტურშემოქმედი იდეოლოგიური მოტივით არ დასჯილიყო, თუმცა ეს მოქმედებდა მის კარიერაზე.

მხოლოდ ხოტბა ან ერთგულება პარტიას აღარ სჭირდებოდა.

მთავარი იყო ნიჭიერების გატარება იდეოლოგიურ პრიზმაში.

ქართულმა კულტურამ, მეცნიერებამ და ხელოვნებამ, ლიტერატურამ შესძლო საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ერთგულებითა და ლოიალობით, რეპრესირებისა და კონტროლის პირობებში შეექმნა თვალსაჩინო ნიმუშები, შეენარჩუნებინა ტრადიციები, დაეხვეწა მშობლიური ენა, გაევრცელებინა ცოდნა, განათლება, წიგნი, მთელი თაობები აღეზარდა ინტელექტუალური სულისკვეთებით, დაეცვა ნაციონალური მრწამსი და გამიჯნოდა რუსულ აგრესიას, ფორმალურად კი შეენარჩუნებინა იდეოლოგიური ნიღაბი.

საბჭოთა კულტურშემოქმედს სჭირდებოდა დიდი არტისტიზმი, რათა ეღვაწა, ყოფილიყო კომუნისტური მაფიის წევრი და თანაც გაეგრძელებინა მშობლიური ტრადიციები. ამიტომ იგი თავისთავში აერთიანებდა მოთამაშესა და მებრძოლსაც.

კულტურშემოქმედს უნდა ჰქონოდა თავისუფალი დრო და გადაადგილების მეტი საშუალება, რაც გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ფორმით.

მთავლიტი – საბჭოთა ცენზურა

ბეჭდვითი სიტყვის ცენზურა ბოლშევიკებმა თითქოს გააუქმეს. მის ნაცვლად შემოიღეს მთავლიტი, რაც გულისხმობდა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას, რომ უნებლიეთ არ გამჟღავნებულიყო იგი.

ეს დაახლოებით ისეთივე სიცრუე იყო, როგორც ლენინის მიერ სიკვდილით დასჯის გაუქმება, რაც ასე უნდოდა სახელმწიფო სათათბიროს, რასაც მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძე.

სიკვდილით დასჯის უფლება დაუტოვეს სამხედრო ტრიბუნალს, ამ ნიშნით ტარდებოდა მილიონობით ადამიანის რეპრესია.

ომის შემდეგ სტალინმა სიკვდილით დასაჯა შეცვალა 25-წლიანი სასჯელით. მაგრამ სამხედრო ტრიბუნალი ისევ მოქმედებდა.

მთავლიტიც იყო სახელშეცვლილი ცენზურა, რომელიც აკონტროლებდა ბეჭდვით სიტყვას, რადიომაუწყებლობას, ტელევიზიას, მთელს კულტურას.

აკრძალული იყო ანტისაბჭოთა ლიტერატურა, 1917-1921 წლების პრესა, ყოფილი ბოლშევიკი ლიდერების (მაგ., ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის) ნაწერები.

მათთვის არსებობდა სპეცფონდი, რომელიც სუკის განკარგულებაში იყო. მისი გაცნობა შეეძლო სათანადო ნებართვით მხოლოდ ცალკეულ პირებს.

მთავლიტი სუკის ფილიალი იყო. მაგრამ მას არ უწევდა ისეთი აქტიური მუშაობა, როგორც ცარისტულ ცენზურას – საბოლოო დასტურისათვის მისული მასალა უკვე იყო გაფილტრული, შესწავლილი, დამუშავებული.

პრესის, სტამბის, გამომცემლობის, კინოს, თეატრის, ტელერადიოს ყოველი მუშაკი იდეოლოგიურად იყო აღზრდილი, კარგად იცოდა თუ რა შეიძლებოდა და რა – არა.

გარდა ამისა, აქაც მოქმედებდა იერარქიული სისტემა.

ავტორი გამომცემლობას წარუდგენდა მანქანაზე გადაბეჭდილ ტექსტს, რომელიც 2-3 წლის შემდეგ თუ გამოიცემოდა.

მას კითხულობდა რედაქტორი, უფროსი რედაქტორი, ეცნობოდა განყოფილების გამგე, მთავარი რედაქტორი და მისი მოადგილე, დირექტორი.

ყველა ხელს აწერდა. შენიშვნის მიცემაც ყველას შეეძლო.

წიგნს ჰყავდა მხატვარი, ტექრედაქტორი. ამის შემდეგ იგი გადადიოდა სტამბაში, სადაც ტექსტი ლინოტიპზე იწყობოდა. ანწყობს კითხულობდა კორექტორი და ასევე ეცნობოდა ყველა ინსტანცია. მასმედიაში ეს პროცესი უფრო მარტივი და ოპერატიული იყო.

თუ მაინც გააღწევდა ამ მკაცრი ფილტრიდან არასასურველი ან საეჭვო მასალა, მას კეტავდა მთავლიტი. ამასთან – იგი შეტყობინებას რეაგირებისათვის აძლევდა სუკს.

ყველაზე მკაცრად, თვით ჰიტლერზე მეტადაც კი, იდევნებოდა ლავრენტი ბერიას სახელი. ასეთივე ბედი ერგო გრიგოლ რობაქიძეს. ისინი თითქოს არ არსებულან – მათი გვარის დაწერაც კი არ შეიძლებოდა!

ცხადია, ფალსიფიცირების დიდი ოსტატობა სჭირდებოდა ისტორიკოსს, რომ გაექრო ბერიას სახელი ან დაეტოვებინა ტროცკიზმი და არაფერი ეთქვა ტროცკიზე!

მთავლიტი იყო იდეოლოგიის ბოლო შალაშინი. მაგრამ როგორც იცვლებოდა პარტიული ლიდერები, ისე განიცდიდა ცვლილებებს მთავლიტის მოთხოვნები.

1990 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მთავლიტი გაუქმდა.

ჰონორარი

მასმედია, ხელოვნება, მეცნიერება ჰონორარითაც ფინანსდებოდა და იმართებოდა.

ჰონორარი დიფერენცირებული იყო. არსებობდა შესაბამისი ტარიფები, ყოველი დაბეჭდილი ტექსტი, სატელევიზიო თუ რადიოგადაცემა, კინოფილმი, საესტრადო კონცერტი ფინანსდებოდა. ეს ხდებოდა ხელფასისაგან დამოუკიდებლად.

შექმნილი იყო ავტორთა უფლებების დამცველი სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფდა ჰონორარის აღრიცხვასა და მართლზომიერ განაწილებას. მაგ., ერთი პერიოდი ნ. დუმბაძის სპექტაკლები იდგმებოდა სსრკ 1000 თეატრში, რომელთაგან შემოსულ ჰონორარს სჭირდებოდა შეკრება და ავტორისათვის გადაცემა.

ტარიფები იცვლებოდა დროის შესაბამისად.

ჰონორარს იძლეოდნენ რაიონული გაზეთებიც კი.

მწერალთა კავშირს ჰქონდა პროპაგანდის ბიურო. იგი გზავნიდა მწერლებს მშრომელთა კოლექტივებში. ყოველი გამოსვლა ფულადი იყო. ამგვარად მუშაობდა საზოგადოება „ცოდნაც“.

მწერლებს, მუსიკოსებს, მომღერლებს, მხატვრებს, თეატრალებს, კინოს მუშაკებს გაცილებით მეტი ჰონორარი ეძლეოდათ რუსეთში, ვიდრე რესპუბლიკებში.

მაგ., მ. შოლოხოვის „წყნარი დონი“ ავტორის სიცოცხლეში 600-ჯერ დაიბეჭდა. ავტორები ღებულობდნენ სხვადასხვა დონის ჰონორარებს ორიგინალის, თარგმანის, გამოცემების რიგითობის მიხედვით.

პრივილეგირებულ, ხელისუფლების მიერ აღიარებულ შემოქმედს გაცილებით უხვი ჰონორარი ერგებოდა, ვიდრე რიგითებს ან ახალგაზრდებს.

დაქვითვა ჰონორარზეც ვრცელდებოდა. პარტიის საწევროს აქედანაც იხდიდნენ, რაც შეადგენდა 2%-ს.

ქართველ ავტორს მშობლიურ ენაზე შეეძლო წელიწადში ერთი წიგნის გამოცემა. ესეც საუკეთესო შემთხვევაში და რჩეულებს. თარგმანი არ იზღუდებოდა. აქ სხვა მექანიზმი მოქმედებდა. ქართველი ავტორები მოსკოვში გადიოდნენ ფილტრაციას. მოსკოვი ადგენდა სათარგმნი, აპრობირებული, შემოწმებული ავტორების სიას.

ქართველი პროზაიკოსებიდან ითარგმნებოდნენ ლ. ქიაჩელი, კ. გამსახურდია, ნ. დუმბაძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. ფანჯიკიძე, სხვები – ნაკლებად.

კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ სცნობდნენ. მწერლის სხვა რომანებს (მაგ., „მთვარის მოტაცებას“, „დავით აღმაშენებელს“) არ სცემდა მოსკოვი და უცხოეთის ვიზას როგორ მისცემდნენ.

ჰონორარი იყო სტიმული, დახმარება, ხელშეწყობა, სახელმწიფოებრივი თანადგომა ნიჭიერი და ერთგული მუშაკისადმი.

1947 წლის რეფორმის შემდეგ I ხარისხის სტალინური პრემია იყო 100 000 მან., II ხარისხისა – 50 000 მან., III ხარიხსისა – 25 000 მან.

შდრ - სტალინის ხელფასი იყო 10000 მან., ბერიასი – 8 000 (ბერია ღებულობდა ყოველთვიურ დანამატს 20 000 მანეთს). „მოსკვიჩი“ ღირდა 10 000, „პობედა“ – 25 000, შემდეგ „ვოლგა“– 40 000.

წოდებები

დაწესებული იყო წოდებები – სსრკ სახალხო არტისტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, დამსახურებული არტისტი, რაც ეძლეოდათ რეჟისორებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს, მუსიკოსებს, კომპოზიტორებს.

ასეთივე დიფერენცირება მოქმედებდა მხატვრობაში, რაც აისახებოდა ჰონორარზე, ხელფასზე, რეკლამირებაზე.

მწერლობაში კლასიფიკაცია არ იყო მიღებული. მაგრამ იყვნენ სახალხო პოეტები, მწერალ-აკადემიკოსები, ლაურეატები, თანამდებობის პირები, რომელთა წიგნები მეტჯერ ითარგმნებოდა და იცემოდა, ჰონორარიც მეტი ეძლეოდათ.

მეცნიერებაში მას შეესაბამებოდა დოცენტი, დოქტორი, პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიკოსი – როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო დონისა.

დიქტატორულ სახელმწიფოში ასეთი იერარქია გადმოტანილი იყო სამხედრო სისტემიდან.

უფლებრივად და სოციალურად კომპარტია ათანაბრებდა ადამიანებს. მაგრამ ნიჭისა და დამსახურების მიხედვით წამოსწევდნენ ცალკეულ პერსონებს, რომელთა ღვაწლს მაგალითად უსახავდნენ მასას, ახალგაზრდობას, უცხოეთს, კოლეგებს.

ბრეჟნევის დროიდან უმაღლესი წოდება იყო სოციალისტური შრომის გმირობა კულტურის სფეროში (გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ვახტანგ ჭაბუკიანი, ილია ვეკუა...).

პრემიები

სტალინურ პრემიას შემდეგ სახელი შეუცვალეს და სახელმწიფო დაარქვეს. ხოლო უმაღლეს პრემიას უწოდეს ლენინური.

შემოქმედ ინტელიგენციას მოუწოდებდნენ, რომ ებრძოლათ სტალინური პრემიის მოსაპოვებლად ანუ შეექმნათ კომუნისტური სულისკვეთების ნაწარმოებები.

ქართველთაგან ყველაზე მეტი – ექვსი სტალინური პრემია მიიღო მიხეილ ჭიაურელმა. ხუთგზის დაჯილდოვდა აკაკი ხორავა. მწერალთაგან სამგზის ლაურეატი იყო გიორგი ლეონიძე.

გ. ტაბიძე და კ. გამსახურდია რამდენიმეჯერ წარადგინეს, მაგრამ პრემიების კომიტეტისაგან უარი ეთქვათ..

ლენინური პრემიის ლაურეატები იყვნენ ვახტანგ ჭაბუკიანი, გიორგი მელიქიშვილი, სერგო ზაქარიაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, ნოდარ დუმბაძე, სოლიკო ვირსალაძე, გიორგი ძოწენიძე, ილია ვეკუა, ირაკლი ანდრონიკოვი, ლეონიდე ბოკერია, თამაზ გამყრელიძე, თენგიზ აბულაძე, ალბერტ თავხელიძე...

ხრუშჩოვის შემდეგ მოხდა პრემიების დეცენტრალიზება და რესპუბლიკებს მიეცათ უფლება, გაეცათ ადგილობრივი მნიშვნელობის პრემიები. მაგ., ჩვენში – რუსთაველისა, კომკავშირისა.

შემდეგ გაჩნდა დარგობრივი პრემიებიც (მაგ., ი. ჯავახიშვილისა, კ. კეკელიძისა, კ. მარჯანიშვილისა, გ. ტაბიძისა, ი. მაჩაბლისა).

ორდენები

სსრკ-ში მრავალი ორდენი და მედალი არსებობდა. მათგან მთავარი იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშისა.

სოციალისტური შრომისა და სსრკ გმირებს ეძლეოდათ ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი.

მეფის რუსეთში ორდენებს ახლდა ფულადი ანაზღაურება, რაც პერსონის სიკვდილის შემდეგაც გაიცემოდა.

სსრკ-ში ეს პრინციპი ვერ იმოქმედებდა, იმდენად ბევრი ჯილდო რიგდებოდა. სამაგიეროდ გმირებსა და ორდენოსნებს, როგორც დამსახურებულ და ერთგულ პირებს, უქმნიდნენ კარიერას, აძლევდნენ მაღალ ჰონორარს, უწევდნენ პროპაგანდას.

სსრკ-ს ჰყავდა მეცნიერების დარგში სამგზის სოციალისტური შრომის გმირები (მაგ., ანდრეი სახაროვი).

მწერლობაში ორგზის გმირი იყო მხოლოდ მიხეილ შოლოხოვი.

დაჯილდოებული პერსონა ორდენებს ან აღმნიშვნელ ნიშნებს მუდმივად ატარებდა (შდრ – მარშლების ბერიასა და ჟუკოვის, ან – ბრეჟნევის პორტრეტები).

არსებობდა ჩამორთმევის პრაქტიკაც. მაგ., რეპრესირებულ პირს ყველა ღირსებასთან ერთად წოდებაც ჩამოერთმეოდა, ჯილდოც და სიცოცხლეც (მაგ., ლ. ბერია).

ორდენები ეძლეოდა ფაბრიკა-ქარხნებს, ინსტიტუტებს, რესპუბლიკებს. შდრ – გალაკტიონი:

„დე, ბრწყინავდეს დროშად თვითეულისა
საქართველოს მკერდი ორდენოსანი“.

მთელი ინტელიგენცია და პარტიული ელიტა ორდენების ხანძარში იყო გახვეული. შდრ – ჰიტლერი ატარებდა მხოლოდ ერთ რკინის ჯვარს, რომელიც მოიპოვა ახალგაზრდობაში, პირველ მსოფლიო ომში.

ოთხგზის გმირები იყვნენ ჟუკოვი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი...

ორდენი იყო სახელმწიფოებრივი დაფასების ნიშანი, რაც გავლენას ახდენდა კარიერაზე, ჰონორარზე, პიროვნების ფსიქიკასა და ხასიათზე.

კარიერა

ყველა ჯილდოს, უცხოეთის ხილვის უფლებას, ორდენსა და წოდებას გაცილებით სწრაფად და იოლად ღებულობდა ის, ვისაც გზა ჰქონდა ხსნილი კარიერისაკენ.

შემოქმედებით კავშირის თავმჯდომარე, მოადგილე, დირექტორი, რედაქტორი, მინისტრი, მინისტრის მოადგილე უნდა ყოფილიყო აპრობირებული, მეტ-ნაკლებად აღიარებული შემოქმედი ან პერსპექტიული ახალგაზრდა.

შემოქმედებით კავშირის თავმჯდომარე (მაგ., მწერალთა კავშირისა) ავტომატურად ხდებოდა სსრკ დეპუტატი და ცეკას წევრი.

ასეთი იერარქიული სტრუქტურაც თანდათან ყალიბდებოდა – იმის მიხედვით, რაც იზრდებოდა ქვეყნის კეთილდღეობა და იტოტებოდა ბიუროკრატიული სისტემა.

თანამდებობის მქონე კულტურშემოქმედს გადაეცემოდა კარგი კაბინეტი, ემსახურებოდა ავტომანქანა „ვოლგა“, მძღოლი, მდივანი, აპარატი, მასმედია, განსაკუთრებით – ბრეჟნევის დროიდან.

საქართველოს მწერალთა კავშირს ასეთი პრივილეგირებული ხელმძღვანელები ჰყავდა ორმოციანი წლებიდან – ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, ი. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ნ. დუმბაძე, შ. ნიშნიანიძე, გ. ციციშვილი, მ. მაჭავარიანი.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიის პრეზიდენტი, უნივერსიტეტის რექტორი უნდა ყოფილიყო გამორჩეული, აღიარებული, ღვაწლმოსილი, რომელთაც აფასებდა მოსკოვიც.

მათ უკვე მოპოვებული ჰქონდათ ჯილდოც და წოდებაც. მაგრამ იზრდებოდა თვალსატყუართა რიცხვი და შემოქმედიც ცდილობდა უფრო მეტი რეგალია მიეღო.

ცხადია, ასეთი კომფორტი ანელებდა შემოქმედებით აქტივობას ამიტომ ზოგი ცდილობდა არც მიეღო მონაწილეობა ამ მარათონში. მაგ., ლ. გუდიაშვილს, გალაკტიონს, კ. გამსახურდიას არავითარი თანამდებობა არ ჰქონიათ, ჯილდო – დიახ.

წახალისების სისტემის არსებობა შემოქმედს აღუძრავდა დაუფლების სურვილსაც, მითუმეტეს, რომ ხელისუფლება ანაწილებდა დაფასებასაც და რისხვასაც. მისი თანადგომის გარეშე შემოქმედი გარიყული და უარყოფილი იყო. მოქმედებდა ლოზუნგი – „ვიბრძოლოთ სტალინური პრემიისათვის!“.

სტალინის შემდეგ მთავრობა ცდილობდა, რომ დიდი შემოქმედი განზე მდგომი არ ყოფილიყო და თავად ცდილობდა მისი გულის მოგებას, დაყოლიებას, თავის ორბიტში მოქცევას.

მას აღარ აიძულებდნენ, რომ მეხოტბე ყოფილიყო.

მაგრამ, ცხადია, მეხოტბე უფრო ფასდებოდა (მაგ., გალაკტიონის, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის, შ. ნიშნიანიძის კომუნისტური თემატიკა).

იუბილე

ბოლშევიკები იუბილესაც მარჯვედ იყენებდნენ, რათა განედიდებინათ არა მხოლოდ კულტურშემოქმედი, არამედ – ეჩვენებინათ თავიანთი იდეების ტრიუმფი და ზრუნვა დამსახურებულ პერსონებზე.

აქაც იერარქიული პრინციპი ბატონობდა – ოპერა, რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, შემოქმედებითი ორგანიზაციის სახლი...

ოფიციოზი მათ ესწრებოდა. აქაც რანგის მიხედვით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წარსულის მოღვაწეების განდიდებას. საყოველთაოდ ცნობილია რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ფალიაშვილის, ბარათაშვილის იუბილეები.

ზოგ მათგანს იუნესკოც აღნიშნავდა.

მნიშვნელოვანი იუბილე თბილისიდან მოსკოვში გადაინაცვლებდა ხოლმე, სადაც რუსი მოღვაწენი პატივს მიაგებდნენ მათთვის ნაკლებად ცნობილ, მაგრამ პარტიის მიერ აღიარებულ პირს.

იუბილეს ფართოდ აღნიშნავდა მასმედია. ამიტომ იგი ყველამ იცოდა, თუმცა მალე ეძლეოდა დავიწყებას.

მხოლოდ თითო-ოროლა მოღვაწე თუ იტყოდა უარს ასეთ პომპეზურ, პიროვნების განმადიდებელ საღამოზე.

იუბილე აღინიშნებოდა რაიონებშიც – დედაქალაქის შემდეგ – იმართებოდა მხატვრის გამოფენები, იდგმებოდა სპექტაკლები, სრულდებოდა კომპოზიტორის სიმფონიები და სიმღერები, იცემოდა მწერლის წიგნები.

სცენაზე დადგმულ სავარძელში ჩამჯდარი იუბილარი, რომელსაც გარს ეხვია მაქებარნი, რომელსაც ამკობდნენ ვარდყვავილებით, საჩუქრებით, სიგელებით, აღმატებული ეპითეტებით – რომაელ ტრიუმფატორს გავდა.

იუბილარს კიდევ ერთხელ ეძლეოდა პრემია, ორდენი, წოდება, როგორც ღვაწლის გამოხატულება.

აქაც იერარქიული სისტემა მოქმედებდა, რაც მართებული იყო, რათა ღირსეული მეტად დაეფასებინათ.

იუბილეს ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველა ახსენებდა ირონიულად, რომელსაც აწყობდნენ კერძო პირები (მაგ., აკ. წერეთლის იუბილე). ამჯერად მას ჰქონდა სახელმწიფოებრივი სახე, სათანადო სახსრებითა და პროპაგანდა-რეკლამირებით, რომელიმე თეატრში. მაგ., ასე გადაუხადეს იუბილე გ. ტაბიძეს, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძეს, ი. გრიშაშვილს, ს. ჩიქოვანს, აკ. შანიძეს, ირ. აბაშიძეს...

შემდეგ ესტაფეტა გადაეცემოდა სხვა ქალაქებს (მაგ., ქუთაისს, მოსკოვს) და მთავრდებოდა მშობლიური სოფლით ან იმპერიის ცენტრით.

გარდაცვლილებს კიდევ უფრო მეტი პატივისცემით ეკიდებოდნენ. მიმართავდნენ მოსკოვს, იუნესკოს, რომ ზეიმს გრანდიოზული მასშტაბი ჰქონოდა (მაგ., რუსთაველის იუბილეები 1937 და 1966 წლებში, ილია ჭავჭავაძისა – 1937 და 1987 წლებში, ვაჟა-ფშაველასი – 1961 წელს, აკაკი წერეთლისა – 1940 წელს, გალაკტიონ ტაბიძისა – 1973 წელს, გიორგი ლეონიძისა – 1980 წელს, კონსტანტინე გამსახურდიასი – 1983 წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილისა – 1968 წელს).

პანთეონი

კულტურშემოქმედი, რომელსაც ახლდა მთავრობის პატივისცემა და ხალხის სიყვარული, როცა მოაწევდა ჟამი, იკრძალებოდა პანთეონში, რომელიც ასევე იერარქიულად იყო დახარისხებული.

მთაწმინდის სავანეში განისვენებდნენ დიდი ხელოვანები და მოღვაწეები.

ადრე ბოლშევიკებსაც სათავისოდ უნდოდათ ეს ადგილი და აქ მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი სტალინის დედას – კეკე ჯუღაშვილ-გელაძეს, სილიბისტრო თოდრიას, სიმონ ჯუღელს, ფილიპე მახარაძეს.

სხვადასხვა მიზეზით ბოლშევიკებს დაატოვებინეს პანთეონი.

ახალ დროში ეს იერარქია დაირღვა. მაგრამ საბჭოთა პერიოდში ცეკას ნებართვის გარეშე აქ არავინ იმარხებოდა.

მეორე მნიშვნელოვანი პანთეონი დიდუბეში იყო, სადაც ქართული კულტურის მრავალი მოღვაწე განისვენებს.

პარტიულ მუშაკებს არც აქ მარხავდნენ.

მათთვის ვაკე და საბურთალო იყო განკუთვნილი.

ამჟამად დახურულია მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონები, კულტურშემოქმედს ელოდება მახათას მთა.

დაკრძალვას ოფიციალური სახე ჰქონდა და მას ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ შემოქმედის აღიარების მიხედვით.

რიტუალს წარმართავდა არა სასულიერო პირი, არამედ – შემოქმედებითი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

იბეჭდებოდა ნეკროლოგები, ცხადებოდა რადიოსა და ტელევიზიაში.

ხელისუფლება უფრთხილდებოდა სასურველი კულტურშემოქმედის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას. შემოქმედებით ორგანიზაციებს (მაგ., მწერალთა კავშირს) ჰქონდა თავისი პოლიკლინიკა, დასასვენებელი სახლები (მაგ., ქვიშხეთში, გაგრაში, ბიჭვინთაში), ასევე – ადგილები ე. წ. სამკურნალო კომბინატში.

ასე კონტროლიც უფრო ეფექტური იყო – ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა შემოქმედის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი გადაადგილების კოორდინატები, ახლობელთა წრე, ის თუ რითი ერთობოდა, რას აკეთებდა, ვისთან მეგობრობდა ან ვის მტრობდა იგი.

როცა შემოქმედი, მისი ნაშრომები რენტგენულად იყო გაშუქებული, ხელისუფლებას არც უჭირდა მისთვის სამუდამო განსასვენებლის მიჩენა. მაგრამ ხდებოდა უეცარი გადაწყვეტილებების მიღებაც. მაგ., სერგო ზაქარიაძე დიდუბეში უნდა დაეკრძალათ და ასე გამოცხადდა კიდეც. მაგრამ ბრეჟნევის მითითებით მთაწმინდაზე აიყვანეს.

კ. გამსახურდიამ ადრევე უარი განაცხადა მთაწმინდის პანთეონზე.

პანთეონი ერის ისტორიული მეხსიერებაა, ღირსეულ მოღვაწეთა დაფასება, სადაც მიდიოდნენ იუბილის დღეებში და საფლავს ყვავილებით ამკობდნენ (მაგ., ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის).

დახვრეტილთა ან პატიმართა პრესაში ხსენება იკრძალებოდა. ვინც მიიღებდა რეაბილიტაციას, მას უფლებებს აღუდგენდნენ (მაგ., მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს, ევგენი მიქელაძეს, სანდრო ახმეტელს, გრიგოლ წერეთელს).

სტალინის შემდეგ ბერიას წინადადებით ციხიდან გამოუშვეს მილიონზე მეტი პატიმარი. ხრუშჩოვმა დაიწყო პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულთა რეაბილიტაცია.

მათი საფლავები დაკარგული იყო.

პარტიის უმაღლეს მოღვაწეებს თავიანთთვის კრემლი ჰქონდათ შერჩეული. ჯერ აქ ცხოვრობდნენ, შემდეგ მათ კრემირებულ ნეშტს ათავსებდნენ კრემლის კედელში.

დიდად დამსახურებული ბოლშევიკი კედლის წინ იმარხებოდა და ზედ ბიუსტს აღმართავდნენ.

მავზოლეუმი ერგოთ ჯერ ლენინს, შემდეგ სტალინს, სადაც ეგვიპტური მუმიის მსგავსად, საჩვენებლად ინახებოდა მათი ცხედრები.

პიროვნების კულტის მხილების შემდეგ ხრუშჩოვმა გამოატანინა სტალინის ცხედარი და კრემლის კედლის წინ დამარხეს.

ბრეჟნევის დროს კი ბიუსტი დაუდგეს.

თბილისის მიბაძვით სხვა ქალაქებშიც გაჩნდა ადგილობრივი მნიშვნელობის პანთეონები (მაგ., ქუთაისში, ზუგდიდში).

სომხებს ცალკე პანთეონი ჰქონდათ. იგი სამების ეკლესიის გვერდითაა და დღესაც ფუნქციონირებს.

ხსოვნის უკვდავყოფა

გარდაცვლილს, პანთეონში განსვენებულს, იუბილე გადახდილს, აღვსილს ჯილდოებით პარტია არც მერე ივიწყებდა, რათა

მისი ხსოვნა ყოფილიყო უკვდავყოფილი – გამოჩენილი კულტურშემოქმედის სახელს არქმევდნენ ქუჩებს, დაწესებულებებს, სკოლებს, საცხოვრებელ სახლს უკეთებდნენ მემორიალურ დაფას. სათანადო განკარგულებას გადასცემდა მასმედია, რაც ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილია.

ბოლშევიკებს ეს რიტუალიც მოსწონდათ. მაგრამ სიკვდილს ხომ არ დაელოდებოდნენ. ამიტომ სიცოცხლეშივე თავიდანთ სახელებს არქმევდნენ ქალაქებს, სოფლებს, რაიონებს, შრომით კოლექტივებს, ფაბრიკა-ქარხნებს.

ძველ, ისტორიულ ტოპონიმებს სცვლიდნენ რევოლუციონერთა სახელებით.

ასე გაჩნდა ლენინგრადი, სტალინგრადი, ტროცკი, კუიბიშევი, ვოროშილოვგრადი, მოლოტოვი, ცხაკაია, გეგეჭკორი, მახარაძე, სტალინო, სტალინირი, ორჯონიკიძე, კალინინგრადი (იხ. „ტოპონიმიკა და ონომასტიკა“).

როგორც კი შერისხავდნენ ბოლშევიკს, მაშინვე ქრებოდა მისი სახელწოდების მქონე პუნქტები (მაგ., ტროცკის, ბერიას, სტალინის).

ქალაქისათვის მეცნიერის ან ხელოვანის სახელი ედიდებოდათ. თუმცა იყო ზოგი გამონაკლისი. მაგ., ბაღდათს დაერქვა მაიაკოვსკი, ნიჟნი ნოვგოროდს – გორკი. მაგრამ ისინი სოცრეალიზმის ფუძემდებლები იყვნენ.

სტალინის შემდეგ შეწყდა პარტიული მუშაკების ასეთი განდიდება. იგი შემცირებული სახით შერჩათ კულტურის მოღვაწეებს. მაგ., სავალდებულო იყო ქუჩას მინიჭებოდა ცნობილი მეცნიერის ან ხელოვანის სახელი.

ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება.

ერთი სიტყვით, ბოლშევიკებს ერთგულები ცაში აჰყავდათ, ღმერთებს უტოლებდნენ ან – უბრალოდ აქებდნენ და პატივს მიაგებდნენ. მოღალატედ შერაცხულთ კი სამაგალითოდ სჯიდნენ.

ასეთი დაყოფა სტიქიურად წარმოშობდა საბჭოთა წიაღშიც ელიტარულ და მასობრივ კულტურებს, ელიტარულ მოღვაწეებს, რომელთა ნიჭის მატერიალიზება ან პოსტებით გამაგრება აყალიბებდა საბჭოთა არისტოკრატიას – პარტიულ მაფიას.

სტალინური ლოზუნგი – „კადრები წყვეტენ ყველაფერს“, უაღრესად აქტუალური იყო კულტურაში, რადგან კულტურშემოქმედის აღზრდას, გამოვლენას, შედეგის მიღწევას წლები სჭირდებოდა.

სახელმწიფოს ტალანტი არ უნდა დაეკარგა, იგი უნდა ყოფილიყო უტოპიური კომუნიზმის მშენებელი, საბჭოთა მაფიის აქტიური წევრი.

აღსანიშნავია, რომ კულტურის სქემა, რაც შექმნა კომუნისტურმა სისტემამ, ის სახელები, რაც წამოსწიეს, თითქმის უცვლელია დღესაც.

ასე რომ – მაშინაც კარგად იცოდნენ ვინ ვინ იყო რეალურად.

ერთიანი კულტურული სივრცე

საბჭოთა ქვეყანა – სამხედრო-პოლიციური სახელმწიფო, მკაცრად იყო შემოსაზღვრული, რომელსაც გაძლიერებით იცავდნენ. სასაზღვრო ზონაშიც კი შეღწევა პრობლემა იყო.

ქვეყანას აერთიანებდა კომპარტია, მისი კომიტეტები, მინისტრთა კაბინეტი, სამინისტროები, უმაღლესი საბჭო – ფორმალური პარლამენტი, უშიშროების კომიტეტი.

ესენი იყოფოდა და ნაწილდებოდა 15 რესპუბლიკად, მრავალ ავტონომია–ოკრუგად.

სსრკ მატრიოშკას პრინციპზე იყო აგებული – უდიდესი, დიდი, მცირე, უმცირესი. ასეთ ჰარმონიზებულ სტრუქტურას ჰკრავდა დიქტატურა, რომელიც მოჩვენებითად ატარებდა პროლეტარიატის სახელს.

შიდა საზღვრები არ არსებობდა – იყო მხოლოდ ნაციონალურ-ადმინისტრაციული მინიშნება.

უნიტარულ სახელმწიფოს ჰქონდა ერთიანი კულტურული სივრცე, რომლის ჰარმონიზებას ხელს უშლიდა ენობრივი ბარიერები.

რუსული ენა იყო გამაერთიანებელი. მაგრამ ნაციონალური კულტურები იქმნებოდა ნაციონალურ ენებზე. საქართველოსაც თავისი ადგილი ეჭირა ამ სისტემაში.

ცალკეული ერების ისტორია, ყოფა, ეთნოგრაფია, ტრადიციები მრავალფეროვნებასა და ინდივიდუალურ სახეს სძენდა სსრკ კულტურას, რომელიც ჰგავდა რომსა და ბიზანტიას, დღესასწაულები – რომაულ ტრიუმფებსა და საკულტო რიტუალებს.

საბჭოთა გლობალიზმი ანუ ერთიანი კულტურული სივრცე კარგი იყო ურთიერთგაცნობისა და პროპაგანდისათვის, მსმენელთა, მკითხველთა, მაყურებელთა მოსაზიდად, გადაადგილებისათვის. ეს ჰგავდა დღევანდელ ევროკავშირსაც.

ომის შემდეგ შეიქმნა სოციალისტური ქვეყნების ბანაკი. მაგრამ იგი არ შეერთებია სსრკ-ის სახელმწიფო სივრცეს.

ჩინეთიც იყო კომუნისტური. მაგრამ ფაქტიურად იზოლირებულად ვითარდებოდა, როგორც ჩრ. კორეა და ჩრ. ვიეტნამი.

აღმოსავლეთი ევროპა უფრო იყო გახსნილი. მაგრამ იუგოსლავია ტიტოს გამო კომუნისტურად ფორმალურად მიიჩნეოდა.

კაპიტალისტური სამყარო არ სცნობდა სსრკ კულტურას, ცალკეულ გამონაკლისთა გარდა. ისინიც მაშინ იქცევდნენ ყურადღებას

თუ იდეოლოგიური დაპირისპირების ეპიცენტრში მოექცეოდნენ (მაგ., პასტერნაკი, სოლჟენიცინი, სახაროვი).

„ცივი ომის“ პერიოდში, როცა ევროპა გაყოფილი იყო ვარშავის ბლოკად და ნატოდ, კულტურა დაძაბულობას კი არ ანელებდა, არამედ ხელს უწყობდა პოზიციების გამყარებას, ურთიერთიზოლირებას.

კონტაქტები არსებობდა, შეხვედრები, ურთიერთგაცნობის ფაქტები და სურვილი, მაგრამ პერესტროიკამდე გარღვევა არ მომხდარა.

სსრკ კარგავდა იმ მეგობრებსაც, რომლებიც სტალინის დროს შეიძინა, როცა დასავლეთში ეგონა ბევრს, რომ ბოლშევიკური ექსპერიმენტი სასიკეთო იყო.

3. კულტურის ფრონტი

სოციალიზმის აშენების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო კულტურული რევოლუცია, მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის ცნობიერების მარქსისტული მოდელირება, რაც უნდა მომხდარიყო ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საფუძველზე ეკონომიკური ბაზისის შექმნით.

იდეოლოგები იმუშავებდნენ ახლებურ ფორმულირებებს თუ როგორი იყო სოციალიზმი, მომწიფებელი თუ განვითარებული, როგორი იქნებოდა კომუნიზმი, რომლის აშენების საბოლოო თარიღად ხრუშჩოვმა 1980 წელი განსაზღვრა.

ეს 1961 წელს მთელ მსოფლიოს აუწყეს, პარტიის XXII ყრილობაზე პროგრამაც მიიღეს, თუმცა არავის სჯეროდა არც ეკონომიკის ფანტასტიკური განვითარებისა, არც ბუნდოვანი კომუნიზმის ცხადად ხილვისა.

კულტურშემოქმედები, ცალკეულ გამონაკლისთა გარდა, ამ ოცნების ახდომისათვის თავს არ იკლავდნენ. მაგრამ იცავდნენ ოფიციალურ დოგმებს.

ტერმინი „კულტურული რევოლუცია“ ეკუთვნის ლენინს, ისევე როგორც „სოციალისტური რეალიზმი“ – სტალინს.

კულტურული რევოლუციის მიზანი იყო სოციალისტური შეგნების ჩამოყალიბება, ახალი ინტელიგენციის აღზრდა, შესაბამისი კულტურის შექმნა.

ახალი ადამიანი – ბოლშევიკი, რომელიც, სტალინის თქმით, განსაკუთრებული აგებულებისა იყო, სცნობდა მხოლოდ მატერიალიზმს, ათეიზმს, კოლექტივიზმს, ხალხთა მეგობრობას, კომუნიზმის იდეალებს.

ერთი მხრივ – კომუნისტები ქმნიდნენ ახალ კულტურას, მეორე მხრივ – ამ კულტურის მეშვეობით, აღზრდის სისტემით, სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით წვრთნიდნენ კომუნიზმის მშენებელ თაობებს.

ამ იდეოლოგიის შიგნით მოქმედებდა იძულების, ძალმომრეობის, რეპრესირების სასტიკი და დაუნდობელი მექანიზმი, შიშის ფაქტორი.

დიქტატურა მოითხოვს მაქსიმალურ წესრიგს და როცა მას ერთვოდა წახალისებისა და პროპაგანდის სისტემა, კულტურამ ყველა სფეროში შესძლო დიდი წარმატების მიღწევა.

განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოზე, რომელმაც, მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, მოახერხა კულტურული და ცივილიზაციური განმტკიცება, ცალკეული დარგების ჩამოყალიბება, არსებულთა განვითარება, მასების განათლება და კულტურიზება (შდრ – დღეს საქართველო ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დაბალი განათლების ქვეყნად).

იდეოლოგია ხრუშჩოვის შემდეგ გარეგნულ საბურველად იქცა. უკვე აღარც მარქსი სწამდა ვინმეს, აღარც ლენინი. მაგრამ ფორმალურად იცავდნენ პარტიულობის პრინციპებს და იდეოლოგიურ მოთხოვნებს.

კომუნისტებმა დააკანონეს წიგნის კულტი (შდრ – გალაკტიონი – „წიგნით და მხოლოდ წიგნით“, ა. მირცხულავა – „წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს ტყვიით სავსე ყუმბარა“), მოსპეს წერა-კითხვის უცოდინარობა.

ქართული ენის სპექტრი

ქართული ენა მენშევიკებმა გამოაცხადეს სახელმწიფო ენად და, როგორც ვთქვით, ამ ყოფილმა კოსმოპოლიტებმა მას მისცეს საკმაო ნაციონალური დატვირთვა.

ბოლშევიკებს ეს სტატუსი თეორიულად არ უარყვიათ (რევკომის ბრძანებები, 1922 წლის კონსტიტუცია და ა. შ.) მაგრამ პრაქტიკულად რუსულს მიანიჭეს პრიორიტეტი.

გარდა ამისა, პარტიული სხდომები და თათბირები რუსულად მიმდინარეობდა, დოკუმენტაცია რუსულად დგებოდა, რათა მოსკოვისათვის არაფერი დაფარული არ ყოფილიყო.

ცეკა და ჩეკა რუსულად ფუნქციონირებდა.

ქვეყნის ეროვნულ უმცირესობას (მაგ., სომხებსა და აზერბაიჯანელებს), სადაც უმრავლესობაში იყვნენ, საქმის წარმოება შეეძლო თავიანთ ენაზე (როგორც დღეს გვაძლევს რეკომენდაციას ევროსაბჭო) ან – რუსულად.

რუსულის დამკვიდრებისათვის მკვიდრ საფუძველს ქმნიდა პრაქტიკული აუცილებლობა, სკოლა, სამხედრო სამსახური, პარტიული კარიერა, კონტაქტები რუსულენოვან გარემოსთან.

1978 წელს ედ. შევარდნაძემ მოინდომა, რომ ქართული ენის სტატუსი თეორიულად შეცვლილიყო და კონსტიტუციიდან ამოეღოთ ცნება სახელმწიფო. პარალელურად თითქოს მისი ფარული თანხმობით აგორდა მიტინგების ტალღა დატოვა ძველი ფორმულირება. ცხადია, მოსკოვთან შეთანხმებით ანუ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა კრიზისიც თავად გამოიწვია და მისი გადაჭრაც მიიწერა, ისევე როგორც იმჟამინდელი აფხაზური პრობლემისა.

არც ამის შემდეგ შეცვლილა ვითარება – რუსული ისევ ინარჩუნებდა პრიორიტეტს. ისევ გრძელდებოდა ლენინის ენის გაძლიერებული სწავლება (მაგ., დისერტაციას და დოკუმენტაციას ВАК მხოლოდ რუსულად ღებულობდა).

ფაქტიურად ქართული იყო კულტურის ენა და არა სახელმწიფოსი. კულტურა ნამდვილად ფუნქციონირებდა ქართულად და ხელისუფლებაც მეცნიერებს უქმნიდა პირობებს მშობლიური ენის დახვეწისა, მოწესრიგებისა და შესწავლისათვის.

ჩამოყალიბდა ქართული ენის კათედრები უმაღლეს სასწავლებლებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი კომისია, გამოიცა მრავალი სხვადასხვა ტიპის ლექსიკონი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი რვა ტომად (არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით), ლინგვისტური გამოკვლევები, სპეციალური სერიული კრებულები.

თბილისი გახდა ქართველური და იბერიულ–კავკასიური კვლევის ცენტრი, როგორც პეტერბურგი ნ. მარის დროს.

სწავლობდნენ მეგრულ, ჭანურ (არნ. ჩიქობავა), სვანურ (ვ. თოფურია) ენებს, ქართულთან მიმართებით – ძველბერძნულს, ბიზანტიურს, არაბულს, სპარსულს, ებრაულს, თურქულს, მკვდარ ენებს, ჩრდილო კავკასიური ენებს, როგორც თანამედროვე, ისე ისტორიულ ჭრილში.

ასე აქტიურად არა, მაგრამ თვალთხედვის არედან არ გამორჩენილა ევროპული და რუსული ენები.

20-იან წლებში სხვა მდგომარეობა იყო – ქართულს ეძალებოდა რუსული და სომხური, საერთაშორისო და ბოლშევიკურ ლექსიკა. მეტყველება იმღვრეოდა. ჟურნალისტები დინებას მიჰყვებოდნენ. მხოლოდ მწერლები (მაგ., კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი) იბრძოდნენ ენის სიწმინდისა და უნივერსალიზებისათვის.

მწერლობა არსებობს მშობლიური ენის ბაზაზე, ენა არის მისთვის მთავარი საშენი მასალა, როგორც ექსპრესია, ისე კომუნიკაცია. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ სიტყვის ოსტატები იცავდნენ ქართულის პრიორიტეტს.

ისინი ცდილობდნენ, რომ ქართული შევსებულიყო როგორც არქაიზმებითა და დიალექტური სიტყვებით, ისე საერთაშორისო ლექსიკით.

საერთაშორისო ლექსიკის დროს გვერდს უქცევდნენ რუსულს. ენა მაქსიმალურად იქნა გაწმენდილი რუსული ბარბარიზმებისაგან.

ამ მხრივ აქტიურობდნენ ენათმეცნიერები (აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია).

ისინი ბოლშევიკური ვულგარიზმის დაძლევას ახერხებდნენ ენის სფეროში, ისევე როგორც მწერლები – ლიტერატურაში. მათ შეელოდნენ ტექნიკური ინტელიგენციიდანაც, რათა მოეძებნათ რუსულის შესატყვისი ქართული ფორმები (მაგ., განტოლება, დრეკადობა, ელმავალი, ბირთვი, ნათურა).

ეს ხან ხერხდებოდა, ხან – ვერა და ექსპერიმენტები ვერ მართლდებოდა (მაგ., ცნობილი გვაბანაკი, სატუცავი, რონოდა). მაგრამ იყო ცდა უცხო საგნებისათვის მოერგოთ ქართული სამოსელი.

30-იანი წლებიდან, ნ. ბერიას მმართველობის დროიდან, ამას ხელისუფლებაც ხელს უწყობდა. მაგრამ მოდიოდა ახალ–ახალი

ტერმინები, საგნები და მშობლიური ენა ვერ ასწრებდა მათ გაქართულებას.

ამოსავალი იყო როგორც ნაციონალური თანასწოროზის, ისე ხალხურობის სოციალისტური პრინციპი – ენა ნათელი, მარტივი, გასაგები უნდა ყოფილიყო მასისათვის, რათა ბოლშევიკურ პროპაგანდას მეტი ეფექტი ჰქონოდა.

ლიტერატურაც ასევე უნდა შეექმნათ.

მოდერნიზმი და ავანგარდიზმი ენობრივადაც მიუღებელი იყო.

ენას ქმნის და ავითარებს ხალხი. შემდეგ ხალხის მეტყველებას აძლიერებს და ექსპრესიას ანიჭებს, კილოკავებს ამთლიანებს მწერალი, ძველ დროში – ეკლესია.

გრამატიკოსი აკონტროლებს და კონსერვატიზმს უნარჩუნებს, მეცნიერება ინტელექტუალურად განავრცობს. ხოლო ხელისუფლება იცავს, უნივერსალურ და რაციონალურ სახეს აძლევს, უზრუნველყოფს ფუნქციონირებას.

მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, სპორტის განვითარება, პარტიული, სამთავრობო, სამხედრო საქმეების გართულება აჩენდა რუსულში ახალ სიტყვებს. მათი ათვისება ჭირდა.

სალიტერატურო ენა ამ ლექსიკას გზას უკეტავდა. მაგრამ იგი იჭრებოდა ყოფით მეტყველებაში და იქ ცოცხლობდა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ტექნიკის (მაგ., მანქანებისა და ქარხნების) ლექსიკას (მაგ., ვინტი, სლესარი, გაიკა, პაკრიშკა, სვეჩები, ატვერკა, კაპოტი, გრუზავიკი, შარავოი).

ცდილობდნენ, რომ ეძებათ შესატყვისი ევროპულ სივრცეში, რაც ცნობიერად თუ არაცნობიერად მოკავშირე ძალა იყო რუსული აგრესიის შესაჩერებლად (მოტორი, მეტროპოლიტენი, ავტობუსი, ატომი).

ბალანსირება ძნელდებოდა და რუსული ინტერვენცია ენის სფეროშიც თავს იჩენდა, ზოგი სიტყვის უკუგდება საერთოდ ვერ მოხერხდა. მაგ., ვერ მოიძებნა საროჩკის შესატყვისი. ჯერ პერანგი შეურჩიეს, მაგრამ ცდამ ვერ გაამართლა. საროჩკას კი არ ღებულობდა სალიტერატურო ენა.

ადრე განიდევნა: სტოლი, პატალოკი, ასობნიაკი, უჩასტკა, პოლი, ჩუგუნი, ვილკა, კრაოტი, პერო, რუჩკა, მაშინა, ზაოდი, ტრუბა, აკოშკა, სტაქანი, ოტკა, პივა, იკრა, სლესარი, სტეკლო, ლამპოჩკა...

ენის დახვეწისა და დემოკრატიზების პროცესმა წარმოშვა კონფლიქტი მწერლებსა და ლინგვისტებს შორის (მაგ., კ. გამსახურდიასთან).

ლინგვისტები ადგენდნენ სალიტერატურო ნორმებს, სწავლობდნენ სტილისტიკას, ორთოგრაფიას, სინონიმებს, დიქციას, თეორიულად სწორ ფორმებს სთავაზობდნენ მწერლებს, პუბლიკას, მასმედიას, მეცნიერებს.

ეს იყო ხან რეკომენდაცია, ხანაც – მოთხოვნა, რასაც მწერლობა ხშირად უგულებელყოფდა, რადგან ამოდიოდა ცხოვრებიდან, რეალობის სურათებიდან.

ლინგვისტური სიზუსტე არ არის გამიზნული ექსპრესიისათვის. ხოლო პოეტის ან პროზაიკოსის ენა წარმატებას აღწევს ექსპრესიით. ამიტომ იგი არღვევს ხოლმე საკომუნიკაციო ნორმებს და თავად ადგენს მეტყველების მოდელს.

კ. გამსახურდია შენიშნავდა, ენათმეცნიერება ისე შველის ენის განვითარებას, როგორც ასტრონომია ვარსკვლავთა მოძრაობასო.

ენის ფორმირება ხდება ხალხის წიაღში, რომელიც გარკვეული კორექტივებით შემოდის მწერლობაში.

მწერლობა აძლევს ამ სტიქიას მოწესრიგებულ და კანონიზებულ სახეს (შდრ. ბაღი და მებაღე).

ენათმეცნიერის ფუნქცია ამ პროცესში მეორადია, იგი დამხმარეა და არა წარმართველი, ისევე როგორც მსაჯი – სპორტულ შეჯიბრებებში.

მაყურებელს აინტერესებს სპორტსმენი და არა მსაჯი.

მკითხველსაც იზიდავს და იტაცებს მხატვრული ტექსტი და არა ლინგვისტის მიერ დადგენილი ნორმები.

საბჭოთა პერიოდში, თანდათან, სავალდებულო გახდა პრესაში, რადიო-ტელევიზიაში, სხდომებზე, თათბირებზე, კონფერენციებზე, თეატრსა და კინოში ლექციებზე სწორი, გამართული ქართული მეტყველება, რომელიც უარყოფდა როგორც დოლექტიზმებს, ისე უცხო სიტყვების სიხშირეს.

ამასთანავე – საჭირო იყო ქართული აქცენტისა და დიქციის გამოკვეთა, განრიდება დიალექტებისა, რუსული და სომხური მეტყველების გავლენისაგან.

მაინც საბჭოთა ეპოქის ქართული სახელმწიფოებრივად სრულყოფილი ვერ იქნებოდა, როგორც ლათინური და გერმანული, ფრანგული, ინგლისური და რუსული, რადგან ვერ ასახავდა სამხედრო მეტყველებას, დიპლომატიას, მმართველობითი სტრუქტურის მოქმედებას, საპარლამენტო მუშაობას.

იგნორირებული იყო რელიგიური პროცესი.

ამიტომ კეთდებოდა აქცენტი სალიტერატურო ენაზე.

არარსებულ სახელმწიფოს როგორ ექნებოდა ნამდვილი სახელმწიფო ენა!

ერთხანს მწვავედ დადგა არქაიზმების საკითხი. იგი აქტუალური გახადა კ. გამსახურდიამ. ხელისუფლება არქაიზმებში ხედავდა ძველ საქართველოზე ნოსტალგიას, ეკლესიას, ბაგრატიონთა დინასტიას და ხალხურობის პრინციპით ებრძოდა მას.

80-იანი წლების მიწურულს ხელისუფლებამ ვრცელი პროგრამაც გამოაქვეყნა, რომლის აღსრულება არც დაწყებულა, ისე დაემხო სსრკ.

ამ ასპექტში წარმატებით მოხერხდა სოციალისტური პრინციპების ნაციონალიზება, საბჭოთა დიქტატურის პირობებში მაქსიმუმის მიღწევა.

დამოუკიდებლობის პირობებში კი ეს ტენდენცია ვერ გაგრძელდა.

სახელმწიფოს პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ენაშიც ჰპოვა გამოხატულება. ლიტერატურასა და მასმედიაში შემოიჭრა ვულგარული ნაკადი, ინგლისური სიტყვები და კონსტრუქციები.

მინელდა ინტერესი მშობლიური ენისადმი და დღეს იგი ლამის ისე სტიქიურად ვითარდება, როგორც XIX საუკუნეში. თითქოს ეს არის დიქტატის აღკვეთა და ენობრივი დემოკრატიზმი.

გარემოს რეკონსტრუქცია

ბოლშევიკები ყველა სფეროში რევოლუციას ესწრაფვოდნენ, ძველს სპობდნენ, ახალს, იდეოლოგიის შესაბამისს, ქმნიდნენ.

ძველი არქიტექტურა, ძეგლები, ქუჩები, სასახლეები თუ ტაძრები შესაცვლელი იყო. მათი ადგილი უნდა დაეკავებინა გამოყენებით არქიტექტურას (რომელსაც ინდუსტრიალიზაციის პროცესში ფუნქცია ჰქონდა), ბოლშევიკების – ბელადების, გმირებად შემრაცხულთა, ხელოვნების მუშაკთა ძეგლებს, მათი სახელობის ქუჩებს.

ეს იყო ეფექტური პროპაგანდა, თვალსაჩინოების მაგალითები.

შედგა ქალაქების (მაგ., თბილისის, ქუთაისის, ბათუმის) რეკონსტრუქციის გენერალური გეგმები. ისინი დიდი ენთუზიაზმით იწყებოდა და სანახევროდაც არ სრულდებოდა.

გეგმებში შეჰქონდათ კორექტივები. შემდეგ სულაც ახალს ადგენდნენ და თავიდან იწყებოდა განახლებისა და ახალი აღმშენებლობის პროცესი.

ასე, მაგალითად, თბილისის (1936 წლამდე – ტფილისი) გენგეგმა სამჯერ შეიცვალა.

ბოლო გეგმის მიხედვით ქალაქის ცენტრში უნდა ყოფილიყო თბილისის ზღვა. ამ მიმართულებით გაშენდა კიდეც გლდანისა და მუხიანის მასივები. მაგრამ საუკუნის დასასრული მოახლოვდა. სსრკ-ის აღსასრულიც დადგა და გეგმა სანახევროდაც არ შესრულებულა.

რესპუბლიკების დედაქალაქებში არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოსკოვზე დიდი ცათამბჯენი, სტადიონი, სასახლე, უფრო განიერი ქუჩა, მოედანი.

იერარქიულად წინა პლანზე იყო სამეული – მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი. მეოთხე ადგილისათვის ბრძოლა შეიძლებოდა.

რეკონსტრუქციის პროგრამებმა მოითხოვა კვალიფიციური კადრები – არქიტექტორები, დიზაინერები, მშენებლები, საშენი მასალის დამზადება.

1934 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს არქიტექტორთა კავშირი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სამხატვრო აკადემია ამზადებდა შესაბამის კადრებს. ამის შედეგად შეწყდა რუსი არქიტექტორების აქტივობა და პროექტებში მონაწილეობა.

გამოჩნდნენ ქართველი არქიტექტორები (მაგ. ზ. ქურდიანი, ი. ზაალიშვილი, ნ. ქურდიანი, გ. ლეჟავა, ვ. ალექსი-მესხიშვილი, ა. ქურდიანი, ი. ჩხენკელი, შ. ყავლაშვილი, ო. ლითანიშვილი).

ისინი ასრულებდნენ სახელმწიფოს დაკვეთას.

თავდაპირველად ბოლშევიკები აშენებდნენ ადმინისტრაციულ, ინდუსტრიულ და სპორტულ ობიექტებს (მაგ., ზაჰესი, ფერო, ცეკას შენობა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობა, უნივერსიტეტის მეორე კორპუსი, „დინამოს“ სტადიონი), მუშათა დასვენებისა და მკურნალობისათვის – კურორტებს (მაგ., წყალტუბო, შოვი, მენჯი, საირმე), ასევე –ჰესებს,გაჰყავდათ გზები.

სტალინის პერიოდში მასობრივი ბინათმშენებლობა არ ყოფილა. მხოლოდ რჩეულთათვის აშენებდნენ საჩვენებელ თითო-ოროლა კორპუსს (მაგ., ჩელიუსკინელ გმირთა მოედანზე, შემდეგ – კამოზე, წერეთლის პროსპექტზე).

30-იანი წლებიდან თბილისში ყურადღება მიექცა მონუმენტურ არქიტექტურას. აშენდა ე.წ. თერთმეტსართულიანი დიდი საცხოვრებელი სახლი, მტკვარი ორივე მხარეს ბეტონის ჯებირში მოექცა, დაიდგა ლამპიონები, გაკეთდა სანაპირო მაგისტრალები, დაირგო ჭადრები, აშენდა ცირკის შენობა, რუსთაველზე დაინგრა რუსული ტაძარი და მის ადგილზე აღიმართა მთავრობის სასახლე. დაინგრა მეტეხის საპატიმროები...

პროფესიული ნიშნის მიხედვით აგებდნენ სასახლეებს. მაგ., მეშახტეთა, რკინიგზელთა, განათლების მუშაკთა, მეჩაიეთა, წიგნისა, ხელოვნების მუშაკთა.

ჯერ საგრძნობი იყო კონსტრუქტივისტული სტილი. შემდეგ მონუმენტალიზმმა მოითხოვა ანტიკური არქიტექტურის ელემენტების ათვისება (მაგ., კოლონები).

ომის შემდეგ არქიტექტურაში გაბატონდა სოციალისტური კლასიციზმი, რომლის ნიმუშია ლომონოსოვის უნივერსიტეტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობები მოსკოვში, მეშახტეთა, მარქსიზმ–ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალისა და ვაგზლის შენობები თბილისში.

მათი მონუმენტალიზმი – ეს იყო ქვაში ამეტყველებული სიდიადე ბოლშევიზმისა.

საბჭოთა არქიტექტურაც ერთიანი სტილისა უნდა ყოფილიყო. შემოქმედს ინდივიდუალიზმისათვის ადგილი ნაკლებად რჩებოდა. ამიტომ ვარიაციულად შენდებოდა ერთმანეთის მსგავსი რაიკომების, ინსტიტუტების, სადგურების, სამინისტროების, ცეკას შენობები.

სტალინის შემდეგ, ხრუშჩოვის პერიოდში, მონუმენტალიზმმა ადგილი დაუთმო პრაქტიკულ, გამოყენებით ბინათმშენებლობას, რაც პასუხობდა მასების ინტერესებს (მაგ., ხუთსართულიანი ე. წ. ხრუშჩოვკები).

თბილისში აშენდა საბურთალოს, დიღმის, ვარკეთილის, ვაზისუბნის, შემდეგ – გლდანისა და მუხიანის მასივები.

ცხადია, გამოიყენებოდა მასობრივი, სტანდარტული არქიტექტურა (მაგ., ყავლაშვილის, მოსკოვური პროექტები).

აბსტრაქტული იდეებისადმი სამსახური შეცვალა პრაქტიკულმა აუცილებლობამ.

სახელმწიფო ბინას იძლეოდა უფასოდ, რიგის მიხედვით, გაყიდვის უფლების გარეშე. ოღონდ მათთვის, ვინც თბილისში იყო ჩაწერილი. ჩაწერა კი სამსახურის გარეშე არ შეიძლებოდა.

ამ დილემას აგვარებდა ქრთამი ან ხელისუფლების ნება.

სოფლის მოსახლეობის პასპორტიზაცია დაიწყო 1967 წლიდან, ოქტომბრის რევოლუციიდან 50 წლის შემდეგ.

ამავე დროს კოლმეურნეებს, რომელთაც შეუსრულდათ საპენსიო ასაკი, დაენიშნათ პენსია – თავიდან 8 თუ 12 მანეთი.

ქალთათვის საპენსიო ასაკი იყო 55 წელი, კაცთათვის – 60.

მშენებლობის ბუმმა მოიცვა ქალაქი და სოფელი. ხალხი გამოდიოდა ქოხებიდან, სარდაფებიდან, ე. წ. კომუნალკებიდან.

ცხადია, ასეთ დროს არქიტექტორულ ხელოვნებაზე ფიქრი შეუძლებელი იყო. ადამიანი ეძებდა ბინას, ჭერს, მინიმალურ ფართს, რაც ისედაც მკაცრად იყო განზომილი და განსაზღვრული, თუმცა არსებობდა მრავალი საპროექტო ინსტიტუტი – პროექტის გარეშე სახლი არ შენდებოდა.

კომუნისტური ლოზუნგები უხვად იფრქვეოდა – დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე მოწინავე კაპიტალურ ქვეყანას – აშშ-ს. ახალი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის ეპოქაში. ავითვისოთ ყამირი და ნასვენი მიწები.

მათ შეცვალეს სტალინური ლოზუნგები – ტექნიკა წყვეტს ყველაფერს, კადრები წყვეტენ ყველაფერს, ხუთწლედი – ოთხ წელიწადში, მშვიდობა ხალხებს, გავხდეთ სტახანოველები, მივბაძოთ პავკა მოროზოვს, პავკა კორჩაგინს...

ქალაქთმშენებლობას სჭირდებოდა ახალი პროსპექტები, ქუჩები, მოედნები, მათ დამშვენებას – ძეგლები და ბიუსტები (სპეციალურად იხ. ბ. ქუთათელაძის „თბილისის ქანდაკება“).

პრიორიტეტი ეძლეოდათ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, ცნობილ რევოლუციონერთა ძეგლებს, ხელოვნების მოღვაწეების ქანდაკებებს. მათ შორის რუსებიც უნდა ყოფილიყვნენ, სომხებიც, აზერბაიჯანლებიც, უკრაინელებიც ანუ ხელოვნება ხალხთა მეგობრობას პრაქტიკულად აჩვენებდა (მაგ., გრიბოედოვის, პუშკინის, გოგოლის, მაიაკოვსკის, შევჩენკოს ძეგლები).

ქალაქებს ჰქონდათ ბაღები, სკვერები, მაგ., თბილისში პოპულარული იყო მთაწმინდის პარკი, ვაკის პარკი, მუშტაიდი.

ქალაქი მთაწმინდას, რომელიც სტალინის სახელს ატარებდა, უერთდებოდა როგორც შემოვლითი გზით, ისე პირდაპირ – ტრამვაითა და საბაგიროთი.

ისინი ასევე უკავშირდებოდნენ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს, მამადავითის ეკლესიას.

ქალაქში ფუნქციონირებდა ტრამვაი, ავტობუსი, ტროლეიბუსი, 1966 წლის იანვრიდან – მეტროპოლიტენი.

ტრანსპორტის, განსაკუთრებით კერძო პირთა მანქანების მომრავლებას ვერ უძლებდა ქალაქის ძველი და ვიწრო ქუჩები.

რეკონსტრუქცია ჭირდა. ძველი უბნების გაუქმება ნიშნავდა საუკუნოვანი ტრადიციის, ქალაქის ჩამოყალიბებული იერსახის შეცვლას. ამიტომ 80-იან წლებში სცადეს ცალკეული ქუჩების რესტავრაცია (მაგ., ანჩისხატის მიდამოებში, ლესელიძის ქუჩაზე, გოგირდოვან აბანოებთან).

კომუნისტების ერთ-ერთი ლოზუნგი და მოთხოვნა იყო, რომ სოფელი ქალაქს გათანაბრებოდა, სოფელიც ისევე კეთილმოწყობილი ყოფილიყო, როგორც ქალაქი.

იდეა კარგი იყო, მაგრამ, ცხადია, ვერ შესრულდა.

მაინც ცივილიზაციური თვალსაზრისით ბევრი რამ გაკეთდა ქალაქისა და სოფლის მოდერნიზებისათვის (გზა, ტრანსპორტი, რადიოფიცირება, შუქი, გაზი, ტელევიზია, ბინათმშენებლობა), თუმცა ამერიკა-ევროპასთან მიმართებით ჩამორჩენა ვერ დაიძლია. ვერც დასავლურის მსგავსი სასწაული აჩვენეს შებოჭილმა არქიტექტორებმა.

სახვითი ხელოვნება

ფუტურისტ-ლეფელები მოითხოვდნენ, რომ ხელოვანი ქუჩაში გასულიყო, ეს იქნებოდა პოეტი, მხატვარი, თუ მუსიკოსი, რათა შეეცვალათ რეალობა. შემდეგ ეს შეძლო დიზაინერმა, ტექნიკურმა ესთეტიკამ, რომელმაც ერთნაირი სილამაზით შემოსა ინტერიერი და ექსტერიერი, ქუჩა, ბაღი, სკვერი, მაგისტრალი, ტროტუარი, ტექნიკა, საგნები.

რეალობის გარდაქმნა მხატვარს შეეძლო, ეს იქნებოდა დეკორატორი, კონსტრუქტორი თუ მონემენტალისტი, თუ მიაღწევდა ხელისუფლებისაგან მხარდაჭერას, ფინანსურ უზრუნველყოფას.

ხელისუფლებაც იყენებდა მხატვარს, რომელიც ხატავდა ბელადების პორტრეტებს, ჰესებს, ჩაის პლანტაციებს, დაზგებს, მეცხვარეებს, მეშახტეებს, ამზადებდა პლაკატებსა და ლოზუნგებს ანუ ქმნიდა გამოყენებით ხელოვნებას.

მხატვარი-კარიკატურისტი ამარჯებდა ცხოვრების მანკიერ მხარეებს, კაპიტალისტებს, მექრთამეებს, მუქთახორებს, ომის გამჩაღებლებს.

მხატვარი სჭირდებოდა თეატრს, კინოს, წიგნს, საკონფერენციო თუ საყრილობო დარბაზებს, სამრეწველო საქონელს, ტექნიკას, არქიტექტურას.

მხატვარი-დეკორატორი, სკულპტორი, დიზაინერი ცვლიდა ქუჩას, ფერებითა და ხაზებით ავსებდა პროსპექტებს, ბაღებს, ტროტუარებს, ამზადებდა აბრებს, ალაგებდა შუქ-ჩრდილებს, განათების სისტემას, ვიტრინებს, ყოფით საგნებს.

ცნობილი სკულპტორები იყვნენ ი. ნიკოლაძე, ნ. კანდელაკი, კ. მერაბიშვილი, მ. ბერძენიშვილი, მ. მერაბიშვილი, ე. ამაშუკელი...

ძეგლის სათანადო ადგილას განთავსებას სჭირდებოდა ხელისუფლების ნებართვა, არქიტექტორის მიერ სივრცის შერჩევა, გარემოს კონტექსტში ჩართვა, პარამეტრების დაცვა.

სახვითი ხელოვნების არსი ქანდაკებასთან ერთად არის ფერწერა და გრაფიკა. მხატვარი თავის ყალამს უქვემდებარებდა პარტის მოთხოვნას (მაგ., უ. ჯაფარიძე). მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თავისუფალ შემოქმედებას სწირავდნენ სიცოცხლეს (მაგ., ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ე. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილი, ე. კალანდაძე, ზ. ნიჟარაძე, ჯ. ხუნდაძე, ნ. იანქოშვილი).

გამოყენებითი ხელოვნება, ტექნიკური ესთეტიკა, დიზაინი ყველაზე მარჯვედ და ვრცლად შეაერთა ზ. წერეთელმა.

50-იანი წლებიდან ქართულ მხატვრობაში, ახალთაობაში შემოვიდა აბსტრაქციონიზმი, რასაც ხელისუფლება (მაგ., ნ. ხრუშჩოვი) უარყოფად შეხვდა. მაგრამ დასავლეთის კულტურა მთლიანად გადავიდა ავანგარდისტულ ფორმებზე (მაგ., პიკასო, დალი, შაგალი).

უდიდესი მხატვარი პაბლო პიკასო კომუნისტი იყო. ეს აბნევდა ხელისუფლებას და ისიც ნელ-ნელა შეეგუა ავანგარდისტულ ძიებებს. ეს ახსნილ იქნა როგორც რეალიზმის საზღვრების გაფართოება, თუმცა ამავე დროს დაგმეს რ. გაროდის „უნაპირო რეალიზმის“ თეორია.

1932 წელს შეიქმნა საქართველოს მხატვართა კავშირი. მასში გაერთიანდნენ ცალკეული ჯგუფები (მაგ., „სარმა“, „რევმასი“), ინდივიდუალურად მომუშავე მხატვრები, სამხატვრო აკადემიის ახალგაზრდა კურსდამთავრებულები.

ამ დროს ჯერ კიდევ აგრძელებდნენ მუშაობას გ. გაბაშვილი, მ. თოიძე, ე. ლანსერე, ა. ციმაკურიძე, ა. ბაჟბეუქ-მელიქოვი...

უცხოეთიდან 20-იან წლებში ბრუნდებიან პარიზში განათლება მიღებული, უკვე ცნობილი და აღიარებული მხატვრები – ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ე. ახვლედიანი, შ. ქიქოძე, ქ. მაღალაშვილი.

ხელისუფლებას სჭირდებოდა პოლიტიკური პლაკატი (მაგ., ა. ქუთათელაძე, ი. შარლემანი), სოციალური კარიკატურები, წიგნის გრაფიკა (მაგ., ლ. გრიგოლია), ინდუსტრიული და სასოფლო პეიზაჟები.

დიდად პოპულარული იყო ახალგაზრდა ს. ქობულაძის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, ი. თოიძის პოლიტიკური–პლაკატი „დედასამშობლო გვეძახის“, დ. კაკაბაძისა

და ე. ახვლედიანის პეიზაჟური ფერწერა, სკულპტურული თუ გრაფიკული და ფერწერული პორტრეტები, მონუმენტურ–დეკორატიული პანოები.

თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა ე. ამაშუკელის „ქართლის დედა“, მ. ბერძენიშვილის „კიდევაც დაიზრდებიან“.

საყოველთაოდ ცნობილია „ვეფხი და მოყმე“, „დედაენის“ ძეგლი, „მედეა“, „მუზა“, „მზეჭაბუკი“, რუსთაველის, გურამიშვილის, გრიბოედოვის ძეგლები.

ქართული სახვითი ხელოვნება განსაკუთრებით მრავალფეროვანი გახდა 60-იანი წლებიდან, როცა დიაპაზონი გაფართოვდა, დიქტატი შენელდა და კულტურშემოქმედი დასჭირდათ რეალობის მასობრივი კონსტრუირებისათვის.

მატერიალური უზრუნველყოფა დიდი არ იყო, ამ მხრივ ქართველი კულტურშემოქმედი ვერ უტოლდებოდა ვერც რუს და მითუმეტეს – ევრო-ამერიკელ კოლეგებს. მაგრამ არსებობდა მუშაობის პირობები, ეძლეოდათ სახელოსნოები, ბინები, ჰონორარი.

გრაფიკაში, ფერწერაში, სკულპტურაში ისევ არსებობდა სახელმწიფო დაკვეთა. ზოგჯერ ერთიანდებოდა ხელისუფლებისა და ხელოვანის ინტერესები (მაგ., ომის თემატიკა, დეკორატიული რელიეფები, პორტრეტები, ისტორიული სახეები).

აღორძინდა ლითონზე კვეთის ხელოვნებაც, ოქრომჭედლობა (ი. ოჩიაური, კ. გურული), რაც ერთხანს საკმაოდ პოპულარული გახდა.

საბჭოთა სინამდვილეს, ეკონომიკის განვითარებას სჭირდებოდა შესაბამისი კერამიკა – ჭურჭელი, სასმისები, ფიალები, სურები, ლარნაკები, ლანგრები, დეკორატიული პანოები, გობელენები, რაც იყო უძველესი ტრადიციების გაგრძელება. ამ სფეროში ორნა-

მენტებით, ფერთა და ხაზთა შეხამებით, კომპოზიციებით ხელოვანი ავლენდა თავის ფანტაზიასა და ოსტატობას.

ავანგარდისტული სკოლები ახდენენ რეალობის, ხილულ საგნების დეფორმირებას, არღვევდნენ ხილულ სიმეტრიებს, რათა ფერი და ხაზი ექციათ იდეად, აზროვნების საშუალებად, როგორც სიტყვა.

ქართველი მოქანდაკეები ამდენს ვერ ბედავდნენ, თუმცა აქაც იჩინა თავი ავანგარდისტულმა ექსპერიმენტებმა (მაგ., ჯ. მიქატაძის „გალაკტიონი“).

მხატვრები თავიანთ ოცნებას განავრცობდნენ თეატრსა და ბალეტში, ტელევიზიასა და კინოში, წიგნების დასურათებასა და გაფორმებაში, პლაკატებსა და რეკლამებში, კარიკატურებსა და საზეიმო კარნავალებში, დიზაინში.

თეატრალური ნიღბები

კინემატოგრაფმა რომ დარბაზები დაიპყრო და მასობრივი გახდა, ბევრს ეგონა, რომ თეატრის დრო წავიდა.

მომეტებულად ასე ფიქრობდნენ ავანგარდისტები, ტექნიკაზე ორიენტირებული ხელოვანები და თეორეტიკოსები.

სპექტაკლი ერთჯერადია, ზუსტი განმეორება შეუძლებელია, ამიტომ ეფემერულია და სწრაფად კვდება.

კინო მასობრივია და მრავალგზის ჩვენებას უძლებს.

სპექტაკლი დროთა მანძილზე იცვლება და იხვეწება, შეიძლება როგორც გაუმჯობესება, ისე გაუარესება.

ამ მხრივ კინო კონსერვატიულია – იგი უცვლელია.

თეატრში ხმა და მოძრაობა, პირობითობა ბატონობს. კინო რეალურ სურათებს, ცხოვრების ქაოსს აჩვენებს, ხმის შეცვლა შეიძლება და მეტი ფსიქოლოგიური ნიუანსირებით ხასიათდება.

ბოლშევიკებმა მაინც დიდი ყურადღება მიაქციეს თეატრს, რეჟისორს, მსახიობთა დასს, პიესას, სცენას, როგორც ტრიბუნას, რომლის მიკროსამყარო ძველებური განცდით მუხტავდა მაყურებელს, მის გონებაში ეფექტურად შთაბეჭდავდა სათქმელს.

ქართულ სცენაზე პოპულარული იყო როგორც კლასიკა (მაგ., შექსპირი), ისე რუსული და ქართული პიესები.

სახელმწიფო აფინანსებდა თეატრებს. ამასთანავე – ყოველ ქალაქში ხსნიდა თეატრს. მაგ., თბილისში ფუნქციონირებდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელმწიფო დრამატული, მუსკომედიის, პანტომიმის, მოზარდ მაყურებელთა, თოჯინების, ოპერისა და ბალეტის, რუსული და სომხური თეატრები.

თეატრი ჰქონდათ ბათუმს, სოხუმს, ზუგდიდს, მახარაძეს, ქუთაისს, ჭიათურას, გორს, ახალციხეს, თელავს, ცხინვალს, რუსთავს, ფოთს, ცხაკაიას.

თავიდან იყო სტუდიები, „წითელი თეატრი“, „სახალხო თეატრი“, პროლეტკულტის შესაბამისად. რუსთაველის სახელი ტფილისის ქართულ თეატრს რევკომმა მიანიჭა 1921 წლის 25 ნოემბერს. მუშათა თეატრის აღზრდილი იყვნენ მ. ჭიაურელი, აკ. ხორავა, უ. ჩხეიძე...

სრულყოფილი დაფინანსება, კეთილმოწყობა, მოვლა, რემონტი, სახელმწიფოს ძვირი უჯდებოდა. მაგრამ მაინც მაქსიმალურად იყო დასი და სპექტაკლები უზრუნველყოფილი.

სპექტაკლებს იღებდნენ რადიოსა და ტელევიზიისათვის, რათა საინტერესო წარმოდგენა არ დაკარგულიყო.

მასმედია პროპაგანდას უწევდა კარგ სპექტაკლებს, რეჟისორებსა და აქტიორებს. აქაც მოქმედებდა ცენზურა, სახელმწიფოებრივი კონტროლი, ფილტრაციის სისტემა, რათა წარმოდგენა არც სუსტი ყოფილიყო, არც იდეოლოგიურად საეჭვო.

ცხადია, ამდენი თეატრი ძლიერი სპექტაკლებითა და სათანადო დასით ვერ იქნებოდა დაკომპლექტებული. მაგრამ იდეოლოგიური სიწმინდე და სიფხიზლე უფრო იყო აუცილებელი.

არსებობდა ზოგი ექსპერიმენტიც (მაგ., რ. სტურუას სპექტაკლები). მაგრამ საამისო უფლებას მოპოვება სჭირდებოდა, რისთვისაც არ კმაროდა ტალანტი; ასევე ახალი, ე. წ. ძლიერი პიროვნების წამოწევას (მაგ., ჩეშკოვის „უცხო კაცი“).

რეჟისორები ჰყავდა საპირველმაისო და საშვიდნოემბრო დემონსტრაციებს, აღლუმებს, დღესასწაულებს, საპატიო დაკრძალვებს, მიღებებს, პარტიულ ყრილობებს, სადაც მასისა და ელიტის ფუნქციები დეტალურად იყო განაწილებული და ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მინიჭებული.

1922 წელს საქართველოში დაბრუნდა კოტე მარჯანიშვილი, ცნობილი რეჟისორი, რომელმაც რუსულ თეატრებში მოიპოვა სახელი.

მან შეძლო მიძინებული და პროვინციული ქართული თეატრის მოდერნიზება, ახალი ტალანტების შემოკრება, ძველი და ახალი პიესების ეფექტური გაცოცხლება.

ძველი თაობა სტოვებდა სცენას. საჭირო იყო ახალი აქტიორების ძიება, ახალი მხატრობა და მუსიკა.

პირველი სპექტაკლი იყო ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ (1922, 25 ნოემბერი), რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა.

კ. მარჯანიშვილმა მრავალი სპექტაკლი დადგა, ფილმებიც გადაიღო. მაგრამ მის შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ცხვრის წყაროს“, შექსპირის „ჰამლეტს“, გუცკოვის „ურიელ აკოსტას“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“.

მარჯანიშვილის რეჟისორობით გამოჩნდნენ მსახიობები – ვ. ანჯაფარიძე, აკ. ხორავა, აკ. ვასაძე, თ. ჭავჭავაძე, შ. ღამბაშიძე, მ. გელოვანი, ა. ჟორჟოლიანი, უ. ჩხეიძე...

თანარეჟისორებიდან დიდი შემოქმედი გახდა სანდრო ახმეტელი. სწორედ მასთან კონფლიქტის შედეგად დატოვა კოტე მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრი. მას გაჰყვა დასის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ისინი ქუთაისში გადავიდნენ.

მოგვიანებით თბილისში ჩამოყალიბდა კოტე მარჯანიშვილის თეატრი.

რუსთაველის თეატრს განაგებდა ს. ახმეტელი, რომელმაც დადგა რევოლუციური და რომანტიკული სულისკვეთების სპექტაკლები – გრ. რობაქიძის „ლამარა“, ბ. ლავრენიევის „რღვევა“, ს. შანშიაშვილის „ანზორი“, შილერის „ყაჩაღები“.

ს. ახმეტელის სპექტაკლებს ტაშს უკრავდა მოსკოვი, ესწრებოდა პოლიტბიურო, მოსწონდა ეს თეატრი სტალინსაც.

ა. ლუნაჩარსკი, სსრკ განათლების მინისტრი, კი თავის დროის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრად მიიჩნევდა.

იყო მიწვევა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. მაგრამ ქართულ დასს არ ენდობოდნენ. მალე გრ. რობაქიძე გერმანიაში დარჩა, კ. მარჯანიშვილი გარდაიცვალა (მოსკოვში), რეპრესირებულ იქნა ს. ახმეტელი, სცენას ჩამოსცილდა უ. ჩხეიძე.

თითქოს ქათული თეატრის კრიზისი გარდაუვალი იყო. მაგრამ აკ. ხორავამ და აკ. ვასაძემ შესძლეს ლიდეროზა. გამოიკვეთნენ ახალი სახელებიც (მაგ., ვ. გომიაშვილი, ს. თაყაიშვილი, ს. ზაქარიაძე, გ. შავგულიძე, დ. ანთაძე).

ქართული თეატრის დიდ მიღწევად ითვლება აკაკი ხორავას „ოტელო“, მთავარი როლის შესრულება და რეჟისურა. სპექტაკლი დაიდგა 1937 წელს.

აკ. ხორავა, ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი, მთელ სსრკში პოპულარული იყო, როგორც კინოსა და თეატრის მსახიობი.

პოსტსტალინურ პერიოდში გამოვლინდა სამი ახალი რეჟისორი – დ. ალექსიძე, მ. თუმანიშვილი, ა. ჩხარტიშვილი. გამოჩნდნენ ახალი მსახიობებიც (მაგ., ე. მანჯგალაძე, გ. გეგეჭკორი, რ. ჩხიკვაძე).

თეატრის თანამდევია ემოციების სიჭარბე, კონფლიქტები, შეჯახება შეხედულებებს შორის, რასაც ამწვავებს პიროვნული ურთიერთშეუგუებლობა.

თეატრი კოლექტიური ხელოვნებაა. კოლექტივის რღვევა კვალს სტოვებს სპექტაკლების ხარისხზე. ლიტერატურაში კონფლიქტები ასე მკვეთრად არ ვლინდება, რადგან პოეზია თუ პროზა ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია.

დ. ალექსიძემ დატოვა რუსთაველის თეატრი და წავიდა უკრაინაში, გ. ლორთქიფანიძე მარჯანიშვილიდან რუსთავში გადავიდა და თავისი მომხრენი იქ წაიყვანა. მ. თუმანიშვილმა დატოვა რუსთაველები. შემდეგ რ. სტურუა მივიდა და მან გაჰყო რუსთაველის თეატრის დასი.

ქართული თეატრები ყოველწლიურად მრავალ სპექტაკლს დგამდნენ. პოპულარული გახდა ნ. დუმბაძის პროზის ინსცენირებანი, რომლებიც ისევე როგორც რეჟისურა, ეკუთვნოდა გ. ლორთქიფანიძეს. თეატრებს რეპერტუარი ბალანსირებული ჰქონდათ – კლასიკა, საბჭოთა პიესები, რუსული და ეროვნული. ქართულ დრამატურგიას არ ჰქონდა დიდი წარმატებები (გამონაკლისია პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“). ამიტომ მიმართავდნენ კლასიკისა და თანამედროვე რომანების ინსცენირებებს.

მრავალფეროვანი რეპერტუარი თეატრალური დასებისაგან მუდმივ მზადყოფნას მოითხოვდა. ხშირი პრემიერები ნაჩქარევიც იყო, ან – თეატრისათვის ზემოდან ნაკარნახევი (მაგ., ომის დროს დადგმულა 700 სპექტაკლი).

შექსპირი ყველა თეატრისათვის უცვლელი და სანიმუშო ავტორია. ქართულ სცენაზე „ჰამლეტის“, „ოტელოს“, „მეფე ლირის“, „რიჩარდ მესამის“ საუკეთესო სპექტაკლები შეიქმნა.

საყოველთაოდ ცნობილია მთავარი როლების შემსრულებლები – უშანგი ჩხეიძე (ჰამლეტი), აკაკი ხორავა (ოტელო), აკაკი ვასაძე (იაგო), ვალერიან გუნია (მეფე ლირი), რამაზ ჩხიკვაძე (რიჩარდ მესამე), ვერიკო ანჯაფარიძე (ოფელია).

იდგმებოდა როგორც ძველბერძნული და ევროპული, ისე ქართული და რუსული კლასიკა. აუცილებელი იყო თანამედროვე თემატიკის გათვალისწინება (მაგ., პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“), რუსული საბჭოთა რეპერტუარი (მაგ., კ. სიმონოვის, ნ. პოგოდინის, ვლ. ვიშნევსკის, ვს. ივანოვის პიესები).

თეატრს ჰყავდა გამოჩენილი მხატვრები (მაგ., პ. ოცხელი, ს. ვირსალაძე).

70-იანი წლებიდან რ. სტურუამ ქართულ თეატრში შემოიტანა ბერტოლდ ბრეხტის თეატრის კარნავალური ტრადიციები („კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ მესამე“, „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“), რაც განსხვავებული სტილი და ხედვა იყო.

80-იანი წლებიდან კულტურის დარგებში შენელდა ძიება და აქტივობა. დაიკარგა ინტერესი და ისინი ფორმალურად აგრძელებდნენ არსებობას სამთავრობო ინიექციების წყალობით.

როგორც მთელი კულტურა, ისე თეატრიც კრიზისმა მოიცვა.

უძველესი ტრადიციები აქვს საცირკო ხელოვნებასაც – ეს იყო ჯირითი, აკრობატიკა, ჟონგლიორობა, რაც პოპულარული იყო აღმოსავლეთ ქვეყნებში.

როგორც ვთქვით, თანამედროვე საცირკო ხელოვნების ფორმები კი შემოვიდა XIX საუკუნის 70-იან წლებში რუსეთიდან. ძმებმა ნიკიტინებმა ააშენეს ცირკის შენობა და ნომრებს ასრულებდნენ

ქართველებიც. შემდეგ მას დაემატა ესიკოვსკებისა და ეფიმოვების ცირკი.

საბჭოთა პერიოდში ცირკსაც სახელმწიფო აფინანსებდა. გამოჩნდნენ ახალი ოსტატები. 1940 წელს აიგო ცირკის შენობა, ჩამოყალიბდა ქართული დასი, გაიხსნა საესტრადო და საცირკო სასწავლებელი.

არსებობდა ქართველ ცირკის ოსტატთა დინასტიები (მაგ., გამსახურდიები, ცხომელიძეები, გოლიაძეები).

კინოს სამყარო

კინო ფოტოსურათების ამოძრავება იყო, რომელიც ტექნიკის განვითარებით გახდა შესაძლებელი. მაგრამ დარჩა ფოტოგრაფია, რომელმაც ისტორიას შემოუნახა მრავალი მოღვაწის, მრავალი მოვლენის, ზეიმისა თუ გლოვის, ბრძოლისა თუ შრომის კადრები.

შავთეთრი ფოტოები თანდათან შეცვალა ფერადმა სურათებმა და ფოტოგრაფი ლამის მხატვრის მეტოქე გახდა. მაგრამ მხატვარი გაექცა ემპირიას. მან ხედვა გადაიტანა აბსტრაქციებზე, ფანტაზირებულ საგნებზე, უჩვეულო კომპოზიციებზე, რომლებიც ააგო სააზროვნო მოდელზე.

ფოტოხელოვნება საქართველოში დაამკვიდრეს ა. როინა-შვილმა და დ. ერმაკოვმა.

კინო, როგორც ახალი სინთეზური ხელოვნება, ტექნიკის განვითარებამ წარმოშვა. ამიტომ ავანგარდისტები დიდ პატივს მიაგებდნენ. ბოლშევიკებიც, კერძოდ – ლენინი, დიდ იმედს ამყარებდა ამ ახალ დარგზე, რომელიც საკმაო ხანს იყო მუნჯი.

კინოს მსახიობები ძირითადად თეატრით იყვნენ დაკავებული, შემდეგ გადადიოდნენ კინოეკრანებზე. მხოლოდ რამდენიმე

იყო პროფესიონალი კინოს არტისტი (მაგ., ნ. ვაჩნაძე, ლ. აბაშიძე, ო. კობერიძე).

თეატრი ხელს უწყობდა აქტიორს, რომ მუდმივ ფორმაში ყოფილიყო, დაეხვეწა ოსტატობა, თუმცა მუდმივი ყოფნა სცენაზე ქანცგამწყვეტიც იყო და ხელოვანს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

საქართველოში, კომუნისტების დროსაც, მსახიობს უწევდა ბრძოლა საარსებო მინიმუმის მოსაპოვებლად. კინოსტუდია წელიწადში რამდენიმე ფილმს იღებდა. იქ თითოროლა რჩეული მსახიობისათვის თუ იყო ადგილი, რომ მთავარი როლები ეთამაშა.

მხოლოდ გვიან, როცა გაჩნდა და გამრავლდა ტელეფილმები, დოკუმენტური ფილმები, გაიზარდა სრულმეტრაჟიანი და სატელევიზიო სერიალების რიცხვი, საჭირო გარდა უცხოური და რესპუბლიკების მიერ გადაღებული კინოფილმების თარგმნა, – გაიზარდა მსახიობების დიაპაზონიც.

რადიომ და ტელევიზიამაც ხელი შეუწყო მსახიობების აქტივობას.

20-იანი წლების ქართულ კინოში ბატონობდა რევოლუციური თემატიკა (მაგ., „წითელი ეშმაკუნები“, „ჯანყი გურიაში“, „არსენა ჯორჯიაშვილი“).

განსაკუთრებით აქტიურობდა რეჟისორი ივანე პერესტიანი.

შემდეგ გამოჩნდნენ ახალგაზრდა რეჟისორები (ნ. შენგელაია, მ. კალატოზიშვილი, დ. რონდელი, ს. დოლიძე, ლ. ესაკია), ოპერატორები, სცენარისტები.

ისინი მიმართავდნენ ქართულ კლასიკას, თანამედროვე მწერლობას. იყო ავანგარდისტული ძიებანიც (მაგ., „ჩემი ბებია“).

ხელისუფლებას კინო პროპაგანდისათვის სჭირდებოდა. ამიტომ გრძელდებოდა რევოლუციური თემების ეკრანიზება (მაგ., „დარიკო“, „არსენა“), შემოდგომის აზნაურების გაშარჟება („დაკარ-

გული სამოთხე“), ისტორიული სურათების წარმოსახვა („გიორგი სააკაძე“). მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კინოქრონიკას, კინოჟურნალებს, დოკუმენტურ ფილმებს, მულტიპლიკაციებს, რეპორტაჟებს.

ისინი აჩვენებდნენ საბჭოთა სინამდვილეს, თუ როგორი იყო ბოლშევიკების მიერ გარდაქმნილი ქალაქი და სოფელი, რას აკეთებდნენ მეჩაიეები, მეშახტეები, მეცხვარეები, რიგითი მშრომელები, საბჭოთა მეომრები (მაგ., გ. ასათიანი, შ. ჩაგუნავა).

გამოჩენილმა დოკუმენტალისტებმა გ. ასათიანმა, გ. პატარაიამ, რ. თაბუკაშვილმა უცხოურ თემატიკას მიმართეს და გააფართოვეს ქართველ მაყურებელთა თვალსაწიერი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ფილმები, რომლებიც გვაცნობდნენ უცხოეთში გაფანტულ და დაღუპულ წინაპრებსა და თანამოძმეებს, გვახსენებდნენ დაკარგულ მიწებს (მაგ., „შორია გურჯისტანამდე“, „ტაო-კლარჯეთი“, „ქართველები იტალიაში“).

ქართული კინოს გამოჩენილი მოღვაწე იყო მიხეილ ჭიაურელი, რომლის მონუმენტური, კონიუქტურული ფილმები მოსწონდა სტალინს და ხალხშიც დიდად პოპულარული იყო („მაგ., „არსენა“, „გიორგი სააკაძე“, „ბერლინის დაცემა“, „ფიცი“). მას, მესამე ქართველს, მიენიჭა სსრკ სახალხო არტისტის წოდება (1948).

მნიშვნელოვანი იყო ნ. შენგელაიას „ელისო“, დ. რონდელის „დაკარგული სამოთხე“, მ. კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთე“, ს. დოლიძის „დარიკო“, ვ. ტაბლიაშვილის „ქეთო და კოტე“, კ. პიპინაშვილის „ქაჯანა“.

კინოსცენარს ფორმალურად კინოსტუდია ამტკიცებდა. მაგრამ მთავარი იყო მოსკოვის დასტური, რომელსაც შეეძლო უარი ეთქვა, ან ტექსტში შეეტანა საგრძნობი კორექტივები.

რეჟისორები ძირითადად ხელისუფლებისაგან იღებდნენ დაკვეთას და მათი კარნახით ამტკიცებდნენ მსახიობებს მთავარ როლებზე.

მხოლოდ სტალინის შემდეგ შერბილდა და ნაწილობრივ შეიცვალა სახელისუფლებო დიქტატი.

კინოხელოვნებისა და კინოს მუშაკთა კოორდინირებისა, პროპაგანდისა და რეკლამირებისათვის, პროდუქციის რეალიზებისა და განაწილებისათვის ჩამოყალიბებული იყო კინემატოგრაფისტთა კავშირი. კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი.

კინოსტუდია უზრუნველყოფდა გადაღებებს, ხელმძღვანელობდა პრაქტიკულ საქმეებს, სცენარებს ამტკიცებდა, ამტკიცებდა ფილმში მონაწილე მსახიობთა კონტიგენტს და გასცემდა ფინანსებს.

კინოფილმებს აჩვენებდნენ როგორც საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში (პრიმიტიულ კინოდარბაზებში, პრიმიტიული ტექნიკით, როცა კადრები წყდებოდა ყოველ 10-15 წუთში), ისე მთელი საკავშირო მასშტაბით, ზოგიერთს – უცხოეთში, უფრო სოციალისტურ ქვეყნებში.

ცალკეულ ფილმებს ჰქონდა გრანდიოზული წარმატება, ჰყავდა უამრავი მაყურებელი (მაგ., „გიორგი სააკაძეს“, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა აკ. ხორავა, „ბერლინის დაცემას“).

მოგვიანებით ასევე დიდად პოპულარული იყო რ. ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“, მოსფილმში გადაღებული მ. კალატოზიშვილისა და გ. დანელიას ფილმები (მაგ., „მიფრინავენ წეროები“, „არ დაიდარდო“, „მიმინო“), ლ. ესაკიას „ბაში-აჩუკი“, დ. რონდელის „მამლუქი“, ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და „შერეკილები“, გ. ლორთქიფანიძისა და გ. გაბესკირიას „დათა თუთაშხია“, ს. ფარაჯანოვის „ბროწეულის ყვავილობა“.

ქართული კინოს განვითარებისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალგაზრდა რეჟისორების თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის „მაგდანას ლურჯა“. მათ გამოიყენეს იტალიური ნეორეალიზმის გამოცდილება და შექმნეს განსხვავებული ფილმი (შდრ – როგორ არის აქცენტირებული „მე ვხედავ მზეში“ ხრიოკი პეიზაჟი).

შემდეგ რ. ჩხეიძემ მუშაობა გააგრძელა საბჭოთა პატრიოტიკის სახით (მაგ., „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „ღიმილის ბიჭები“), ხოლო თ. აბულაძემ ავანგარდიზმისაკენ გადადგა ნაბიჯი (მაგ., „ვედრება“), ისევე როგორც ო. იოსელიანმა (მაგ., „მთვარის ფავორიტები“).

60-70-იანი წლებიდან კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა ქართული კინემატოგრაფია. გადაიღეს არაერთი მოკლემეტრაჟიანი ტელეფილმი, რომლებიც არ ჩამოდის ეკრანიდან (მაგ., „რეკორდი“, „ქვევრი“, „სერენადა“, „კუჩხი ბედნიერი“, „ბზიანეთი“, „ღვინის ქურდები“, „ქორწილი“).

შეიქმნა ტელესერიალები (მაგ., „დონ კიხოტი“, „დათა თუთაშხია“, დოკუმენტური, მულტიპლიკაციური ფილმები, მუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“). რეჟისორი დიქტატს ნაკლებად ემორჩილებოდა და შესაძლებელი გახდა თავისუფლად აზროვნება, საზოგადოებრივად არააქტუალური თემების წამოწევა (მაგ., მ. კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველი“, თ. აბულაძის „ნატვრის ხე“, ო. იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი“).

გაჩნდა და გაძლიერდა კრიტიციზმი, რაც ჯერ იყო აბსურდისა და ირონიის ხერხით გამოჩენილი (მაგ., ე. შენგელაიას „ცისფერი მთები“), შემდეგ კი იქცა საბჭოური ტირანიის მხილებად (თ. აბულაძის „მონანიება“).

ეს იყო პერესტროიკამდე. ფილმი ეკრანებზე არ გასულა. მაგრამ როცა შეიცვალა პოლიტიკა, ლენინური პრემიით დააჯილდოვეს.

ქართული კინოს გამოჩენილი აქტიორები იყვნენ – ნ. ვაჩნაძე, ვ. ანჯაფარიძე, ს. ჭიაურელი, ლ. ელიავა, მ. ჯაფარიძე, თ. ციციშვილი, აკ. ხორავა, აკ. ვასაძე, ა. კვანტალიანი, იპ. ხვიჩია, მ. ვაშაძე, გრ. ტყაბლაძე, რ. ჩხიკვაძე, ე. მანჯგალაძე, ს. ჟორჟოლიანი, მ. ჩახავა, მ. თბილელი, ო. კობერიძე, ლ. აბაშიძე, დ. აბაშიძე, ბ. წიფურია, ს. თაყაიშვილი, ვ. ნინუა, ვ. გოძიაშვილი, ს. ზაქარიაძე, სპ. ბაღაშვილი, ო. მელვინეთუხუცესი, თ. არჩვაძე, ა. მახარაძე, კ. საკანდელიძე...

70 წელი დროის მცირე მონაკვეთია. მაგრამ ამ პერიოდში, საბჭოთა ეპოქაში, შეიქმნა კინოხელოვნების არაერთი შესანიშნავი ნიმუში. ზოგი მათგანი პრემირებულ იქნა საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებზე. ზოგიც შეიძლება მეტ აღიარებას იმსახურებდა (მაგ., „შერეკილები“). მაგრამ მასალამ, ნაციონალურმა კოლორიტმა შეზღუდა.

ის მეტყველება, ღრმა ქართული აქცენტირება, იუმორი, რაც ჩვენ გვხიბლავს და გვიყვარს მულტფილმებში, ტელეფილმებში და იუმორით შეფერილ სრულმეტრაჟიან ფილმებში, სხვა ერებისათვის მახლობელი არ აღმოჩნდა.

ჰეროიკა და დრამატიზმი კი უფრო იყო გასაგები („გიორგი სააკაძე“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დათა თუთაშხია“).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სცენარები, რომლებითაც გადაიღეს არა ერთი ცნობილი ფილმი (მაგ., „ჯარისკაცის მამა“, „მონანიება“, „შერეკილები“, „სხვისი შვილები“), როგორც მხატვრული ლიტერატურა, უინტერესოა (მაგ. რ. გაბრიაძისა). ხოლო ლიტერატურულ შედევრებზე გადაღებული ფილმები პირველწყაროს ვერ გაუტოლდა (მაგ., „სამანიშვილის დედინაცვალი“). თუმცა არსებობს გამონაკლისებიც (მაგ., „სოფლის აშიკი“, „ღვინის ქურდები“, „ფატიმა“, „მამლუქი“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“).

რეჟისორი იმარჯვებს მაშინ, როცა არ ემორჩილება პირველწყაროს (მაგ., „ვედრება“, „ნატვრის ხე“, „მაგდანას ლურჯა“).

კინოფილმი მრავალ ჟანრს აერთიანებს. მასში თავისი წვლილი შეაქვთ სცენარისტს, ოპერატორს, მხატვარს, კომპოზიტორს, აქტიორებს, კონსულტატებს.

რეჟისორის ოსტატობა ვლინდება მათ შერჩევასა და შერწყმაში.

სრულმეტრაჟიანი კინოფილმი დიდ ხარჯს მოითხოვს. მაგ., ჰოლივუდში ათეულობით მილიონი დოლარი იხარჯება ფილმის გადაღებაზე.

(შდრ – 1963 წელს „კლეპატრას“ გადაღებაზე დაიხარჯა 44 მლნ აშშ დოლარი, დღევანდელი კურსით 365 მლნ).

სსრკ-ში ხელისუფლება აფინანსებდა კინოხელოვნებას.

ინდივიდუალურად რეჟისორი დოკუმენტური ფილმის გადაღებას თუ შესძლებდა, ოპერატორი მასაც სჭირდებოდა.

მას შემდეგ, რაც გაუქმდა სახელმწიფო დოტაცია ან მინიმუმამდე დავიდა და აღარც სპონსორებს აქვთ მილიონების ხარჯვის ხალისი, ქართული კინოს ფენომენი, როგორც მას უწოდებდნენ, ჩაკვდა.

მსახიობებისა და რეჟისორების ოსტატობა დაქვეითდა.

ცალკეულ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია (მაგ., ე. შენგელიამ თავისი უკანასკნელი მნიშვნელოვანი ფილმი „ცისფერი მთები“ 35 წლის წინათ გადაიღო).

პერესტროიკის დროიდან მკვეთრად დაქვეითდა ქართული კულტურის ცალკეული დარგები, ყველაზე მეტად კი – მეცნიერება, თეატრი, კინო, მუსიკალური ხელოვნება...

ბოლო დროს დიდი მიღწევა ჰქონდა პანტომიმის თეატრს (მაგ., ამირან შალიკაშვილის მიერ დადგმული „ვეფხისტყაოსანი“, რევაზ მიშველაძის ინსცენირებით), სადაც ერთმანეთს შეერწყა

ცეკვის აკრობატიკა, მუსიკის მელოდია და მქუხარება, მარჯვედ შერჩეული ტექსტი და კარგი დეკლამაცია.

ლიტერატურა

სოციალ-დემოკრატები იყვნენ ჭოლა ლომთათიძე და იროდიონ ევდოშვილი, ალექსანდრე აბაშელი და ლეო ქიაჩელი, ბოლშევიკური პარტიის წევრები გახდნენ გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია, ვახტანგ ჯავახაძე, ოთარ ჩხეიძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, ნოდარ დუმბაძე...

საბჭოთა პერიოდში უპარტიოებად დარჩნენ მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ივანე ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული, გურამ დოჩანაშვილი...

ბრეჟნევის დროიდან პარტიაში მასობრივად შედიოდნენ კულტურის მუშაკები. დაძალება საჭირო არ იყო, ისინი თავად ეძებდნენ თბილ ადგილს, დაფასებასა და აღიარებას. თუმცა არც მარქსი სწამდათ, არც ლენინი, არც სოცშეჯიბრება.

შოთა ნიშნიანიძე, „კომუნისტების“ ავტორი, სცნობდა ღმერთსა და საიქიოს; მუხრან მაჭავარიანი ნაციონალისტი იყო, ისევე როგორც მურმან ლებანიძე, ოთარ ჩხეიძე, გურამ ასათიანი, აკაკი გაწერელია...

ირაკლი აბაშიძე და გრიგოლ აბაშიძე პარტიულ დოგმებსა და მითითებებს კეთილსინდისიერად იცავდნენ, თითქოს ინტერნაციონალისტებიც იყვნენ, მეგობრობდნენ რუსებთან, მათთან ერთად აშენებდნენ სოციალიზმს. მაგრამ საუკეთესო ლექსები დაწერეს საქართველოს წარსულზე, ეროვნულ ტკივილებზე და არა ხუთ-

წლედებსა, ფაბრიკა-ქარხნებსა და პროლეტარიატზე (შდრ – „კომბაინი ბახტრიონთან“ და „ხმა კატამონთან“).

ასევე მოიქცნენ გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე.

ალიო მირცხულავა (მაშაშვილი) ბევრს ეცადა, მაიაკოვსკის მსგავსად არაპოეტური თემები ექცია პოეზიად. მაგრამ ასეთი ცდა მარცხით დასრულდა. „დამკვრელი ბრიგადები“ და კომკავშირზე ან პარტიაზე დაწერილი ლექსები მკითხველმა დაივიწყა.

მხოლოდ შოთა ნიშნიანიძემ შესძლო ყავლგასული მასალის ძლიერი აჟღერება. ამიტომ მოსწონდათ მისი პოეზია ე. შევარდნაძეს და ჟ. შარტავას. საოცარი კია, ეს ღმერთის მადიდებელი როგორ აქებდა ღმერთის მკვლელებს!

კონსტანტინე ლორთქიფანიძე მთელი ცხოვრება ერთ რომანს წერდა, ასწორებდა, ავსებდა როგორც ჰკარნახობდა ხელისუფლების ზიგზაგები. იგი იყო „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, „იმერეთი“, „იმერეთის ცისკარი“, „კოლხეთის ცისკარი“. ცვლიდა პასაჟებს, დიალოგებს, იცვლიდა შეხედულებებს.

ჯერ დაწერა „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, შემდეგ – „მთას დაუბრუნდა მთიელი“, ჯერ კოლექტივს განადიდებდა, შემდეგ – აბაშის სასწაულს. ზოგს აფუჭებდა. მაგ. „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“ ბოლოს უცნაური ფინალით ნარკვევს დაამსგავსა.

აზრობრივად სოციალისტური კულტურა ნაკლებად საინტერესოა. აქ მთავარია ოსტატობა, სტილი, არტისტიზმი, ხასიათები, სიუჟეტები ან – იდეოლოგიური გადაცდომები.

20-იან წლებში ხელისუფლების დიქტატით აღიკვეთა როგორც მოდერნიზმი, ისე ავანგარდიზმი.

„არიფიონის“ დაჯგუფება უკანასკნელი ცდა იყო, რომ შეენარჩუნებინათ სახეცვლილი „აკადემიური ასოციაცია“, რომელიც ყველა პატრიოტულ ძალას აერთიანებდა.

გამოსცეს კრებულიც და ამით დასრულდა ყველაფერი.

მწერალთა კავშირს (ფედერაციას) დაეუფლნენ პროლეტკულტელები, რომლებიც ახალსა და ფასეულს, გარდა ლოზუნგებისა, ვერაფერს ქმნიდნენ, ლიტერატურას კი ანგრევდნენ, ებრძოდნენ კლასიკას, ევროპულ ტენდენციებს, როგორც ბურჟუაზიულს.

სტალინის ინიციატივით გაუქმდა რაპპი და შეიქმნა ერთიანი საბჭოთა მწერალთა კავშირი, რომელშიც შევიდა რესპუბლიკების სამწერლო ორგანიზაციები.

მწერალთა შეკრებებს, რაც გორკის ბინაზე იმართებოდა, ესწრებოდა სტალინი. მაშინ ჩამოყალიბდა სამწერლო სტრუქტურა და გამოცხადდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, როგორც საბჭოთა მწერლობის ახალი სიტყვა.

სსრკ მწერალთა I ყრილობის დელეგატები არ ყოფილან გ. ტაბიძე და კ. გამსახურდია, თუმცა გალაკტიონი უკვე სახალხო პოეტია და დაწერილი აქვს რევოლუციური პოემები.

იგი ტროცკისტ ოკუჯავების სიძე იყო და, ბუნებრივია, განიცდიდა მათგან რევოლუციური იდეალების გავლენას. მაგრამ გალაკტიონი არ იყო მაიაკოვსკის მსგავსი ტრიბუნი. განა ტყუილად ეძახდა ვერლენს „მამას“. ამიტომ თუმცა მრავალი ლექსი და პოემა დაწერა რევოლუციაზე, ბოლშევიკებზე, სოციალისტურ აღმშენებლობაზე, ფასეული ამ მიმართულებით ვერაფერი შექმნა.

1927 წელს დასრულდა გალაკტიონის დიდი გზა პოეზიაში. შემდეგ მხოლოდ დროდადრო იფეთქებდა მისი ტალანტი და ესეც მოდერინიზმის გახსენებით (მაგ., „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“, „ნიკორწმინდა“, „ჰიმნი ქართულ ანბანს“).

მთელი ათი წელი წერდა „მშვიდობის წიგნს“ და აქაც ფიასკო განიცადა.

იოსებ გრიშაშვილი და გიორგი ლეონიძე მეხოტბეები იყვნენ და იოლად აითვისეს სტალინის თემა, მოარგეს იგი ქართულ მასალას, საქართველოს ისტორიას.

ქართველი ნაციონალისტები სტალინის თემას შეეფარნენ და ასე დაიცვეს მრწამსიც და სიცოცხლეც. ვექტორის შეცვლა ისედაც აუცილებელი იყო (შდრ – „დიონისოს ღიმილი“ – „ბელადი“, „ჯაყოს ხიზნები“, – „ქალის ტვირთი“, „სანავარდო“ – „შთაგონება“, „ოლე“ – „ბავშვობა და ყრმობა“, „ცირა“ – „ქართლის საღამოები“, „ტრიოლეტები შეითანბაზარში“ – „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან“, „არტისტული ყვავილები“ – „ეპოქა“...).

მათ საწინააღმდეგო პოლუსზე აღმოჩნდა გერმანიაში დარჩენილი გრიგოლ რობაქიძე, რომელიც ხოტბას აღუვლენდა ჰიტლერს – სტალინის ანტიპოდს, რეალურად კი – დიქტატორს.

მიხეილ ჯავახიშვილი, სასიკვდილოდ განწირული, შეიწყალა ხელისუფლებამ და მისცა შემოქმედებითი მუშაობის საშუალება. „ჯაყოს ხიზნები“ იყო თვითრექვიემი, საკუთარი უმწეობის ჩვენება, „თეთრი საყელო“ – გამოსავლის ძიება, „არსენა მარაბდელი“ – ნაკაცარის შეცვლა გმირის იდეალით.

კონსტანტინე გამსახურდიამ „მთვარის მოტაცებით“ წარმოსახა დრამატული სიტუაცია – კულტურის კრახი და ბოლშევიკურ-ჩეკისტური სულის ზეიმი, რაც სიმბოლურად გამოხატა ორი პერსონაჟით – ძიძიშვილებით: თავადი თარაშ ემხვარითა და მამისმკვლელი გლეხი არზაყან ზვამბაიათი.

შემდეგ, როცა სიტუაცია გამწვავდა, მან ბერიას რჩევით ხელი მოჰკიდა სტალინის თემას და სასტიკი თანამედროვეობიდან ისტორიაში გადაინაცვლა, რომლის შედეგი იყო „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“.

„დავით აღმაშენებელს“ რუსები ნაციონალისტურ წიგნად მიიჩნევდნენ, აკრიტიკებდნენ, ზღუდავდნენ და მწერალი აიძულეს დაეწერა კონფორმისტული „ვაზის ყვავილობა“.

ამის შემდეგ გააგრძელა მეოთხე წიგნზე მუშაობა.

ასეთივე კონფორმისტულია გ. ტაბიძის „მშვიდობის წიგნი“ და მთელი რიგი ლექსები, გ. ლეონიძის პოემები, მიძღვნილი პარტიული ყრილობებისადმი, ა. მირცხულავას, ი. მოსაშვილის პოეზია, ცალკეულ გამონაკლისთა გარდა. პატრიოტული ან სატრფიალო ლირიკა აძლევდა საშუალებას შემოქმედს, რომ თავისი თავის გამოხატვა შესძლებოდა (მაგ., გრ. აბაშიძის „სამხრეთ საზღვარზე“, ს. ჩიქოვანის ლექსები წარსულზე, ი. ნონეშვილის ლირიკა, ალ. აბაშელის „არ მოუშვა, დაჰკარი“, ირ. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“).

ომის პერიოდმა დააქვეითა ქართველი მწერლების ოსტატობა, სალექსო ტექნიკა და კულტურა. ხოლო ჟდანოვშჩინამ საერთოდ დააბნია კულტურის მუშაკები. შეიძლება ბევრი 1937 წლის განმეორებას ელოდა. ამიტომ იძალა უკონფლიქტობის იდეამ, სქემატიზმმა და სოციალისტური რეალიზმის დოგმატიკამ.

თუ „გვადი ბიგვა“ და „კოლხეთის ცისკარი“ ცოცხლად წარმოსახავდნენ სოციალისტურ გარდაქმნებს, ზოგი აღიარებული ტექსტი პარტიული ხედვის ილუსტრაცია იყო (მაგ., ალ. ჭეიშვილის „ლელო“, მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“).

ძველი თაობა ფრთებს კეცავდა. მოდიოდნენ ომგამოვლილი ახალგაზრდები ლიტერატურაში. მათ სტრიქონებს ისევ დენთისა და სისხლის სუნი ასდიოდა. ასეთ დროს სრული დისონანსი შემოაქვს ანა კალანდაძის ნაზ და ლირიკულ პოეზიას.

ამიტომ მას საკმაო ხნით გადაუკეტეს გზა.

ლიტერატურა უნდა დალოდებოდა დროის ცვალებადობას.

სსრკ ჩაკეტილი სახელმწიფო იყო. მაგრამ მაინც აინტერესებდათ რა ხდებოდა კაპიტალის სამყაროში. რა მიღწევები ჰქონდათ მეცნიერებასა და ტექნიკის სფეროში, რა ცვლილებანი მწიფდებოდა მასებში – სამტრო თუ სამეგობრო.

მსტოვრებსაც უხვად გზავნიდნენ რკინის ფარდის მიღმა. ვიდრე სტალინური რეპრესიები ცნობილი გახდებოდა, უფრო ადვილი იყო კულტურის მუშაკების გადაბირება, საზოგადოებრივი იდილიით მოხიბლვა. ამიტომ შედიოდნენ ისინი კომპარტიაში, იბრძოდნენ მშვიდობისათვის, მხარს უჭერდნენ სსრკ-ს –პროგრესის მედროშეს. ზოგი თანხმდებოდა ჩეკასთან საიდუმლო თანამშრომლობაზე.

მოსკოვს ბერიას დროს ჰქონდა ძლიერი აგენტურული ქსელი, რომელიც ახდენდა დასავლეთთან აკრძალული ლეგალური კავშირების კომპენსირებას – სახელმწიფო სრულად იყო ინფორმირებული.

მაგრამ პარტიის XX ყრილობისა და რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შემდეგ გუშინდელი მეგობრები და აგენტები განდგნენ – მათ იმედი გაუცრუვდათ.

სსრკ განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდებოდა კონტაქტებს ჰუმანიტარული აზროვნების სფეროში – ყველაფერს უნდა გაევლო მკაცრი ფილტრაცია, რასაც საბჭოთა მოქალაქე მიიღებდა.

აწვდიდნენ ისეთ ლიტერატურას, მუსიკას, კინოფილმებს, რაც საბჭოურ სამოთხეს არ ეწინააღმდეგებოდა. ამ მხრივ კლასიკა ნაკლები საფრთხის შემცველი იყო – მასობრივად ითარგმნებოდა ევროპული ლიტერატურა. ამიტომ რუსი ან ქართველი უფრო კარგად ერკვეოდა გერმანულ ან ფრანგულ ლიტერატურაში, ვიდრე თავად გერმანელი ან ფრანგი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მარქსისა და ენგელსის ნაწერების თარგმნას, ლენინის მრავალტომეულის გამოცემას ქართულ ენაზე.

მწერლები ჩართული იყვნენ როგორც ამ, ისე პოეზიისა და პროზის თარგმნის პროცესში. დაარსდა მთაგმნელობათა ლიტერატურის ჟურნალი „საუნჯე“, გამოიცა მსოფლიო ლიტერატურის 80-ტომეული, იბეჭდებოდა ცალკეულ მწერალთა ტომეულები.

საყოველთაოდ ცნობილია გ. ქიქოძის მიერ თარგმნილი „ტრისტან და იზოლდა“, კ. გამსახურდიას – დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, რ. მიმინოშვილის – ჰომეროსის „ილიადა“, მ. პატარიძის – ჰერედიას „ტროფეები“, გრ. აბაშიძის – პეტეფის პოეზია, ბ. ბრეგვაძის – პლატონი, ჯ. აჯიაშვილის – შუასაუკუნეების ებრაული პოეზია, ბ. შალვაშვილის – ფირდოუსის „შაჰნამე“, გ. გოგიაშვილის – რაბლე, რ. თაბუკაშვილის – შექსპირის სონეტები, დ. წერედიანის – ფრანსუა ვიიონი, გ. გეგეჭკორის – ფრანგული პოეზია, ზ. გამსახურდიას – ელიოტის „იავარქმნილი მიწა“...

ასევე ითარგმნებოდა ქართველი ავტორები რუსულ ენაზე, როგორც კლასიკა, ისე თანამედროვე მწერლობა. მაგ., ქართულ პოეზიას თარგმნიდნენ რუსეთის საუკეთესო პოეტები – ბ. პასტერნაკი, ნ. ტიხონოვი, პ. ანტოკოლსკი, ე. ევტუშენკო, ალ. მეჟიროვი, ბ. ახმადულინა...

რუსულად დაიბეჭდა კ. გამსახურდიას ექვსტომეული ჯერ და შემდეგ – რვატომეული.

გამომცემლობა „მერანს“ ჰქონდა რუსული სექტორი, რომელიც უზრუნველყოფდა ქართველი ავტორების ლენინის ენაზე გადატანას.

სტალინს მოსწონდა შ. ნუცუბიძის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ და თავადაც მონაწილეობდა ამ პროცესში.

უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში გამოიცა კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ნ. დუმბაძის, გ. ფანჯიკიძის, რ. მიშველაძის, ო. იოსელიანის ჭ. ამირეჯიბის, ო. ჭილაძის წიგნები.

უცხოეთში თარგმნის ვიზა მოსკოვს უნდა მიეცა. ასევე ქართულად შეიძლებოდა გადმოეღოთ მხოლოდ ის წიგნი, რაც რუსულად უკვე არსებობდა.

პირველობის ნებას ჩვენ არავინ გვაძლევდა.

თბილისში არსებობდა მთარგმნელობითი კოლეგია, რომელიც არჩევდა სათარგმნ ლიტერატურას და აფინანსებდა ავტორებს (ხელმძღვანელი ოთარ ნოდია) .

თითქმის არ ითარგმნებოდა ფილოსოფია და ფსიქოლოგია, ლიტერატურისმცოდნეობა, ესთეტიკური ნაშრომები, თანამედროვე მწერლები, რადგან აქ იდეოლოგიური საფრთხე არსებობდა.

მოსკოვი მათ აკრიტიკებდა და ასე კრიტიკის ფორმით შეიძლებოდა ინფორმაციის მიღება, კარგისა და ცუდის გარჩევა.

საერთო ჯამში დაინტერესებულ მკითხველს შეეძლო საკმაოდ სრული წარმოდგენა ჰქონოდა თუ რა ხდებოდა უცხოურ და სსრკ კულტურებში, კინოში, ლიტერატურაში, ესტრადასა და მუსიკაში, მხატვრობასა და არქიტექტურაში.

უცხოური ესტრადა ყოველთვის იზიდავდა ახალგაზრდობას (მაგ., ბითლზები).

ქართული კულტურა კი მოსკოვისა და რუსული ენის მეშვეობით გადიოდა საერთაშორისო არენაზე.

მუსიკის ჰანგები

საბჭოთა პერიოდში, როცა განათლებასა და შემოქმედებას დიდი ყურადღება მიექცა, ხალხური ლექსებისა, სიმღერებისა და

თქმულებებისათვის ადგილი თითქმის აღარ დარჩა. მაგრამ გრძელდებოდა შეგროვება და პოპულარიზება იმისა, რაც გადარჩა (მაგ., ვ. კოტეტიშვილის მიერ).

რაიონებში იქმნებოდა მხატვრული კოლექტივები, ტარდებოდა ოლიმპიადები, დათვალიერებები, ფესტივალები. მომღერალთა გუნდები შექმნეს ძმებმა ერქომაიშვილებმა, კავსაძეებმა, ძ. ლოლუამ, რ. შელეგიამ, მ. თარხნიშვილმა...

განსაკუთრებით უყვარდა ხალხს ხალხური სიმღერების შემსრულებელი ჰამლეტ გონაშვილი.

მოქმედებდა 8.000-მდე თვითმოქმედი კოლექტივი, 50-მდე სახალხო თეატრი.

მათი წიაღიდან გამოვიდა შემდეგში ცნობილი მრავალი ხელოვანი.

თითქოს მართლდებოდა გორკის აფორიზმი – „ესთეტიკა მომავლის ეთიკაა“.

ერთნი აგრძელებდნენ ხალხურ ტრადიციებს, მეორენი – გადადიოდნენ პროფესიულ მუსიკაში, ოპერაში, ესტრადაზე...

სიმღერა, ჰანგი, მელოდია, მუსიკა კაცობრიობის მეგზურია, რომელთა სტიქიური აღმოთქმა მოწესრიგდა წარმართულ რიტუალებში, გადაეცა ყოველდღიურ ცხოვრებას და კორექტირებით გაგრძელდა ქრისტიანულ ლიტერატურაში.

ქართველი მომღერლები, მუსიკოსები, კომპოზიტორები XIX საუკუნიდან მიუბრუნდნენ ხალხურ შემოქმედებას, ლექსსა და სიმღერას, ქრისტიანულ საგალობლებს და რუსულ–ევროპული კულტურის ცოდნით აღჭურვილნი შეუდგნენ როგორც მათ დასისტემებას, ფილტრაციას, გადარჩევას, ისე გარდასახვას საკუთარ შემოქმედებაში.

ამ პროცესში ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ უცხოელი მუსიკოსებიც.

უკვე ვახსენეთ პირველი ქართული ოპერები, საესტრადო მუსიკა, რომანსები, რომელთა ღირსება დრომ ვერ გაახუნა. მაგ., ზაქარია ფალიაშვილი ისევ რჩება საუკეთესო ქართველ კომპოზიტორად.

საბჭოთა პერიოდში კამერული და სიმფონიური მუსიკის არაერთი მნიშვნელოვანი ნიმუში შეიქმნა, ჩამოყალიბდა ბალეტი, მოვიდნენ ახალი თაობები, რომელთაც შექმნეს ჟანრობრივად და მელოდიურად მრავალფეროვანი ქართული მუსიკა (გ. კილაძე, ი. ტუსკია, შ. მშველიძე, ა. ბალანჩივაძე, ა. კერესელიძე, ა. მაჭავარიანი, ა. ჩიმაკაძე, ა. შავერზაშვილი, რ. ლაღიძე, დ. თორაძე, ო. თაქთაქიშვილი, ს. ცინცაძე, ნ. გუდიაშვილი, ბ. კვერნაძე, ო. გორდელი, გ. ყანჩელი, ვ. აზარაშვილი, ს. მირიანაშვილი, ს. ნასიძე, შ. მილორავა, გ. ჩლაიძე, ო. თევდორაძე, გ. ცაბაძე, მ. დავითაშვილი...).

ქართული ოპერა, ბალეტი, ქართველი მუსიკოს–შემსრულებლები, დირიჟორები, მომღერლები პოპულარული იყვნენ მოსკოვშიც, სოციალისტურ ქვეყნებში და შემდეგ შეაღწიეს კაპიტალისტურ სამყაროშიც (მაგ., გ. ყანჩელი).

ქართული კულტურის დეკადა, მუსიკის დღეები და კვირეულები, კამერული მუსიკის კონცერტები იმართებოდა მრავალ ქვეყანაში, სრულდებოდა სიმფონიები, ორატორიები, საფორტეპიანო კონცერტები, სონატები, ფუგები, კვარტეტები, იდგმებოდა ოპერები (მაგ., „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, „მთვარის მოტაცება“, „ლელა“).

საქართველოს ჰყავდა გამოჩენილი დირიჟორები (ე. მიქელაძე, ო. დიმიტრიადი, ჯ. კახიძე), მუსიკოს-შემსრულებლები (ე. ვირსალაძე, მ. მდივანი, ე. ანჯაფარიძე, მ. დოიჯაშვილი, ა. თორაძე, ლ. ისაკაძე), საესტრადო კოლექტივები (მაგ., „ორერა“, „რერო“, „შვიდკაცა“, „გორდელა“, „ივერია“, „დიელო“), ხალხური სიმღერის ანსამბლები (მაგ., „გორდა“, „რუსთავი“, „ფაზისი“), ვოკალისტები

(ვ. სარაჯიშვილი, დ. ანდღულაძე, ზ. ანჯაფარიძე, პ. ამირანაშვილი, მ. ამირანაშვილი, ზ. სოტკილავა, თ. მუშკუდიანი, დ. გამრეკელი, მ. ქასრაშვილი, ლ. ჭყონია, ნ. ანდღულაძე, შ. კიკნაძე).

ქართულ კოლექტივებს, ქართველ კომპოზიტორებსა და მუსიკოსებს მოპოვებული აქვთ მრავალი საერთაშორისო და საკავშირო პრემია ფესტივალებსა და კონკურსებზე, საპატიო წოდებები.

ზოგი მათგანი წლების განმავლობაში იყო მოსკოვის დიდი თეატრის დასის წევრი და წარმატებით გამოდიოდა სცენაზე (მაგ., ზ. ანჯაფარიძე, ზ. სოტკილავა, მ. ქასრაშვილი, ნ. ანანიაშვილი).

კონსერვატორია, მუსიკალური სასწავლებლები ამზადებდნენ პროფესიულ კადრებს ოპერისა და ბალეტის თეატრისათვის, ძველი თუ ახალი შემოქმედებითი კოლექტივებისათვის.

მუსიკალური განათლება მოდური გახდა და ლამის სავალდებულოდ იქცა (მაგ., პიანისტები იყვნენ ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა). ახალი თაობა ეუფლებოდა კლასიკას, ავსტრიულ და გერმანულ მუსიკას, უსმენდნენ რუსულ, გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ ოპერებს.

პოპულარული იყო რუსული რომანსები, საესტრადო სიმღერები. მაგრამ 60-იანი წლებიდან ევროპიდან შემოაღწია ჯაზმა, ახალმა ესტრადამ. მაგ., დიდი რეზონანსი ჰქონდათ ბითლზებს, არა მხოლოდ სიმღერებს, არამედ – ჩაცმის სტილს, ვარცხნილობას.

სასიმღერო ტექსტებს მრავალი წერდა. მათგან ყველაზე პროფესიული იყო მ. ფოცხიშვილის ლექსები. მთელი საქართველო მღეროდა რ. ლაღიძის, გ. ცაბაძის, ბ. კვერნაძის, ვ. აზარაშვილის, რ. გაბრიჩიძის, გ. ყანჩელის სიმღერებს (მაგ., ლამის ჰიმნად იქცა „სიმღერა თბილისზე“).

საქართველოს ჰიმნის ავტორები იყვნენ ალ. აბაშელი და გრ. აბაშიძე, მუსიკის ავტორი – ო. თაქთაქიშვილი.

კონსერვატორია, ფილარმონია, რადიო და ტელევიზია, კულტურის სამინისტრო, მასმედია ხელს უწყობდნენ მუსიკის პოპულარიზებას, ჰანგებთან ერთად მათი ავტორებისა და შემსრულებლების შთაბეჭდვას მეხსიერებაში.

მუსიკა სჭირდებოდა აღლუმებს, დღესასწაულებს, პარტიულ ფორუმებს, კინოს, თეატრს, რადიოსა და ტელევიზიას, ლხინსა და გლოვას.

ესტრადას მასებში გაჰქონდა პარტიული, სოციალისტური ან მათთან ჰარმონიზებული იდეალები. ხოლო ოპერა და სიმფონიები ამკვიდრებდა კლასიკისისადმი სიყვარულს, რასაც არღვევდა ჯაზი, როკენროლი და ახალი დროის ევრო-ამერიკული მუსიკა.

ცეკვა ხმლებით

როკვა, ცეკვა, ისევე როგორც სიმღერა, გალობა უძველესი რიტუალებიდან გამოიყო და მასების წიაღში განვითარდა. მას არ ღებულობდა ეკლესია, არც ძველი არისტოკრატია. ამიტომ იცვლებოდა ფორმები, ზოგი დაიკარგა, დაერთო ახალი, ხოლო XIX საუკუნის მიწურულიდან პროფესიონალმა ქორეოგრაფებმა და მუსიკოსებმა დაიწყეს მათი დახვეწა, მოწესრიგება.

ცეკვა ადათ-წესების, ტრადიციების, გართობა-თამაშების, დღესასწაულების, ბერიკაობის შემადგენელი ნაწილი იყო.

საბჭოთა პერიოდში არაერთი საცეკვაო კოლექტივი ჩამოყალიბდა. მათგან დიდი პოპულარობა და საერთაშორისო მოწონება ხვდა წილად ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს.

ქართველმა მოცეკვავეებმა ცერებითა და ხმლების ელვით მოიარეს მსოფლიო, მოხიბლეს და გააოცეს მაყურებელი (ლა სკალას თეატრში 14-ჯერ აიწია ფარდა მათ პატივსაცემად)..

ასევე დიდად წარმატებული იყო ანზორ ერქომაიშვილის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „რუსთავი“. ქართულ ცეკვებს მათთან ერთად ხვეწდნენ ჯ. ბაგრატიონი, რ. ჭოხონელიძე, ბ. დარახველიძე, ი. სუხიშვილი... მათ განავითარეს ქართული ქორეოგრაფიის რომანტიკულ-ჰეროიკული საწყისები, რასაც ყველაზე კარგად ავლენენ „ქართული“, „ფერხული“, „ხორუმი“, „სამაია“, „მთიულური“, „ცერული“...

ცნობილი შემსრულებლები იყვნენ – ნ. რამიშვილი, ი. სუხიშვილი, ი. დოლაბერიძე, ფრ. სულაბერიძე, ლ. ფოჩიანი, ვ. გუნაშვილი, ო. მესხიძე.

მათ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალა პროფესიულ ხელოვნებად აქციეს, ევროპული ცეკვები მსგავსად.

ხალხური ცეკვის ელემენტები გამოყენებულ იქნა საბალეტო ხელოვნებაში, სადაც კლასიკა შეავსეს ქართული მოძრაობის ილეთებით.

ცეკვა მასის ხელოვნებაა, რომლის ელიტარულ კულტურიზებას ახდენენ ქორეოგრაფი და შემსრულებლები; ოპერა და ბალეტი კი ელიტარულია და გამიზნული იყო არისტოკრატიის ინტერესებისათვის.

ოპერა და ბალეტი ვერ მიიღებს ყოველგვარ მასალას (მაგ., ტრაქტორი, მატარებელი ან ფაბრიკა), ვერ გამოიყვანს ყველა ფენის პერსონაჟს (მაგ., რევოლუციის ბელადები). მათ სჭირდება გმირული სული, ამაღლებული და პათეტიკური სულისკვეთება ან კომიზმის დინამიკა.

მაგრამ პარტია ქმნიდა ახალ არისტოკრატიას და ამიტომ საბჭოთა ლიდერებიც ისხდნენ დიდ თეატრში, უსმენდნენ მათთვის ნაკლებად გასაგებ არიებს, უყურებდნენ ჰაეროვან და მომხიბლავ ცეკვებს.

საბალეტო ხელოვნება რუსეთიდან შემოვიდა. პეტერბურგიდან ჩამოდიოდნენ ანსამბლები. ისინი დგამდნენ სპექტაკლებს. შემდეგ კი ტფილისშიც დააარსეს დასი, პერინისა და მორდკინის სტუდიები.

ოპერასა და თეატრს დაემატა ბალეტი.

დასი თანდათან ივსებოდა ქართველი მოცეკვავეებით. მაგრამ ძირითადი ჯერჯეროზით იყვნენ რუსები, ებრაელები. ისინი იყვნენ ბალეტმაისტერებიც, ბალერინებიც და ბალერონებიც.

რეპერტუარიც არაქართული იყო (მაგ., „ჟიზელი“, „გედის ტბა“, „ლურჯი ფრინველი“, „კარნავალი“, „ვალპურგის ღამე“).

პირველ ქართველ პროფესიონალ მოცეკვავედ ითვლება ალექსი ალექსიძე (სონღულაშვილი).

ბალეტის რეპერტუარის, რეჟისურის, დასის და საშემსრულებლო ხელოვნების გაქართულება უკავშირდება მოცეკვავისა და ბალეტმაისტერის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელს (ა. ბალანჩივაძის „მზეჭაბუკი“ და „მთების გული“, გ. კილაძის „სინათლე“, დ. თორაძის „გორდა“, ა. მაჭავარიანის „ოტელო“, ს. ცინცაძის „დემონი“...), რომელმაც დომინანტად აქცია მამაკაცის როლი სპექტაკლში.

ცნობილი ბალეტმაისტერები იყვნენ დ. ჯავრიშვილი, ჯ. ბაგრატიონი, გ. ალექსიძე, მოცეკვავეები – ვ. წიგნაძე, ზ. კიკალეიშვილი, ც. ბალანჩივაძე, ე. ჭაბუკიანი, თ. ჭაბუკიანი, ლ. გვარამაძე, ნ. ანანიაშვილი...

ქართული ბალეტის ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება სპექტაკლი „ოტელო“ (ბალეტმაისტერი და მთავარ როლში ვ. ჭაბუკიანი, რისთვისაც მიენიჭა ლენინური პრემია 1958 წელს).

ვ. ჭაბუკიანთან ერთად ქორეოგრაფიის ისტორიაში დიდი ფიგურაა ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე, მელიტონ ბალანჩივაძის ვაჟი), რომელმაც შექმნა ამერიკული ბალეტი.

როგორც ხალხური, ისე საბალეტო ცეკვები ჩართული იყო ოპერებში, როგორც მინი-სპექტაკლი.

ქართული ბალეტის პრესტიჟს განსაზღვრავდა ვ. ჭაბუკიანის ტალანტი. 60-იან წლებიდან, როცა იგი სცენიდან წავიდა, როგორც ბალეტმაისტერმაც დაჰკარგა სიახლისა და გამომგონებლობის უნარი.

ედ. შევარდნაძემ მას თეატრიც დაატოვებინა და საქართველოც. შემდეგ ოპერის შენობას ხანძარი გაუჩნდა და რამდენიმე წელი შეწყდა წარმოდგენები. როცა განახლდა, უკვე იწყებოდა პერესტროიკა და ხალხს ქუჩა და მიტინგები, მქუხარე ოვაციები უფრო იზიდავდა, ვიდრე გედების ტბა და ლაურენსია, აბესალომისა და კიაზოს არიები.

მასმედიის ქსელი

ვიმეორებთ – ბოლშევიკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბეჭდვით სიტყვას, კერძოდ – პრესას, როგორც პროპაგანდის მყარ და ეფექტურ საშუალებას – ლენინი „ისკრის“ რედაქტორი იყო, სტალინი – „პრავდისა“, ბუხარინი – ჯერ „პრავდის“, შემდეგ – „იზვესტიის“.

ასევე ცნობილი პარტიული მუშაკები (ლ. ქართველიშვილი, მ. კახიანი, გ. ყურულაშვილი) ან მწერლები რედაქტოროზდნენ „მნათობს“ (მაგ., ირ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ს. ჩიქოვანი, ა. მირცხულავა), „საბჭოთა ხელოვნებას“ (მაგ. თ. ჭილაძე).

რესპუბლიკაში მთავარი ყოველდღიური გაზეთი იყო „კომუნისტი“ (გამოდიოდა 1920–1990 წლებში), რომლის ტირაჟი ავიდა 700 ათასამდე. მისი შესატყვისი იყო რუსულენოვანი „Заря Востока“.

საქართველოს პრესა ძირითადად იყო ორენოვანი – ქართული და რუსული (მაგ. ქართული „თბილისი“ და რუსული „Вечерный

Тбилиси“, ქართული „ახალგაზრდა კომუნისტი“ და რუსული „Молодежь Грузии“). თავიანთი გაზეთები ჰქონდათ სომხებს, აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, ოსებს.

რადგან აფხაზეთი იყო ავტონომიური რესპუბლიკა, აქ ხელისუფლებას ჰქონდა სამი მთავარი გაზეთი – ქართული „საბჭოთა აფხაზეთი“, რუსული – „Советская Абхазия“, აფხაზური – „აფსნი ყაფშ“.

ამავე მოდელზე იყო აგებული ოსური პრესა.

აჭარა ქართულენოვანია და ასეთი დანაწილება საჭირო არ იყო.

ავტონომიებს, კომპაქტურად დასახლებულ არაქართველებს, რუსებს თავიანთი პრესა სჭირდებოდათ.

ყველა რაიონში გაზეთი გამოდიოდა, რაც ძირითადად ადგილობრივ ცხოვრებას ასახავდა. ზოგან ეს გამოცემა სამენოვანიც კი იყო. მაგ., მარნეულში – ქართული, აზერბაიჯანული, რუსული.

პრესა იყო კომპარტიისა და მთავრობის ორგანო. მაგრამ პროფესიული ნიშნითაც იყო დიფერენცირებული – მაგ., „სახალხო განათლება“ – განათლების სამინისტროსი, „ლიტერატურული საქართველო“ – მწერალთა კავშირისა, ან ცალკეულ სფეროს აშუქებდა. მაგ., „სოფლის ცხოვრება“ – სოფლის თემატიკას, „დილა“, „პიონერი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“ – ახალგაზრდობის პრობლემებს, „ნიანგი“ – ცხოვრებისეულ მანკიერებებს, „კრიტიკა“ – ლიტერატურისა და ხელოვნების „შუქ-ჩრდილებს, „ლელო“ – სპორტს.

იყო მრავალი წვრილი უწყებრივი გამოცემებიც.

ტირაჟი მათაც საკმაოდ ჰქონდათ – დღევანდელ მდგომარეობასთან მიმართებით. მაგ., უსინათლოთა – „სინათლე“, ყრუ–მუნჯთა – „ექო“.

ხელისუფლება უზრუნველყოფდა პრესის დაფინანსებას, უქმნიდა ნორმალურ სამუშაო პირობებს. დროულად ავრცელებდა

(„სოიუზპეჩატი“). რედაქციები პატარა სამინისტროები იყო. ბეჭდვით სიტყვას ძალა ჰქონდა – ხელისუფლება ვალდებული იყო ცალკეულ სიგნალებზე რეაგირება მოეხდინა.

რედაქტორს მანქანა ემსახურებოდა.

ჯერ აშენდა წიგნის სასახლე (მარჯანიშვილზე), შემდეგ = პრესისა (ლენინის ქუჩაზე, დღევანდელ – კოსტავაზე), სადაც განლაგდა ძირითადი რედაქციები. სტამბები ცალკე არსებობდა.

ლიტერატურულ გამოცემებს თავიანთი დიდი და კეთილმოწყობილი ოფისები ჰქონდათ (მაგ., „მნათობს“, „ლიტერატურულ საქართველოს“), ოღონდ – 60-იანი წლებიდან.

70-იანი წლებიდან ტირაჟი გაიზარდა და პიკს მიაღწია პერესტროიკის პერიოდში (მაგ., „ლიტერატურული საქართველო“ 1991 წელს, ჩემი რედაქტორობის დროს, 170.000 ცალი იბეჭდებოდა). ტირაჟი, გავრცელების ოპერატიულობა, სიტყვის ეფექტურობა ძალას ანიჭებდა პრესას და ხალხიც ყურადღებით ექცეოდა.

საბჭოთა პერიოდის პრესა მკაცრად კონტროლდებოდა და როგორც მართვა-პროპაგანდის საშუალება, ცეკას მითითებით მოქმედებდა.

რედაქტორს ამტკიცებდა ცეკას ბიურო. წარდგენას კი უკეთებდნენ შემოქმედებითი ან პარტიული ორგანიზაციები, სუკის დასტურით, რომელიც კარგად იცნობდა კადრებს და თავადაც მონაწილეობდა მათ აღზრდა-ჩამოყალიბებაში.

დისიდენტური გამოცემები (მაგ., ზ. გამსახურდიას „ოქროს საწმისი“) სასტიკად იდევნებოდა და მკითხველიც კი აღრიცხული ჰყავდა სუკს. მხოლოდ პერესტროიკის დროს მოხდა თავისუფალი პრესის დაშვება (მაგ., „მამული“, „საქართველო“).

1987 წლიდან, როცა გარდაქმნის პროცესები აშკარა გახდა, პრესაც იცვლებოდა. გამოჩნდა აკრძალული სახელები, დახურუ-

ლი თემები. ჟურნალისტებმა და პუბლიცისტებმა გაბედეს და ისწავლეს თავისუფალი მსჯელობა.

ახალი ძალა მიეცა პუბლიცისტურ სიტყვის, ხელოვნების აზრს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თემებზე. რეაბილიტირებულ იქნა ზ. გამსახურდიას, ა. ბაქრაძის, ნ. წულეისკირის, რ. ჯაფარიძის ცალკეული მწვავე სტატიები, რომელთაც ცენზურა გზას უკეტავდა.

მკითხველი გაეცნო გრ. რობაქიძეს, 1917-1921 წლების პოლიტიკურ მოღვაწეებს, რეპრესირებულ საბჭოთა ლიდერებს (მაგ., ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, ბერია), აკრძალულ ლიტერატურას.

საჯაროობამ, პარტიის კრიტიკამ, ნაციონალური ტენდენციების ლეგალიზებამ, ერთი მხრივ აამოძრავა საზოგადოებრივი ფენები, მეორე მხრივ – დათრგუნა შემოქმედებითი უნარი.

საბჭოურ ტრადიციებზე აღზრდილი კულტურშემოქმედი თითქოს შეკრთა და დაიბნა. გარდაქმნა აშკარად გაძნელდა. ამას დაერთო საყოველთაო ეკონომიკური კრიზისი, პოლიტიკური ქაოსი, იმედების გამტყუნება, რაც მოჰყვა ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას.

პრესამ ერთბაშად დათმო პოზიციები. დაეცა ტირაჟი და გაქრნენ მკითხველთა მასები.

რადიოს ადრევე მოაკლდა მსმენელი. იგი მხოლოდ მძღოლებს ართობდა. ძველი საინფორმაციო ცნობები, პოლიტიკური აგიტაცია აღარ იყო აქტუალური. მხოლოდ კულტურულ-მუსიკალური ციკლი განაგრძობდა ფეთქვას.

რადიო საქართველოში 1925 წელს შემოვიდა და საკმაოდ პოპულარული იყო. ზეპირი სიტყვა სწრაფად მიდიოდა მსმენელებთან და ახდენდა ყურადღების კონცენტრირებას (მაგ., სტალინის გამოსვლა 1941 წლის 3 ივლისს).

ფეხბურთის რეპორტაჟები, 1 მაისისა და 7 ნოემბრის დღესასწაულები, შრომის ზეიმი, ახალი ამბები ოპერატიულად და სასურველი ხედვით მიეწოდებოდა მსმენელს.

რადიოგადაცემები იწყებოდა დილის 6 საათზე და მთავრდებოდა ღამის 12 საათზე. პარალელურად მოქმედებდა რუსული არხები.

რუსულ-ქართული გადაცემების დრო ბალანსირებული იყო.

რადიოს ჰქონდა თავისი პროგრამები, ჰყავდა დიქტორები, ჟურნალისტების კონტიგენტი, მთავარი რედაქტორები, დგამდნენ სპექტაკლებს, ამზადებდნენ რადიოჟურნალს, იწვევდნენ კულტურის მუშაკებს.

ლენინი კომუნიზმს მიიჩნევდა სოციალიზმს პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციად.

ელექტრონი ედო საფუძვლად მასმედიასაც. წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა, რადიოფიცირება – რადიომიმღებები, ტელეხედვა – ტელევიზორები.

რადიომიმღებები მოგვიანებით გავრცელდა, გამრავლდა და დაიხვეწა. თავიდან კი გადაცემებს უზრუნველყოფდა მავთულის სადენები, ტელეგრაფის ბოძები.

ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ელექტროფიცირებასა და რადიოფიცირებას.

ტელევიზია რომ შემოვიდა, რადიოს გავრცელების არეალი თანდათან მინიმუმამდე დავიდა (თბილისში – 1956 წლის 30 დეკემბრიდან).

მთაწმინდაზე დადგმული ტელეანძა (1972 წლის რეკონსტრუქციის შემდეგ სიმაღლე – 177,5 მ) უზრუნველყოფდა გადაცემებს, რომლებიც ჯერ კვირაში სამჯერ ეწყობოდა, ისიც – საღამოობით, როცა მშრომელები შინ იყვნენ და ისვენებდნენ.

შემდეგ ტელევიზია ლიხის მთაზეც გადავიდა.

მან სწრაფად დაიპყრო მაყურებელთა გულისყური. ჯერ ტელეხედვა შავ-თეთრი იყო, ტელევიზორიც – პატარა და მოუხერხებელი, მაგრამ ხალხს ეკრანი მაინც დიდად იზიდავდა.

შემდეგ ჩამოყალიბდა ორი ქართული და ორი მოსკოვის არხის ჩვენების გრაფიკი, რედაქციები მრავალი რუბრიკით.

„ვრემია“ გადიოდა დილა-საღამოს და ეს იყო მთავარი საინფორმაციო გადაცემა.

ტელევიზია იღებდა ფილმებს, დგამდა სპექტაკლებს, აშუქებდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, კულტურშემოქმედთა მოღვაწეობას, საიუბილეო თარიღებს, უჩვენებდა ფილმებს.

აგიტაცია-პროპაგანდის ცენტრმა გადაინაცვლა ტელევიზიაში, რომელსაც ისევ ცეკა წარმართავდა.

რადიო-ტელევიზიაში რიგითი თანამშრომელიც კი არ ინიშნებოდა სუკ-ის ფარული თანხმობის გარეშე.

საეჭვო პირი ამ სისტემაში ვერ იმუშავებდა.

პრესა ამ მხრივ უფრო ლიბერალური იყო, გამომცემლობები – კიდევ მეტად.

ცალკეულ პირთა როგორც წამოწევა, ისე ჩაძირვა ხდებოდა მასმედიის მიერ, ცეკიდან მიღებული მითითებითა და სიგნალებით, რომელთა ფორმირებას განსაზღვრავდა სუკი.

რადიო-ტელევიზიის საკორესპოდენტო პუნქტები არსებობდა როგორც რესპუბლიკის ქალაქებში, ისე სსრკ-ის ცენტრებში.

წიგნი უფრო კონსერვატიული და ნაკლებად ოპერატიულია. სამაგიეროდ იგი ფუნდამენტურ ცოდნას შეიცავს და ამიტომ სჭირდებოდა ხელისუფლებას, განათლებისა და კულტურის პროპაგანდას.

ცენტრალური გამომცემლობა იყო „საბჭოთა საქართველო“, რომელსაც ჰქონდა შესაბამისი პროფილის რედაქციები (მაგ., ლიტერატურის, თარგმანის, მხარეთმცოდნეობის).

მწერალთა კავშირის გამომცემლობას ბოლოს ერქვა „მერანი“. იგი ქართულ და რუსულ სექტორებად იყო გაყოფილი.

სახელმძღვანელოებს სცემდა „განათლება“, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას – „ნაკადული“, სამეცნიერო შრომებს – აკადემისა და უნივერსიტეტის გამომცემლობები, „ხელოვნება“ – ალბომებს, ნოტებს, წიგნებს ხელოვნებაზე, ჟურნალ–გაზეთებს – ცეკას გამომცემლობა.

გამომცემლობები ჰქონდათ აფხაზებსა და ოსებს, აჭარის ავტონომიას. 2-2 წლით ადრე დგებოდა გეგმა, რომელსაც განაგებდნენ დირექტორი, საგამომცემლო საბჭო, მთავარი რედაქტორი, განყოფილების გამგეები.

წიგნს აფორმებდა მხატვარი, შრიფტებს არჩევდა ტექრედაქტორი, ანაწყობს კითხულობდა კორექტორი.

სარედაქციო საქმეებს განაგებდა უმცროსი რედაქტორი.

წიგნი, ასე დამუშავებული და შემოწმებული, მიდიოდა სტამბაში. დაბეჭდვის წინ კითხულობდა მთავლიტი.

სტამბა და გამომცემლობა ცალ-ცალკე არსებობდა, რათა რამე იდეოლოგიური კაზუსი არ მომხდარიყო.

მთავარი სტამბები იყო – წიგნის ფაბრიკა (დიღომში), ცეკას გამომცემლობის სტამბა, №1 სტამბა, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი (მარჯანიშვილზე).

თუ ავტორი არ გამოიჩენდა მონდომებას, წიგნის ბეჭდვა–გამოცემის პროცესი წლობით იწელებოდა, მინიმუმ – ერთი წელი მაინც სჭირდებოდა.

ავტორი ჰონორარს ღებულობდა სატარიფო სისტემის მიხედვით. წიგნს ავრცელებდა, მაღაზიებსა და ბიბლიოთეკებს აწოდებდა „საქწიგნი“. ეს იყო ცენტრალიზებული სისტემა.

წიგნის გაყიდვა ჰონორარზე არ მოქმედებდა.

მასმედიას გაჰქონდა კულტურის ნიმუშები მასებში, ხელს უწყობდა მის განვითარებას, მიუხედავად იდეოლოგიური კონტროლისა, თავად კულტურშემოქმედს აიძულებდა თუ შეზღუდულ და ჩაკეტილ სივრცეში როგორ მოეპოვებინა შედარებითი თავისუფლება.

დამოუკიდებელ საქართველოში ფუნქციონირებს უამრავი ტელე და რადიოარხი, გამოდის მრავალი წიგნი და გაზეთი. მაგრამ მათგან მხოლოდ რამდენიმე მათგანი ახდენს ზეგავლენას საზოგადოების ცნობიერებაზე (მაგ., „რუსთავი – 2“).

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

თავიდან ბოლშევიკები საქართველოშიც ნგრევის ლოზუნგებით მოქმედებდნენ. ეკლესიები ხომ დააქციეს, უყურადღებოდ მიატოვეს ისტორიული ძეგლები. მხოლოდ 1934 წელს აღადგინეს სკოლებში ისტორიის სწავლება.

ისტორია მეფეების, მღვდელმთავრების, ფეოდალების მატიანეა. მათ ებრძოდნენ, სდევნიდნენ, ხვრეტდნენ ბოლშევიკები და სკოლებში როგორ უნდა ესწავლებინათ ასეთი ხალხის ღვაწლი, გმირობა და თავდადება.

დასაშვები იყო მათი კრიტიკა, გაშარჟება, გამასხრება, როგორც მოიქცა ს. თოდრია.

არქაიკა, არქივი, წარსული, თავადი, მღვდელი, სალანძღავ სიტყვებად იქცა.

კრიტიკოსები, რაპპელები ბევრს დაობდნენ თუ როგორი პოზიცია უნდა ჰქონოდათ კლასიკის მიმართ.

როცა მალაქია ტოროშელიძემ სტალინს გააცნო მოხსენება ქართულ მწერლობაზე, მწერალთა პირველ ყრილობისათვის, იგი იწყებოდა დ. ჭონქაძითა და ეგ. ნინოშვილით.

სტალინმა ტექსტი დაიწუნა და მოითხოვა, რომ უძველესი წარსული, მათ შორის მეფეთა მეხოტბე რუსთაველი, ნაჩვენები ყოფილიყო.

ტექსტის დამუშავების პროცესში ჩართეს კ. კეკელიძე და პ. ინგოროყვა. შემდეგ რუსთაველისა და ილიას იუბილე აღინიშნა დიდი მასშტაბით. კრემლის ყრილობათა სვეტებიან დარბაზში რუსთაველის სახეც გამოჩნდა.

ასევე აღნიშნეს ფირდოუსისა და პუშკინის იუბილეები.

მანამდე ფ. მახარაძე და მისი თანამოაზრეები გმობდნენ ილია ჭავჭავაძეს, ფეოდალურ ლიტერატურას და მხოლოდ კლასობრივი თვალსაწიერით აფასებდნენ კულტურას.

70-იანი წლებიდან ბოლშევიკებმა სხვა თვალით შეხედეს კულტურულ მემკვიდრეობას, ძველქართულ ენას, ისტორიულ ძეგლებს (შდრ – სვეტიცხოველი „დიდოსტატის მარჯვენაში“, მისი გადახურვა ხელისუფლების მიერ), კლასიკას, ფოლკლორს, ხალხურ ცეკვასა და სიმღერას. შეიქმნა საყოველთაოდ ცნობილი ანსამბლები, რომელთაც მართლაც ტაშს უკრავდა მსოფლიო.

სტალინი თავად მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის და გამოცემის პროცესში.

ერთი მხრივ – მოიცილეს კომკავშირელი ექსტრემისტები, მეორე მხრივ – შემოირიგეს ძველი ინტელიგენციის ნაწილი (მაგ., ი. ჯავახიშვილი, შ. დადიანი, კ. გამსახურდია).

შემდეგ ძეგლთა დაცვის სამმართველოც შეიქმნა. დაიწყო ციხე-სიმაგრეების, ტაძრების, ძველი უბნების რესტავრაცია, ძველი ტექსტების, მათ შორის – ბიბლიის წიგნების გამოცემა (დაიწყო აკ. შანიძემ).

დაარსდა ქართული ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ისტორის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის კვლევითი ინსტიტუტები, შესაბამისი კათედრები უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში.

გამოიცა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისა (მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე) და საქართველოს ისტორიის (მთ. რედაქტორი გ. მელიქიშვილი) მრავალტომეულები, მწერალთა ტომეულები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო მონოგრაფიები.

ისტორია და კლასიკა ბოლშევიკებმა კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით გადააფასეს. მაგრამ აქციევს მოკავშირედ, რომ თითქოს ჩაგრული კლასები ელოდნენ ამ ბედნიერ დღეებს, რომ ისინი მუდმივად იბრძოდნენ თავისუფლებისათვის მებატონეთა წინააღმდეგ.

სანიმუშოდ მიიჩნევდნენ სპარტაკს, რაზინს, პუგაჩოვს, არსენა ოძელაშვილს, ზოგიერთ ქართველ მეფეს, ან სარდალს, რომლებიც იბრძოდნენ ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად, ეომებოდნენ შემოჭრილ უცხო ძალას (მაგ., გიორგი სააკაძე).

აქ სტალინი ანალოგიას ხედავდა წარსულში თავის მოღვაწეობასთან.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში შედიოდა ხალხური ცეკვების, სიმღერების, ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლა, აღდგენა, გააქტიურება (მაგ., ეწყობოდა ოლიმპიადები), ასევე – ისტორიის, ლიტერატურის, ფილოსოფიის, ხელოვნების წარსულის გააზრება, ძველი ნიმუშების სამუზეუმო ექსპონანტებად შენახვა, კლასიკოსთა ტომეულების დაბეჭდვა და თარგმნა.

სტალინის მონდომებით დაუბრუნდა საქართველოს 1921 წელს ნ. ჟორდანიას მთავრობის მიერ გატანილი კულტურული ქონება, ასევე – ხელოვნების ცალკეული ნიმუშები, რაც რუსებმა მიიტაცეს ცარიზმის დროს.

1941 წელს დაარსდა მეცნიერებათა აკადემია (პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი), რომელმაც თანდათან გააფართოვა ქსელი და ჩამოაყალიბა 55-ზე მეტი კვლევითი ინსტიტუტი.

აქ და უნივერსიტეტში იყო თავმოყრილი დიდი სამეცნიერო პოტენციალი. ქართველი სწავლულები იყვნენ საერთაშორისო ძიებათა ეპიცენტრში. მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში, მათ ირჩევდნენ სსრკ მეცნიერებათა და დარგობრივ აკადემიებში, საპატიო დოქტორებად, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებად, ხოლო შრომები უცხოეთის ცენტრებში იცემოდა ცალკე წიგნებად.

1930-1934 წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო ლინგვისტი, ქართველოლოგი და არმენისტი ნიკო მარი.

ქართული სამეცნიერო სკოლები (მაგ., მათემატიკოსთა, ლინგვისტთა, გეოლოგთა, ფსიქოლოგთა, ფიზიოლოგთა) უცხოეთშიც იყო აღიარებული, არა მარტო მოსკოვში.

აკადემიას ჰქონდა თავისი დროს შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. მაგრამ დამოუკიდებელმა საქართველომ ვერ შეძლო მისი შენარჩუნება. სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს აკადემიას ჩამოაცილეს ინსტიტუტები, დატოვეს მხოლოდ ბირთვი, წაართვეს ფუნქციები და გაქრობის პირას მიიყვანეს.

სსრკ-ში მეცნიერება პირველ რიგში ქვეყნის თავდაცვას და ეკონომიკის განვითარებას ემსახურებოდა. ამ მხრივ ტრიუმფალურად მიიჩნევდნენ საბჭოთა ატომის შექმნას ლ. ბერიას ხელმძღვანელობით რუსი, გერმანელი, ამერიკელი, იტალიელი მეცნიერების მიერ (1949), პირველი ადამიანის – გაგარინის გაშვებას კოსმოსში (1961, კონსტრუქტორი კოროლიოვი). ცალკეულ გამოჩენილ მეცნიერებს მთავრობა კონსპირაციულ წესით აცხოვრებდა (მაგ., ალ. ნადირაძეს).

ზოგს უცხოეთში მოღვაწეობა არგუნა ბედმა (მაგ., ალექსანდრე ქართველიშვილი – აშშ-ის სამხედრო ავიაციის ერთ-ერთი შემქმნელი).

მეცნიერების გაშლა-განვითარებამ ქართულ კულტურას უნივერსალიზმი შესძინა. ბიბლიოთეკებით და მუზეუმებით დაიქსელა რესპუბლიკა.

ექსპერიმენტული სუბკულტურა

სოციალისტური სისტემა უდიდესი ბარბაროსული ექსპერიმენტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. თუმცა თავად ბოლშევიკები თვლიდნენ, რომ ეს ექსპერიმენტი კი არა, სიმართლის ზეიმი იყო.

მათ არაფერი ეეჭვებოდათ.

სოციალისტურ საქართველოში 1924 წლიდან არც ანტისაბჭოთა კულტურა არსებობდა, არც პარტიები და არც ოპოზიციური პრესა.

მხოლოდ ემიგრაციაში შეიძლებოდა გულის მოოხება.

აქ კი იყო მხოლოდ შემთხვევითი გამოვლინებანი, სიმბოლურ-ალეგორიულ პლანში გადატანილი აზროვნება, ნეიტრალური თემატიკა (მაგ., კ. გამსახურდიასთან).

მაგრამ სამოციან წლებიდან ბევრი რამ გადაფასდა. სსრკ ვერ დაეწია აშშ–ს. გფრ სწრაფად აღდგა ფერფლიდან და გადაასწრო გამარჯვებულ მოსკოვს, რაც ბრეჟნევს აოცებდა.

აშშ-მ ადამიანი დასვა მთვარეზე.

სსრკ შერჩა რაკეტების ტრიალს ატმოსფეროში.

ალიო მირცხულავა ჯერ კიდევ 20-იან წლებში წერდა – „საკუთარ ხელით ამოვითხრი ორივე თვალებს, ამდენმა მსხვერპლმა უშედეგოდ თუ ჩაიარა“.

თავმომწონეობა იმ ფაქტით, რომ 1913 წელთან შედარებით ეკონომიკა რამდენიმეჯერ გაიზარდა, რომ ტექნიკა განვითარდა, ბევრს არაფერს ნიშნავდა.

გ. ფანჯიკიძე შენიშნავდა ერთ რომანში, რომ მოთმინებაც 6-ჯერ გაიზარდა!

სსრკ ყველა სფეროში, კულტურის ყოველ დარგში ჩამორჩებოდა აშშ-ს და ევროპას. ამას არ აღიარებდნენ, მაგრამ იცოდნენ ექსპერტებმა, იცოდა სუკმა, რომელიც საზოგადოებას, ერთი მხრივ – ისევ თრგუნავდა, მეორე მხრივ – ქმნიდა რეფორმების წინაპირობას, რასაც ექსპერიმენტად ნათლავდნენ.

სოციალური ექსპერიმენტების წიაღში ჩაისახა სუბკულტურა, რომელიც ცდილობდა უარყოფილის რესტავრირებას.

ე. შევარდნაძის მიერ დაწყებული ბრძოლა ანტიპოდებთან, მექრთამეებთან, ნაციონალისტებთან, ერთი მხრივ – სოციალისტური პრინციპების დაცვა იყო. მეორე მხრივ – აბაშისა და ფოთის ექსპერიმენტები, ნეიტრალური კულტურის წახალისება, ექსპერიმენტები ლიტერატურაში, თეატრში, კინოში ახალ ტენდენციებს აღვივებდა, რაც სცილდებოდა სოციალიზმის ჩარჩოებს.

სოციალისტურ რეალიზმს ჯერ გამოეყვნენ ნეიტრალები, ნეიტრალებს – ექსპერიმენტების მოყვარულნი, რომელთაც იზიდავდათ ავანგარდისტული კულტურა. ისინი ახლოს იდგნენ დისიდენტებთან.

1975 წლამდე, ვიდრე ბრეჟნევი შეწყვეტდა კონტაქტებს დასავლეთთან, სსრკ-ში დაიწყეს ბურჟუაზიული კულტურის გაცხრილვა, ფრთხილი ათვისება. ეს ეხებოდა მოდერნიზმს, ავანგარდიზმს, სტრუქტურალიზმს, „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურას, კინოხელოვნებას, აბსტრაქციონიზმს, ესტრადას, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის პრობლემებს.

ეწყობოდა კონფერენციები, იცემოდა წიგნები, ითარგმნებოდა შესაბამისი ავტორები. თუმცა ეს იყო ერთი მცირე ნაკადი. მაგრამ ეს სუბკულტურა შეიძლებოდა მომავლის კულტურად ქცეულიყო, რაც მოხდა კიდეც სსრკ-ის დაშლის შემდეგ.

პოლიტიკაშიც მსგავსი ფარული პროცესები ვითარდებოდა, რაც პერესტროიკად აქცია გორბაჩოვმა და ბოლო მოუღო სსრკ-ს.

უეცარი ფერიცვალებისათვის ქვეყანა, ხალხები, ელიტა მაინც მოუმზადებელი აღმოჩნდა – პერესტროიკის პროცესი მეტისმეტად ხანმოკლე გამოდგა.

სსრკ მოქალაქეებს ეკრძალებოდათ ქვეყნიდან გასვლა, უცხოელებს – შემოსვლა. მხოლოდ ტურისტის სტატუსით შეიძლებოდა გადაადგილება, ისიც – იშვიათად და შეზღუდული კონტიგენტისათვის.

შედარებით დასაშვები იყო სოციალისტური ბანაკის ქვეყნების გაცნობა. კულტურის აპრობირებული მუშაკები დროდადრო მონაწილეობდნენ საერთაშორისო ფორმებზე, კონფერენციების, ბიენალეების, ფესტივალების მუშაობაში.

ესეც სტალინის შემდეგ და ძირითადად რუსებისათვის.

თითო-ოროლა ქართველი თუ მოხვდებოდა ასეთ დელეგაციებში. ცხადია, მოსკოვი სუკისა და ცეკას მეშვეობით მათ კარგად იცნობდა და ენდობოდა (მაგ., ირ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ი. ნონეშვილი).

დელეგაციები მთავრობისაგან ფინანსდებოდა. ტურისტული საგზური კი მოსაპოვებელი და შესაძენი იყო, რაც თითქმის ჩუქებას ნიშნავდა.

ხელოვანთა, მეცნიერთა, სპორტსმენთა უცხოეთში ყოფნა მკაცრად კონტროლდებოდა. შედარებით მეტი უფლება ჰქონდათ მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ კოლექტივებს, სპორტსმენებს,

თუმცა ისინი იზოლირებული უნდა ყოფილიყვნენ უცხოელებისაგან, არც ემიგრანტებთან შეიძლებოდა კონტაქტი.

სუკი მზერა არც მათ სცილდებოდა, თუნდაც ყველა წევრი სანდო და აპრობირებული ყოფილიყო.

ჩაკეტილი სივრცე წარმოშობდა ჩაკეტილ კულტურას.

ეს, ერთი მხრივ – კარგი იყო და მტკიცე ბარიერს უქმნიდა ევრო-ამერიკული კულტურის ძლიერ მოწოლას, ხელს უწყობდა თავისთავადობის შენარჩუნებას. ეს კი ნიშნავდა სხვა ეთიკას და ესთეტიკას.

რკინის ფარდა აჩერებდა ესტრადის, წიგნის, ფილმების, ტელევიზიების ბუმს. იქ ისედაც ჭირდა ღირებულისა და ფასეულის გამორჩევა.

მეორე მხრივ – ასეთი იზოლირება ხელს უშლიდა კულტურის პროგრესს. ერთი თემისა და სტილის, ერთი იდეისა და კონცეფციის უსასრულო ვარიაცია მოსაბეზრებელი იყო და კულტურშემოქმედი ელტვოდა დასავლეთს, ფანტაზიით ალამაზებდა უცნობ მხარეს და ზოგჯერ აიდეალებდა, როგორც ნაციონალური, ისე იდეოლოგიური მოსაზრებით.

როცა დაიშალა სსრკ და ევრო-ამერიკული კულტურა შემოიჭრა, კარგიც და ცუდიც, შემოქმედი დაიბნა, ვერ გაერკვა, რას მიჰყოლოდა, რომელი უკუეგდო. სანატრელი გახდა ძველი ფილტრაცია. ამას დაერთო ის ფაქტიც, რომ გაუქმდა სახელმწიფო დოტაცია. დაიკარგა მკითხველი, მაყურებელი, მსმენელი.

შედეგი – საყოველთაო კრიზისი და გაუცხოება.

როგორი ექსპერიმენტულიც იყო სსრკ სისტემა, ე. წ. ახალი ადამიანი, ისე ექსპერიმენტული იყო სოციალისტური კულტურაც. მაგრამ თუ მას ასე არ განსაზღვრავენ – იმიტომ, რომ საწყისი ჰქონდა გარეთ – იდეოლოგიასა და პოლიტიკაში.

VIII. პოსტსტალინისტური ტრანსფორმაციები: 1953-1990

1. კომუნისტური მითის რღვევა

კულტურის სტაგნაცია

ომის შემდგომ კულტურაზე დამღუპველად იმოქმედა ხელისუფლების პოლიტიკამ. მათ, ვინც პარტიის გვერდით იდგნენ ომის მრისხანე წლებში, იბრძოდნენ სიტყვით და იარაღით, ეგონათ, რომ

დამთავრდა რეპრესიების პერიოდი და გადარჩენილი ოსტატები ძალას არ ზოგავდნენ დიადი საბჭოეთის, სტალინისა და ბერიას განსადიდებლად.

გაღარიბდა ქართველ მწერალთა და მხატვართა პალიტრა. ოსტატობის დახვეწისათვის არავის ეცალა. საჭირო იყო გმირული ფაქტების სწრაფი ფიქსირება, პუბლიცისტური პათოსი. როცა შეწყდა ქვემეხების გრუხუნი, თითქოს დადგა ადამიანურ გრძნობათა გამოვლენის ჟამი. მაგრამ ხელოვნებას ახალ ჯალათად მოევლინა ანდრეი ჟდანოვი – ცეკას მდივანი, სტალინის მოადგილე პარტიის ხაზით.

ომის წლებში იგი ლენინგრადის პარტორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, გადაიტანა ბლოკადის საშინელება, სასტიკი ომის სუსხი და იქნებ ამიტომაც ვერ ეგუებოდა სინაზეს, ლირიზმს, გულჩვილობას. კამერული მოტივები სინამდვილიდან გაქცევად მიაჩნდა, ბოლშევიკური პრინციპებისაგან თავის არიდებად. ცხადია, ჟდანოვის ინიციატივას მხარს უჭერდა სტალინი.

როგორც ვთქვით, ჟდანოვის მოხსენებას მოჰყვა ცეკას პოლიტბიუროს დადგენილებათა მთელი სერია ხელოვნების ცალკეულ დარგებზე. ყველა რესპუბლიკას თავის რიგებში უნდა აღმოეჩინა თავისი მავნებლები, თავისი ზოშჩენკოები, ახმატოვები, მურადელები.

ასე მოხდა ქართულ კულტურაშიც.

ამას მოჰყვა „უკონფლიქტობის თეორია“, რომ თითქოს საბჭოთა სინამდვილეში არ არსებობს ნიადაგი სერიოზული უთანხმოებისათვის. ყოველი კონფლიქტი მიჩნეულ იქნა გაუგებრობის შედეგად, რაც მალე გაირკვეოდა და ადამიანი კმაყოფილი რჩებოდა ამგვარი აღმოჩენებით. ეს ყველაზე უფრო დაეტყო კინოხელოვნებას. ხოლო კულტურას შესძინა სტერილური ხასიათი (მაგ., კინოფილმები „აბეზარა“, „ჭრიჭინა“, „ჭირვეული მეზობლები“). ყოვე-

ლი გადახვევა მკაცრად ისჯებოდა. მაგრამ, ჩანს, სტალინი მაინც არ ივიწყებდა თანადგომას ომის წლებში და ამიტომ რეპრესიები აღარ განმეორებულა. არც ახმატოვა, არც ზოშჩენკო, არც შოსტაკოვიჩი, არც მურადელი არ დაუპატიმრებიათ, თუმცა სასტიკად გააკრიტიკეს და აიძულეს შიშის ატმოსფეროში ეცხოვრათ – დაპატიმრების მოლოდინში.

დააპატიმრეს და გადაასახლეს მხოლოდ ის მწერლები, რომლებიც გერმანელთა ტყვეები იყვნენ და ფაშისტებთან თანამშრომლობა ბრალდებოდათ (მაგ., ლ. სულაბერიძე, ალ. კალანდაძე).

დაბნეული და დამფრთხალი მწერლები წერდნენ შთაგონების გარეშე. ისინი თითქოს ოფიციალურ მოვალეობას იხდიდნენ. სოციალისტური რეალიზმი უფრო და უფრო დოგმატური ხდებოდა.

კინემატოგრაფი კონფორმიზმმა შეიპყრო. მხოლოდ წარსული თუ აცოცხლებდა („აკაკის აკვანი“, „ქეთო და კოტე“).

მხატვარი სოციალისტურად მოზეიმე სოფელსა და ქალაქს, ბედნიერ მშრომელებს, ბელადებსა და გმირებს ხატავდა.

1946 წლიდან დაიწყო ძველი ოსტატების შემოქმედებითი ძალის მკვეთრი დაქვეითება (გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, ა. მირცხულავა). ლიტერატურაში ჩნდებოდა ახალი სახელები (ა. კალანდაძე, ო. ჭელიძე, მ. ლებანიძე...). მაგრამ თუ მათი ხედვა ტრაქტორსა და კოლექტივს ასცდებოდა, კრიტიკა გარდაუვალი იყო. ანა კალანდაძის გამოჩენას მწერლები აღფრთოვანებით შეხვდნენ, მაგრამ ხელისუფლება ასე არ ფიქრობდა. კრიტიკას ვერც იგი გადაურჩა. ახალგაზრდა პოეტი ისე დაფრთხა, რომ ფაქტიურად ჩამოსცილდა პოეზიას. 1946 წელი მისთვის მწვერვალი გამოდგა.

ს. ჩიქოვანი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო და დიდი ენთუზიაზმით ასრულებდა ხელისუფლების მითითებებს. ამ ფაქ-

ტმა დაახშო მისი ნიჭი და დიდი დრო დასჭირდა ძველი შთაგონების აღსადგენად.

იოსებ გრიშაშვილს უკვე ასაკი მოსძალებოდა და მხოლოდ სტალინისა და ბერიას ხოტბა გამოსდიოდა.

გიორგი ლეონიძემ ვრცელი პოემა „სამგორი“ დაწერა, მაგრამ მასაც ეტყობოდა შემოქმედებითი დაღლა. სტალინის ხოტბას კი ისევ აგრძელებდა (მაგ., „ბერშოულა“).

სანიმუშაოდ მიიჩნევდა ხელისუფლება და კრიტიკა „ბავშვობა და ყრმობას“, „გვადი ბიგვას“, „ხარატაანთ კერას“, „ლელოს“, „სიმღერას დავით გურამიშვილზე“, „სიმღერას მკის დროს“, „ოცნებას ბელადზე“, „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან“, ომისა და შრომის თემატიკას, დითირამბებს, ხოტბას, საამური ცხოვრების დიდებას.

გალაკტიონ ტაბიძე 1928 წლიდან სოციალიზმის მგზნებარე მომღერალი გახდა და უკვე თავისი მისია შესრულებული ჰქონდა. მხოლოდ დროდადრო იფეთქებდა მისი დიდი ტალანტი (მაგ., „ნიკორწმინდა“, „ჰიმნი ქართულ ანბანს“).

აკაკი ხორავასა და ვახტანგ ჭაბუკიანისათვის მწვერვალი აღმოჩნდა ოტელოს როლი.

მათ უკვე ასაკი მოსწეოდათ.

ამ დროს უცხოეთის კარი გაუხსნეს ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხალხური ცეკვების ანსამბლს.

ეს იშვიათი გამონაკლისი სტალინის თანხმობით მოხდა.

კ. გამსახურდია 1946 წელს მკაცრად გააკრიტიკეს, ტომეულეზის გამოცემა შეუწყვიტეს, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმიდან გამოიყვანეს. განსაკუთრებით არ მოეწონა ოფიციოზს „დავით აღმაშენებლის“ მეორე და მესამე ტომები. რუსებს თვალში არ მოსდიოდათ ქართველი მონარქის ქება. მწერალი იძულებული გახდა

მიეტოვებინა ეს წიგნი და დაეწერა კონიუნქტურული რომანი „ვაზის ყვავილობა“.

მოსკოვში დაარბიეს გენეტიკოსები, ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები. საბჭოთა ბიოლოგიის „მამამ“ ტრ. ლისენკომ გენეტიკა ცრუ მეცნიერებად გამოაცხადა. გენეტიკოსები მიმოფანტეს და პროფილი შეაცვლევინეს.

შემდეგ კოსმოპოლიტებს, ძირითადად – ებრაელებს დასცხეს...

მალე სტალინური პრემიის ლაურეატი ალ. ჭეიშვილი დარჩა გერმანიაში (თუ დატოვეს) და გაქრა მისი ხსენება.

მ. ჭიაურელი, სტალინური პრემიის ექვსგზის ლაურეატი, ხრუშჩოვმა შერისხა. ხორავასა და ვასაძესაც ცივად შეხედეს. სტალინის როლის შემსრულებელი გელოვანი მიივიწყეს.

ლ. ბრეჟნევის დროიდან, ჯარისკაცის მამის როლის შესრულების შემდეგ, სერგო ზაქარიაძე გადმოვიდა წინა პლანზე, როგორც ლენინური პრემიის ლაურეატი და რუსთაველის თეატრის დირექტორი.

„ჯარისკაცის მამა“ მოსწონდა ლეონიდ ბრეჟნევს. მაინც ახალი სიტყვა ახალთაობას უნდა ეთქვა – ძველ ოსტატებს უჭირდათ განახლებისათვის ბრძოლა. ისინი კონფორმიზს დამორჩილდნენ.

ბელადის სიკვდილი

საბჭოთა კავშირი შინაგანი კანონებით არ ვითარდებოდა. მის გზას და ხასიათს იდეოლოგია და ხელისუფლება განსაზღვრავდა. ამიტომ ყოველი სიახლე, კარგი თუ ცუდი, ყოველი ტენდენცია ბოლშევიკური პარტიის სახელს უკავშირდებოდა, უკავშირდებოდა იმ ცვლილებებს, რაც საბჭოთა კავშირში ხდებოდა.

ამიტომ მოჰყვა დიდი გარდატეხა სტალინის გარდაცვალებას, რომელსაც ღრმა მწუხარებით შეხვდნენ მასები და ინტელიგენცია, პარტია და ხელისუფლება.

საბჭოთა მწერლების ერთ-ერთი მეთაური კონსტანტინ სიმონოვი გლოვის დღეებში აცხადებდა, რომ ამიერიდან მხოლოდ სტალინზე უნდა ეწერათ პოეტებსა და პროზაიკოსებს!

გლოვობდნენ მრისხანე ბელადს, რომელმაც ქვეყანას მოუტანა არნახული გამარჯვება და არნახული საშინელებებიც.

ვერავის წარმოედგინა, რომ რაიმე შეიცვლებოდა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ დაემხო მეორე მრისხანე ქართველიც – ლავრენტი ბერია.

თუ სტალინი მავზოლეუმში იწვა და მის სახელს ძველებური შარავანდედი ედგა, ბერიას ხსენებაც კი აიკრძალა, თითქოს ეს კაცი არც არსებულიყო.

ასე რომ – გრძელდებოდა სტალინური გამყინვარების პერიოდი. ერთი ეს იყო, რომ გააკრიტიკეს უკონფლიქტობის თეორია, თორემ მიზანი და იდეალები იგივე რჩებოდა. სოციალისტური რეალიზმი ისევ დოგმებით საზრდოობდა.

მაგრამ ქვეყანაში რეალობა მაინც იცვლებოდა, რაც ძირითადად პოლიტიკური შინაბრძოლის შედეგი და არეკლვა იყო.

სტალინის შემდეგ ქვეყნის პირველ პირად მოვლენილი გიორგი მალენკოვი ნელ-ნელა ჩრდილში გადადიოდა. ბერია მისი დასტურით ჩამოიცილა პოლიტბიურომ. მაგრამ თურმე მალენკოვს ხელისუფლების სათავეში ეს კაცი ამაგრებდა.

პირველი სახელოსკენ ჯიუტად და მტკიცედ მიიწევდა ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც მოახერხა მალენკოვის გადაყენება.

ახლა მას უკვე შეეძლო შურისძიება – შურისძიება სამშობლოს ღალატისათვის დახვრეტილი თავისი შვილის გამო, რომელიც არ

შეიწყალა სტალინმა. მაგრამ, ცხადია, ეს ხდებოდა სამართლიანობისა და ქვეყნის პროგრესის სახელით, ლენინიზმის დროშით.

ინტელიგენცია მორჩილად მიჰყვებოდა და ტაშს უკრავდა ახალ ლიდერს, გმობდა ძველ დროსა და ძველ ბელადებს.

მ. ჭიაურელმა სტალინის დაკრძალვაზე ოპერატორების მიერ გადაღებული კადრებით ააწყო დოკუმენტური ფილმი „დიადი დამშვიდობება“.

იგი ეკრანზე არ გასულა (ბერიას გამო).

„ქვეყანას მიეც დიდი სტალინი“ – გვასწავლიდა საქართველოს ჰიმნი. მაგრამ რომ გააკრიტიკეს ბელადი, იგი მიიჩნიეს საკუთარ ფესვებს მომწყდარ კაცად, რომელიც სხვა ხალხების ბედ-იღბალს განუსჯელად განაგებდა.

ანალოგიაც მოიძებნა გამოჩენილ ქართველ მამელუკებთან, რომელთა ნიჭი და უნარი უკვალოდ დაიკარგა.

ნურც სხვის ომში ნუ იომებ, რადგან თავი იმთავითვე განწირული გაქვსო, – დაწერს პოეტი.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ეჭვქვეშ დგებოდა ერთიანი სამშობლოს თაღი და კომუნიზმის საყოველთაო ინტერესები.

ლენინიც ხომ ეუბნებოდა ჟორდანიას, ჩვენს საქმეში, ე.ი. რუსების საქმეში თქვენ ნუ ჩაერევითო.

რუსული ნაციონალ-შოვინიზმი იყენებდა სხვა ერების შვილთა ნიჭსა და გამოცდილებას. მაგრამ თუ მას შეერწყმოდნენ და მის ტრადიციებს შეუერთდებოდნენ, იქცეოდნენ რუსად.

ჩათვალეს, რომ ასეთი ფარული ტაბუ დაარღვიეს სტალინმა და ბერიამ.

მათ განადიდეს სსრკ და აბსტრაქტული კომუნიზმი მრავალი მილიონი რუსის სიცოცხლის ფასად, ბარბაროსული სისასტიკით ქართველებმა მოუტანეს სსრკ-ს და ამ აბრევიატურით მოქმედ რუ-

სებს უდიდესი გამარჯვებები. მიუხედავად ამისა, რუსულმა იდეამ ისინი გასწირა და თავიდან მოიშორა.

აქტიურ ქართველებს დაატოვებინეს კრემლი, მოსკოვი, ლიდერებს – სიცოცხლეც, როგორც ადრე ებრაელებს.

ჩეკისტების პროცესიც ქართველთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

ჯერჯერობით რუსული ნაციონალ-შოვინიზმი ისევ სოციალიზმის სახელით მოქმედებდა, რომელსაც ნიკიტა ხრუშჩოვი განასახიერებდა,

შემდეგ ბრეჟნევმა შეანელა დრამატიზმი. მაგრამ არსებითად არაფერი შეცვლილა. შეიძლება ითქვას, მოხდა პირიქით - რუსებმა შევარდნაძის ხელით გააგრძელეს ქართველთა დასჯა, რაც აშკარა გახდა საუკუნის მიწურულს, სსრკ-ის დაშლის შემდეგ.

9 მარტის ტრაგედიის ნაპერწკლები

ამ თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის XX ყრილობაზე, 1956 წლის თებერვალში სტალინის პიროვნების კულტის მხილებას და მისი სახელის კრიტიკას, რამაც თავზარი დასცა მთელ საბჭოეთს, სოციალისტურ ბანაკს.

ამ დროს საქართველოს მართავს რუსეთიდან მოვლენილი გენერალი ვასილ მჟავანაძე, საკმაოდ ჰუმანური პიროვნება. უშიშროების კომიტეტს კი განაგებდა (35 წლის მანძილზე) გენერალი ალექსი ინაური. 1956 წლიდან ცეკას მეორე მდივანი რუსი იყო – კოვანოვი.

თბილისში განთავსებულ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს რუსი გენერალი ხელმძღვანელობდა.

რუსი ქართველს არ ენდობოდა, თუნდაც ცოლი რუსი ჰყოლოდა (მაგ., მჟავანაძესა და ინაურს).

ასე რომ – ხალხთა მეგობრობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, რესპუბლიკების თავისუფლება მოსკოვს არ სწამდა. იგი არ ენდობოდა არარუსებს, ყველაფერს თავად არა მხოლოდ აკონტროლებდა, არამედ – მართავდა.

სტალინურ-ბოლშევიკური სტრუქტურა და იდეალები დარჩა, მხოლოდ შერბილდა რეპრესიების მექანიზმი.

ტიპოლოგიურად ქართული კულტურა იყო სოციალისტური კულტურის ნაწილი, შედიოდა სსრკ-ში, სადაც რუსული იყო მთავარი. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რყევებს და დაწყებულ ძვრებს.

თვით სიტყვა „რუსულიც“ ლამის გააქრეს – იგი შეცვალა „საბჭოთამ“. შემდეგ ბრეჟნევმა მთელი სსრკ-ის დენაციონალიზების ნიშნად შემოიღო „საბჭოთა ხალხი“, როგორც ახალი ისტორიული ერთობა, რომელიც ქმნიდა „საბჭოთა კულტურას“.

სტალინის კრიტიკა ყველაზე მწვავედ აღიქვეს საქართველოში. ახლა უკვე ცხადი ხდებოდა, რომ ეს რუსული ნაციონალიზმი ზეიმობდა ორი დიდი ქართველის დამხობას.

იდეოლოგიური ფაქტორი არავის აინტერესებდა.

სტალინის კრიტიკა აღქმულ იქნა ქართველთა კრიტიკად, რამაც მიტინგების მთელი ტალღა ააგორა ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

საპროტესტო მიტინგები სტალინის დასაცავად იმართებოდა. მაგრამ მისი ფარული საფუძველი ქართული ნაციონალიზმი იყო, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა ხრუშჩოვს და მისი ბრძანებით, სტალინის დაკრძალვის მესამე წლისთავზე, 9 მარტს, დახვრიტეს მშვიდობიანი მომიტინგეები.

ამ ფაქტს, დაღვრილ სისხლს, მომავლისთვის მეტი ძალა მიეცა, მაგრამ მაშინაც გააღვივა ანტისაბჭოთა და ანტირუსული განწყობილება.

ყველა ხედავდა, რომ რუსი სჯიდა ქართველებს ქართველის სახელის დაცვის გამო, თუმცა ეს ქართველი დიდი რუსული სახელმწიფოს შემქმნელი იყო.

ვრცელდებოდა ანტისაბჭოთა პროკლამაციები და ლექსები.

საზოგადოებაში თავი იჩინა ანტისაბჭოთა და ანტირუსულმა სულისკვეთებამ. ის, რასაც ათეულ წლობით ნერგავდნენ ბოლშევიკები, წყალში აღმოჩნდა გადაყრილი.

1956 წლის 9 მარტმა, სკკპ XXII ყრილობაზე სტალინის კრიტიკამ, რასაც მოჰყვა ბელადის ცხედრის გამოტანა მავზოლეუმიდან, მისი სახელის მოხსნა ქალაქებიდან, ქუჩებიდან, დაწესებულებებიდან, შრომითი კოლექტივებიდან, სურათების გაქრობა - ძირეულად გარდაქმნა საქართველოს მოქალაქეთა შეგნება. ამიერიდან საქართველო ფორმალურად თუ იქნებოდა საბჭოური. ჯერ არ იყო სიტუაცია, რომ საკუთარი გულისთქმა ხმამაღლა და საჯაროდ ეთქვათ. მაგრამ საამისოდ ნიადაგი მზადდებოდა.

ქვეყანას მარიონეტი ხელისუფლება მართავდა. იგი ვერ იქნებოდა ერის სულისკვეთების მედროშე. ქვეყანას არ ჰყავდა პარტიები და რევოლუციონერები. ამიტომ ეს მისია მწერლობას უნდა ეტვირთა.

მართალია, ეს არ იყო მეფის რუსეთი, სადაც მეტი თავისუფლება იყო. ამიტომ სჭირდებოდათ ირიბი გზების ძიება, არაპირდაპირი ქადაგება. ახალ წყაროთა მიგნება, რომლებიც შეცვლიდნენ სოციალისტური რეალიზმის დოგმებს.

ეს შეეძლო გაეკეთებინა ახალთაობას, რომელსაც ექნებოდა განახლების სურვილი. განახლების სულისკვეთება დაეტყოთ რუს ავტორებსაც. მათ რუსული ნაციონალიზმი ამოძრავებდათ, მაგრამ სტალინის კრიტიკის კვალდაკვალ უჩნდებოდათ სოციალისტური რეალიზმის შეცვლის იდეებიც (მაგ., ბორის პასტერნაკი, რომლის რომანს „ექიმი ჟივაგო“ 1958 წელს ნობელის პრემია მიენიჭა).

უკვე პრესის ფურცლებზეც აკრიტიკებდნენ სოციალისტური რეალიზმის დოგმებს. ზოგი იმასაც აცხადებდა, ამდენი წელია საბჭოთა მწერალი ვარ, მაგრამ ეს სოციალისტური რეალიზმი რა არის, ვერ გავიგეო!

საქართველოში „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე გაიშალა მსგავსი დისკუსია. მაგრამ სტალინის კრიტიკა ხელისუფლებისათვის სრულიადაც არ იყო საბჭოთა სისტემის რღვევის სიმპტომი. ხრუშჩოვის მიზანი არ იყო იდეოლოგიის შეცვლა. მან აღკვეთა ტერორი და რეპრესიები, რაც დიდი სიახლე, იყო კომუნისტური იდეოლოგია მიუახლოვა ჰუმანისტურ პრინციპებს, მაგრამ ძირითადი დოგმები ხელუხლებელი დარჩა.

ამიტომ იყო, რომ „ახალგაზრდა კომუნისტის“ დისკუსიას შედეგად რედაქტორის განთავისუფლება და მსგავსი დისკუსიების აკრძალვა მოჰყვა. დააპატიმრეს თავისუფლებაზე მეოცნებე ახალგაზრდები (ზ. გამსახურდია და მისი მეგობრები). ახალი იდეები ატმოსფერული იდეების მსგავსად ვრცელდება. მართალია, ხელისუფლება მტკიცედ კეტავდა დასავლეთის კარებს, მაგრამ სინათლე მაინც აღწევდა დიადი საბჭოეთის მიწამდე.

დასავლური იმპულსები

დასავლური კულტურა უნდა ქცეულიყო განახლების ორიენტირად და სტიმულად. დასავლური კი პირველ რიგში აღიქმებოდა იდეალისტური ფილოსოფიის, მოდერნისტული და ავანგარდისტული სკოლების ნაირსახეობად. ამიტომ მოდერნიზმი და ავანგარდიზმი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, იყო მოკავშირე ანტისაბჭოური იდეოლოგიური ძალა. ეს ტენდენცია კი უნებურად ნიშნავდა 20-იანი წლების ქართული მწერლობის ტრადიციისაკენ მიბრუნებას.

დასავლეთთან სსრკ-ს აახლოვებდა სპორტი, ოლიმპიადები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები. ეს იყო ასპარეზი, სადაც საბჭოეთის უპირატესობას ამტკიცებდნენ. ამ თამაშ–ბრძოლებში სსრკ ჩაერთო 1952 წლიდან.

ერთ რკალში მოექცნენ დასავლური კულტურა, სპორტი, ცხოვრების სტილი, მოდერნისტული და ავანგარდისტული ტრადიციები. მაგრამ მათი პროპაგანდაც არაპირდაპირ უნდა მომხდარიყო. ახალი თაობა სტიქიურად ესწრაფოდა განახლებას, ახალი კურსი გაცნობიერებული არც ჰქონდათ, არც იდეოლოგიური ცვლილებების უფლება ჰქონდათ, არც სოციალისტური რეალიზმის რევიზიის საშუალება. ამიტომ უნდა შექმნილიყო ნეიტრალური კულტურა, რომელიც გვერდს აუვლიდა სოციალისტური რეალიზმის დოგმებს. მაგრამ არც დასავლური იდეებისა და ფორმების მიმყოლი იქნებოდა.

კინოს, ტელევიზიის, თეატრის მუშაკები, კომპოზიტორები და ვოკალისტები, მუსიკოს-შემსრულებლები, რუსულ კულტურაზე იყვნენ აღზრდილები, ბევრი მოსკოვში სწავლობდა, იქ მუშაობდა, იქ ჰყავდათ მეგობრები და მფარველებიც.

მწერლობა კი ასეთ ჰარმონიას არ სცნობდა.

კრიტიკოსთა ლიდერად რჩებოდა ბესარიონ ჟღენტი.

ეს ყოფილი ფედერალისტი და ფუტურისტი შესაშური აქტივობითა და არტისტიზმით იცავდა ხელისუფლების პოსტულატებს. შინ თუ გარეთ პროპაგანდას უწევდა პარტიულ პრინციპებს ლიტერატურაში (თუმცა თავად უპარტიო იყო) და მკაცრად სდევნიდა ყოველგვარ გადახრას მიღებული ნორმებისაგან. ამიტომ ზოგჯერ რუსებსაც შეუტევდა ხოლმე.

ბესარიონ ჟღენტს ებრძოდნენ. მაგრამ ვერაფერს აკლებდნენ, რადგან მის უკან ხელისუფლება იდგა და ზეპირ მეტყველებაში სხვებზე ძლიერი იყო. პრესას კი მთლიანად ხელისუფლება აკონ-

ტროლებდა და თუ ვინმე მამაცი აღმოჩნდებოდა, მის ნაწერს მაინც არავინ დაბეჭდავდა.

გურამ ასათიანი, ბ. ჟღენტის ნათლული, შესანიშნავი ესსეისტი იყო. მაგრამ ეს თვისება მოგვიანებით გამოავლინა, 60-იანი წლების დამლევიდან. ხოლო ახალი სტილის, ფორმებისა და იდეების ქადაგი იგი არ ყოფილა. ეს კი ზღუდავდა მის გავლენას ახალ თაობაზე. მხოლოდ ესთეტიზმი ან მახვილი აზრი არ კმაროდა.

60-იანი წლების დამლევიდან ქართულ კრიტიკაში გამოჩნდა აკაკი ბაქრაძე. იგი თავისი ბუნებით პოლიტიკური ტემპერამენტის პუბლიცისტი იყო. ამიტომ ლიტერატურა აინტერესებდა როგორც პოლიტიკური და ნაციონალური პრობლემების რეალიზების სფერო. მოდერნიზმი, ავანგარდიზმი, სტრუქტურალიზმი, ლიტერატურული სტილი, ახალი იდეები მისი ინტერესის მიღმა იდგა, რაც აქტუალობას უკარგავდა მის ქადაგებებს ლიტერატურის განახლებისათვის.

60-იან წლებში უფრო ჩანდა ნოდარ ჩხეიძე. მას არ აკლდა პრინციპულობა, მაგრამ აკლდა უმთავრესი – ესთეტიკური კულტურა და უახლესი ინფორმაცია. ამიტომ ვერ შეძლო ზეგავლენა მოეხდინა მწერლობის განვითარებაზე.

მწერლები თავად მიიკვლევდნენ გზას შეუცნობელ სამყაროში.

თუ კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სიმონ ჩიქოვანი თეორიულადაც ბევრს წერდნენ ლიტერატურულ პრაქტიკაზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე – ახალი დროის მწერლები თავიანთი პროფილით იყვნენ დაკავებული – პოეტები წერდნენ ლექსებსა და პოემებს, პროზაიკოსები – მოთხრობებსა და რომანებს.

მხოლოდ ორმა ავტორმა გამოავლინა ლიტერატურულ ფასეულობათა გადააზრების სურვილი (თამაზ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია). მაგრამ ეს გააკეთეს თავიანთი შემოქმედებიდან იზოლირებულად და არა კონცეფციურად.

კინოხელოვნებაში განახლება დაუკავშირდა იტალიურ ნეორეალიზმს, რაც შემოქმედებითად გამოიყენეს ვგიკში განათლებამიღებულმა ახალგაზრდა რეჟისორებმა თენგიზ აბულაძემ და რეზო ჩხეიძემ („მაგდანას ლურჯა“).

1956 წლის შემდეგ რკინის ფარდა მცირედით გადაიწია, სახელმწიფოსაგან აპრობირებულ პირებს უფლება ეძლეოდათ ტურისტად წასულიყვნენ საზღვარგარეთ, ენახათ კაპიტალისტური სამყარო, ადრე რომ მხოლოდ ლანძღავდნენ და დალეწვით ემუქრებოდნენ.

შეეძლოთ გაეცნოთ თავიანთი უცხოელი კოლეგები, ენახათ მათი გამოცემები, კინოფილმები, გამოფენები. პარალელურად დაიწყეს XX საუკუნის თვალსაჩინო მწერლების თარგმნა, მათი შემოქმედების შედარებით ობიექტური შესწავლა. მაგრამ მწერლებმა, თეატრალებმა, მხატვრებმა არ იცოდნენ უცხო ენები.

განახლების პროცესებში ჩართული არ ყოფილა მიხეილ კვესელავა, ძველი ცეკას განყოფილების გამგე, რომელმაც კარგად იცოდა გერმანული, ფრანგული, ინგლისური, რუსული. მაგრამ მისმა ორტომიანმა ნაშრომმა „ფაუსტური პარადიგმები“ (1961) ახალთაობის თვალწინ წარმოსახა დასავლეთის დიდი კულტურა. მიხეილ კვესელავას მსჯელობას ახლდა ეპოქისმიერი კონიუნქტურა, მაგრამ იგი წერდა ესსეისტური გზნებით, ფილოსოფიური თვალთახედვით, მდიდარი და ქართველ მწერალთათვის უცნობი მასალების საფუძველზე. მაშინ ჰქონდათ საბჭოური ტექსტების კითხვის საინტერესო მანერა, გაცხრილვის უნარი, რა მიეღოთ და რა აუცილებელ, მაგრამ ყოვლად უსარგებლო შირმად ჩაეთვალათ.

მწერალს, რომელსაც ჰქონდა დასავლური კულტურის ათვისების სურვილი, მაგრამ არ იცოდა ევროპული ენები, „ფაუსტური პარადიგმები“ სწორ ორიენტირს უსახავდა, ასევე – კულტუროლოგიურ-პოლიტოლოგიური სამტომეული „ასერგასის დღე“. ამ ნაშრომებს დიდი ინტერესით კითხულობდნენ.

ერთხანს მ. კვესელავა კინოსტუდიის დირექტორი იყო და ახალი პერსპექტივა დაუსახა ქართულ კინემატოგრაფსაც.

როგორც ვთქვით, ზოგიერთი ქართველი მწერლის წიგნიც ითარგმნა და გამოიცა საზღვარგარეთ. მანამდე იქ მეტნაკლებად იცნობდნენ რუსთაველსა და გრიგოლ რობაქიძეს, მ. ჭიაურელის ფილმს „ბერლინის დაცემას“, ცალკეულ ქართულ ფილმებს ან ემიგრანტებს.

ერთი სიტყვით, ქართული კულტურის სრული იზოლირების პერიოდი მთავრდებოდა. რეგლამენტირებული თავისუფლება განსაკუთრებით ზემოქმედებდა ახალ თაობაზე, რომელსაც არ განეცადა ბოლშევიკური ჟამის სისასტიკე.

ხალხშიც ძველებური შიში გამქრალიყო. არაოფიციალურად ყველა თავისუფლად მსჯელობდა, ლანძღავდნენ ან ირონიით ახსენებდნენ პარტიას, ხრუშჩოვს, რუსებს. მაგრამ ოფიციალურად ეტიკეტს იცავდნენ. ოფიციალური შიში დარჩა. სამზეოზე გამოდიოდნენ რეპრესირებული სახელები (მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი...). ციმბირის ბანაკებს სტოვებდნენ პატიმრები, რომელთაც მორჩილება ასწავლეს, მაგრამ „ბოლშევიკური სამოთხე“ ვერ შეაყვარეს.

სტალინის კრიტიკამ, ბერიასა და სხვა ჩეკისტების სასამართლო პროცესმა ხალხის თვალწინ გადმოშალა ბოლშევიკური წარსულის შემზარავი სურათები. ბევრი რამ, რაც დაფარული იყო, ნათელი გახდა.

აღარავის სწამდა სოციალიზმის იდეალები, მაგრამ ყველა მორჩილებას არჩევდა, რათა ხელისუფლების რისხვა არ ეწვნია. მხოლოდ ცალკეული ადამიანები მიდიოდნენ რისკზე. მწერლები კი ცდილობდნენ ნეიტრალური პოზიციის გამოხატვას და მცირეოდენი ხარკის გაღებას ხელისუფლებისათვის, რათა მდგომარეობა შეენარჩუნებინათ.

საბჭოეთი უცხოელ მწერლებს რეგლამენტირებულად თარგმნიდა. ასევე ცხრილავდა კინოსცენარებს, საესტრადო სიმღერებს. XX საუკუნის მხატვრების ალბომებს კი თითქმის არ სცემდა. მას შემდეგ, რაც რკინის ფარდა გადაიწია, ცნობილი გახდა არაერთი სახელი თანამედროვე დასავლეთიდან.

რა თქმა უნდა, ოფიციოზი პროპაგანდას უწევდა კომუნისტ ავტორებს. მაგრამ სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკამ ბევრს გაუტეხა გული. მაგ., ჰოვარდ ფასტი, რომლის რომანები ქართულადაც გამოდიოდა, იმდენად შეძრწუნდა, რომ სტალინური პრემიაც დაუბრუნა კრემლის მესვეურებს. მას შემდეგ გაქრა მისი სახელი საბჭოური პრესის ფურცლებიდან.

მაგრამ ყველას, თუნდაც დიდ მწერლებს (მაგ., თომას მანს), რომელთაც თარგმნიდნენ, ხალხში არ ჰქონია რეზონანსი. გამონაკლისთაგანი იყო ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი, რომელსაც მთელს საბჭოთა კავშირში გატაცებით კითხულობდნენ. ასევე პოპულარული იყო ერიხ მარია რემარკი. მაგრამ იგი არ ახდენდა გავლენას ლიტერატურის განვითარების პროცესზე. აქ მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თარგმნის ხარისხსაც. ვახტანგ ჭელიძემ ჩინებულად გადმოიღო ჰემინგუეის პროზა, რამაც განსაზღვრა მისი პოპულარობა არა მხოლოდ მკითხველთა შორის, არამედ ახალგაზრდა მწერლების წრეშიც.

ერნესტ ჰემინგუეის ბიოგრაფიაც საინტერესო ჰქონდა. იგი, როგორც ჟურნალისტი, მონაწილეობდა რევოლუციური წლების

ესპანეთში. ბოლო პერიოდში ცხოვრობდა კუბაში, რომელიც ფიდელ კასტროს მეოხებით რევოლუციის ახალ პლაცდარმად იქცა. ამას დაერთო ტრაგიკული ფაქტიც: 1961 წელს ჰემინგუეიმ თავი მოიკლა, სწორედ დიდების წლებში. მან 1954 წელს მიიღო ნობელის პრემია მოთხრობისათვის „მოხუცი და ზღვა“, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა დიდი მწერლის საერთაშორისო ავტორიტეტი.

ჰემინგუეი ჟურნალისტიკიდან მოდიოდა, წერდა სახელდახელო რეპორტაჟებს. ჟურნალისტის ელასტიური სტილი მან მოარგო რომანისა და მოთხრობის სტრუქტურას. მწერლის ზუსტი და ნათელი მეტყველება, ცოცხალი და ყოფითი დიალოგები, მძაფრი სიუჟეტი თანამედროვე ელფერს ანიჭებდა მწერლის პროზას, რაც ტრადიციული ბელეტრისტიკისათვის მეტი სიმსუბუქის შეძენა იყო.

საქართველოში სწრაფად გავრცელდა ერნესტ ჰემინგუეის ლაკონური სტილი, დიალოგური მეტყველების მანერა. მისი წიგნები არა მხოლოდ ითარგმნებოდა, მასზე წერდნენ ნაშრომებს, დაცულია დისერტაციაც.

ჯეიმს ჯოისის ბნელი და რთული სტილი, უილიამ ფოლკნერისა და თომას მანის დეტალიზებული, ღრმად ეპიკური მეტყველება არ მიიღო ახალთაობამ. ახალგაზრდებს უფრო მოსწონდათ ჰემინგუეის თხრობის სისადავე, რაც მაცთუნებელი ჩანდა, რადგან მისი გაგრძელება შეუძლებელი იყო, თუმცა პროზის გადახალისების გზაზე დადებითი ფაქტორი აღმოჩნდა. მისმა მიბაძვამ წარმოშვა არაბუნებრივი მეტყველებაც (შდრ – პაროდია „ეკა კარტოფილს ფცქვნიდა და რადიატორი იყო თბილი“).

რუსული მწერლობის გაუცხოება

როგორც ვთქვით არაერთხელ – განმაახლებელი ძალა ახალთაობაა, რომელსაც მოაქვს განსხვავებული ხედვა, სტილი, მიმართება სინამდვილესთან. ახალგაზრდა შემოქმედს ჰგონია, რომ მისგან იწყება ახალი ეტაპი. რა თქმა უნდა, მეტწილად ეს ფუჭი ამბიციაა. მაგრამ თუ არ ექნა ამგვარი განცდა, ხელში არც აიღებს კალამს თუ ყალამს.

1956 წლიდან დაწყებული განახლების პროცესი არ უკავშირდებოდა მოდერნიზმსა და ავანგარდიზმს. საბჭოთა კულტურაში მათი ანათემა გრძელდებოდა და ვერც ვერავინ გაბედავდა აკრძალული ტრადიციებისაკენ მიბრუნებას. გარდა ამისა, ყოველ დროს მოაქვს თავისი სულისკვეთების შესატყვისი ფორმები.

კუბიზმის თუ დადაიზმის აღდგენა ამაო გარჯა იქნებოდა, თანაც მათკენ, როგორც გარდასულისკენ, არც არავის მიუწევდა გული.

50-იანი წლების ახალბედა პოეტები და პროზაიკოსები წლების მანძილზე ტრადიციის რკალში ტრიალებდნენ. ეს ტრადიცია რეალიზმის ფორმით იყო წარმოდგენილი. მათთვის ეპიგონობის ხვედრი თითქოს გარდაუვალი იყო, რომ არა სტალინური ეპოქის დასასრული და დასავლეთის კულტურის მოწოლა.

ქართველი მწერლები ინსტინქტურად უცხოობდნენ რუსულ ლიტერატურას. ისინიც, რომლებიც მეგობრობდნენ რუსებთან (ჯერ – პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, შემდეგ – გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე), არ განიცდიდნენ მათი პოეზიის გავლენას. ხოლო რაც შეეხება „ცისფერყანწელების“ სიახლოვეს რუს მოდერნისტებთან, ეს აიხსნება მათი საერთო წარმომავლობით, საერთო ევროპული ძირებით.

რუსულ ლიტერატურას უცხოობდა ქართული ნაციონალიზმი, ისევე როგორც რუსულ ენას. ამას შეგნებულად არავინ აკეთებდა (მაგ., რუსული ენის ცოდნით არ გამოირჩეოდნენ შ. ნიშნიანიძე,

მ. ლებანიძე, მ. მაჭავარიანი, ოტ. იოსელიანი). არაცნობიერად ქართველი მწერლები ისწრაფოდნენ დასავლეთისკენ. ხოლო რუს ავტორებს არავინ მიიჩნევდა სანიმუშოდ. სიმონ ჩიქოვანი მეგობრობდა ბორის პასტერნაკთან და დიდ პატივს სცემდა, მაგრამ რუსი პოეტის ზეგავლენა არ დასტყობია ქართველ მწერალს.

რუსი მწერლები თარგმნიდნენ ქართულ პოეზიას. ქართველი კოლეგები ამ მხრივ მათ აშკარად ჩამორჩებოდნენ. სამწუხაროდ, ქართველი პოეტები რუსი ავტორების სუსტი მთარგმნელები აღმოჩნდნენ. მხოლოდ კლასიკაზე ვერ გავრცელდება ეს თვალსაზრისი (მაგ., პაოლო იაშვილმა შედარებით კარგად გადმოიღო ალექსანდრ პუშკინი).

ზოგმა კარგად იცოდა რუსული ენა, მაგრამ ეს თარგმანებს არ ეტყობოდა. საკმარისია წავიკითხოთ ვალერიან გაფრინდაშვილის ბლოკის „თორმეტნი“, რომ ეს აზრი ვირწმუნოთ.

მხოლოდ მოგვიანებით ჩნდება კარგი თარგმანები (მაგ., შ. ნიშნიანიძისა და ტ. ჭანტურიას მიერ შესრულებული).

ახალი ინტელექტუალიზმი

50-60-იანი წლების ქართული კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა იქონია სიმონ ჩიქოვანმა, როგორც პოეტმა, ერუდირებულმა პიროვნებამ. იგი ავანგარდიზმიდან, კერძოდ – ფუტურიზმიდან იყო გამოსული. მოგეხსნებათ, ფუტურისტები შეებრძოლნენ სიმბოლისტებს, მათ ბურუსს, სევდას და მელანქოლიას, ყურადღების ცენტრში დააყენეს მანქანა, სსრკ ინდუსტრიალიზაცია და დიდი მომავლის რწმენით განიმსჭვალნენ. ფუტურისტების ლიდერი რუსეთში იყო ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელსაც სტალინმა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი უწოდა.

ფუტურისტების ერთი ნაწილი იტალიაში დადგა ფაშისტების, რუსეთში – კომუნისტების გვერდით.

ავანგარდისტ-კონსტრუქტივისტების იდეები განვითარდა არქიტექტურაში, დიზაინში, კინოში, მხატვრობაში. შემდეგ სოციალისტურმა შაბლონმა ჩაძირა.

უცხოეთში ასე არ ხდებოდა. მაგ., პიკასო კომუნისტი იყო, როგორც შემოქმედი – კუბისტ-ავანგარდისტი. ამიტომ მას პატივს სცემდნენ. მაგრამ მის პრაქტიკას სანიმუშოდ არ სახავდნენ.

სიმონ ჩიქოვანის გზა იწყება ზაუმითა და ორკესტრული ლექსებით. იგი იყო ერთადერთი ცნობილ პოეტთა შორის, რომელმაც გალაკტიონ ტაბიძის მიერ ქართული მხატვრული სიტყვის საფუძვლად ქცეული ესთეტიზმი, მელოდიკა და არტისტიზმი უარყო. მოგვიანებითაც, როცა დატოვა ფუტურიზმის პრინციპები, ებრძოდა მოდერნიზმს (მაგ., კ. გამსახურდიას) და ცდილობდა რეალიზმის სფეროს გაფართოებას, ლირიკის ვიწრო რკალში ინტელექტუალური ხედვის შემოტანას, მუსიკის წილ ფერწერის როლის აქცენტირებას. იგი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეც იყო, მაგრამ ლიტერატურისათვის უფრო მნიშვნელობა იქონია როგორც ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორმა, როცა თავის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა ავტორები.

სიმონ ჩიქოვანმა უცხო ენები არ იცოდა. მაგრამ იყო რუსული ენის, ლიტერატურისა და მხატვრობის კარგი მცოდნე, ანალიტიკური ბუნების პიროვნება. რუსებიც დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ (პასტერნაკი, ანტოკოლსკი, ზაბოლოცკი, მეჟიროვი, ევტუშენკო, ახმადულინა, ვოზნესენსკი).

მან მგოსნის ცნებას დაუპირისპირა პოეტი, რომელიც კი არ მღერის, არამედ – სჯის, ფიქრობს, ჭვრეტს.

ცხადია, იგი საბჭოთა ეპოქის პოეტი იყო და ამ პრინციპის რეალიზება გაუჭირდა. მაგრამ სათავე დაუდო ახალ ორიენტაციას. უნდა ითქვას, რომ სიმონ ჩიქოვანი, რომელიც აცხადებდა: „დავარტყათ თავში ლირიკას ჩექმა და დავადინოთ ცისფერი სისხლი“,

რომელიც უარყოფდა გულს, გრძნობასა და წარსულს, თანდათან გახდა რომანტიკის გამომხატველი და სწორედ წარსული ექცა მთავარ შთაგონებად („არმაზის აჩრდილები“, „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, „განჯის დღიური“, „თეიმურაზ პირველი“, „ქება ვარძიის აღმშენებლისადმი“, „წიგნი ჟამთააღმწერელისა: გვანცა“, „წიგნი ჟამთააღმწერელისა: თათართა შემოსევა“ და სხვა). ამასთანავე შეინარჩუნა რაციონალური ხედვა ფაქტებისა და მოვლენებისადმი, კონფორმისტული ელემენტების დართვით.

განსხვავებით სიმბოლისტებისაგან, იგი კაბინეტის პოეტი იყო, მჭვრეტელი და არა მონაწილე, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ ლიდერის ფუნქციით აღჭურვა. იგი თეორეტიკოსიც იყო, თავისი პრინციპების დაუღალავი და მგზნებარე ქადაგი. ამ ფაქტორებით შეძლო ზეგავლენის მოხდენა ახალთაობაზე, რაც კიდევ უფრო განამტკიცა ტრაგიკულმა დასასრულმა.

მიუხედავად ხელისუფლების წინაშე დამსახურებისა, 1960 წელს „მნათობის“ რედაქტორობიდან გადააყენეს, რათა არ ყოფილიყო აკადემიკოსის წოდების მოპოვებაში ირაკლი აბაშიძის კონკურენტი. ამ ფაქტმა მძიმედ იმოქმედა პოეტზე, დაბრმავდა და რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალა. სწორედ ამ პერიოდში მიაღწია მისმა პოპულარობამ აპოგეას. ოღონდ ეს პოპულარობა არ ყოფილა მასობრივი, ეს იყო ელიტარული აღიარება.

მის გზას გაჰყვნენ ჯერ ოთარ ჭილაძე, შემდეგ – ვერლიბრისტები (ბ. ხარანაული, ლ. სტურუა, ჯ. ფხოველი, რ. კალანდია...).

ირაკლი აბაშიძემაც ზუსტად იგრძნო თუ დრო როგორ იცვლებოდა და არჩია ახალი ინტელექტუალიზმი. გარდატეხა მის პოეზიაში იწყება პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი ლექსით (1957).

60-იან წლებში სიმონ ჩიქოვანი ისევე დიდ ზეგავლენას ახდენდა ახალთაობაზე, როგორც 10-იან წლებში გრიგოლ რობაქიძე. მართალია, ყველა აღიარებდა გალაკტიონს, ტიციან ტაბიძესა და

გიორგი ლეონიძეს, მაგრამ მათ არავინ ბაძავდა. ყველა ინტელექტუალურმა პოეზიამ გაიტაცა, რამაც შვა ანტიეს თეტიზმი, ანტიმუსიკალიზმი და ვერლიბრი ანუ იგივე ანტილექსი.

ს. ჩიქოვანი არა მხოლოდ ახალგაზრდა პოეტებს განაწყობდა ლიტერატურულ სიმაღლეთა დასაძლევად, არამედ – პროზაიკოსებსა და კრიტიკოსებსაც.

მან პირველმა მიაქცია ყურადღება ოთარ ჩხეიძეს და დანიშნა თავის მოადგილედ მწერალთა კავშირში. მალე ორივე გაანთავისუფლა ხელისუფლებამ.

სიმონ ჩიქოვანი იყო რევაზ ჯაფარიძისა და არჩილ სულაკაურის გზამკვლევი ლიტერატურაში. თუ რევაზ ჯაფარიძე ტრადიციონალისტად, ძველი პროზის გამგრძელებლად დარჩა, არჩილ სულაკაური ცდილობდა ლირიკის ელემენტები შეეტანა პროზის სფეროში, როგორც ეს მოხდა 20-იან წლებში.

სიმონ ჩიქოვანის გავლენა გადასწვდა გურამ ასათიანსაც, რომელიც მისი მეგობრის – ლევან ასათიანის ვაჟი იყო. მას უძღვნიდნენ ლექსებს მისი პოეტური პრინციპებიდან შორს მდგარი პოეტებიც (მაგ., მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე).

სიმონ ჩიქოვანმა ჩამოაყალიბა მთელი თაობა, გზა გაუკაფა და ხელოვნების ცეცხლით აღანთო მათი სული. იგი ავანგარდისტულ იდეებს არ უნერგავდა მათ, მაგრამ უჩვენებდა განახლების ორიენტირს, როცა დაობდნენ „ლირიკოსები“ და „ფიზიკოსები“.

კარგად იცნობდა მხატვრობას, თეატრს, კინოს, მეგობრობდა ამ დარგის ხელოვანებთან (მაგ. ნ. შენგელიასთან, უ. ჩხეიძესთან, ვ. ანჯაფარიძესთან).

პოეზიაში მისი ხედვის გამგრძელებელი აღმოჩნდა ოთარ ჭილაძე. მან ინტელექტუალური პოეზიის გზა აირჩია, რომელიც მოკლებულია მასობრივ პოპულარობას. მაგრამ პროფესიონალთა დიდ აღტაცებას იწვევს.

ფაქტიურად სიმონ ჩიქოვანმა ახალ დროში აღადგინა ძველი იდეა ხელოვნება ხელოვნებისათვის. თავისი სიცოცხლის მიწურულს აღარც ფოლადის ბულბულზე წერდა, აღარც კოლექტივსა და კომკავშირზე. ახალგაზრდებთან სიახლოვემ მასზეც იქონია ზეგავლენა და 50-იან წლებში ისევ გაამძაფრა პოეტური პათოსი, ლირიკული ხედვა და შექმნის სურვილი. ამისი შედეგია „განჯის დღიური“.

ამავდროულად, 60-იანი წლებიდან ჯერ რუსულად, შემდეგ ქართულად ითარგმნება სარტრი, ჯოისი, ფოლკნერი, კაფკა, ბეკეტი, ელიოტი, პერსი.

რუსებმა გამოსცეს ესთეტიკის ანთოლოგია, XX საუკუნის ევროპული პოეზია, მონოგრაფიები მოდერნისტებსა და ავანგარდისტებზე, ფილოსოფოსებსა და ფსიქოლოგებზე.

ქართველებიც აქტიურად სწავლობდნენ ბურჟუაზიულ კულტურას. აღსანიშნავია „XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია“, აპ. შეროზიას მონოგრაფია არაცნობიერის პრობლემაზე, თბილისში გამართული საერთაშორისო კონფერენცია არაცნობიერზე, რომლის მასალები ოთხ ტომად გამოიცა (რუსულ ენაზე).

ასევე აღსანიშნავია ცალკეული მონოგრაფიები XX საუკუნის მწერლებზე. მაგ., რ. ყარალაშვილის ნაშრომი ჰ. ჰესეზე, გ. ბუაჩიძის ესსეები ფრანგულ კულტურაზე.

კულტურის პროგრესისათვის მთავარი იყო არა კლასიკა, არამედ XX საუკუნის ხელოვანთა და მოაზროვნეთა შემოქმედება, ახალი იდეებისა და ფორმების გაცნობა, რაც ძირითადად იყო არარეალისტური და იდეალისტურ სფეროში მოქცეული.

ქართული კულტურის მოღვაწეებმა, ორიოდე გამონაკლისის გარდა, არ იცოდნენ ევროპული ენები. გერმანულის ან ინგლისურის სპეციალისტი თავის დარგში მუშაობდა, შედარებით ვიწრო

სფეროში. ამიტომ ევროპული კულტურის, მისი ტენდენციების ათვისება შესაძლებელი იყო რუსულის მეშვეობით.

ერთია კულტურის მეცნიერული გაცნობა და შესწავლა, მეორე – შემოქმედებითი გამოყენება და გაზიარება.

70-იან წლებში, როცა მწერალთა კავშირთან დაარსდა მთარგმნელობითი კოლეგია, თარგმნიდნენ კლასიკას (მაგ., ჯ. აჯიაშვილი, გ. გოგიაშვილი, გ. ნიშნიანიძე, თ. ბაძაღუა, ბ. ბრეგვაძე), რაც ათვისებული პროცესია და არ იძლევა სტიმულს, განახლების იმპულსებს.

პირველი, ვინც დასცილდა სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიას, იყო ოთარ ჩხეიძე. იგი რეპრესირებული ოჯახის შვილი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ გულის სიღრმეში არ შეიძლება ბოლშევიკების მადლიერი ყოფილიყო. გარდა ამისა, როგორც მოულოდნელად დანიშნეს მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელად, ისევე მოულოდნელად გაანთავისუფლეს.

ოთარ ჩხეიძე ინგლისურ ენას ფლობდა, საზღვარგარეთული ლიტერატურის ლექტორი იყო. ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ იცნობდა დასავლურ ლიტერატურას, თავისუფალს ბოლშევიკური დოგმებისაგან.

და ბოლოს – დგებოდა ბოლშევიზმის დაისი. ლიტერატურაში რღვევას იწყებდა სტალინური სტერეოტიპები. მწერლის მიზანი იყო როგორც ლიტერატურული განახლება, ისე ეროვნული სულის გამოხატვა. მაგრამ ხელოვნებაში ბევრი რამ ინდივიდუალურად ხდება. ოთარ ჩხეიძესაც, ალბათ არ ჰქონდა კონკრეტული გეგმა. იგი ფხიზელი რეალისტის თვალით აკვირდებოდა მოვლენებს და იძლეოდა სინამდვილის კრიტიკულ სურათებს, რაც ოფიციოზის გაღიზიანებას იწვევდა. ამიტომ არაერთხელ მკაცრად გააკრიტიკეს მწერალი და მოუწოდეს სოციალისტური იდეალებისაკენ.

ენობრივი ექსპერიმენტით საბოლოოდ ყალიბდება ოთარ ჩხეიძის სპეციფიკური სტილი, ემფატიკური ა-თი და სინონიმური ტავტოლოგიებით აღსავსე.

სალიტერატურო ენიდან ინდივიდუალურ გადახრას მკაცრად კრძალავდა ოფიციოზი. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ხომ ლიტერატურა სოციალისტური იდეების საპროპაგანდო საშუალება იყო. თუ მწერალი ინდივიდუალურ სპეციფიკურ, ენას დაეყრდნობოდა, პრობლემური გახდებოდა მისი გაგება. ეს კი სოციალისტური რეალიზმის პრინციპიდან გადახვევა იყო.

ასე რომ, ოთარ ჩხეიძის მიერ შემოტანილი კრიტიკული პათოსი, სპეციფიკური ენა, ტრაგიზმის გაუქმება, შემდეგ – ირონიის გაბატონება სავსებით სამართლიანად აღიქმებოდა საბჭოთა მრწამსისათვის შეუთავსებლად. კომუნისტურ ხელისუფლებას დიახაც უნდა გაეკრიტიკებინა ავტორი.

ოთარ ჩხეიძე სტოვებდა კომუნისტურ წარსულს, იმ დროს, როცა იცავდა იდეოლოგიურ დოგმებს და აკრიტიკებდა დასავლეთს (მაგ., ელიოტს, რომელიც შემდეგ თავად თარგმნა).

შინაგანი მონოლოგი ფიქრისა და მსჯელობის ენაა. ოთარ ჩხეიძეც უფრო განსჯის და ფიქრობს. რომანებში ნაკლებია მოქმედება, სიუჟეტური სიმძაფრე. იგი, როგორც ინგლისური ლიტერატურისა და ენის მცოდნე, მხარს უბამს ახალ ტენდენციას, რასაც სათავე ჰქონდა ავანგარდიზმში. შეიძლება ითქვას, იგი ფოლკნერისეული ტრადიციების გამგრძელებელია, მისებრ ცდილობს შექმნას სინამდვილის ვრცელი პანო. მაგრამ უილიამ ფოლკნერი „ხმაური და მძვინვარების“ ავტორია, რომელიც ერთ-ერთი ფუძემდებლური წიგნია ავანგარდისტული, „ცნობიერების ნაკადის“ პროზისა.

შინაგანი მონოლოგით დაწერილ რომანებს ფართო აუდიტორია არ ჰყავს. არც ოთარ ჩხეიძის რომანები ყოფილა პოპულარული. მის წიგნებს პროცესზე ზეგავლენა არ მოუხდენია. მაგრამ, ერ-

თის მხრივ – რეალისტურ სიახლეს ნერგავდა კრიტიკული, მამხილებელი პათოსი, სინამდვილის შეუფერავი, არაკომუნისტური აღქმა, მეორეს მხრივ – ავანგარდისტულ სიახლეს ამკვიდრებდა შინაგანი მონოლოგის პროზა, ფიქრის და განსჯის გააბსოლუტება, მოქმედების შენელება.

ამ ტენდენციების განვითარებით ო. ჩხეიძემ თავისი საუკეთესო რომანები მოგვიანებით დაწერა (მაგ., „ბორიაყი“, „არტისტული გადატრიალება“, „ლაზერშოუ“).

1957 წელს დაარსდა ჟურნალი „ცისკარი“. ფაქტიურად ეს იყო 1941 წელს, ომის გამო შეწყვეტილი „ახალი თაობის“ აღდგენა, ოღონდ სხვა სახელწოდებით. ჟურნალი განკუთვნილი იყო ახალი კადრების წარმოსაჩენად, ახალი, სტალინიზმისაგან განსხვავებული სულისკვეთების დასამკვიდრებლად.

საბჭოთა ცენტრალიზმიდან გამომდინარე ყველა რესპუბლიკაში დაარსდა ახალგაზრდული ლიტერატურული ჟურნალი. იგი იყო ორმაგი დაქვემდებარებისა – მწერალთა კავშირისა და კომკავშირის ცეკასი. პარტია ასე ცდილობდა კონტროლი შეენარჩუნებინა, სტალინის კულტისაგან განეწმინდა ლიტერატურა, რასაც ხელს უწყობდა რეპრესირებულთა გამართლება, სტალინის კულტის დაგმობა, ჩეკისტების პროცესის წარმოდგენა.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორად დაინიშნა ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურის მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე. იგი ფრთხილი კაცი იყო, პარტიის პოლიტიკაში კარგად გარკვეული, ერუდირებული, რომელსაც არ ჰქონდა ჭარბი იდეები და ორიგინალობის სურვილი.

„ცისკარს“ მეურვეობას უწევდა კომკავშირის ცეკას მდივანი ედუარდ შევარდნაძე, რომლის ინიციატივითაც ცეკას შენობაში ახალგაზრდა მწერლებს სემინარებს უტარებდა „მნათობის“ რედაქტორი სიმონ ჩიქოვანი.

ვახტანგ ჭელიძემ თარგმნა ერნესტ ჰემინგუეი და ამ ფაქტით დასავლეთისკენ მიახედა ახალთაობას. რა თქმა უნდა, იგი შორს იდგა მოდერნიზმისა და ავანგარდიზმისაკენ, არც ლიტერატურის თეორეტიკოსი იყო. მაგრამ სწორედ ასეთი პიროვნება შეეფერებოდა იმჟამინდელ ლიტერატურულ ცხოვრებას და შესძლო კიდეც დადებითი როლის შესრულება.

ამ დროს არსებობდა კიდევ ორი სალიტერატურო გამოცემა – „ლიტერატურული საქართველო“ და „მნათობი“. ლიტერატურულ საქართველოს რედაქტორობდა (1944 წლიდან 1964 წლამდე) ძველი კომკავშირელი და ფრონტელი გიორგი ნატროშვილი. იგი გემოვნებიანი ლიტერატორი და გულკეთილი კაცი იყო, მაგრამ იდეოლოგიური დოგმების უსიტყვო დამცველი. ამიტომ ამ გაზეთს არ შეუსრულებია განსაკუთრებული როლი განახლების პროცესში.

„საბჭოთა ხელოვნებას“ დიდხანს რედაქტორობდნენ ჯერ ო. ეგაძე, შემდეგ თ. ჭილაძე.

თ. ჭილაძეს, როგორც ერუდიტ მწერალს, შეეძლო მეტი გაეკეთებინა კულტურისათვის. მაგრამ შერჩა ესთეტიზმს და ახალი ორიენტირი ვერ დასახა.

ასევე დაემართა გ. ქიქოძეს. ხოლო აკ. გაწერელია ფილოლოგიამ გაიტაცა, ისედაც სკეპტიკურად უყურებდა XX საუკუნის ლიტერატურას.

გ. ასათიანი შეეცადა ნაციონალური ხასიათის კვლევას კულტურის არეალში. მაგრამ ნაადრევად გარდაიცვალა.

ყველა ანგარიშს უწევდა პოლიტიკურ სიტუაციას. ეს კი ახშობდა ძიების ხალისსა და პერსპექტივას.

1953-1967 წლებში მწერალთა კავშირს თავმჯდომარეობდა ირაკლი აბაშიძე – შესანიშნავი პოეტი და მახვილი გონების კაცი.

მაგრამ არ გააჩნდა ის ერუდიცია, რაც სჭირდება ოსტატს, რათა ახალი გზები დაესახა.

განახლების სიომ თავად ირაკლი აბაშიძეზეც იმოქმედა და მან შეძლო თვალსაჩინო ადგილის დაჭერა ქართულ პოეზიაში.

მწერალთა კავშირი, როგორც ორგანიზაცია, ვერ იქნებოდა განახლების ინიციატორი. იგი მკაცრად კონტროლდებოდა ცეკასა და სუკის მიერ როგორც გარედან, ისე შიგნიდან.

შეიძლებოდა მხოლოდ ინდივიდუალური გარღვევა.

ასევე იყო სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციები (მაგ., მხატვართა კავშირი).

მხოლოდ მეამბოხე, მაძიებელ, დაუდეგარ ახალგაზრდებს შეეძლოთ სტიქიურად თუ ცნობიერად სიახლისკენ სწრაფვა, რადგან არც კონტროლის შიში ჰქონდათ.

ასეთი იყო გურამ რჩეულიშვილი.

ოთარ ჩხეიძისგან განსხვავებით, გურამ რჩეულიშვილი სწრაფად გახდა პოპულარული და ლიტერატურაზეც იქონია გავლენა. იგი ივანე ჯავახიშვილის დის შვილიშვილი იყო, რომელსაც მეგობრების ვრცელი წრე ჰყავდა. მას ჰემინგუეიმ მიმდევრად მიიჩნევდნენ, თუმცა ზოგი იმასაც შენიშნავს, რომ აქ კონკრეტულ გავლენაზე არცაა ლაპარაკი. ჰემინგუეიმ ახალგაზრდა მწერალს განახლებას იმპულსი მისცა, ხოლო თუ მაინცდამაინც თანხვედრაზე ვისაუბრეთ, ეს უნდა იყოს მოკლე და სხარტი დიალოგები.

მაგრამ ასევე დიდი მნიშვნელობა იქონია გურამ რჩეულიშვილის ტრაგიკულმა ბიოგრაფიამ. 26 წლის ჭაბუკი ზღვაში დაიხრჩო. მან ყველაფერი რამდენიმე წელიწადში მოასწრო, წერდა თითქოს ანთებული ნერვებით. დადიოდა, მოგზაურობდა. მას ჰქონდა დაუდეგარი სტიქია და ამასვე ამკვიდრებდა ლიტერატურაში – ზღვის თემატიკით, მთების სურათებით, შმაგი ცხენების ქროლვით (თვირთვილა, სალამურა...). იგი სიწყნარის, ობიექტურად

მშვიდი რეალობის წინააღმდეგ იყო ამხედრებული, რაც გამოხატა „ალავერდობაში“. მისი ამაყი პერსონაჟები გარემოს ეურჩებოდნენ. მაგრამ გურამ რჩეულიშვილი არ ყოფილა დისიდენტი. მართალია, შორს იდგა სოციალისტური რეალიზმისაგან, მაგრამ არც სოციალისტურ დოგმებს დაპირისპირებია. იგი არ მიდიოდა ხელისუფლების წინააღმდეგ, თუმცა არც მაქებარი ყოფილა.

გურამ რჩეულიშვილი ნეიტრალური თემებითა და იდეებით ცხოვრობდა.

ამგვარი შუალედობა თავისთავად სხვა სფეროს განეკუთვნებოდა. კიდევ ამან შეუწყო ხელი მის პოპულარობას.

მან ვერ მოასწრო ოსტატობის, სტილის, მხატვრული აზროვნების დახვეწა. შეიძლება დროთა განმავლობაში დაეკარგა კიდეც უშუალობა, დოგმებსაც შეეღწია მის მხატვრულ სახეთა სისტემაში.

„ალავერდობის“ ავტორმა შეცვალა თავისი თაობის ხედვის მიმართულება. მისი იმპულსი და შთაგონება გადასწვდათ გურამ გეგეშიძესა და გურამ ფანჯიკიძეს. ერთმა ნეიტრალურ თემებს მიმართა, მეორემ – საბჭოთა სინამდვილეს.

მაგრამ უფრო შესამჩნევი გავლენა იქონია გურამ გეგეშიძეზე, რომელმაც იგი თავის პერსონაჟადაც აქცია. პოეტი რომ ყოფილიყო, უფრო დასრულებული შემოქმედად დარჩებოდა, გავლენაც მეტი ექნებოდა.

გურამ რჩეულიშვილი ტრაგიკული ფიგურაა ჩვენს მწერლობაში. იგი თავად დაიღუპა და სხვებს გზა გაუხსნა, რომელთაც უკეთესი ნაწარმოებები დაწერეს, მაგრამ ესოდენ სიყვარული, აღიარება და დაფასება ვერ მოიპოვეს.

ახალმა ჟამმა ზოგი ძველი ოსტატიც შეცვალა. თუ სიმონ ჩიქოვანი სიახლისაკენ ისწრაფოდა და თავის გარშემო ახალგაზრდებს იკრებდა, მაინც ვერ დაწერა უკეთესი ლექსები – თავისი მწვერვალი უკვე დაძლეული ჰქონდა. შეიძლება აქ მიზეზი იყო

ასაკიც, რადგან რასაც სხვას უხსნიდა, მისი აღსრულება თავად გაუძნელდა. მაგრამ ეს მოახერხა ირაკლი აბაშიძემ.

ის, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო და ახალი და ძველი თაობის მწერლები რიდით ეპყრობოდნენ, რადგან ხელისუფლებაში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. მახვილი გონებით და ლირიკული უშუალობით ისედაც ახერხებდა თანამოაზრეთა შემოკრებას, ოღონდ ეს არ იყო პოეტური პრინციპებისათვის მოლაშქრეთა ერთიანი გუნდი.

ირაკლი აბაშიძე 1946 წლიდან საგრძნობლად დაიშტამპა, დაჰკარგა ლირიკული სინაზე და ჭარბი აკადემიზმი დაეტყო. ლექსების ციკლები გურიასა და საინგილოზე ოსტატურად კი არის დაწერილი, მაგრამ ცივია და არც ინტელექტუალური დაძაბულობა ახასიათებს. იგი სოციალისტური რეალიზმის გზას ერთგულად მიჰყვებოდა. როცა ქვეყნად სიტუაცია შეიცვლა, თავადაც გადაერთო ახალ ტალღაზე. პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი პირველი დასტური იყო. იგი ერთის მხრივ, უკან მიდევნებულ ლამპარს ჰგავს, მაგრამ ირაკლი აბაშიძე მოქალაქეობრივი სიმამაცით არასოდეს გამოირჩეოდა. იგი ნიჭიერი კომფორმისტი იყო, ვითარებას მორგებული კაცი. ამიტომ პარტიული და ხელისუფლების საამებელი სიტყვები ლირიკას მოაშორა. ის მათ მიმართავდა ზეპირ გამოსვლებსა და მოხსენებებში. ხოლო პოეზიაში აღიდგინა ის ლირიკული მგრძნობელობა, რაც სიჭაბუკის წლებში ჰქონდა. ასე დაიწერა „მიახლოება“ და „რუსთაველის ნაკვალევზე“, ლირიკული ლექსების ციკლი„პალესტინა, პალესტინა“, რომელიც ძირითადად დიდი პოეტის მონოლოგებისაგან შედგება და პოემადაც შეიძლება აღვიქვათ.

ამ ლექსებში პოეტმა შეძლო ლირიკული მგზნებარების შეერთება ინტელექტუალურ განსჯასთან. ფიქრის პოეზია, რაც დროს მოჰქონდა, ირაკლი აბაშიძემ ისტორიულ პლანში წარმოადგინა.

„პალესტინა, პალესტინა“ თავისუფალია კონფორმისტული და იდეოლოგიური დოგმების ზეგავლენისაგან, ისევე როგორც სიმონ ჩიქოვანის „განჯის დღიური“. ისიც თითქოს იმეორებს ძველ პრინციპს – „ხელოვნება ხელოვნებისთვის“.

იგი მოსწონდათ რუს პოეტებსაც და მაშინვე თარგმნა ალ. მეჟიროვმა.

გრ. აბაშიძე ძველ საქართველოზე და ტაო-კლარჯეთზე ლექსების ციკლის ავტორი იყო. მაგრამ ადრე მიატოვა პოეზია და პროზაში გადაინაცვლა (შემდეგ ასევე მოიქცა, ამავე ასაკში, ოთარ ჭილაძე), დაწერა ისტორიული რომანები („ლაშარელა“, „დიდი ღამე“, „ცოტნე დადიანი“), რომელთაც ჰყავდა მკითხველები, მაგრამ ლიტერატურულ სიახლედ ვერ იქცა.

შეიძლება მოქმედებდა შიშისა და ფუნქციონერის ფაქტორები, თორემ პეტეფისა და ფრანგული პოეზიის მთარგმნელი მეტ წარმატებას მიაღწევდა.

რესტავრაციის ცდა

60-ინი წლებიდან უკვე განახლება დაუკავშირდა მოდერნიზმსა და ავანგარდიზმს (თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, გურამ გეგეშიძე, ედიშერ ყიფიანი, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, ლია სტურუა, არჩილ სულაკაური, ვერლიბრისტები), თუმცა მწერლების მიზანი ეს არ ყოფილა. ისინი იბრძოდნენ ლიტერატურის წინსვლისათვის. ამ გზაზე ბუნებრივ მოკავშირედ გამოჩნდნენ ძველი, იდეოლოგიისა და დროისაგან უარყოფილი სკოლები და სახელები.

მათ სიფრთხილეც ახასიათებდათ, რადგან სოციალისტური რეალიზმის აშკარა უარყოფა და დისინდენტური აზროვნება არ სჩვეოდათ. ისინი იდგნენ ხელისუფლების გვერდით, ან ცდილობ-

დნენ მასთან ლოიალურ დამოკიდებულებას. ოფიციოზი გრძნობდა მათ განზე სვლას და ამიტომაც არ აძლევდა თანამდებობას, პრემიებს. ხოლო სიჯიუტეს ხსნიდნენ ახალგაზრდული ცდუნებებით. რადგან დაშვებულ იქნა ნეიტრალური ლიტერატურა, მათ აღარ აკრიტიკებდნენ, წიგნებს უბეჭდავდნენ, მაგრამ რეკლამას არ უკეთებდნენ, არც პრემიებს ანიჭებდნენ. ანტისაბჭოთა და ანტირუსულ აზრებსა და განწყობილებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. შეიძლებოდა მხოლოთ ნეიტრალურ სივრცეში მოძრაობა. მაგრამ ხელისუფლების მიერ ადრევე დაგმობილი მოდერნისტებისა და ავანგარდისტების, მოდერნისტული და ავანგარდისტული სკოლების პროპაგანდა დაუშვებელი იყო. არც საამისო სურვილი ჰქონდა ვინმეს, რადგან ახალთაობას ისტორიაში გადასული ავტორიტეტები არ სჭირდება. იგი მომავლისკენ იხედება, მომავლის იმედით ცოცხლობს – იდეოლოგიური დიქტატის გარეშეც ეს ასე ხდებოდა.

ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ აბსტრაქციონისტების კრიტიკა კიდევ უფრო ზრდიდა ნაპრალს ოფიციოზსა და ინტელიგენციას შორის. მაგრამ სხვაგვარი ხედვა არ იყო სისტემად ქცეული. იგი ჯერ ინდივიდუალური სტილის სფეროში რჩებოდა. დასავლური ლიტერატურის მოწოლა ატმოსფეროს ახალი ნაპერწკლებით ავსებდა.

ახალი თაობა, მათი ლიდერები (მაგ., ლ. სტურუა და ბ. ხარანაული) უკვე აღარც მიიჩნევდნენ საჭიროდ რევერანსებს ხელისუფლების მიმართ, აღარ წერდნენ ლენინზე, სოციალისტურ აღმაშენებლობაზე, საკოლმეურნეო ცხოვრებაზე, პარტიის იდეალებზე, ბურჟუაზიის პრობლემაზე.

როგორც ვთქვით, 60-იანი წლების ახალგაზრდულ პოეზიას მიმართულებას აძლევდნენ ს. ჩიქოვანი და ო. ჭილაძე. ამას მოჰყვა სწრაფვა ინტელექტუალიზმისაკენ. ფიქრი და განსჯა, ვერლიბრი, ლირიკული პოემა... ი. გრიშაშვილისა და ი. ნონეშვილის სასიმ-

ღერო ჰანგებისა და სატრფიალო, ხოტბითი თემატიკის უარყოფა, მგოსნის შეცვლა პოეტით.

70-იანი წლებიდან კი ისევ გაძლიერდა მ. მაჭავარიანის ფაქტორი, ნაციონალისტური ტენდენციები, ნაცვლად ინტელექტუალური ძიებისა.

1967 წელს, როცა ჟურნალი „ცისკარი“ ახალი თაობის ხელში გადავიდა (რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი), მის გარშემო შემოიკრიბნენ სალიტერატურო ძალები. მათ ჯერ კიდევ უჭირდათ, მაგრამ უკვე დაფიქსირდნენ ლიტერატურულ ოპოზიციად, რომელიც ისევე ხელისუფლების მფარველობით ცდილობდნენ გზის გაკაფვას. მწერალთა კავშირს 1967 წლიდან თავმჯდომარეობდა გრიგოლ აბაშიძე, რომელიც ზომიერ კომუნისტურ კონსერვატიზმს განასახიერებდა. იგი ლმობიერად ეპყრობოდა ახალგაზრდებს, მაგრამ სანიმუშოდ ისევ პარტიის გეზს სახავდა და სხვებსაც აქეთკენ მოუწოდებდა. ლიტერატურის განმაახლებელი სულისკვეთება კი პარტიული საქმის ნაწილი ვეღარ იქნებოდა.

ხელისუფლება მხოლოდ დისიდენტურ იდეებს კრძალავდა, ანტირუსული და ანტისაბჭოური თვალსაზრისის გამოვლენას. ხოლო თავისუფალ ხელოვნებას არ ათამამებდა, მაგრამ არც ებრძოდა. ამის შედეგად მოჰყვა ამ ტენდენციის შემდგომი განვითარება (ოთარ ჩხეიძის „ბორიაყი“, ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და „ყოველგან ჩემმან მპოვნელმან“, ტარიელ ჭანტურიას ავანგარდისტული ირონიულ-პაროდიული ლირიკა, ლია სტურუას სონეტები და სხვა მოდერნისტული, არსებითად – პოსტმოდერნისტული ლექსები).

ამ ორიენტაციის უკიდურესი განვითარება ჩვენს თვალწინ მთავრდება ავანგარდისტული ნეონატურალიზმით ანუ ლიტერატურის თვითუარყოფით, ანტიესთეტიზმისა და ანტილიტერატურის გაბატონებით.

იწერებოდა ლექსები პარტიაზე (მაგ., „რწმენის ორდენის კავალერი“), მეჩაიეებსა და მეცხოველეებზე, ბამსა და ყიზლარის საძოვრებზე, მოსკოვსა და კრემლზე, პუბლიცისტები ავითარებდნენ პარტიის მიერ შერჩეულ იდეებს (მაგ., ქართულ ნავთობზე, ატომურ ენერგიაზე, თეატრს აინტერესებდა ახალი ადამიანი – „უცხო კაცი“).

მაგრამ ამ ნაკადს, გამომდინარეს იდეოლოგიური მოთხოვნიდან, არც წარმატება ჰქონდა, არც რეზონანსი.

ძველებურად პოპულარული იყო სიმღერები, არა ტექსტების, არამედ – მელოდიის გამო („ქალო ნარინჯიანო“, „ჩემო ტკბილო მეგობარო“, „ათასხუთასი წლისა ხარ“, „მზის და ვარდების მხარეო“, „ბათუმს ქათქათას“, „სამტრედიავ, მუდამ მზიანო“, „ქუთაისი ქალაქია ინდუსტრიის მშენებელი“). ისინი ნერგავდნენ ოპტიმისტურ პათოსს, შრომის ხალისს, იმედსა და სიხარულს.

კონფლიქტები და დაპირისპირებები

კულტურის მუშაკთა ცხოვრებაში ხშირია კონფლიქტები და ინტრიგები, მითუმეტეს – თუ ერთ ორგანიზაციაში არიან და იბრძვიან ადგილისთვის მზისქვეშ.

ყველას განსაკუთრებულ წარმოდგენა აქვს თავისთავზე, ყველა თვლის, რომ სათანადოდ არ აფასებენ, გზას უჭრიან, ხელს უშლიან, შურთ.

ამ დაპირისპირებებით მარჯვედ სარგებლობდა ხელისუფლება, კერძოდ – სუკი: იგი აქრობდა ან აღვივებდა კონფლიქტის კერებს, დგამდა თეატრისმაგვარ სპექტაკლებს, რათა ურთიერთობა სასურველ კალაპოტში მოექცია, ურჩი დაესაჯა და გაეწვალებინა, განსაკუთრებით – ხრუშჩოვის პერიოდიდან.

კონფლიქტები ობიექტურად წარმოიშობოდა (მაგ., მოდერნისტების ან ავანგარდისტების ბანაკში). უფრო მთავარი იყო პიროვნული შეუთავსებლობა, აზრთა განსხვავება, ინტრიგების ხლართვა, ჭორების გავრცელება.

ზოგი ხელისუფლების დავალებით ლეგალურად მოქმედებდა (მაგ., პრესის ფურცლები სავსეა კ. გამსახურდიას და ზ. გამსახურდიას სალანძღავი წერილებით).

ამას კრიტიკა ერქვა, რომელიც ჭეშმარიტების დასადგენად იღწვოდა (მაგ., რაპპელები, ბ. ჟღენტი, ჟურნალისტები...).

იყვნენ შემოქმედნი, რომელთა კრიტიკას მთავრობა კრძალავდა. მაგრამ ფარული დაპირისპირება მაინც არსებობდა და მისი განელება ან მოსპობა რთული იყო.

მაგ., მწერლები სტალინ-ბერიას დროსაც კი ებრძოდნენ ს. ჩიქოვანს და იგი მწერალთა თავმჯდომარედ არ აირჩიეს. მაგრამ ცეკამ გადაარჩინა. მწერლებმა რომ აღიარეს, შემდეგ თავად ცეკამ გაანთავისუფლა.

როგორც ვთქვით, ს. ჩიქოვანი და გ. ჯიბლაძე ერთმანეთს ვერ იტანდნენ, გალაკტიონი არავის სცნობდა, არც კონსტანტინე.

ს. ჩიქოვანმა თავის გარშემო ახალგაზრდები შემოიკრიბა, როცა „მნათობის“ რედაქტორი იყო, შეიქმნა დამცავი ფარი (ა. სულაკაური, გ. მარგველაშვილი, გ. ასათიანი, თ. ჩხენკელი, რ. ჯაფარიძე).

ასევე მოიქცა ჯ. ჩარკვიანი „ცისკარში“.

ხ. ბერულავა აშკარად დაუპირისპირდა ირ. აბაშიძეს, რასაც მოჰყვა ორივეს გადაყენება. შემდეგ გრ. აბაშიძეს ებრძოდნენ და აშანტაჟებდნენ „ცისკრელები“. მაგრამ ვერაფერი დააკლეს – ედ. შევარდნაძესთან მალევე გაიმყარა ურთიერთობა. სამაგიეროდ მთელი ფრონტი შეიკრა მათ წინააღმდეგ, რომ თითქოს ახალთაობა ღა-

ლატობდა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს და რომ ერთგული მხოლოდ ძველი მწერლები იყვნენ.

ე. შევარდნაძემ ერთხანს ეს თითქოს დაიჯერა და ცეკას ბიუროზე კინაღამ მოხსნა ჯ. ჩარკვიანი. მაგრამ რესპუბლიკის ლიდერმა აქცენტი მაინც ახალთაობაზე გააკეთა, კერძოდ – ნ. დუმბაძეზე და იგი გახდა კიდეც მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

ხ. ბერულავას ებრძოდნენ და აქილიკებდნენ მ. ლებანიძე, „ცისკრელები“, მათ გარშემო დარაზმული მწერლები. მაგრამ მასაც ვერაფერი დააკლეს: „რუსული გულის“ ავტორს მოსკოვი მფარველობდა.

ერთმანეთთან ირ. აბაშიძესა და გრ. აბაშიძეს არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა, არც აკ. ხორავასა და ს. ზაქარიაძეს, არც კ. გამსახურდიასა და გრ. აბაშიძეს.

მ. ლებანიძე უპირისპირდებოდა შ. ნიშნიანიძეს, რადგან მას მისცეს რუსთაველის პრემია და არა მ. მაჭავარიანს.

რუსთაველის პრემია კონფლიქტების ახალი კერა გახდა:

გაშავებულთა შორის იყვნენ გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, კ. კალაძე, ჯ. ჩარკვიანი (ორჯერ), ო. იოსელიანი, ხ. ბერულავა, ი. ნონეშვილი, ჭ. ამირეჯიბი, ო. ჩხეიძე...

მუდმივ პოლემიკაში იყვნენ გახვეული აკ. გაწერელია, პ. ინგოროყვა, აკ. ბაქრაძე, ბ. ჟღენტი, რ. მიშველაძე...

კონფლიქტებს აქრობდა ხელისუფლება, რომელსაც ორივე მხარე სჭირდებოდა; ო. ჭილაძეს გზას თ. ჭილაძე უკაფავდა, „ცისკრელებს“ – ჯ. ჩარკვიანი..

ირ. აბაშიძემ, როცა აკადემიის ვიცე–პრეზიდენტი იყო, შექმნა თავისი წრე – აკადემიის პრეზიდენტი ი. ვეკუა, უნივერსიტეტის რექტორი ირ. ჩხიკვიშვილი, რომლის ძმა მოსკოვში, ცეკაში მუშაობდა, აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების გამგე შ. ძიძიგური.

ჯ. ჩარკვიანს თავისი წრე ჰყავდა, ძირითადად – თანაკურსელები, გ. აბაშიძეს – თავისი, ნ. დუმბაძისა და შ. ნიშნიანიძის უკან ედ. შევარდნაძე იდგა.

გამარჯვებული ის იყო, ვისაც ცეკა და სუკი დაუჭერდა მხარს. ფარული დაპირისპირების ბედი იქ წყდებოდა.

მაგ., შ. ნიშნიანიძე გადააყენეს თავმჯდომარეობიდან, როცა ედ. შევარდნაძე აღარ იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელი. მიუხედავად იმისა, რომ „კომუნისტების“ ავტორი იყო. „კრიტიკა“ დაატოვებინეს რ. მიშველაძეს, „ცისკარი“ – ჯ. ღვინჯილიას, „მნათობი“ – გ. ნატროშვილს, „ლიტერატურული საქართველო“ – ვ. ჭელიძეს, ლიტერატურის მუზეუმი – ი. ორჯონიკიძეს (ორჯერ), ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორობა – ალ. ბარამიძეს, „ნაკადული“ – კ. ლორთქიფანიძეს, „მერანი“ – კ. კალაძეს, მწერალთა კავშირის მდივნობა – თ. ბუაჩიძეს.

ზოგჯერ ამ პროცესში ინტრიგების წამომწყები თავად ხელისუფლება იყო, რათა სასურველი კანდიდატურა წარმოეჩინა... მაგრამ მწერლებიც საკმაოდ აქტიუროობდნენ.

1978 წელს ზ. გამსახურდია გარიცხეს მწერალთა კავშირიდან ედ. შევარდნაძის მოთხოვნით (1931 წელს – კ. გამსახურდია მ. კახიანის წინადადებით). მას მთელი პარტოკრატია და კულტელიტა დაუპირისპირდა.

თანამდებობის არმქონენი ინდივიდუალისტებად ჩამოყალიბდნენ. ისინი როგორც მარტოხელა მგელი, ისე იყვნენ და პერსონალურად აგვარებდნენ კავშირებს ცეკასთან და სუკთან (მაგ., რ. ჯაფარიძე).

კონფლიქტები და დაპირისპირებანი მეტწილად ზედაპირზე არ ჩანდა. მაგრამ ისინი განსაზღვრავდნენ კულტურის მიმართულებებს, არა მხოლოდ პიროვნებათა ბედ-იღბალს.

მაგ., დ. ალექსიძის წასვლა თეატრიდან, ლ. ჭყონიასი – ოპერიდან (ორივენი უკრაინაში აღმოჩნდნენ), ვ. ჭაბუკიანისა – ბალეტიდან, ო. თაქთაქიშვილისა – მინისტროობიდან.

შემდეგ მ. თუმანიშვილმაც დატოვა რუსთაველი, გ. ლორთქიფანიძემ – მარჯანიშვილი, რ. სტურუამ გაჰყო დასი, ე. მანჯგალაძის სანაცვლოდ წამოსწია რ. ჩხიკვაძე.

ასევე იყო კინემატოგრაფში, სადაც 60-იანი წლებიდან ჩრდილში მოექცნენ ო. კობერიძე, ლ. ელიავა, ლ. აბაშიძე, დ. ჭიჭინაძე.

ნათესაური ნიშნით იყვნენ გაერთიანებული ვ. ანჯაფარიძე, ს. ჭიაურელი, ე. შენგელაია, გ. შენგელაია, არ. შენგელაია...

ვ. ტაბლიაშვილს არ მისცეს საშუალება, რომ გადაეღო „დავით აღმაშენებელი“; „დიდოსტატის მარჯვენასაც“ მრავალი წელი დასჭირდა. ერთხანს ეჭვით უყურებდნენ „დათა თუთაშხიას“.

შემდეგ, 90-იან წლებში ასეთი დაპირისპირება და წმენდა მოხდა „ზვიადისტობის“ ნიშნით (მაგ. რუსთაველი დაატოვებინეს ი. გიგოშვილს), როცა პუტჩისტებმა მოხსნეს მ. მაჭავარიანი, მწერალთა კავშირის მდივნები, ჟურნალ*გაზეთების რედაქტორები. ამის გამო 40-მდე მწერალი გავედით მწერალთა კავშირიდან და ჩემი ინიციატივით ჩამოვაყალიბეთ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება (პრეზიდენტი მ. მაჭავარიანი), რომელსაც ჰქონდა თავისი პრესა, გამომცემლობა, რეგიონული ორგანიზაციები.

კონფლიქტი და დაპირისპირება სააშკარაოზე ნაკლებად გამოდიოდა. ოფიციოზი კრძალავდა ურთიერთობათა გამწვავებას, სასურველი პირების კრიტიკას. ამიტომ ზეპირი სიტყვა, ე. წ. ფუნაგორიები ავსებდა ცარიელ სივრცეს (მაგ., „გრიშა კოხტა ბიჭი იყო, თმები ჰქონდა ბნელზებნელი, მაგრამ მერე განეძარცვა, დარჩა, როგორც ბელზებელი“, „ხო, რავა ხარ, რუსთაველის თეატრო, ხო, რავა ხარ, ჩვენი ერის დიდებავ“, „ზამთარია თუ ზაფხული,

ივნისია თუ ივლისი, დარი არის თუ ავდარი კოწია დაჰქრის ვილისით. ვინ მიაქვავა მანქანა, მაგ ქარაქუცა ვირიშვილს“, „ბავშვი იყო, დაგოგავდა, ლუკმას ოფლით იძენდა, გაიზარდა, დაგოგლავდა, დაგვილეონიძევდა. მკერდს ორდენი მიიკოსა, დარიალის კარებში მოდის აკადემიკოსად ეს კახეთის კამეჩი“, „ლიტფონდი გაწმენდილია, ისმის ჩოთქების რაკრაკი, ვით აკაკი და ილია, ზის ილია და აკაკი“, „ქუთაისმა კარგად იცის პოეტების მაზანდა, ბევრი კარგი გამოზარდა, შეთეც ბევრი გაზარდა“ და სხვა).

პერიოდულად იმართებოდა პოლემიკა კულტურის საკითხებზე (მაგ., ქართულ ენაზე, თარგმანზე, ქუთაისის 3500 წლისთავის გამო, იყო თუ არა ქუთაისი მეორე ქალაქი, საჭირო იყო თუ არა ვერლიბრი, თანამედროვე პროზასა და კრიტიკაზე), რაც პიროვნულ დაპირისპირებაშიც გადადიოდა (მაგ., ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ).

2. იდეოლოგიური ნაკადები

სამთავრობო ხელოვნების მოთხოვნები

ხელისუფლებას აღარ აინტერესებდა დადებითის გმირის პრობლემები, სოციალისტური რეალიზმის პრინციპები, ზოგადთეორიული ძიება, რასაც მოსკოვში აგრძელებდა ქართველი გიორგი ლომიძე.

ამის გამო აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. მაგრამ ის მოსკოვში მუშაობდა. მოსკოვი კი იძლეოდა იდეოლოგიურ გეზს კულტურაშიც.

საკამათო აღარაფერი იყო ანუ არც საკვლევი და საძიებო. ამას გრძნობდა კრიტიკოსთა ძველი გვარდია (მაგ., ბ. ჟღენტი, ს. ჭილაია). მათგან ბევრი ადრევე ჩამოსცილდა კრიტიკას (მაგ., აკ. გაწერელია, გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, შ. რადიანი, გ. ჯიბლაძე).

რაპპელი ფანატიკოსები კი რეპრესიებს შეეწირნენ (მაგ., ბ. ბუაჩიძე).

ხელოვნება კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გარშემო (მაგ., შევარდნაძის ბრძოლა ნეგატიური მოვლენების, ანტიპოდების, მექრთამეების, დისიდენტების, ნაციონალისტების წინააღმდეგ, მეცხოველეობის საკითხი, მესიმინდეობის საკითხი, რევოლუციონერთა ხოტბა).

გაჩნდა წიგნები რუბრიკით – „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“, დაარსდა შესაბამისი პრემიები. რადიო და ტელევიზია გადასცემდა შრომის სიმღერებს, ანტიიმპერიალისტურ ინტერვიუებსა და ნარკვევებს. შრომა, მშვიდობა და კომუნიზმი, – აი, რაზე უნდა ეფიქრა კულტურშემოქმედს, რომელსაც არც „კაპიტალი“ წაეკითხა, არც ლენინის წიგნები, არც ბრეჟნევის მოხსენებები. ასეთი იყო ე. წ. თავისუფალი, რეალურად – სამთავრობო ხელოვნება.

ერთი მხრივ – საჭირო გახდა ძველი კადრების მობილიზება, რომელნიც გამოიწვრთნენ სტალინ-ბერიას დროს (მაგ., ირ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ბ. ჟღენტი, რ. ჩხეიძე,ი. ნონეშვილი, უ. ჯაფარიძე), მეორე მხრივ – ახალი ნაკადის ჩართვა სოციალისტური კულტურის აღმშენებლობაში (მაგ., შ. ნიშნიანიძე, მ. ფოცხიშვილი, გ. ფანჯიკიძე, ნ. დუმბაძე, ჯ. ჩარკვიანი).

რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელი ედ. შევარდნაძე სარგებლობდა სკკპ ცეკას დადგენილებებით თბილისის ქალაქკომზე, სალიტერატურო კრიტიკაზე, რათა დაეგმო ნაციონალიზმი, მიეზიდა ახალი კადრები და გაეძლიერებინა სოციალისტური დარღვევების მხილება.

ინტელიგენციაში სუსტდებოდა რუსული ენის ფაქტორი. ამიტომ ე. შევარდნაძე მოითხოვდა რუსული ენის სწავლების გა-

ძლიერებას, მოსკოვთან მეტ სიახლოვეს, იდეოლოგიურ სიწმინდეს.

იგი ცდილობდა ბოლშევიკური ნორმების რესტავრირებას კულტურაშიც, გმობდა „ფაშისტ“ გრ. რობაქიძეს, გმობდა დისიდენტებს, დასავლეთს, თუმცა ხელს უწყობდა ცალკეულ სიახლეთა ფორმირებასაც.

რესპუბლიკა თავად მოსკოვის ნებით იქმნიდა იძულებით ავტონომიას კულტურის სფეროში. არავინ ითხოვდა, რომ მიებაძათ რუსული კულტურისათვის. ქართული პოეზია მაიაკოვსკის შემდეგ არცერთ რუს პოეტს მაგალითად არ სახავდა. მათ თარგმნიდნენ (მაგ., ე. ევტუშენკოს), მაგრამ იმპულსებს ღებულობდნენ წარსულისა ან ევროპული კულტურისაგან.

თბილისში, ფილარმონიის დიდ დარბაზში საღამოებს მართავდნენ ვოზნესენსკი, სიმონოვი, ახმადულინა, ევტუშენკო, დიდი ტირაჟით სცემდნენ მათ წიგნებს.

როგორც 30-იან წლებში, პასტერნაკის დროს, ისევ გახდა თბილისი მათი სასურველი მასპინძელი. კმაყოფილმა ვოზნესენსკიმ ისიც კი თქვა, ჩემი წინაპარი ქართველი იყოო!

ქართველი მეცნიერებისა და ხელოვანთათვის სტალინის შემდეგ მოსკოვი იშვიათად იმეტებდა პრემიებს. თუმცა იწერებოდა რომანები მუშათა კლასზე (მაგ., ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“, გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“), სოფლის ცხოვრებაზე (მაგ., ლ. მრელაშვილის „ყაბახი“). ფილმებს იღებდნენ მშრომელებზე (მაგ., ს. ჩხაიძის „თუში მეცხვარე“), ხალხთა მეგობრობაზე (მაგ., „შეწყვეტილი სიმღერა“, „რაჭა – ჩემი სიყვარული“, „მალე გაზაფხული მოვა“).

პრემია ეძლეოდა კულტურშემოქმედს იმ საქმის შესრულებისათვის, რაც სჭირდებოდა პარტიასა და ხელისუფლებას. მეცნიე-

რებაში კონიუქტურა ნაკლებად მოქმედებდა (მაგ., ლენინური პრემია 1963 წელს მიენიჭა ილია ვეკუას). მაგრამ სხვა იყო ხელოვნება.

1980 წელს ლენინური პრემია მიიღო ნოდარ დუმბაძემ რომანისათვის „მარადისობის კანონი“, თუმცა ეს არ იყო მისი მთავარი წიგნი.

ნოდარ დუმბაძე პოპულარული მწერალი იყო, რეპრესირებული ოჯახიდან, შევარდნაძის ფავორიტი.

1983 წელს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა შოთა ნიშნიანიძე. იგი ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი იყო. მაგრამ რომ არ დაეწერა „კომუნისტები“ და რევოლუციური ლექსების ციკლი, ყურადღებას არ მიაქცევდა შევარდნაძე.

ყოველ კულტურშემოქმედს რაღაც ფორმით ხარკი უნდა გადაეხადა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მაგრამ არც გადაყოლას მოითხოვდა არავინ. ამიტომ გადავიდნენ არაკომუნისტურ თემებზე ირაკლი აბაშიძე („რუსთაველის ნაკვალევზე“), გრიგოლ აბაშიძე (ისტორიული რომანები), სიმონ ჩიქოვანი („განჯის დღიური“), გიორგი ლეონიძე („ნატვრის ხე“).

ფერისცვალება კულტურის განვითარებად იქნა მიჩნეული.

ისევ პოპულარული იყო ომის თემა, საბრძოლო თანამეგობრობა (მაგ., ნ. დუმბაძის, რ. ჯაფარიძის, ო. იოსელიანის პროზა, რ. ჩხეიძის ფილმები – „ჯარისკაცის მამა“ და „ღიმილის ბიჭები“).

კულტურშემოქმედი ემსახურებოდა იდეოლოგიას, მაგრამ თავისუფალ ფანტაზირებასაც მიმართავდა ანუ ოპოზიციაში იყო საკუთარ თავთან – ერთგან რასაც აჩვენებდა, მას მეორეგან უარყოფდა.

ყველა ეცნობოდა ბრეჟნევის მემუარებს („მცირე მიწა“ და სხვა). მაგრამ აღტაცებას ნაკლებად გამოთქვამდნენ.

1984 წელს, მწერალთა კავშირის შექმნის 50 წლისთავზე, მოხსენებით გამოვიდა ჩერნენკო, ცეკას ახალი გენერალური მდივანი.

იგი რამდენიმე თვეში გარდაიცვალა და წარმოდგენილი სახელმძღვანელო დებულებანი უცებ დაივიწყეს.

მანამდე ანდროპოვმა მოინდომა ძველი ნორმების აღდგენა. ისიც მალე გასცილდა ამქვეყანას და ვეღარ მოესწრო სოცრეალიზმის გაცოცხლება.

ნეიტრალური სუბკულტურა

არაოფიციალურად სსრკ-ში დაშვებულ იქნა 1956 წლის შემდეგ ე. წ. ნეიტრალური კულტურა. სოციალისტური რეალიზმი აღარ იყო სავალდებულო. იგი ნელ-ნელა ქრებოდა, შემოქმედს ჰქონდა არჩევანის უფლება. შეეძლო დეკლარირების გარეშე უარეყო პარტიული თვალსაზრისით აქტუალური თემები.

ნეიტრალური კულტურის გამოცხადება არ შეიძლებოდა. მას არ გამოყოფდნენ საერთო პროცესიდან. მხატვარი, პოეტი, თეატრალი, რეჟისორი არ უნდა დაპირისპირებოდა საბჭოეთის დოგმებს – ეს იყო რუსული ენა და კულტურა, მარქსისტული იდეოლოგია, ხალხთა მეგობრობა, სოციალიზმის იდეალები...

მოსკოვი დაინტერესდა სტრუქტურალიზმით, „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურით, აბსურდის თეატრით, სარტრის ეგზისტენციალიზმით, ინტელექტუალური კინოთი, პიკასოთი და დალით, საესტრადო მუსიკით, შემოქმედებითი ექსპერიმენტებით, რაც რეალიზმის საზღვრის გაფართოებად გამოაცხადეს, თუმცა უარყვეს როჟე გაროდის „უნაპირო რეალიზმის“ თეორია.

იდეოლოგიური და კულტურული ცვლილებების საფუძვლად მიიჩნიეს სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია (იხ. ჩემი მონოგრაფია „სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია და ქართული ლიტერატურა“), რომელიც შლიდა ბარიერებს.

ცხადია, რუსები უკეთ ერკვეოდნენ დასავლური კულტურის ნიუანსებში, იცოდნენ ენები, დადიოდნენ ევროპაში, ღებულობდნენ და ეცნობოდნენ ევრო-ამერიკელ ავტორებს, თავიანთ ემიგრანტებს.

მათ შორის ღია და ფარული დისკუსია გრძელდებოდა, რაც ამავე დროს საზოგადოების ინფორმირება იყო არაპირდაპირი გზით.

უკვე რეაბილიტირებული იყო გენეტიკა, მსჯელობდნენ და კამათობდნენ ეგზისტენციალიზმზე, სიცოცხლის ფილოსოფიაზე, ფენომენოლოგიაზე, ფსიქოანალიზზე, კიბერნეტიკასა და ინფორმატიკაზე.

საზოგადოება ხელახლა ეცნობოდა მოდერნისტებს, სიურრეალისტებს, კუბისტებს, ნიცშეს, ფროიდს, იუნგს, შპენგლერს, პოპარტსა და ჰიპებს, ანტირომანსა და ანტილექსს, კონკრეტულ, მათემატიკურ პოეზიას, აბსურდის თეატრსა და მაგიურ რეალიზმს, მსჯელობდნენ კულტურის კრიზისსა და რეგრესზე, ნიჰილიზმსა და არქიტექტურულ სასწაულზე, დაღლილ ევროპასა და გიჟურ აფრიკულ რიტმებზე.

რუსებმა ასეთი და მსგავსი საკითხების ძიება დაიწყეს თავიანთ ისტორიაშივე (მაგ., ანდრეი ბელისთან, დიაგილევის დასში, სიმბოლიზმში, ოპოიაზში). ეს ყოველივე კი მოაქციეს ტექნიკური პროგრესის ცნებაში, რომელიც ახლებურად აყენებდა იდეოლოგიურ და კულტურულ პრობლემებს, დასავლეთთან მიმართებას.

გავრცელდა სტუდენტური მოძრაობა ევროპაში (მაგ., პარიზში), რაც თანამედროვე რევოლუციურ ძალად მიიჩნია ჰერბერტ მარკუზემ, ასევე – ჰიპების, ბითლზების, ზანგების აქტივობა.

მათ გულმოდგინედ სწავლობდნენ საბჭოთა ექსპერტები.

ისევ ცოცხლობდა მარქსისტების, ლენინისა და ტროცკის პერმანენტული მსოფლიო რევოლუციის თეორია, ოღონდ სახე-

ცვლილი. მაგრამ დროდადრო მაინც მიმართავდნენ სამხედრო აგრესიას (მაგ., ომები კორეაში, ვიეტნამში, ავღანეთში, აფრიკის ქვეყნებში, ევროპის სოციალისტურ სახელმწიფოთა დედაქალაქებში). კაპიტალისტურ ქვეყნებში ადგილობრივი კომუნისტები ატარებდნენ ყრილობებს, ზოგჯერ წარმატებებიც ჰქონდათ, მაგ., იტალიაში, ჩილეში.

ახალ თაობას იდეალად უსახავდნენ კასტროსა და ჩე გევარას.

იდეოლოგიას კულტურა ნიღბავდა. ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, თეატრი, კინემატოგრაფი უკვე არა ზედაპირულად, აშკარად, პროპაგანდისტულად, არამედ – ფარულად უჭერდა მხარს ხელისუფლებას, მის პოზიციას (მაგ., ნოდარ დუმბაძის რომანები, რ. ჩხეიძის და გ. დანელიას ფილმები).

ბურჟუაზიულ დასავლეთს ისევ აკრიტიკებდნენ. მაგრამ ასეთი ფორმით აღწევდნენ ინტელიგენციის ინფორმირებას თუ რა ხდებოდა რკინის ფარდის მიღმა. ამ ანარეკლს ღებულობდა ქართული კულტურა და ცდილობდა მოვლენების, პრობლემების, ავტორების დახარისხებას.

ხელისუფლება აჯილდოებდა მეხოტბებსა და ილუსტრატორებს, მათ ავტორებს უქმნიდა კარიერას. ხოლო ნეიტრალები ჩრდილში იდგნენ. ისინი ქმნიდნენ, რასაც დროდადრო აღიარებდნენ კიდეც, მაგრამ რეკლამირების გარეშე ან ზოგი ასეთ ტენდენციას დროდადრო ავლენდა (მაგ., შოთა ნიშნიანიძე).

არსებობდა დროებითი მოხმარების ლიტერატურა და მხატვრობა, მუსიკა და სპექტაკლი. ისინი ერგებოდნენ ხალხის გემოვნებას, პარტიულ მოთხოვნებს. ამიტომ ხელისუფლება მათ სახავდა სანიმუშოდ.

აქტიურობდნენ ესტრადა, ანსამბლები, კომპოზიტორები. პოპულარული იყო მ. ფოცხიშვილის სასიმღერო ტექსტები, გ. ცაბაძის სიმღერები.

ნეიტრალები არაფერს ამბობდნენ მარქსსა და ლენინზე, სოციალიზმის აღმშენებლობაზე, არ აკრიტიკებდნენ პარტიას ან კომკავშირს, მაგრამ აღარც დითირამბებს წერდნენ, ისე მოძრაობდნენ, როგორც გამოცდილი მენავე რიფებს შორის (მაგ., თ. ჭილაძე და ო. ჭილაძე). სამაგიეროდ – ომისა და მშვიდობის თემები იყო სავალდებულო.

ახალგაზრდა ოთარ ჭილაძე წერდა ფრანკოს მომხრეების მიერ დახვრეტილ გარსია ლორკაზე, რათა ფაშიზმი გაეკრიტიკებინა, მაგრამ არა ტიციანსა ან პაოლოზე. პოემის პერსონაჟად გამოყავდა კრუს ხიმენესი, რომელიც დახვრიტეს ამერიკელმა ჯარისკაცებმა. მაგრამ, ცხადია, ვითომ არც არსებულა ბერლინის, ბუდაპეშტის, პრაღის ტრაგედია და იქ საბჭოთა ჯარების შეჭრა.

ისევ ჩნდებოდა ახალი ვარიაცია ძველი თეზისა – „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ერთ-ერთი ექსპერიმენტი იყო ვერლიბრის დამკვიდრება, ტრადიციული, კონვენციური ლექსის საპირისპიროდ (ბ. ხარანაული, ლ. სტურუა, ჯ. ფხოველი, გ. კვარაცხელია, მ. წიკლაური, რ. კალანდია).

ნეიტრალურ კულტურას საკმაოდ ვრცელი სპექტრი ჰქონდა. მაგ., თეატრში – რ. სტურუა, სახვით ხელოვნებაში – მ. ბერძენიშვილი, ე. კალანდაძე, ე. ამაშუკელი, ზ. ნიჟარაძე, ნ. იანქოშვილი, პოეზიაში – მ. მაჭავარიანი, მ. ლებანიძე, ტ. ჭანტურია, გ. გეგეჭკორი, ე. კვიტაიშვილი, ლ. სტურუა, ბ. ხარანაული, ვ. ჯავახაძე, პროზაში – ო. ჩხეიძე, ო. ჭილაძე, გ. დოჩანაშვილი, ჯ. ქარჩხაძე, რ. ინანიშვილი, რ. ჭეიშვილი, რ. მიშველაძე, ნ. წულეისკირი, კრიტიკაში – ა. ბაქრაძე, გ. ასათიანი, ო. პაჭკორია, კინოხელოვნებაში – თ. აბულაძე, ო. იოსელიანი, პუბლიცისტიკაში – რ. ჯაფარიძე, გ. ფანჯიკიძე...

კაფკასებური ხედვით, ორიგინალური სტილითა და სადა ენით გამოირჩეოდა პროზაიკოსი და კინორეჟისორი გოდერძი ჩოხელი.

რევაზ მიშველაძემ ნოველის ჟანრში მოაქცია კომიზმი და ლირიზმი, თანადგომა უბრალო ადამიანებისადმი, კრიტიკული პათოსი.

ოთარ ჭილაძემ ანალიტიკურ პროზას, განსჯასა და ანალიზს მიმართა, რომელიც რეალობის ასახვა კი არ იყო, არამედ ავტორის ფანტაზირება.

70-იანი წლებიდან მარკესის „მარტოობის ასი წელი“ გახდა პოპულარული, რამაც მწერალი და მკითხველი მიახედა ლათინური ამერიკისაკენ, სადაც იბრძოდა რევოლუციური კუბა, შემდეგ იყო აიტმატოვის „და დღე უფრო გრძელი იყო წუთისოფელზე“.

კასტრო არა, მაგრამ ახალგაზრდობის ნაწილს მოსწონდა ბუნტარი ჩე გევარა, მეორე ნაწილს – ჰიპური მოძრაობა.

ითარგმნებოდა ლათინური ამერიკის მწერლობა.

ეს ინტერესი აისახა გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი“.

ქართულ-უკრაინული კონტაქტებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტი იყო რაულ ჩილაჩავას მოღვაწეობა კიევში.

ხელოვნების ნიმუშზე მეტი მნიშვნელობა მიეცა ავტორის პოზიციას, პირად კონტაქტებს, მთავრობისადმი სიტყვიერ მხარდაჭერას.

მთავარი იყო მიმართება სუკთან და ცეკასთან, მათი დავალებების შესრულება, რაც შეიძლებოდა სულ არ შეხებოდა ხელოვნებას ან მეცნიერებას.

პარტიიდან და იდეოლოგიიდან დისტანცირებულებს სუკი მართავდა და ფარულად ქმნიდა ახალ სუბკულტურას, რაც მომავალს მიემართებოდა, თუმცა სუკშიც განსხვავებული ტენდენციე-

ბი მოქმედებდა – ერთი მხრივ – აკრძალვა, მეორე მხრივ – უხმო დასტური.

კულტურშემოქმედი უნდა ყოფილიყო არა იმდენად იდეოლოგიის, რამდენადაც – ხელისუფლების ერთგული (მაგ., პუბლიცისტური სიტყვით, მთავრობისადმი მხარდაჭერით, პირადი კონტაქტებით, ყოფნით დღესასწაულებსა და ღონისძიებებზე).

ხელისუფლებას კონკრეტული, მოსკოვისათვის საიმედო კადრები განასახიერებდნენ. იდეოლოგია გახდა აბსტრაქტული ცნება, რომელსაც ფორმალურად იცავდნენ.

მისდამი ფანატიზმიც იდევნებოდა. ფანატიკოსები ხელისუფლებას არ სჭირდებოდა, როგორც იყო სტალინ-ბერიას დროს.

ნეიტრალურ კულტურას ჰქონდა მიდრეკილება მოდერნიზმისა და ავანგარდიზმისაკენ, ელიტარიზმისაკენ. ის თავისი ბუნების გამო ვერც პოპულარული იქნებოდა, რაც ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა.

50-იანი წლებიდან ევრო-ამერიკულმა და ინდურმა ფილმებმა დაიპყრეს კინოდარბაზები, რა თქმა უნდა, გარკვეული ფილტრაციით (მაგ., „ტარზანი“, „ავარა“, ჩარლი ჩაპლინი, „ბატონი 420“).

ასევე გავრცელდა საესტრადო მუსიკა, ჯაზი, როკენ როლი. მათ ქუჩიდან და ესტრადიდან რადიოსა და ტელევიზიაში გადაინაცვლეს.

რადიომიმღები იყო დასავლეთის სარკმელი. მას პოემასაც კი უწერდნენ – გივი გეგეჭკორის „ტრანზისტორი“.

მაგრამ პოლიტიკურ, ანტისაბჭოურ გადაცემებს ცენზურა ახშობდა.

მხატვრობაში აბსტრაქციონიზმი შეიჭრა, რასაც აკრიტიკებდნენ (მაგ., ხრუშჩოვი). მაგრამ მაინც აგრძელებდა არსებობას. შემდეგ ერთ-ერთმა შერისხულმა ხრუშჩოვის საფლავზე სწორედ აბსტრაქციონისტული ძეგლი აღმართა – ცნობილმა ნეიზვესტნიმ.

80-იან წლებში, ედ. შევარდნაძის დასტურით, თენგიზ აბულაძემ გადაიღო „მონანიება“ (სცენარი ნ. წულეისკირისა. ფილმის გაშვება შეაჩერეს), ელდარ შენგელაიმ – „ცისფერი მთები“ (სცენარი რ. ჭეიშვილისა), ფილმი საბჭოური ცხოვრების აბსურდულობაზე.

მას მოსკოვმა სახელმწიფო პრემია მიანიჭა.

რუსთაველის თეატრი გასტროლებს მართავდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ისევე როგორც სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

რ. ჩხიკვაძეს რიჩარდის როლში ოლივიეს ადარებდნენ.

ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცება“ დაიდგა დიდი თეატრის სცენაზე და მიენიჭა ლენინური პრემია. ეს მაშინ, როცა თავად რომანი მოსკოვში არც გამოცემულა.

ნეიტრალებს გათვლა მომავალზე ჰქონდათ. ხელისუფლებასაც მათი სრული აღიარება შორს გადაჰქონდა. ან პირადი კონტაქტებისა და საიდუმლო დამსახურების გამო გზას უხსნიდნენ, როგორც უპარტიოებს ადრე.

ნეიტრალები არ იყვნენ დისიდენტები. მათ თავიანთი საქმე, სპეციალობა აინტერესებდათ, როგორც სიცოცხლის მიზანი.

ნეიტრალური კულტურის შესაბამისი იყო აბაშისა და ფოთის ე. წ. ექსპერიმენტები, ექსპერიმენტი მეცხოველეობაში, ლენინური ნორმების აღდგენის ცდა, ბრძოლა უშრომელი შემოსავლისა და ალკოჰოლის წინააღმდეგ.

ნეიტრალებსა და დისიდენტებს შორის

როცა ნეიტრალები ნაციონალურ თემატიკას, თანამედროვეობის აქტუალურ და ხალხისათვის მტკივნეულ პრობლემებს ეხებოდნენ, უნებურად დასიდენტობისაკენ იხრებოდნენ.

ასეთი პათოსი ზოგს ჰქონდა კომუნისტური საზოგადოების გაჯანსაღების რწმენით, რათა განევითარებინათ ეროვნული ტენ-

დენციები (მაგ., რეზო ჩხეიძის კინოფილმი „რაიკომის მდივანი“, რევაზ ჯაფარიძის პუბლიცისტიკა, გურამ ფანჯიკიძის რომანები და პუბლიცისტიკა).

ჩამოყალიბდა ე. წ. მამხილებელი ლიტერატურის ცნება, რომელიც წამოსწევდა ცხოვრებისეულ თუ მმართველობით მანკიერებებს. მაგრამ ხელისუფლების პოზიციიდან. ამას მოსდევდა გადაცდომაც (მაგ., აკაკი ბაქრაძის სტატიები, მოხსენებები და საუბრები, ნოდარ წულეისკირისა და რევაზ ჯაფარიძის ზოგიერთი გამოსვლა, რევაზ მიშველაძის ნოველები).

აკაკი ბაქრაძე, ერთხანს რუსთაველის თეატრის დირექტორი, პოლიტიკური თვალთხედვით აშუქებდა კულტურის პრობლემებს. მაგრამ თავად კულტურისათვის ახალ გზებს არ სახავდა, არც პოლიტიკისათვის. ამიტომ პერესტროიკის პერიოდში შენელდა მისი აქტივობა. ხოლო ზ. გამსახურდიას უარყოფამ და ჯ. იოსელიანისათვის თანადგომამ ნაადრევად ჩრდილში მოაქცია.

აკ. ბაქრაძემ დაიწყო ლიტერატურის მითოსური ინტერპრეტირებაც, რაც სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა და ინფორმაციებით შეივსო, გადავიდა ფსიქოანალიზსა, სიცოცხლის ფილოსოფიისა და ანთროპოლოგიაში.

გ. ასათიანი, თ. ჩხენკელი, ო. პაჭკორია უფრო ესთეტები იყვნენ. მათ მსჯელობას არ ახლდა მომავლის პერსპექტივა, როგორც ეს ჰქონდათ გრ. რობაქიძეს, ტ. ტაბიძეს, კ. გამსახურდიას, ვ. გაფრინდაშვილს – მოდერნიზმის იდეოლოგებს.

ეს ფუნქცია ვერც თ. ჭილაძემ შეასრულა.

აქტუალური თემატიკა ხელისუფლებისათვის სხვა იყო, ხალხისათვის სხვა.

მაგ., პარტიას ისევ სჭირდებოდა სოციალისტური შეჯიბრებების, ბამის, ვიეტნამისა თუ ავღანეთის თემების გაშუქება, ხალხთა მეგობრობის ჩვენება (მაგ., გიორგი დანელიას კინოფილმი „მი-

მინო“, ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა“, შოთა ნიშნიანიძის ლირიკა).

მუხრან მაჭავარიანი ნებადართული ნაციონალისტი იყო, რომელიც ისტორიაში მომავლისთვის ეძებდა გმირულ სულს; რევაზ მიშველაძე იუმორის სამოსელით ნიღბავდა სისტემის კრიტიკას; რეზო ჭეიშვილი და ელდარ შენგელია აბსურდის დასავლური იდეით აჩვენებდნენ საბჭოთა ყოფის უაზრობას (კინოფილმი „ტიანშანი ანუ ცისფერი მთები“).

გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“ რომ დაიბეჭდა 1970 წლის ბოლოს და 1971 წლის დასაწყისში ჟურნალ „ცისკარში“, ოფიციოზი მწერალს თავს დაესხა, რადგან მოეჩვენათ, რომ აქ იდეოლოგიური კრიტიკა იჩენდა თავს.

ეჭვით უყურებდნენ „დათა თუთაშხიას“ პუბლიკაციას, თუმცა ავტორი უკვე ხელისუფლების ერთგული იყო.

აქ მხოლოდ დაბეჭდვის საკითხი არ იდგა, არამედ უნდა გაერკვიათ – შეიძლებოდა თუ არა იმ წიგნის პროპაგანდა, წინ წამოწევა (მაგ., ტელესერიალისათვის).

შემდეგ რომანს გზა გაუხსნეს უცხოეთისკენაც და საკავშირო ტელევიზიის დაკვეთით გიგა ლორთქიფანიძემ გადაიღო შვიდსერიიანი ფილმი. პერსონაჟი დათა თუთაშხია ამ ფილმითაა პოპულარული (მსახიობი ო. მეღვინეთუხუცესი).

რობერტ სტურუას სპექტაკლები „კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდ მესამე“ ქართულ ტექსტებს არ ემყარებოდა. აქ მთავარი იყო რეჟისურა, აქტიორების თამაშის სტილი, რაც ბრეხტის თეატრის ესთეტიკას გულისხმობდა.

ბრეხტი კომუნისტი იყო, რომლის თეატრალურ ხელოვნებას აღიარებდა დასავლეთი.

რ. სტურუა ბოლშევიკური ოჯახიდან იყო (ვანო და გიორგი სტურუები). მისი მამიდაშვილი ცეკას მდივნად მუშაობდა (ვიქტორია სირაძე).

ეს იდეოლოგიურად. კულტურის თვალსაზრისით კი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ რეჟისორი იყო მიხეილ კვესელავას სიძე, რომელმაც ახალგაზრდა შემოქმედს გააცნო გერმანელი ავანგარდისტები.

ედუარდ შევარდნაძე თავისი ხელისუფლების ერთგულ კულტურშემოქმედებს უფლებას და საშუალებას აძლევდა, რომ გასცილებოდნენ კომუნისტურ დოგმებს და, აბაშისა და ფოთის ექსპერიმენტების მსგავსად ეკონომიკის სფეროში, განეგრძოთ ცდები, ახალი გზების ძიება.

იგი აყალიბებდა თავის ერთგულ ინტელიგენციას, როგორც სტალინის დროს – ლავრენტი ბერია (მაგ., პროზაში – ნ. დუმბაძე, ჯ. ამირეჯიბი, პოეზიაში – შ. ნიშნიანიძე, მ. ფოცხიშვილი, თეატრში – რ. სტურუა, გ. ლორთქიფანიძე, რ. ჩხიკვაძე, კინემატოგრაფში – რ. ჩხეიძე, ე. შენგელაია, მუსიკაში – ჯ. კახიძე, კრიტიკაში – გ. ასათიანი, მეცნიერებაში – ე. ხარაძე...).

დისიდენტური კონტრპოზიცია

დისიდენტური მოძრაობა საქართველოში მცირერიცხოვანი იყო, აგრძელებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელთა ტრადიციებს. მას არც განსხვავებული კულტურა შეუქმნია, რადგან არ იყო საშუალება, პრესა, თავისუფლების მინიმუმი, განსხვავებით რუსებისგან, რომლებიც ახერხებდნენ ლიტერატურასა (მაგ., ალ. სოლჟენიცინი), ადამიანის უფლებათა დაცვის (ა. სახაროვი) ან ხელოვნების სფეროში რადიკალურად განსხვავებული აზროვნების ჩვენებას.

მათ შველოდათ ის, რომ იყვნენ რუსები, კავშირი ჰქონდათ მრავალმილიონიან ემიგრაციასთან. ისინი კი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს სსრკ-ში მიმდინარე პროცესებს.

მათი დახმარებით ღებულობდნენ რუსები ნობელის პრემიას (ბუნინი, პასტერნაკი, სოლჟენიცინი, სახაროვი, ბროდსკი).

ქართველ დისიდენტებს, მაგ., ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას ჰქონდათ კონტაქტები რუს თანამოაზრეებთან. მაგრამ ეს იყო დროებითი კავშირი, რადგან რუსები არ თანაუგრძნობდნენ ქართულ ნაციონალიზმს.

ზ. გამსახურდიამ მოახერხა დისიდენტური პრესის ორგანიზება (მაგ., „ოქროს საწმისი“). მაგრამ მას არ ჰქონდა დიდი რეზონანსი.

საზოგადოება მტრულად და უნდობლად ეკიდებოდა დისიდენტებს. ე. შევარდნაძე არაპირდაპირი მოქმედებით ბიძგს აძლევდა დისიდენტებს, ახშობდა და აქეზებდა, კრიტიკით, დაგმობით, სასამართლოთი და ციხით უქმნიდა რეკლამას, ვისაც შეეძლო თავგანწირვა. ამას იგი სათავისოდ იყენებდა, რათა მოსკოვს დაენახა თუ როგორ ებრძოდა იგი ქართულ ნაციონალიზმს, სოციალიზმიდან გადახვევას, კორუფციას, სპეკულაციას.

ამიტომ გზავნიდა ციხეში დისიდენტებს, მოითხოვდა თვითმფრინავის გამტაცებელთა დახვრეტას, კორუფციონერთა სამაგალითო დასჯას, თუნდაც რექტორი და აკადემიკოსი ყოფილიყო იგი ან მეგობარი.

1976 წელს, მწერალთა ყრილობაზე, მოსკოვის ერთ-ერთი ინიციატივა გააკრიტიკა რ. ჯაფარიძემ. შემდეგ ასეთივე პოზიცია დაიკავა ნ. წულეისკირმა. ამ დროს გამოდის მ. მაჭავარიანის რჩეული ლექსების კრებული, რომლითაც იწყება ქართული წიგნის ბუმი. მიზეზი იყო პატრიოტიკა, დისიდენტური მარცვლების ძიება. აქტიურობდა ზ. გამსახურდიას ჰელსინკის ჯგუფი.

ედ. შევარდნაძესაც ეჭვით შეხედა მოსკოვმა და ძლივს გადაურჩა მოხსნას.

ზოგი ქართველი სტოვებდა „კომუნისტურ სამოთხეს“ და ბედს ეძიებდა „კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში“ (მაგ., მსახიობი ნ. შარია, მუსიკოსი ლ. თორაძე). ვრცელდებოდა დისიდენტური ლიტერატურა სუკის აგენტურულ ქსელში. ნაციონალიზმი იდევნებოდა (მაგ., ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას დაპატიმრება), მაგრამ იმავდროულად, არაპირდაპირ ინარჩუნებდნენ.

მიუხედავად სისუსტისა, დისიდენტური აზროვნება და კულტურა იყო მეორე პოლუსი, ის არსებობდა და ჰყავდა ფარული თანამოაზრენი, ეხმიანებოდა საზოგადოების ირონიულ და ცინიკურ დამოკიდებულებას საბჭოთა სისტემისა და იდეოლოგიისადმი.

ეს რადიკალური, ანტისაბჭოური კონტრკულტურა სწრაფად განვითარდა პერესტროიკის პერიოდში და გადააფასა გაბატონებული სოციალისტური ღირებულებანი.

ამისათვის მიმართავდნენ სოვეტოლოგებს, ემიგრანტულ კულტურას, სამზეოზე გამოჰქონდათ მიჩქმალული ფაქტები, სახელები, ნაწერები. ზოგი ძველი თარიღით აქვეყნებდა ახალ ლექსებს (მაგ., მ. ქვლივიძის „უჯრის პატიმრები“).

დისიდენტური აზროვნებაც, რომელმაც შეაღწია ახალგაზრდების წრეში და გამოჩნდა 1978 წლის 14 აპრილს, როცა შეებრძოლნენ შევარდნაძის მიერ დადგმულ სპექტაკლს, სჭირდებოდა ქვეყნის განვითარების პერსპექტივას. ამდენად იყო ექსპერიმენტების ნაწილი.

როცა დადგა პერესტროიკისა და საჯაროობის ჟამი, სწორედ მეორე პოლუსისაკენ გადაიხარა ძალთა თანაფარდობა და კულტურის ვექტორი. თუმცა იდეებისა და ლოზუნგების რეალიზება ვერ მოხერხდა.

ახალი პოლიტიკური რეალობა მოითხოვდა ახალ აზროვნებას და კულტურას, რომლის ჩამოყალიბება ვერ შეძლეს კომუნისტური საზოგადოების წიაღში შობილმა ნეიტრალებმა.

მათ არჩიეს ამ მეორე პოლუსის დამხობა, რომელმაც პირველობა მოიპოვა. მძიმე ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაციის გამო ვერ განვითარდა კულტურის ახალი ტენდენციები. ძველი ისედაც კვდებოდა და ამან საბოლოოდ გამოიწვია კულტურის რეგრესი.

დეჰეროიზების პათოსი

60-იანი წლებიდან მთელი ქართული კულტურა დაემორჩილა დეჰეროიზების პათოსს. ჰეროიკა, რომანტიკა, გმირობის კულტი დარჩა, მაგრამ მათი არეალი შეიზღუდა. უფრო გავრცელდა, წინა პლანზე გადმოვიდა კომიზმი, იუმორი, სიცილი, ყოფითი ურთიერთობანი, მასის წევრის განცდები.

კინემატოგრაფი ერთი მხრივ „ბაში-აჩუკსა“ და „მამლუქს“, მეორე მხრივ – „ჩვენი ეზოსა“ და „სხვის შვილებს“ იღებდა.

რუსთაველის თეატრში ტაშს უკრავდნენ „ხანუმას“, მარჯანიშვილში – „ძველი ვოდევილებს“. ინტერესით ეკიდებოდნენ მუსკომედიას, „ყვარყვარე თუთაბერს“.

პოპულარული ფილმებია „უდიპლომო სასიძო“ და „თოჯინები იცინიან“, შემდეგ – „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ვერის უბნის მელოდიები“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები“, „ბურთი და მოედანი“, „სერენადა“, „რეკორდი“, „ქვევრი“, „ქორწილი“, „სოფლის აშიკი“, „ღვინის ქურდები“. იწერება ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“. მათ დაიპყრეს არა მხოლოდ მკითხველი მასების გული, არამედ სცენაზე და ეკრანზეც გადავიდნენ.

კრიტიკაშიც გავრცელდა სატირა და იუმორი, ფელეტონური სტილი (თ. წივწივაძე), პოეზიაში – ანტიესთეტიზმი და პაროდიები (ტ. ჭანტურია), სიცილი და ღიმილი (ვ. ჯავახაძე, ზ. ბოლქვაძე, ნ. ბართაია).

სოციალური ესთეტიკა რამდენიმე მიმართულებით განვითარდა – მხატვრულ სიტყვაში გაერთიანდა სენტიმენტალური ნაკადი და იუმორი (ნ. დუმბაძე, რ. მიშველაძე). იუმორი გადაიზარდა მოვლენების ირონიულ ჭვრეტაში (ო. ჩხეიძე, გ. დოჩანაშვილი, ო. ჭილაძე).

დეჰეროიზებას შეუერთდა ინტელექტუალური ჭვრეტა, ანალიზი და დაკვირვება, თამაში და აზრის გიმნასტიკა, სტილიზებული ენა.

გრ. აბაშიძემ თავის რომანებში პათეტიკა და არქაიკა უარყო.

გ. ლეონიძისა და კ. გამსახურდიას პათეტიკას, ი. გრიშაშვილის რომანტიკას შეენაცვლა ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის, ო. ჭილაძის ინტელექტუალური პოეზია, აკ. ხორავას მონუმენტალიზმს – ე. მანჯგალაძის, გ. გეგეჭკორის, რ. ჩხიკვაძის, ი. ხვიჩიას, ს. თაყაიშვილის პათეტიკანარევი იუმორი.

ინტერესს იწვევდა, ერთი მხრივ – დონკიხოტური ბუნების არაადექვატური პერსონაჟები (რ. ჩხეიძემ სულაც 12 სერიიანი „დონ-კიხოტი“ გადაიღო), მეორე მხრივ – ნორმალობის და შეშლილობის ზღვარზე მდგარი ადამიანები (მაგ., „ახირებული კაცი“), მათი თავისუფალი ქცევა, რასაც მოსდევდა ალკოჰოლი, ნარკოტიკი, ციხე.

გავრცელდა ქურდის რომანტიკა, მაგრამ არა დისიდენტისა (შდრ – სიმღერა – „ასეთია ქურდი კაცის ბედი“), ლოთის იდეალი და არა ინტელექტუალისტისა (შდრ – აქცენტირება გალაკტიონის ალკოჰოლიზმზე და არა „არტისტული ყვავილების“ ესთეტიზმზე, ფიროსმანი და ღვინო).

მსუბუქ ჰანგებს სდევნიდა ვერლიბრი, მძიმე და სასაუბრო სტილი, პარადოქსი და მახვილი აზრი (ტ. ჭანტურია, მ. ფოცხიშვილი).

80-იანი წლებიდან კი ისევ ჰეროიკა იბრუნებს პოზიციებს, როცა იწყება ეროვნული მოძრაობა. ამ დროს ისევ ძლიერდება მ. მაჭავარიანის პოეზია, დრამატული სიტყვა, პათეტიკა (თ. მღვდლიაშვილი, ნ. ჯალაღონია, ნ. ბართაია, დ. ივარდავა).

60-იანი და 70-იანი წლების ქართულ კულტურაში გავრცელებული ფერისცვალება იყო მასების განწყობილების გამოხატვა, მათ შეცვლილ იდეალებზე რეაგირება.

ხალხს მობეზრდა ომი და შრომა, სისხლისღვრა და ტრაქტორის გუგუნი, თავგანწირვის ჰანგები, მოენატრა ყოფითი, ჩვეულებრივი ურთიერთობანი, ფიქრი და ოცნება, გართობა და სიყვარული.

ჰეროიკა დარჩა წარსულში, ისტორიის სიღრმეში.

თანამედროვეთათვის დრომ გაახუნა გმირული იდეალები, რისთვისაც იბრძოდნენ ბოლშევიკები, მშრომელი მასები.

ფიქრის, განსჯის, ანალიზის, ექსპერიმენტული ფორმების ხელოვნებაც დეჰეროიზებული იყო, როგორც რაციონალისტური კულტურა.

სტალინის სიკვდილი, ბერიას დახვრეტა, სტალინის კრიტიკა, ჩეკისტების პროცესი, სტალინური პოლიტბიუროს გარეკვა (მოლოტოვი, მალენკოვი, კაგანოვიჩი, ბულგანინი), ჟუკოვის დამხობა ხალხს არწმუნებდა, რომ არაფერს ფასი არ ჰქონია, რომ თურმე ეს ხალხი, ეს იდეალები ყალბი ყოფილა.

უმწეო ხალხს შეეძლო მხოლოდ ეცინა, დაეცინა გუშინდელი კუმირებისა და რწმენისათვის (შდრ – გალაკტიონის ცინიზმი).

არაოფიციალურად ნებადართული იქნა რუსების, ხრუშჩოვის, პარტიის კრიტიკა, ოღონდ კულისებში, პირად საუბრებში, ჩუმად

და ფარულად. ამასაც ჰქონდა იუმორის ფორმა, ნიჰილისტური დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი, როგორც შარჟი და კარიკატურა.

ეს აისახა ანეკდოტებში, ხალხურ ლექსებში (მაგ., „სტალინს ჰყავდა ორი ვირი – ხრუშჩოვი და ბულგანინი“, „როცა იყო ნიკო, ყველაფერი იყო, როცა იყო სოსო – ყველაფერი მოსპო, როცა იყო ნიკიტა, ყველაფერი იქითა“, „ვოროშილოვს ვოტკა უყვარს, მიქოიანს – აგარაკი, ხრუშოვი კი წაგვივიდა, ბრეჟნევზეა ლაპარაკი“).

დეჰეროიზება გადადიოდა ნიჰილიზმში, როცა ხალხს აღარც ღმერთი სწამდა, აღარც ბელადი. დარჩა სიცილი, ირონია, გართობა, მოგონება, ყოფითი ინტრიგები, სწრაფვა კომფორტული ცხოვრებისაკენ, რაც კორუფციის გარეშე შეუძლებელი იყო.

კორუფცია იდევნებოდა. მაგრამ მას სიტუაცია წარმოშობდა და აქაც მოქმედებდა შერჩევის პრინციპი, ფარული წაქეზება.

დეჰეროიზება იწვევდა კომიზმს, აბსურდსა და ნიჰილიზმს, რწმენის კრიზისს (რ. ჭეიშვილი, რ. მიშველაძე, ო. ჩხეიძე).

ხალხის კოლექტიურ ნევროზს აცხრობდა როგორც სპორტული შერკინებანი, სადაც ქართველები რუსებსა და სომხებს ეტოქებოდნენ, ისე ანეკდოტი, სატირა, შარჟი, კარიკატურა (მაგ., ჟურნალ „ნიანგში“).

პარალელურად საზოგადოება იჭღინთებოდა ანტისაბჭოური განწყობილებით, რასაც აძლიერებდა ნაციონალისტური ნოსტალგია სტალინზე და ბურჟუაზიული მდიდრული ცხოვრების ხილვით გამოწვეული უნდობლობა საბჭოთა მწირი სინამდვილისადმი.

კაპიტალისტური იქცა ეტალონად და იდეალად, აღიარების მარკად.

მილიონების თვალში საბჭოთა ხელისუფლება გაკოტრდა. დასავლეთის დაწოლით იწყება მიხეილ გორბაჩოვის პერესტროიკა, რომლის სიმძიმე გადადიოდა მასმედიაზე.

დეჰეროიზება და ნიჰილიზმი იცვლებოდა განახლების რწმენით, ახალი ჰეროიკით, მასების აზვირთებით, სამიტინგო სპექტაკლებით.

3. პერესტროიკა და ნაციონალიზმი

პარტია, სუკი, მათთან დაკავშირებული ინტელიგენციის გონიერი ნაწილი, რომელსაც ცოდნაც ჰქონდა, ნიჭიც და უცხოეთსაც კარგად იცნობდა, ხედავდნენ, რომ რადიკალური რეფორმა, რადიკალური განახლება აუცილებელი იყო.

აშშ-სთან, ევროპასთან, იაპონიასთან მიმართებით ჩამორჩენა იზრდებოდა. ცივი ომი, გამალებული შეიარაღება, იდეოლოგიური ამბიციები ანგრევდა ეკონომიკას. კულტურის იზოლირება კი მას პერიფერიულ მოვლენად აქცევდა.

100 წლის წინანდელი თეორიებით დღეს ცხოვრება არ შეიძლებოდა. როგორც თავის დროზე ბერია, ისე ანდროპოვიც ხვდებოდა, რომ ახალი გზა უნდა ეძებნათ. მაგრამ კონსერვატიული ნაწილი, იდეოლოგიურად ფორმირებული საზოგადოება ასე არ ფიქრობდა.

ამიტომ ძნელი იყო გამოსავლის პოვნა – ვინ შეაბამს კატას ეჟვანს, ვინ წავა რადიკალიზმის გზით და როგორ, ისე, რომ ძალაუფლება და თავი არ დაკარგოს და საქმეც გაკეთდეს?

ედ. შევარდნაძე, ისევე როგორც ანდროპოვი და შემდეგ გორბაჩოვი, მოღვაწეობას იწყებდნენ ლენინური ნორმების აღდგენის ლოზუნგებით (მაგ., გორბაჩოვისეული ანტიალკოჰოლური კამპა-

ნია, ე. წ. უშრომელი შემოსავლის აკრძალვა, ანდროპოვის მიერ სამსახურეობრივი დისციპლინის განმტკიცება, იდეოლოგიური სიწმინდის დაცვა), რაც ბუნებრივად გააძლიერებდა დისიდენტურ რადიკალიზმს, განახლების მოთხოვნილებას, რასაც ირწმუნებდნენ კონსერვატორები.

ან ეს მოხდებოდა ან სოციალიზმი სიცოცხლეს გაიხანგრძლივებდა. ამავე დროს აქტიურობდა დასავლური პროპაგანდა, რომელიც ფაქტებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ სოციალიზმს, კომპარტიას არ ჰქონდა წარმატების პერსპექტივა (მაგ., იარსებებდა თუ არა სსრკ 1984 წლამდე).

სოციალიზმი შიგნიდან უნდა აფეთქებულიყო. სოვეტოლოგების ნაშრომები იკრძალებოდა. დასაშვები იყო კრიტიკა (მაგ., ბელიაევის წიგნი), რომელიც მიგახვედრებდა მათ ნააზრევს.

სსრკ-ს ისევ ერთი პარტია, მისი გენერალური მდივანი მართავდა და არა პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი, რაც თავის დროზე დიქტატურის შედეგი იყო, ახლა კი პლუს ანაქრონიზმიც გახდა.

კულტურა, მასმედია, ხელოვნება, მეცნიერება სიახლისკენ იყო მიმართული. აჩვენებდა რეალობის აბსურდულობას, რომ პარტიული ლოზუნგები, იდეები და მოთხოვნები უკვე კომიზმის სფეროში გადავიდა (მაგ., „ხუთწლედი – ოთხ წელიწადში“, „იკისრე? – შეასრულე კიდეც!“, „საქართველო უნდა გახდეს და გახდება კიდეც მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა!“, „კიდევ უფრო მტკიცედ დავირაზმოთ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო“).

მათ ინფორმაციებს კრებდა და აანალიზებდა სუკი. მაგრამ ისიც ფრთხილობდა – ძნელი იყო განჭვრეტა თუ რას მოიტანდა მომავალი – რადიკალიზმი ან კონსერვატიზმი.

მიხეილ გორბაჩოვი 1987 წლის იანვრიდან იწყებს სსრკ-ის გარდაქმნის გეგმის ერთდროულ შემუშავებასა და რეალიზებას.

იგი ჰუმანიტარი არ იყო და ღრმად არ იცნობდა იდეოლოგიურ კონცეფციებს. ამიტომ უფრო ემყარებოდა მიღებულ ინფორმაციებს, საკმაოდ წინააღმდეგობრივს.

მისი თანამოაზრენი პოლიტბიუროში იყვნენ იაკოვლევი (სუკ-ის მინისტრის კრიუჩკოვის ჩვენებით – ცრუ-ს აგენტი) და შევარდნაძე.

შევარდნაძე კარგი შემსრულებელი იყო, ექსპერიმენტების მომხრე, თანაც – ქართველი კარიერისტი, რომელიც პრაგმატულად უყურებდა მოვლენებს და დიდად არ იდარდებდა რუსეთის ნაციონალ-იმპერიალისტურ ინტერესებზე, არც კომუნისტურ იდეალებზე.

გორბაჩოვის პერესტროიკა, სიტყვა-სიტყვით – „გადაშენება“, მართლაც სსრკ-ის და კომპარტიის მმართველობის აღსასრული აღმოჩნდა!

როგორც ადრე ვწერდი, შევარდნაძის კარიერა აგებული იყო დათმობათა ხარჯზე, დამარცხებათა საფუძველზე:

საბოლოოდ იგი აღმოჩნდა დამარცხებული დიპლომატი, რომელმაც ყველა მოლაპარაკება კაპიტულაციით დაასრულა; დამარცხებული მთავარსარდალი, რომელმაც დაკარგა სამაჩაბლო და აფხაზეთი; დამარცხებული პოლიტიკოსი, რომლის მოღვაწეობა კატასტროფული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოსათვის.

გორბაჩოვმა განაცხადა, ისტორიაში თეთრი ლაქები არ უნდა არსებობდესო, რაიკომის მდივნის და საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები უნდა გაიმიჯნოსო და ეს პოსტები ერთ კაცს ჩააბარა!

თავადაც გახდა გენერალური მდივანთან ერთად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

რეალურად ეს იყო პარტიიდან გადანაცვლებისა და საჯაროობის დაწყების პროცესი, რასაც მოჰყვა ნებადართული რევოლუცია, აკრძალულ სახელთა დაბრუნება, აკრძალულ თემებზე მსჯელობა.

გორბაჩოვის მოკავშირეები იყვნენ დისიდენტები (ამიტომ ისინი გამოუშვეს ციხეებიდან), ნაციონალისტები, კულტურის მუშაკები, ახალგაზრდობა.

პერესტროიკის მთავარი სიმძიმე იტვირთა მასმედიამ, რომელმაც დისკუსიებით, რეაბილიტირებული სახელებით, მწვავე პრობლემების, სტალინური რეპრესიების გაშუქებით ძირი შეურყია პარტიის დიქტატურას.

გორბაჩოვის მიზანი იყო, რომ სსრკ ყოფილიყო მრავალპარტიული, დემოკრატიული, საბაზრო ეკონომიკის, პლურალისტური ერთიანი სახელმწიფო. მაგრამ მოინდომა 15 რესპუბლიკა დაეშალა 50 შტატად აშშ-ის მსგავსად, რაც ნიშნავდა ნაციონალურ ინტერესებთან (მათ შორის – რუსებისაც) შეჯახებას.

ამიტომ, ერთის მხრივ, მიიღო სსრკ-დან გასვლის კანონი, რაც არგასვლას ნიშნავდა, მეორეს მხრივ – მოიგონა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც არავის მოსწონდა.

ამას დაერთო, გამომდინარე დემოკრატიზმიდან, პარტიის როლის დაკნინება, მისთვის დომინანტური ფუნქციის ჩამორთმევა, ეკონომიკური დაქვეითება და ნაციონალიზმის გაძლიერება რესპუბლიკებში.

ეს რომ დროში გაწელილიყო, როგორც მოხდა ჩინეთში, შეიძლებოდა სსრკ დაშლას გადარჩენოდა, როგორც ჰარმონიზებული ქვეყანა ან რომ დაყრდნობოდა გორბაჩოვი 15 რესპუბლიკის ნაციონალურ ინტერესებს, კონფედერაციის მოდელს.

მაგრამ მას უნდოდა დემოკრატიული, უნიტარული რუსული სახელმწიფო, რომელშიც რუსებმა თავიანთი ღირსების შელახვაც დაინახეს (თავად რსფსრ–ც უნდა დაშლილიყო).

ამდენი წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლებელი იყო, მოქმედებდა ცენტრიდანული ძალები, მოქმედებდა დასავლეთიც და გორბაჩოვმა ფიასკო განიცადა – დაიშალა სსრკ და დაკარგა პრეზიდენტის პოსტიც.

გორბაჩოვი დაამხო სსრკ ხალხების ნაციონალიზმმა.

ელვისებურ პროცესებზე რეაგირებას კულტურა ვერ ახდენდა, არათუ ზეგავლენას. საქართველოშიც, სადაც ინტელიგენცია თითქოს იყო ნაციონალისტურად განწყობილი, კულტურის მუშაკები დაიბნენ, ვერ შეძლეს შემოქმედითი აქტივობის გაგრძელება, შენელდა და მერე სულაც გაქრა სახელმწიფოებრივი ყურადღება და დოტაცია.

ამიტომ მოეძალათ ნოსტალგია სსრკ-სადმი, რომელსაც განასახიერებდა ედ. შევარდნაძე. სუკის მიერ აღზრდილი კადრების დიდი ნაწილი განუდგა ზ. გამსახურდიას.

ეკლესიაც მოსკოვის კარნახით მოქმედებდა.

მათ აფრთხობდათ პირველი პრეზიდენტის რადიკალიზმი.

ევროპა და ამერიკა ცდილობდნენ მოსკოვისათვის მძიმე ჭრილობების მოშუშებას, ნაციონალური ღირსების შენარჩუნებას.

მათაც თავიანთი ინტერესი ჰქონდათ, თუმცა კარგად არც თავად უწყოდნენ თუ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი მსოფლიო წესრიგი.

პერესტროიკის დროიდან დაიშალა სსრკ-ის სოციალისტური კულტურა. ზ. გამსახურდიამ სცადა ნაციონალიზმთან ერთად ქრისტიანობის ფაქტორის გაძლიერება. მაგრამ დასავლეთი ასეთ ტენდენციებს არ ღებულობდა. იქ ადამიანის უფლებები, თავისუფალი მორალი და ფორმები ავიწროებდა ტრადიციულ ღირებულებებს

ანუ ნაციონალურ კულტურებს ენაცვლებოდა გლობალისტური, არსებითად – ამერიკანული კულტურა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გმირული სულის აღდგენა იყო, რომელიც უარყოფდა თამაშისა და გართობის კულტურას და ამოდიოდა რომანტიკულ-ჰეროიკული პათეტიკიდან. ჰეროიკა კი ქარიზმატულ ლიდერს წარმოშობდა.

გორბაჩოვის მსგავსად არც ჯუმბერ პატიაშვილი იყო ჰუმანიტარი. იგი ქვეყნის მომავალს უკავშირებდა ჰარმონიულ ურთიერთობას მოსკოვსა და თბილისს შორის. ამისათვის კი საჭიროდ მიაჩნდა ლენინური ნორმების აღდგენა.

მაგრამ პერესტროიკა სწორედ ამ საფუძველს არყევდა.

პატიაშვილის კონსერვატიზმი მარჯვედ გამოიყენა კარიერისტმა შევარდნაძემ და მას დაუპირისპირა დისიდენტობა, პერესტროიკის მომხრენი, ახალგაზრდები, მომიტინგენი, რასაც მოჰყვა 9 აპრილის ტრაგედია.

რესპუბლიკის სუკს მანამდე განაგებდა გამოცდილი გენერალი ალექსი ინაური. იგი სრულად იყო ინფორმირებული პოლიტიკურ პროცესებზე და კარგად იცნობდა კადრებს.

ცეკა ფორმალურად უჭერდა მხარს პერესტროიკას – თავის დასაკლავ დანას თვითონ ხომ არ გალესავდა. მაგრამ სუკი მოსკოვს ემორჩილებოდა და მან გააქტივა ინტელიგენცია, გააღვივა ნაციონალისტური ტენდენციები, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით.

ყოფილი პოლიტპატიმრები აქტიურობდნენ. მაგრამ ეს არ კმაროდა. საჭირო იყო ინტელექტუალების – მეცნიერების, მწერლების, მსახიობების ჩართვა პროცესში, რათა მასების ვნებათა ამბოხი რაციონალიზმით შეეზღუდათ. ამისი შედეგი იყო 1988 წლის ნოემბრის მიტინგები.

მწერალთა კავშირში გახშირდა დისიდენტური შეკრებები. მათში მწერლები მონაწილეობდნენ. მაგრამ უფრო აქტიურობდნენ ახლად გაჩენილი პოლიტიკური პარტიები.

სახალხო ფრონტის ჩამოყალიბების შემდეგ მწერალთა კავშირი აღარ იყო დისპუტების ცენტრი.

პოლიტიკურ პროცესებსა და დისკუსიებში ჩაერთვნენ ალ. ჯავახიშვილი, ალ. ბარამიძე, ნ. ნათაძე, ს. ხუციშვილი, ზ. კიკნაძე, თ. სიგუა, ა. ბაქრაძე, ზ. ჭავჭავაძე, გ. მამულია... მაგრამ ინტელექტუალურ ნაკადს სძირავდა მასების ფანატიზმი და დისიდენტების აქტივობა.

პოლიტიკურ გაზეთად გარდაიქმნა „სახალხო განათლება“ (რედ. ა. სილაგაძე), შეიცვალა „კრიტიკა“ (რედ. რ. მიშველაძე) და „ლიტერატურული საქართველო“ (რედ. ე. ჯაველიძე).

რუსთაველის საზოგადოებამ გამოსცა „მამული“ (რედ. ტ. ჭანტურია), სახალხო ფრონტმა – „საქართველო“.

ინტელექტუალიზმი, ისტორია, განსჯა და ანალიზი კარგი იყო. მაგრამ დრო მოითხოვდა პრაქტიკულ მოქმედებას, მასების წარმართვას, რაც შეეძლო ქარიზმატულ ლიდერს.

ასეთი იყო ზვიად გამსახურდია – რომანტიკულ–რელიგიური დისიდენტი.

იგი გია ჭანტურიას მეშვეობით ისევ შემოიყვანეს ეროვნულ მოძრაობაში – ჯერ გააკრიტიკეს (გაზ. „კომუნისტი“), შემდეგ დისიდენტები მიეფერნენ, ე. წ. მონანიება დაივიწყეს.

ზ. გამსახურდიას ინტელექტი და რადიკალიზმი სჭირდებოდა პერესტროიკას, სჭირდებოდათ გარკვეულ დრომდე იგი, არა ქვეყნის ლიდერად, არამედ ერთ-ერთ ძლიერ ოპოზიციონერად, რათა შევარდნაძისათვის სამომავალო გზა გაეკაფათ.

სუკი დასაშვებად მიიჩნევდა კონფედერაციის მოდელს, რომლის წინაპირობა იყო სუვერენიტეტების აღლუმი და ახლად მო-

ვლენილი რეგიონული პრეზიდენტები, პარტიის როლის შეზღუდვა.

სუკი სოციალიზმსაც ელეოდა.

როგორც ვთქვით, თავიდან მიტინგების ცენტრი იყო მწერალთა კავშირი, რომლის კარებს დისპუტებისათვის აღებდნენ სუკის მითითებით.

მალე მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს მუხრან მაჭავარიანი, ხოლო ცენტრი გახდა თანმიმდევრულად სახალხო ფრონტი, ფორუმი, მრგვალი მაგიდა, ასპარეზი – ქუჩა.

სუკი აქაც აქტიურად ერეოდა როგორც დაპირისპირებათა წარმოქმნაში (მაგ., ზ. გამსახურდიას გასანაპირებლად), ისე ერთიანობის მიღწევაში (სახალხო ფრონტისა და რუსთაველის საზოგადოების ფორმირება), რათა თავად ყოფილიყო დირიჟორი და პროცესები ემართა. ამისათვის დასჭირდათ „მხედრიონი“ და ჯაბა იოსელიანი.

ყველას გასაოცრად არნახული პოპულარობა მოიპოვა მასებში ზ. გამსახურდიამ. მისი მისტიკა, ინტელექტუალიზმი, ბიოგრაფია, გარეგნობა, ორატორული პათეტიკა ინტელიგენციაზეც მოქმედებდა, გარდა მოსკოვური ზედაფენისა.

მას გვერდით აღარ ჰყავდა მერაბ კოსტავა, გადაამტერეს ჯ. იოსელიანი, გ. ჭანტურია, ი. წერეთელი. მაგრამ მაინც უდიდეს წარმატებას მიაღწია – 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა, დაამარცხა კომპარტია.

14 ნოემბერს იგი გახდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

31 მარტს მისი ინიციატივით ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას.

9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მალე პრეზიდენტადაც აირჩიეს „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველების“ ავტორი, ეროვნული მოძრაობის ლიდერი.

პოლიტიკური პროცესების სწრაფი ცვლილება კულტურაზე სასიკეთოდ არ მოქმედებდა. თუმცა მოიხსნა ცენზურა და რკინის ფარდა, ახდა მრავალი თაობის ოცნება (შდრ – კ. გამსახურდიას დისტანციის თეორია).

თითქოს საყოველთაო ენთუზიაზმს დიდი განახლება უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ ამის სანაცვლოდ მოსკოვის დახმარებით, დასავლეთის თანხმობით, პუტჩისტებმა დაამხეს ახლადარჩეული ხელისუფლება და ქვეყანა ჩააბარეს კრემლის ემისარს ედ. შევარდნაძეს.

საქართველო მრავალწლიანი ქაოსმა, ანარქიამ და შიდადაპირისპირებამ მოიცვა. თეატრმა და კინომ მაყურებელი დაკარგა, წიგნმა მკითხველი, ესტრადამ – მსმენელი, პროფესორმა – სტუდენტი, ეკლესიამ – მრევლი, ხალხმა – პური.

1991 წლის დეკემბერში 1921 წლის თებერვალი განმეორდა.

მძიმედ გულდაჭრილი, წყვდიადში ჩაძირული, ტერიტორიებდაკარგული ქვეყანა ხურავდა მშფოთვარე XX საუკუნის კარებს...

4. კულტურა და ერის ფსიქიკური ენერგია

ქვეყნად უცვლელი არაფერია. ენაც წარმოიშობა, ვითარდება და ბერდება, იშლება და კვდება, ასევე – ერიცა და კულტურაც.

სახელმწიფოები, იმპერიები, სამთავროები იქმნება და ნადგურდება.

სიკვდილი ხვედრია ყოველი მოძრავი და უძრავი საგნისა.

თავად ცვალებადობის პროცესია მხოლოდ უცვლელი.

უილიამ დრეპერმა – ქიმიკოსმა და ისტორიკოსმა – ჩამოაყალიბა ერების დაბერების თეორია, ბიოლოგიის ანალოგიით („ევროპის გონებრივი განვითარების ისტორია“).

ამავე თეორიას ავითარებდა პოზიტივისტი ოგიუსტ კონტი.

ამოსავალი იდეა კი იყო ჰეგელის აბსოლუტური სულის განვითარებისა და ტრანსფორმაციის პროცესი.

ეს შეხედულებანი გადმოიღო ნაროდნიკმა ივანე ჯაბადარმა, რომლის საპასუხოდ ილია ჭავჭავაძემ დაწერა „აი, ისტორია“.

ავტორმა მკითხველს გააცნო ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა, რათა ნიჰილიზმი გაეფანტა.

ჩვენი თანამედროვე რასულ გამზატოვი წერდა:

„თუ ჩემი ენა ხვალ უნდა მოკვდეს,
მე რომ დღეს მოვკვდე, ის მირჩევნია“.

მიუხედავად ბრძოლისა და ცდისა, ერები და ენები მაინც ქრება. მრავალი საუკუნის წინ რომის იმპერიასთან ერთად მოკვდა ლათინური ენა და მხოლოდ მწიგნობრები ინახავდნენ, ხელოვნურად უნარჩუნებდნენ სიცოცხლეს.

ენისა და სახელმწიფოს კვდომის ერთ-ერთი ნიშანია დაშლა, განტოტვა და დანაწევრება, შინაგანი გამოფიტვა, ეკონომიკური დაუძლურება.

ლევ გუმილიოვი, ნიკოლაი გუმილიოვის და ანა ახმატოვას შვილი, აღნიშნავს, რომ ყოველი ეთნოსი იცვლება 1200-1500 წლის განმავლობაში, რაც იწვევს კულტურაშიც მკვეთრ გარდატეხას.

ასეთი უღელტეხილებია ჩვენს ისტორიაში: უძველესი კულტურებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბება, ქრისტიანობის დამკვიდრება, დავითისა და თამარის კავკასიური სახელმწიფო, მისი დამხობა, რუსთაველის აღმოსავლური ორიენტირი, XIX საუკუნიდან – ევროპული კურსი, რაც აყალიბებს შესაბამის კულტურებს.

გარეგანი ფაქტორები ცვლიან სიტუაციას, წყვეტენ განვითარების პროცესს. ეს არის აგრესია, ძალადობა.

ძალადობა აჩქარებს ასიმილირებას. ხოლო კულტურული კავშირები და კონტაქტები, შერეული ქორწინებები, მიგრაციები, ინტერესთა იგივეობა ცვლის ფსიქიკურ მოდუსს, ფიზიონომის და ადამიანთა მასა ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, უმტკივნეულოდ სწყდება შორეულ საწყისებს. მაგ., გენეტიკოს-ანთროპოლოგები აღნიშნავენ, რომ თურქებს გენთა მხოლოდ 5% შერჩათ ათასი წლის წინანდელი ალტაელი წინაპრებისა ანუ არსებითად ჩამოყალიბდა სულ სხვა ხალხი.

ასეთია ტრანსფორმაციის შედეგები, ახალი გეოგრაფიული გარემოს ათვისებას, უცხო ხალხებთან შერევას რომ მოჰყვა.

ოსმალებს რომ არ ჰქონოდათ მეომარი სული, რომ არ ჰყოლოდათ ლიდერთა კასტა, რომელიც ინარჩუნებდა ნაციონალურ წარმოდგენებს, დაპყრობილ ხალხებში ჩაიძირებოდნენ და გაქრებოდნენ.

ანთროპოლოგიურ და რელიგიურ სახეცვლას არ მოჰყვა ნაციონალური გადაგვარება.

დაღესტნელთა მონათესავე, ოდესღაც მეომარი ხალხები – ხურიტები, ურარტუელები, ალბანელები გადაშენდნენ.

ალბანელებს მრავალი ენა ჰქონდათ, რაც ამ ხალხის სისუსტეს ნიშნავდა, რადგან ვერ შეძლეს ვერც ქრისტეს სახელით კონსოლიდირება, ვერც ენობრივი მთლიანობის მიღწევა.

ასეთი მყიფე ნაციონალობის ხალხის ასიმილირება იოლად შეძლეს თურქ-სელჯუკებმა. მსგავსი საფრთხე ადრეც ელოდათ სომეხი მონოფიზიტებისაგან, ნაწილობრივ – ქართველებისგანაც.

ალბანელები ჩვენი შორეული ნათესავებიც იყვნენ და სახელმწიფოებრივი სიმტკიცე არც ჩვენ გაგვაჩნდა. მაგრამ მოხერხდა რელიგიურ-კულტურული კონსოლიდირება.

მიუხედავად გადამთიელთა სიმრავლისა, ნგრევისა და მსხვერპლისა, ქართულმა ენამ გამოავლინა სიმტკიცე და შეინარჩუნა უძველესი სახე. ასეთივე კონსერვატიზმი აღმოაჩნდა ქართულ ფსიქიკასა და ხასიათს, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, რაც შეეზარდა ქრისტეს რწმენას.

ენა განამტკიცა რელიგიამ, ბიზანტიასთან სიახლოვემ, კულტურულმა კონტაქტებმა.

როგორც სიმტკიცის, თავის გადარჩენისა და დაცვის, ისე ასიმილირების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია რელიგია, რომელიც იქმნის თავის გარშემო ახალ სულიერ ღირებულებათა სისტემას. განსაკუთრებით მაშინ, როცა რელიგიის უკან დგას ძალა.

მაგ., XVI საუკუნეში ოსმალებმა დაიპყრეს ტაო–კლარჯეთი და თანდათან გაამაჰმადიანეს ქრისტიანი ქართველები. მათ დაკარგეს უძველესი რელიგია და მასთან ერთად ცხოვრების ქრისტიანული წესიც.

ამ მიწაზე დღესაც დგას მრავალი ეკლესია, ჩვენმა წინაპრებმა რომ ააშენეს, ოღონდ მიტოვებული და გაპარტახებული, ზოგი ბოსლად, ზოგი საწყობად გადაკეთებული.

მათ არავინ უვლის.

ეკლესია შეცვალა მეჩეთმა, ბიბლია – ყურანმა, ქრისტე – მაჰმადმა. დარჩა ენა და მოგონება. მაგრამ ამ ხალხის კულტურა დღეს თურქულია, ისინი თურქეთის ნაწილი არიან.

თურქეთის (ოსმალეთის) პოლიტიკურ ცხოვრებაში მრავალი ქართველი მონაწილეობდა, როგორც ვწერდით ადრე. მაგრამ ისინი ამ ახალი სამშობლოს ძლიერებისათვის იბრძოდნენ, ისევე როგორც იანიჩრები და მამელუკები, მამელუკთა ქართველი ლიდერები ბაღდადსა თუ ქაიროში.

ახალციხე, ახალციხის საფაშო, დასახლებული მაჰმადიანი ქართველებით, იყო იმერეთსა და ქართლზე, გურიასა და სამეგრელოზე თავდასხმის ფორპოსტი.

ფაქტიურად ჩვენი სამეფო-სამთავროები ებრძოდნენ არა ოსმალებს, არამედ – გამაჰმადიანებულ ქართველ ძმებს.

ერის ფსიქიკური ენერგია ვლინდება სახელებითა და ტენდენციებით – აგრესიული რადიკალიზმით, კულტურულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობით, გამრავლების ტემპით. ეს ფაქტორები ხან ძლიერდება, ხან სუსტდება, ხან ხდება ინტეგრირება, ხანაც – დიფერენცირება.

მაგ., გერმანია და იტალია საუკუნეების განმავლობაში უამრავ წვრილ ერთეულად იყო დაშლილი, მაგრამ ეს კულტურას არ დასტყობია.

საქართველომ ვერ შეძლო გაერთიანება, ვიდრე უცხო ძალამ არ დათრგუნა სეპარატიზმი, რაც ინდივიდუალიზმის განვითარებაა.

რუსებმა აითვისეს მონღოლთა სისასტიკე, დაპყრობის უნარი და მუდმივად ავრცობდნენ თავიანთ ტერიტორიებს.

ქვეყნის ბედს განსაზღვრავს სამხედრო ძლიერება, სწრაფვის ჟინი.

ებრაელმა ქრისტემ რწმენით დაიმორჩილა მრავალი ქვეყანა. მაგრამ თავისმა ხალხმა არ სცნო იგი. მისი სახელი უფრო კულტურას დაუკავშირდა, ვიდრე სახელმწიფოებრიობას.

მაჰმადმა რწმენას ხმალიც შეაშველა და არაბებმა უზარმაზარი იმპერია შექმნეს. იქ გაავრცელეს თავიანთი რელიგია და ჩამოაყალიბეს მუსულმანური კულტურული სივრცე. მაგრამ თანდათან გამოიფიტნენ და დაიშალნენ, თუმცა შერჩათ საერთო ენა და რჯული.

როცა კულტურა სძლევს სტიქიას, მაშინ დგება კვდომის ჟამი. ნიცშეს ტერმინებით რომ ვთქვათ, ეს არის აპოლონურის გამარჯვება დიონისურზე, წესრიგისა – ქაოსზე, გონებისა – ინსტიქტებზე.

ქრისტეს სჯულმა, ბიზანტიასთან სიახლოვემ და დაპირისპირებამ ჩვენს წინაპრებს მისცა სტიმული და ენერგია, რათა შეექმნათ როგორც კულტურული, ისე სახელმწიფოებრივი ბაზისი.

ძნელია გარკვევა თუ რა იწვევს ერში აგრესიის წარმოქმნას ან განვითარებას. ეს არაცნობიერი პროცესები, როგორც აზვირთება, ისე დაცხრომა, ფორმალურად უკავშირდება გარე ფაქტორებს. მაგრამ ერი იტანს ცალკეულ დამარცხებებს თუ მასში არის ძლიერი სასიცოცხლო ენერგია, ცენტრისკენული სწრაფვა, რაღაც იდეით აგზნება.

ქართველები დამორჩილდნენ თურქ-სელჯუკებს. მაგრამ ერი არ დათრგუნულა და სწრაფად გამოვიდა შოკიდან.

გერმანიამ ორი მსოფლიო ომი დაიწყო და ორივე კატასტროფით დაასრულა. მაგრამ ერის ეკონომიკური, ინტელექტუალური, სამხედრო პოტენციალი არ დამხობილა და სწრაფად აღდგა ფერფლიდან და ნანგრევებიდან.

აგრესია და დაპყრობის ჟინი გამომდინარეობს ერის ფსიქიკური ენერგიიდან, რომელიც სძლევს კომშარსა და კატასტროფას. მას ქმნის არაცნობიერი კავშირები, იდეალებისა და ღირსების განცდა, ორგანიზების უნარი, განსაკუთრებულობის მითი, რაც დაეუფლა ქართულ სულს X საუკუნიდან (შდრ – „ძალაუფლებისა და კულტურის ფაქტორები“).

ქართველებმა ვერ შეძლეს თამარის იმპერიის შენარჩუნება. ისინი უძლიერეს დამპყრობლებს შეეჯახნენ. მაგრამ ვერც შემდეგ მოახერხეს ძლიერების გამოვლენა.

მონღოლებს თავი დააღწიეს. მაგრამ აკლდათ აგრესია და სივრცისაკენ სწრაფვა. მუდმივად ცდილობდნენ თავის გადარჩენას, არსებულის შენარჩუნებას, არც ძველებური მესიანიზმი შერჩათ.

როგორც გვეუბნებიან, თავდასხმა არის საუკეთესო თავდაცვა, არა ლოდინი, მოთმენა და მორჩილება. ოღონდ ჟამსაც გააჩნია.

ქართველები ერთიანობის დროსაც კი ვერ სძლევდნენ ჯალალედინს, მონღოლებს, თემურ ლენგს. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ავლენდნენ საოცარ სიმამაცეს, თავგანწირვის უნარს.

ქართველები საუკეთესო მეომრები იყვნენ უცხო ლაშქარში, როცა ჰქონდათ თანადგომის იმედი. მათი უეცარი შეტევა გზას უხსნიდა ძირითად ლაშქარს.

ამიტომ მოითხოვდნენ, რომ პირველი შებმოდნენ მტერს. ასე შეიჭრნენ ბაღდადში და შემდეგ შეჰყვნენ მონღოლები. რამდენიმე საათიანი ბრძოლის შემდეგ იღლებოდნენ. მაგრამ უკვე მოდიოდა ძირითადი ძალა და ის ამთავრებდა ომს ანუ ზურგი უნდა ჰქონოდათ, როგორც რუსეთის ფრონტებზე.

გარდა ამისა, იშვიათად ჰყავდათ რეგულარული ჯარი, რომელსაც შეეძლო ტაქტიკისა და სტრატეგიის მონაცვლეობით დიდხანს ეომა.

მოხალისეები ამას ვერ შეძლებდნენ. ამიტომ დამარცხდნენ. მაგ., მარაბდის ომში, კრწანისთან. მაგრამ გაიმარჯვეს მარტყოფსა და ასპინძაში.

სიმამაცე და „ხის აბჯარი“ საქმეს ვერ შველოდა, ვერც ფეხის წინ წადგმა თუ მოკლე ხანჯლით იბრძოდი.

გულადობა უნდა გადასულიყო ტექნიკაში. ცივილიზაციურ ფაქტორში, რაც საბრძოლო ხელოვნებასაც ავითარებდა, სტრატეგიასა და ტაქტიკას.

ერეკლე აღა მაჰმად-ხანთან საომრად კარგად მოემზადა, მაქსიმალურად ჩართო ქართლ-კახეთის, იმერეთის და მთიელი დაქი-

რავებული ჯარები, შეაგროვა 20000 მეომარი. მოამზადა არტილერიაც.

ეს იყი ივნისის ბოლოსათვის.

ზოგიერთ ბრძოლაში გაიმარჯვა კიდეც. მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა ყარაბახში ვერ გაბედა, რადგანაც რუსები არ ეხმარებოდნენ. აგრესიას თავდაცვა არჩია, როგორც ვახტანგ VI-მ – პაპამისმა.

მაჰმად-ხანმა გაითვალისწინა, რომ ქართველები 2-3 თვე ამხელა ჯარს ვერ შეინახავდნენ, წარუმატებლობა გაითამაშა და უკან დაიხია.

ერეკლემ ჯარი დაშალა. მაჰმად-ხანმა კი სექტემბრის დასაწყისში სწრაფი და მოულოდნელი სვლით ტფილისთან მოუყარა სხვადასხვა მხრიდან დაძრულ ჯარებს.

მან იცოდა, რომ მეფე ასე უეცრად ვერ შეკრებდა დაფანტულ ლაშქარს.

ასე რომ – კრწანისის ბრძოლა წინასწარ იყო წაგებული.

როგორც ავღნიშნავდით, ქართველები იყვნენ ამთვისებელნი, უცხო მოდელის შემომტანი, რაც ვლინდებოდა კულტურის ყოველ სფეროში.

ესეც, ეს ქალური ბუნებაც აგრესიის სინაკლებით აიხსნება.

ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, წიგნების თარგმნა, კონტაქტები ბიზანტიასთან და ირანთან, ლავირება და დიპლომატია საბოლოოდ ქვეყანას ვერ იხსნიდა, რაც ავითარებდა ინდივიდუალიზმს.

ყველა ინდივიდუალურად ცდილობდა თავის გადარჩენას.

კოლექტივიზმის მიღწევა ისევ აგრესიას მოითხოვდა. რომ არა რელიეფი, ქართველები ისე გადაშენდებოდნენ, როგორც ალბანელები.

შეიძლება იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ქვეყანა დაშლილი იყო და არა ერთიანი. თვით ეს ფაქტიც უცნაურია – იგი მოხდა არა გარეშე ძალთა აგრესიით, არამედ – შინაგანი დაქსაქსვითა და გამოფიტვით, როცა სეპარატიზმი არ იყო არც ეთნიკური, არც რელიგიური (შდრ – „ქართველის ბუნება და სახელმწიფო“).

დაუძლურებისა და დაშლის სიმპტომები კულტურაში უფრო ადრე გამოჩნდა, ვიდრე ელიტა დაადასტურებდა დაცემის ფაქტს (1490 წელი).

ეტყობა, ასეთი სიმყიფე იბერიელ-კავკასიელთა საერთო თვისებაა, რაც გამოვლინდა მუდმივი პოლიტიკური და ენობრივი დიფერენცირებით, ინტეგრირების სიმცირით.

სახელმწიფო ვერ შექმნეს ადიღეველებმა, ჩეჩნებმა, დაღესტნელებმა. ლაზები მოსწყდნენ ქართულ ძირებს. ალბანელები ჯერ რელიგიურად დაიმორჩილეს სომხებმა, შემდეგ მათი ასიმილირება მოახდინეს თურქ-სელჯუკებმა და ნაწილობრივ – ქართველებმაც.

ქართველებსაც აკლდათ სახელმწიფოებრივი შეგნება, მაგრამ, ერთი მხრივ – ქრისტიანული ბიზანტია, მეორე მხრივ – მუსულმანური არაბეთი, აიძულებდნენ ინტეგრირებას – ქრისტეს სახელით.

ადრე ქართველთა ძლიერება დაიწყო ნაციონალიზების, თავისუფლების ძიებით VIII საუკუნის ბოლოდან და რეალიზებას მიაღწია დავითისა და თამარის დროს.

ერის ახალი ინტელექტუალური ამოძრავება, ძალთა მოკრება იწყება XVI საუკუნიდან. სამხედრო თვალსაზრისით ეს იმდენად არ ჩანს, რამდენადაც – კულტურაში, რომელიც აღმავალი ხაზით მიემართებოდა. ამჯერადაც კულტურა იყო ბარომეტრი.

იგი სულს იდგამდა სპარსული იმპულსებით და გაძლიერდა ევროპული ტენდენციებით, პეტერბურგთან სიახლოვით.

XIX საუკუნის დამლევიდან, რუსეთის გავლენით, თავს იჩენს პოლიტიკური აქტივობაც. კულტურის იდეები გადადიან თავი-

სუფლებისკენ სწრაფვაში, რასაც ფორმას აძლევენ როგორც სოციალიზმის იდეალები, ისე რეალობის განმაახლებელი ფაქტორები, ახალი იდეოლოგიური წყაროები.

გადარჩენის იმედი დაუკავშირდა ევროპას, იდეოლოგიაში – სოციალიზმს, კულტურაში – მოდერნიზმს. მაგრამ ინტელიგენციას არც რუსეთი ეთმობოდა. ამიტომ აღმოჩნდა მისაღები ორი რუსეთის თეორია.

1918 წლის 26 მაისამდე არცერთი პარტიის პროგრამაში არ ეწერა დამოუკიდებლობის მოთხოვნა. ავტონომია იყო პანაცეა ანუ გეორგივსკის ტრაქტატის სივრცეში ტრიალებდნენ, ვიდრე სიტუაციამ არ შეცვალა პოლიტიკოსთა შეგნება.

კოსმოპოლიტი და რუსოფილი სოციალ-დემოკრატებიც კი ნაციონალისტებად გარდაიქმნენ.

ინდივიდუალისტი ქართველები ძალაუფლების ნების რეალიზებას ეძებდნენ და პოულობდნენ რუსეთის სივრცეში, კოსმოპოლიტურ თეორიებში (მენშევიკები და ბოლშევიკები). აქ უფრო შეიძლებოდა სახელის განთქმაც, კომფორტის შექმნაც.

ქართული სახელმწიფოებრიობა ნელ-ნელა ყალიბდებოდა, რომლის მესვეურები ვერ ეტეოდნენ საქართველოსა და კავკასიაში და იმპერიის უკიდეგანო ველები იტაცებდათ.

როგორც მენშევიკები, ისე ბოლშევიკები ცნობილი პოლიტიკოსები იყვნენ. ხოლო სტალინმა და ბერიამ ქართული ნაციონალიზმი სსრკ-ის ფარგლებში გადაიტანეს და საბოლოოდ დამარცხდნენ კიდეც. რუსებმა მათ თავდადებას სიძულვილით უპასუხეს.

ერის ფსიქიკური ენერგია არნახული დიქტატურის პერიოდშიც კულტურის მრავალ სახედ გაიშალა და მიუხედავად უდიდესი მსხვეპლისა, რეპრესიებისა, ყალბი იდეალებისა, დიდ წარმატებას მიაღწია. აღმასვლა არ შენელებულა.

მენშევიკური „სამოთხე“ ბოლშევიკურმა ჯოჯოხეთმა შეცვალა, რომელმაც დათრგუნა ინდივიდუალიზმი და ადამიანთა მასა სასტიკ წესრიგს დაუმორჩილა.

დისციპლინა, მოთხოვნა და სახელმწიფოებრივი ზრუნვა სასარგებლო აღმოჩნდა დაბორკილი კულტურისათვის, ქართველი კულტურშემოქმედისათვის, რომელსაც უკვე ტაშს უკრავდა არა მხოლოდ თბილისი და ქუთაისი, არამედ – მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ბერლინი, პარიზი და ლონდონი.

ყალბი ეიფორია ძლიერ სტიმულს იძლეოდა.

როგორც ვთქვით, XX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გაკოტრდა გვაროვნული არისტოკრატია, რაც ცხენ-იარაღი წარსულს ჩაბარდა და ასპარეზზე გამოჩნდა ჩაგრულთა კლასი, გაძლიერდა და ბოლოს ტოტალური ხასიათი მიიღო განათლებისა და დიპლომისაკენ სწრაფვამ.

ეს გამოწვეული იყო ტრადიციული კომფორტული ცხოვრების ძიებით, რაც თავად-აზნაურთაგან გლეხთა შვილებმაც აითვისეს, ნაკლები შრომითა და დისციპლინით.

ამას მოჰყვა მასობრივი კორუფცია და ფორმალიზმი.

ქართველმა ხალხმა XX საუკუნეში აღიდგინა დამოუკიდებლობა ორივეჯერ იმპერიის დაშლის შედეგად, რაც ვერავის წარმოედგინა, ორივეჯერ დაემხო ქართველთა ხელით და მოსკოვის წაქეზება-დახმარებით.

ამჯერადაც ამ სისხლიან ავანტიურას მოჰყვა ქვეყნის დაშლა.

1490 წლიდან საქართველო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, აღარ არსებობდა – მის სახელს ინაწილებდნენ სამეფოები და სამთავროები. ჩვენ მაჰმადიანი ვალები ისევ მეფეებად მიგვაჩნდა, რომელთა ტიტულატურა ძველებურად ამბიციური იყო; არაღიარებული ეკლესია ავტოკეფალიური გვეგონა.

მოკლე დროში დამოუკიდებელი ქვეყნის ხუთივე მეთაური ნ. ჟორდანია, ზ. გამსახურდია, ედ. შევარდნაძე, მ. სააკაშვილი, გ. მარგველაშვილი – შერისხულ იქნა: სამი განდევნეს, ორს გამოუცხადებელი შინაპატიმრობა განუსაზღვრეს, რაც პოლიტიკური არასტაბილობის ნიშანია.

წინ ისევ ნისლით დაბურული გზებია და არავინ იცის, რა გველოდება – ამაღლება თუ დაცემა. დამარცხებებმა დაღალა ხალხი და მოდუნდა ფსიქიკური ენერგია.

გაეროს ქართველი ხალხი შეყვანილი ჰყავს მომაკვდავი ერების რიცხვში და თუ ხელისუფლება ვერ შეძლებს რადიკალურ მობილიზებას ძალთა გასააქტიურებლად, გავიზიარებთ დრეპერისა და კონტის საშინელ განაჩენს...

ერის ბედი და მდგომარეობა კი ისევ განსაზღვრავს კულტურას.

2019, იანვარი – მაისი

გამოყენებული ლიტერატურა

1. აკაკი ხორავა - 100, თბ., 1997.
2. კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, თბ., 1970.
3. აკაკის კრებული, I-II, თბ., 1999-2005.
4. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971.
5. ამირანი - 1990, ოპოზიციური ლიტერატურა, თბ., 1990.
6. ე. ანისიმოვი, გენერალი ბაგრატიონი, თბ., 2010.
7. გ. ასათიანი, ოთხტომეული, 2004.
8. ლ. ასათიანი, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1958.
9. შ. აფხაიძე, ადამიანები და წიგნები, თბ., 1964.
10. ა. ბათოშვილი, ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბ., 1991.
11. ალ. ბარამიძე, ახლო წარსულიდან, თბ., 1983.
12. ალ. ბარამიძე, ახლო წარსულიდან, II, თბ., 1993.
13. აკ. ბაქრაძე, მითოლოგიური ენგადი, თბ., 1969.
14. აკ. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990.
15. გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკა. 1819-1945. ბიბლიოგრაფია, თბ., 1946.
16. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917, I-II, 1960-1963.
17. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1954-1861, თბ., 2004.
18. კ. ბრეგაძე, ქართული მოდერნიზმი (გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე), თბ., 2013.
19. კ. ბრეგაძე, ლიტერატურული და ენისფილოსოფიური ნარკვევები, თბ., 2009.
20. ლ. ბრეგაძე, ლიტერატურული (გამო)ძიებანი, თბ., 2011.
21. ბ. ბუაჩიძე, თანამედროვე ქართული მწერლობის გზები, ტფ., 1934.
22. ა. ბურთიკაშვილი, ცეკვის ჯადოქარი, თბ., 1960.
23. გალაკტიონოლოგია, I-VIII, თბ., 2002-2019.

24. გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987.
25. ო. გოგიაშვილი, ილია დღს. პოლიტიკური ფილოსოფია, იდეოლოგია, პოლიტიკა, პოლიტიკოსები, I-V, თბ., 2001-2016.
26. კ. გამსახურდია, ათტომეული, თბ., 1973-1983.
27. ზ. გამსახურდია, 1991 წლის 22 შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან, თბ., 1995.
28. კ. ზ. გამსახურდია. დინების საწინააღმდეგოდ, თბ., 1997.
29. გ. გაჩეჩილაძე, სულიერი გამოცდილების სამყაროში, თბ., 1986.
30. აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1962.
31. აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I-IV, თბ., 1977-1981.
32. გ. გოზალიშვილი, 1832 წკუს შეთქმულება, I-III, თბ., 1936-1976.
33. ი. გრიშაშვილი, ხუთტომეული, თბ., 1961-165.
34. რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია, 1910-1924, თბ., 1998.
35. ე. გუგუშვილი, ქართული საბჭოთა თეატრი, თბ., 1971.
36. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება: XIX-XX სს. I-VI, თბ., 1949-1979.
37. პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, თბ., 1973.
38. ვ. გურული, მეფე-მამა. სტალინის დიდი ექსპერიმენტი, თბ., 2014.
39. ს. დანელია, ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1959.
40. დათოვლილი სანთელი, თბ., 2013.
41. დაიცავით ჩვენი ეკლესიები, თბ., 2014.
42. დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე), თბ., 1988.
43. დიდნი საქმენი, თბ., 2011.
44. თ. დოიაშვილი, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, თბ., 1985.

45. ო. ეგაძე, ქართული ბალეტი, თბ., 1961.
46. ი. ევგენიძე, ქართული რომანტიზმის საკითხები, თბ., 1982.
47. თ. ელიოტი, ათი ესეი, თბ., 2007.
48. ლ. ერჰარდი, კეთილდღეობა ყველასათვის, თბ., 2011.
49. პ. ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983.
50. ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, თბ., 1961.
51. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წწ.), თბ., 2017.
52. რ. თვარაძე, გადასახედი, თბ., 1997.
53. ილია. მოგონებები გარდასულ დღეთა, თბ., 1987.
54. ილიას სამრეკლო, თბ., 1987.
55. კაი ყმა. მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე. თბ., 1986.
56. ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I-V, თბ., 1977-1987.
57. ალ. კალანდაძე, გემოვნების კრიტიკა, თბ., 1977.
58. რ. კვერენჩხილაძე, საბუთები ღაღადებენ, თბ., 2011.
59. რ. კვერენჩხილაძე, წამების გზა, I, 2014.
60. ი. კვესელავა, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, I-VI, თბ., 2004-2018.
61. მ. კვესელავა, ფაუსტური პარადიგმები, I-II, თბ., 1961.
62. მ. კვესელავა, ასერგასის დღე, I-III, თბ., 1968-1974.
63. მ. კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977.
64. ვ. კიკნაძე, ქართველი რეჟისორები, I-II, თბ., 1968-1970.
65. ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბ., 1959.
66. გ. ლომიძე, მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ერთიანობა, თბ., 1974.
67. ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, თბ., 2007.
68. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1986.

69. მ. მაჭავარიანი, ლექსები, თბ., 1976.
70. მეგრული პოეზიის ანთოლოგია, თბ., 2017.
71. ს. მეტრეველი, კომუნისტური აგიოგრაფია, თბ., 2015.
72. ს. მეტრეველი, თამაშის ხელოვნება, თბ., 2016.
73. ს. მეტრეველი, ანა კალანდაძე და პოლიტიკური პოსტმოდერნიზმი, თბ., 2018.
74. რ. მიშველაძე, ოცდახუთტომეული, თბ., 2012-2013.
75. მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2007.
76. ს.ს. მონტეფიორე, სტალინი. წითელი მეფის კარი, თბ., 2012.
77. ალ. მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბ., 2019.
78. ჯ. მჭედლიშვილი, მაჩაბელზე ლეგენდების გარეშე, თბ., 2007.
79. გ. ნადარეიშვილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1986.
80. ა. ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული მწერლობა, თბ., 2002.
81. ნიცშე საქართველოში, თბ., 2007.
82. ნ. ორლოვსკაია, შ. რევიშვილი, ს. თურნავა, ა. გვახარია, ქართველოლოგიური კვლევა საზღვარგარეთ, ქსე, საქართველოს სსრ, თბ., 1981.
83. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990.
84. ბ. ჟღენტი, მწერლობა და თანამედროვეობა, I, თბ., 1976.
85. ფრ. რიმანი, შიშის ძირითადი ფორმები, თბ., 2014.
86. გრ. რობაქიძე, 1880-1962. თბ., 2009.
87. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI-VIII, თბ., 1972-1980.
88. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ., 1990.
89. ო. სეფიაშვილი, ეკრანი და დრო, თბ., 1969.
90. ს. სიგუა, ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1993.
91. ს. სიგუა, მარტვილი და ალამდარი, I-II, თბ., 2011.
92. ს. სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, III, თბ., 2013.

93. ს. სიგუა, მოდერნიზმი, თბ., 2014.
94. ა. სონღულაშვილი, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2016.
95. ა. სონღულაშვილი, საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა, თბ., 2018.
96. გ. სულაძე, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეც-სამსახურები, თბ., 2010.
97. გ. სულაძე, ნოე რამიშვილის მკვლელობა, თბ., 2018.
98. გ. ტაბიძე, ოცდახუთტომეული, საარქივო გამოცემა, თბ., 2005-2008.
99. ნ. ტაბიძე, გალაკტიონი, I, თბ., 2000.
100. ფიქრები საქართველოზე, თბ., 2006.
101. ფ. ქაზემზადე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის, 1917-1921, თბ., 2016.
102. ქართველები, თბ., 2016.
103. ქართული ლირიკის ანთოლოგია (1975-1825), თბ., 2014.
104. ქართული ლიტერატურის ისტორია, III-V, თბ., 1969-1982.
105. ქართული ლიტერატურული ესსე. XX საუკუნის 20-იანი წლები, თბ., 1986.
106. ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1947.
107. ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ, თბ., 2003.
108. ქართული პოეზია, I-XVII, თბ., 1974-1985.
109. ქართული პროზა, I- ---, თბ., 1982 ---
110. გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, I-II, თბ., 1963-1964.
111. ქსე, I-XI, თბ., 1975-1989.
112. ქსე, საქართველოს სსრ, თბ., 1981.
113. ბ. ქუთათელაძე, თბილისის ქანდაკება, თბ., 2017.
114. გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე, მოღვაწეობა, შემოქმედება. თბ., I-II, 1987-1990.
115. დ. ყიფიანი, მემუარები, ტფ., 1930.
116. გ. შარაძე, უცხოეთის ცისქვეშ. I-III, თბ., 1991-1993.
117. ბ. შერვაშიძე, მემუარები, თბ., 2019.

118. ვ. შუბითიძე, ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი, თბ., 2001.
119. ვ. შუბითიძე, სომხური „იმპერია“(ლიზმი) და კოლონიალიზმი, თბ., 2011.
120. გ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბ., 1975.
121. რ. ჩხეიძე, ღვაწლი პავლე ინგოროყვასი, თბ., 1994.
122. რ. ჩხეიძე, აგვისტოს შვილები, თბ., 2008.
123. რ. ჩხეიძე, პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა, თბ., 2016.
124. თ. ჩხენკელი, პოეზია - სიბრძნის დარგი, თბ., 1989.
125. თ. ჩხენკელი, მშვენიერი მძლევარი, თბ., 1989.
126. გ. ციციშვილი, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები, თბ., 1998.
127. ლ. ცომაია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, თბ., 2018.
128. შ. ძიძიგური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974.
129. ა. წერეთელი, თხუთმეტტომეული, თბ., 1950-1963.
130. ა. წულუკიძე, ქართული საბჭოთა მუსიკა, თბ., 1971.
131. ი. ჭავჭავაძე, ოცტომეული, თბ., 1987-2009.
132. ს. ჭილაია - 100, თბ., 2013.
133. თ. ჯაგოდნიშვილი, ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, I, თბ., 2004.
134. ვ. ჯავახაძე, უცნობი, თბ., 1991.
135. მ. ჯავახიშვილი, უბის წიგნაკებიდან, თბ., 2015.
136. ნ. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, თბ., 1971.
137. გ. ჯიბლაძე, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება საქართველოში, თბ., 1977.
138. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984.

139. ა. ჯორჯაძე, წერილები, თბ., 1989.
140. 9 აპრილი, თბ., 1990.
141. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1976.
142. Т. Баланкина, История русской культуры, М., 1983.
143. Р. Барт, Избранные работы. Семиотика, поэтика, М., 1989.
144. Н. Берберова, Люди и ложи. Русские массоны XX столетия, X, М., 1997.
145. А. Блюм, Советская цензура в эпоху тотального терора. 1929-1953, М., 2000.
146. Буржуазная философия XX века, М., 1974.
147. И. Голошток, Тоталитарное искусство, М., 1994.
148. Н. Джавахишвили, Грузины под российским флагом, Тб., 2003.
149. Зарубежная эстетика и теория литературы. XIX-XX вв., Трактаты, стили, эссе, М., 1987.
150. Искусство и научно-технический прогресс, М., 1973.
151. Культурология. XX век. Антология, М., 1995.
152. А. Моль, Социодинамика культуры, М., 1974.
153. А. Пайман, История русского символизма, М., 1998.
154. Е. Попасенков, Первая научная история войны 1812 года, М., 2017.
155. Проблемы человека в западной философии, М., 1988.
156. Н. Рубин, Лаврентий Берия: Миф и реальность, М., 1998.
157. Семиотика и художественное творчество, М., 1977.
158. А. Синявский, Основы советской цивилизации, М., 2001.
159. Современная литература за рубежом, М., 1983.
160. Современная буржуазная эстетика, М., 1978.
161. П. Судоплатов, Разведка и кремль, М., 1995.
162. Б. Сучков, Действительность искусства, М., 1978.
163. К. Столяров, Палачи и Жерты, М., 1997.
164. Структурализм: «За» и «Против», М., 1975.

დანართი

„ლიტერატურული საქართველოს“ პოეზია (1986, I-VI)

პოეზიისათვის დროში პროგრესი მეტისმეტად პირობითი ცნებაა. შეიძლება ათეული წლები გავიდეს, ლექსი შეიცვალოს, გაჩნდეს ახალი თემები და იდეები, მაგრამ შედევრები არ შეიქმნას. ეს ყოველივე არის სტიქიური მზადება უეცარი ნახტომისათვის, ახალი დიდი ტალანტის მოსავლენად. ან ისიც შეიძლება, რომ თანამედროვემ ვერ აღიქვას ცალკეული ნაწარმოების მნიშვნელობა.

როგორც აღნიშნავენ, პრინციპული სიახლე გვიან ჰპოვებს აღიარებას, რადგან წინ უსწრებს გემოვნებასა და მოთხოვნილებას. ხოლო ნაცნობი მასალის ან იდეების გარდასახვა პოპულარული ხდება, ვინაიდან აუდიტორია მზადაა მის მისაღებად, მაგრამ ყოველი ხელოვანი ეპოქის შვილია, პირდაპირ თუ გადატანით მისი ამსახველი, მისი ცნობიერების განმსაზღვრელი.

„ლიტერატურული საქართველოს“ წლევანდელი 26 ნომერი (რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე), რომელსაც მე გავეცანი, ვრცელ მასალას იძლევა, რათა ვიმსჯელოთ თანამედროვე ქართულ პოეზიაზე. გაზეთში დაიბეჭდა სიტყვის არაერთი ოსტატი – გრ. აბაშიძე და მ. ლებანიძე, გ. გეგეჭკორი და ე. კვიტაიშვილი, ჯ. ჩარკვიანი და ა. სულაკაური, ლ. სტურუა და ბ. ხარანაული, გ. ალხაზიშვილი და თ. ბექიშვილი, ვ. ხარჩილავა და დ. მჭედლური...

ეს ფაქტი თვალნათლივ მეტყველებს თუ როგორ შეეცადა რედაქცია, ყველა თაობის პოეტები შემოეკრიბა, ყოველ ნომერში გაეცნო მათი ახალი ნაწერები. ასე ვრცლად გაზეთის ფურცლებზე პოეზია არასოდეს დაბეჭდილა. შეიძლება ითქვას, „ლიტერატურული საქართველო“ წელს მომეტებულად გახდა ლიტერატურული. გარდა ამისა, პოეტი ერთი-ორი ლექსით კი არაა წარმოდგენილი,

არამედ – ჩვეულებრივ, მთელი ციკლით, რათა შემოქმედის სახე მტკიცედ აღებეჭდოს მკითხველს მეხსიერებაში.

ცხადია, ყველა ლექსი არაა მაღალი ღირსებისა, სუსტი ნაწარმოებებიც საკმაოდ გვხვდება (გაზეთში ხომ 70-ზე მეტი ავტორი დაიბეჭდა). მაგრამ ვერც ერთზე ვერ ვიტყვით, თუ რატომ გამოქვეყნდა, ე. ი. რედაქცია პრინციპულად მოეკიდა მასალას, წარმოაჩინა პროცესის უკეთესი ნიშან-თვისებანი. სუსტი ლექსი თუ მოთხრობა ლიტერატურული ცხოვრების თანამდევია. მათ მოსპობაზე ფიქრი ქარის წისქვილებთან ბრძოლაა. მთავარია ნაწარმოები, ჩვენს მიერ სუსტად წოდებული, იცავდეს კულტურისა და გემოვნების გარკვეულ დონეს, შეიცავდეს საჭირო ინფორმაციას და არ ავლენდეს რაიმე თვალსაზრისით მცდარ ან სახიფათო ტენდენციას.

უნდა აღინიშნოს გაზეთის მოქალაქეობრივი პროფილი. იგი პოეტური სიტყვით გამოეხმაურა არაერთ მნიშვნელოვან მოვლენას, რამაც „სათარიღო ლირიკის“ რეციდივებიც წარმოშვა (ახალი წელი, 8 მარტი, 1 მაისი, 9 მაისი და ა. შ.). ცალკე რუბრიკით დაიბეჭდა საყმაწვილო და საბავშვო ლექსები, ქალთა პოეზია, ადგილი დაეთმო სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ პოეტებს (დ. კვიცარიძე, ზ. კუხიანიძე, ფრ. ხალვაში), რათა ქართული ლექსის გეოგრაფია სრულად წარმოჩენილიყო.

ცხადია, ყველა კარგი ლექსი სამოქალაქო პოეზიას ეკუთვნის, მაგრამ ეს ზოგადი გაგებაა. კონკრეტულად ამ ტერმინით აღინიშნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემები, ის იდეები და მოვლენები, რომელთა გამოხატვა დღეს უნდა მოესწროს. ამ თვალსაზრისით ქართულ პოეზიას აკლია ოპერატიულობა, ის „ტოტალობა“, რაც სიტყვას მიანიჭა ვლ. მაიაკოვსკიმ. მეტისმეტად ძლიერია ტრადიციის ტვირთი, რაც ყველაზე შესატყვისი აღმოჩნდა მოდერ-

ნისტული პოეზიისათვის. ის მწვავე კითხვები, რაც დღევანდელ მოქალაქეს აწუხებენ, ლექსის მასალად თითქმის არ ქცეულა.

პოეტები ესწრაფვიან ადამიანურ ვნებათა წარმოჩენას, მაგრამ უძნელდებათ ცხოვრების მიერ წამოჭრილი პრობლემების გააზრება. ამ მხრივ არც „ლიტერატურული საქართველოა“ გამონაკლისი. მართალია, გაზეთი შეეცადა მობილობას, მაგრამ ეს უფრო კალენდრის მიდევნებაა, ვიდრე ახალი კითხვების წამოჭრა ან თუნდაც ძველზე ახლებური პასუხის გაცემა.

ისიც უნდა ითქვას, რომ თუ პოეტმა არ დაწერა, გაზეთი რას დაბეჭდავს.

ამ თვალსაზრისით ალბათ თავისი სიტყვა უნდა თქვას მწერალთა კავშირმა, რადგან იგი არის შემოქმედებითი და არა მექანიკური გაერთიანება.

მინდა გამოვყო რამდენიმე პოეტი, რომელთა ლექსებში სხვებზე მეტად ჩანს საზოგადოებრივი კითხვებისადმი ინტერესი, რომელთა საწყისი ძევს არა ფსიქიკაში, არამედ – ადამიანთა ურთიერთობაში, სოციალურ წრეში.

მაგ. ნოდარ ჯალაღონია განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება სამშობლოს თემას. მას დითირამბი კი არ აინტერესებს, არამედ – მტკივნეული წერტილების განცდა. ამიტომ ეძღვნება არაერთი ლექსი ტრაგიკულ წარსულს, მესხეთს, ბათუმს, თურქეთში მცხოვრებ ქართველებს. ამჯერადაც ისევ გაისმა ძველი მესხური სიმღერების ექო, ქართული მდინარეების ქება (შდრ, – გრიგოლ აბაშიძის „მდინარეების სიმფონია“), ბათუმის პალმების შრიალი, ნოქალაქევის სამარხების სევდა. სტრიქონებში იჭრება ბიოგრაფიული დეტალები, რომელთაც მოაქვთ ნაღველი გარდასულ დღეებზე („ჩემი წლები და დღეებიც ცვივა, როგორც ყვითელი ფოთლები ხიდან“). ბავშვობის ქალაქის მონატრება მელანქოლიის აღმძვრელია, რადგან მას თან გაჰყვა ცისფერბაფთიანი გოგონა, „პირველი

ცრემლი, პირველი დარდი“. უნდა შევნიშნოთ ერთ გაცვეთილ ორნამენტზე, რაც სავსებით ზედმეტია: „ცას ჰკიდია ყვავები, როგორც მრავალწერტილი“.

როგორც ითქვა, მოქალაქეობრივი პათოსი ნიშნავს სადღეისო ტკივილების პოეტიზებას, იმის ჩვენებას, რაც აღელვებს თანამედროვეს. ამ თვალსაზრისითაც საყურადღებოა თედო ბექიშვილის ლექსების ციკლი, რომელსაც ამშვენებენ რბილი კონტურები, წყნარი სევდა და მუსიკალობა. თ. ბექიშვილი თითქოს ინტიმური ლირიკის რკალში იყო დიდხანს მოქცეული (უკეთესი ლექსებით). ამჯერად კი მძაფრი მოქალაქეობრივი გზნება გამოავლინა.

პოეტი ხედავს ანანურის გუმბათს, რომელმაც მოატანა დღევანდელობამდე. მაგრამ რა იქნება დღეის იქით? იგი სევდით შეჰყურებს მშობლიური ჟინვალის ხეობას, რომელსაც დრომ და ტექნიკამ იერი უცვალა: „ამ ხეობაში მე გზას კი არა, ათასი წელი ვეტრფოდი არაგვს“, ნაღვლიანი ხმით ამბობს პოეტი.

მახსენდება რუსი კოლეგების სიტყვები მწერალთა ყრილობაზე, რომლებმაც ხმა აიმაღლეს ეკოლოგიური წონასწორობის, ბუნებრივი წესრიგის დასაცავად. პოეტი დროდადრო ირონიულადაც აღიქვამს ცალკეულ მოვლენებს: „არაფერი დღეს არ ხდება, ყველაფერი იყო გუშინ“.

მიხეილ ქვლივიძეს ემარჯვება ყოფითი დეტალების შემოტანა, ცხოვრებისეული მასალის, ყოველდღიური ურთიერთობის აჟღერება. ამჯერად მან ლექსების სანაცვლოდ მეტწილ ფრაგმენტები, ლირიკული დაკვირვებანი შემოგვთავაზა. განსაკუთრებით კარგია „ძველი ჩანახატებიდან“, რომელშიც დღევანდელობის პაროდირებისათვის მოხმობილია ხალხური სიმღერა – „ზესტაფონო, გშორდებით“. თუ ძველად მას ახლდა მწვავე სინანული, ნაღველი და სიმძიმილი, ახლა ვაჟკაცები საზღვარგარეთ მიდიან, სხედან მა-

ტარებელში, ქეიფობენ და რიხიანად მღერიან: „მშობლიურო ზესტაფონო, შორს მივდივართ, შორს მივდივართ, გშორდებით!“.

კონკრეტულ ფაქტს – საქართველოს კომუნისტთა ფორუმს ეძღვნება ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი „სიხარული“, რომელსაც გასდევს რეფრენი – „რაღაც უნდა გიხაროდეს, რაღაც უნდა გტკიოდეს“. ეს სიტყვები მიემართება თანამედროვე მოქალაქეს, ვინც განიცდის ძველის რღვევასა და ახლის შექმნის ჟრუანტელს. ხოლო არჩილ სულაკაური პოეზიაში ეძებს და პოულობს იმ ძალას, რომელიც, როგორც ტაძრის გუმბათი, კრებს და აერთებს სხვადასხვა დროისა და ხალხის შვილებს.

დროის მდინარება ცვლის საომქალაქო პოეზიის მოტივებს, მიმართებათა სისტემას. იგი საჭიროებს უფრო დაფიქრებას, განსჯას, სულიერ სიმდიდრეს, ვიდრე დითირამბსა და აღტაცებას, რადგან ცხოვრების რიტმი მოითხოვს ამოცნობასა და განსაზღვრას, ნიუანსების წვდომას, გარეგნულად მშვიდი, შინაგანად ნერვიული და მძაფრი პროცესების წარმოდგენას.

დრო ცვლის თავად პოეზიის ენასა და სტილსაც. სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი მხოლოდ ყოფიერების გარდამქმნელი როდია. იგი იჭრება ფსიქიკასა და ცნობიერებაში. დროის ბობოქარი რიტმი არ იძლევა დამშვიდების საშუალებას. აღქმა, განსჯა სწრაფად უნდა მოესწროს, ვიდრე პროცესი ისტორიის კუთვნილებად ქცეულა. ეს ყველაზე უკეთ ძალუძს პოეზიას რომელიც განიტოტა ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. ეს მაშინ, როცა თავად ლირიკა, როგორც ხელოვნების ეპიცენტრი, გაძარცული დარჩა, თითქოს შეიკუმშა პოეზიის ველი და ყოველივე მის გულისგულში მოექცა.

70-იან წლებში ქართული კლასიკური ლექსი დაიშალა, ჩამოყალიბდა თანამედროვე ვერლიბრი, რომელსაც არა აქვს ის ნიშნები, რაც განასხვავებს ლექსს პოეტური პროზისაგან. თავიდან იგი გაჩნდა ანალიტიკური აზროვნებისათვის, როგორც უარყოფა წეს-

რიგისა და მუსიკალობისა, ფორმალიზმად ქცეული ფორმის კულტისა. შემდეგ ამ ტენდენციამ ექსპერიმენტის სახე მიიღო და თანდათან სიტყვათა თამაშად იქცა. ზოგიერთი ვერლიბრი პროზის სახითაც დაიბეჭდა. ასე რომ ლექსი გახდა პროზაული ესკიზი, ეტიუდი, ჩანახატი. თითქოს დაგვრჩა განსხვავებული თვისებანი – ლირიზმი, ემოციურობა, პოეტური სული. მაგრამ ბოლოს ესენიც მოიხსნა. უნდა ითქვას, რომ ენის დარად ყოველი ერი ათასეული წლების მანძილზე ქმნიდა სპეციფიკურ სალექსო სტრუქტურას, რომლის სიტყვიერი უარყოფა იოლია, მაგრამ ტოლფარდი სანაცვლო სისტემის ჩამოყალიბება – წარმოუდგენლად ძნელი.

ყოველი ხელოვანისათვის ტრადიცია საწყისი და საფუძველია. მაგრამ ბარიერიცაა, რომელსაც არღვევს, რათა საკუთარი სახის გამოკვეთით ანუ მასში ჩართვით ახლებურად გააგრძელოს იგი, შექმნას ეროვნული ტრადიციის თანამედროვე მოდელი. მაგრამ რღვევა, რომელიც შენების პარალელური პროცესია, ზოგჯერ იმდენად სცილდება პირველად წრეს, სულის საწყის მდგომარეობას, რომელსაც შევეთვისეთ, იმდენად დიდია რისკი, რომ ასეთ პოეტურ ძალისხმევას ექსპერიმენტს ვუწოდებთ ხოლმე.

„ლიტერატურული „საქართველო“ ბუნებრივია, ბეჭდავს ამგვარი თხზვის ნიმუშებს, რადგან ექსპერიმენტი იმისი სიგნალიცაა, რომ პოეზია არ გამოფიტულა, ცოცხლობს, ეძებს გზებს მომავლისკენ და თუნდაც შეცდეს, ყოველ მოძრაობას გამართლება აქვს. ლ. სტურუას, ბ. ხარანაულის, ჯ. ფხოველის, ო. ჭელიძის ლექსები სხვადასხვა თვალსაზრისითაა ექსპერიმენტული.

ოთარ ჭელიძე კარგა ხანია ცდილობს ახალი მეტრული ერთეულების დამკვიდრებას. მისი ექსპერიმენტი ვერსიფიკაციული ბუნებისაა და გულისხმობს რიტმის შეცვლას. დაბეჭდილი ლექსების საზომი ასეთია – 3–3–4, 2–4–2, 2–4–4, 2–4–3. ამ ფაქტს იმიტომ ვაქცევთ ყურადღებას, რომ ო. ჭელიძის ლირიკის განწყობილება და

აზრი რიტმიდან აღმოცენდება ხოლმე. იგი თითქოს შეგნებულად ირჩევს არატრადიციულ საზომს და შემდეგ თხზავს ლექსს, ე. ი. ლექსი წარმოიშობა არა განწყობილების, არამედ წინასწარ ამორჩეული რიტმის საფუძველზე. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ პოეტი იმდენად შეეჩვია თავის მიერ გამოყენებული სალექსო ტერფების კომბინაციას, რომ მას სავსებით ბუნებრივად ღებულობს.

მაგრამ სხვაა მკითხველი, რომელსაც უეჭველად ღლის სტილიზებული საზომების მოძალება. ო. ჭელიძემ ამ ხერხით შექმნა ცალკეული კარგი ლექსები, მაგრამ იგი, როგორც ხალხურ საწყისებს დაცილებული და თავად ავტორის მიერ კონსტრუირებული, მაინც ექსპერიმენტია და ამდენად – ტრადიციულ საზომებს ვერ შეცვლის (იგი ფიქსირებულია XX საუკუნის დამდეგის პრესაში, გაზეთ „ჩანგში“).

ბესიკ ხარანაული კლასიკური ლექსის რღვევის ჟამს ისევ ტრადიციას დაემყარა, ანუ უარყო ერთი, მაგრამ აითვისა მეორე. იგი განსაკუთრებული სიფაქიზით ეკიდება ენას, ფოლკლორულ სახეებს, მშობლიურ ლანდშაფტებს, იმ გარემოს, რომელშიც აღიზარდა, ამიტომ არის ბ. ხარანაულის ვერლიბრი ესოდენ ქართული და შესაბამისად – მომხიბლველი, სადა და გამჭვირვალე, რომლის ინტიმს აღძრავს ყოფითი დეტალები („კაცის ტუჩებით ილეოდა თიხის სასმურიც, შინ ბერდებოდა ძაღლიცა და ბუხრის საჩხრეკიც, საქონლის კვალი ეტყობოდა ქვიტკირის კედლებს“), მსუბუქი ირონია („აბა მიიწი, ჩემო კალიავ! – ვთქვი და ჩამოვჯექ მზით გამთბარ ლოდზე“), ზუსტი ლექსიკა და პოეტური ხატი, წყნარი და უხმაურო, როგორც ფოლკლორის გაგრძელება, სასაუბრო ინტონაცია.

ბ. ხარანაულის ლექსები თითქოს ფრაგმენტებია, უფრო ზუსტად – პოეტური დღიურია, რომელსაც გავეცანით ისე, რომ ავტორმა მათი დამუშავება არ ინება. სამაგიეროდ აქვეა დაბეჭდილი

პოემა „ვაჟა ფშაველა ცხენით მიდის ჩარგლიდან თბილისში და გზად თავის ცოლს ებაასება“.

როგორც ვხედავთ, ნაწარმოების არსი სათაურშივეა მოქცეული. ავტორი გამოდის სათაურის იდეიდან და გვასმენინებს პოეტის მონოლოგს. ბ. ხარანაული რამდენიმე პოემის ავტორია. მათგან ყველაზე უფრო გახმაურდა „ხეიბარი თოჯინა“, არა იმდენად ხარისხის, რამდენადაც პრობლემურობის გამო. რაც შეეხება სარეცენზიო პოემას – კარგია ცალკეული ეპიზოდები. მაგრამ აკლია დრამატიზმი, მშვენიერია და მოულოდნელი თემა, მაგრამ ავტორმა ახალი რაკურსით პოეტი ვერ დაგვანახა. შეიძლება პრეტენზია იმითაც იყოს აღძრული, რომ მეტყველებს „გველისმჭამელის“ ავტორი და მისგან, ასეთი სტილიზების თუ მისტიფიცირების ჟამსაც, რაღაც უჩვეულოსა და განუმეორებელს მოველით. მაგრამ ავტორი შეგნებულად ცდილობს პოეტი გვიჩვენოს ყოფითი რეალიებით, ჰეროიზებისა და პათეტიკის გარეშე, ადამიანური ფიქრით, ტკივილით, საზრუნავით.

საერთოდ ჩვენ ეჭვით, უნდობლად ვეკიდებით ექსპერიმენტს, მოვითხოვთ, რომ ყოველმა ცდამ და რისკმა გაამართლოს, ეს მაშინ, როცა ასობით უფერულ ტრადიციულ ლექსზე ვდუმვართ, არაფერს ვამბობთ. ექსპერიმენტი, რომლის საწყისია ტალანტი და კულტურა, თუნდაც მცდარი აღმოჩნდეს, მაინც გამართლებულია. იგი აქტივისტური, დაუმცხრალი სულის გამოვლენაა და მრავალნაირ გაკვეთილს გვაძლევს.

გადავხედოთ ლია სტურუას ლექსებს, რომლებიც უაღრესად ტიპიურია ამ პოეტისათვის. მოგეხსენებათ, ლ. სტურუა ყოველთვის იწვევდა დისკუსიას, აზრთა სხვადასხვაობას. ისიც ფაქტია, რომ 70-იან წლებში, ბ. ხარანაულთან ერთად, საგრძნობი ზეგავლენა იქონია ქართული ლექსის, კერძოდ – ვერლიბრის განვითარებაზე, ახალთაობის სტილსა და გემოვნებაზე.

თანამოკალმეთაგან განსხვავებით, ლ. სტურუა უარყოფს არა იმდენად კონვენციურ ლექსს, რამდენადაც – აზროვნების ტრადიციულ წესს. მისთვის მთავარია არა ვერსიფიკაცია, რითმა ან განწყობილება, არამედ – მხატვრული აზროვნება. ახალ ლექსთაგან ყველაზე ძლიერია „პიეტა“, რომელიც ე. წ. ნაკლული რითმებითაა გამართული (ხორცი – გაკოცებს, ფერი – მეორეც, ხაზით – მხარზე...). რიტმი იმდენად მკვეთრია, რომ ასოციაციური სახეები გაუცნობიერებლად აღიბეჭდება მეხსიერებაში:

რაც მთავარია აქ არის ბახი
და ჩაწურული ორღანში კვირა,
რაც მთავარია, აქ არის ხალხი,
რომელიც ისმენს ამ მაღალ ტირილს,
მე კი მგონია, რომ უკვე მოვკვდი
და ვიღაც ქალი წვიმაში მოდის,
იხოკავს სანთლით ჩამოქნილ ლოყებს
და ჩემთან მოჰყავს
ჯერარშობილი ჩემს მიერ კაცი.

ლია სტურუა ასოციაციების მეშვეობით ცდილობს სწვდეს პირველად განცდებს, სულის იმპულსურ მოძრაობას. ამიტომ ჭირს ლექსების აღქმა, უფრო სწორად – შეიძლება მათი მრავალგვარი ინტერპრეტაცია, რადგან ისინი შეცნობის ბუნდოვანი პროცესის ვიდეოჩანაწერია. რიტმთან ერთად გაძლიერებულია ხილვადობა, ოღონდ ხედვით პლანში ჩანან არა რეალისტური საგნები, არამედ კუბისტური ფორმები. ამიტომ ასოციაცია სიმბოლიკებში გადადის და მათი მეშვეობით გადმოიცემა სათქმელი.

აი, ლ. სტურუას ლირიკის ტიპიური, ჩვეულებრივი სახეები: „ვიღაც იცინის – სახის თეთრ მიდამოებში დროშებივით აფენს ძოწისფერ ნუნებს“, „მე კი ვხედავ ქვას, საუკუნეები რომ აგდია ჩლუნგად, მერე ბალახი ამოუვა და იმ ბალახით იწყებს აზროვ-

ნებას, რაც ისეთი შემძვრელია ჩემთვის, გაცრილ ფქილში რომ გაიხედო და ზაფრანის ყვავილების აცმა რომ გესროლოს ვიღაცამ“.

საინტერესოა, რომ პოეტმა ვერლიბრით ხანგრძლივი გატაცების შემდეგ, ამასწინათ სონეტების გვირგვინი გამოაქვეყნა (ჟურნალ „ცისკარში“).

ისევ უნდა გავიმეორო: ჯარჯი ფხოველის პოეზიას ცუდად ვიცნობთ, ადრე მასზე დაობდნენ, კამათობდნენ, პოეტი თავისი გზით მიდიოდა, თითქოს არც ქებას უგდებდა ყურს, არც ძაგებას. ახლა, როცა იგი უკვე საკმაოდ ბევრი წიგნის ავტორია, დროა უფრო ვრცლად და სერიოზულად ვისაუბროთ, რათა დავადგინოთ, რა მოჰყვა ხანგრძლივ ექსპერიმენტს.

სარეცენზიო ლექსებიც, ჩემის აზრით, მისი ლირიკის ტიპიური ნიმუშებია. ჯ. ფხოველი, განსხვავებით ლ. სტურუასაგან, ფსიქიკის მხატვარი არ არის. იგი სინამდვილის მჭვრეტელია, ერთგვარად ინერტული, ფიქრის ენით გვესაუბრება. მაგრამ ეს ფიქრები აღძრულია გარეგანი საგნის გასულიერებით.

განსაკუთრებით კარგია ბოლო ლექსი – „ციფრები – არაბული ცხენის ნალის ანაბეჭდები, ჭახუნობენ ჩემს ძველისძველ თავისქალაზე“. ჯ. ფხოველის ლექსები პირველი გადაკითხვით უფერული გვეჩვენება. ისინი თითქოს საგულდაგულოდ ირეკლავენ მკითხველის მზერას. მაგრამ თუ ვიქონიებთ მოთმინებას, ჩავუფიქრდებით მათ, გავიაზრებთ, აღმოჩნდება, რომ ემოციაც საკმაოდ გააჩნიათ. თითქოს პოეტი შეგნებულ ბარიერს ქმნის, რათა მკითხველს გაემიჯნოს ანუ უფრო სწორად – მკითხველმა უნდა გაუგოს მას.

პოეზიის ასეთი გაგება ელიტარისტულია და ამდენად – სადავო. იგი მხოლოდ მაშინ ამართლებს, როცა იქმნება წარუვალი ღირებულების ქმნილება – შედევრი.

ბ. ხარანაული, ლ. სტურუა, ჯ. ფხოველი ავანგარდისტი პოეტები არიან. მათგან ყველაზე მოგებული ჯერჯეროზით ბ. ხარანა-

ულია და ამისი მიზეზი, ჩემის აზრით, ის გახლავთ, რომ პოეტი დაეყრდნო სასაუბრო მეტყველებას, ფოლკლორულ სახეებს, ყოფით მასალას. ერთის შეხედვით შესაძლოა იგი ტრადიციონალისტადაც მოგვეჩვენოს. ლ. სტურუა და ჯ. ფხოველიც იშველიებენ ფოლკლორს, მაგრამ სტილიზებული სახით, ინარჩუნებენ მისდამი დისტანციურ მიმართებას. გარდა ამისა, ხშირად მიმართავენ ხელოვნურ, მანერულ მეტყველებას („ხელებს გადავუგრეხ ჩემს მწუხარებას“ – ჯ. ფხოველი, „საკუთარი მუხლებისა და იდაყვების კუთხეებს ეხეთქები“ – ლ. სტურუა).

ჩვენი ავანგარდისტები ლიტერატურაში ვერლიბრით შემოვიდნენ, თავიდანვე კლასიკურ ლექსს დაუპირისპირდნენ. შემდეგ კი, როგორც ვთქვით, თავად მხატვრულ აზროვნებას, რათა საბოლოოდ პოეზიის ახალი მოდელი შეექმნათ. ჯერჯეროზით მათ ეს შეძლეს სტრუქტურის თვალსაზრისით, დაწერეს ცალკეული ძლიერი და საინტერესო ქმნილებანიც. მაგრამ არა უფრო უკეთესი, ვიდრე თანამოკალმე ტრადიციონალისტებმა.

ასეთი პოეზია თავისი ბუნებით ჰერმეტულია, რჩება პოეზიის მოყვარულთა წრეში, მითუმეტეს დღეს, როცა მასობრივი ხელოვნების დარგებმა შეავიწროვეს ლიტერატურა და განსაკუთრებით – ლექსი.

ტიპოლოგიურად ავანგარდიზმს უახლოვდება ე. წ. აკადემიური ანუ პარნასული პოეზია, უფრო სწორად – ქრონოლოგიურად წინ უსწრებს. აკადემიური ლექსის მოდელი ტრადიციის დაწურვა და რაფინირებაა, ერთგულია სინათლისა და სიმეტრიისა, წესრიგისა და პროპორციისა, აერთებს რომანტიკულ და რეალისტურ ხაზებს. იგი თითქოს ძველი პოეზიის გახსენებაცაა, ოღონდ ერთის კორექტივით: უარყოფს სასიმღერო ჰანგებს, ლექსის მუსიკალობაზე აგებას და უფრო განგვაწყობს ფიქრისა და განსჯისათვის.

ასეთი პოეზია მძაფრია და დრამატული, მაგრამ მკითხველისაგან გარკვეული ბარიერით მაინცაა გამიჯნული. მისი ემოცია რაციონალურია, ჭარბობს გონება, შეცნობის ჟინი. იგი რთული ინტელექტური გააზრების ნაყოფია და ამდენად საჭიროებს გულდასმით წაკითხვას, გავარჯიშებულ გონებას, ფაქიზ აღქმას. ბულბულის გალობა, ინდუსტრიის ხოტბა ან ირონიულ-პაროდიული ხედვა მისთვის თანაბრად მიუღებელია.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა გრიგოლ აბაშიძის ლექსები.ისტორიისა და აზროვნების დრამატიზმი იყო საფუძველი „ზარზმის ზმანების“ ავტორის პოეზიისა. მან ბრწყინვალე ლექსების ციკლი შექმნა საქართველოს წარსულზე. მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ნაწილობრივ შეიცვალა პოეტის ესთეტიკური პოზიციაც. ბოლო წლების ლირიკა უფრო ფილოსოფიური ხასიათისაა. გამძაფრდა ფიქრი სიკვდილ-სიცოცხლეზე, აღსარება და განსჯა. ახალი ლექსები მონოლოგია პიროვნებისა, რომლის თვალწინ მთელმა ეპოქამ ჩაიარა.

პოეტი ადგენს თავის მიმართებას ქარტეხილებთან, დროსთან, წარმავალ თუ წარუვალ იდეებთან. სიტყვაში ნაღველიც იგრძნობა („იქნებ ის სჯობდა ისე მეცხოვრა, ფრთებით გრიგალებს არ შევლეწოდი“) და სინანულიც გაკრთება („და რომ გრძელდება ჩემი სიბერე, ლერმონტოვის და კიტსის მრცხვენია“). ხოლო ზოგჯერ განსჯას ენაცვლება ლირიზმი და მუსიკალური ნაკადი. ასეთი კონკრეტული შტრიხებით იხატება სულის პორტრეტი, წარმავლობაზე ფიქრით შეძრული.

ემზარ კვიტაიშვილის ლექსებიც ძველი განწყობილებისა და სტილის გაგრძელებაა, პოეტი სიტყვისა და რითმის ოსტატია. მისი ემოცია ფაქტის თუ მოვლენის განსჯის შედეგია. სევდა და ირონია – აი ეს ორი გრძნობა, მათი ინტელექტუალიზება არის ემზარ კვიტაიშვილის პოეზიის არსი, რაც ფერწერული ხატებით იშლება. ამ

ლექსების დრამატიზმი სპეციფიკურია. მათ აკლით უშუალობა და გრძნობა მხოლოდ გააზრების, ფორმის განცდის შემდეგ ჩნდება.

ბოლო წლებში ე. კვიტაიშვილისათვის განსაკუთრებით მახლობელი პოეტები გახდნენ დ. გურამიშვილი და ა. წერეთელი. ხალხური მეტყველება, გარითმვის ხერხი მათი შთაგონებითაც გამოვლინდა. მაგრამ, მე მგონია, აკადემიური სტილისათვის ხალხური კილოს იმიტაცია არაბუნებრივია. გასაგებია, რომ პოეტს სურს ასე დაძლიოს ლექსის სირთულე, მიანიჭოს მეტი სიმსუბუქე. მაგრამ პირიქით კი გამოსდის. ეს უფრო ითქმის ა. წერეთელთან მიმართებაზე.

დ. გურამიშვილის პესიმიზმის ესთეტიკა იქნებ აუცილებელიც იყო, რათა აკადემიურ, გრანიტისებურ ლექსს სიცოცხლის ღელვით ემეტყველა. ე. კვიტაიშვილის პოეტური სიტყვა მწვავე კრიტიკული პათოსის შემცველიცაა. ასეთია „მაინც ჩავალ“, გურიის მონატრებაზე დაწერილი ლექსი, სინანული „უპატრონო ეზოებზე“. ამ პათოსის საწყისი სევდაა და იგი სტრიქონებშიც ხშირად თავს იჩენს. პოეტის ძალაც ასეთ დროს ვლინდება. ეს იქნება გურამ ასათიანის გახსენება თუ ბახმაროს მოგონება, ალანძული ატმის ტოტის თუ მოკვეთილი დალალის მოლანდება. მაგრამ ზედმეტი რაფინირება ანელებს სტიქიურ, იმპულსურ ძალებს და ლექსი ცივი გვეჩვენება, ყოველ შემთხვევაში, მთლიანობაში აღებულს, არ აქვს ის სიმძაფრე, რასაც გამოსცემს ცალკეული სახე („ახლა შენი მარტოობის ბნელ ხაროში იჯექ“, „სად მიიქნევს ცეცხლის ძუას აწ ზაფხული ოტებული“, „ეგებ ჯობდა – ხუთი წლის გამქრალიყავ ბიჭადვე“).

გივი ალხაზიშვილისათვის მახლობელია სიმბოლისტური ნახევარტონები, რბილი და ბუნდოვანი ფერები, სამყაროს მუსიკალური აღქმა. მისი ახალი ლექსებიც ესთეტიზებულია. პოეტი უარყოფს „ტოტალურ პოეზიას“, რომელიც ცდილობს ლექსად აქციოს

ქუჩის ხმაური, ქარხნის გუგუნი, ბორბლების ღრჭიალი, აგრძელებს წმინდა, ნატიფი ლირიკის ხაზს, რომელმაც გააბატონა სიტყვის, მასალის და განცდის იერარქია, შეინარჩუნა ფრაზის აკუსტიკა.

მუსიკისადმი სიყვარული ვლინდება თუნდაც ამ სტრიქონებში: „მე და შენ, როგორც ხემს და ვიოლინოს, ბგერა გვენატრება პირველი“. ეს თეორიულად. ხოლო პრაქტიკულად პოეტი ესწრაფვის განცდის და მასალის კონსტრუირებას სალექსო ტექნიკის კვალობაზე, ე. ი. გვაწვდის გაშუალებულ, დამორჩილებულ ემოციებს, რომელთაც მიენიჭათ სპეციფიკური ფორმა. ასეთი ჰერმეტიზმი ანელებს კიდეც პირვანდელ განწყობილებას და ამიტომაც ამ ლექსებს სათანადოდ დააფასებს მხოლოდ ის, ვინც იცის სიტყვის ტექნიკის, კულტურის ფასი. გ. ალხაზიშვილის საუკეთესო სტრიქონები იწერება მაშინ, როცა იგი თავს აღწევს საკუთარი ლექსის აკადემიზმს, ე. ი. როცა ტექნიკას სტიქიურად ავლენს მძაფრი სათქმელი და განწყობილება იწვევს სიტყვებს.

გივი გეგეჭკორის ადრეული ლირიკა ო. ჭილაძის გავლენას განიცდიდა. შემდეგ, ფრანგული პოეზიის შთაგონებით, პოეტის სტრიქონები განათდა, მათში სითბომ და მუსიკალობამ დაისადგურა. ასე შეიქმნა არაერთი ჩინებული ლექსი.

გივი გეგეჭკორი ყოველთვის იყო აკადემიზმის დამცველი, რომელსაც სხვადასხვაგვარად ავლენდა. ბოლო წლებში იგი მიუბრუნდა ძველქართულ ტრადიციებს (იგულისხმება დ. გურამიშვილი), სცადა ვერსიფიკაციული სიახლეთა წარმოდგენა. მაგრამ ლექსებს დაეტყო სიცივე, კულტურული, ოღონდ ხელოვნური ასოციაციები: „არა, არ მოგიხდება ტრაგიკული სიბერის მგლოვიარე პორფირი“, „ისე მოსავლელი ხარ, ვით ლიმონი ყინვაში შეხვეული ტომრით“, „და ჰგავს იდილიური ოჯახური სურათი ვერმეერის ტილოს“.

როგორც ვხედავთ, პოეტის ემოცია გასაგებია და მისაწვდომი ინტელექტუალური წრისათვის. ჩვეულებრივი, რიგითი მკითხველი მას სრულად ვერ დააფასებს, აღქმაც გაუძნელდება. არის მეორე დაბრკოლება: გ. გეგეჭკორის ახალი ლექსები უარყოფენ კატრენულ სტროფს. სანაცვლოდ გვთავაზობს ექვსტრიქონიან სტროფს, რომელშიც გარითმულია მესამე და მეექვსე სტრიქონები. ქართველი მკითხველისათვის, როგორც გამონაკლისი და სპეციფიკური, ხანგრძლივად ასეთი სტროფიკა დამღლელია: „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ექვსივე ლექსი ამგვარი წყობისაა.

ესთეტიზმი, რომელსაც პოეტი ავლენს სახის თუ სტროფიკის სტრუქტურით, მასალის რბილი აღქმით, ინტელექტუალური ჭვრეტით, გულისხმობს დრამატიზმის შენელებას, მძაფრი განცდების შემცირებას: ამიტომ ასეთი ლექსი დემონსტრირებაა სტილისა და ტექნიკისა:

„ცხოვრება სანამ გაამრუდებდა
და დაახვევდა ხვალ დაუდევრად
ნატიფი სულის უნაზეს მაქმანს,
გაელვებული მზის არაბესკი
და იდუმალი, ვით დარაბებში
სხივის კანკალი, უეცრად გაქრა...“

მშრალი რაციონალიზმი გასდევს ხუტა გაგუას ლექსებს. იგი კარგა ხანი შერჩა ო. ჭილაძის სტილსა და ინტონაციებს. შემდეგ თითქოს განთავისუფლდა, მაგრამ, ეტყობა, უფრო ცნობიერად, ვიდრე ინტუიციურად. ამიტომ მისი სტრიქონები, თითოოროლა გამონაკლისის გარდა („და ისე ნათობს არსობის აზრი“, „კაცს, ყოველმხრივ დადებითს“), ყოველთვის გამართულია და ტექნიკის ბეჭედი აზის. მაგრამ აკლია ორიგინალობა, სიცოცხლე, სიმძაფრე. პოეტი თითქოს აკეთებს ლექსს, ვიდრე ქმნის ან თხზავს.

ზოგჯერ კიდეც გვეჩვენება, რომ ლექსები, რომელთაც ვეცნობით, სტილური და ვერსიფიკაციული ვარჯიშია, რომელთა ავტორს აქვს გემოვნება, სალექსო კულტურა, მაგრამ აკლია შინაგანი დრამატიზმი, პოეტური სათქმელი. მაინც შეიძლება მათგან გამოვყოთ „ჟამი მოლოდინისა“, რომლის იდეაა – „და ფხიზლობს გრძნობა, ქართული სისხლი მონგოლის სისხლთან რომ დააზავა“.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ დაბეჭდილა ე. წ. აკადემიური ყაიდის ლექსები, რომლებიც თავიანთი ფუნქციით „ლიტერატორთა ლიტერატურის“ წრეში ექცევიან. ისინი არ განეკუთვნებიან ექსპერიმენტულ ნაკადს, მაგრამ წამყვანია გონებრივი საწყისი, ინტელექტი. ამიტომ ავტორები განსხვავებული გულისყურით ეკიდებიან ფორმას, ლექსიკას, აზრის დინამიკას. მათთვის მახლობელია ჭარბი ლიტერატურულობა, წიგნიერი ასოციაციები, ცივი სინატიფე, რის გამოც ახდენენ ლიტერატურშჩინის მოდელირებასაც, შემოაქვთ იგი სტილის ნაწილად.

ასეთი სტილი და თვალსაზრისი ერთ-ერთი განშტოებაა XX საუკუნეში გავრცელებული და თითქმის გაბატონებულ ინტელექტუალური პოეზიისა.

შეიძლება ითქვას, ინტელიგენტურმა კულტურამ შეცვალა „ლიტერატურშჩინას“ გაგება, მოახდინა მისი მოდელირება და მწერლობის ნაწილადაც აქცია. ლიტერატურიდან აღმოცენებული პოეზია, როცა იგი დიდი გრძნობითაა აღსავსე, ისევე გვაღელვებს, როგორც ცხოვრებიდან წამოსული დრამატიზმი. „ლიტერატურშჩინის“ ფაქიზი აღქმა და გააზრებაა გ. ტაბიძის თუ ს. ჩიქოვანის ცალკეული ბრწყინვალე ლექსები.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართული პოეზია მეტისმეტად ემყარება ისტორიულ და ლიტერატურულ მასალას. რასაკვირველია, სხვაა ალუზია, პარალელი, რემინისცენცია. უფრო სამწუხარო ისაა, რომ ჩამოყალიბდა ისტორიული აღქმის, სახელების, საგნების სტე-

რეოტიპი, თითქოს ლექსიდან ლექსში გადადის ერთიდაიგივე მასალა, არავინ ცდილობს თავად წაიკითხოს „ქართლის ცხოვრება“, ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ტექსტები, ძველ მოღვაწეთა ცხოვრებაზე დაწერილი გამოკვლევები. საქართველოს წარსულზე შეიქმნა არაერთი შედევრი, ამიტომ გვმართებს უცნობი მოდუსის წარმოდგენა, ე. ი. ახალი მასალის და იდეის პოვნა.

სხვამხრივ უნებურად ვახდენთ თემის დევალვაციას.

ასეთ ფიქრებს აღძრავს ენვერ ნიჟარაძის ლექსები, რომლებიც ეძღვნება ილიას, აკაკის, ვაჟას, ფიროსმანს, სულხან-საბას და დამიანეს. ე. ნიჟარაძე ტრადიციული ხედვის პოეტია, არაერთი საინტერესო და კარგი ლექსის ავტორი, რომელიც მშვენივრად აერთებს ლიტერატურულ ცოდნას ლექსის თხზვასთან. ამჯერად შეცდომის სათავე არის არა ლიტერატურული ოსტატობა, არამედ – პოზიცია: ავტორი შეეცადა კიდევ ერთხელ აღევლინა ხოტბა დიდი წინაპრებისადმი, კონკრეტული მიმართების პოვნის გარეშე, არსებითად გალექსილია ზოგადი თვალსაზრისი (გამონაკლისია დამიანე): „ვერასოდეს გადავიხდით მის ნაღვაწევს და მის ამაგს“, „როგორ არ ვიამაყო შენისთანა წინაპრით“, „დღეს მითუმეტეს, თუ ხარ ქართველი, უნდა იცოდე ვაჟა ზეპირად“, „არავის ახსოვს ბევრის სახელი, შენ კი სამშობლოს ეამაყები“, „ეჰ, რა კაცი გვყავდა, ეჰ, რა ტკბილი პაპა“, „ის იყო ერთი და გოლიათი, სხვა ვაჟა აღარ განმეორდება“...

თანამედროვე პოეტების მისამართით მინდა ვთქვა, რომ არ არის საჭირო ლექსებში ლექსებზე საუბარი, რითმებსა და მეტაფორებზე მსჯელობა. ასეთი ლექსები კიდევ უფრო ამჟღავნებენ „ლიტერატურშჩინით“ გატაცებას და მისაღებია მხოლოდ მაშინ, როცა მართლაც მთელი სხეულით არის განცდილი (ამის არაერთ ნიმუშს იცნობს ჩვენი პოეზია).

მახსენდება ვალერიან გაფრინდაშვილის სიტყვები, სამოცი წლის წინ თქმული: „პოეზია იკვებება საკუთარი სისხლით და ხორცით და მალე წელში გადატყდება, როგორც აკრობატი“. მაშინ ასეთ ორიენტირს ამართლებდნენ, როგორც სიკვდილის ესთეტიკის ნაწილს. ჩვენ კი უნდა ვთქვათ, რომ ქართული ლექსი ისედაც საკმაოდ მწიგნობრულია და იგი სანამ მთლიან ლიტერატურშჩინად არ ქცეულა (რაც უნდა გემოვნებით იყოს მოწვდილი), დროა მიუბრუნდეს საკუთარ თავსა და სინამდვილეს.

არაერთი ლექსი დაიბეჭდა, საქართველოს წარსულისადმი მიძღვნილი, რომელთა მეტი წილი სუსტია, სუსტია თუნდაც იმიტომ, რომ მოსაწყენია კიდევ ერთხელ ნოქალაქევის და კრწანისის გახსენება, ზევახის აჩრდილის გამოხმობა, მერი შერვაშიძის მოლანდება (ო. შალამბერიძე), თუ არ ახლავს განსაკუთრებული აზროვნებრივი დინამიკა, თორემ ყოველ თემას შეიძლება მოეძებნოს ახალი განზომილება, როცა პოეტი ცოცხლობს იმ მასალით, რომელზეც წერს.

აი როგორ აღიქვამს არჩილ სულაკაური არგონავტების შემოსვლას: „მე გაძარცული აიეტი ვარ, ჩასძინებია ჩემს მხარზე არწივს“.

არ არსებობს უნივერსალური სტილი. ყველა შემოქმედი ვლინდება ინდივიდუალური ხელწერით და ყოველი მათგანი გენეტიკურად არის შეზღუდული. აქ გონების კარნახი, ინტელექტის ჩარევა ან აკვიატებული სურვილი ვერაფერს შეცვლის: აუცილებელია საკუთარი პოტენციის გააზრება თუნდაც ინტუიციის დონეზე. პიროვნების არსში ტალანტი ზოგჯერ იმდენად ღრმად ძევს, რომ საჭიროა ათასი კომბინაცია, რათა გამოხსნილ იქნეს.

ამიტომ არის თითქმის თანაბრად ძნელი მისაწვდომი „რა“ და „როგორ“. გამოთქმის ხელოვნებას შეიძენ, შესწავლის შედეგია. მაგ-

რამ ემატება ერთი უმთავრესი ნიუანსი – საპოვნია გზა, ტექნიკის მიმართულება „მე“-ს იდუმალი ფენებისაკენ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა გადავხედოთ მ. ლებანიძისა და მ. ჯგუბურიას ლექსებს.

სასაუბრო ინტონაციები, ყოფითი ენა, დიალოგები ქართულ პოეზიაში მუხრან მაჭავარიანმა შემოიტანა და გაავრცელა, რითაც დაუპირისპირდა ერთის მხრივ – აკადემიურ პოეზიას, მეორე მხრივ – პათეტიკურ ლირიკას.

ეს ტენდენცია ყველაზე ძლიერ და სრულად გამოხატა მურმან ლებანიძემ. ახალი ციკლიც გვთავაზობს რამდენიმე მშვენიერ ლექსს. ესენია – „სრიხონისსა და ქრისტეს შორის“, „დაპატარავდა ჯამაგიძის ქალი“, „პორტრეტი“.

ამჯერადაც პოეტმა უშუალობა, ცხოვრებისეული დეტალები, ბუნებრივი განცდები აირჩია დრამატიზმის მისაღწევად. ავტორი არ ცდილობს სტრიქონების გარანდვას, იგი ენდობა გულიდან წამოსულ პირველად ემოციებს, პირველად განწყობილებებს, რომელთა დაკრისტალება არის ლექსი. შესამჩნევია რამდენიმე უხერხული აზრი და გამოთქმაც („პოეტიაო ჩემი ქმარი, ხალხში რომ იტყვის, არათუ რისკი, სიბრიყვეა ქალისგან თითქმის, საქართველოში ამაღამდელ ახალწლის ღამეს, ორ-სამ ქალს ექნეს დიდი-დიდი, უფლება ამის“, „შენს ირგვლივ, გახსოვდეს, ყმაწვილო, მგლებია“, „ამოგწკრიალებს საყვარელი ხმები კისრიდან“).

მთავარი ის გახლავთ, რომ პოეტი ინარჩუნებს ენერგიას, მიუხედავად წელთა სიმრავლისა და ისევ ძველებური ინტერესით გვიზიდავს: ახალი ლექსები ნაცნობი სტილის, მსოფლგანცდის, ინტონაციების მორიგი ვარიაცია და გაგრძელებაა.

სხვაგვარი აზრი გვიჩნდება, როცა მურმან ჯგუბურიას ლექსებს ვკითხულობთ. ბოლო წლებში მის პოეზიაზე საგრძნობ ზეგავლენას ახდენენ მურმან ლებანიძე და ბესიკ ხარანაული. გარდა

ამისა, თითქოს დაეკარგა ძიების სურვილი, მიენდო სიტყვის ინერციას და არცა ცდილობს სათქმელის ლიტერატურად ქცევას.

პოეტი სადად, უბრალოდ და უსასრულოდ გვესაუბრება თავისთავზე, მახლობელ საგნებზე, გარდასულ დღეებზე. მათ თავისებური ინტიმიც ახლავთ. მაგრამ სუსტია სინათლე, რომელსაც გამოსცემენ: ის ვერც გულს გაგვითბობს, ვერც გზას გაგვინათებს. მ. ჯგუბურია თითქოს პრინციპულად უარყოფს მხატვრულ აზროვნებას, სახეობრივ მეტყველებას, სათქმელის მკაცრ ფორმირებას, მოგვითხრობს ამბავს, რომელიც აღარაა ლირიკა, მაგრამ ეპიკური სიღრმე და სისრულეც არ გააჩნია. გვეჩვენება, რომ პრიმიტივიზმი შეგნებულადაა სტილიზებული და ამდენად ხელოვნურია.

მ. ჯგუბურია ავტორია არაერთი ძლიერი ლექსისა, რომლებიც გვხიბლავენ სადა სტილით, მეგრული კოლორიტით, ენობრივი სინათლით, უშუალო და მართალი განცდით. კარგა ხანია იგი ცდილობს პოეზიის ყოველდღიურ პროზად წარმოდგენას და ყოველთვის მარცხდება. მაგრამ როცა მისდევს ტრადიციულ ლექსს – გაცილებით მოგებული რჩება.

სსრკ მწერალთა VIII ყრილობაზე რ. როჟდესტვენსკი ამბობდა, რომ გაჩნდა თეორია, თითქოს პოეტი ახლა ნელ-ნელა და თანდათან ყალიბდება. ეს მაშინ, როცა იგივე დარჩა სიყვარულის ასაკი, პასპორტის გაცემის თუ ჯარში გაწვევის დრო. ხოლო სკოლაში სულაც ექვსი წლისანი შეჰყავთ. ასეთი თეორია ჩვენშიც შეითხზა, ოღონდ საფუძველი ისევ ახალგაზრდა პოეტებმა მოგვცეს.

70-იან წლებში დისკუსიის საგანი იყო ახალგაზრდების ექსპერიმენტული ფორმებით გატაცება. შემდეგ იგი დაცხრა და ლიტერატურაში ახლად შემოსული პოეტები მიუბრუნდნენ კონვენციურ ლექსს, რომანტიკულ ტრადიციას, ცხოვრებისეულ ვნებებს.

ამ ტენდენციის დამწყები და ყველაზე მკვეთრი მესიტყვეა ვახტანგ ხარჩილავა. ახალთაობის პოეტები, რომლებიც წელს გა-

ზეთმა დაბეჭდა, ასეთსავე მიდრეკილებას ამჟღავნებენ (დ. მჭედლური, მ. ჩიტიშვილი, დ. ბედიანიძე, ნ. ქუთათელაძე, დ. მაღრაძე, მ. გონაშვილი).

ცხადია, ვ. ხარჩილავას ოთხი ლექსი არაფერს გვეუბნება ამ პოეტის ნიჭსა და უნარზე. მაგრამ მათშიც საგრძნობია დრამატული სული, „მეს“ ძიების დაუმცხრალი ჟინი, ცხოვრებისეული ვნებათა ღელვა. ამ ლექსების გმირი თანამედროვე ადამიანია, გარეგნული ატრიბუტების გარეშე, შინაგანი ცხოვრებით, სევდით, წუხილით და ოცნებით. ის კიდევ ერთხელ იძლევა მინიშნებას, რომ გვახსოვდეს მიწა, რომელზეც ვდგავართ, გვახსოვდეს ადამიანი.

დავით მჭედლურის ლექსები ისევ ყოფიერებისაკენ, სიცოცხლისაკენ მიბრუნებაა. პოეტი განერიდა როგორც ექსპერიმენტს, ისე აკადემიურ, მარმარილოს სიტყვას. იგი ადამიანურ ვნებებზე გვესაუბრება, ცხოვრების უსასრულობაზე, დამღლელ პრობლემებზე, ყველა ჩვენთაგანის თანამდევი რომ არის. გაზაფხულის მოსვლა ადამიანის განახლებადაც არის წარმოდგენილი, რაც თავისთავად დრამატულია და სიმწარეც ახლავს. „გიმზერდით და გელოდით, ხორცით ვკრეფდით ეკალს“, ამბობს პოეტი. მთელი ციკლი სპეციფიკური სიტყვებითაა აგებული – ყინული, თოვლი, კვამლი, წვიმა, წყალი, კვირტი, როგორც ორი სტიქიის ჭიდილი, გამოვლენილი ბუნებაში, პიროვნების გულსა და სიტყვაში.

მანანა ჩიტიშვილი, ისევე როგორც ვ. ხარჩილავა და დ. მჭედლური, რომანტიკული განცდის პოეტია. მაგრამ სათქმელს კონკრეტული დეტალებით გადმოგვცემს – ხმელი ბალახი და მოფათურე წვიმა, იფანზე აკრული სურო და ქვიშისფერი კლდე, ქართლის სერები და ველ-მინდვრები. ეს ყოველივე დარჩებოდა უსაგნო სამკაულად ან სტილიზებად, რომ არ აცოცხლებდეთ, არ აერთებდეთ, გულწრფელი განცდა, სადად და უბრალოდ თქმული: „აღარ გიხსენებ, მაგრამ სიზმრები, სიზმრები შენი ერთგული დამრჩა“.

როგორც ვხედავთ, ახალთაობის პოეტები ზომიერებას არჩევენ. მათთვის უცხოა ფორმის კულტი, ექსპერიმენტი, სახეობრივი ორნამენტით გატაცება. ისინი შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობენ, აერთიანებთ დრამატიზმი, ქართული გარემოსა და სულის კოლორიტი, უკუქცევა რომანტიკული მგრძნობელობისაკენ.

ვერლიბრისტებზე შენიშნავდნენ ხოლმე, რომ მათი ლექსები თარგმანია არარსებული დედნიდან. ახალთაობის ნაწერებზე ეს არ ითქმის. მათთვის მთავარია სიცოცხლის, ყოფიერების მწვავე განცდა, პიროვნულ ვნებათა მოქცევა ქართული მასალის სამოსელში. ასეთ მიდრეკილებას ამჟღავნებენ ის ახალგაზრდა პოეტებიც, რომლებიც ახლა შემოდიან ლიტერატურაში. ეს უკვე იმისი სიგნალია, რომ დადგა ახალი ფერისცვალების ჟამი.

რედაქციამ წარმოაჩინა ყველაზე მნიშვნელოვანი სახელები და ფაქტები, თუმცა ალბათ შეუძლებელია რომელიმე მათგანი ჩაითვალოს განსაკუთრებულ მიღწევად, ე. ი. შედევრად. მაგრამ მხოლოდ ასეთი ძალისხმევა, ასეთი ატმოსფეროს დამკვიდრება მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე. ელვარე ქმნილებანი იშვიათად ჩნდება ლიტერატურაში, მაგრამ ჩვენი ორიენტირი ხომ დიდი ხელოვნებაა. ამის გარეშე ყველაფერს აზრი აქვს დაკარგული.

ყოველი ექსპერიმენტი, სიახლისაკენ სწრაფვა, ცალკეული რისკი და ხელისმოცარვა, კონსერვატიული თუ დოგმატური თვალსაზრისი ამითაც არის გამოწვეული. ლიტერატურას სჭირდება ყოველგვარი ფასეული უკიდურესობა, რათა მრავალხმიანობით, ძალთა წონასწორობით იყოს იგი აწმყოდან მომავლისაკენ მიმართული.

ხელოვნების მიზანი, ალფა და ომეგა, ყოველთვის იყო ადამიანი, ადამიანური ვნებების მიმოქცევა, რომელიც სულს უდგამს უსულო საგნებით დაფარულ სამყაროს, მარადისობის ბინდიდან გამოიხმობს აჩრდილებს, სიცოცხლეს უნარჩუნებს დღევანდელ

დღეებს, ათას ფაქტსა და შემთხვევას. მაგრამ პოეზიის მთრთოლარე სიმი ჟღერს მხოლოდ სულიდან წამოსული სიგნალებით. ხოლო ამ სიგნალების აღმძვრელია ის გარემო, რომელშიც ცხოვრობს პოეტი და რომლის გულისცემა, სხივი და ფერი გადააქვს თაობიდან თაობაში, საუკუნიდან საუკუნეში.

1986, ივლისი

ოთარ ჩხეიძე: ტრაგიკული ათწლეული

„საქართველოც უდაბნო იქნებოდა,
სისხლით რო არ გაჯერებულიყო“.
ოთარ ჩხეიძე

„მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას” წუხელის დიდხანს, გათენებამდი, როგორ გჩეხავდნენ, ჩემო ქალაქო, სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი“.

ასე წერდა გიორგი ლეონიძე 30-იან წლებში, როცა ეგონა, რომ აღარ მობრუნდებოდა სისხლიანი, კოშმარული ჟამი და თითქოს საქართველოს ეღირსა მშვიდობა და თავისუფლება.

ცხადია, ეს იყო მხოლოდ ილუზია, ან უბრალოდ თავის მოტყუება, თურმე ქვეყანას ჯოჯოხეთის გარსები კიდევ უნდა გაევლო, არავინ უწყის – რამდენი, ცხრა თუ ცხრაჯერ ცხრა.

და, აი, ჩვენს თვალწინ საქართველოს კიდევ ერთხელ დაუდგა ბორკილთა მსხვრევისა და აღზევების, შინაომისა და დაცემის ჟამი. ეს მეოცე საუკუნის მიწურულია და ამ ეპოქის მხატვარია ოთარ ჩხეიძე, რომელმაც 1993-2002 წლებში დაწერა და დაბეჭდა ოთხი ვრცელი რომანი – „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“ და „2001 წელი“. განცვიფრება მიპყრობს, როცა ვკითხულობ ამ წიგნებს, აღსავსეს დიდი ეროვნული გრძნობით, მწერლური სიახლით, ტრაგიკულ მოვლენათა უჩვეულო აღქმითა და ჭვრეტით. თითქოს მათი ავტორი იყოს არა 80-ს გადაცილებული, მხცოვანი, სიტყვასთან და უკუღმართ დროსთან ბრძოლით დამაშვრალი მწერალი, არამედ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მხოლოდ სიახლე სწყურია.

ოთარ ჩხეიძე მაგალითს აძლევს ახალთაობას თავისი აზროვნებით, სტილით, მოვლენათა ეროვნულ-პოლიტიკური ხედვით.

მაგრამ მწერალმა თავისი სტილიც განაახლა, როცა ბოზოქარი ცხოვრება შემოუშვა პროზაში, როცა ჭარბად შემოიტანა დოკუმენტური მასალა. საოცარია ავტორის მეხსიერებაც, ისტორიული რეალიების აღნუსხვისა და განსჯის უნარი (ქურდი ღოროც კი არ არის დავიწყებული!), მათთან გამოგონილ პერსონაჟთა ბედის დაკავშირება. შეიძლება ბევრი რამ აღარც გვახსოვდეს და მხოლოდ მომავალში აღადგინოს ისტორიკოსის კალამმა. ამიტომ უნდა წაიკითხონ ოთარ ჩხეიძის რომანები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, სხვადასხვა ფენის მკითხველებმა, წაიკითხონ და შეიმეცნონ, მიუხედავად სპეციფიკური სტილისა, რადგან „ბორიაყის“ ავტორი თავისი სტილითაც საინტერესოა და აქტუალური, არა მხოლოდ პრობლემებით ან თხზვის ოსტატობით.

* * *

ძველი თაობა, რომლის იდეალები დრომ არ გაამართლა, კომუნისტების დითირამბებით ამთავრებდა ცხოვრებას. მოდიოდა ახალი ძალა, აღზრდილი ბოლშევიზმის წიაღში, რომელიც ძირს უთხრიდა თავის სისხლიან მეურვეებს. ოთარ ჩხეიძე იყო პირველი ჩვენს მწერლობაში, რომელმაც უარყო ერთი მხრივ – სოციალისტური რეალიზმის პრინციპები, მეორე მხრივ – იდეოლოგიური დოგმები, არა თეორიულად, არამედ შემოქმედებითი პრაქტიკით, მხატვრული სიტყვით. მან დაიწყო განახლების პროცესი, რომელიც ასე წარმატებით გაიშალა 60-იანი წლებიდან და მოიცვა ლიტერატურის ყოველი სფერო.

ამ თვალსაზრისით ოთარ ჩხეიძე მოგვაგონებს ვასილ ბარნოვს, რომელიც წინ უსწრებდა ახალგაზრდა მოდერნისტებს, შემდეგ კი მათ პარალელურად ქმნიდა ახალ პროზას. სუსხიან თოვლქვეშ გაზაფხული იწყებდა სუნთქვას.

* * *

ოთარ ჩხეიძის ოთხი ახალი რომანი აცოცხლებს იმ კოშმარულ, ტრაგიკულ და აბსურდულ ათწლეულს, რომელშიც ვცხოვრობდით. ეს ათწლეული კი მოვლენათა სიუხვით ასწლეულს უდრის.

„არტისტული გადატრიალება“ რომანია 1991-1992 წლების სამხედრო-კრიმინალურ პუტჩზე, რომელსაც მოჰყვა დამარცხებათა მთელი სერია, მძიმე ეროვნული დეპრესია. ავტორი არ დამდგარა არც დამარცხებულის, არც გამარჯვებულის მხარეზე. მან აჩვენა სიმართლე და ასახა სამშობლოს ინტერესები, თუმცა მწერლის პოზიცია ნათელია, რაც „არსენას ლექსის“ პერიფრაზით ათქმევინა მესტვირემ ზვიად გამსახურდიას რუსთხელმწიფის მიმართ: „შენი ყმობა არ მინდოდა, მე სხვა ცოდო არ მადევსა“.

ამ თემის, თავისუფლებისა და დაუმორჩილებლობის თემის გაგრძელებაა „თეთრი დათვი“, რომელშიც მთავარია აფხაზეთის ტრაგედია. ამჯერადაც ავტორის ძიებას მივყავართ „რუსთ ხელმწიფის“ ინტრიგებთან და ძალმომრეობასთან, რაც თეთრი დათვით არის სიმბოლიზებული. აქ უფრო სასტიკი ხდება დროის ქარბორბალა და პერსონაჟები თითქოს ლანდებს ემსგავსებიან, რომლებიც წამიერად ჩნდებიან და ქრებიან ამ ქაოსში.

მთავარ პერსონაჟ ბაადურ რიკოთელსაც ნაკლებად ვხედავთ. ყველაფერს ბურუსი ჰფარავს. სახელმწიფო გადატრიალებასა და აფხაზეთის ტრაგედიას, რომლის მსგავსი იშვიათია ჩვენს ისტორიაში, მოჰყვა ნგრევა და რღვევა, სულიერი და ეკონომიკური დომხალი, სასოწარკვეთა, რაც ამჯერად „ბერმუდის სამკუთხედით“ არის სიმბოლიზებული.

ცივი ქარი ისევ მოჰქრის ჩრდილოეთიდან და ახლა თეთრი დათვის ტორი პანკისის თავზე აღმართულა. ეს არის რომან „2001 წლის“ მთავარი თემა. მაგრამ ისიცაა ნაჩვენები, თუ როგორ ხრავს

და სპობს ქვეყანას შინაგანი კრიზისი, როგორ „ბნელა საქართველოში“.

ასე რომ, ოთხივე რომანი ერთი ეპოპეაა, ტრაგიკულ-აბსურდული ეპოქის მატიანე, დახატული ნაირგვარი ხერხებით, ამეტყველებული ისტორიული თუ გამოგონილი სახეებით. როგორც წერდა ლეო ქიაჩელი – ეპოქები იმზირებიან ადამიანთა თვალებით.

* * *

„ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“. ეს ილია ჭავჭავაძეა, 60-იანი წლებისა, რომელსაც მემკვიდრეობით ერგო სევდა ქართლის ჭირსა და ქართლის ბედზე. მაგრამ გავა საუკუნენახევარი და ბესიკ ხარანაული იტყვის – დაღლილი ხარ, საქართველო, დაიძინე, საქართველოო.

ეს ორი სხვადასხვა პოზიციაა. ერთი აქტივობასა და თავისუფლებას ქადაგებს, მეორე დუმილსა და მორჩილებას არჩევს. ერთი გადარჩენაა, მეორე – დაღუპვა. ასე იყო 20-იან წლებშიც, როცა დაუდეგარი ლურჯა ცხენების გვერდით ბედის მორჩილი ვირებიც გამოჩნდნენ ქართულ პოეზიაში. ოთარ ჩხეიძე საქართველოს გადარჩენისა და თავისუფლების ქადაგი იყო როგორც გამყინვარების ჟამს, ისე ამ ტრაგიკულ და ქაოსურ წლებში.

* * *

„ბორიაყის“ ავტორი XX საუკუნის საქართველოს მემატიანეცაა, თუ რა გადახდა სამშობლოს 1921 წლის შემდეგ. ადრე მწერალს აინტერესებდა არა საყოველთაოდ ცნობილი მოვლენები, ისტორიული ფაქტები და პირები, არამედ ქართული სული და ის ქარიშხალი, რომელიც მოსპობით ემუქრებოდა ქვეყანას. ჟამი იცვალა

და მწერლის გმირები გახდნენ სწორედ ისტორიული ფაქტები, ისტორიული პროცესები, რადგან „მშვენიერება არის ერი“, როგორც შენიშნავს ოთარ ჩხეიძის ერთი ჭაბუკი პერსონაჟი („ლანდები“).

მემატიანეც მრავალგვარია, პოეტი იქნება იგი, პროზაიკოსი თუ ისტორიკოსი. ზოგს გარდასული დღეები იზიდავს, მოვლენებს ემიჯნება, ან თავად არის მონაწილე. ზოგიც პროცესში არ ერევა, გარედან აკვირდება, მაგრამ სწრაფად რეაგირებს და ცდილობს განსაზღვროს მისი სახე, სულერთია, იქნება იგი ოპოზიციონერი თუ ხელისუფლების მეხოტბე. მწერალი პროცესის წარმმართველი, კალაპოტის მიმცემი ვერ იქნება, მაგრამ ადამიანს სჭირდება პასუხი დღევანდელ მტანჯველ კითხვებზე, თორემ დღეს ვის აღელვებს კოლექტივიზაციის პრობლემა ან სოციალიზმის იდეები. ერთ დროს ფრიდრიხ ნიცშემ წამოსწია „დისტანციის პათოსი“, რაც კონსტანტინე გამსახურდიამ 20-იან წლების ქართულ სინამდვილეს მოარგო, რადგან სიმართლის თქმა აკრძალული იყო. ეს თეორია იყო ერთ-ერთი ჯებირი, რაც დაუხვედრა მწერალმა წითელ ტაიფუნს, თუმცა იგი პრაქტიკულად არც განუხორციელებია.

დღეს სხვა ვითარებაა და ოთარ ჩხეიძეს სწორედ მღელვარე ეპოქა, სამშობლოს ბედისწერა აძლევს სათქმელს და სტიმულს, რათა დახატოს ერის სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური პორტრეტი.

* * *

საქართველოში ერთი ასეთი პარადოქსიც მოხდა: საბჭოთა ეპოქის ჩუმი ოპოზიციური მწერლები გამოგონილ გარემოს ეფარებოდნენ, სიმბოლოებსა და ალეგორიებს თხზავდნენ, თითქოს არღვევდნენ ოფიციოზის ესთეტიკურ ნორმებს, თითქოს ნაციონალურ ტკივილს ესალბუნებოდნენ. მკითხველს ეგონა, რომ შეფარულ

პროტესტს ჰკეტავდა კომუნისტური წნეხი, თორემ მათი ფანტაზია ქვეყანას წალეკავდა. მაგრამ როცა დაირღვა წითელი იმპერია, განზე გადგნენ და დუმილი არჩიეს, ან კიდევ – ძველი დროის ნოსტალგია მოეძალათ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თითქოს დამბლა დასცა ქართულ მწერლობას. შემოქმედს არ ევალება მიტინგებზე ან ბარიკადებზე ბრძოლა. არც ხელისუფლების, თუნდაც ეროვნულის, ხოტბა ევალება. მან სიტყვათა მოზაიკად უნდა აქციოს სულის ძახილი და დროის ქარიშხალი. ქართველ მწერალთა დიდმა ნაწილმა კი ვერაფერი თქვა, ან თუ თქვა – ერთობ უმწეოდ და უნიათოდ, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

ოთარ ჩხეიძე იმ გამონაკლისთაგანია, რომელიც არათუ გაჩუმდა, ახალი რკალიც შემოხაზა და პროზა სწორედ ერის ტკივილებზე დააფუძნა. ასე შექმნა ეს ოთხი რომანი, რომელთაგან „არტისტული გადატრიალება“ ქართული პროზის თვალსაჩინო მიღწევაა, XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ქართული რომანი, არა მხოლოდ ავტორის მოქალაქეობრივი სიმამაცის მაგალითი.

* * *

ოთარ ჩხეიძის მთავარი პერსონაჟები გამოგონილი პირებია. მაგრამ უკავშირდებიან ისტორიულ და რეალურად არსებულ ფიგურებს, მოქმედებენ მათ წრეში, განავრცობენ მათ თვალსაზრისს, ან ეურჩებიან და ებრძვიან. გდიდის (ზუგდიდის) თეატრის მსახიობი ლუო მხარს უჭერს „მრგვალ მაგიდას“. ამიტომ ჩამოდის თბილისში. ზოგჯერ ზვიად გამსახურდიას მიტინგი მიჰყავს სასახლის წინ, სადაც სკამის ფეხი ჩაარტყეს ოპოზიციონერებმა. კმაყოფილ პრეზიდენტს ერთხელ ხელიც კი ჩამოურთმევია („არტისტული გადატრიალება“)!

ლუოს შორეული ნათესავი ბაადურ რიკოთელი მონაწილეობს განდევნილი პრეზიდენტის დასაცავ მიტინგებში, სადაც სასტიკად სცემენ. აფხაზეთის ომში, ისევე როგორც სხვა მრავალი, გენერალი გახდა. მის წინაშე ამბობს მონოლოგს დამარცხებული პრეზიდენტი („თეთრი დათვი“). პიროვნება-რებუსი, რუსულად გაზრდილი, მოსკოვიდან ჩამოსული გიზო კორძელი, ხან მანანა არჩვაძესთანაა, ხან – ვაჟა ადამიასა და პანტელეიმონ გიორგაძის მიტინგებში მონაწილეობს. შემდეგ კი ყველგანაა – ისევ მიტინგებზე, სახელმწიფო კანცელარიაში, აეროპორტში, ამერიკის ელჩთან. ასლან აბაშიძესთან უთანხმოება აქვს – თხილის ბიზნესი უნდა ჩაეშალა („ბერმუდის სამკუთხედი“). ფირმის პრეზიდენტი უშანგი, რომელსაც ვიცნობთ „ვენეციური ჭაღიდან“ და „თეთრი დათვიდან“, პანკისის ხეობის ხლართებშია გახვეული და მრავალ თანამედროვე პოლიტიკოსს უკავშირდება („2001 წელი“).

მთავარი პერსონაჟები ისტორიული რეალიების მონაწილენიც არიან – ეს იქნება 9 აპრილი, გაგრისა და სოხუმის დაცემა, ჭუბერის კოშმარი, თბილისის ომი თუ კომერციული ბალაგანი, როცა, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, პარლამენტი ქუჩად იქცა, ქუჩა კი პარლამენტს დაემსგავსა. მეორე მხრივ, პერსონაჟებს თავიანთი ცხოვრება აქვთ, არცთუ ამაღლებული, ჩვეულებრივი, მიწიერი, რომელშიც ეროტიკულ ეპიზოდებს საგრძნობი ადგილი უკავია, მაგრამ ქალებთან ურთიერთობას არა აქვს საბედისწერო ხასიათი. ეს ხანმოკლე ურთიერთობაა, მოკლებული ძლიერ გრძნობას, ასე რომ შეგვაჩვია კლასიკურმა ლიტერატურამ. მიზეზი ისიცაა, რომ პერსონაჟები გადასცდნენ სიჭაბუკის ასაკს.

მაგ. ლუოს ჰყავს ცოლშვილი. იგი 25 წლის წინათ წასულა გდიდში და იქ დამკვიდრებულა. დედაქალაქში რომ დაბრუნდება, ხვდება თანამედროვე მენადას – მოჭიკჭიკე თეას, რომელიც ზვიადის დამხობაზე ოცნებობს; გიზო კორძელი – უნივერსიტეტის სა-

პატიო დოქტორი და რამდენიმე აკადემიის წევრი, რომანტიკული და ეროტიკული ავანტიურების მოყვარულიცაა; უშანგის ცოლი გარდაცვლილი ჰყავს, შვილები – დაბინავებული, თავად ფუნდუკი მოუწყვია გომბორზე – „სპორტი გადაარჩენს საქართველოს“. გამოგონილი პერსონაჟები ამ ორომტრიალში სტიქიურად არიან ჩართული. მთვარეულივით დახეტიალობენ, ეძებენ ვნებას, სიხარულსა და ფათერაკს. მათ უცნაური დრო მართავს და მიაქანებს მდინარის ერთი ნაპირიდან მეორისაკენ.

რეალურად არსებული პერსონაჟები თავიანთი გვარსახელით შემოდიან ტექსტში. მხოლოდ რამდენიმეა დაქარაგმებული, თუმცა პროტოტიპი იოლად შეიცნობა (მაგ., განათლების მინისტრი კვაჭი, მწერალთა თავმჯდომარე წივა). გეოგრაფიული პუნქტებიც ზუსტად სახელდება. მხოლოდ ერთია სახეცვლილი – გდიდი (ზუგდიდი). დანგრეული, დაქცეული სამშობლოს სურათები კი ასეთია:

„ფერო ინგრეოდა, მეტალურგიული ქარხანა ინგრეოდა, ზესტაფონი არ დაინგრეოდა., რუსთავი ეგებ რო დანგრეულიყო, გამოკეტილიყო კარი რუსთავისა, ოდესღაც ჰო გამოკეტილიყო. აღარც რო ეპისკოპოსი რუსთავისა, აღარც რო რუსთველი მბრძანებლებიო, ოდენ გველთა და ღრიანკალთა რო დარჩენოდათ ნანგრევნი პალატთა, დარჩენოდათ და დარჩებოდათ., ჯართად იყიდებოდა რუსთავი. ჯართი აქ უნდა შემოსულიყო, აქ უნდა გადაედნოთ ჯართი. ჯართად იყიდებოდა ზესტაფონიცა, ჭიათურაცა, ღვინის ქარხნებიცა გურჯაანისა თუ თელავისაო, მეწილეს აქედანაც ერგებოდა რაღა თქმა უნდა ის შორეული ჰო შორეული, ეს დღევანდელი რაღად უნდა დამეკარგაო, ნიშანს მოუგებდა კეთილისმყოფელი: დღევანდელი კვერცხიცაო და ქათამიცა ხვალინდელიო. იცვლებოდა, იყიდებოდა, არ იყო მშველელი, ჭკუა არა რა, ვერ იტყოდი: ჭკუა იყო, ვეღარა ჭრიდა, ზევით ნაბრძანები, ქვევით იფშხვნებოდა, ქვევით ნაქმნარი იხსნებოდნენ და ინიშნებოდნენ: სულ ზე-

ვითაცა, ცოტა ქვევითაცა, სულ ქვევით ვიღა უნდა მოეხსნათ? პენსიონერები? მშრომელები? მოხსნილიყვნენ. ის იყო, არც აშრომებდნენ, აღარც აძლევდნენ არაფერს დახმარებასაო? შემცირებულიყო., სულაც შეგიწყვეტთო, სავალუტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა, გეყოფათ ეს გარდამავლობაო: ამოქმედდითო, ამოძრავდითო, თქვენი თავიო მართლა თქვენად რო გეყუდნოდეთ თქვენივე შრომით უნდა გეყუდნოდეთო, ილიასაგან ეს დაესწავლათ: გვეყუდნო – დესო, ის არ ახსოვდათ: უნდა ვიშრომოთ, უნდა გავნათლდეთო,. ილია! იტყოდნენ ჟრუატელითა, შრომა არაო, განათლება არაო. დიპლომი? ჰქონდა ზოგს ორორიცა, განათლება – არა. ვერ გასძღოლოდა ვერავინ ვერაფერსა. ფული უნდოდა ხელისუფლებასა. იყიდებოდა, იყიდებოდა ქარხნები, ფაბრიკები, სარელეო ხაზები, ლიანდაგები, ვაგონები, ელმავლები, თვითმფრინავები, ნავთსადგურები, გემები. იკარგებოდა შემოსავალი. სად მიდიოდა, არავინ იცოდა, ზოგჯერ არცრა შემოდიოდა. ეძებდნენ, ეძებდნენ. მისამართები ირეოდა, ის ბანკი აღარ იყო, ის შემკვეთელები აღარსად ჩანდნენ („ბერმუდის სამკუთხედი“).

ეს არის გოდება ქართლის ბედზე, რომლის კაეშანი საფლავში ჩაჰყვათ ჩვენს წინაპრებს. გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის საშინელი სიტყვა – „იყიდება საქართველო“. 30 წლის შემდეგ ამასვე იტყვის ნიკო ლორთქიფანიძე. ჟამი იცვლება, მაგრამ იოსებ გრიშაშვილი მაინც ამბობს: „აი, ქართლის ხმა სად იყიდება, ჯავახიშვილო და ინგოროყვა“. ჟამი კიდევ შეიცვალა, უკეთესობას პირი მაინც არ უჩანს და ამიტომ წერს ოთარ ჩხეიძე, რომ დანგრეულია საქართველო, ხოლო რაც ნგრევას გადაურჩა, „იყიდება და იყიდება“ („2001 წელი“, „ბერმუდის სამკუთხედი“).

სად არის საშველი, ვინ არის დამნაშავე? ალბათ ყველა ხელს გაიშვერს რუსეთისაკენ, რომელიც არის ყველა ჩვენი უბედურების სათავე. ამიტომ შეხვდნენ ერთმანეთს მოსკოვში, ზურაბ წერეთ-

ლის ატელიეში, ქართველი მეამბოხე კიტოვანი და რუსის გენერალი გრაჩოვი. მეამბოხეს გადასცეს იარაღი და პეჩორის დივიზიის ჯარისკაცები საქართველოს პრეზიდენტის დასამხობად, თქვენ უკეთეს ცხოვრებას და უკეთეს ხელისუფალს იმსახურებთო („არტისტული გადატრიალება“).

მაგრამ მხოლოდ გარე ფაქტორები არ ყოფილა გადამწყვეტი. ზვიად გამსახურდიას უთქვამს სიკვდილის წინ – ქართველი ხალხი დამოუკიდებლობისათვის მზად არ აღმოჩნდაო. ზვიად გამსახურდიას მიტინგებს ათეულ ათასობით კაცი ესწრებოდა თბილისსა და ზუგდიდში, ბევრი დაიღუპა კიდეც. მაგრამ როცა გაუჭირდა, მის გვერდით არავინ აღმოჩნდა. რომანტიკული ეიფორია შეცვალა სასტიკმა სინამდვილემ. რუსეთმა, ამერიკის დასტურით, კრიმინალური ბანდები დაძრა პრეზიდენტის წინააღმდეგ. კაცი, რომელიც იყო ინგლისური ენისა და ამერიკული ლიტერატურის სპეციალისტი, ევრო-ამერიკის მოძულედ და აზიელ დიქტატორად გამოაცხადეს, ხოლო რუსეთის მიერ აღზრდილი და რუსიფიკატორი შევარდნაძე – ახალი ევროპეიზმის მედროშედ!

ოთარ ჩხეიძე არ გახლავთ რომელიმე პერსონის, მათ შორის – ზვიად გამსახურდიას აპოლოგეტი. ზოგჯერ მისი ხედვა ირონიულიც კი არის პირველი პრეზიდენტის მიმართ. მაგრამ სწორად მიაჩნია მისი თვალსაზრისი, პოზიცია და მოქმედების ფორმა. ეს ყველაზე ნათლად ჩანს მას შემდეგ, რაც აღწერილია პუტჩის დღეები, როცა პრეზიდენტს გადაუდგნენ ძველი თანამოაზრენი, მის მიერ გამოგონილი ფიგურები:

„თითქოს რო მიილულება ბატონი პრეზიდენტი, თითქოსა, თითქოსა. ქუთუთოები ჩამოვარდნია. აიწევს, დაიწევს. აიწევს. ჩამოვარდება: ამათ რაღა უნდათ, რას აეშალნენ ეს თავისი დაზრდილი ყმაწვილები, არაფერი რო ამათ არ გაეგებოდათ. დეკლარაციებიც რო ამან გააგებინა, პიროვნების თავისუფლებაცა, ერიცა და პი-

როვნებაცა, ერის თავისუფლებაცა; იმპერიაც ამან შეაგნებინა, ანექსიაცა, ოკუპაციაცა, დამოუკიდებლობაც ჩაუდო თავშია; მიტინგებსაც ამან შეაჩვია, ლაპარაკსაცა, შეუპოვრობაც ჩაუნერგა ამანა, ჩაუნერგა და ჩაუნერგა თავის საჭიროდა; ჭაობიდან ამოიყვანა და დასხა ქვეყნის მმართველებადა; თითო კათხა ლუდს თუ ვინმე დაალევინებდა, ბედნიერი ეგონათ თავი, ჟიპიტაურსაც თუ ვინმე მიუდგამდა, გადიოდნენ მეცხრე ცაზედა; კონიაკის გემო ამან გააგებინა, შამპანურის გემოც გააგებინა, – ვითომ არაფერიო; ახლაც ახალი კოსტუმები ჩააცვა, შეკვანძა ასწავლა ჰალსტუხებისა, ამანა, ამანა, ყველაფერი ამანა და თავისი ხელითაც შუკვანძა თითქმის ყველასა, პირველ სესიაზე რო მიჰყავდა უზენაესი საბჭოსი; საბჭოშიც ჰო ამანვე გაიყვანა; უმადლიდნენ კიდევაცა, ეთაყვანებოდნენ კიდევაცა, გადაეფარებოდნენ კიდევაცა, თუ თავს დაესხმოდნენ რაღა თქმა უნდა, გადაეფარებოდნენ და გადაჰფარებიან კიდევაცა. რა იყო! ჩაეცინება გუნებაშია., აიწევს ქუთუთოები. ჩამოვარდება. თურმე ნუ იტყვი ჭკუაში რა უდევთ და რას ელოდებიან!..“ („არტისტული გადატრიალება“).

კიდევ ერთხელ განმეორდა წარმართული წესი და ბიბლიური შეგონება - შვილები აღდგნენ მამის წინააღმდეგ. მწერლის დასკვნა: „არც მოსწრებია უფრო შემზარავი სიავე თბილისსა, დეკემბერიანვრის ამბები რო გახლდა“ („ბერმუდის სამკუთხედი”). ეს ყოველივე კი გაკეთდა რუსული გეგმით და ქართული ხელებით, ტრიუმვირატის ანუ ოთარ ჩხეიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრიუმვირების მიერ, კრიმინალებსა და „ინტელიგენტურ ბრბოს“ რომ მოუძღოდნენ სამშობლოს დასაქცევად.

ზვიად გამსახურდიას ანტითეზა არის ედუარდ შევარდნაძე. მწერალს თხრობაში ეპიზოდურად შემოჰყავს იგი. უფრო კი ხატავს იმ გარემოს, იმ ატმოსფეროს, რომელიც შექმნა მეორე პრეზიდენტმა; იმ რღვევის პროცესს, რაც მოჰყვა მის მმართველობას, მის

მიერ თბილისის აეროპორტში გამოცხადებულ პირველსავე ფრაზას – მივესალმები ინტელიგენციას, იარაღი რომ აიღო ხელში ტირანიის დასამხობადო („ბერმუდის სამკუთხედი“).

თუ შევკრებთ რომანებში გაფანტულ ცალკეულ მახვილ, ირონიულ გამოთქმებს, ჩვენს წინაშე წარმოსდგება შევარდნაძის ნამდვილი ხასიათი და პორტრეტი: „ჩვენ მადლობელი ვართ გვარდიის როლისაო. თავიდან აგვაცილა აგრესიული ნაციონალიზმიო“ („თეთრი დათვი“). „ჯაშუშები პარლამენტშიც არიან“. ცხარობდა ცხარე პარლამენტარი. „სახელმწიფოს მეთაურმა ეს უნდა იცოდეს“. „ვიცი“, მიუგებდა სახელმწიფოს მეთაური... პირადადაც ვიცნობ... მეტსაც გეტყვით: მთავრობაშიც არიან. ვიცი“ (იქვე). „გუდაუთი რო გადაგვევლო, ამას ჰო მოჰყვებოდა გენოციდი აფხაზეთისაო“ (იქვე). პასუხი ელცინისადმი, როცა ზვიად გამსახურდია თბილისზე წამოვიდა: „ჩვენ ყველაფრის თანხმობას ვაცხადებთ“ (იქვე). „ცხარობდა პრეზიდენტი. გადასვამდა. და, გადმოსვამდა მინისტრებსა. აამაღლებდა და დაამდაბლებდა. ძალიანაც არაო. დამსახურება ჰქონდათ, პურისჭამა უნდოდათ“ („ბერმუდის სამკუთხედი“). „დროებითი იყო რო ყველაფერი, ხელისუფალნიც რო დროებითნი გახლდნენ, იცვლებოდნენ და იცვლებოდნენ მინისტრები, აღზევდებოდნენ და ცვივოდნენ პანტაპუნტით. მუდმივად ქმნილიყო მხოლოდ ერთი: პრეზიდენტი ქმნილიყო მხოლოდღა მუდმივადა. ისიც ისე რო სახელებს იცვლიდა, წოდებებს იცვლიდა, ბოლოსღა დაერქმია პრეზიდენტი“ (იქვე). „ბაღაფში: სინამდვილე ის არის: აფხაზეთი და საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. ეს შეთანხმებულია. შევარდნაძესთან არის შეთანხმებული. სხვა დანარჩენი მხოლოდ ბლეფია“ (იქვე). „ეს უბედურებაა. ამტკიცებდა პრეზიდენტი. დროა ბოლო მოეღოს უბედურებასა საქართველოში. დროა“ („2001 წელი“).

XX საუკუნის დამოუკიდებელ საქართველოს სამი მმართველი ჰყავდა – ნოე ჟორდანია, ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძე. სამივე დაამხეს. დაგვრჩა ნაქარალი, ნაქორალი, გაგლეჯილი და გამოგლეჯილი საქართველო, ისევ გიორგი ლეონიძის სიტყვა რომ მოვიშველიოთ. ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკა, რომელიც ემსახურებოდა არა ქვეყნის გაძლიერებას, არამედ ძალაუფლების შენარჩუნებას, დამღუპველი აღმოჩნდა საქართველოსთვის, რასაც მიხვდნენ მისი გაზრდილები, მიხვდნენ და ისევ აღდგნენ შვილები მამის წინააღმდეგ, აღდგნენ და დაამხეს კიდეც. პრეზიდენტი კი – „ქილიკობდა. იცინოდა პრეზიდენტი. ასდევდნენ ყველანი„ („2001 წელი“), რადგან როგორც იტყოდნენ ძველი ბერძნები ქვეყანას როგორი პირველი პირი ჰყავს, ისეთივე არიან ხელქვეითნიც.

„ერს თუ დაღუპავს, ცინიზმი დაღუპავს“, – ამბობს ოთარ ჩხეიძის ერთი პერსონაჟი („ლანდები“).

ცინიზმი და ნიჰილიზმი, ინტრიგა და დემაგოგია – აი ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკის წყაროები და შემადგენელი ნაწილები. საბოლოოდ კი იგი დარჩება ისტორიაში, როგორც დამარცხებული დიპლომატი, რომელმაც ყველა მოლაპარაკება კაპიტულაციით დაასრულა, დამარცხებული მთავარსარდალი, რომელმაც დაკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო, დამარცხებული პოლიტიკოსი, რომლის მრავალწლიანი კარიერა კატასტროფული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოსათვის.

* * *

„თეთრი დათვი“ რეალისტური ლიტერატურის რომანია, მართალი, პირუთვნელი, დაუთმობელი რეალიზმისა“, – შენიშნავს ოთარ ჩხეიძე. ლიტერატურის საფუძველი რეალიზმია. ეს არის ის მიწა, რომელსაც ფეხს მაგრად დაჰკრავს მწერალი, რომ ოცნებით

ცაში აიჭრას. მაგრამ ყოველ დროს შეაქვს კორექტივი რეალიზმის ცნებაში, ისევე როგორც პიროვნების ფსიქიკასა და ხასიათში. ყველაფერი განახლების მუდმივ პროცესს ემორჩილება. რეალიზმიც ვერ ეგუება ლიტერატორთა მიერ დაწესებულ სამანებს, ახალი დროის მდინარება რეალიზმის ველზეც ახალ კალაპოტს ჰკვეთს.

ოთარ ჩხეიძის რეალიზმიც დიდად განსხვავდება იმ ავტორთა მრწამსისა და ხედვისაგან, რომელთაც შესჩვევია ჩვენი მკითხველი. ეს, პირველ ყოვლისა გულისხმობს ყოვლისმომცველ ეპიკურ თხრობას, ტრაგიკული ფინალით, პერსონაჟის დაღუპვით.

ოთარ ჩხეიძე ახსენებს, მაგრამ დეტალურად არ აღწერს მთავარ დრამატულ აზრებს. მას აინტერესებს არა კულმინაციის ჩვენება, არამედ ფაქტის ფიქსირება, მისი განსჯა, მის გარშემო ასოციაციური ქსელის თხზვა. მაგ., გიზო კორძელის ფოლკსვაგენმა მორებით დატვირთულ მანქანას ვერ გადაასწრო და გაისრისა.

ავტორი: „ალბათ არ ისურვებ აღწერას იმისა თუ როგორ გაიჭყლიტა ადამიანი, როგორ გაისრისა, როგორ განიადაგდა, როგორ აილუფხა ერთმანეთშია შუშაი, რკინაი, თუნუქი, ძვალი, ხორცი, ზეთი, ბენზინი, სისხლი, სისხლი, სისხლი სისხლში“ („ბერმუდის სამკუთხედი“).

ზოგჯერ ტექსტიდან მთავარი პერსონაჟიც იკარგება და მისი არსებობა მხოლოდ იგულისხმება (მაგ. ბაადურ რიკოთელი „თეთრი დათვიდან“) ან გადადიან რომანიდან რომანში (მაგ. ლუო „არტისტული გადატრიალებიდან“ „თეთრ დათვში“, უშანგი „ვენეციური ჭაღიდან“ „თეთრ დათვსა“ და „2001 წელში“). ზოგი პერსონაჟები ნათესავებიც არიან (მაგ. ლუოსა და ბაადურის ბებიები დები ყოფილან).

„არტისტული გადატრიალების“ ავტორს რეალიზმის სივრცეში უხვად შემოაქვს ავანგარდისტული ლიტერატურის მიერ აპრობირებული ხერხები – ირონია და გროტესკი, შარჟი და სატირა,

ცნობიერების ნაკადი, როცა ფიქრები თითქოს სტიქიურად, თავისუფლად მოძრაობენ. ოთარ ჩხეიძისათვის მიუღებელია გაუცინარი პროზა, პათეტიკა და მხოლოდ ტრაგიზმი.

ასე ხდება დრამატული მოვლენების დეჰეროიზება. ამ პროცესს არცა ჰყავს ტრადიციული გმირები, რომლებიც ავტორის ორეულებად იქცევიან ხოლმე. ისინი მხოლოდ პერსონაჟები არიან, პროცესის მონაწილეები, არა წარმმართველნი. უარიყოფა პოეტური პროზის ატრიბუტიკა – პათეტიკა და მელოდიკა, შედარება და მეტაფორა.

ჩვენ ვხედავთ პერსონაჟის არა პორტრეტს, არამედ მოძრაობას. ამიტომ ერთი მხრივ ხდება თხრობის გამიწიერება და ნაწილობრივ – ნატურალიზება, მეორე მხრივ – ბუნებრიობის, უშუალობის სტილიზება. არც გარემო და არც სიტუაცია არის ტრადიციული, ეპიკური სიდინჯით დახატული. მას ცვლის კინემატოგრაფიული დინამიურობა, როცა ყველაფერი ღელავს, მოძრაობს და ნიაღვარივით მიედინება, როცა ყოველი დეტალი და ნიუანსი თხრობის სტიქიას ემორჩილება, საგანგებო დახვეწისა და გალამაზების გარეშე. სიმბოლიკაც ირონიულ ელფერს იღებს თანამედროვე ბალაგანის ფონზე (მაგ. მილიონ 800 000 წლის დმანისელი წინაპარი, აბრეშუმის გზა).

მწერალი ირონიული ხედვით, ეფექტური დეტალებით, ჭარბი დახასიათების გარეშე წარმოგვიდგენს პერსონაჟებს. თითქოს სხვათაშორის გვაწვდის სპეციფიკურ ნიშნებს, მაგრამ ისე მოხდენილად, რომ წარუშლელად რჩება მეხსიერებაში. გავიხსენოთ მკითხველისათვის ნაცნობი სახელები, რათა მსჯელობა უფრო ცხადი გახდეს:

მიხეილ სააკაშვილი: „ყველას მოეხსენება თუ როგორ აწყდება პრეზიდენტის კანცელარიასა. სააკაშვილი ისევ აწყდება. ისევ ისე. თავგამეტებით. აწყდება. და აწყდება. ურახუნებს და ურახუნებს ან

გაანგრევს და შევარდება და დაეუფლება. დაეწაფება ანუ მწყურვალი. დაეწაფება. დაეწაფება ან დაეცემა ეზოშივე. კანცელარიისა. გულშემოყრილი. რეტდასხმული“ („2001 წელი“).

ვიტალი ხაზარაძე: „მე ვარ ცისფერი“?! ბრდღვინავდა. ხაზარაძე. წამოჭარხლებული. „ახლავე მომიყვანე ცოლი შენი!.. ჩქარა მომიყვანე!.. მე შენ გაჩვენებ თუ რა ცისფერი ვარ!.. აქვე გაჩვენებ!.. ჩქარა!.. ჩქარა!.. ჩქარა მომიყვანე. იმანაც მოიყვანოს თავისი ცოლი“ (იქვე);

ვახტანგ ბოჭორიშვილი: „მაგათი ენა მაგათზე უკეთესად ვიცოდი, მაგათი ლიტერატურა მაგათზე უკეთესად ვიცოდი. მაგათი ისტორია მაგათზე უკეთესად ვიცოდი. მე ვინ დამჩაგრავდა! ერთს მეტყოდნენ, ათს ვეტყოდი, ვინ დამჩაგრავდა“ (იქვე).

ასლან აბაშიძე: „კლინტონს მიახლოვებოდა ასლან აბაშიძეი. ხიდი გაედო. ხიდების ოსტატი ბრძანდებოდა. 140 თუ აჭარაშიო, ერთიც პირდაპირ კლინტონთან გაედო“ („ბერმუდის სამკუთხედი“).

ედუარდ შევარდნაძე: „არ უსმენდა შევარდნაძე. სხვანი ტყუილად არ აჰყვებოდნენ. არას არ უსმენდა. ფაცაციასა და ხმასაც თუ დაჰყრიდა გულმოსული. შევარდნაძე: აღარ წავალო. პირველი თვითონ დაერჭობოდა ყველა შეკრებაზე პრეზიდენტებისა დსთსი, სადაც არ უნდა მოეწვია. სამიტი მოსკოვსა“ („2001 წელი“).

ზვიად გამსახურდია: „მამა რო კონსტანტინე ჰყავდა, კოლხური კოშკი რო ედგა, შურდათ, ფარშავანგი რო დადიოდა ეზოში, შურდათ, შვლის ნუკრიც შურდათ ცხადია, მაინც ვერაფრით დაიჯერებდნენ, პრეზიდენტად რო მოევლინებოდათ ეს ბიჭი, ვერის აღმართებზე რო არბი-ჩარბოდა. ვერც დაიჯერებდნენ, არც უნდოდათ, რო დაეჯერათ: ისევ ზვიადას უწოდებდნენ, პრეზიდენტს – არა“ („არტისტული გადატრიალება“);

ირინა სარიშვილი: „თითქოს ყორანი წამომჯდარაო, – შავი შავი ერთიანადა, დასჩხავის მწარედა, შემზარავადა, მაცნეი შავი“ („თეთრი დათვი“);

გია ჭანტურია: „გადმოკიდულიყო ალექსიძის თეატრთანა, ჭანტურიაი, ისიც აგრეთვე მიკროფონითა, აგრეთვე ყანწივით რო ეჭირა ხელშია, ოღონდ ისე რო: თითქოს და აი ფრჩხილზე უნდა დაიბერტყოსო – („არტისტული გადატრიალება“);

ვახტანგ გოგუაძე: „მე თქვენ როგორ მიყურებთ?! ხუთასკაციანი სუფრის თამადა ვყოფილვარ გურიაში სახლის გადახურვაზე. თქვენ რა გგონიათ! თქვენ რა ხართ? ორასოცდახუთი და ნახევარიც არ ესწრებით!.. ვერ მოგივლით?! მოგივლით! ჩამოვყალიბდეთ ახლა, ჩამოვყალიბდეთ!.. („თეთრი დათვი“).

თამაზ კვაჭანტირაძე: „კვაჭი. კვაჭის კვაჭი. კვაჭი ფრჩხილადაც რო აღარ ეყოფოდა. არც ეურჩებოდნენ. დამსახურება მიუძღოდა ახალთა წინაშე. აბა!.. ვის მიუძღოდა ღვაწლი ასეთი?!.. პრეზიდენტობას ეცილებოდა გამსახურდიას. ეცილებოდა. იკვეხიდა. გამარჯვებას იმედოვნებდა. იმედოვნებდნენ. აუხდათ ასე: 7 ხმა მიიღო, 7-ად 7. გამარჯვებაც ასეთი უნდა“ („ბერმუდის სამკუთხედი“).

ნოდარ ნათაძე: „იქ მოითხოვეთ, ზღვაზე მოითხოვეთო – ურჩია პრეზიდენტმა, – მაინც იქ.... მიზანში სროლასა სწავლობთ, გვარდიელების ფორმას ეტოლებით, დაძუნძულებთ შვეიკივითაო. „ვინ არის შვეიკი?!“ იჭექებს დეპუტატი ნათაძე, – იჭექებს, იჭექებს, ვეღარ იტყოდი: დაიჭიჭყინებსო... იჭექებს. „ჩეხი მწერლის იაროსლავ ჰაშეკის გმირი“, მიუგებს პრეზიდენტი, მშვიდად მიუგებს, ანუ უფრო ისე: ვითომ და რაო, გამოცდაზეო. „მართალია!“ უდასტურებს პროფესორი ნათაძეი, კმაყოფილია პროფესორი“ („არტისტული გადატრიალება“).

ასეთივე სისხარტით, ასეთივე დოკუმენტური სიზუსტით არიან დახატული თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსე-

ლიანი, ელცინი, კულახმედოვი, გრაჩოვი, აკაკი ელიავა, ვალერი კვარაცხელია, ჯემალ გოგიტიძე, გიორგაძე, ნიკო ჭავჭავაძე, კახა თარგამაძე, ლოთი ქობალია, ჯანსუღ ჩარკვიანი და სხვა მრავალი ისტორიული თუ რეალურად არსებული პიროვნება.

მათ ერთვის გამოგონილ პერსონაჟთა მთელი მასა. თხრობისა და პერსონაჟთა ჩვენების მთავარი ხერხია ირონია, რომელიც გადადის სატირასა და გროტესკში. ირონიული მზერით არიან დახატული როგორც პერსონაჟები, ისე მღვრიე პროცესი. ასეთი დეჰეროიზებით სინამდვილე ბალაგანს ემსგავსება.

აი, ბობოყვათში ხვდება ედუარდ შევარდნაძე ასლან აბაშიძეს („ბერმუდის სამკუთხედი“). მათ შეხვედრას ესწრება მესტვირე, რომელიც ცეკვავს და სტვირს დამღერს „განდაგანას“ მოტივზე ორი პოლიტიკოსის კუპლეტებს. მესტვირესთან ერთად წრეში ცეკვავენ პრეზიდენტი და თავმჯდომარე. მათ გალექსილ დიალოგს არ სცილდება ერთი სიტყვა – „განდაგანა“, რომელიც ერთი მხრივ არის მუსიკალური ინტონაცია, მეორე მხრივ პოლიტიკური პოზიცია.

კომუნისტების მიერ მოხაზული „ბედისწერის სამკუთხედი“ – სოხუმი-ცხინვალი-ბათუმი ახალ ბორკილად ექცა საქართველოს თავისუფლებას; ელენე თევდორაძე აფრთხობს კახა თარგამაძეს, პანკისელმა მარგოშვილმა კასეტა მომცაო, ყველაფერი გავიგე ამ კასეტითო, თუმცა რა ნახა – არ უთქვამს. მინისტრი მაინც გაფიცხდება, კასეტის ხსენება წონასწორობას აკარგვინებს. კასეტა კი ჰქუხს პარლამენტში, ტელევიზიაში, რადიოში, პრესაში. მაგრამ ბოლოს ირკვევა, რომ ქალბატონ ელენეს კასეტა სტრასბურგში ისე დარჩენია, რომ ნანახი არცა ჰქონია („2001 წელი“)!

„აი, სეირი ჯერ არნახული“, როგორც იტყოდა პოეტი.

ირონიულია ცალკეულ პერსონაჟთა სახელებიც. მაგ. ტურიკა, მურიკა და შურიკა, ნუნუ, რომელსაც ეს სახელი მაშინ ჰქვია, როცა

მინი აცვია, ხოლო რუსუდანი, როცა მაქსის ატარებს („2001 წელი“), ცუცა თუ ცაცი, მსხვილი აბაშიძე, წივა (წივწივაძე), კვაჭი (კვაჭანტირაძე), ლუო (ლუარსაბი) და სხვ.

ჩვენს თვალწინ ჩაივლიან „დაფხავებული პანტელეიმონიჩები“, „მოკვიჟინებული ასლანიჩები“, „ნათელაშვილიჩები“, „რჩეულიშვილიჩები“, „ჭაჭია-პატიაშვილიჩები“, ე.ი. ყველა მათგანს აერთიანებს რუსული ორიენტაცია.

ირონიულია პერსონაჟთა მეტყველებაც. მაგ. როგორ იმუქრება პოლიციის მინისტრი თარგამაძე: „მე არავისი არ მეშინიანო. მე რკინა ვარო. მე ქვა ვარო., კაჟი ვარ გაუტეხელიო. ვერავინ მე ვერ დამამსხვრევსო., თვითონ შემომესმსხვრევიან ყველანი მეო. გაცხარებულიყო. არ მეშინიანო და გაცხარებულიყო“ („2001 წელი“).

ამ ქადილიდან ორი კვირის თავზე მინისტრი მოხსნეს. რკინის კაცი ჩუმად წავიდა, პროტესტისა და ხმაურის გარეშე (განსხვავებით ზეიკიძისაგან), თითქოს ცვილის კაცი ყოფილიყო.

ირონიულია არსენას ლექსის პაროდირება, საბას იგავების პერიფრაზი, სულხან საბაოლოგის არაკები, ალეგორიული აზრი რომ გააჩნიათ. ოთარ ჩხეიძე მეტწილად იყენებს ავანგარდისტული ლიტერატურის ხერხებს. ამასთანავე, ცალკეული ეპიზოდებისა და მასალის მიხედვით მიმართავს მოდერნისტული მწერლობის დრამატულ ესთეტიკას და ყოველთვის ეფექტურად (ხოლო ტრადიციული ეპიკური თხრობისათვის ადგილი აღარც რჩება).

მაგ., შავით მოსილი ლუო, რომელსაც პუტჩისტებმა ვაჟი მოუკლეს აღაიანში; ზვიადის მონოლოგი ბაადურის წინაშე; გაგრისა და სოხუმის დაცემის სურათები; ბაადური ჭუბერის გზაზე („თეთრი დათვი“); ზამთრის თბილისი, გოჩა ესებუას ისტორია („ბერმუდის სამკუთხედი“). სიმბოლიკებიც გავიხსენოთ – ზღვა „არტისტულ გადატრიალებაში“, რუსეთი – თეთრი დათვი, ქართული დომხალი – ბერმუდის სამკუთხედი და სხვ. „არტისტული გადატ-

რიალების“ შემდეგ ნელდება დრამატული ინტონაციები და ოთარ ჩხეიძის პროზაში ტოტალურად ბატონდება ირონია და სატირა, რაც პროტესტი და სკეპტიციზმია მოძალადე ხელისუფლებისადმი.

აი, როგორი ლირიკული მღელვარება ახლავს სტრიქონებს, როცა ირონია უკან იხევს: „სიონი ალყაში მოქცეულიყო თუ ციხეს შეადარებ, მისცურავდა მღელვარე ზღვაშია თუ გემს შეადარებ, არადა ტაძარი გახლდა, ბევრჯერ დარბეული ტაძარი“ („არტისტული გადატრიალება“). ან როგორი დრამატულია მწერლის სიტყვა, როცა კიდევ ერთხელ დაბნელდა სამშობლოს ზეცა: „უბნები გაიყო. ქუჩები გაიყო. ოჯახები გაიყო თუ გაიპო. გაიპო ყველა და ყველაფერი. პიროვნება გაიპო. გაიპო. დარბის გახლეჩილი და დაეძებს ნაწილი ნაწილსა. თითქოს იპოვნის და შეეწებება ისევე თითქოსაო. მართლაც თითქოსაო. მალე რომ მიჰხვდება: უცხო რა არის და აეხლიჩება ასევე მალეო; აეხლიჩება და დარბის ისევე დარბის და დაძრწის, დაწანწალებს, დაეხეტება. ვერ უპოვნია ნაწილს ნაწილი, თავისი ნაწილი რაღა თქმა უნდა. ალყა ვიწროვდება. ზღვა დაიძრა, მოტანებულა სასახლესთანა. სანაპიროზე ტანკები გრუხუნებენ. ეს ოპოზიციაა. მთავრობა იკეტება სასახლეშია: ტანკებით იკეტება, ბეტერებითა, ქვემეხებითა, ქვიშის ტომრებითა, სნაიპერებითა, თავდადებული მოიერიშეებითა“ („არტისტული გადატრიალება“)...

ასე რომ მწერლის თვალით დანახულ ჩვენს სინამდვილეში ერთმანეთს ენაცვლება იუმორი და ნაღველი, ნამდვილი და გამონაგონი, ირონია და დრამატიზმი, ერთგულება და ღალატი, ფარსი და სიმართლე, შარჟი თუ ტრაგედია. მაგრამ ოთარ ჩხეიძის მზერა მეტწილ ირონიულია, რადგან ამ დომხალში, ამ ბალაგანში, სულიერ ღირებულებათა დამხობის ჟამს, ნაკლებად გამოკრთის რწმენისა და გმირობის მაგალითები, მომავალ თაობას ლეგენდად რომ გადაეცემა.

* * *

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ“.

ეს კი ლადო ასათიანია, პოეტი-ტრაგიკოსი, ჭლექთან მებრძოლი კაცი. სიტყვის კულტი, ლირიზმი, რიტმი, მელოდიკა იზიდავთ პოეზიიდან მოსულ პროზაიკოსებს. მაგრამ სხვაა, როცა მწერალი ქმნის თავის ენას, ახალ სააზროვნო მოდელს, რაც თუ თვითმიზანია, მნიშვნელობას ჰკარგავს. მოდერნისტებმა ენა გააფეტიშეს, ავანგარდისტებმა – დაამსხვრიეს. ერთგან საფუძველია პათეტიკა, მეორეგან – ირონია. ენას მხოლოდ საკომუნიკაციო ან ექსპრესიული ფუნქცია როდი გააჩნია. ის არის მასალა და ეროვნული გონის გამოვლენაც, სამყაროს აღქმისა და მსოფლჭვრეტის ხატი.

ინდივიდუალური სამეტყველო მოდელი შექმნეს ვაჟა-ფშაველამ, ვასილ ბარნოვმა, გრიგოლ რობაქიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ. ახალ დროში ასევე მოიქცა ოთარ ჩხეიძე. მაგრამ მისი საფუძველი იყო არა მშობლიური არქაიკა ან დიალექტი, არამედ – თანამედროვე ენის სინტაქსური მოდელირება, როცა სინონიმთა ტალღური მოძრაობა და ემფატიკური ა-ს სტილიზება მეტყველებას უჩვეულო ელფერს აძლევდა.

ოთარ ჩხეიძის ენას თავიდან უნდობლად შეხვდნენ, რადგან კოლექტივი მუდამ კრძალავს ენობრივ გადახრას და შემოქმედს აიძულებს ნიველირებას, სტანდარტისადმი მორჩილებას. შემდეგ ლიტერატორებმა მიიღეს ეს ფაქტი, თუმცა ავტორისათვის მაინც წამგებიანად თვლიდნენ. თავად ავტორი კი სცვლიდა თავის მეტყველებას, განავრცობდა მას, აქცევდა ფიქრის ენად, შინაგან მონოლოგად, ცნობიერების ნაკადად.

სწორედ „ცნობიერების ნაკადის“ რომანებია ეს ოთხი წიგნი, რომელთაც ვეხებით. სპეციფიკურ სახეს იღებს აბზაცი, რომელიც

ზოგჯერ რამდენიმე გვერდს იკავებს, პუნქტუაცია, სინტაქსური კონსტრუქცია, იკარგება შემასმენელი, ლაიტმოტივურად მეორდება ერთი სიტყვა, რათა ყურადღება მასზე იყოს მობილიზებული. შესაბამისად თხრობის სტილი ხდება დაძაბული, ნერვიული. წინადადებებიც ისევე იმსხვრევა, როგორც ასახული ეპოქა.

მე ვფიქრობ, ამ რომანებში კიდევ უფრო საინტერესოა ოთარ ჩხეიძის ენობრივი მოდელი, მრავალნიუანსიანი და მრავალფერი. ცნობიერების მდინარებაში თავს იყრის უამრავი ფაქტი, პოლიტიკა და ცხოვრება, ლიტერატურა და ფსიქოლოგია. თითქოს ავტორი თავადაც ემორჩილება ამ ნაკადს. ის მხოლოდ ფიქსატორია, ქაღალდზე გადამტანი ფიქრთა ქარიშხლისა. იგი არც გალამაზებას ცდილობს, არც ხელოვნურ გართულებას – ენის სტიქია მბრძანებლობს მწერალზე. ასოციაციათა თამაში ერთმანეთს უკავშირებს სხვადასხვა ფაქტებს, რომელთა ლოგიკური ერთობა წამიერად ჩნდება და ქრება:

„ჰგლეჯს. გაცვივიან. დაუშენენ შუშის კედლებსა. ციხეს რად უნდა რკინის კარებიო. უწყრებოდნენ ნიკოლოზ II-სა 905-ელები, – მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდებიო. დაუწმენდნენ შუშაბანდებსა, დაუშენდნენ და დაუშენდნენ ფილარმონიის შუშაბანდებსა. რკინის კედლები აჯობებდა რაღა თქმა უნდა. შორსმჭვრეტელობა არა ჰყოფნიდათ არქიტექტორებსა. არა. არა. კახი კავსაძე ბუქნას განაგრძობს. მომაკვდავი გედის გარშემო. ბუქნის და გაჰკივის „ასა!.. ასა!..“ ბუქნიან ბავშვებიცა, ისევე ბუქნიან და გაჰკივიან ისევე „ასა!.. ასა!..“ გაჰკივიან ისევ და მომეტებულად. მეტნი რო არიან, ფიცხელნი რო არიან უფრო და აწყვეტილნი უფრო მეტადა, კახიზე მეტადა რაღა თქმა უნდა, ბაბუაზე მეტადა რაღა თქმა უნდა. ბუქნიან და ბუქნიან. და აწყდება ქარიცა გარედანა, იჭრება ადვილადა დარბაზებშია, შუშებშემოფლეთილ დარბაზებშია. იჭრება. დათარეშობს. მტვერი შემოაქვს და მტვერი გააქვს. კორიანტელია. ღრუბ-

ლებადაც შეიკვრის. გაწვება ჭერზედა. გაიგრაგნება. ქარი გადაჰყრის და შემოჰყრის ისევა, ქარი. ქარი. ქარი მტკვრისაი. მტკვარი. მდინარე როგორც ფალოსი რო გაყრილა დედაქალაქშიო. პოეზია. მეტაფორა. პოეტი უცნაურია. რას იზამ, ასეა, უცნაურია!.. პოეზიაა!.. შენ პოეზია დაარქვი და ცეკას მდივანმა ჰყარა ცეცხლი. რაღა ოლიმპო და რაღა ცეკაო, რაღა ზევსი და რაღა მდივანიო: მდინარეს ფალოსი როგორ დაარქვი, ცრემლი შარდს როგორ შეადარეო. ჰქუხდა. გრგვინავდა. გრგვინავდა დარბაზიცა, სამთავრობო დარბაზი, დიდი დარბაზი, შეკრებილობას მწერალთა ყრილობა დარქმეოდა. მწერლობა თუმცა გამრავლებულიყო, ამდენიმაინც არ გამოვიდოდა. წინა რიგები გაეტენა პარტიულ ელიტასა, უკანა რიგები: თანამშრომელთა სუკისასა. შუაში მწერლები მობუზულიყვნენ. რამდენიმე სცენაზედაც დაესვათ, მამლაყინწები, ანთუ ყვერულები, გამორჩეულნი მწერალთაგანა. მწერალთა ყრილობა დარქმეოდა, ჰქუხდა. გრგვინავდა. სჭექდა. ელავდა. პოეტს გმირის სახელი ერქვა სახელი რაო, – თვითონ ისიც ვერ გაუძლებდა. ანალიზები ჩაეტარებინათ ქიმიკოსებსა, ფორმულები შეედგინათ, პოეტს შედარებად გამოსდგომოდა, – გადარეულიყო ცეკას მდივანი, პარტიული ელიტა გადარეულიყო, გადარეულიყვნენ ყვინჩილებიცა: ოჰ. ოჰ. ოჰ. თავი მოგვჭრა და ეს არისო. გადარეულიყვნენ. გადარეულიყვნენ. ცხელოდა. შეხუთულიყო დარბაზები. ის სიცხეო. ეს ყინვაო. ბუნებამაც სხვა რა იღონოს, იქმს თუ რაც იცის, რაც მოეგვარება, ცხელოდა. ჰყინავს. გული გაყინულა, გული უბედური ტვინიც გაყინულა, ენაც გაყინულა გული რახან რომ გაყინულაო. თუმცა ყანყალებს ენა მაინცა, ყანყალებს, ედება თუ მიედმოედება, აღმოიტყვის თუ აღმოისვრის გაყინულ სიტყვებსა. გახსენებისაა. გარდასული სიამაყისა. მაინც სიამაყედ წარმოაჩენენ: დნეპრზე უბრძოლიათ თუ ვოლგაზე უბრძოლიათ, – დონსა თუ დუნაიზე, ვისლაზე თუ ოდერზე, პრუტსა თუ მურეშზე, ნევასა თუ ნემანზე,

ტისასა თუ დრინაზე, პოსა, არნოსა თუ ტიბრზე თუ და კიდევ თუ ვინ უწყის სადაო, სად ჯანდაბასა თუ სად დოზანაშიო, ვეღარც იხსენებენ და ტრაბახობენ მაინცა. ვეღარც იხსენებენ და სამამულო ომიც დაურქმევიათ. ფსოუზე რომ იბრძოდნენ, ისინი ამათ რიგს არც ეკარებიან. საამისო კანონი არც გამოსულა. პარლამენტში ერთმანეთსა სჭამენ, ვისა სცალიან ამათთვისა. „ვეტერანებმა აღიდგინეს ძველი კანონები“ („თეთრი დათვი“).

დიალოგებიც ფიქრთა ტალღაში ისახება, რომლის სიღრმიდან ლანდებივით ამოდიან ნაირგვარი პერსონაჟები. თითქოს ისინიც ერთი ენით – ავტორის ენით მეტყველებენ. მხოლოდ ცალკეული რემარკები მიგვანიშნებენ ინდივიდუალურ ხასიათებსა და სახეებზე. მაგ. აკვიატებული „გესმის?“ (ზვიად გამსახურდია), „ერთი წუთით!.. ერთი წუთით!..“ (აკაკი ასათიანი), „ჩამოვყალიბდეთ“, „დავკვალიანდეთ“ (ვახტანგ გოგუაძე), „ისტორიული შეხვედრა“, „ახალი ეტაპი“ (ედუარდ შევარდნაძე).

ვასილ ბარნოვი ძველქართული ლექსიკითა და სტილიზებული სინტაქსით პოეტურობას ელტვოდა; გრიგოლ რობაქიძე სიტყვას იკვლევდა, პირველად მნიშვნელობათა ამოხსნას ცდილობდა; საკრალური არსის ამოცნობა ეწადა; კონსტანტინე გამსახურდია ენის ესთეტიზებას ახდენდა, სიტყვის მელოდიკას და ლირიზმს ავლენდა. ოთარ ჩხეიძისათვის ენის თხზვა არის სტრუქტურისა და კომპოზიციის ფორმირების საშუალებაც. თითქოს იგი უარყოფს სიტყვის დახვეწას და მოწესრიგებულ თხრობას. მაგრამ ცნობიერების ნაკადით, ასოციაციებით, სიტყვათა სტიქიური მდინარებით, ხან მისი მიყოლით, ხანაც – კონტროლით თხზავს ინდივიდუალურ სამყაროს, რომელსაც ახლავს პოეტურობის სხვა ხარისხი, უჩვეულო რომანტიკა.

ერთი მხრივ, თხრობას მწერალი ბუნებრიობას უნარჩუნებს, მეორე მხრივ – სპეციფიკური ენობრივი მოდელით ქმნის ბარიერს

მასობრივი მკითხველისათვის. ამიტომ ოთარ ჩხეიძის ახალ რომანებში ნელდება რეალისტური საწყისი და ძლიერდება ავანგარდისტული ფორმები, რომელთა გათავისებას სჭირდება გააზრება, შეჩვევა, ვარჯიში და მომზადება.

ეს კი ინტელექტუალური, ე.წ. რთული, ძნელი ლიტერატურის თვისებაა. მაგრამ ოთარ ჩხეიძისათვის მიუღებელია ავანგარდისტებისათვის ნიშნეული აპოლიტიკურობა, ჭუჭყის კულტი, პორნოგრაფია და პათოლოგია: ინტერესი ავანგარდისტული ფორმებისა და ხერხებისადმი ნიშნავს ტრადიციული თვალსაწიერის გაფართოებას, რეალისტური საწყისის ახალ მოდელირებას, დროის მიერ მოტანილ სიახლეთა გაქართულებას. სავსებით მართებულად მოიქცა მწერალი, როცა თავისი სამყარო შეავსო დოკუმენტური მასალით, ისტორიული და რეალურად არსებული სახეებით. ასეთი ხერხით ინდივიდუალური სტილი და ხედვა მახლობელი გახადა არა მხოლოდ ლიტერატორთათვის, არამედ მასობრივი მკითხველისთვისაც.

ასე შექმნა დიდი პანო XX საუკუნის დამლევისა. მას აკლია მხოლოდ ერთი თარიღი – 23 ნოემბერი, რომლითაც დასრულდა XX საუკუნე საქართველოში და მე მჯერა – დრაკონის დამხობასაც გვაჩვენებს ჩვენი მწერლობის პატრიარქი.

„ჩვენი მწერლობა“, 2004, 23-29 იანვარი

რევაზ მიშველაძის 25-ტომეულის გამო

დამთავრდა რევაზ მიშველაძის – გამოჩენილი მოღვაწისა და ქართული პროზის დიდოსტატის – რჩეული ნაწერების 25-ტომეულის გამოცემა.

ეს ფაქტი თავისთავად უნიკალურია ქართული ლიტერატურისათვის: გამოცემა განხორციელდა უმოკლეს დროში – ორ წელიწადში, პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე, თანაც – ავტორის ძალისხმევით. მწერალმა სხვათა დახმარების გარეშე თავად შეკრიბა და დაახარისხა თავისი ნაწერები, ბევრ რამეს შეელია (მაგ., ზოგიერთ ბრწყინვალე პოლემიკურ წერილს), ზოგიც, რაც დავიწყებული ან წაკითხული არ გვქონდა, ახლებურად წარმოგვიჩინა.

ახლა მკითხველს ხელთ აქვს რევაზ მიშველაძის მიერ 50 წლის მანძილზე შექმნილი 500-მდე ნოველა, პიესები, კრიტიკული წერილები, სამეცნიერო ნაშრომები, დღიურები, მოგზაურობის შთაბეჭდილები, პოლემიკური ესეები, რომანი. ჩვენ შეგვიძლია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მწერლის შემოქმედებაზე, ადრე ნაწილ-ნაწილ ან ნაწილობრივად რომ ვეცნობოდით.

მან ჩვენს წინაშე დადო 25 ტომი და გვითხრა, – აი ეს შევძელი მე, ეს გავაკეთე. მათი გაცნობისას კი ნამდვილად შეგვიპყრობს გაოცება თუ როგორ შეძლო მწერალმა ამდენის შექმნა. იგი ხომ არასოდეს ყოფილა ცხოვრებისაგან განმდგარი, თავის სენაკში ჩაკეტილი შემოქმედი, რომელიც მხოლოდ წერს. რევაზ მიშველაძემ იცხოვრა მღელვარე ცხოვრებით, ერთმანეთს შეუხამა რომანტიკა და პრაგმატიკა; ცხოვრებამ არგუნა დიდი სიხარული და დიდი მწუხარებაც; აქტიურად იყო ჩარეული ცხოვრების ორომტრიალში, პოლიტიკურ ბატალიებში, საზოგადოებრივ პროცესებში, როგორც პუბლიცისტი, რედაქტორი და პარლამენტარი. წლების მანძილზე ზრდიდა ახალგაზრდა მეცნიერებს, მწერლებსა და ჟურნალისტებს,

როგორც უნივერსიტეტის პროფესორი, დადიოდა, მოგზაურობდა, ეცნობოდა სხვადასხვა თაობის, ერის, კუთხის, ქვეყნის ცხოვრებასა და მაინც – მიუხედავად ასეთი დატვირთვისა, რაც ართმევდა დიდ დროსა და ენერგიას, შეძლო ამდენის გაკეთება ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროში.

იგი ამართლებს კ. გამსახურდიას ნათქვამს – თამაშით უნდა წეროთ და გონებას ძალა არ უნდა დაატანოთო.

ასე თამაშითა და ბრძოლით დაიწერა ეს 25-ტომეული, რომლის მთავარი შთაგონება და სატკივარი ქართული სინამდვილეა, ჩვენი ოცნება და სატანჯველი, ჩვენი წარმატებები და წაგებები, დანახული უამრავი რაკურსით, უამრავი პერსონაჟის თვალით.

მაგრამ მწერალი რომ არ ყოფილიყო პროცესების მონაწილე, იქნებ მხოლოდ ჭვრეტით ამდენი ვერც დაეწერა და ვერც ცხოვრების ტკივილები განეცადა.

რევაზ მიშველაძემ შექმნა ქართული ნოველის კლასიკა, ქართული ნოველის ენციკლოპედია. იგი ერთ მთლიანობად უნდა აღვიქვათ თავისი ვარიაციებით, თემებით, პერსონაჟებით. ამ თვალსაზრისით იგი ჰგავს ჩეხოვს, რომელსაც არა აქვს გამორჩეული ნაწარმოები, რომელშიც მოხდებოდა მწერლის ნოველისტური ტალანტის კონდენსირება. რევაზ მიშველაძემ თავის მრავალრიცხოვან ნაწერებში გადაანაწილა განცდილი და ნანახი, ნაფიქრალი და ნაოცნებარი, თავისი მწერლური ხედვა გაშალა 500 ნოველად. ჩვენ მათ მართლაც მთლიანად უნდა გავეცნოთ, რათა გვქონდეს წარმოდგენა მწერლის ხედვის მასშტაბსა და ძალაზე. ცალკე აღებული ესა თუ ის ნოველა მთლიანი ანსამბლის დეტალია, ისევე როგორც კარი თუ ფანჯარა შენობისათვის ან საჭე თუ ფარი მანქანისათვის. მათ დამოუკიდებელი არსებობა არც სჭირდებათ და ღირებულებას იძენენ დეტალების კონსტრუქციული აგებით, რომელსაც ხელმეორედ ახდენს პროფესიონალი მკითხველი ან ლიტერატორი.

რევაზ მიშველაძე თავისი პრინციპების დასაცავად, თავისი ინდივიდუალობის დასადგენად და გადასარჩენად არაერთ პოლემიკაში ჩაბმულა. ეს პოლემიკა ეხებოდა პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ პრობლემებს, მცდარ და მავნებელ შეხედულებებს, დაუსაბუთებელ ამბიციებსა და მოშურნეთა თავგასულობას. ლავირებაც უხდებოდა, განსაკუთრებით კომუნისტურ პერიოდში. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, დაენახა მეტოქეთა ღირსებაც და დროთა მანძილზე მათზე კეთილი სიტყვა ეთქვა.

პუბლიცისტიკასა, ესსეებში თუ ნოველებში იგი გამოხატავდა მწერლის პოზიციას, მწერლის თვალსაზრისს. ამიტომ თავს არ იგულებდა რომელიმე პოლიტიკურ პარტიის ბანაკში ან რომელიმე პერსონის მეხოტბედ, თუნდაც იგი პრეზიდენტი ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პუბლიცისტური სერიალი მიხეილ სააკაშვილზე. იგი იყო ერთი–ერთი პირველი, ვინც შენიშნა და ხმა აღიმაღლა სააკაშვილის გლობალისტური ექსპერიმენტების წინააღმდეგ და გამოავლინა ილიასებური ფართო ხედვა, არგუმენტირებული პატრიოტიზმი, პოლემისტის ტალანტი.

25-ტომეულის პირველი ცამეტი ტომი ეთმობა ნოველებს. რევაზ მიშველაძე სწორედ ნოველებით შეიყვარა მკითხველმა, ამ ჟანრით მოიპოვა პოპულაროზა და საყოველთაო აღიარება. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნოველის კომპოზიციას, სტრუქტურას, ამბის სიუჟეტურ გაშლას, ფინალს, თხრობის სინათლესა და სისხარტეს, იმ იდეას, რომელიც დახატული სურათებიდან უნდა გამოიტანოს მკითხველმა. იგი იცავდა რეალისტური ნოველის ტრადიციას, რომლის არაერთი წარმომადგენელი ჰყავს საქართველოს. მათგან განსხვავებით რევაზ მიშველაძემ ამ მცირე ფორმის ჟანრში მაქსიმალურ შესაძლებლობათა გამოვლენა დაისახა მიზნად, რათა სარკმელიდან სამყარო დაენახა, ვარსკვლავეთი

და მიწისქვეშეთი, არა მხოლოდ წინ გადაშლილი მშვენიერი და სასტიკი სინამდვილე.

მაგრამ მწერალს არ აინტერესებს ცხოვრების ბნელი სურათები, სისხლი და მსხვერპლი. იგი ეძებს ადამიანურ სიკეთეს და როცა აწყდება სისუსტეს ან უკეთურობას, მაშინაც ცდილობს იყოს ლმობიერი. ამიტომ არ მიჰყავს მოქმედება სიკვდილისაკენ, როგორც ეს ხდება მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას თუ ლ. ქიაჩელის ნოველებში. მისი ნოველა ბიოგრაფიის ფრაგმენტია, რომელშიც ისე ჩანს მთელი ცხოვრება, როგორც ჭიქა წყალში – ოკეანე. ამას ახლავს თავისი ეფექტი, რადგან ფაქტებისა და პერსონაჟების სიმრავლე ნოველის აღქმას ამძიმებს. იგი ისევე ზუსტი უნდა იყოს, როგორც სონეტი, რომლის სტრუქტურა მათემატიკურად არის განზომილი და საუკუნეთა მანძილზე არ შეცვლილა.

პირველი ნოველების სამოქმედო გარემო იყო ქუთაისი. ამ ქალაქის მცხოვრებთა გვარებით, უბრალო, კეთილი, მხიარული ადამიანებით დაასახლა მან თავისი პროზა. მათ ლიტერატურაში შემოიტანეს ყოფითი ლირიზმი, იუმორი, ყოველდღიური საზრუნავი, ჩვენ რომ უმნიშვნელო გგვონია, მაგრამ მათ სიცოცხლეს უმწარებს ან უხალისებს. შემდეგ მწერალმა განავრცო არეალი. ეს იმის მიხედვით თუ როგორ იცვლებოდა ჩვენი ცხოვრება. გამოჩნდა თბილისის, სამეგრელოს, აფხაზეთის სურათები. კომუნისტების დროს, როცა სიტყვა არტახებში იყო მოქცეული, მწერალმა მოიშველია სიმბოლურ-ალეგორიული თხრობის სტილიც. თითქოს მოქმედება გადააქვს უკიდეგანო საზღვრების მიღმა, რომელსაც ჰქვია პირობითი სახელები. ამისათვის შექმნა ახალი გეოგრაფიული ტოპონიმები, – ძელქვიანა, უტაუტა, მუჯუჯია, იპია, ზანზარეთი, ყვავეთი, კურკანტია, დაბაუნი, კათაყვავკავი, ვირიხიდა, ოკონკილე... აქ მეტწილად ქართველები ცხოვრობენ, რომელთაც რეალური დიდი საბჭოეთის ხუფი ახურავთ. მაგრამ მწერალს კრიტიკუ-

ლი პათოსისათვის, საბჭოური სინამდვილის სამხილებლად სჭირდებოდა გარემოსა და პერსონაჟების გამოგონება, უწყინარი მისტიფიცირება.

მწერალი ხატავდა ცხოვრების ყველა სოციალურ ფენას – ინტელიგენტებს, მწერლებს, მუშებს, გლეხებს, ქურდული სამყაროს წევრებს, პოლიტიკოსებს, უსაქმურებს, უნებლიე დამნაშავეებს, ყოველდღიური რუტინით გამწარებულ და გაეშმაკებულ ადამიანებს, რომლებიც იუმორითა და ირონიით იბრძოდნენ და ილამაზებდნენ ცხოვრებას.

რევაზ მიშველაძის ნოველები სოციოლოგიური თვალსაზრისითაც უხვ მასალას იძლევა იმის საჩვენებლად თუ როგორ ცხოვრობდნენ, რა აწუხებდათ, რას ეჯახებოდნენ უბრალო, პატარა, რიგითი ქართველები. მათი გვარ-სახელები რომ ჩამოვთვალოთ, ალბათ რამდენიმე ათასი მაინც იქნება და ეს წერილი კი არა, მთელი გაზეთი ვერ დაიტევს. შემდეგ – ისინი არც ხასიათით, არც ბიოგრაფიით, არც პროფესიით ერთმანეთს არ გვანან. მწერალი ავლენს უჩვეულო გამომგონებლობის უნარს, რათა დუბლირებას თავი აარიდოს, ერთმანეთისაგან გამიჯნოს ისინი.

მწერალი ე. წ. პერესტროიკის პერიოდში წარსულისაკენ უკუიქცა. ხედვის არეში მოექცნენ არა მხოლოდ თანამედროვე ქართველები, არამედ ისინიც, ვინც იბრძოდნენ ბოლშევიკური ტირანიის წინააღმდეგ. ხოლო 90-იანი წლებიდან, როცა საქართველოს მრავალი ახალი პრობლემა მოეძალა, მწერალი ისევ დღევანდელობას დაუბრუნდა და ამჯერადაც სრული სიმართლე გვითხრა ქვეყნის დაქცევასა და ქვეყნის დამქცევებზე. ისიც უნდა ითქვას, რომ მწერალი თუ რეალობასა ან პუბლიცისტიკაში მიმართავს დიპლომატიას, ლავირებას და ასე მიიკვლევს გზას სიმართლისაკენ, პროზაში ნამდვილად უკომპრომისოა და სიმართლის მხატვარი. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამ პერსონაჟთა მასაში რომელიმე მათგანი

ყალბად იყოს დახატული, ემორჩილებოდეს კონიუქტურას ან მწერალს სახელისუფლებო იდეის რუპორად გამოეყენებინოს.

რეალისტური პრინციპიდან გამომდინარე პროზაიკოსი რევაზ მიშველაძისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დავით გურამიშვილის სლოგანს – „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“. მაგრამ ჩვენი დიდი პოეტი თუ ამას ამბობდა საქართველოდან შორს, უკრაინაში და მის სტრიქონებს არავინ ჰყავდა წამკითხავი, რევაზ მიშველაძე სიმართლეს ამბობს და ბეჭდავს აქ, ათასგვარად დაყოფილ, დაშლილ და დაპირისპირებულ საზოგადოებაში, თან ეს საზოგადოება ისე სწრაფად იცვლება, როგორც ჩნდება და ქრება ლიდერი.

სიუჟეტს ნოველისტისათვის ფატალური მნიშვნელობა აქვს. თუ რომანისტი ვრცელი თხრობის დროს იშველიებს სხვადასხვა ინფორმაციას, განყენებული მასალებით ავსებს ძირითად სათქმელს, ნოველისტმა რამდენიმე გვერდის მანძილზე სხარტად და ზუსტად უნდა მოასწროს სათქმელის გადმოცემა. მას უნდა ჰქონდეს კონკრეტული სიუჟეტი, რომელიც შეიძლება გაშალოს როგორც უშულო ნარატივით, ისე დიალოგებითა და მონოლოგებით. ამიტომ სიუჟეტი, თუნდაც მარტივი და უმნიშვნელო, უნდა იყოს ორიგინალური, არ იმეორებდეს ცნობილ სიუჟეტებს, არც ავტორის შემოქმედებაში, არც რომელიმე ჟანრიდან სესხულობდეს, ზოგადი სათქმელი, იდეა თუ თემა გაშალოს კონკრეტული ამბებით. ეს ისე, როგორც ყოველი ადამიანის, ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრება შედგება ერთმანეთის მგავსი, მაგრამ მაინც ინდივიდუალური განცდებისა და ეპიზოდებისაგან.

ამ მხრივაც რევაზ მიშველაძის სამყარო და ფანტაზია ამოუწურავია. მართლაც უნდა გაგვიკვირდეს თუ როგორ ახერხებს ამდენი სიუჟეტის თხზვას, ეს მაშინ, როცა ჩვენს პროზაიკოსებს ყოველთვის ჰქონდათ ცხოვრებისეული, ორიგინალური სიუჟეტების

პრობლემა და მის დაძლევას ცდილობდნენ თხრობის ტექნიკით, ესთეტიზმით, სიმბოლოებითა და ალეგორიებით. ალბათ ამას იმიტომ ახერხებს მწერალი, რომ იგი ამოდის სინამდვილის სურათებიდან, ცხოვრებისეული ფაქტებიდან, რომელთა გადახარისხება, შეკვეცა თუ გავრცობა, შევსება თუ მისტიფიცირება ოსტატობის საკითხია.

ასე რომ, რევაზ მიშველაძისათვის მთავარია პერსონაჟი და სიუჟეტი, რომელიც ცხოვრების ხილული თუ ფარული დრამიდანაა ამოღებული. ეს არის წარმატების საფუძველი, რომელსაც ხელოვნებად აქცევს ნათელი ხატვა და იუმორი. ხედვის სინათლე და სისადავე კი ენას უკავშირდება. ენა მწერლისათვის საშუალებაა, პოეტისათვის – მიზანიც. ამიტომ საფრთხილოა ენისადმი მიმართება. ზოგი ახდენს მის ჭარბ ესთეტიზებასა და პოეტიზებას, რაც სჩვეოდათ მოდერნისტებს. ზოგნიც შეგნებულად ამსხვრევენ და კომუნიკაციის დახშობით ცდილობენ ექსპრესიის მიღწევას. ასე იქცევიან ავანგარდისტები. ისინი თითქოს უარყოფენ ენის ფენომენს, რეალურად კი აფეტიშებენ მას (მაგ., გურამ დოჩანაშვილი).

რევაზ მიშველაძისათვის ენას მნიშვნელობა აქვს სიუჟეტისა და პერსონაჟის ხასიათის გამოკვეთისათვის. ამდენად იგი უჩინრად უნდა არსებობდეს, ყურადღებას არ იქცევდეს. ეს რომ შეძლოს, მწერალი მეტყველებს მაქსიმალური ბუნებრივი სისადავით, ნათელი ლექსიკითა და წინადადებით, თხელი და გამჭვირვალე აბზაცებით, რომლებიც აიოლებენ სიუჟეტის როგორც განვითარებას, ისე აღქმას. თუმცა მწერალს თხზვის პროცესში შემოაქვს ნეოლოგიზმებიც, და საკმაოდ ხშირადაც. მაგრამ ეს ისე ბუნებრივად ხდება, რომ თუ სპეციალისტმა არ გვითხრა, შეიძლება არც ჩავთვალოთ ნეოლოგიზმად.

იუმორი, რაც მწერლის ერთ-ერთი სტიქიაა, თავისთავად მოითხოვს სადა მეტყველებას. დახლართული და ბნელი თხრობა შე-

იძლება ინტელექტუალური განსჯის, აღსარების, ლირიკული ნაკადის გადმოცემის დროს. მაგრამ იუმორი, რომელსაც სიტუაციურად ატარებს თხრობა ან მომენტალურად დასცდება პერსონაჟს, გართულებას ვერ იტანს და უცეცხლოდ იკარგება. ამიტომ იოლად ღებულობს და აღიქვამს მკითხველი რევაზ მიშველაძის ერის ტკივილებზე, ფიქრსა და ოცნებაზე დაფუძნებულ პროზას. ამიტომ არის იგი დღეს ყველაზე პოპულარული და ნამდვილად სახალხო მწერალი.

ბოლო წლებში რევაზ მიშველაძე დაინტერესდა მისტიკური, რელიგიური და ისტორიული თემატიკითაც. მან ახლებურად, ისევ რეალისტური თვალთახედვით, ახსნა მრავალი ცნობილი, დოკუმენტურად არსებული ლეგენდებით გადმოცემული ფაქტი. ამგვარ ინტერპრეტაციას გაუგებრობაც მოჰყვა მათი მხრიდან, რომელთაც ვერ გაარჩიეს ლეგენდა და სიმართლე, ისტორიკოსის პოზიცია და ხელოვანის პოზიცია.

XIV ტომში შევიდა რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“, რომელიც მწერალმა 70 წლის ასაკში დაწერა. ჯერჯერობით ეს არის ერთადერთი რომანი რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში.

თავის წარსულზე უარს ვერავინ იტყვის. იგი გაუცნობიერებლადაც ცოცხლობს ჩვენში და რევაზ მიშველაძემაც მარჯვედ გამოიყენა ნოველისტური მდიდარი გამოცდილება. კი არ გადაერთო ტრადიციულ ეპიკურ თხრობაზე, არამედ ნოველისტურ პრინციპზე ააგო რომანის კომპოზიცია, როგორც ეს არის „დიონისოს ღიმილსა“ და „გველის პერანგში“, „გივი შადურსა“ და „დათა თუთაშხიაში“. ამის გამო ჩართო ტექსტში ზოგი ადრე გამოქვეყნებული ნოველაც, დაუმორჩილა ისინი სიუჟეტის ლოგიკას და წიგნის კონცეფციას.

რომანის მთავარი პერსონაჟია გელა კირთაძე – ლიტერატორი, მწერალი, ჟურნალ „ნუგეშის“ რედაქტორი, რომელიც თავის თავს ეროვნული მოძრაობის მემატიანეს უწოდებს.

იგი მეამბოხე პიროვნებაა და საბჭოთა წყობილების შეურიგებელი ოპოზიციონერი ანუ სრულიად ნათელია, რომ მთავარი გმირის პროტოტიპი ავტორია. პროტოტიპები რევაზ მიშველაძის ნოველების პერსონაჟებსაც ჰყავთ, რადგან ისინიც ცხოვრებიდან გადმოსული სახეებია. მაგრამ არც ადრე, არც ამ რომანში პერსონაჟი არ უდრის პროტოტიპს და მწერალიც თავისი იდეის შესაბამისად ავსებს და ცვლის ცალკეულ დეტალებს, შემოაქვს ახალი მასალა და სიუჟეტი. მაგრამ ეპოქა და პროტოტიპები, პუბლიცისტური ნაკადი ფაქტებს დოკუმენტის მნიშვნელობას აძლევენ.

გელა თვითონ გვიყვება თავის ისტორიას, მეტყველებს პირველი პირით, ხანაც ავტორი ენაცვლება, მესამე პირით წერს მასზე, რაც სხვა პერსონაჟის თვალით არის ნაჩვენები.

განსაკუთრებით ღრმად არყევს გელას ცნობიერებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და აფხაზეთის ტრაგედიის პერიპეტიები. იგი ისე შეძრა 9 აპრილის უსამართლობამ, რომ გადაწყვიტა წასულიყო რუსეთში და იქ ყველასათვის ეთქვა სიმართლე, ეს სიმართლე დოკუმენტურად ეჩვენებინა. მაგრამ იქ არც ლექცია და არც დარბევის კასეტა არავის აინტერესებს. თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს არავინ თანაუგრძნობს, რუსი მხოლოდ თავის არარსებულ მსხვერპლზე სწუხს.

გელა იდეის გმირია. მაგრამ ის რომანის პერსონაჟია და ამიტომ მწერალი სხვადასხვა რაკურსით გვიჩვენებს – ცხოვრების ორომტრიალში ჩარეულს, ინტიმურ სცენებში, სამსახურსა და ოჯახურ გარემოში, მოგზაურობაში. თუმცა ყოველთვის სდევს სამშობლოს სევდა, რომელმაც არია მისი მშვიდი ცხოვრება, რაც აპოგეას აღწევს წიგნის ფინალში.

„არა, მე კორექტურით ხელში ვერ მოვკვდები“, – იმპულსურად აღმოხდება და ანაზდეულ პარტიზანად იქცა. ჯერ ზუგდიდში ჩავიდა, უნივერსიტეტის ამხანაგი, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი მოინახულა. შემდეგ კი მტრის მიერ ოკუპირებულ სამურზაყანოში გადავიდა და რუსების ჯავშნოსანთან ერთად თავი აიფეთქა. ეს იყო მაგალითი სხვათათვის, რომ დუმილითა და მორჩილებით დაკარგულს არავინ დაგიბრუნებს.

გელას უნდა თავისი სიკვდილით მაინც შეძრას ობივატელთა ცნობიერება, ლტოლვილების გულში ეგებ ასე აღანთოს ბრძოლისა და შურისგების ლამპარი.

აქ შეიძლება ასოციაციურად გაგვახსენდეს ზვიად გამსახურდია, რომელიც შეეცადა თავისი სიკვდილის ფასად სხვათა გამოფხიზლებას, რათა არავინ შეეგუოს ქვეყნის დაქცევას.

გელას მოქმედება არც ტერორია და არც თვითმკვლელობა. ეს არის სამშობლოსათვის ბრძოლისაკენ მოწოდება.

უაღრესად საინტერესოა ამ რომანის პერსონაჟთა ხასიათები, სიუჟეტი და კომპოზიცია, სტილი და პრობლემატიკა.

XIV ტომით მთავრდება რევაზ მიშველაძის მხატვრული პროზა. შემდეგი თერთმეტი ტომი ეთმობა სხვა ჟანრის ნაწერებს. მათ იმდენი რეზონანსი ვერ ექნებათ, გამომდინარე ჟანრული სპეციფიკიდან. მაგრამ ისინი წარმოაჩენენ რევაზ მიშველაძეს როგორც მოღვაწეს, კრიტიკოსს, დრამატურგს, პუბლიცისტს, მეცნიერს. ეს მრავალმხრივი პროფილი ისე ამშვენებს მწერლის შემოქმედებას, როგორც ჩარჩო – სურათს. მათ მნიშვნელობა ეძლევა ძირითადთან მიმართებით.

ავიღოთ XV ტომი. ეს არის მწერლის ცხოვრების დღიური 1988-2012 წლებში. ჩანაწერები კეთდებოდა ცხელ კვალზე. ფიქსირებულია უამრავი საინტერესო ფაქტი და მოვლენა, რომლებთანაც ავტორს წლების მანძილზე უხდებოდა შეხება. ბევრს შეიძლება ეს

ზედმეტი მუშაობა ეგონოს. მაგრამ სწორედ ესაა პროფესიონალიზმის გამოვლენა, როცა მწერალი ფიქრობს, აზროვნებს, ცდილობს როგორც გარეგანი ფაქტების, ისე საკუთარი ფსიქიკის მოძრაობის ფიქსირებას. ასეთი დოკუმენტური სიზუსტით წერდა დღიურებს არაერთი ხელოვანი (მაგ. ლ. ტოლსტოი). ადრე მწერლები წერილებს ანდობდნენ თავიანთ ფიქრებს (მაგ., ბლოკს ეკუთვნის 3.000 პირადი ბარათი, ჩეხოვს – 4.500). ისინი თავისთავად საინტერესოა. ხოლო წარუვალ მნიშვნელობას იძენენ დიდ შემოქმედებასთან მიმართებით. დღეს წერილებს აღარავინ წერს, ყველაფერი უკვალოდ ქრება. გვგონია, რომ ფიქრისა და ფაქტის ფიქსირება ზედმეტია, რომ თითქოს ისედაც ყველაფერი კარგად გვახსოვს. ცხადია, ეს ასე არ არის. აი, მეც რომ წავიკითხე რევაზ მიშველაძის ეს ქრონიკა – „ოცდახუთი მრისხანე წელი“, ვიგრძენი, რომ ბევრი რამ გადამვიწყებია ან თუ მახსოვდა – არასრულად.

მწერლის ქრონიკა ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც მისივე ნოველები. ეს საკუთარი ცხოვრების დეტალების ფიქსირება, რომლებიც გადაჯაჭვულია დიდ პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებთან, დრამატულ პროცესებთან, წუთშესვენებაც არის და სამზადისიც ახალ ნაწარმოებთა დასაწერად.

რევაზ მიშველაძის ნოველების სხარტი, ცხოვრებისეული დიალოგები და ორიგინალური სიუჟეტები, თითქოს იოლად უნდა დამკვიდრებულიყო სცენაზე, გადასულიყო კინოსა და ტელეეკრანზე. თითქოს ამისათვის ხელი უნდა შეეწყო იუმორსაც, რომელმაც წარმოშვა არაერთი ცნობილი ქართული ფილმი. მაგრამ ასე არ მოხდა. მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მას არ გამოუჩნდა ისეთი რეჟისორი, როგორიც გიგა ლორთქიფანიძე – ნოდარ დუმბაძესა და ჭაბუა ამირეჯიბს. მაგრამ მოხდა ერთი ასეთი პარადოქსი – მწერლის სიტყვაზე დაფუძნებულმა პიესებმა ჭეშმარიტი მხატვრული გარდასახვა ჰპოვეს პანტომიმის თეატრში. რეჟისორმა ამირან შალი-

კაშვილმა შესძლო ის, რაც ვერ გამოუვიდათ სხვა რეჟისორებს. მან დიდებული სპექტაკლები შექმნა რევაზ მიშველაძის ტექსტების საფუძველზე.

თითქმის ათი წელია სცენიდან არ ჩამოდის „ტერენტი გრანელი“, „წმინდა გიორგი“, „ქრისტე“. მათ საყოველთაო მოწონება და აღიარება ხვდათ წილად როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

სწორედ ამ და სხვა პიესებმა შეადგინა XVI ტომი.

XVII და XVIII ტომები დაეთმო პოლიტიკასა და პუბლიცისტიკას. მათში შესული წერილები მწერლის დღიურებში ჩანიშნული დეტალების, ფაქტების გააზრებაა. როგორც ვთქვით, რევაზ მიშველაძე ყოველთვის იდგა მოვლენების ეპიცენტრში, იყო საბჭოური სისტემის მამხილებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, მისი ლიდერების ქომაგი, ქვეყნის მთლიანობისათვის მებრძოლი, საქართველოს პარლამენტის წევრი. ამიტომ მწერლის აზროვნებაში ერთმანეთს შეერწყა ეროვნული და პოლიტიკური პრობლემები, ეროვნული იდეალები და მიმდინარე საჭირბოროტო კითხვები, რომლებიც საჭიროებდა სწრაფ რეაგირებას, საგანგაშო ზარის შემოკვრას, უკეთური ნაბიჯების დაგმობას (მაგ., როცა გაქრა პასპორტიდან და დაბადების მოწმობიდან ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა), ფიქრს პერსპექტივაზე, ქვეყნის მომავალზე.

მწერალი მიტინგებზე, ფორუმებზე, პარლამენტში, პრესის ფურცლებზე, საიუბილეო საღამოებზე, განხილვებსა და შეხვედრებზე გამოდიოდა მძაფრი სიტყვით, იცავდა მწერალთა კავშირს, უნივერსიტეტს, იცავდა ქართველებისაგან, იცავდა ქართული ხელისუფლებისაგან, რათა ჩვენი ქვეყნის ვაი-შვილებს არ ჩაედინათ ის, რაც არ გაუკეთებიათ დამპყრობელ რუსებს.

აი ამ წერილების, გამოსვლების, მიმართვების დიდი ნაწილია დაბეჭდილი XVII და XVIII ტომებში. მათგან ისევ უნდა დავასახელოთ „20 რჩევა პრეზიდენტს“.

ვიდრე რევაზ მიშველაძე პროზაში გადავიდოდა, ცნობილი კრიტიკოსი იყო. ეს გახლდათ ახალგაზრდობის წლებში. აქედანვე იწყება მისდამი ზოგიერთი კოლეგის დაპირისპირება, რასაც თუ რევაზ მიშველაძე სწრაფად ივიწყებდა, მოსვენებას არ აძლევდათ მოშურნეებს და ზოგს სიკვდილის ბოლომდე გაჰყვა. კრიტიკოსს ყოველთვის მეტი მაძაგებელი ჰყავს, ვიდრე მაქებარი. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ მწერლობას აყალიბებს ავტორთა მცირე ჯგუფი, უდიდესი ნაწილი მხოლოდ თანამგზავრია და ფონს ქმნის. აღიარებასა და დაფასებას კი ნიჭიერიც მოითხოვს და უნიჭოც. ასეთი რეალური საფუძველი აქვს კონფლიქტს მწერლობაში.

რევაზ მიშველაძე ჯერ როგორც კრიტიკოსი, შემდეგ როგორც ნოველისტი და კრიტიკოსი აქტიურად იბრძოდა ლიტერატურული ინტერესებისათვის, როგორც სიახლის, ისე ტრადიციების დასაცავად, ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს, ჟურნალებს „პირველ სხივსა“ და „კრიტიკას“, ამკვიდრებდა თავის თვალსაზრისს. იგი ყოველთვის ეჭვით უყურებდა მოდერნისტებსა და ავანგარდისტებს, არჩევდა რეალიზმის გზით სიარულს. ეს ნათლად ჩანს იმ მრავალრიცხოვან კრიტიკულ წერილებში, რომლებიც წლების მანძილზე ქვეყნდებოდა ჩვენს პრესაში.

ახალგაზრდებსაც ურჩევდა, ყოფილიყვნენ რეალიზმის, ნათელი ხატვისა და სადა სტილის ერთგულნი.

ამ წერილების საგრძნობი ნაწილი თავმოყრილია XIX-XXI ტომებში, რომელთაც მისცა საერთო სათაური – „ლიტერატურა და თანამედროვეობა“. სწორედ თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით აჩვენებს იგი ჩვენი მწერლობის შუქ-ჩრდილებს. მწერალი ცდი-

ლობს სუსტ მწერლებშიც იპოვოს ნათელი სხივი, გამოაცალკევოს, გამოყოს ცალკეული საკითხები, ცალკეული ნაწარმოებები თუ სტრიქონები, რათა პროცესის მღელვარე ზღვაში არ ჩაიკარგოს ისინი. ამიტომ ხშირად მთლიანად კი არ ეხება ავტორს ან ნაწარმოებს, არამედ – კეთილმოსურნის თვალით ცდილობს კარგისა და საინტერესოს პოვნას, ახსნას, გამორჩევას. დანარჩენზე არჩევს, რომ გაჩუმდეს.

ამიტომ არის ამდენი ავტორი წარმოდგენილი ამ ტომებში.

რევაზ მიშველაძე მრავალ ქვეყანაშია ნამყოფი. მოგზაურობა განსაკუთრების საინტერესო იყო, თუნდაც სოციალისტურ ქვეყნებში, როცა კომუნისტური მმართველობა ბატონობდა. ადამიანი მუდამ ცდილობს ახალ სივრცეთა მოხილვას, აკრძალული ხილის გემებას. მწერალს მითუმეტეს სჭირდებოდა რკინის ფარდის მიღმა გახედვა. რევაზ მიშველაძე უცხოეთში მოგზაურობათა შთაბეჭდილებებსაც იწერდა, რათა ნანახი სივრცე, საგნები, უცხო ლანდშაფტი, კულტურის ძეგლები თუ ადამიანთა სახეები დავიწყებას არ მისცემოდა.

ასე დაიწერა „მწერალი და მოგზაურის ზურგჩანთა“ – XXII ტომი. ისევე როგორც დღიურებს, ამ შთაბეჭდილებებსაც მარჯვედ იყენებდა მწერალი, როცა გაუცხოების ხერხით თითქოს მოქმედება გადაჰქონდა საბჭოეთის მიღმა. ცალკეული დეტალები, სახელები, საგნები, სახეები განსხვავებულ კოლორიტს სძენდა ამ ნოველებს.

რევაზ მიშველაძე ორმოცდაათი წელია კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში. მან ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. თემა იყო „თანამდეროვე ქართული პოემა“. ახალგაზრდა მეცნიერმა შეისწავლა პოემის სახეები, განვითარების დინამიკა, როგორც ქართულ, ისე უცხოურ არეალში და დაასკვნა, რომ ეპიკური პოემის დროს წავიდა. მისი ადგილი დაიკავა

რომანმა. გაჩნდა ახალი სახე – ლირიკული პოემა, რომელსაც აღარ აქვს ტრადიციული სიუჟეტი.

დრომ მკვლევარის თვალსაზრისი გაამართლა.

XXIII-XXV ტომებში ასევე შეტანილია მონოგრაფიები – „კულტურა და თანამედროვეობა“, „ქართული სატირული ჟურნალისტიკა“, „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“. ისინი სახელმძღვანელოებია. მაგრამ რადგან ავტორი მწერალია, მწერლის ესთეტიკური თვალთახედვა, კრიტიკული შეფასება, კლასიკის დღევანდელი თვალსაზრისით წაკითხვა აქაც არანაკლებ საგრძნობია, ვიდრე სისტემატიკა და ანალიზი.

დღეს ლიტერატურაში კრიზისული სიტუაციაა. აღარ არსებობს ლიტერატურის იმპერია – იგი დაირღვა და დაიშალა. მკითხველი მაყურებლად იქცა, რომელიც ეძალება გართობასა და სენსაციურ ინფორმაციას. ზნეობის მცველი, ერის წინამძღოლი, ეპოქის მხატვარი მას არ სჭირდება. ლიტერატურაც გართობის ინდუსტრიის ნაწილი გახდა – ლექსი სჭირდებათ ესტრადისათვის, სიმღერისა და სკეტჩისათვის, პროზა – სცენარისათვის, ფილმისა და ტელესერიალისათვის. ლიტერატურა ჰკარგავს დამოუკიდებელ არსებობას, რასაც „ლიტერატურის სიკვდილი“ დაარქვეს დასავლეთში.

ამიტომ მწერლები სხვადასხვა მიმართულებით ისწრაფიან – ცდილობენ ექსპერიმენტებით, სენსაციებით, უხამსობითა და ბილწსიტყვაობით, ფაქტების უხეში რეესტრით მიიზიდონ მოღალატე მკითხველი. ისინი ოლიმპოდან ტალახში ყრიან ძველ ღვთაებათა ქანდაკებებს და იცინიან, რათა ასე გააცინონ სხვებიც, ასე შეინარჩუნონ ადგილი და მნიშვნელობა.

ეს უილაჯობის, უძალობის, უმწეობის სიცილია, რომლის იდეალია ძველი იდეალების დამხობა და ინსტინქტების ზეიმი

ანუ როგორც ამბობენ ეგზისტენციალისტები, არაფრის არაფერში გაარაფრება.

ამ მოძალებული ნატურალისტური აბსურდის წინ ბარიერად დააყენა რევაზ მიშველაძემ თავის 25-ტომეული, თავის პერსონაჟების ლაშქარი, რათა დაიცვან ქართული სულიერება, ქართული ტრადიციები და შესძლონ სახელმწიფოებრიობის განმტკიცება.

„მწერლის გაზეთი“, 2014. №3

შ ი ნ ა ა რ ს ი

I. რუსული ევროპეიზმი: XIX საუკუნე .....

1. რუსული ხიშტით .....

სამეფო-სამთავროების ანექსია .....

ტერიტორიული ინტეგრირება .....

დემოგრაფიული სურათი .....

ბაგრატიონთა გასახლება .....

ეკლესიის რუსიფიცირება .....

რუსული ონომასტიკა და ტოპონიმია .....

ენის ფაქტორი .....

აზიური მასები .....

2. **ტფილისური ჰიბრიდი** .....

სომხური ფაქტორი .....

აშუღური ჰანგები .....

აზიურ-ევროპული კონტრასტები .....

ფსკერის რომანტიკა .....

კულტშემოქმედი არისტოკრატი .....

II. რომანტიკა და დეჰეროიზება: სევდიდან კომიზმისაკენ

1. დიფუზიის პერიოდი .....

პოლიტიკური კურსი და თვალთახედვა .....

ეკლექტიკური ნაკადი .....

ვოლტერიანობა .....

რუსული ამპირი .....

პორტრეტული ხელოვნება .....

ცივილიზაციურ-კულტურული დისბალანსი .....

2. რომანტიზმი და თავისუფლება

ნაპოლეონი და რევოლუცია .....

რუსული მასონობა .....

დეკაბრისტები ……
1832 ……..
წარსულის ხილვა ……
3. ქართული სევდის პოეზია ……
პოეტი - გენერალი ……
განწირული მხედარი ……
„ბნელდება საქართველო“ ……
რომანტიკოსთა ენა და ლექსი ……
რომანტიზმის დასასრული ……..
4. ვორონცოვის კულტურპოლიტიკა ……
ერთგული ერი ……
თეატრის აღდგენა ……
ჟურნალი „ცისკარი“……
ადრეული გამოცემები ……
სიცილის თერაპია ……
კულტურა, როგორც ორლესული ……

III. თერგდალეულები: განმანათლებლობა და თვითმოქმედება
1. „მამები“ და „შვილები“……
ლიბერტი და ლიბერალიზმი ……..
სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში ……
ბატონყმობის გაუქმება ……
ენობრივი რეფორმა ……
კულტურშემოქმედი ინტელიგენტი ……
კულტურშემოქმედი ლიდერი ……..
2. რეალიზმის ესთეტიკა ……
კლასიციზმის დაძლევა ……..
ორი დასი – ორი ლიდერი ……
კრიტიკული რეალიზმი ……
ლექსის დემოკრატიზება ……
ილიას გმირი ……..

„ივერიის“ რედაქტორი ……
პრაქტიციზმის აღმატებით ……
3. ბეჭდვითი სიტყვა ……
პრესის მნიშვნელობა ……
გავლენის არეალი ……
რედაქტორები და თანამშრომლები ……
თარგმანის თვალსაწიერი ……
ქართული წიგნი ……
4. ბანკი და განათლება ……
სათავადაზნაურო ბანკი ……
სკოლა – დედაენა ……
თეატრი – ტრიბუნა ……
კლასთა თანხმობა და კულტურის ევოლუცია ……

IV. კულტურის დიფერენცირება: კონკრეტიკა და დარგები ……
1. განმათლებლობიდან მეცნიერებისაკენ ……
დემოგრაფია და ინტელექტუალური პოტენციალი ……
სამი ერი ……
სპეციალიზება და პროფესიონალიზმი ……
ქართველოლოგიის ჩამოყალიბება ……
2. განმანათლებლობა და ხელოვნება ……
არქიტექტურა და მშენებლობა ……
მხატვრების განსწავლა ……
პროფესიული მუსიკის დასაწყისი ……
3. გმირები და ანტიგმირები ……
მხსნელის მოლოდინი ……
ისტორიის რომანტიზება ……
მთის რომანტიკა ……
ხალხოსნური სურათები ……
კაპიტალის შვილები ……
შემოდგომის ანტიგმირები ……

ნიჰილიზმი და სიყვარული .....
4. რევოლუციური ანტაგონიზმი .....
ღმერთის მკვლელები .....
ნგრევის რომანტიკა.....

V. დასავლური ევროპეიზმი: მოდერნიზმი .....
1. წმინდა ხელოვნება .....
ორი ნაკადი .....
მოდერნის სასახლე .....
პროფესიული მუსიკის ბაზისი .....
მხატვრის პალიტრა .....
ნოველიდან ესკიზისაკენ .....
აკაკის ლანდი .....
„ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი“ .....
ცოდნა და ინტუცია .....
კონტაქტები .....
2. აზროვნების ტრანსფორმაცია .....
ახალი ლექსი .....
მითისქმნადობა .....
მარტოობის ესთეტიკა .....
სიყვარულის რომანტიკა .....
რასა და ნაციონალიზმი .....
ბოლშევიკური განაჩენი .....

VI. დემოკრატიული საქართველო: კულტურის ოაზისი .....
1. თეთრცხენოსანი რესპუბლიკა .....
გზა ევროპისკენ .....
ნაციონალიზების პროცესი .....
ეიფორიის დასასრული .....
26 მაისი და 25 თებერვალი .....
არჩევნები დემოკრატიულ საქართველოში .....

2. კულტურა ცეცხლის რკალში .....
სკოლა და განათლება .....
ეკლესია .....
უნივერსიტეტი .....
კონსერვატორია და ოპერა .....
ფერწერა .....
კინემატოგრაფი .....
ცირკი და თეატრი .....
წიგნი და ლიტერატურა .....
მწერალთა კავშირი .....
პრესა და თავისუფლება .....
3. ემიგრანტული კულტურა .....

VII. სოციალისტური კულტურა: 1921-1990 .....
1. ბოლშევიზმი და კულტურა .....
კულტურის იდეოლოგიზება .....
განათლება და აღზრდა .....
ეკლესია .....
კომუნისტური ტოპონიმიკა და ონომასტიკა .....
პროლეტარული კულტურა .....
„H_2SO_4“ .....
შემოქმედებითი ორგანიზაციები .....
კულტურის რეგულირება .....
კომკავშირული კადრები .....
ძველი ინტელიგენცია .....
სოციალისტური რეალიზმი .....
რეპრესირება და სტალინიანა .....
ისტორიის წიაღი .....
ჰეროიკა და რომანტიკა .....
კულტურის მასობრიობა .....
ტრიუმფის ათწლეული .....

2. საბჭოთა კულტურშემოქმედი .....
კულტურშემოქმედის გამორჩევა .....
ყოფითი პირობები .....
პროპაგანდა – რეკლამირება .....
მთავლიტი – საბჭოთა ცენზურა .....
ჰონორარი .....
წოდებები .....
პრემიები .....
ორდენები .....
კარიერა .....
იუბილე .....
პანთეონი .....
ხსოვნის უკვდავყოფა .....
ერთიანი კულტურული სივრცე .....
3. კულტურის ფრონტი .....
ქართული ენის სპექტრი .....
გარემოს რეკონსტრუქცია .....
სახვითი ხელოვნება .....
თეატრალური ნიღბები .....
კინოს სამყარო .....
ლიტერატურა .....
მუსიკის ჰანგები .....
ცეკვა ხმლებით .....
მასმედიის ქსელი .....
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა .....
ექსპერიმენტული სუბკულტურა .....

VIII. პოსტსტალინისტური ტრანსფორმაციები: 1953-1990 .....
1. კომუნისტური მითის რღვევა .....
კულტურის სტაგნაცია .....
ბელადის სიკვდილი .....

9 მარტის ტრაგედიის ნაპერწკლები .....
დასავლური იმპულსები .....
რუსული მწერლობის გაუცხოება .....
ახალი ინტელექტუალიზმი .....
რესტავრაციის ცდა .....
კონფლიქტები და დაპირისპირებები .....
2. იდეოლოგიური ნაკადები .....
სამთავრობო ხელოვნების მოთხოვნები .....
ნეიტრალური სუბკულტურა .....
ნეიტრალებსა და დისიდენტებს შორის .....
დისიდენტური კონტრპოზიცია .....
დეჰეროიზების პათოსი .....
3. პერესტროიკა და ნაციონალიზმი .....
4. კულტურა და ერის ფსიქიკური ენერგია.....

გამოყენებული ლიტერატურა .....

დ ა ნ ა რ თ ი

„ლიტერატურული საქართველოს“ პოეზია (1986, I-VI) .....
ოთარ ჩხეიძე: ტრაგიკული ათწლეული .....
რევაზ მიშველაძის 25-ტომეულის გამო .....
გამოყენებული ლიტერატურა .....

XIX-XX საუკუნეებში საქართველო მოექცა სინკრეტულ-ევროპული კულტურის ტიპოლოგიურ რკალში.

მიუხედავად ცარისტული და ბოლშევიკური დიქტატისა, ომებისა და რეპრესიებისა, ქართველმა ხალხმა შეძლო განევითარებინა ხელოვნება, მეცნიერება, ენა, აღედგინა ისტორიის პანორამა და უცხოეთისათვის გაეცნო თავისი თავი, ებრძოლა რუსული სოციალიზმის წინააღმდეგ და ამასთანავე - ყოფილიყო რუსული სოციალიზმის მედროშე.

ქართველთა ცნობიერებაშიც ევროპეიზმმა რამდენიმეჯერ იცვალა სახე - ჯერ იყო რუსული სტილისა, შემდეგ - დასავლური, სსრკ-ის პერიოდში - სოციალისტურ-კოსმოპოლიტურის დაძლევით - ეროვნული.